**ბაბლ**-ი<sup>1</sup> 1. საბნის ქვედა პირის გადმონაკეცი გულის გარშემო. ბაბლები ძქონდა საბანსა; საბან რო შაკვერამდით, ფეხი ჩითი დიდი უნდა ეგველო გულზედა, იმაა ზეიდან გულზე გადმუაფენდით და ვეტყოდით ბაბლეფსა (წილკ.). ეგ რამოტელა ბაბლები მოუიდა მაგ საბანსა, გული კი აღარ უჩამს კარქთა (იგ.); აგრეთვე კარალ., გარიყ, ზ. ხანდ., საგურ. 2. მუთაქის პირის თავები (სხვა ქსოვილისა). თუ კარქი ნაჭერია მუთაქის პირი, ბაბლებსაც კარქს წააკერებენ, თუ უბრალოა, მაშინ ბაბლებსაც უბრალოს უკეთებენ (ხანდ.). 3. ტანისამოსის განაკერში ჩაყენებული პატარა ნაჭერი, ხიშტაკი. შარვლი უბეს რო აქ ჩავდებულები, ისიც ბაბლებია (ტყე.).

**ბაბლ**-ი<sup>2</sup> დიდი ტახტი, გამართული სახლის ორ კედელს შორის. ბაბლ ტახტ ეტყოდენ ზომე წინათ, დიდი ტახტი იყო, კიდეც იწვნენ ზედა, კიდეც სუფრასაც გაშლიდენ, სტოლი ზო არ იყო წინათი (სამწ.).

**ბაბლანო**, **ბაბლანო** თხელი, სუსტი, გაცრეცილი (ქსოვი-

ლი...). თითო წვერი რუ აილო გორგლი ძაფისაი, ხელათ გაწყდება, ეგეთი ბალბაწოა (წილკ.). ჩამოუკიდნია ფარდებათა ბაბლანო მარლები და ყველაფერი ჩანს (მერ.).

**ბაბნ**-ი მცენარე ერთგვარი. ბაბნი ავანტყოფობის წამალია, ყვითელი ყვავილია, წვრილი ყვავილები ააქ, მაგარი ხუნი (კავთ.).

**ბაბრია**, **ბობრია** დიდი, მსუქანი ლეკვი, ბოთვერა. დიდი ძაღლის ლეკვი რო იქნება, ჯერ არ არი გარდილი და დარგვალბული არი ლამაზათა, თამაშოფს, იყუფება, ის არი ბობრია (ქვ. ჭ.). ბაბრია ლეკვი რო გყამდათ, ვინ მოგპარათ? (ქიწნ.).

**ბათისაშა** ვინც უშნო, ხმამაღალი სიცილი იცის. ეგერა დეიდაშენს ვეძახი მე ბათისაშასა, ვითომა შეილი არც მოკდომია და არცა, იცინის უზომურათა (ხაშ.).

**ბაინდურა** უშნო, ღონდლო, დაბდური. რა ბაინდურა რამ არი ე დედაკაცი, ათჯერ უთხარ, ცული გამამიტა-მეთქი და აბა! მაგი ყურეფში არ შადია (წილკ.).

**ბაპუტა** დაბალი, სქელი (აღამიანი); კოტიტა (თითები). შენ ხმა ამოგედება, შე ბაკუტა, შენა? (მერ.). ე ოხერი, ისეთი ბაკუტა ფეხები მაქ, რო არარა ფეხსაცმელი არა მრგეფს (მერ.).

**ბალარტი**-ი კალათის ჩონჩხი, მოქსოვილი წნელის ბრტყელი ტყეჩისაგან. ბალარტი კალათის ის ნაწილია, რაზედაც პწკა-

ლით ქსოვენ (ჩუმათ.). საბა-  
ლარტყე: საბალარტყეებს ხდი-  
ან წაბლის, მუხის ან თხილის  
ნორჩი ხისაგან (ჩუმათ.).

**ბალახანა** ხილის დასაწყო-  
ბი ტახტი. ბალახანაზე გვეწყო  
ხომე წინათი ხილი (ტყვ.). ბალა-  
ხანას ფიცარი ავაგლებინე და  
სიდედრის მურაბა დააქციე (გუ-  
ჯაბ.).

**ბალბას მოუღულებს** სა-  
მაგიეროს გადაუხდის, ჯავრს  
ამოიყრის. მე თუ მაგათ ბალბა  
არ მოუღულო, ბიჭი არ ვიყო, მა-  
გათ რო ტიტველა მარბენინეს  
საბანაოზე! (კავთ.). **ბალბის მო-**  
**ღუღება:** სამაგიეროს გადახდასა  
ბალბის მოღუღებას ეტყვიან  
(კავთ.).

**ბალბაწო** იხ. ბაბლაწო.

**ბალბის საჭაპურა** ბალ-  
ბის ნაყოფი. ბალბის საჭაპურა  
აქვიან და ბალბის ქადაცა, ქადა-  
სეფე და საჭაპურივით აქვს ცალ  
გვერძე მოპრუჭნული და იმიტო-  
მა (ქვეში). ამხელა ქალია და  
ბალბის საჭაპურაზე ერთობა  
(ქვეში).

**ბალთაპ**-ს მსხვილად ჭრის,  
თლის. რასა ბალთამ მაგ ხახვსა,  
განა მწვადისთვინ კი არ მინდა!  
(კავთ.). ეიდაა, ბალთამს. ე ხახვ-  
სა, იტყვი, მწვადს უნდა მააყა-  
როა ზეიდანაო! (წილკ.).

**ბალი-ბალის ეუბნება,**  
**მბახის** ეფერება, ელოლიაება,  
უყვავებს. ვინმეს რო ეფერები,  
იმას ეტყვიან, ბალი-ბალის ეუბ-

ნევო (ტყვ.). სუ ბალი-ბალი რო-  
გორ გემახო, სუ როგორ გეფერო?  
(აბ.); აგრეთვე ბროწლ.

**ბალტყემალა** ერთგვარი ჯი-  
შის ტყემალი; აქვს თეთრი, მოტ-  
კბო ნაყოფი. ბალტყემალა ბალის  
მოყვანილობისა არი, ტკბილი,  
ბაქმას აკეთებენ იმისაგანა (გა-  
რიყ.). ერთი ბალტყემალა იდგა და  
ისიც მოჭრა (ტყვ.). ბალტყემა-  
ლას ბაქმასი ტკბილი გამოვა, მა-  
რა იქნება (ალი).

**ბალქაში**-ი დიდი ჯამი თიხი-  
სა. ბალქაში არი თიხისაგან გა-  
კეთებული დიდი თეფშივითა, ქვა-  
ბეფ ვაფარემდით ხომე ზეიდანა.  
იმათან ხინკალ ამოვიღებდით  
ზედა, თუ სინი არ გვექნებოდა  
(წილკ.). ორივე ჩემი დედაპითლი  
ნაქონია, ე ბალქაშიცა, ერთი დი-  
დი ბადია გვაქ კიდენ, ისიცა  
(წილკ.). დაუდგამთ დიდი ბალქა-  
შითა ფლაკვი, მეორე დღეს უნდა  
ვენახში წაიღონ (ძეგ.).

**ბალყუმი ადგილი** ნესტი-  
ანი, ჭაობიანი ადგილი. ჭაობიანი  
ადგილი როა, იქ არაფერი მოვა  
რა, ბალახიც კი არ მოვა კარქი,  
ეგეთ ადგილსა ბალყუმ ადგილს  
ვეტყვიოთ (ერთაწმ.); აგრეთვე  
ზ. ხანდ.

**ბანდ**-ი ძველი ქსოვილის  
(ტყავის) ნაგლეჯი ქალამანში ჩა-  
საფენად, ფეხზე დასახვევად. ქალ-  
მეფში რო ჩაიგებენ ხომე ჩვრეფ-  
სა, იმასა აქვიან ბანდი (ტყვ.).  
ახალ წინდას რო ჩაიცვამდენ,  
ზედ გადაიხვევდენ ბანდასა, რო

ქალმეფს არ გაეფუჭებინა წინ-  
ღები (ოდ.).

**ბანდალ**-ი ბარბაცი, ტორ-  
ტმანი. ძლივს აედექი და ბანდა-  
ლით მივედი კელამდინა (ტყვ.).

**ბანდუში**-ი 1. ხის ნაჭერი ბო-  
ძის სიმაღლის მოსამატებლად,  
კოჭის დასაგრძელებლად. ბოძე-  
ში თავზე რო კოჭი არ გასწვდე-  
ბა, ჩაუმატებენ, ჩაუგდებენ და ეგ  
არი ბანდუში, რითაც გადააბამენ  
კოჭსა და გინდა ბოძსაც; სიმაღ-  
ლეს აძლევს (ქვეში). 2. ხის ნა-  
ჭერი წნელით (ჯაჭვიით...) შეკ-  
რულის მოსაჭერად, მოსაჭიშვად.  
ნალოს რო ჰკრამენ, მოაჭრიან  
პატარა ხესა, დაუდებენ სიგრძე-  
ზედა, ამასა აქვიან ბანდუში. მერე  
იშას დედეება გრძელი კეტი, ამ  
გრძელ კეტსა ჯაჭვიეში გაუყ-  
რიან, დაიჭიმება ეს ჯაჭვი (ატ.).

**ბარაბ**: ერთ ბარაში ატა-  
რამბს (ბაბატარამბს) ერთი  
საზომით უდევს (მიუდევს),  
ერთნაირად დასფასებს. უხეირო-  
სა და კარქს რო ერთნაირათ გა-  
მოიყენეფს, იმაზე იტყვიან, ერთ  
ბარაში გაატარაო (კავთ.). ან-  
ჩხლი დედაკაცია და სუ ჩხუ-  
ბოფს განთავათა, არც ბებერი  
იცია, არც ჯეელი, სუყველაჲ ერთ  
ბარაში ატარეფს (წილკ.).

**ბარაშაღა** უყაირათო, ბე-  
დოვლათი (შდრ. აბუქა). რო ანია-  
ვეფს ცხოვრებასა, ის არი ბარაქა-  
ლაი, ბედოვლათი (ატ.). ეგა ბა-  
რაქალა არი, აბუქაი (ზერ.); ავ-  
რეთვე ძეგ.

**ბარის პირზე** ბარის პირის  
სიღრმეზე. ქართულ ვაზს რო ჩა-  
ყრილით, გაეთხრილით სამი ბარი  
პირზედა (დის.). კარალეთში ერ-  
თი ბარის პირზე რო ჩათხარო,  
წყარო გამოდის (ტყვ.). რო გა-  
დააბრუნებენ მიწასა, ორი ბარის  
პირზე უნდა იყოს (ძეგ.).

**ბარულა** ჩვილი ბავშვის შე-  
სახვევი, ჩვეულებრივ, მიტკლისა.  
გაშლიან ბარულასა, ზედ კიდე  
პატარა ნაჭრეფს დააფენამენ და  
მერე შეახვევენ ბავშვსა (კავთ.).  
ბარულაში ხელში დასაჭერი ბავ-  
ში უნდა გაახვიო (ტყვ.).

**ბასას**-ი ცუდად განვითარე-  
ბული, დაჩაგრული (ბალახი, სი-  
მინდი...). თამამი რუ არ აშუა და  
დაჩაგრული აშუა, წენიკი, ვიტ-  
ყვით, ბასასი ამოიდაო (წილკ.).  
წრეულ დრემლა ვერ დავაყარე  
ხახვი კვლებსა და იმითინა დგა  
ეგე ბასასი (წილკ.).

**ბასკა** ხის საკერებელი. ბას-  
კა დაარტყი მაგას და უფრო მა-  
გარი იქნება (ხაშ.). ბასკით გადა-  
აბა ფიცარი (ჩუმათ.).

**ბასტი**-ი ძველად: ერთგვარი  
წესი, რომელსაც ასრულებდნენ  
მაყრები ქორწილის მეორე დღეს.  
ბასტი თამაშობაა: ქორწილის  
მეორე დღეს მაყრები დააბამენ  
ზომე ბასტს, მაყრები დამწკრივ-  
დებიან, აირჩევენ უფროსს, უფ-  
როსი მირბის, თან მისდევენ და-  
ნარჩენები; რასაც უფროსი გა-  
აკეთებს, მაყრებმა უნდა გაიმეო-  
რონ, თუ არ გაიმეორეს, უფროსი

ჯოხს ან მათრახს რამდენჯერმე დაარტყავს (დ. თონ.).

**ბატასინი**-ი დაბღური, უშნო, მოუხერხებელი. უქნარა, დამბლა, უმარიფათო ადამიანს ეტყვიან ბატასინსა, რომელსაც არაფერი არ ეხერხება (დ. თონ.).

**ბაქმ-ბაქმ** ბაქია, ტრახბახა. ბაქე-ბაქე — კაცზე უფრო ითქმევა, პასტა-პასტური — ქალზე ითქმის, რო ლაპარაკოფს ბერსა, ტრაბახოფს (ოდ.).

**ბაღლაჭა** ეუბნებიან დაცინ-ვით პატარა ბაემეს. ბაღლაჭა პატარა ბაღლ ეტყვიან ზომე დაცინვითა, როცა დიდი გონია თავი და დიდეფში გეერევა თამაშობაშია (წილკ.). ე, ბაღლაჭებო, გამაიქეთ აქა, კამფეტები მაქ თქვენთინ შანახული! (წილკ.).

**ბაყამი**-ი გახუნებული ლურჯი. ეს რა საკაბე გიყილია, ბაყამი! (ძეგ.).

**ბაჩა**! თევზი ერთგვარი. ბაჩა თავეკომბალასავით თევზია; სასირეთში, ყარაღაჯში ღოტას ემახიან ბაჩას (კაბრ.).

**ბაჩა<sup>2</sup>**, **ბაჩანა**, **ბაქშია** დაბალი, პატარა ტანისა. დაბალი, ნაკლები ჯიშის საქონელი რომელიც არი, პატარა ტანისაი, არც ღონე აქ იმასა, რო ამუშაო, და ზორცითაც უბარაქოა, ბაჩა საქონელს იმას ეტყვიან (ზც.). დაბალი და პატარაი, ბაჩაჩა, უფრო ვიტყვით ადამიანზე (ატ.). ბაჩუკა ქალიაო, არ ვარგაო, დაბალია; ძინდა სუქანი იყოს, სქელი, გინ-

და გამხდარი იყოს, მაინც ბაჩუკა არი, ისე კიდე კაცი (ბროწლ.).

**ბაჩანაშა**, **ბაჩანაშყი**, **ბაჩანაშა** საწყალი, ბეჩაი; უშნო, მოუხერხებელი. ადამიანზე იტყვიან, რა ბაჩანაშყა არიო, დაბეჩა-ეებული რო არი, დავარდნილი, რო აღარაფრის შნო არა აქვს (ატ.). მიტოი ბაჩანაშა თაეი მამასავითა (კავთ.). ბაჩანაშყი კაცია, მაგას ქალი როგორ მისცეს?! (ზ. ხანდ.); აგრეთვე ტყვ.

**ბაძი**-ი მიმბაძეული. სუ იმას გეჩინებები, იმის ბაძი ნუ ხარ, კარგის ბაძი იყავი-მეთქი! (ტყვ.). კაცი მეშურნე არ უნდა იყოს, ბაძი უნდა იყოს (ტანძ.).

**ბაჭყატი**-ი ბაყაყი. ეგე ეშინიან ბაჭყატიისა ჩვენებიანთ ბაბღუასა, რო არ შაუძლიან ზაფხულში საღამოთი კარებზე დაჯდმა (წილკ.). ბაჭყატი დაუჭერიათ ბავშვეფსა და აბურთავებენ (ტყვ.); აგრეთვე ერთაწმ., ოძ., ტანძ., ქვ. ჭ.

**ბაჯუჯა** ფეხბუმბულა (ქათამი). ფეხებზე რო ბუმბული აქ გამოსხმული, ბაჯუჯასა ისეთ ქათამს ეტყვიან (ლაამ.).

**ბღგოლაშ**-ს დიდი მონდობებით, თავდაუზოგავად მუშაობს. მან კარქი მუშა კაცი რუა და ეგე მუშაოფს, რო ორთატოლაა აკეთეფს, ამითანა კაცზე იტყვიან, რო სუ ბღგოლამსო (წილკ.). მუშაოფს, მაგისმა მოწვევტამა, გონი, სუ ბღგოლამს, ნახეარზე სუ ძინამს! (წილკ.).

**ბღუ** მოუხერხებელი, დაბღურნი. რო არაფრის თავი არა აქ, ვერაფერს გააკეთებს, ვერ მოახერხებს, ბღუ ის არი (ხაშ.).

**ბღუ** ძალიან ბევრი, მრავალი (ჩვეულებრივ, ფრინველი). ქეთინომ უთხრა მარო ბაბოსა, თქვენი ქათმები რო შვეგროვდებიან, ცოტა ჩანს, რო გაიშლებიან, ბღუ ჩანსო (ჩუმათ.).

**ბმბმრბ** ობობა. ბებერა აქ ვისწავლე, საგურამოშია, მე მართო კანის ბებერა ვიცოდი (საგურ.). ბმბმრბ ჭიბ შხამიანი ჭია ერთგვარი. ბებერა ჭია თუთაზე იცის ზომე; ყვითელია, დაბლუნძული, შხამიანია (ობ.). ბოსტნის ბმბმრბ ბოსტანში დადგმული საფრთხობელა. კვლებ რო გავაკეთებდით, ჯოხ ავიღებდით, მოვახვევდით ჩურეფსა, რამესა და დავდგამდით, ჩავსვამდით, უყარაულეო, ის იყო ბოსტნი ბებერა (საკორ.). ბმბმრბას ბმბმ ობობას ქსელი, აბლაბუდა (იკ.).

**ბმბმრშა** იტყვიან ბავშვზე, რომელიც დიდივით იქცევა. ისე რო მაიქცევა ბავშვი, ან იტყვის რამეს ისეთსა, გაუკვირდებათ, საიდან იცისო, შე ბებერუა, შენა, ეგ სადღა მაიგონეო (ქვ. ჭ.).

**ბებლივით ზის** გაუნძრევლად, უსაქმოდ ზის. აბა, ესლა ბებლივით არა ვზივარ თელი დღეი? საქმე არ შემიძლია და რამეი (ბროწლ.). ზის თელი დღე ბებლივითა, მაგი ხელ განძრეულ ვერ დაინახამ (მერ.).

**ბებრიბოსტანა** ბოსტანა. ბებრიბოსტანა ჭიას გაყოფილივით აქ თავი ცალკე და ტანი ცალკე; გადაბმული გეგონება, ისეთია ბებრიბოსტანაი (ტყვ.): მორწყვი დროს დაცურაშენ ზომე ბებრიბოსტანები (ფლ.).

**ბედგონიო** 1. ირიბი, აღმაცერი, დახრილი. მაღალი ადგილი არი ბედგონიოი, აი, ცოტა ესე შეღმარითი რო არი (ბროწლ.). წაწეწილათ, დახრილათ რო დააყენეფს ქეასა, ბედგონიოთ დააყენა ქეაიო (ატ.). 2. უსწორმასწოროდ შემოფარგლული ნაკვეთი (მიწისა). ბედგონიო ისეთი ალაგია, თანაბარი რო არ ექნება თავი და ბოლოი (მეჯვრ.). ჩვენი ადგილი ბედგონიოთ არი მოზომილი (კავთ.).

**ბედლაძვირებულ**-ი 1. ასაკს გადაცილებული გასათხოვარი ქალი (ან საქორწილო კაცი). ქალი რო დარჩება დითხანს გასათხოვარი, ბედლაძვირებულს ეტყვიან (კავთ.). ბედლაძვირებულთ ის არი, ვისაც ბედი არ გეეხსნება ბაშარულიაანთ სონასავითა (ტყვ.). 2. რაც დიდხანს დარჩა უხმარად, გამოუყენებლად. რაც დარჩება ისე, რო ვერ გამოიყენებენ, ყველაფერი ბედლაძვირებულია (კავთ.).

**ბეღიაპაღ** შემთხვევით, ალაღბედზე. ბეღიავათა ვკითხევისი ბიჭი ხარ-მეთქი და კოტეს ბიჭი არ გამოდგა?! (კარალ.). ბეღიავათ მომიხვდა, მე ზო ძალა-



ზე არ მინდოდა?! (ტყვ.). ეგრე ბედიავით რო აკეთეფ ყველაფერსა, იმიტომ არი, რო ხეირიანათ არაფერი გაქ (კავთ.); აგრეთვე გარ.

**ბელი დაუკვირდება** ბელი დროზე არ ეწევა, ბელი შეეკვრება. ბელი დაგიძვირდესო, ვითომო არ გელირსოს დროზე ბელის გახსნაო, დაგიგვიანდესო (ტყვ.).

**ბელიმწერელ**-ი ბელი, ილბალი. შენ ბელიმწერელს უკან ხო არ მიაბრუნეფ?! (იკ.). **ბელიმწერელი** (ბელიმწერლად) ბაუხდება რაიმე ცულის, უბედურების მიზეზი გაუხდება. ვისი მიზეზითაც ადამიან ფინათთ წაუა საქმე, იტყვიო, რო ბელიმწერელი ის გამიხდლო (წილკ.). ეგ გაუხდა ბელიმწერლათ უბედურ ფეფუასა, მაგისი ამბი გაგება და იმი ლოგინათ ჩავარდნა ერთი იყო (წილკ.). **ბელიმწერელსა** ჰბაპს იტყვიან უშნო, მეტისმეტად ცუდი შესახედაობის ადამიანზე. ე რამ მააწონათ, ქაა, ბელიმწერელსა აგავ, გული გამიხკდა, რო შავხედე (წილკ.).

**ბედრანბ**-ი 1. დიდი, უხეში, ტლანქი. კოხტა რამე რო არ არი, დიდი როა, მოუხეშავი, იტყვიან ბედრანგიაო (ატ.). დიდი ბედრანგი ადამიანიაო, დიდი რო არი, მაღალი, სქელი, იმაზე ვიტყვით ხომე (ტირმ.). შენი ჩანგალი არ ვარგა, ბედრანგია (თამ.). 2. უწესრიგო, უსუფთაო, ბინძური. ბედრანგი — ფეთხუმი, რო

არ იცის დაზოგავი, შენახავი; საშინაო არ იცის და საგარეო არ იცის ტანსაცმელი (ატ.). რა ბედრანგი ბავშვია! გინდა გარეცხილი ჩააცვი და გინდა — არა (კარალ.). 3. ძველი, უვარგისი, გამოუსადეგარი. ვედრა არი, ქვაბი არი, არვარგა, უვარგისია, დაძველებულია, ბედრანგია (ბროწლ.); აგრეთვე ძვე.

**ბედრანბულად** უსუფთაოდ. ბინძურად. ვედრა არი, ქვაბი არი, არვარგა, უვარგისია, დაძველებულია, ბედრანგია, გადაადეფ. გინდა იხმარ ბედრანბულათა. (ბროწლ.).

**ბედულიმო** იტყვიან შინახე-რაზე. ეგ საცოდავი, სანამ ფერიდა ხორცი ჰქონდა, ყველას იწუნებდა, ეხლა დარჩა თითონ ისე. ბედულიმო (კავთ.).

**ბედშეკრულ**-ი ვინც ვერ თხოვდება. ბედშეკრულსა ქალზე იტყვიან, რო ვერა თხოვდება (ნიზბ.). ე ჩემი ლოლია რა ბედშეკრულია, ქაა! რაც მაგაა მთხოვნელი აყავდა და ყველაა რადაც: მიზეზი გამოუჩნდა (გრაკ.).

**ბეზარაზე მოიყვანს** მოთმინებიდან გამოიყვანს, გააბრაზებს. იმდენს იზამს, რო კაცს ბეზარაზე მოიყვანს, მემრე გაეცლება და მითომც არაფერიო, ისე დაჯდება (წილკ.).

**ბელაპარ**-ი მეტისმეტად ღონიერი, ძლიერი. ზოგი ადამიანისა ღონიერია, ეგეთ ადამიანსა ბელავარს ეძახიან (კავთ.). ნიკო--

ღაი ნამდვილი ბელაგარია; ჯე-  
ვლობაშიც ვერე იცოდა, რო მამი-  
კილებდა სამსე მეშოკ პურსა, კა-  
ლოდან უსვენებლივ ჩამაიტანდა  
(კავთ.).

**ბელიშ-ი, ბელიშ-ი 1.** ანა-  
ხეთქი, ანაპობი ხისა. მთელ სიგ-  
რძეზეა ხე დაპობილი სოლებით,  
ის არის ბელეშები; პლახი და  
ბელეშები ერთია (ბორჯ.). ბელი-  
ში ხეზე აგდებული ნაჭერია, ბე-  
ლიშიდან თლიან სარქველს (ჩუ-  
მათ.). 2. ხის ნაჭერი კოჭის და-  
საგრძელებლად. კოჭს დააწყო-  
ბენ, ბელიშს დაუდებდენ, კოჭს  
რო დააკლდებოდა (ჩუმათ.).

**ბელტამ-ს** ბელტებით აგუ-  
ბებს, აკავებს (წყალს). დამდგარა  
და ბელტავს კიდე (ბრ.). უყურე,  
ჩვენსკენ როგორა ბელტავს!?  
(ტყვ.); აგრეთვე კარალ.

**ბელტეშა** დიდი, სქელი, ტლან-  
ქი. დიდი რამე რო იქნება, ან ღო-  
რი, ან ქათამი, საქონელსაც ეტყ-  
ვიან, რა ბელტეშა ხაარო (ჩუმათ.).  
იმისთანა ბელტეშა ბალიშები გა-  
ატანა მზითებში თამარამა თავის  
ეთერისა! (ჩუმათ.).

**ბენცხ-ი, ბენძლ-ი.** მეტისმე-  
ტად მსუქანი, მძიმე, მოშვებული  
(ჩვეულებრივ, ქალი). სქელი, დი-  
დი რო არი, მოტრიალებაც უჭირს  
იმასა, ისე საქმეცა, ბენცხი ადა-  
შიანიო (იგ.). კაი გოგოა მაყვა-  
ლაი, მაგრამა მეტისმეტათ ბენძ-  
ლია (მერ.); აგრეთვე ხც.

**ბენძლღებ-ა** მეტისმეტად  
სუქდება, სქელდება. რაც დრო

გადის, სისუქნე აკლდება კი არა,  
უფრო ბენძლდება (მერ.).

**ბერა** ზვინზე ზემოდან გარ-  
დიგარდმო დაწყობილი ძნები.  
ზვინის შესამაგრებლად ურემზე  
ძნას ჯერ სიგრძეზე აწყობდნენ,  
მერე სიგანეზე დააწყობდნენ ერთ  
პირს ძნებს და გადაუჭერდნენ  
თოქს ბოლოდან თავამდე; იმ  
ძნებს ვეძახდით ბერას, ბერა  
იჭერდა მაგრა (ზ. ხანდ.). ძნას  
რო ღვამდნენ, მაღლა გაულიდნენ  
ბერასა, უკანასკნელ ძნასა, ის  
არის ბერა (ზ. ხანდ.).

**ბერღებ-ა:** რამოდენა დღე  
ბერღება! რა დიდი, გაჭიანუ-  
რებული დღეა! აღარც კი მახ-  
სომს, როდის გათენდა, რამოდენა  
დღე ბერდება, დასწყელა, ფეხე-  
ბი დამაწყდა სიარულითა (ერედ.).

**ბერულა** იგივეა, რაც ბა-  
რულა. ბერულა ბავშვის გასა-  
ხვევია, პირსახოცივით არი, ერთ  
წვერზე ორი ზორტი აქ, რო შია-  
ხვემ, იმ ზორტეფს მოუჭერ  
(ტყვ.).

**ბერყაფულად 1.** უეცრად,  
მოულოდნელად. ეგე ბერყაფულად  
მიადგომია კარსა ი საცოდავ დე-  
დაკაცსა და წინაღამ ჭკუაზე შამ-  
ცდარა (წილკ.). რავი, იმას დი-  
ლაზე წასვლა არ უთქომ და აღ-  
ბათ ბერყაფულათ თუ მაიფიქრა  
წასვლაი (იგ.); აგრეთვე კავთ.,  
ქიწნ. 2. დაუფიქრებლად, წინდა-  
უხედავად. კაცი რო წამაისვრიდ  
რალაცასა, ისაც იტყვიდ, რო ეგე  
ბერყაფულათა ვთქვიო (წილკ.).

მივედი და ბერყაფულად დავდე-  
ქი, არც ბოლო ვიკითხე და არც  
თავი (კარალ.); აგრეთვე მეჯერ.

**ბერყინა** ყვეენი, შტერი. ბერ-  
ყენაა, კაცო, ბერყენაი; ამი ტო-  
ლები კვერცხში გამოსწივიან და  
ამან ჭკუა ვერ ისწაელა, არ ეშვე-  
ლა (ტყვ.).

**ბერწულა** 1. ბერწი. რო გა-  
ბერწდება ძროხა და მერმისამდინ  
აღარ მოიგეფს, იმას ვეტყვით,  
ბერწულა მყამს. და წველა არა  
მაქო (იგ.). 2. საფურე ხბო ან  
ზაქი წლიდან ორ წლამდე. ერთი  
ბერწულა ხბო რამ მეგდო, იმი  
შეტი ხუ არა მყვანდა რა და იმი-  
თვინაც გუშინ ბარი ღვერტყმით  
წელშია (წილკ.).

**ბეჟი**-ი ჯიუტი, კერპი, თავის-  
ნათქვამი. აი ეს გოგო გყავ ბეჟი,  
იმითანა თავინათქვამა არი, ერთ  
სიტყვას ვერ გააგონეფ შენსასა  
(ბროწლ.).

**ბეყე, ბეყეყა, ბეყენი**-ი უემ-  
მაკო, მიუხვედრელი; მოუხერხე-  
ბელი, დონდლო. ამითანა ბეყე  
ბაღლი მნახავი არა ვარ, ქაა! ხან  
ვინა ძეცმს, ხან ვინა (წილკ.).  
ბეყეყა, ვერა ხელამ, წინვე გი-  
დევს! (კარალ.). რა ცუდია ბეყენი  
კაცო, რამდენიც უნდა ელაპარაკო,  
ვერაფერს შეასმენ (კავთ.); აგ-  
რეთვე დ. თონ., ტყვ.

**ბეყმენდი**-ი გამოყრუებული,  
გამოჩერჩეტებული. ერთი ბეყ-  
მენდი დედაკაცია სახში და იმა-  
საც აღარ აჩერებს ეგ სიყმენა-  
მაბნელებელი, ეგა! (ტყვ.). ბეყ-

მენდი ძაღლია, მაგრამა მაინც  
დასანანი (კარალ.).

**ბეშტერა** შტერი, ყვეენი. ბე-  
შტერა — უტეინო და გამოჩერჩე-  
ტებული ადამიანი (დ. თონ.); აგ-  
რეთვე ხაშ.

**ბეშვი**-ი პწკალი, ფხა (ლობი-  
ოს, ცერცვის და მისთ. პარკისა).  
ბეწვი წითელ ლობიოსა და სარი  
ლობოს არა აქ, ცანაოს და მინ-  
დურის ლობიოს აქ (მჭად.). კუტი  
ლობიო მწვანეთ რო მოხარშო,  
არ ვარგა, ბეწვი აქ (კავთ.). **ბე-  
შვიანი**: სოფელში დაბერდი, ქა-  
ლო, ეს არ იცი, ე ბეწვიანი ლო-  
ბიო რამ მოგაკრეფინა? (კავთ.).  
**უბეშვი**: დასამტკრევათ უბე-  
წვო ლობიოა კარქი (ძიგ.).

**ბეშვიანი**: ერთი ბეწვიანი ბეწვიანა  
ერთი ბეწვა. ერთი ბეწვიანა ხანს  
უგლე ყური და ეხლავე მოვალ  
(ტყვ.). ერთი ბეწვიანა ბავშვი ჰყა-  
ამ (კარალ.). ერთი ბეწვიანა ხათრი  
არა გაქ ადამიანისა (კარალ.).

**ბეშვილი** 1. წყლის ჭია  
ერთგვარი. ბეწველა თმის ბეწვი-  
ვით არი, წყალში იცის; ზოგი  
შავია, მარტო თეთრი თავი აქ,  
ვერ შეატყოფ, რო ჭიაა (ალი).  
ბეწველაი წყალშიც არი, ხეშიც  
არი, თმასეფ არი გრძელი, დაგუ-  
ბებულ წყალში იცის (ხაშ.). ეგ-  
რე რო მიეწაფე წყალსა, ბეწველა  
არ ჩაყვეს (ალი). 2. იგივეა, რაც  
საბეწვი, საბეწური. გინ-  
და ბეწველა თქვი, გინდა საბეწუ-  
რი. ბეწველა აგერ მეც მქონდა  
ხელზე (ხაშ.). ბეწველა ავაღ-

მყოფობაა, ადამიანს თითს მოს-  
ჭამს (სამთ.); აგრეთვე ძეგ.

**ბმჭ-ი** 1. ქვეერის გაგანიერე-  
ბული ნაწილი ყელის ქვემოთ.  
ყურძენს რო ვწურამთ, აბა, ნახე,  
ბეჭზე ამოვიდაო? — ვიტყვიო.  
(ზ. ხანდ.). ტკბილი ბეჭზეა მოსუ-  
ლი (ზ. ხანდ.). 2. მდინარის კა-  
ლაპოტის განიერი ადგილი. ტივი  
ყოველთვის გვერიყებოდა ზოლმე  
ბეჭზე — თხლად გადადის წყალი  
(ზ. ხანდ.).

**ბზიკარაობა** აქეთ-იქით  
სირბილი (საქონლისა) ბუზანკა-  
ლის (ბზიკის...) კბენის გამო.  
ბზიკი რო დააჯდება საქონელსა,  
კულ კაიშვერენ და გარბიან, იმა-  
სა ქვიან ბზიკარაობა (ქემ.).

**ბზიკილა** იგივეა, რაც ა ბ უ-  
ზ ა რ ა. საქონელს რო დასცხება,  
აიშვერენ კულეფს, ბზიკილა შაუ-  
ჯდება (საგურ.). შუადლი გულ-  
ზედა, მაგრა რო ჩამოცხება, სა-  
ქონელი ძოვ თავითვინა, ბზიკი-  
ლა მიაჯდება (წილკ.).

**ბზირზე ღებას** მზად არის  
(საჩხუბრად, გასაქცევად...). წა-  
ღებაზე რო ბზირზე ღებხარ, აბა,  
მოტანა იყვეს? (კარალ.). ერთი  
სიტყვა რო გეთქვა, ბზირზე იღვა  
საჩხუბრათა (ტყე.). ბზირზე ღვა-  
ნან გასაპარათა (ქვეში); აგრეთვე  
ოდ., საკორ., წილკ.

**ბზრიალა** იგივეა, რაც ბ ო რ-  
ბ ა ლ ი. ბზრიალა ლობიოს ამო-  
სახელია, ისე ნაღბამს, როგორც  
ერბოი (ატ.).

**ბიაბანი**-ი უღაბური, უღრანი,

გაუკვალა. ბიაბანი ტყე — უღა-  
ბური, დაბურული ტყე; ნადირი  
თუ იქნება იქა, თორე ადამიანს  
იქ რა მიიყვანს!? (მეჯერ.). წი-  
ნათა ექა ისეთი ბიაბანი ტყე ყო-  
ფილა, რო სუ დათეებითა, მგლე-  
ბით იყო თურმე საესეი (მეჯერ.).

**ბიბო** ბიბილო. ზრინწიან ქა-  
თამსა უქაედება კუჭი, გაულურ-  
ჯდება ბიბო, ჯიჯლიბო (ოდ.).

**ბიბო** თეთრი, თეთრთმიანი  
ადამიანი. ბიბოა; წარბებიანად,  
წამწამებიანად სუ თეთრი რო არი  
(ჩუმათ.); აგრეთვე ზაშ.

**ბიგალო** პლის ჯიში ერთ-  
გვარი. თეთრი ბიგალო — თეთრი  
ბალია, შავი ბიგალო — შავი ბა-  
ლი (სამთ.).

**ბითუმი ქვა** დიდი ქვა, ლო-  
დი (დასამუშავებლად და მშენებ-  
ლობისათვის უყარვისი). ბითუმი  
ქვაი უბრალო ქვაა, საშენში არც  
კი იხმარება, გადასაყრელია (ატ.).

**ბილა** ჩილიკა, რიკი. რო  
გაჰკრავდა ბილასა, თვალს ვერ  
მიაწვდენდი, იმსიმორეზე გაის-  
როდა (ძეგ.); აგრეთვე ზაშ.

**ბიმბილი**-ი ყურძნის მარცვა-  
ლი (იკ.).

**ბინდურა** ქათმის სიბრმავე-  
ბინდურა — თვალები ავანტყოფო-  
ბაა, ზოლოთ დაბადებითვე და-  
დევს კაცსა; ვისაჲ ბინდურა ჭირს,  
შაბინდდება თუ არა, კარში ვე-  
ლარ გამუა, ველარას დაინახამს,  
ღღე კი ჩვეულობრივა ხეღამს  
(წილკ.). ღამე ვერ დაღია წყალზე-

და, ბინდურა აჭირს (წილკ); აგრეთვე ლამ.

**ბიძა** მამის ძმა. მამაჩემის ძმა ბიძაჩემია, დედის ძმას კი დედის ძმას უძახდით; მართალი ბიძა არი მამის ძმა (საგურ.); აგრეთვე ბიწმ.

**ბიძგ**-ი ბრკე. ქვეერი რო უცეფო ბიძგით გაიკეთეფს, ბიძგ ეტყვიან, წაუბიძგაო (ატ.).

**ბიწკიოტი**-ი ცუდად განვითარებული, წვრილი, უღონო (ჩვეულებრივ, მცენარე), წრიოკი. ე რა ბიწკიოტი სიმიინდი უდგას კატოსა, რა ღმერთი გაუწერა, ე წყალი სუ ძირეფში უდგას და ვეღარ გათოხნა, რო ესე არ გაწრიოკებულიყო? (იგ.). წრეულ ძიენ კაი სიმიინდი მიდგა, ერთი არ ურევია ბიწკიოტი (მეჯვრ.); აგრეთვე წილკ.

**ბიჭა სიმიინდი** უნაყოფო სიმიინდი. ბიჭა სიმიინდი უშეილო სიმიინდია, ტაროს რომელიც არ გაიკეთებს (დის.).

**ბიჭ-ბიჭა** ქალაბიჭა. ბიჭ-ბიჭასა ისეთ ქალს ეძახიან, რომელსაც ქალის საქმე სუ არ ეხერხება (ხანდ.). გოგო, როდემდის უნდა იყო ეგეთი ბიჭ-ბიჭა, პატარა ხო აღარა ხარ? (ხანდ.); აგრეთვე დ. თონ., თვალ.

**ბიჭღმეზ**-ა იჩაგრება, აღარ იზრდება (ცხოველი, მცენარე). ზამთარში რო მოივებს, იმასა ცოტა რძე აქ და ბატკანი ბიჭღება (ზ. ხანდ.).

**ბიხბიხობ**-ს ხმამაღლა, ბო-

ხი ხმით იცინის. ისა კიდევ თავისთვისა ბიხბიხოფს, ხორხოცოფს, იცინის ხმამაღლა (თამ.). ვანო რო ბიხბიხოფს, აქ ისმის (ხაშ.).

**ბლაბგ**-ი 1. ხის მსხვილი ფესვი. დაუსხი წყალი, ბლაგვები უჩანს ჭანჭურებსა (ვარ.). 2. ამონაყარი ხის ძირის გადანაჭერზე. გადანახილი ხე რო ფესვიდან ახალ ტოტეფს ამოიყრის, ბლაგვი ამოიტანაო, ვიტყვით (ვარ.).

**ბლადაბლუდ**-ი უაზრო, უთავბოლო ლაპარაკი. საცა შენი საქმე არ არი, ნუ იცი იქა უშნო ბლადაბლუდი (ტყვ.). მოჰყვება თავისებურათა ბლადაბლუდსა და არა ფიქროფს, რო სხვაჲც უნდა ილაპარაკოს (ტყვ.).

**ბლანტი**-ი მძიმე, ძნელი დასალევი. ტკბილი ღვინო ბლანტი დასალევია, რა მაქანაა უჭაჭო ღვინოი (ტყვ.); აგრეთვე ქვეში.

**ბლარწ**-ი, **კლარწ**-ი თხელი, არამტკიცე (ქსოვილი). როცა ორწვერი ან ცალწვერი ნართითა ქსოვენ რამესა, თხელი გამოდის, იტყვიან, ბლარწვი არიო; ეგეთ ბლარწვი რამესა არც ხეირიანი სითბო აქ და არც ლაზათი (კავთ.). ერთი ბლარწვი ჩითის კაბა უყიდა და ეგ არი! (ტყვ.). რა მააქ, სხვა რა ოხრობა მააქ? ერთი პლარწვი კაბა მაქ (ატ.); აგრეთვე კარ.

**ბლუა** შეუსმენელი, გაუგებელი (აღამიანი). რო არაფერი ესმის, იმაჲ ვუძახით ბლუასა (ვარ.).

**ბლუქუნე-ი, ბლაქაბლუქ-ი** უშნოდ, რყევით სიარული, ლაყუნი. ბლუქუნით სიარული ვინც იცის, ის არი ბლუქუნაი. აგრა, შეხედე, ის მოდის ბლუქუნითა (ქიწნ.). ბლაქაბლუქით რო მოდიოდი, აღარ გახსოვს? (კარალ.); აგრეთვე ტყვ.

**ბლუქუნა** ვინც უშნოდ, რყევით დადის, ლაყუნა. ბლაქაბლუქით რო დადის ვინმეი, იმაზე იტყვიან, ბლუქუნა არისო (ტყვ.). აბა, თუ გამაადგა ფეხი ამ ბლუქუნამა, ამანა! (ტყვ.).

**ბლუქუნა** უშნო, მოუხერხებელი, დონდლო. ისე მოუხერხავი როა, სიტყვის შნო არა აქს, რა გააკეთოს, არ იცის, ბლუქუნა ის არი (ერედ.).

**ბობიანე-ი** ნიკრისის ქარებით დაავადებული. რა ბობიანივით დადისარო, მძიმე-მძიმეთ რო დადის ადამიანი, უსიცოცხლოთა, იმას ვეტყვით (კავთ.). ბობიანია საწყალი, ფეხები სტკივა, იმიტომ დადის ვგრე (ბეგ.).

**ბობოლას მოიკიდებს** ქონებას შეიძენს, გამდიდრდება. ეგა რა ბობოლას მოიკიდებს, რას ეღირსება, თუ ვგრე გადაყვა სმასა (ხაშ.).

**ბობრა** მსუქანი, დიდთავა ძალდი, ბოთვერა (იხმარება ძალდის საკუთარ სახელადაც). ბობრა ძალდივით არი დასიებული (ტყვ.).

**ბობრია** იხ. ბ ა ბ რ ი ა.

**ბობირა** გაუთლელი, ხეპრე;

თაენება, ჯიუტი. ბოგირა — გაუთლელი, უზღელი, ახირებული, თაწვერა ადამიანი (დ. თონ.). ბოგირა, განა გაინძრევი, რო დაგსაქმებენ! (ტყვ.).

**ბოდუა** უშნო, დონდლო. ბოდუაა, არაფრის შნო არა აქ, აღარც გაულისა (ბეგ.).

**ბომრა** ერთვეარი მავნებელი მწერი. ბოერა პურს უჩდება, ჭიასეფ არი, რგვალი, ფრენამს (ქემ.).

**ბოიდალ-ი** 1. ლოთი, გარყვნილი კაცი. (დ. თონ.). 2. ტრახახა, ბაქია. ბოიდალ ადამიანსა ერთი ბეწო რამე რო ჰქონდეს, ან გააკეთოს, გაადიდეფს, გაბერამს და ქვეყანას შეყრის (კავთ.). 3. უპატრონო, ოხერ-ტიალი (კარმიდამო...). კარ-მიდამო ხო თქვენო ბოიდალია და სახლიც გინდათ? (კარალ.). **ბოიდალად** თავისუფლად, თავის ნებაზე, შეუზღუდავად. ბოიდალათ უნდოდა ევლო (კარალ.). გაუდე კარები და შემორეკე ეგ ქათმები, რო გაუშვი ბოიდალათა (ქვ. ჭ.).

**ბოინო** ბევრი (ჩვეულებრივ, ამბობენ ფრინველზე, წვრილფეხა საქონელზე). ბევრი ქათმებო რო აყავ დედაკაცსა და თელა არა აქ, ვიტყვი, რო ბოინო ქათმებო აყავო, საქონელზეც ითქმება, ბოინო საქონელიო, როცა ძაან ბევრია (წილკ.). ერთი ბოინო ჭუკეები დაჩეკინა და, ჩემ ჭირათა, სუ ჩემ კარებზე უნდა ეყარნენ ერთავათა (წილკ.).

**ბოკო** მომცდარი ნაყოფი ტყემლისა, ჭანჭურისა და მისთ., ბოყვი. ჭანჭურმა ძაან იცის ბოკოი — ძახინჯი ნაყოფია, კურკა არა აქს, მალე მწიფდება (ოდ.). ჭანჭური რო დამწიფდება, ბოკო დააცვივა, უსარგებლოა (ოდ.).

**ბოკოლა**, **ბოკოტა** მოკლე და მსხვილი რამ, კოტიტა. კაც რო ძაან მსუქანი ხელები ააქ და თითები მოკლე, იტყვიან, რა ბოკოლა თითები ააქო (წილკ.). ბოკოტა თითები ააქო, სხვილები და მოკლეი, ფეხებზეცა და ხელებზეცა (ატ.). კარქი, ლამაზი ქალი არი, ზოლოთა ბოკოტა თითები აქონია (იგ.). ბოკოტა ნემსი რო მამიტანე, ზო დანქელითა ეს ჩულქი! (ქიწნ.).

**ბოლავედებ-**ა სიმძიმისაგან დაბლა იწევს, ქანდება ურმის (ფიცრის...) ბოლო, ყირაედება. კიდეეაც ბოლავედებოდა მანქანაი, იმდენი შუშა მოგვიტანა (ატ.).

**ბოლო** ქვედატანი. ბლუზკა და ბოლო ისე მიყვარს და კი არა მაქ (ლამ.).

**ბოლოს** (პირს) **მოუშავ-**  
**რებს** (ტივის) (ტივის) ბოლოს გაუსწორებს, დაუპირისპირებს თავს. რამდენჯერ მარტოს მიტარებია ტივი, მებოლოე არა მყოლია; როცა დავინახავდი, რო კარგი წყალი იყო, ჯერ თავს გადაუყრიდი, მერე გავიქცეოდი და ბოლოს მოუშავრებდი (ზ. ხანდ.). თავს რო გადაუყრიდი, ბოლო რო არ მომეშავრებინა, მობრუნდე-

ბოდა და გარდიგარდმო წავილოდა ტივი (ზ. ხანდ.).

**ბორა-ბორა** ერთგვარი თამაშობა. ბორა-ბორასა ვთამაშობდით, ოთხი თვალახვეულია, ოთხი — თვალხილული; ერთი თვალხილული მიაწევს თითით ზურგზე ერთ თვალახვეულს და დაუძახებს: „ბორა-ბორა, ვის მიჰყავხარ?“ — უნდა გამოიციოს (ზ. ხანდ.).

**ბორბალ-**ი, **ბორბალა** ლობიოს ამოსაზველი ჯოხი, ბოლოში დატოტვილი. ბორბალი ლობიოს ამოსაზველათ იციან, გათლიან ჯოხსა, გაუკეთებენ თითებივითა და ბორბალა (საგურ.). ბორბალა ძიენ საადვილო არი ლობიოს ამოსაზველათა (გრაკ.); აგრეთვე კავთ.

**ბორბოტ-**ი უთავბოლოდ სიარული, ბორიალი (ბევრისა). როცა ბევრი ხალხი არიან სახში, მერე თუ მორბედებიც არიან, ირევიან, ეგრე ბევრი ხალხის არეულ სიარულს ბორბოტს ეტყვიან (კავთ.).

**ბორდოს-**ი მსუქანი და დუნე, მოშვებული. ჩვენებიანთ ნატოი ბორდოხი ბავშვია (ბეგ.).

**ბორიალ-**ი იგივეა, რაც ბორიაყი. უნდა დაგვესველებინა ზომე ცოცხი და ისე გადმოგვეწმინდა, ბორიალი არ ახსვლიყო (ოდ.); აგრეთვე ტყვ:

**ბორიაყ-**ი ჰაერში ავარდნილი მტვერი, ბლღვირი. ბორიაყი იგივე მტვერია (თამ.).

**ბოსელა** კენჭაობის ილეთი-მარცხენა ხელის გაყოლებით (იდაყვიდან ნეკამდე) გამწკრივე-ბული კენჭების აყვანა თითო-თითოდ ან ორ-ორისა ერთად (ძეგ.).

**ბოტორო** დიდი სიცხე, პაპანაქება. ძრიან დიდი სიცხე რო ჩამოღგება, გეგონება გახურებული თონეაო, ბოტორო ის არი. (ხანდ.). რა ბოტორო სიცხეა, რა ძრიან დაანთო! (ხანდ.).

**ბოლდარა, ბოლდარო** 1. უპატრონოდ მიგდებული, მოუვლელი, გაპარტახებული (კარ-მიდამო, სახლ-კარი...). უპატრონოთ რო გახდება მამული, ქვეყანა რო იქ დადის, მოუვლელი რუა, ის არი ბოლდარო, სანახიხო (ქვეში); აგრეთვე ტყე. 2. სახლი, სადაც დაუკითხავად შედიან; თავშესაყარი, თავშესაკრები. ნინანათ სახზე იცოდნენ, ბოლდაროა იმი სახლიო, იმითვინა, რო ბევრი ხალხი მიდიოდა და მოდიოდა (ატ.). ჩემი სახლი რა ბოლდარა გაიხადეს, რო გააქთ და გამოაქთ! (კავთ.); აგრეთვე მერ., ოძ. 3. ბუა, ბავშვის შესაშინებელი საფრთხობელა. ბავშვ ვაჩუმეფთ, მითამ ბოლდარო მოიდაო და შექჭამსო (ოძ.).

**ბოლდარაობა** მისვლა-მოსვლა, ხმაური, ყაყანი, აურზაური. სიტყვაზე, სახში მოიყარეს თავი ხალხმა, გააქთ და გამააქთ, ურევენ იქაობასა, მაგას ეტყვიან ბოლდარაობასა (კავთ.). მე მეგონა, გავერთობით, ბევრი ვიქნე-

ბით-მეთქი, მაგათ კი ბოლდარაობა დაიწყეს (კავთ.).

**ბოლზარო** იგივეა, რაც ბოლდარა (მნიშე. 2). ჩემი სახლი ბოლზაროა, ვისაც რა დროს უნდა, მაშინ მოვა (ქემ.); აგრეთვე ახალშ.

**ბოლოლა** 1. მსხვილი, მრგვალი (თვალები). ბოლოლა თვალები აქ მაგასა (ძეგ.). 2. მსუქანი, თავმსხვილი (ხარი). ბოლოლა ხარი — ლამაზი არი, დაბოლოლებული, ბუნწულა რო არი, კოხტა (ძეგ.).

**ბოლრა** მსუქანი, დიდთავა, ჩვეულებრივ, ძალლი. მსუქანი ძალლი რუა და დიდი თავი აქ, აწორეთ იმითანა ძალლსა აქვიან ბოლრა (წილკ.). თელი უბნი ძალები სუ დაჯენჯილები აყავ ჩვენ ბოლრასა (წილკ.); აგრეთვე ძეგ.

**ბოყვი** 1. ფიცრულ სახლში: ვერტიკალურად დაყენებული სქელი ფიცარი, რომელშიც ორივე მხრიდან კედლის ფიცრის თავები ჩასმული, აფრა. ხის სახს აქ ბოყვი, სიგრძეზე რო ფიცარი უყენია ფანჯრეფს შორის (ქემ.). ბოყვეფში ძელეფს ჩავაწყობდით, მერე ზეითაც გაუკეთებდით საგვერდეფსა და გადავხურამდით ყავარს ან წალანს (ბებნ.). 2. კრიჭა (წისქვილის ხვიმირის ძირში მიკრული პატარა ღარი მარცვლეულის სადენად). ხვიმირიდან ბოყვიში ჩადის მარცვალი და იფქვის (ხც.).



**ბოშედ** რბილად, ლმობიერად. შენა ძიენ ბოშეთ ექცევი შეი-  
ლევსა (მერ.).

**ბოძანძარ-**ი ქვაბის ჩამოსა-  
კიდი — ორი პატარა კაპებიანი  
ბოძი, რომელზედაც გადებულია  
ლატანი. დაეარჭობდით ორ პა-  
ლოსა, ზოლოთ ორკაპი უნდა ყო-  
ფილიყო, ზედ გადაედებდით  
ჯოხს და ქვაფს ისე დავიკიდე-  
დით; ეგრე გაკეთებულ ჯოხსა და  
პალოფს ვეძახდით ბოძანძარსა;  
შეუნთებდით ქვეიდან ცეცხლსა  
და საჭმელს ვაკეთებდით (კავთ.).

**ბოჭკო** ცა, ძირი ქუდისა.  
ქუდეფსა აქ ბოჭკოი, ნაბდი  
ქუდსაცა აქ, გალიბანდი ქუდსაცა,  
ი ცა რო აქ ნაჭრითა ამოკერე-  
ბული, ის არი ქუდის ბოჭკოი  
(ერთაწმ.).

**ბოხოსა** 1. დიდი, მსხვილი  
რამ. ისეთი სხვილი თუთა სდგმი-  
ათ სოხიანთა, რო, ბოხოსაი!  
(ტყე.). ბოხოსა კაკლები გადმამი-  
ყარა სხვენიდანა (კარალ.). ერთი  
უნდა მოგდო მაგ ბოხოსა თავში  
(ალი); აგრეთვე ძეგ. 2. ეტყვიან,  
ვისაც დიდი თავი აქვს. ბოხოსა,  
შე რალა გაჭყვიტიწეფს? (ტყე.).

**ბოჯიჯბ-**ი საყრდენი, საბრ-  
ჯენი. ბოჯიჯგი მისცა საქათმეს,  
რო არ წაქცეულიყო (ჩუმათ.).

**ბჟანტმ** თბილი, უგემური,  
ნადგომი წყალი. გამოყოწავს წყა-  
ლი მიწიდანა, მერე ნელანელა  
მოემატება, პატარა ჭაობივით  
კეთდება. ბჟანტე წყალი და-

სალევით არ ვარგა, არც მოსარ-  
წყავათა (კავთ.). იობაანთ ვენახის  
ბოლოზეა ბჟანტე წყალი (კავთ.).

**ბჟირდებ-**ა ძალიან სწრაფად  
ბრუნავს (თითისტარი). თითის-  
ტარი მძიმეთ არი ეხლა და განა  
ეხლაცა ბჟირდება (ატ.).

**ბჟო, ბჟუბ** გარეული მსხალი  
ერთგვარი. ბჟო გარეული მსხა-  
ლია, მწარეა ძალიანა, გვიან  
მწიფდება (ქემ.). ბჟუა — მსხალი  
არი, ტყეშია ზომე უფრო, ბაღეფ-  
შიცა აქეთ, ფაშარი მსხალია; რო  
დაყრიან, შეინახავენ, დაფაშრდე-  
ბა, დაყვითლდება, ლამაზია, წი-  
თელგვერდაი (ერედ.).

**ბჟუტა** ჭრაქი. კრუჭკას რო  
ეძახიან, ის არი ბჟუტა (ქვეში).  
რას შერება ე სინათლე, ეგვც  
ხო ბჟუტა არ არი, ხან ეენტება,  
ხან ჩაქრება (ქვეში).

**ბრაზამ-**ს ცეცხლავს, ხეთ-  
ქავს. ჩემი ქმარი ეხლაც იქ არი  
და ბრაზამს ღვინოსა (საგურ.).  
ლობიო ქვაფშია მანდა და ბრა-  
ზე! (ლამ.). **ბრაზმა:** ბრაზვა კი  
უნდათ და, ანაღვლე, საიდან მო-  
დის! (კარალ.).

**ბრაზიან-**ი 1. მეტად მჭრე-  
ლი, ბასრი (დანა). უი, ბრაზიანი  
დანაა, ხელს გაგიჭრის! (ძეგ.).  
2. ძალზე მსუსხავი (ჭინჭარი).  
ზოგი ისეთი ბრაზიანი ჭინჭარია,  
რო ხელს ვერ მიაკარებ (ძეგ.).

**ბრალაყრილ-**ი ვისაც ბრა-  
ლი არ მიუძღვის, უდანაშაულო.  
მე ბრალაყრილი ვარ შენთანაო,

ვეტყვიტ ზომე, როცა უღანაშაულო ვართ (ატ.). გეუბნევი, ასე მოიქეცი, შენ ჯანაბისკენ მიგაქვს თავი, კისერი რო მოიტეხო, მე ბრალაყრილი ვიქნები (ტყვ.).

**ბრალს აიყრის** პასუხისმგებლობას მოიხსნის, განზე გაღება. საქმე რო არი გასაკეთებელი, შენ რაც გინდა ქენიო, ბრალს აიყრის, სხვას დააკისრებს (ბროწლ.); აგრეთვე ძეგ.

**ბრაცუნა** 1. ვინც ბარბაცით, ძლივს დაღის. აი ჩვენი ზაქია ბრაცუნაი, დილას მოიგო და ძლივ დაბრაცუნებს (კარალ.). ბრაცუნა ბებერი სად არი, სადაც ეგ არ დაბრაცუნებს! (ტყვ.). 2. უაზროდ, უთავბოლოდ მოსიარულე. ბრაცუნაი: რა არი? უაზროთ რო დაღის, ახალგაზრდაც დაბრაცუნოფს და ბებერიცა (ხაშ.).

**ბრბო** ბული, აღმური. პატარა სახლი აქთ, ესე, ემოდენაი და სიცხის ბრბო ტრიალუფს სულა (საგურ.). ჩამაიდრუბლა და ბრბო დატრიალდა სიცხისა (საგურ.).

**ბრეთელა** 1. დიდთვალეება. ბრეთელა დიდთვალეებიანი ადამიანია (დ. თონ.). 2. ელამი. ელამს ბრეთელას ეტყვიან, დიდთვალეებას — ბრიალასა (ბროწლ.); აგრეთვე ძეგ. 3. მოგრეხილი, მობრეცილი. ბრეთელასა ან თვალეები აქ დაბრეცილი, ან თითონ არი მობრეცილი (ძეგ.).

**ბრემს ბააღმნს, ბაატანინემბს** უცბათ გაათავებს, ბოლოს

მოუღებს. რა ქალია ვერაი, ქვეყნი ლობიო ეყარა გასარჩევი, დაჰკრა სარი და ხელათ ბრე გააღინა (კავთ.). დაადგა ეს ბიჭი შეშასა დასაპობათა და ხელათ ბრე გაატანინა (მერ.).

**ბრიდა** მტკიცე ძაფი (ან წმინდა მავთული) თიხის მოსაჭრელად. თიხას ძაფით სჭრიდნენ წინათი და ეძახოდნენ ბრიდასა; კოჭის ძაფი იყო მაგარი, ეხლა მართულით, წმინდა მართულით ეჭრით (მეჯვრ.).

**ბრმა კვირტი (მარცხალი...)** გაუშლელი, გამოუსვლელი (კვირტი), გაულიეებელი (მარცხალი...). კაი კვირტი ზო წინ მოღის და მალე უნდა გადაიშალოს, ისა გვიან იშლება, ის ბრმა კვირტი (ატ.). — რაც ბრმა ალაო იყო, ცალკე გავაზმე. — როგორ გამაარჩიე მერე ბრმა და გამოსული? — ავჩენჩხე და რაც გამოსული იყო, სუ ერთმანეთზე იყო გადაბმული, ძირში ბრმა დარჩა (კარალ.).

**ბრმაყრუობა** ჩამორჩენილობა, უმეტრება, სიბნელე. როგორა, კაცო, ბრმაყრუობა ხუ არ არი, ყველამ იციე, რუ ეგ კაცი მაგ საქმეში ალალ-მართალია (წილკ.); აგრეთვე სურ., ხაშ.

**ბროღიალ**-ი უთავბოლოდ სიარული, ხეტიალი. დაიწყებდა ეგ ბროღიალსა უხეიროთა კოპერატიფუშია და იმითეინ დაუგვიანდა ამღენი ხანი (წილკ.). რათ იცი

უდრო-უდროთ ბროდიალი, დაღამ-  
დეს, მოდი შენ ცოლ-შვილში და  
იყაი (ტყვ.).

**ბუზნაობა** ბლლამუნი. დაიწ-  
ყეს კაცებმა შიგ შუა წყალშია  
ბუზნაობა და ბურგანაობა (მერ.).

**ბუზბრ-ი** ცხოველის, ფრინვე-  
ლის ტილი. ბუგრი პატარა თეთ-  
რი კბენარევით არი, რასაც კი  
გაუჩნდება და დაეხვევა, სუ იქე-  
ქებიან (კავთ.). ი ოხერმა ბუგრმა  
ერთხელა ვალოდიას კრუხი მოკ-  
ლა კრუხობაში (კავთ.). **ბუზბრი-**  
**ბანი:** ბუგრიანი — ტილიანი, ტილე-  
ბით საესე ადამიანი (დ.თონ.); აგ-  
რეთვე ალი, საგურ., ტყვ.

**ბუღნაპ-ს,** **ბუღნი-ს** ბუღო-  
ბრივად თესავს (ლობიოს, კარ-  
ტოფალს და მისთ.). ვენახში ლო-  
ბიოსა ბუღნამენ, სამ-სამ მარ-  
ცვალს ჩააგდებენ, დაბუღნა ჰქვია  
(ყანწ.). ლობიოსა ვბუღნით ხომე  
ჩვენა (დის.). **ნაბუღნი:** ლობიო.  
ისია აღაღანებული, რო იტყვი,  
გასაფხულის ნაბუღნიაო (ტყვ.);  
აგრეთვე კარალ., ქორ.

**ბუზხ-ი** ფუტკარი. ბუზის მოვ-  
ლა ადვილია, ხოლოთ ცოდნა  
უნდა, კაი თაფლი იცის აქა, ნა-  
ირ-ნაირი ხეხილი და ყვაილები  
არი (რუისი); აგრეთვე ვარ.

**ბუზხა** ვაზის საადრეო ჯიში;  
აქეს მომცრო, წერილი, შეემარ-  
ცვლიანი მტევანი. ვაზის ჯიში  
არის ბუზაი, ადრე მწიფდება,  
ტკბილია (ზ. ხანდ.). ისა ბუზა  
ყურძენია, შავია და თეთრი წვენი  
აქ (მეგ.).

**ბუზარა** იხ. ა ბ უ ზ ა რ ა .

**ბუზარაკვებ-**ა გამწარებით  
დარბის (ბუზანკალისაგან დაკბე-  
ნილი საქონელი). შდრ. ბუზარა.  
ბუზარა რო საქონელს უკბენს,  
საქონელი ბუზარაუდება. ვერ მიე-  
წევი მერე იმასა, ისე გარბის  
(ტყვ.).

**ბუზარაკვ-**ს იგივეა, რაც  
ბ უ ზ ა რ ა კ ვ ე ბ ა . ბუზარაობენ  
ძროხები, ვინ მიეწევა იმათა  
(დად.).

**ბუზბუზებ-**ს ირევა, მოძრა-  
ობს ბევრი. როცა ადამიანს უნდა,  
ღაშინ გასწყდება ხომე, როცა არ  
უნდა, მაშინ ბუზბუზებენ მანქა-  
ნები (იკ.). სტალინირში ისე ბუზ-  
ბუზებდენ მანქანები! (ტყვ.); აგ-  
რეთვე კარალ.

**ბუი-ს** გამწყრალია, იბუტება,  
ცხვირს უშვებს. ბუტიახეა ეა  
ნათქომი; რო გაიბუტება და ყვე-  
ლაა უბუზუნეფს, იმაზე იტყვიან,  
ბუისო (წილკ.). პატარძალი ტყუ-  
ოდაო, ისივ თითონ ბუოდაო, წო-  
რეთ ეგეა შენი საქმე. შენა ტყუი-  
ხარ და ისივ შენა ბუიხარ?  
(წილკ.).

**ბუილა** ეტყვიან მოფერებით  
ბავშვს, რომელსაც დიდი თავი  
აქვს. ბუილასა დიდთავიან ბავ-  
შვზე ვიტყვით მოფერებით —  
ბუილა, ბუილა, ბუილა — და თავზე  
უსვამენ ბავშვს ხელსა (ლამ.).

**ბუკნა** ულამაზო, შეუხედავი  
(ადამიანი). ჩვენ თალიკოსა ბუკ-  
ნას რო ვეძახით, ულამაზო არ  
არი, მაგრამა არც უიმისუა (კარ.).

**ბუნა** გაუგებელი, მიუხვედრელი, უბირი. ბუნა იმითანა კაც ვეტყვი, ვინცა გამოუსვლელია, არა იცია რა (წილკ.). ნამდვილი ბუნაა ი ჩვენებთან სიძე, იმი კარებ წინ ვიდექი და ერთი არ მი-თხრა, წამო შინ, დაღლილი იქ-ნებიო (წილკ.).

**ბუნბლ**-ი ფქვილის ჭია. ბუნ-გლი რო აუჩნდება ფქვილსა, ეგრე რო დაჰხელო, არ ეტყობა და ხელ რო დაარტყამ, ეგრე აფუვ-დება; შავი ჭია არი პურისაი (ოდ.).

**ბუჟღ**-ი 1. ქაფი. წყალი ქაფს რო იკეთეფს, ბუჟღი იმასა ჰქვია; ღვინოსაც რო აქ ქაფი, იმაზეც იტყვიან ბუჟღსა (ატ.). **ბუჟღი**-ანი: ლიმონათს რო აქ ქაფი, რა ბუჟღიანიო, აქა ეგრე იციან ხო-მე (ატ.). 2. ამობურცული, ხშირად ჩირქოვანი გამონაყარი კანზე. მუწუკივით არი და დაიბუჟდება, მიემატება და მიემატება, იმას ვე-ძახით ბუჟღსა (ბროწლ.).

**ბურბანაობა** ხუმრობით ჭი-დაობა, ბლადუნი. დავაწვენ თუ არა ამ მაიმუნეფსა, დაიწყებენ ლოგინში ბურგანაობასა, სუ და-ხეულიდა არის ამათანა ლოგინი (მერ.). დაიწყეს კაცებმა შიგ შუა წყალშია ბუბნაობა და ბურგა-ნაობა (მერ.).

**ბურღლა**: ერთი ბურღლა აღარა ჰქავეს ერთი ფრთაც კი აღარა ჰყავს (ქათამი...). ერთი ბურღლა აღარა მყამს, ისე დამი-ჰუზა ჭირმა ქათმები (ტყვ.).

იმის ბურღლა არ იყვეს, იმის ბურღლა არა ვნახო! დაიკარგოს! არ დამენახოს! შენი ბურღლა აღარა ვნახო აქა! (ტყვ.).

**ბურსო** აბრეშუმის ერთგვარი ქსოვილი; თხელია და ხმელი. ბურსო ძვირფასი აბრეშუმი იყო ხაბარდის დროს; ფერად-ფერადი იყო, ხოლოთა სადა; ვისაც უნ-დოდა, მოქარგამდა, როცა კაბას შეკერამდნენ; საბნის პირადაც ძა-ან ლამაზი იყო (კავთ.). პირის-ფერი ბურსოს კაბა მქონდა, რო გავივლიდი, სუ მიყურებდნენ, ისე მიხდებოდა (კავთ.).

**ბურცელა** წერილი გამონაყა-რი. ბურცელები როა თეთრთა-ვიანი, იმას დააყრის ხომე ტანზე (დის.).

**ბურძღალა** ბურძღლიანი, აბურძღნილი. ჯერ აგეჰავება ის ალაგი, ბურძღალა მატლმა ხაცა გიკმინა, მემრე დაგიწითლდება და ამოჯდება ხორცი ალაგ-ალაგა (წილკ.). ერთი ბურძღლა ხბო ჰყამთ და უკვირთ (ქვეში).

**ბუსიან**-ი 1. ავადმყოფი, სნე-ული. რო არ ვარგა და ვერაფერს აკეთეფს, როცა არ შეუძლია, და-იბუსება და დადის, საქონელიც ბუსიანია ეგეთი და ადამიანიცა (ბროწლ.). 2. საცოდავი, საწყა-ლი; უხეირო. ერთი ბუსიანი ხბო გდია და მაგითვინ ვერ მოგივ-ლიათ (ალი). ერთი ბუსიანი გო-ვო ჰყამს, იმას კი ჰგონია, მზეთ-უნახავი მიზის სახშიო (მერ.).

**ბუსნა** გაუგებელი, უეიცი ადამიანი. შე ბუსნავ, შენა, ზო ვითხარი, ტასუას არაფერი უთხრა-მეთქი! (ძეგ.); აგრეთვე იკ.

**ბუსტარა** მიუხვედრელი, შტერი, აბუეტი. რო ეტყვიან და ვერა ხვდება, რა ბუსტარა ხარო (ქემ.). ბუსტარა, შენ თუ მიხვიდოდი, განს გაიტანდი, რას ამოფ! (ტყვ.).

**ბუტუა** უშნო, დონდლო, მოუხერხებელი. ბუტუას ეტყვიან საწყალსა და უბედურ ბაეშუსა, არაფერი უნო რო არა აქ (ზერ.). აბა, რა უნდა გამიკეთოს ამ ბუტუამა (ზერ.).

**ბუტუტი**-ი დიდი, კოკისპირული წვიმა. რო წაშოვა ისეთი დიდი ავღარი, თითქო თელი ცა დაბლა ჩამოვიდაო, ეგეთ ავღარზე იტყვიან, ბუტუტი მოდისო (კავთ.). ნეტა სად უნდა წახვიდე, ვერა ნახე, კატაულაზე რა ბუტუტი მოდის!? (კავთ.).

**ბულდაჯანა** 1. მათხოვარი. რო დადიონენ ზომე მათხოვრები, იმათ ვეტყოდით ზომე ბულდაჯანასა (საგურ.). აგეო, ბულდაჯანა მოდისო და ჩაგვამს ტომარაშიო და წაგიყვანსო, ბაღლი რო იტირებდა, იმას ვეტყოდით ზომე (საგურ.). 2. დამონძილი, დაკონილი. ამდგარა და იმ ბულდაჯანა კაცს გააყოლია ეს მასწავლებელი ქალი (ბიწმ.); აგრეთვე საგურ. 3. ეტყვიან მსუქან გოგოს. ბულდაჯან, სად იყაი აქამდისა? (ტყვ.).

**ბულუტა** დაუკოდავი მოზვერი სამ წლამდე. სამ წლამდე ბულუტა ითქმის (ძეგ.). აგერა, ჩვენი ბულუტა მოდის (ძეგ.).

**ბუს-ი** შტერი, სულელი, ჩერჩეტი. რო დაუძახე და ვერ გაიგონეფს, ან ყურაგდებას არ მიაქცევს, იმას ეტყვიან ბუსა (იგ.). რახანია ვუძახი მაგ ბუსა, მაგასა, და ვერ გავაგონე (იგ.).

**ბუსი**-ი 1. თმის ბეწვი; საერთოდ, თმა. წადი ისე, არ ჩამიყარო ბუსები საჭმელშია! (მერ.). ნეტა ის ჩამაგდებინა ხელში, ერთი ბუსები გავაცალო! (ქემ.). 2. მეტიხმეტად წვრილი, განუეითარებული (მცენარეული). ხახვი, ე ვერანა, ისეთი ბუსები დგა, რო აღარ ეღირსება დასხვილებათ (კავთ.); აგრეთვე ტყვ.

**ბუსკა** იტყვიან ქალზე, რომელსაც თმა, ჩვეულებრივ, გაწეწილი აქვს. მაგ ბუსკას გამამცხვარი პური არც იჭმევა; მგონი, სუ თმებით იყოს სამხეი (მერ.). სუ ეგრე გაწეწილი დადის ეგ ბუსკა, ეგა! (მერ.).

**ბუსუწები** სცვივა იტყვიან, როცა ძალიან რცხვენიათ, ერიდებათ რისამე. ბუსუწებილა მცვიოდა სირცხვილითა, ეგ რო ელაპარაკებოდა, შემარცხვინა ამ თანგადასაყოლმა (ალი). ეხლა ბუსუწები მცვივა, მაგრამა რა უყო, ჩემთვინ რა მაქ, მაგათ რა მიუტანო? (ტყვ.).

**ბუჭუნტი** 1. ქობი. თელი

თავისი სიცოცხლე სუ აშენებდა და მაინც ბუჭუნტოში დატოვა ცოლ-შვილი (კავთ.). ერთი ბუჭუნტო სახლი უღვათ და იქ უნდა მიიყვანონ პატარძალი (ძეგ.). 2. მიწური საქონლის სადგომად. საქონლითვინ თუ გააკეთებენ მიწურსა, იმას ეძახიან ბუჭუნტოსა (იგ.).

**ბუსუა** 1. მსხვილი ფუტურო კუნძი. ხეს რო მოვშჭრით ტყეშია, დარჩება ძირი; ის ძირი რო დალკება, ბუხუა ის არი; ჩემ ქმარ მოქონდა ზომე ბუხუები მიენ სშირაათა (ატ.). ბუხუა დიდი ხეა; ცოტა რო მომპალია, მოჭრილია, ან შეიძლება სუ მომპალი იყვეს და იღგეს, მაინც ბუხუაა (საგურ.). 2. დიდი, მსხვილი. ბუხუა კაკალიაო; ადამიანზეც კი გვითქვია, რა ბუხუა ადამიანიაო, შეტადრე — ბავშუზე (ატ.).

**ბუსუნ**-ი ბუზღუნი, ჯაჯღანი. ცისომ იცის ბუხუნი, ერთი წესიერთათ არ გაქცემს ხმასა (მერ.). ნუ იცი უშნო ბუხუნი, სწორე პასუხი მიეცი ზომე ადამიანსა! (ტყვ.).

**ბუსუნებ**-ს ჯაჯღანებს, წყრება; ყვირის. რამე რო გაუფუჭდება ოჯახში, ცუდ გუნებაზე დაღება და მერე უკვე ყველაფერზე ბუხუნეფს (კავთ.). უბუსუნებს: რა დედამთილივით მიბუხუნეფ? (ტყვ.). ნეტა რა დაგემარ-

თა, დედაკაცო, რა ყველაფერზე უბუხუნეფ ე ბალღეფსა? (კავთ.). **უბუსუნებ**: დედაჩემი რო მებუხუნება, დედამთილი რო იყვეს, არ ვიცი, რას უზამ (ტყვ.). რა იყო, ქალო, რას მებუხუნები, თუ იქ გაგაბრაზეს, მე ზო არა დამიშავებია-რა! (მერ.); აგრეთვე ლამ, წილკ.

**ბუჯღა** სქელი, ხშირი (ქოჩორი...). აფსუს, ბიჭო, რა აქ მაგი დასაწუნი, როგორი ბუჯღა ქოჩორი აქ, მარტო მაგი ქოჩორი ღირს ერთ ქალათა! (წილკ.).

**ბლაპ**-ი თავგის მსგავსი ცხოველი ერთგვარი (ყანჩ.).

**ბლაპან**-ი 1. სულიერი (საქონელი, ფრინველი). ბლაპანი აღარ დატოვა სახში, ყველაფერი გაყიდა (ტყვ.). 2. სინსილა, სახსენებელი. ბლაპანი გაწყდა ხალხისაი, კარები გამოიკეტა (ქვ. ჭ.).

**ბლუნელა** მობღუნძული, მოკუნტული, მოღუნული. ბლუნელა ის არი, რო დაიკუზები, მუხლეფსაც მოხზრი, რო დაბლა დაიხაზო და ხელების მოშველებით გაიქცევი მოღუნული (წილკ.). ბლუნელა რო გარბოდა, მაშინ შავაწარ თვალი (წილკ.).

**ბლუნკ**-ი პატარა, დალეული. იმ ბლუნკ მიშასა ეგეთი გოგო ვინ მისცა? (ალი). ეს რა ბლუნკი პურები დაუცხვია? (ტყვ.); აგრეთვე ზერ.

3

**ბაბბელრანგებ**-ს გააფუჭებს, გააოხრებს. გაბბელრანგეს ბავშვებმა ლოგინი, ფეხით დადიან ზედა (კარალ.). ეს კაბაც რო გაიკარი და გააბბელრანგე, სხვაგან რო წახვალ, რა უნდა ჩაიცივა, შე ბებრანგო, შენა! (ქიწნ.). **ბაბბელრანგებ**მბა: ჩემი პალტო ძაან გაბბელრანგდა და არ ვიცი, რა ვქნა (კავთ.). რა უშნოდ გაბბელრანგდა ჩემი კაბაი; ორი კვირა არ არი, რაც ვიყიდე! (ძეგ.). **ბაბბელრანგებ**მბა: ტანისამოსი რო გახუნდება ძაანა, ფერ დააკარგამს და გაიხეხება, მაგაზე ვიტყვით გაბბელრანგებასა; (წილკ.). **ბაბბელრანგებ**მბა: რო დაძველდება ტანისამოსი, გახუნდება და გაუბედურდება სიძველითა, ეტყვიან, გაბბელრანგებული არისო (მეჯვრ.). ისეთი გაბბელრანგებული ტანისამოსი ეცვა, მუშაობი დროსა ი ინჯინერსა, სუ არ ეტყობოდა ნასწავლობაი (ერთაწმ.); აგრეთვე ატ., ზ. ხანდ., ტყე.

**ბაბბოლდარაპებ**-ს გააპარტახებს, გაავერანებს; ქვეყნის თავშესაყრად გახდის (მდრ. ბოლდარა). ნუ გაბბოლდარუე სახლი, ქვეყანა ნუ მოვიდის! (კარალ.). **ბაბბოლდარაპებ**ს: ისე გამიბოლდარავეს ვენახი, რომა თელი სოფლის გზა გახადეს (მერ.). **ბაბბოლდარაპებ**მბა: ბაღს რო ღობეს შემოაცლი, გაბბოლდარაუ-

დება, საქონელი დაიწყევს სიარულსა შიგა (ტყე.). **ბაბბოლდარაპებ**მბა: გაბბოლდარავეებული ააქ სახლი, ალია და მუსია მაგი სახში იყრის თავსა (ტყე.); აგრეთვე ატ., მერ., ქემ.

**ბაბბორელობ**-ს მტვერს, ჩელხს გააშორებს ლობიოს (პურს...). ლობიოს გადმოყრი ზევიდანა და ქარი წაიღეფს, რაც მტვერი იქნება ლობიოსი, გააბრელოვებ (ჩუმათ.).

**ბაბბენთებ**-ს ძალიან გაახურებს. ისე გაუგენტებია თონეი, რო ეხლა უნდა თუთქი მოაყაროს, რო პური ჩააკრას (ბროწლ.). **ბაბბენთებ**მბა: გაგენტებული ჰქონდა ფეჩი (ბროწლ.).

**ბაბბპირღებ**-ა გაანჩხლდება, გააელება. ვინმე რო მოუკვდება, გაავპირდება, მა რა იქნება!? (ბროწლ.). **ბაბბპირღებ**მბა: ზოგი ქალი არი ავი, გაავპირებული, რო სუ ილანძდება, სუ იწყევლება (ბროწლ.). აი, ეგე არი გაავპირებული ეგა (ქორ.); აგრეთვე ატ., ძეგ.

**ბაბბჭირღებ**-ა გამიზებდება, გართულდება (ავადმყოფობა). დაუსივდა თუ არა დედაჩემსა, ესა სიზმრის დამწვარია და გაავჭირებულაო (ძეგ.). **ბაბბჭირღებ**მბა: რო აღარ მორჩება და გამნელდება სატკივარი რამე, ის არი გაავჭირება (ქორ.).

**ბაათაჰნიერამბ-ს**<sup>1</sup> 1. სარგებლით გაასესხებს. ქალი თავი სათაენომ გაათაენიერეფს, გაასესხეფს სარგებლითა (წილკ.). 2. დახარჯავს, გამოლევს; მოსპობს. ფულსაც რო დახარჯამს და საქონელსაცა, ყველაზე იტყვიან, გაათაენიერაო (ოდ.). სუ გაათაენიერა წიწილები კრუხმა, აღარაფერი დარჩა ამ დასაწველსა (ძეგ.); აგრეთვე კარალ.

**ბაათაჰნიერამბ-ს**<sup>2</sup> გაათამამებს, გაანებიერებს. ძან გაათაენიერებენ ზოლმე ბეშვსა (ქემ.). **ბათაჰნიერამბული**: ეგრეა გაათაენიერებული მამისაგან, ველარაფერი გვითქვია (ქემ.).

**ბაბამამამბ-ს** გააკრიალებს, დაწმენდს. როგორც კი მაიყვანეა, მაშინვე თავი ხელი დაატყო, საცა კი რამ აქონდათ, სუყველა გააკამკამა (წილკ.). **ბამამამამბა**: გაკამკამება ის არი, რო კარქა გადრეცხამ, სუ ბზინვაჲ დაწყებინეფ (წილკ.). **ბამამამამბული**: ოჯახში რო შახვალ და სისუფთავე გეცემა თვალშია, იტყვი, რო გაკამკამებულიაო (წილკ.).

**ბამამამბული**-ს გააჯიუტებს, გააკერპებს, გააჯიქებს (შდრ. კემუტი). რამ გააკემუტა ესე, ვეხვეწებით, მოათრიე ვინმეო და გაკემუტდა, არავინ არ მოყვამს (ტყვ.). **ბამამამბული**: გაგზანი სადმესა და არ მიდის, გაკემუტდება (ატ.). **ბამამამბული**: აგრემც ეს დაემარხე, ერთ სიტყვას ველარ ვაგონეფ, ესე გაკე-

მუტებული ვისა გავ, ვისა? (ტყვ.); აგრეთვე კარალ., ძეგ.

**ბაბაკიჰიჰიჰი**-ს თხელ, წყალ-წყალა კერძს გააკეთებს. ვინ გააკიევივა ასე, არაფერი შიგ არ არი (ძეგ.).

**ბაბაკიჰიჰი**-ს იგივეა, რაც დააკოჰიტებს. გუნდეფს რო ამოვიდეთო ხინკლის ცომისასა, ჯერ გავაკოჰიტებთ, მერე კარქა ვავთხელეფთ (ოდ.).

**ბაბლაღლაჰი**-ს ზერელედ გარეცხავს; გაავლებს. ისე გაავლაღვა სარეცხი, ნაწეწი საპონი არ შეყოლია (კავთ.). გაარხიეთ, შვილო, გაალავლავეთ და ამოწურეთ მალე ბარემა! (ხც.); აგრეთვე ტყვ.

**ბაღელქიქი**-ს გააცივებს (კერძს, წყალს...). სანამ კარქა არ გაალელქიეფ საჭმელსა, მაგიდასთან არ მოხვალ (მერ.). **ბაღელქიქი**: რაკი გაღელქიქდება, მემრე გინდა ჭამეთ, გინდა არა, მე კი ველარ შეეჭამ და! (წილკ.). ეს წყალი სულ მთლიანად გაღელქიქებულა და როგორღა დავიბანო? (ტყვ.). **ბაღელქიქი**: ატყდა ჩხუბი, შუა პურიჭამიდან წამოვიშალენით, რო დავსხედით მეორეთ, გაღელქიქებულ კერპეფს პირი ველარ დავაკარეთ (მერ.); აგრეთვე ოდ., საგურ., საკორ., ქემ.

**ბაღლიჰლიჰი**-ს პირამდე გაავსებს (ჭურჭელს), გაალიციციებს. როგორ გაგილიჰლიჰებია, აღამიანო, წაღება აღარ უნდა?



(ტყვე) **ბაშლიპლიპებს:** გაუ-  
ლიპლიპა დილასა ჯამები რძითა  
და დაუდგა ორთაენებსა (ტყვე).  
**ბაშლიპლიპება:** იმათ თვალე-  
ში იყვეს, რა არი იმი გალიპლი-  
პებაი? (კარალ.). **ბაშლიპლიპე-**  
**ბაშლი:** ერთი გალიპლიპებული  
ჩაფი ჩაუტანა, მაწონი არ იყო,  
მაგრამა დო ხო იყო! (ტყვე); აგ-  
რეთვე ქვ. ჭ., ჩუმათ., ხაშ.

**ბაალოლიპება-ს, ბაალო-**  
**ლუაპება-ს** დაზელილ ცომს  
(თიხას...). გრძლად დაამრგვა-  
ლებს. დიდედ, სუ უნდა გაალოლია-  
ვო? (ერედ.). გუნდას მე ამოვი-  
ლებ და შენ გაალოლუავე თიხა  
(ტყვე). **ბაალოლუაპებული:** ეს  
როგორი გალოლუებულია, კოხ-  
ტათ ვერ გამოუყვანე ყუები?  
(ტყვე); აგრეთვე კარალ., სად.

**ბაალოლ-**ი კვამლის (აღის)  
სუნის მქონე (საჭმელი). აღზე  
რო მოხარშავენ საჭმელსა და  
აღის სუნი აქ ხოლმე, გააღუ-  
ლი ის არი (ატ.). საჭმელში რო  
ბოლი ჩავარდება, აღის გემო აქ,  
იტყვიან, გაალოლიაო (კავთ.); აგ-  
რეთვე ბროწლ.

**ბააპდეპება-ს** ძალიან გაახუ-  
რებს, გაავარვარებს (თონეს, ღუ-  
მელს...). რა, ბევრი ქქონდა ფიჩ-  
ხი, რო თონე გაგიმდეპება?  
(კავთ.). რა არი, რო ვგრე არ  
გაამდეპო თონე?! (ზ. ხანდ.). ბა-  
ცდეპდება: ძალიან რო გახურ-  
დება თონე, იტყვიან ხომე, რო გა-  
მდეპდაო (კავთ.). ოპო, პო, პო, არ  
გამდეპდა თონე! (ძეგ.)

**ბაამტპირება-ს** კარგად გა-  
ლეწავს. ისე გაველეწე, ისე გავე-  
ლეწე, სუ გავეამტყერე (ძეგ.).

**ბაამტპნარება-ს** მოკლავს,  
გათათეებს. შიგ გულში დაუკ-  
რავთ, შიგ გულში, იქვე გაუმ-  
ტყნარებიათ (ბროწლ.). **ბამტპ-**  
**ნარდება:** იქვე გამტყნარებულა,  
დაურტყამთ თუ არა (ბროწლ.).

**ბაამჩვილება-ს** ჩვილს ვახ-  
ლის (ცომს). გაამჩვილე, თორე  
პური დაიდრიჯება (ტყვე). **ბამ-**  
**ჩვილდება:** ისე გამჩვილებული-  
ყო, რო სუ წურო-წუროდ წავი-  
და (კარალ.). **ბამჩვილება:** მა-  
კარი რო მოგიზელაია, გამჩვილე-  
ბა დასჭირდება, ცოტა წყალი და-  
ჭკარი (ტყვე).

**ბაამწარაულება-ს** გააბინ-  
ძურებს, წაბილწავს. ახალ ჭურ-  
ჭელს იყიდის თუ არა, მაშინვე,  
გააწარაულებს, არაფრი ხმარება  
არ იცის სუფთათა (კავთ.). მოსუ-  
ლიყო ღორი და ჩაეყო დინგი მუ-  
რაბის ტაშტშია, რაღას ვიზამდი,  
ავიდე და გავეამწარაულები (ერედ.).  
ეს ვედრა გავეამწარაულებთ, თავვი  
ჩავარდნილიყო იმ დღესა (ტყვე);  
აგრეთვე ქვეში.

**ბაანაყიშება-ს** 1. გააჭიანუ-  
რებს (საქმეს). ისე გაანაყიშე ი  
საქმე, რო ბოლო ეს უნდა ყოფი-  
ლიყო (კავთ.). **ბანაყიშდება:**  
მინდა ბარემ მოვათაო, თორემ მე-  
რე განაყიშდება (ძეგ.). 2. დაანა-  
კლულებს, მოაკლებს. ღვინო მაქ  
გადასადები, სტუმრები რო მყვან-  
დნენ, მაშინ გავეანაყიშეთ ქვეერო-

(ძევ.). **ბანაყიშმება:** რო ისარჯება, რაც ვინდა იყვეს, განაყიშებას იტყვიან (ძევ.).

**ბაანაშლიანებ-**ს 1. დაანაკულულებს. საპოკიანი გავანაშლიანე მაგი გულითინა (კარ.). **ბანაშლიანება:** ამ ქილის განაშლიანება რა გავიხდა, ხელათში შეეჭამთ (კარ.). 2. წამოიწყებს და მიატოვებს (საქმეს). ეს საქმეც ესე გავანაშლიანე და არ ვიცი, რა ვქნა (ტყვ.).

**ბაანიადაბებ-**ს 1. გაფლანგავს, გაანიავებს, გაანანაგებს (ჭირნახულს, ქონებას, ფულს). მოსავალს რო გაანადგურებს, სუყველაფერს დაუხარჯავს, შეუჭამს და დატოვებს ცარიელსა, იმაზე იტყვიან, გაანიადაგო (ქვ. ჭ.). ისე გაანიადაგა ის იმოდენა ცხოვრებაი (არად.). მთელი ბალი გაანიადაგეს მაგათა (კარ.). **ბაშნიადბებ:** მოვიდა ი ბიჭი და დებს რაც ფული ქონდა, სუ გაუნიადაგა (ვარ.); აგრეთვე ძევ. 2. აიკლებს, ააოხრებს. გაანიადაგეს ამ ოხერმა ჭუკიებმა მთელი ბოსტანი (ტყვ.). 3. გალანძღავს, მიწასთან გაასწორებს. ისე გალანძღევს, რო სუ გაანიადაგეს! (ტყვ.).

**ბაპომებ-**ს 1. გააჯავრებს, გააბრაზებს. რა იყო, კაცო, რამ გაგაომა, რაც იყო, იყო, რაღას უშველი ჩხუბითა? (ტყვ.). **ბაპომდება:** საღამოზე კაცი მოვა, გაიგებს ამ ამბავსა და გაომდება (კარ.). **ბაპომება:** მარგალიტამ თვის ზოლმე გაომება (ქორ.).

**ბაპომებული:** რო გაბრაზდება და მაწუხარი გახდება, აწუხებს აღამიანსა, ის არის გაომებული საქონელი (ქორ.). 2. **ბაპომებული** გაჩქარებული, გაცხარებული. ჩვენი კამეჩი რო ჭამს, მაშინ უფრო ძიელ არის გაომებული ჭამითინა (ქორ.). გაომებული ვენახის კრეფაა, რა დროს ეგ არი?! (ტყვ.).

**ბაპილთუშებ-**ს იგივეა რაც გააპილპილებს. (მდრ. პილთუმი). აი, რო გაამსეს ჯამი, გაპილთუშა კერძითაო (ოდ.). **ბაპილთუშებ:** ისე გაუპილთუშა და გაატანა, რო! (ქვ. ჭ.). **ბაპილთუშება:** ესე გაპილთუშება რაღა იყო? (ძევ.). **ბაპილთუშებული:** რო გავამსებთ, გადმოვა, გაპილთუშებული არიო, ვიტყვიო (ქვ. ჭ.). აი, როგორი გაპილთუშებულიც მასესხე, ისეც ჩაგაბარე! (კავთ.).

**ბაპილპილებ-**ს, **ბაპიპინებ-**ს პირამდე გაავსებს, გაალიცილებს. სუ პირამდე რო გაამსებენ, რო ლამის გადმოვიდეს, იტყვიან, გაპიპინაო (იგ.). ეგრე რო გააპილპილე ქვეერი, დუღილი აღარ უნდა? (ტყვ.). როგორ გაგიპილპილებია ჯამი, როგორღა ჩავიყარო პური? (კარ.). **ბაპილპილებული,** **ბაპიპინებული:** გაპილპილებულ ბოჭკას რო ტომარას დაახურებდი, არ იცოდი, რო დასველდებოდა? (ტყვ.). მე სუ გაუვსე და გაპიპი-

ნებული გავატანე (იგ.); აგრეთვე წვ.

**ბაპაპირწერილება**-ს გაამტყუნებს, შეარცხვენს. ქალებთან ველარ გავაპირწერილე, რო ტყუილს ამობდა (ტყვ.). **ბაპირწერილება** ული: შეეპირდი, მოგიტან-მეთქი და გაპირწერილებული გამოვედი, ველარ მიუტანე (კარალ.).

**ბაარსემს**-ს გააელებს (სარეცხს). კარქა გაარხიე, მდინარეზე ჩაიტანე, საპონი არ შეგიყვეს სარეცხსა (ბრ.); აგრეთვე ხც.

**ბაარსელდებ**-ა წაიყინება (თოვლის ზედაპირი). წუხელ როგორ გაარხელებულა თოვლი (კავთ.). **ბაარსელდება**: თოვლს რო საღამოთი პირს წაუყინამს, გაარხელებას ეტყვიან (კავთ.).

**ბაასაიბ**-ს გარეცხავს; დაასუფთავებს. ამ ანიკოს გაუსაიბია თეთრი კაბა და მოვიდა სარკეში ჩასახედათ (ბიწმ.). **ბაასაიბ** ული: შიგნით-გარეთ გასაიბული აქ სახლი, ეზო (ბიწმ.).

**ბაასამაპისებ**-ს მოამზადებს, მოაწესრიგებს. არ შეგვიწელებია ტყეშალი მწვანელითა, მაგრამ ისე გავასამაგისეთ (ვარ.). ყველაფერი გაასამაგისე და ისე წადი! (ტყვ.). **ბაასამაპისება**: საქმის გასამაგისება მაგას ჩემგან არ ესწავლება, თითონ გაასამაგისებს (კარ.). **ბაასამაპისებ** ული: ვენახში სუ გასამაგისებუ-

ლი გაქვს ყველაფერი, შენმა მზემა! (კარ.); აგრეთვე ბრ., ქემ.

**ბაასასანატებ**-ს კარგად მოუვლის, გაანებიერებს. ბავშვზე ვიტყვი, რო არც არავის ააყვანინებ, რო არც მოაშიებ, არც შეაციებ, რო გაასასანატაო (ლამ.). **ბაასასანატებ** ული: რომელიც განებიერებული არი, გასასანატებული არიო (ბრ.).

**ბაასაძლისებ**-ს საშუალებას მისცემს გაძლოს, გააძლებინებს. ვარა ისეთია, კარქა გაგასაძლისებთ (ბროწლ.). ერთი-ორი კვირა კიდევ გავასაძლისებ ფეხსაცმელებს როგორმე (ძეგ.). **ბაასაძლისებ**: თქვენმა სტუმარმა ძიენ გაისაძლისა (ვარ.); აგრეთვე კავთ., ქვ. ჭ.

**ბაასისინებ**-ს ძალიან გაასუქებს. რამ გაგასისინა ვგრე, ქალო? (ქორ.). **ბაასისინდება**: ისე გასისინდა, რო ველარ ღადის (ქორ.). **ბაასისინება**: გასისინება გასუქებაა, პირუტყვზეც ამბობენ, ისე კიდევ მასხარაობით ადამიანზეც იტყვიან (ხც.). **ბაასისინება** ული: ისეთი იყო გასისინებული, რო ტყავში არ ეტეოდა სატკვირიაანთ სტუმარი (ქვეში). ღორივით არი გასისინებული, მაგისმა მზემა, მუშაობით მოსდის ძალია (ტყვ.); აგრეთვე კარალ., მეჯვრ., ქემ., ხც.

**ბაასრდებ**-ა გაბრაზდება, გაცეცხლდება. რამე რო დახვდება გაფუჭებული, ისე გაასრდება, რო რას აკეთეფს, თითონაც არ იცის

(კავთ.). **ბაასრებულნი:** ისე გაასრებულია ფეფოი, რო ცეცხლი ნაპერწყლებსა ყრის (იგ.).

**ბაატანტარაპეზ-**ს გაატიტკლებს. ხალხს გაატანტარაპეზებს ხოლმე და გამოგზავნიან ტიტვლეფსა (ატ.). **ბატანტარაპეზება:** მა რა ვქნა, ხო არ გავტანტარაპეზები? (დოესი).

**ბააუბარაქომა-**ს გაანიავეებს, გაფანტავს (ქონებას...). სუბუქი აღამიანი რო არი, იმაზე იტყვიან, აბუქა აღამიანი არი, ცხოვრება გააუბარაქოაო (იგ.). ძაან ბევრი გააქ შენმა გამოწყვეტამა და ესეც ესე გააუბარაქუე! (წილკ.). ასე როგორ გააუბარაქოა იმდენი ლობიოი? (ძეგ.).

**ბააუარუარაპეზ-**ს გაახმურებს, ქვეყანას მოსდებს. იმათ გაიგეს თუ არა, გააფარაფარავეს და მოადეს ქვეყანასა (ქვ. ჭ.).

**ბააუარჩაპეზ-**ს ყველას აჩვენებს (ტანსაცმელს, ქონებას). აბუქა კაცი რუ არი, იმან იცის, რო იყიდის რამასა, გამოიტანს, გააფარჩაპეზებს (წილკ.). რაჲ გამოგიტანია და გაგიფარჩაპეზებია ე კაბები!? (წილკ.).

**ბააქვაპეზ-**ს ქვას მოასორებს (დასამუშაებელ მიწას). შარშან გავაქვავეთ და კიდე რამდენი ქვა ამოდის (ბიწმ.). **ბაქვაპეზება:** გაქვავება უნდოდა, მაშ, იქნება ქვეშიდან არ ამოვიდეს ქვა (ბიწმ.). **ბაქვაპეზული:** თქვენი მამული გაქვავებულია და

იმიტომ აღარ ამოდის ქვა (ბიწმ.); აგრეთვე იკ.

**ბააქიაქეზ-**ს გაფანტავს, გაახნევს. ნაგავს გააქიაქებენ ქათმები (გარიყ.). ჭირნახულს სულ გააქიაქებენ (გარიყ.).

**ბააქშუილეზ-**ს გააჭენებს, გააქროლებს. შემოაჯდა ჩვენი ცეროღენა რაშსა და გააქშუილა (მერ.).

**ბააღაპეზ-**ს გაახნევს, გაფანტავს (მარცვლეულს, ნაგავს...). სუ გააღავეს სხვისა ქათმებმა პური (ერთაწმ.). ესღავ მათგვენიე, სანამ ქარმა არ გააღავა! (ატ.); აგრეთვე ტყვ.

**ბააღვანძილეზ-**ს ააყვავებს, გააღაღანებს; გაამრავლებს, გააძლიერებს. წვიმამ გააღანძილა სუყველაფერი (არად.). ღმერთო, შენ გააღვანძილე ი ქალი! (ერედ.). **ბაღვანძილეზება:** ლავარძალვა წელს ისე გაღვანძილდა, რო საცა ფეხ დაადგამ, ის არი (მერ.). აედარი მოვიდა და გაღანძილდა მოსავალი (ბროწლ.). ისე გაღვანძილდა ჩვენი სონაი შვილეფში და შვილიშვილეფში, რო შენი მოწონებული (მერ.). **ბაუღვანძილეზება:** შენ კი გაუღვანძილდი შენ დედასა! (მერ.). **ბაუღვანძილეზული:** ჰამიდვრო ჩითილი დამჭკნობიყო, წყალში ჩავაწყე და ნახე, როგორ არი გაღვანძილებული (მერ.). შენ კი გნახე გაღვანძილებული შენ წერილშვილში! (მერ.).

**ბააღვარძილეზ-**ს იგივეა,

რაც გააღვეანძილებს. ამ აუღრებმა ისე გააღვარძილა ჩემი ბოსტანი, ავ თვალს არ ენახებოდა (კავთ.). ბაშღვარძილებს: ღმერთო, შენ გამიღვარძილე ჩემი ოთხი ობოლი! (ძეგ.). ბაშღვარძილდება: შენ გაუღვარძილდი შენ პატრონსა! (ქვეში). ბაღვარძილებს: შენ არ გელირსოს გაღვარძილებია! (ქვეში); აგრეთვე ტყვე.

**ბააღნიოშებ-ს** 1. ფართოდ გააღებს (კარს, ფანჯარას). კარებდახურულში იწეკით? — მა ხო არ გააღნიოშებდი (ატ.). ფანჯარა გაუღნიოშებია და წასულა (ძეგ.). ბაღნიოშება: სულ იმას გეჩინებები, ნუ იცი კარების გაღნიოშებია (მერ.). ბაღნიოშებულნი: დასტომს ესე გაღნიოშებულ კარეფსა, წავა და გადაიქაჯება (მერ.); აგრეთვე არად., ტყვე. 2. ქვეყანას მოსდებს, გაახიხებს (ამბავს). წავიდა, გაიტანა და სუ გაუღნიოშებია ამბავი (ძეგ.).

**ბააღრიალებ-ს** ფართოდ გააღებს (კარს). რაა გააღრიალეფ ხომე ფეჩი კარეფსა, ბოლით გაიმსო სახლი (წილკ.). ბაღრიალება: ორთავ კარებებ რო გააღებს სახლისასა ყურამდინა, იმაჲ ვეტყვიოთ კარები გაღრიალებასა (წილკ.).

**ბააშრებულ-ი** იგივეა, რაც მოაშრებული. გააშრებულიაო, ძალიან რო არი გაავებული ადამიანი, იმაზე ვიტყვიოთ (ატ.).

**ბააშხმაკებ-ს** ფერს დაუკარგავს; გაამწვანებს. (შღრ. შხმაკი, მნიშე. 2.). რამ გააშხმაკა ქა, შე რა ცუდ თვალზე დაგინახამს, ხორბლისფერი გოგოა (მერ.) ჯერ სუ წვანე იყო და ამ წვანე კაბამ ვარესათ გააშხმაკა (მერ.).

**ბააჩანჩალებ-ს** გაანძრევს, შეანჯღრევს. გააჩანჩალებე ე საღვებელი, ნახე თუ გაღმოვარდება (ლამ.).

**ბააჩანჩხარებ-ს** გაანჯღრევს, გაარბევს (რაიმე ჭურჭელში, ცხრილში...). ბოთლში ნაცარს ჩაყვრიოთ, ქეიშას ჩაყვრიოთ, წყალს ჩავასხამთ და გააჩანჩხარეფთ, გაანჯღრევთ (ბროწლ.). ცხრილში ჩაყარე და გააჩანჩხარე (ძეგ.). ე ლობიოც გააჩანჩხარე და ჩაყარე (ტყვე.).

**ბააჩახჩახებ-ს** კარგად, სუფთად გარეცხავს. ჩაარბეინე წყაროზე მწვანილი და გააჩახჩახე (ქვეში); აგრეთვე ტყვე.

**ბაატალჯერებ-ს** დღეში ერთხელ მოწველის (მეწველ საქონელს). თითო ბეწოილა იწკენტებოდა და ავდექი და გავატალჯერე (წილკ.). ბატალჯერდება: ჩემი ძროხა გაცალჯერდა უკვე, ისე აღარ იწველება (ბროწლ.). ბატალჯერებულნი: კარქა აღარ იწველება ჩემი ძროხაი, გაცალჯერებულია (ბროწლ.).

**ბააძეძავეს-ს** გააოგნებს, თავგზას დაუკარგავს. გააძეძავეს საწყალი ქალი ბავშვებმა (ქვეში). გამაძეძავეს ამ ბავშვებმა კი-

თხვებითა (ახალშ.). საქმემ გააძე-  
დავა! (ძეგ.).

**ბააწიაწიბ**-ს აწეწავს, აბურ-  
დავს. ქარი რო გააწიაწებს გინდა  
ჩალასა, გინდა ბზესა, იმაზე იტ-  
ყვიან ზოლმე (ჩუმათ.).

**ბააწყნარებ**-ს ვაცლის, გა-  
აქრობს, გაწყვეტს. მელიამ იცის,  
თუ შემოეჩვია საქათმესა, სუ გა-  
აწყნარეფს (კავთ.). ერთი ყუთი  
მსხალი მქონდა, მიუგვნია იმ ხმა-  
გასაწყვეტსა და სუ გაუწყნარებია  
(ქვეში).

**ბააჭინა** თავისნათქვამი, ჯი-  
უტი, კერპი. ჩვენი თინა ძიენ გა-  
აჭენა არი, რაც თითონ უნდა, იმას  
აკეთეფს (მერ.). როცა გააჭენა  
ცოლი გეყოლება, იმასა ვერ გა-  
მასწორეფ (მერ.).

**ბააჭინებ**-ს შეასრულებს, გა-  
იყვანს (თავის ნათქვამს, სურ-  
ვილს). დედამთილი მეუბნებოდა,  
არ წახვიდო, მე კი ჩემი გავაჭე-  
ნე, მაინც წავედი (ქორ.). შენ თუ  
შენი არ გააჭენე, ისე როგორ  
მოგასვენეფს ღმერთი (ბიწმ.).

**ბაახაძებ**-ს, **ბაახანებ**-ს  
შეძლებს, მოახერხებს (რასმე).  
თან ვარჩევთ, თან ვედრით ჩვენ-  
ვე ვეზიდებით და რა უნდა გავა-  
ხანოთ ეგეთი მუშაობითა (წილკ.).  
ბარემა ვჩქაროფ, მაგრამა ველა-  
რასა ვხდები, მარტუამ რა უნდა  
გავახამო (წილკ.).

**ბაახელებ**-ს კარგად გაზრ-  
დის, გაახარებს (მცენარეს). ე  
ხვართქლა რაღამ გაახელა,  
ქაა, ველეჯამ და ისივ იმდენია!

(წილკ.). რამ გაახელა ის ოხერი-  
გოგრაი, ფოთლათ არი გამსკლარი!  
(ტყვ.). **ბახელდება**: ერთ წე-  
ლიწად გვეღვა სიმიინდი წმინდა  
გიორგი ბოლოზე და ეგე გახელ-  
და, რო სამ-ოთხ ტაროზე ნაკლე-  
ბი არც ერთ ძირ არა აქონდა  
(წილკ.). **ბახელებულნი**: ისეა  
გახელებული ის ოხერი ხახვი,  
რო აღარც ამოთხელება შველის  
და აღარცა (ტყვ.).

**ბაახუნხუნებ**-ს 1. კარგად  
დაბანს, გაღვრეჭს. გაავახუნხუნე  
ბავში და ჩავაწვინე (კავთ.). **ბა-  
ხუნხუნდება**: როდის წავიდეო  
საბანოთა, რო გავხუნხუნდეთ?  
(ძეგ.). **ბახუნხუნებულნი**: რა  
სჯობიან, გახუნხუნებული რო ჩა-  
წვები ლოგინში! (ტყვ.). 2. კარგად  
გააღვივებს, გააფუებს (ცომს); გა-  
ასუქებს, გაალამაზებს. გავაღვი-  
ვებთ ნაზუქის ცომსა, კარქა გავა-  
ხუნხუნეფთ (საკორ.). გაასუქა,  
გაახუნხუნა და მაიყვანა, მაშიდაც  
ეგეთი უნდა! (ტირძ.). **ბახუნ-  
ხუნდება**: ისე გახუნხუნებულა  
ცომი, რო! (ქვეში). **ბახუნხუნ-  
ებულნი**: ჰოდა, გახუნხუნებულნი  
რო იყო, ცომი მაან გაღვივებულა  
და იმიტომა ცვივა (ტყვ.).

**ბაბასასლებ**-ა ცულად გან-  
ვითარდება, დაიჩაგრება (ბალახი,  
სიმიინდი...). შღრ. ბასასი. სიმიინ-  
დი ეგე გაბასასებულა რო, ფურე-  
ჩათაც კი არ გამოდგება (წილკ.).

**ბაბასრულ**-ი გათხერილი,  
გასვრილი. გაბასრული — რო მო-

ისვრება რამე, ის არი (ზერ.). გა-  
ბასრული კაბა ეცვა (ზერ.).

**ბაბაღვამ-ს** 1. ერთიანად, და-  
უდევრად დაკრეფს, დაგლეჯს  
(მწვანის, ბალახს...). ისე გაუ-  
ბაღვამთ წუხელისა ხახვი ბოსტან-  
შია, რო ერთი კვალიც არ დაუ-  
ტოვიათ (მეჯვრ.). მეზობლი ბაღ-  
ლებზეა ისე გაუბაღვამთ ჩემი ვენა-  
ხი, რო ატამი მარცვალი არ დაუ-  
ყენებიათ (ერთაწმ.). **ბაბაღვამ:**  
გაგლეჯაი და გაბაღვაი ერთია,  
მაგრამა გაბაღვა ძიენ მეტია (ატ.).  
**ბაბაღვამი:** ვინ იყო დღესა  
ბოსტანში? ხახვი როგორ არი გა-  
ბაღვამი! (კარალ.); აგრეთვე კავთ.,  
ტყვ., წილკ. 2. **ბაბაღვამვს**  
დაიგლეჯს (თმას, წვერს...). ეს  
რა გიქნია, დედაშენმა რო ნა-  
ხოს, ხო სუ გაიბაღვამს ყველა-  
ფერსა (ალი). **ბაბაღვამვამ:**  
ეხლა ევა რო გაიგეფს, სუ გაი-  
ბაღვამა (ტყვ.).

**ბაბაჯიჯღვამულ-ი** გაბარ-  
დული (მცენარე). გაბაჯიჯღვამული  
ჯაგია, ალუბალივითა აქ, კურ-  
კიანია (ყანჩ.).

**ბაბაქლტავ-ს** 1. ბელტებით  
დააგუბებს, შეაკაეებს (წყალს).  
ისე გაებელტე, რო ნამი აღარ  
გადის (ტყვ.). **ბაბაქლტავ:** გა-  
ბელტევა კი სასწრაფოთ მოუხერ-  
ხებიათ (ტყვ.). **ბაბაქლტილი:**  
გაბელტილი იყო და გადაეშალე  
(ტყვ.); აგრეთვე ბრ., კარალ. 2.  
მაგრად გააძღვებს (საქონელს). რა-  
ღას მოძოვდა, გაგიბელტიათ  
ძროხა (ბრ.). **ბაბაქლტილი:**

ორი ჯამი ღო შეეჭამე და გემო-  
ზე ვარ გაბელტილი (ტყვ.); აგ-  
რეთვე კარალ.

**ბაბაქსტავ-ს** მაგრად სცემს,  
მიბერტყავს. დაგიჭიროთ კიდე  
ჩვენ ვენახში, ერთი მაგრა რო  
გაგბესტავთ, მერე ნახეთ! (კა-  
რალ.); აგრეთვე ტყვ., ქორ.

**ბაბაწკვამ-ა** კარგად გაი-  
ლწევა (პურეული). ძნა როცა  
გაბწველება, უნდა შაიხეეცოს და  
განიავდეს (კულბ.). როცა გა-  
ბწველებოდა, მაშინ ფიწლით გა-  
დააბრუნებდნენ (ძეგ.).

**ბაბიწკიოტღვამ-ა** ცუდად  
ჯანვითარდება, გაწვრილდება (მცე-  
ნარე). შდრ. ბიწკიოტი. რო არ  
იხარეფს კარქათა და გაიპარება,  
გაბიწკიოტღაო (ატ.). სიმინდი  
გაბიწკიოტებულა გაუთოხნაობი-  
თა (წილკ.). **ბაბიწკიოტამა:**  
როცა სქელია სიმინდი, მაშინ  
იცის გაბიწკიოტებაი (წილკ.).

**ბაბიძღვამ-ა** 1. ნაყოფს არ  
გაიკეთებს, უსარგებლოდ გაიზრ-  
დება (მცენარე). ნაყოფს რო არ  
გაიკეთებს, სიმინდია თუ ლობიოი,  
გაბიძღაო, ვიტყვიო (ბროწლ.).  
ჩვენი სიმინდი გაბიძღა, ერთი  
ტარო არ ამოიღო (ქორ.). **ბა-  
ბიძღამა:** სიმინდი, ლობიო რო  
გაფუჭდება, ცარიელია და არა  
აქვს ნაყოფი, ის არი გაბიძღებაი  
(ქორ.). **ბაბიძღამული:** ხახვზეც  
იტყვიან, თავს რო არ დაიხვევს,  
გაბიძღებულიაო, ბოლოკზეც იტ-  
ყვიან, თავს რო არ გაიკეთეფს  
(ატ.). თითო-ოროლა გამეერეუ

გაბიჭებული (ბროწლ.). 2. დაი-  
ჩაგრება, აღარ გაიზრდება (ცხო-  
ველი, მცენარე). სიმინდი თუ არ  
გათოხნე თავი დროზე, გაბიჭდება  
(ზ. ხანდ.). **გაბიჭება**: როგორც  
აღამიანი ღაინაკოს, ბატკანმაც  
იცის გაბიჭებაი (ზ. ხანდ.).

**გაბლისკნი**-ს 1. გაგლესს,  
გაგოზავს. ერთი გოდორი მქონდა,  
ავიღე და ერთი კარქათ გავბლის-  
კნე ნეხვითა (მერ.). 2. გაპოზავს  
(ჭუჭყით...). ტალახით გაბლის-  
კნიან იატაკსა (ტყვ.). **გაბლი**-  
**კნილი**: მაგის ბავშვები მის-  
დღემში გაბლისკნილები დადიან,  
ვის უნახია სუფთა? (კარალ.).

**გაბმულა** 1. ხეებზე (საწო-  
ლის თავებზე...) გაბმულ ორ თოკ-  
ზე გამართული საწოლი ჩვილი  
ბავშვისათვის. ჩააწვენენ გაბმულა-  
ში ბავშვსა და, როგორც გამაქ-  
ში, ისე იქნება (კავთ.). ბაღლ ჩა-  
აწვენენ გაბმულაში, რო ჰაერზე  
იყოს გრილათა და თან ირწეო-  
დეს კიდეცა (იგ.); აგრეთვე ტყვ.  
2. გრძლად გატანილი რქა ვაზი-  
სა, აკრული მეორე ვაზის სარზე.  
ვაზს თუ არ დავაკავეთ საკუთ-  
რივ თავისაზედა, მაშინა უნდა  
სხვაზე მივაბათ და გაბმულას ვე-  
ტყვიოთ იმასა (ერთაწმ.); აგრეთვე  
ატ., იგ.

**გაბობროქებულ**-ი სიცხი-  
საგან გაოგნებული, გათანგული.  
გაბობროქებული ვიწექი ლო-  
გინში და ერთი ჭიქა წყალი არ  
მამაწოდა (კარალ.). გაბობრო-  
ქებული ბავშვი საავანტყოფოში

მიწეა და ეგ აქ იწყევლებოდა!  
(ქიწნ.); აგრეთვე ტყვ.

**გაბოჯიჯღებულ**-ი ფეხგა-  
მაგრებული, გაბოტილი. ზოგი  
მოჭიდავე რო გაჩერდება, მაგრათ  
დადგება და ძერას ვერ უზამენ,  
გაბოჯიჯღებულიო (სამწ.).

**გაბრაულა** ჯიუტი, კერპი,  
თავისნათქვამი. გაბრაულა აღამი-  
ანი ის არი, მიდეგარო იქნება, ვე-  
რაფერს ვერ შეაგნებინებ (სასირ.).

**გაბროლვა** წენგოს გაცლა,  
გაკროლვა (კაკლისა). მაგარნაჭუ-  
ჭიან კაკალ რო ლენჯოჲ აცლიან,  
გაბროლვა ის არი (ახალმ.).

**გაბრწყილღებ**-ა გაისუსება,  
გაიტვრინება. „გაბრწყილღება“ ის  
არი, რო შეშინდება, გაისუსება,  
გაჩუმდება (თამ.).

**გაბურთამ**-ს მაგრად გააძ-  
ღებს (საქონელს...). ძაან გაგი-  
ბურთია შენი ძროხაი (ქვემი).  
**გაიბურთება**: სამ თუმან თუ  
წამოვიღებდი, კარქა გავიბურთე-  
ბოდი (თამ.). **გაბურთული**:  
იმითანა ბალახია მანდა, ჩვენი  
ზო გაბურთული არი სულა  
(ქემ.); აგრეთვე ვარ., ტყვ.

**გაბურღამ**-ს გააფუფებს,  
ააფუფულებს (მატყლს, ბუმ-  
ბულს... მზე). გარეთ გაიტანეთ  
ბალიში და ქარი, მზე გაბურღავს  
(ხაშ.). **გაიბურღება**: გაიტა-  
ნეთ მზეზე ბალიში და გაიბურღე-  
ბა (ხაშ.).

**გაბუტაყღებ**-ა ტანს აიყრის,  
გალაღდება (მცენარე...). ეგრე ნუ  
სხლამ, თორე გაბუტაყდება ძა-



ლიანა და აღარ დაისხამს (ბიწმ.).

**გაგანას ასხამს, გაგანე-  
ბა მოსდის** ძალიან უნდა რა-  
მე. ისე ძალიან მშობილა, სუ გა-  
განას მასხამდა (ქვ. ჭ.). რაც უნ-  
და ნახო, სუყველაზე გაგანება  
მოადის და ყველა როგორ უყი-  
ლო? (წილკ.); აგრეთვე კარალ,  
ტყე.

**გაგანებ-ს** ჩხუბობს, ქაქანებს.  
თელი ღლე გაგანეფს, გაგანეფს,  
ქაა, მაგი პირი არ დადგება, ან არ  
იღლება, ან არა ბეზრდება?  
(წილკ.); აგრეთვე ოძ., ქვ. ჭ., ძეგ.

**გაგანია სიცხე** დიდი სი-  
ცხე, პაპანაქება. დიდი სიცხე რო  
არი, გაგანია, სიცხე არიო, იტყვი-  
ან (ბროწლ.). ამ გაგანია სიცხეში  
რო არ წახვიდე, საღამომდინ ვერ  
მაიცდი? (ძეგ.).

**გაგანი გააქვს** 1. იგივეა,  
რაც გაგანებს. დაიწყეფს  
წყველასა, ლაპარაკსა და მთელი  
ღლე გააქ გაგანი მოუწყვეტილია  
(წილკ.). 2. ხმაურობს. გაგანი გა-  
აქ წისქვილსა, რას გაიგონეფ  
მაგი ხმაურში (ბროწლ.). 3. გიზ-  
გიზებს, გუგუნებს (ღუმელი...)  
ფეჩზე ვიტყვით, გაგანი გააქო, რო  
ძაან არი გახურებული (ატ.).

**გაგლარქამ-ს** კბილებით  
გაგლეჯს (უმ ან მაგარ ხორცს...)  
უმი ხორცი რო არი, რო გინდა  
კბილით მოაგლიჯო, გასწიე და  
გაგლარქეო, ვეტყვით (ატ.). **გაი-  
გლარქამბა:** უმი ხორცი რო  
შეგხვდება, გასწევ და გაიგლარ-

ქება, რო არ არი ხოლმე მოხარ-  
შული (ატ.).

**გაგონებ-ს** ერთიანად გაკ-  
რეფს (მკეახე ხილს). შდრ. გოხი  
რა არი, ეგ გორხალა მსხლეპი რო  
გაგიგონია? (ტყე.). სუ გაგონა და  
გაანადგურა იქაურობა (კავთ.).  
ბეგშეები გადასულან და მთელი  
ჭერამი გაუგონიათ (ძეგ.). **გა-  
გონებვა:** მკეახეს და მწიფეს რო  
ერთიანათ მოქრეფამ, ეგ გაგო-  
ხვია, ფოთლიანად რო გაანადგუ-  
რებენ, ეგეც გაგონვია (ტყე.).

**გადააახლებ-ს** ხაშს, პურის-  
ცომს წინასწარ გადაზელს, გა-  
ადიდებს. ამაღამ პურიცომს მოუ-  
ღლეფთ, გადავაახლეფთ და ხვალ  
გამოვაცხობთ (ქვ. ჭ.).

**გადააბანდუშებ-ს** ჯოხით  
მოჭიმავს წნელით (ჯაჭვით...) **შეკრულს** (შდრ. ბანდუში). გადა-  
აბანდუშაო, ქანჩი მოუჭირაო,  
ლურსმანივით გაუყრიან ნალოსა,  
მოქანჩული როა წნელითა (ატ.).

**გადაამჩვილებ-ს** იგივეა,  
რაც გაამჩვილებს. მაგარი  
ცომი რო მოუვა, გადაამჩვილებს  
და ისე გააღუებს (ბროწლ.). **გა-  
დაამჩვილება:** მაგარი მოუ-  
ვა, თბილ წყალს დაასხამს და  
ჩაიტანს თბილ წყალსა, ხელახლა  
დაზულამს. ცომსა, ეგ არი გადამ-  
ჩვილებაი (ბროწლ.); აგრეთვე  
ვარ.

**გადაამცჳრეპ-ს** გადააპ-  
კურებს, გადააფრქევეს (წყალს,

მარილს...). აი, ეგრე გადაამცქვრით წყალი! (ვარ.).

**ბადაანაბიჯებ**-ს ნაბიჯს გადადგამს, გადააბიჯებს. გადაანაბიჯე, რას უყურეფ, შეკრული ხო არა გაქ ფეხები? (კავთ.).

**ბადაანაკრულებ**-ს ხავსე ჭურჭელს გადააკლებს (სხვაში). ეს კალათი მეორეში გადაანაკრულე, ზოგს მე წამოვიღებ (ტყვ.). ცოტა გადაანაკრულე, რო იქცევა ეს ჯამი (კარ.).

**ბადაასილავებ**-ს 1. გადაასწორებს (ჭურჭელში პირამდე ჩაყრილ ხორბალს, ფქვილს...). მენახირეებს რო ჩანახით სიმინდს აურწყამთ, ცულის ტარით გადავასილავებთ ხომე (ტყვ.). **ბადაუსილავებს**: სილათ ვეძახით, პირ რო გადაუსილავებენ, სილით რო გადაასწორებენ (ბაზ.). **ბადასილავება**: რო ჩაყრიან ჭურჭელში და ხელის გულით გადაასწორებენ, გადასილავება არი (კავთ.). **ბადასილავებული**:

ინდე, როგორ გადასილავებული მომიტანა, თავმობმული კი წაიღო (იგ.); აგრეთვე ქვ. ჭ. 2. **ბადაუსილავება** სიმსუქნით ამოვესება გვერდები (საქონელს). რაც ქატოს ვაჭმევ, გადაუსილავედა ბეჭები ჩვენ ძროხასა (ძეგ.). **ბადასილავებული**: ისუა გასუქებული ჩვენი ცხენი, რო ბეჭები გადასილავებული აქ (ძეგ.).

**ბადააფარჩავებ**-ს გაამულავენებს, გაააშკარავენებს. რო გაამიტანს ოჯახის ამბავსა და

წერილად მოყვება ყველაფერსა, იმაზე იტყვიან, გადააფარჩავა თავი ოჯახის ამბავით (გრაკ.).

**ბადააფუილებ**-ს ერთიანად გამოჩეკს (კრუხი წიწილებს). ჩვენი კრუხი, რამდენ კვერცხსაც დაუწყობდით, ყველას გადააფუილებდა ხოლმე! (ზერ.); აგრეთვე ძეგ.

**ბადააფუფუნებ**-ს ერთიანად გამოჩეკს (კრუხი წიწილებს). კრუხმა გადააფუფუნა ერთნაირათა, არაფერი დააკლო (ძეგ.). **ბადააფუფუნდება**: კრუხსა კვერცხები შეუწყე და სუ თანაბრათ გადააფუფუნდა, სუ გადაიშალა (ზ. ხანდ.).

**ბადააქართულებ**-ს 1. სათქმელს შეცვლის, გადააკეთებს. ხელათ ვერ გადააქართულებს, თუ! (ტყვ.). შენ ნუ გადააქართულებს ხომე, რაცა თქვი, ის გაიმეორე! (კარ.). **ბადააქართულებს**: სოფიოს თავისი შვილისკენ გაუქანდა გული, მაგრამ მართამ მაშინვე გადაქართულა (კავთ.); აგრეთვე ძეგ. 2. **ბადააქართულებს** დაივიწყებს, გადაივიწყებს. მე რო სიტყვა დაგაბარე, რატომ გადაიქართულე? (ქორ.). **ბადააქართულდება**: რამდენი რამ ვიცოდი, მაგრამა გადააქართულდა, აღარა მახსოვს რა (კავთ.). გადააქართულდა მეცა და ვერ გითხარი, შვილო! (ზერ.). **ბადააქართულდება**: გული ბადააქართულდება დაივიწყდება. გული გადააქართულდა,

დამაეიწყდა, რა უნდა მეთქვაო (საკორ.). ბაღაქართულეზა: ყველაფრის გადაქართულეზა შეიძლება (კავთ.); აგრეთვე ვარ.

**ბაღააყომრალეზ-ს** თეთრ მატყელში შავს შეურეკს. დამაცა, ბიჭო, გადაეყომრალეზ და მოგიქსოვ (კარალ.). გადაეყომრალე, მაგრამ თეთრი სჭარბობს (ტყე.).

**ბაღააძოვებ-ს** ძოვებით გადაიყვანს. ასე პირდაპირ გადაძეუ ბაზში (ვარ.).

**ბაღაახინებ-ს** გადაახეფერებს, შეცვლის (სიტყვას). თავი დედა რო დაინახა, გადაახინახა სიტყვა, მაძიტაცესო (კარალ.). შენ თუ შენებურათ არ გადაახინახე სიტყვაი, სო მოკვლები კიდეცა! (ქვეში). **ბაღახინებ-ს**: ტარიელსა უყვარს სიტყვის გადახინახებაი, შენ ერთს ეუბნევი და ის მეორეს ამოფს (ტყე.). **ბაღახინებულეზი**: შენ რო ერთს ამოფ, სოსელას მეორენაით ესმის, სუ გადახინახებული პასუხი იცის (ტყე.); აგრეთვე ქვეში.

**ბაღააჯილაგებ-ს** გადააჯიშებს. უნდა გადააჯილაგო ჩემი ქათმები, თორე ძან წვნიკ კვერცხსა ძღებენ (წილკ.). **ბაღაჯილაგებ-ს**: გადააჯილაგა, რა ღმერთი შეეწია, რავი, თითო ბეწოღა იწკენტება (წილკ.).

**ბაღაბეზა** ამბობენ მეტისმეტად მაღალ ადამიანზე. ზოგი ისეთი მაღალი იზდება, რომა კარეფში ვერ შემოეტევა. ეგრე მა-

ღალ ადამიანსა გადაბეზას ეძახიან (კავთ.).

**ბაღაბოლაკებ-ა** 1. გადაყირაუდება. უსწორ-მასწორო ფიცარზე ჩამოჯდება და გადაბოლაუდება (ზერ.). 2. გადაწება, პირაღმა დაწება (დასასვენებლად). თქვენ რო დაძეხით და გადაბოლაუდით, ამას კი არ უნდა? (ზერ.).

**ბაღაბრუნებ-ა** 1. გამოიცვლება (მთვარე). რო გამოიცვლება მთვარე, იმაზე იტყვიან, მთვარე გადაბრუნდაო (საკურ.). 2. ამრატლება (მანონი სიცხისაგან ან ზედმეტი დედის მიცემით). რო ცხელა, გადაბრუნება მანონი (ქემ.). **ბაღაბრუნებ-ა**: გადაბრუნება იცის მანონმა, როცა ცხელ ალაგას დითხანსა დგას (კავთ.). **ბაღაბრუნებულეზი**: მე იმედი მაქ, რო ცხელ პურზე მანონი მაქ-მეთქი, გავხსენი და გადაბრუნებულეზი არ იყო?! (კავთ.). 3. **ბაღაბრუნებ-ა** პირს უტეხს. ჯერ მოძირიგდა, გიშველიო, ესლა კი გადაძირუნდა (კავთ.). **ბაღაბრუნებ-ა**: როცა მოძირებულეზი იქნებიან რამეზე და ერთი მეორეს უარს ეტყვის, გადაბრუნებას ეძახიან (კავთ.).

**ბაღაბლი-ს** გაატარებს, გალევს (ზამთარს, დღეს...). სუ ფეხშიშველამ გადაგალა თელი ზაფხული (წილკ.). **ბაღააბლი-ს**: ნეტა რითვინ მოვიკალ თავი და თელი ზამთარი უხორცოთ,

უსაცხებოთ გადავგაღე და გადავავლეინე ბაღებსაცა?! (წილკ.).

**ბაღაპროსამ-ს** 1. გოხებზე გადაატარებს (კაბლოს), გააფხვიერებს. კაბლოს გაატარეფს უფიხოსა, ზოხიალასა ახალ ნათესზე და გადასწორეფს, ამაზე ეტყვიან გადავგოხეო (ბროწლ.). 2. იგივეა, რაც გაგოხავს (მნიშვ. 1). გადაუგოხიათ ბაღი სულა (ბროწლ.).

**ბაღადღლურძამ-ს** ყლურწავს, გადახუხავს. ჩაფით რო მოიყუდეფს, როგორ გადაღლურძაო, ხარბათ რო შახერეტამს (მეჯვრ.). არ მინდა, არ მინდაო, უარობდა და კარქა გადაღლურძა (მეჯვრ.).

**ბაღაეკლეა**-ა გადაეყვლიფება, გადასტყავდება. წაქცეულიყო წივილანთ ბაღი რიყეზედა და ორთავე მუხლი გადაეკლიყო (ერთაწმ.). **ბაღაბლა**: რო წაიქცევა ადამიანი და მუხლი რო გადაეყვლიფება, იმას ეტყვიან გაღაგლასა (ერთაწმ.).

**ბაღაესამა**-ა გადაეკიდება, გადაემტერება. რას გადამესია ვგოჯახდაქცეული კოლა?! (დ. თონ.). **ბაღასამა**: გადასევა არი გადაკიდება, გადაემტერება ვინმესი (დ. თონ.); აგრეთვე ძეგ.

**ბაღაესხამა**-ა: შენი ფყალი ბაღაესხასს შენი ბედი ეწიოს (ეტყვიან იმას, ვინც კარგი ბედისად მიაჩნიათ). მამილოცნია ცოლიანობა, შენი წყალი გადავკვსხას (იკ.).

**ბაღაეფაფრამა**-ა დაეპატრო-

ნება, მიითვისებს (ქონებას). იორდანე რო მოკედება, ალბათ სიძე გედეეფაფრება იმი კარ-მიდამოსა (მერ.). **ბაღაეფაფრული**: ეხლა ღურმია ჩემ მამულებზე გადაეფაფრული და თვალზე მბარეცინეფს (მერ.); აგრეთვე ჩუმათ.

**ბაღაეძეძე**-ა გადასძერება (კანი). მზემ დამწვა და კანი გადამექერქა (ძეგ.). რა ვიცო, რა წამალი აჭამეს, გველივით გადაექერქა კანი (ტყვ.); აგრეთვე კარნოს.

**ბაღაეღეღე**-ა დაეჭეჭეება, დაეჟეჟება (იარაღს — პირი). რანაირი ჯიშის ქვა გინდა, იარაღით შეამოწმებ, პირი ან გადაეღეღება მაგარისაგან, ან მოატყდება (ძეგ.).

**ბაღაეღვეღვა**-ა ღვედი გამოეღება ფეხში (ხარს...). კაცო, მიდი ჩქარა, ხარს ფეხი გადაეღვედა (კავთ.). **ბაღაეღვეღვა**: ხარს რო ფეხი გადაეღვეღვა ღვედში, გადაღვეღვას ეძახიან (კავთ.).

**ბაღათანგლა**-ს ხარბად, სულმოუთქმელად შეჭამს (დალევს), გადასანსლავს. რო არ ამოისუნთქეფს და ისევე შესჭამს რასმე ან თუ დაიღვეს სასმელსა, — გადათანგლა ხელათაო (მეჯვრ.). დიდი მოღმული ჯამი ლობიო მოუტანე გეგენასა და ერთ წუთში არ გადათანგლა? (მეჯვრ.).

**ბაღათანთქლა**-ს ცხელცხელს შეჭამს, გადასანსლავს. თონეზევე გადასთანთქლეს ორი შოთი (ტყვ.).

**ბადაიზბარკლებ-**ა გადავარდება (ამბობენ აგდებით). გამო, ბალო, მანდიდანა, თორე, თუ გადაიზარკლე, გონი სულიც აღარ დაგვეყვება თანა! (წილკ.); აგრეთვე რუისი.

**ბადაიდანდლებ-**ა გადაიქცევა, გადაწევა. პავლიანთ ესტატიე კუნძზე გადაიდანდლაო, ისღა უნდოდა იმასა?! (ერთაწმ.). **ბადადანდვლა:** რო გადავარდება, ადამიანია თუ საქონელი, ზურგისკენა, რაღაზეც დეეცემა, ის არი გადადანდვლაი (ერთაწმ.).

**ბადაიზუზუმბ-**ა ძლიეს, ზანტად გადადის. აბა, რას აკეთეფ? გადაიზუზუბი და გაღმოიზუზუბი ბაღში (ღის.).

**ბადაითანგლებ-**ა მოკედება. რო მოკედება ადამიანი, გადაითანგლაო, აგდებით იტყვიან (იგ.). საწყალი ისე გადაითანგლა, უბედურათა (იგ.).

**ბადაითრანგლებ-**ა 1. მაღაყს გააკეთებს, ყირას გადავა. წინაწინ თრანგლაობა ვიცოდით ზოლმე; ვინც ბევრჯელ გაღითრანგლებოდა, მოგებული ის იყო (წილკ.). **ბადაითრანგვლა:** ეგე ყაიდაში იცოდა გადათრანგვლა, რო მაშინდელ ჯეელობაში ვერავინა აჯობნიდა (წილკ.). 2. წაიქცევა, გაიშლართება. გადაითრანგლაო, ვიტყვიო, როცა ფეხ წამოაჯრამს და გადაიქცევა (წილკ.).

**ბადაიკალთაშებ-**ს კალთას აიკეტავს და ჩაიმაგრებს ქამარში. ჩოხის კალთას ავიწვედით და ქა-

მარში გადავიკალთავედით, იმას ეტყვიან, აიკვალთაო (იგ.).

**ბადაიპუჭებ-**ა გადაიხსნება, გადაიშლება (ყვაილი, ლობიოს, სიმინდის მარცვალი; ჭრილობა). წუხელ თონეში ჩავდგი ლობიოი და სუ გადაიპუჭულა, ისე ლამაათ მოხარშულა (კავთ.). ჯერ ფირუზი არი ცოცხობაი, მერე თეთრათ გადაიპუჭება, გადაიშლება (ერედ.). **ბადაიპუჭებ:** ხელბ გაეჭრა და ისეთნაირად გადაიპუჭა, ძვალი სუ გამოუნდა (კავთ.). **ბადაიპუჭული:** ნაკაპ ჩამოეცხე ფეხი და ბლლაპანი არ შეიტანა ი ვერანამა, ისე მააქ ფეხი გადაიპუჭული რო! (ტყვ.); აგრეთვე კარალ.

**ბადაიპარკლებ-**ა მოკედება (ამბობენ აგდებით). სისხლი მიწები იმიტომა ჰქვიან, რო იქა მოურავი გადაქარქლულა (ბროწლ.). პაპაშენი, ძმაო, შენ ამბავს რო გაიგებს, გადაიქარქლება (ბროწლ.).

**ბადაიპუხებ-**ს 1. ამოწყდება, მოისპობა. სუ გადაიქუხეს, აღარავინ არიან (ღის.). უცოლ-შვილოდ გადაიქუხა (ღის.). რა უცბათ გადაიქუხა ამოდენა ხალხმა! (ძეგ.). 2. გადაიკარგება, გადაიმალება. სად გადაიქუხა ნეტავი ი ბიჭმა? (კავთ.).

**ბადაიყაშრებ-**ა გადაიწევა, გადაიხრება. რო ეცლება ბოძი გინდა საქათმესა, გინდა ბოსელსა, გადაიყაფრება (ჩუმათ.). **ბადაიყაშრული:** სახლის კუთხე

რო გადაყაფრულია, რო ინგრევა სახლი, გადაწეულია (ჩემათ).

**ბადაიყმინდება-**ა შიმშილით მისუსტდება; გამოთაყვანდება; ვამოშტერდება. გადაიყმინდა, რო პური აღარა ჭამა, ჯერი გაუცდა, აღარაფერი უნდა, მოთენთილია, მოღუნებული (ქვეში). **ბადა-ყმინდელი:** ე ტლაპოჲ ბიჭი რო-გორია; გადაყმინდილია, არაფერი იმას არ გაეგება, ვერც ვერაფერ ათქმევენებ, ვერა აკოთხამ (ქვ. ჭ.); აგრეთვე ტყვ.

**ბადაიშანთება-** ბევრს წაისვამს სახეზე ფერს (ქალი). შენამც გამოკლებულხარ, გადაიშანთა და მაშკარეთივით არ გამოვიდა?! (ბროწლ.). **ბადაშანთული:** რო წაისმევეს ძალიანა, პუდრია, ფერია, რაც არი, გადაშანთული ის არი (ბროწლ.).

**ბადაიწირება-** დასუსტდება, გადალასლასდება (შიმშილით). შუადღე მოვიდა და ნაწილი არ მინახავს, გადავიწირები, მა რა ეშმაკი მომივა (ბროწლ.). **ბადა-წირული:** ჩემი ქალი სუ იმას მებუზღუნება, ყველაფერ ასწრეფ და რაღა ჭამას ვერ ასწრეფ, რო გადაწირული დადიხარ ხომეო (ბროწლ.); აგრეთვე ძეგ, წილკ.

**ბადაიხლარცება-** გადავარდება საიდანმე; გადაიკარგება. რო გადავარდება საიდანმე მაღლიდანა, იმას ეტყვიან, გადაიხლარცაო (ბროწლ.). **ბადახლარცება:** სად

წაიღეფ ხოლმე ი ნემსსა, რათ გიყვარს მოუსავალში გადახლარცვაი! (ტყვ.); აგრეთვე კარალ.

**ბადაკაბდოებულ-**ი კაბდოთი მოსწორებული, გაფხვიერებული (ნათესი). კაბდოს რო გადაატარებენ, გადაასწორებენ მიწასა, ნათესსა, იტყვიან, ის ზაკვეთი გადაკაბდოებულია უკვეო (საკორ.).

**ბადაკვეთილ-**ი გადაწყვეტილი, დადგენილი. ეკლესიის შეწირული მამული იყო. იქიდან რაც გადაკვეთილი იყო, გადაწყვეტილი, იმას იღებდნენ ღვდლები (დის.).

**ბადაკირულ-**ი დატკეპნილი (გზა...). ავღარი რო მოვა ძანანა და შერე გაშრება, სუ ლამაზათ გაიტკეპნება გზები, იმას ეტყვიან, გადაკირული გზებიო (იგ.).

**ბადაკორიკაპდება-** გადაბრუნდება, გადატრიალდება. ფიცარი გადაკორიკაედება და დაგეცემა (ტყვ.). **ბადაუკორიკაპდება:** ფეხი გადამიკორიკაედა და დავეცი (კარალ.). **ბადაკორიკაპებული:** კიდობანი რო გადაკორიკაეებული დგაა, მაწონი მა არ ჩაიქცეოდა? (კარალ.).

**ბადაკრუხდება-** აღმოცენების უნარს დაკარგავს, დათესვის დრო გაუვა (ლობიოს...). ლობიო აკრუხდება და გადაკრუხდება ისევა. როცა კრუხამს, მაშინ სხვა გემოვნება აქ (ატ.).

**ბადალუფსება-**ს მიმაღავს, გადაკარგავს. სად გადალუფსამ

ხოლმე ი ოხერა წალდსა?! (კარალ.). **ბადანილუშხნება:** საღ გადაილუფხნენ ის ბავშვები? (ტყვ.).

**ბადანდობილ-**ი გამოყრუებული, გამოჩერჩეტებული. რო არც იქით არი ადამიანი, არც აქეთა, გამოშტერებული არი, იმაზე იტყვიან გადანდობილიაო (ქვ. ჭ.).

**ბადანუპრავ-**ს გადაადნობს (ქონს...). რო გადანუკრაჲ ქონსა, ჩაასხამ ქილაში (ჩუმათ.). **ბადანუპრულ:** კარაქს რო გადანუკრამ, ერბოსა, გადანუკრულია ისა (ჩუმათ.).

**ბადაპარმსღებ-**ა ძლიერ მოხუცდება, დაჩაჩანაკდება (შდრ. პარეხი). უშვილძიროთ გადაპარეხება ეგ უბედური, რო მოკვდეს, გამპატიოსნებელიც კი არავინა ჰყამს (მერ.). **ბადაპარმსება:** სიკვდილი ვიდას აცდის გადაპარეხებასა, ახალგაზრდობაშივე იხოცებიან (მერ.). **ბადაპარმსებულ:** სოლომონმა რო შამიყვანა, იმი დიდელა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ძიენ იყო გადაპარეხებული (მერ.).

**ბადაპარჭიკღებ-**ა მოკვდება (იტყვიან აგდებით). გადაპარჭიკდაო, ისეთზე იტყვიან, რომელიც არ დაენანებათ (ფლ.). ეს წიწილაც თუ გადაპარჭიკდა, მერე ნახეთ (კოდ.). **ბადაპარჭიკება:** სუბუქი კაცი რო მოკვდება, იმაზე იტყვიან გადაპარჭიკებასა (კოდ.). **ბადაპარჭიკებულ:** სანამ ჩავედით, გადაპარჭი-

კებული დაგვხვდა (ფლ.); აგრეთვე ტყვ.

**ბადაპურღებ-**ა გადაჯიშდება (პურეული). მერე და მერე აღარ მოდის ისე კარქი, პურიცა, სიმინდიცა, იტყვიან, გადაპურდაო, გადაჯიშდაო (არად.). დიკა რო ესლა, საფხულში, დავთესოთ, გადაპურღება (კულბ.).

**ბადარიახსებულ-**ი ჭკუაარეული, უაზრო, აბდაუბდა (ლაპარაკი). რაფი, ძალიან არი დაშავებული, გადარიახებული ლაპარაკობსო (ბროწლ.). იმასა ერთი სიტყვა არ უთქვამ გადარიახებული (თამ.).

**ბადაროშ!** ქათმის გასაფრთხობი შეძახილი (აქედან იქით). გადაროქშ, შე გასაციებელო, შენა! (ტყვ.).

**ბადასანთლულ-**ი ფერდაკარგული, გადაყვითლებული. ნააუადმყოფარი ადამიანი გადასანთლულია (კარალ.). გადასანთლული რო დადიხარ, ვეღარა ჭამე? (კარალ.).

**ბადასიხსიხებულ-**ი დასუსტებული, დაუძლურებული (ავადმყოფობისაგან). საცოდავათ გადასიხსიხებული იწუა ლოგინზე, ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდა (მერ.). გადასიხსიხებული დადის, იმას რა ოჯახის წელი აქს! (ტყვ.); აგრეთვე კარ.

**ბადასხვავღებ-**ა 1. გადასახლდება, გადაიხვეწება. ერთი ორმოცი კომლი ოსი გადასხვაველა, ორჯონიკიძეში წავიდნენ

(დის.). 2. მოკვდება. სამუდამოთ წასულია, გადასხვავდა სანყალი! (დის.).

**ბადაუსურაპიმბ-ს** 1. პურის ხვავიდან გადაგვის (ბზეს). ერთი რომ ანიაეებს, მეორემ უნდა ბზე გადაუსურაოს, რომ არ შეერიოს პურში (კავთ.). **ბადასურაპიმბა:** გადასურაეებასა ვშველოდი, ნაწმენდი მამეცით-მეთქი (ძეგ.). 2. მარცვლეულით (ფქვილით) სავსე ჭურჭელს ხელით გადაასწორებს. რო ჩაგვიყრია ჩანახში პური, აგვირწყია, მიგვიცია ძროხის სამწყეხური, გადაუსურაეო, გვიოთქვამს (ძეგ.); აგრეთვე ჩუმით.

**ბადაუშენი-ს, ბადაუშენი-ს** ნაპირს გაუკეთებს (ნაქსოვს, დაწნულს), გადაქობავს. გოდორს რო დასწნამენ, გადაუქნევენ (ქორ.). რო მოქსოვ წინდასა, თავი უნდა გადაუქნა (ძეგ.).

**ბადაუჭირ-ს** ერთი მოყუდებით დაღევს, გადაკერავს. სამი ჭიქა არაყიც გადაუჭირე და... (მელვრ.). ორი ჭიქა აქ გადაუჭირე (ქვეში).

**ბადაუსნოზაპ-ს** გადაკერეჭს, გადაპარსავს (თმას). გათბე ცოტა ჯერა, დავადეფ მაკრატელსა ორთავ ბაღღეფსა და გადაეფხოზავ (წილკ.). **ბადაიუსნოზაპს:** ამ ზაფხულ თუ არ გადავიფხოზე თმები, სუ გამცვივა ერთიანათა (წილკ.). **ბადაუსნოზაპა:** გადაეფხოზა იმასა აქვიან, რო სუ მთლიანათ გადააკერეჭამ თავსა, რო ერთ ბენვს აღარ შაარჩენ (წილკ.).

**ბადაქაჯამ-ს** 1. გადამალავს. სად გადაქაჯა იმ ბებერმა, იმანა, მაკრატელი! (ტყვ.). **ბადაიქაჯამბა:** რო იტყვის, ეხლა კი ვენახში მიკრამენ თავსაო, ისეთ ადგილზე გადაიქაჯება, რო ეშმაკი ვერ იპოვნის (მერ.). **ბადაიქაჯამბა:** ეგ ერთი ვედრა მაქ, სადღაც გადაიქაჯა, მერე, ვნახოთ და, მიწობლი ხელში ვიცანი (მერ.). **ბადაქაჯაშული:** ნემსი შენი გადაიქაჯული იქნება! (მერ.). 2. გადაკარგავს, გადახვეწს. აი, ამისი ქმარიცა და ჩემი შვილიცა სადღაც გადაიქაჯეს (ქორ.). **ბადაუშაჯაპს:** რო წაიყვანენ, შვილო, ვინ იცის, სად გადაიქაჯამენ (ტყვ.). **ბადაქაჯაშული:** სად არი დღეს თელი დღე ი ბიჭი გადაიქაჯული? (ტყვ.). პირველი შვილი ხო აღარ მომივიდა, ვინ იცის, სად არი გადაიქაჯული? (კარალ.); აგრეთვე ოძ.

**ბადაღღარჭვი-ა, ბადაყაჭვი-ა** მეტი მოსვლია, მოსჭარბებია (იტყვიან ირონიით). გოჭო კი არა, სხვა რა გინდა, გადამღღარჭვია იმის ფულები (ტყვ.). სწორეთ მაგის ფული გადაიყაჭვია, ეხლა! (ხც.); აგრეთვე კარალ.

**ბადაღმერთილ-ი** გადახეკილი, გადახრილი. ძანა ხარ გაღამერთილი გვერდზედა, თორე ისე სხვაფრივ კარქა ხარ გამოსული სურათში (წილკ.). შუშაბანდი ისეა გაღამერთილი, მეშინია, არ წაიქცეს (ქორ.). რო პატარა აღ-



მართია და მერე დაბლა ეშვება, იმაზე ვიტყვი, იქით არი გადაღმერთილიო (ოდ.); აგრეთვე კავთ.

**ბადაყვირებულ**-ი ერთიანად აყვავებული. ოსრახუშის მეტი რა არი ჩვენ ბაღში, ისეთია, გადაყვირებული (დის.).

**ბადაშანთულ**-ი გადაშხლართული. გადაშანთული რო წეხარ ჩრდილში, ტიძილაურები თითონ მოირწყვის? (კარალ.). მოუედი და წევს ესა გადაშანთული, ღორებს კი გააქთ და გამოაქთ ბაღში (ტყვ.).

**ბადაძლეულ**-ი ძალიან მთვრალი, გაღეშილი. ისეთი მოვიდა, გადაძლეული, დეეგლო და დეეძინა (ბროწლ.). ძაან ვიყა გადაძლეული, რას ვაკეთებდი, არ მესმოდა (კარალ.); აგრეთვე ქვეში.

**ბადაწვერაპ**-ს მარცვლეულს (პურს) გაწმენდს მინარევებისაგან ტაბაკით. ეს პური თუ არ გადაწვერე, არ ივარგებს, ბევრი წვრილი მიწა ურევია (კავთ.). გადააწვერამს პურსა, ჭუჭყი ზედა რჩება ტაბაკზედა და სუფთა პური გადადის საფენზედა (ერთაწმ.); აგრეთვე ძეგ.

**ბადაწყვეტამ**-ს გადაიხდის (ვალს, ფულს, გადასახადს). რილათი გადააწყვეტამენ ვალსა? (კავთ.). ეყოფა, გადაწყვეტამს ვალსა ეგ ფული? (ბროწლ.). რო ისესხებ, უნდა გადაწყვიტო კიდევცა, მა რას იზამ! (ძეგ.).

**ბადახპარცლავ**-ს გადაკარავს. საღ გადახვარცლამ ზოლმე

ი დანასა? (ტყვ.). მესამე მასიუში გადახვარცლავს ხალხი (კარალ.); **ბადახპარცლავს**: ჩემი ბიჭი მიჰყამთ და ვინ იცის, საღ გადამიხვარცლამენ, საღ გადამიქაჯამენ (ტყვ.). **ბადახპარცლავს**: რა ეშმაკი გადაეფარა, ქა, საღ გადაიხვარცლა გოლორი? (მერ.). **ბადახპარცლავს**: თქვენი გადახვარცლავი გამაგონა ღმერთმა! (ტყვ.). **ბადახპარცლავს**: ისიც მეყოფა, რო ერთი აჩაბეთში მყამ გადახვარცლული, რო სხვაც არ გადაეკარქო! (მერ.). სადა ხართ ამ სიშორეთა გადახვარცლულები? (ტყვ.); აგრეთვე არად.

**ბადასილავ**-ს საგანგებოდ მოძებნის, გადახრეკს. სუ გადახილეთ მთელი ტყე და ველარც ცოცხალი ვნახეთ ი ხბო და ველარცა შაჭმული (ბიწმ.).

**ბადასონჩავ**-ს ხონჩით, ტაბაკით დაარკვევს (პურეულს). რო გადავხონჩამთ, მიწა და ქვა უკან დარჩება და სუფთა პური წინ მიდის (კულბ.).

**ბადასუზამ**-ს გადაპარსავს, გადაკრეკს. პირდაპირ ვაუგლო მაშინა და გადახუზა (ზ. ხანდ.). თავი ისე გადახუზუე მაკრატლითა (ძეგ.). **ბადასუზამ**: გადახუზვას უპირებდა და გაუგო (ზ. ხანდ.).

**ბადაჯღმე**-ა გაიბარდება, მოედება (ნათესი, სარეველა). ხახვი დავთესე და სუ გამამჯღარა (ძეგ.). **ბადამჯღარი**: ჯეჯილი კარქა რო ამოუა, გამამჯღარია (ზ. ხანდ.). ბალახი რო ამოუა მი-

ენა და გადაეფარება ნათესსა, ვეტყვით, გადამჯდარია ბალახით (ტირძ.); აგრეთვე შერ.

**ბადიკანტებ-**ა იგივეა, რაც გამოიქენტება. დავსხამდით ხახალზე და გადიქენტებოდა, სულ მუმლი იყო (ზ. ხანდ.).

**ბადირბალებ-**ა გალიზიანე-ბა, გაბრაზება. შე რო ქებას დაუწყეფ. რის ყიდვაც იმას უნდა და ფული არა აქ, გეგონება ცეცხლი შეუკეთესო, უფრო მოუნდება ყიდვა; მაგაზე გაღირგალებას იტყვიან (კავთ.).

**ბადისქლთებ-**ა გაღირევა, ჭკუა აერევა. გიგას ვეტყვი ზომე, ეხლა შენ გაღიხელთე-მეთქი, რაღა მოგაგვარებს!? (ოდ.). **ბაღახელთილი:** რაღა მოგაგვარებს, გადახელთილი ხარ-მეთქი (ოდ.).

**ბადმოანაკრულებ-**ს საესე ჭურჭლიდან გადმოიღებს (მეორეში). გადმოანაკრულე ვედროდანა წყალი! (ახალშ.). **ბადმოანაკრულება:** გადმოანაკრულებას რა უნდა, შენ დამატება თქვი, თორე! (ტყვ.).

**ბადმოასეპებ-**ს გადმოუშვებს წყალს. წავალ, გადმოვახევებ, გადმოვაგდებ წყალსა (ნოს.). **ბადმოუხეპდება:** ჟუჟუნა, გოო, წყალი გადმოგიხევედა, მოდი აქა! (ვარ.).

**ბადმოიპარკლებ-**ა ყირაზე გადმოვარდება, გადმოკოტრიადდება. ბავშვზე იტყვიან, ყირაზე რო გადავა, ან ისე უკუღმა გადავარდება, გადმოიპარკლაო (ოდ.).

**ბადმოიღმერთებ-**ა გადმოიზიქება, გადმოიწევა. ე კედელი რა ძაან გადმოღმერთილა, უნდა გაუფრთხილდე, თორემ საშიშოც არი, არ გადმაინგრეა (წილკ.). **ბადმოღმერთა:** გადმოღმერთაა სუყველაზე იტყვიან, რაც განზე იქნება გადმოწეული, ან გვერდზე იქნება გადმოზნექილი (წილკ.). **ბადმოღმერთილი:** ეს სიმიინდი ნათესი აქეთ არი გადმოღმერთილი და აქედან არ მაირწყვება, ესა, იქითა ხრიდან უნდა მოუგლო წყალი, რო აქეთ წამოვიდეს (ოდ.).

**ბადმოკუჭული-**ი იგივეა, რაც გადაკუჭული (იხ. გადაიკუჭება). ეგე გეეჭრა შუშით ხელი, რო სუ გადმოკუჭული ძქონდა ზორცები (წილკ.).

**ბადმოკლასკანდებ-**ა გადმოვარდება, გადმოგორდება (იტყვიან დაციინეთ). აჰა, თუ მანდედან არ გადმოპლაკვანდე! (ქემ.). გადმოპლაკვანდები, ძმაო, და ბარტყა გაგპვრება ძირა! (კარალ.).

**ბადმოროქშ-** ქათმის გასაფრთხობი შეძახილი (ზევიდან აქეთ). გადმოროქშ, გადმოროქშ, სუ გააფუჭა ჩირი! (კარ.). გადმოროქშ, შე ოხრათ დასარჩენო, საცა არა მგონია, შესკუპდები ზოლმე! (ტყვ.).

**ბადმოსაყარ-**ი მოჭრილი ხეების გადმოსაყრელი ადგილი, საიდანაც უნდა დააცურონ. გადმოსაყარიდან რო გადმოყრი, სვანზე უნდა წამოვიდეს (ზ. ხანდ.). გად-

მოსაყარზე მოიტანს კამეჩითა, აუშეებს და ჩამოცურდება სვანში (ზ. ხანდ.).

**გადმოუტყაჭამ-ს** გადმოუ-  
კარკლავს, დაუბრიალებს (თვა-  
ლებს). გადმომიტყაჭა თვალები,  
შაგრამ მეც კარქებისა მივასალე  
(მერ.). **გადმოტყაჭული**: მე  
შენი გადმოტყაჭული თვალებისა  
არ მეშინიან! (მერ.).

**გადოვდება-ა** ძალიან გახუნ-  
დება (ქსოვილი). ისე რო გადა-  
ხუნდება, რო არ ეტყობა, თუ შა-  
ვი ყოფილა როდისმე, იტყვიან,  
გადოვდაო (ტირძ.). ისე გადოვდა  
ჩემი კაბაი, ვეღარც კი შეატყოფ,  
რა ფერისა იყო (ძეგ.). **გადო-**  
**ვდება-ა**: რა გადოვებული კაბა  
აყვიაო, გახუნებულზეა ეგა ნათ-  
ქვამი (ატ.).

**გადლოვდება-ა** დაღბება,  
აიზილება; ჩაიშლება, ჩაიხარშება.  
შიხედე კომბოსტოსა, ძაან არ  
გადლოვდეს (ახალშ.); აგრეთვე  
ძეგ.

**გაეგოვება-ა** გაეთხვრება, გა-  
ეთხუზნება (ტანსაცმელი). ხანამ  
ძაან არ გაეგოვება ე ხალათი, არ  
უნდა გაიხადო? (ტყე.).

**გაეგოვება-ა** უკმეხად, გა-  
მომწვევად დაუწყებს ლაპარაკს  
(შდრ. კაპუნი). ავი აღამიანი რო  
არი, ხან ვის გაეგოვება, ხან ვი-  
სა (ქვ. ჭ.).

**გაეგოვება-ა** 1. გაეზრდე-  
ბა, გაეზრდებოდა (წვერი). გაე-  
გოვებოდა უბედურათა ბაგრატა-  
სა პირი და ჩამოფხოტილიყო იქა

(არც.). **გაეგოვება-ა**: გაეგო-  
ვებული რო დადის მამაშენი, მანე-  
თი გაეგოვდა? (ტყე.). პირიც ვე-  
ღარ მოვიპარსე, გაეგოვებულია  
დავდივარ (კარალ.); აგრეთვე კარ.  
2. **გაეგოვებული** იგივეა, რაც  
აქანკლული. გაეგოვებული ის  
არი, კონკები რო აქ დაკიდებული,  
რო არა აქ რა, რა ჩაიცოს (ოძ.).

**გაეგოვება-ა** გაეგოვება, და-  
ემდურება. ეხლა ე გოგო რაღაზე  
გაეგოვება? (თამ.).

**გაეგოვება-ა** სირბილით,  
სწრაფად მივა სადმე. ჯერ გუშინ  
გაეგოვებოდი ი ჩასაბრუნებელ ჩარ-  
დახშია ტყუილათა და დღესაა რო  
ტყუილათ ვიარო, მივაგდეთ კი-  
დეცა ქვასა, რო იქით აღარ მი-  
ვიხედო (წილკ.). **გაეგოვება**:  
სირბილ-სირბილით რო გახვალ  
სამა შორი გზითა, იმავე ვეცყვით  
გაეგოვებასა (წილკ.).

**გაეგოვება-ა** 1. გახურდება.  
გაეგოვდება (თონე). ისე გახუ-  
რებულა, რო სუ გაეგოვებულა, რა-  
ღა ჩააკრამს იქ პურსა (ძეგ.).  
2. ძალიან გაბრაზდება. გაეგოვებ-  
ულ რამეს რო დაინახამს აღამიანი,  
გაეგოვდება, მა რას იზამს?!  
(ატ.). **გაეგოვება**: გაეგოვებაი  
გაბრაზება არი, მიენ რო გაბ-  
რაზდება კაცი, მეცცა, თორე გა-  
ეგოვდაო, ვიტყვით ზომე (ატ.).  
**გაეგოვებული**: ელგუჯაი ისეთი  
გაეგოვებული ამოვარდა, კინალამ  
დალეწა იქაობაი (კარალ.). ნეტა  
რა დაემართა, ქა, ესეთი გაეგოვ-  
ებული ჯერ არ მინახამ! (კავთ.).

**ბაზა-ბაზა** თამაშობა ერთგვა-  
რი: მოთამაშეები „გაზა-გაზას“  
ძახილით ურბენენ წრეში მყოფს  
და ქუდით ურტყამენ; წრეში მყო-  
ფი ცდილობს ფეხი მორატყვას,  
„დაჭრას“ გარეთ მყოფი; ვინც  
დაიჭრება, წრეში ჩადგება (ზც.).

**ბაზანზლღღებ-**ა ვაჭიანურ-  
ღება, გაჯანჯღღება. „საქმე გა-  
ზანზლღდა“ ის არი, რო დაქჩება  
საქმეი, გაიზანზლღება და თავი  
ღროზე ვერ გააკეთეფ (ზოვ.).  
**ბაუზანზლღღება:** როგორ გა-  
ვეიზანზლღდა ბალის მორწყეაი  
(ატ.). **ბაიზანზლღღება:** ეს საქ-  
მეც როგორ გაიზანზლღდა! (ზერ.).  
**ბაზანზლღღება:** ამნაირი საქმის  
გაზანზლღება არ გამიგონია (ატ.).

**ბაზენგილი-**ი გაპოხილი (ჭუჭ-  
ყით, ქონით). ისეთი გაზენგილი  
ხალათი ეცვა, არ შეეხედებოდა  
(ბიწმ.).

**ბაზენკილი-**ი გატკეპნილი,  
დაზეპილი. რო გაშრება დიდი ავღ-  
რების მერე, გაიტკეპნება გზები,  
ეტყვიან, გაზენკილი გზა არისო  
(იგ.). ეგვა ჩვენი ვენახი გაზენკი-  
ლი საქონლისაგანა, რო ბარი  
პირს არ იკარემს (წილკ.).

**ბაზუნკლამ-**ს გაწუწავს. დი-  
ლაზეც რო გაგზუნკლამ და ისე  
წავალ, ნახამ მერე! (დოესი).  
**ბაიზუნკლამებ:** როგორც ბატი  
გაიზუნკლება ზომე, ისე არ გაი-  
ზუნკლამ? (ატ.). **ბაზუნკლამ-**  
**ლი:** რო ხაარ გაზუნკლული ბა-  
ტივითა! (ატ.).

**ბაზურბავ-**ს სცემს. ერთი

ისე უნდა გაგზურგო ესა, რო ვე-  
ლარ ადგეს (ზერ.). **ბაიზურბა-**  
**ბა:** გუშინ უნდა გაზურგულიყო  
ის ბიჭი, ახი იქნებოდა (ზერ.).

**ბათაპწვირებულ-**ი გათამა-  
მებული, თავგასული. ძაანა ჰყაამთ,  
კაცო, გოგლაი გათაეწვირებული-  
უფროსისა იმას არ ესმის და უმ-  
ცროსისაი (ტყე.); აგრეთვე კა-  
რალ.

**ბათართელა** ამოსერა, ამო-  
იხერა. გათართელა — ტალახში  
ამოსერა არი, გასერა თავიდან  
ფეხებამდე (დ. თონ.).

**ბათაძაპ-**სი ერთბაშად, უთავ-  
ბოლოდ დახარჯავს, გაათავებს.  
მორბედები რო მარტო დარჩებიან  
ხომე სახში, მოუვლიან, თუ სად-  
მე საჭმელი ეგულებათ, გასთაქა-  
მენ (კავთ.). ეს ფული უკვე გავ-  
თაქე და ეხლარაღა ვქნა? (კავთ.).

**ბათაძაპ-**ს<sup>2</sup> მიბეგვავს, სცემს.  
ბავშვეფს ვეტყვით ზომე, იცოდე,  
გაქთაქამო, ძაან კცემო (ატ.).  
**ბათაძ<sup>2</sup>ლი:** ესე გათაქულია,  
ბიჭებმა სცემეს, ალბათა (ვარ.).

**ბათიქსნი-**ს გაქელავს. ქურ-  
დი რო შავა მამულშია და ფეხით  
გათლენის, იტყვიან, რო ვიღაცა  
შასულა და გაუთლენია იქაურო-  
ბაო (წილკ.).

**ბათრეულა** გუთნეულის  
პირველი დღის ნახნავი; ეკუთვ-  
ნოდა გუთნისდელას. გათრეულა-  
გუთნისდელისაა, ის ალოში შა-  
დიოდა, მაგრამ მაინც გათრეულას  
ვეძახდით (მჭად.).

**ბათჰერი-**ს, **ბათჰორავ-**ს

გაუღენთს, გაუჯდება (წყალი ნიადაგს). რო მორწყამენ და დაღებება, იმას იტყვიან, წყალმა გათქორა მიწაიო (ერედ.). ბოლოში თავითავათ გაათქვრიდა, აღარცკი მოუნდება მორწყვა იმასა (წილკ.). **ბაითქვარება**, **ბაითქვარება**: ნაკვეთში რო წყალ მიუგდევ და ქვეშიდან გაუვლის, გაითქვარება, კარქა მაირწყვის (ერთაწმ.). კარქა რო მოირწყვის ნიადაგი, რო სუ ძირში გაულის წყალი, გაითქორაო, იმაზე იტყვიან (ხც.). **ბათქვარული**, **ბათქვარული**: ზაბორი ძირში რო ვაშლი დგა, იქა გათქვარული ყოფილა და იქ დაუძინია (ატ.). ზეით კვლები სუ მთლად გათქვრილია (წილკ.); აგრეთვე ლამ, მეჯვრ., საგურ.

**ბათსიზაპს**-ს გათხერის, გაატყუყიანებს. როგორ გაგითხიზია აქაურობაი, როგორ გაგიტყუყიანებია?! (ატ.).

**ბაიბუსტა**-ა იგივეა, რაც **გამობესტება**. რო გაძდება აღამიანი, გაიბესტა და წავიდაო, ასეც იტყვიან (ხაშ.).

**ბაიბირაქა**-ა ბირკა მოედება. ცხვარმა იცია ზომე შემოდგომით, სუ გაიბირაქა და იმი მატყლი ძნელი გასარეცხი და გასარჩევია ზომე (წილკ.).

**ბაიბლიქა**-ა გაცივდება; გაიყინება. ვიდექით და ველოდით, არა და არ გამოჩნდა ი ოხერა აეტობუსი, ლამის გაიბლიყენით სიცივითა (ძლევიაჯ.). **ბაბლიქა**-

**ლი**: მოდით დროზე, დასხედით, გაცივდა, გაიბლიქა კერძი, რაღა გეზო აქ გაბლიყულსა! (რუისი).

**ბაიბრინჯა**-ა გამედიდურდება, გაიბრინძება. თუ რამე შეიძინა, მაშინ ნახე, როგორ გაიბრინჯოს (ხც.). **ბაბრინჯული**: როგორი გაბრინჯული სიძე ჰყოლია მაშიკოსა, იტყვი, თელი ქვეყანა იმისიაო (ხც.).

**ბაიბრინჯა**-ა გაიჭიმება, გაიბრინძება. გენოი შინ რო არი, ჩვეულებრივ დადის, გზაზე რო გამოვა კია, მეტადრე თუ ხალხი უყურეფს, გაიბრიქება და მიდის ისე (იგ.).

**ბაიბურა**-ა იგივეა, რაც **გაიბურღება** (იხ. გაბურღავს). ქარი რო გაუვლის მატყლს, გაიბურღება, გაიბურქება (ხაშ.).

**ბაიბუსხა**-ა გაიბუტება, ცხვირს ჩამოუშვებს. გაიბუსხება, ყურადღება რო არ მიეაქციო (ტყვ.). **ბაიბუსხება**: გამებუსხება, თორე ძაან ვიდარდევ, იმდენი ხანი იყვეს გაბუსხული, სანამ მოეწყინება (ტყვ.). **ბაიბუსხება**: იმითანა გაბუსხვა იცის, თელ დღეს ხმას არ გაიღებს (ტყვ.). **ბაიბუსხული**: ორი დღეა გაბუსხული დადის, სალამსაც აღარ მეუბნება (ტყვ.).

**ბაიბუჭა**-ს გაიწეწავს, გაიჩეჩს (თმას). გაიბუწა თავი ჭაღარა თმები და დადის ტინგიცივითა (მერ.). **ბაიბუჭა**: რა მეჯავრება, თმები რო ეგრე გაიბუწება ზომე (მერ.). **ბაიბუჭული**: ჯერ

სუ უშნო იყო და ესლა სუ ჯორ-  
ცხენას დაეშვანა, დადის, დააქ  
გაბუწული თმები (მერ.).

**ბანიბლოტიმბ-ა** გაიბლიძება,  
გაიბერება. პატარა რამეს რო მი-  
ახწევენ, გაიბლოტებიან, გეგონება,  
სოვლაგრი შეილები იყვნენ (ტყვ.).  
**ბაბლოტილი:** აქა ბრძანდებო-  
და რვაში და ისე იყო გაბლოტი-  
ლი, თითქოს შემართოს რამე იმი-  
სი (ტყვ.).

**ბანიბლიმბ-ს** გაიხურავს (კარს).  
კარები გაიგდუო, ესე იგი ღია არ  
დატოვო, გაიხურეო (ხაშ.).

**ბანიბპირდმბ-ა** იგივეა, რაც  
გამოიგვერდება (იხ. გამო-  
გვერდავს). ესლა ჩვენ რო ლობი-  
ოსა ვჭამთ, რო გაეძღებით, გაეი-  
გვერდებით, მა რა მოგვივა?!  
(ატ.). **ბაბპირდილი:** საქონე-  
ლი რო ძიელ არი გამაძღარი, რა  
ძიენ არი გაგვერდილიო (ატ.).

**ბანიბოდრმბ-ა** 1. მაგრად გა-  
ძღება, გაიბერება. ღო დავალეინე  
გოჭეფსა, გაიგოდრნენ და ხმას  
აღარ იღებენ (ტყვ.). რა ძაან  
გაგოდრილა ჩენი ძროხა! (მეგ.).  
**ბაბოდრილი:** ლობიოთი არიან  
გაგოდრილები, ნეტა რაღა საჭმე-  
ლი უნდათ!? (კარ.). 2. **ბაბოდ-**  
**რილი:** დაბალი, მეტისმეტად  
მსუქანი (ადამიანი). გასუქებული  
რო არი ადამიანი, გაგოდრილ  
იმას ვეტყვიო (ბროწლ.); აგრეთ-  
ვე სამთ.

**ბანიბუდმბ-ა** გაიბერება (მკვდა-  
რი საქონელი, მიცვალებული).  
საქონელი რო მოკვდება და ვე

დარჩება გაუტყავებელი, თავმო-  
ჭრელი, გაიბერება და ვეტყვიო,  
რო გაგუდულაო (წილკ.). მიცვა-  
ლებული სამ დღეა რო დარჩება,  
მეშრე მუცელი აუდგება და იტყვი-  
ან, გაიგუღაო (წილკ.). **ბაბუდმბ:**  
მკვდარი საქონელი რო გაიბერე-  
ბა, გაგუდვა ჰქვია. ადამიანზეც არი  
გამოთქმული გაგუდვაი (ბროწლ.).  
**ბაბუდმლი:** ესლა გაგუდულ  
როგორღა უნდა ჩააცონ? (წილკ.).

**ბანიბლივ'რინმბ-ა** 1. უშნოდ,  
ზომაზე მეტად გასუქდება, გა-  
სქელდება. გადღვრენილა უშნოთა.  
და დაიბოტება (ტყვ.). როგორ გა-  
დღვრენილა, ქა, შენი რძალი, რამ.  
გაასუქა ეგრე?! (იგ.). 2. **ბაბი-**  
**ლინმბ:** გაუფართოვდება, გაე-  
წევა (ფეხსაცმელი...). ისე გამედ-  
ღრინა ე ტუფლები ამოტელა ტა-  
ლასში სიარულითა, რო ორივე  
ფეხი ჩამივა შიგა (მერ.). **ბაბ-**  
**ლივ'რინილი:** გადღვრენილი  
ცხვირი ააქო, გაფაფხული ცხვი-  
რი რო აქ, იმაზე ვიტყვიო (ატ.).  
ისეთი გადღვრენილი ცხვირი აქ,  
რო მეც შეეუტევი შიგა (მერ.).

**ბანიბსმბ-ა** დამაკდება. გაიმ-  
სო, იმას ვეტყვიო, დამაკდაო  
ძროხაიო, ღორიო (ატ.). ორჯერ  
გაიმსო ჩემი ძროხაი (თამ.) ზამ-  
თარში იქნება ბერწი, გაზაფხულ-  
ზეც გაჰყვება, მერე გავა ნახირში  
და გაიმსება (ქორ.).

**ბანიზამთირმბ-ს** ზამთარი გა-  
ვა, ზამთარი გაივლის. უკვე გაი-  
ზამთრა, სადაც არი მერცხლები  
მოფრინდებიან (კავთ.).

**ბაიზუნზღებ-**ა ერთიანად დასველდება, გაიწუწუება. როგორი აედარი იყო, ქაა, ისე გავიზუნზულეთ მინდორშია, ისე გავიზუნზულეთ, ერთი ძაფი არ დაქერჩენია მშრალი! (ბროწლ.).

**ბაითრიკებ-**ა უშნოდ, უადგილოდ გაიცინებს. მოვა, გაითრიკება და წაუა (ქვეში).

**ბაითურბნებ-**ა ძალიან გასუქდება. რა კარქა გათურგნებულა თამროი (ატ.). **ბათურბნებულნი:** ძაან როა გასუქებული, გინდ საქონელი, გინდ ადამიანი, გათურგნებული ის არი (ქემ.). ნეტა როდის იყო დარაი გათურგნებული, გოგობისას იყო და ეგრე იყო გალახული (ბროწლ.).

**ბაითქველიშებ-**ა 1. გაიბობა, გაიხლიჩება (ხილი დაცემისას...). გაშლი ჩამოვარდა და გაითქველიშა ძირსა (ტყვ.). 2. **ბათქველიშნი** უგონოდ მთვრალი; ძლიერ გამაძლარი. ძიენ გამაძლარი რო არი, ან თვრალი რო არი, იტყვიან გათქველიშილი არიო (ერთაწმ.).

**ბაიკინკილებ-**ენ იგივეა, რაც გაიწინწილებენ. ცოტა რო აქვთ და გაინაწილებენ, გაიკინკილესო, იტყვიან (საკორ.); აგრეთვე კარალ., ტყვ.

**ბაიკნაჭებ-**ა ძალზე გახდებ. რაც გავთხოვდი, გავიკნაჭვი (ერედ.). როგორ გაკნაჭულა ეს ბავში! (ზერ.); **ბაიკნაჭულნი:** გამხდარი, გამოღნაპული რო არი, იმაზე იტყვიან, გაკნაჭულიაო (ქვ. ჭ.).

**ბაილაბებ-**ს 1. თან წაიყვანს, გაიყოლებს (მიცვალებული თავისიანებს). ი ბიძაჩემი მოკვდა და გაილაგა სუყველანი — ცოლი, შვილი და შვილიშვილი (თამ.). დიდელაშენი რო მოკვდება, ყველას თან გაგილაგებთ, ძაან უყვარხარა! (ტყვ.). 2. **ბალაბღებ**ა გაწყდება, დაიხოცება. სუყველა გალაგდნენ, ქაა, და ვილა დარჩა?! (ძეგ.). ეგრე ერთიმეორეზე გალაგდნენ ჩემი წიწილები, სუ დამეყუჟა (ტყვ.).

**ბაილასტებ-**ა იგივეა, რაც გამოილასტება. წადი, ცოტა ბალახი მაინც მოუტანე ამ ღორსა, ხო ხედამ, როგორ გალასტულა! (კავთ.). ისე გაილასტა ე გოგო, თითქო ორი კვირის დამშეულიაო (კავთ.). **ბალასტულნი:** ი გოგო გალაგებული არი, გამოწლულ თხასა აგავ (წილკ.).

**ბაილქსებ-**ა ბევრს ილაპარაკებს, ენად გაიკრიფება. ეს თუ გაილქსა, ვილა გააჩუმებს?! (ძეგ.).

**ბაილიშებ-**ა გაიკროლება (კაკალი). წუნგო რო გეცლება, იმაზე იტყვიან, გაილიყაო (საგურ.).

**ბაილობრებ-**ა გაიკროლება (კაკალი). კაკალი გაილობრაო, ვიტყვიო, ვარეთაკანი რო მოსცილდება (სამთ.).

**ბაილუხებ-**ა გაიწუწუება, გაილუმბება. ისე გავიწუწვი, რო სუ გავილუფხე! (ძეგ.).

**ბაიმართებ-**ა უწყვეტ ნაკადად წამოვა (არაყი — გამოხდისას, ტკბილი — დაწურვისას). არაყი

რო დაიძვრება, ცოტა-ცოტა ჩამოდის, მერე გაიმართება (კარ.). ნაეში რო ღვეხარ, პირველად კარქა კი არ ჩამოდის ტკბილი, ცოტა ხნის შემდეგ გაიმართება (ტყვ.).

**ბაიმელაბ-**ა გაიტვრინება, გაინაბება. რო გატვრინდება, გაიმელაო, იმაზე იტყვიან (საკორ.). თურმე გამელილა ეს ბიჭი ლოგინში, ჩვენ კი გვეგონა, სძინამსო (მერ.) **ბაიმელილი:** ცეროდენა გამელილი უგდემს დედ-მამას ყურსა (მერ.); აგრეთვე ახალშ.

**ბაიმუღმებ-**ს მუღმიყად იხმარს, გაიშინაურებს (ტანსაცემელს). ეგ შარვალი რო გაიმუღმე, მამაშენმა რაღა უნდა ჩაიცვას, გარეთ რო გავა? (ტყვ.); აგრეთვე კარ., ძეგ.

**ბაიმჩვირებ-**ა ცხვირს ჩამოუშვებს, გაიბუტება. გაიმჩვირება და დაჯდება ერთ ალაგასა (წილკ.). პატარაზე გაიმჩვირება და აღარ იცის, რა უნდა ქნას (ბროწლ.). **ბამჩვირება:** ისეთი გამჩვირება იცის, მთელი კვრა ხმას აღარავის გასცემს (ძეგ.). **ბასამჩვირი:** გასამჩვირი მე მათქს და ეგენი მეჩვირებიან (ტყვ.). ნეტა შენ რაღა გაქს გასამჩვირი? (ქვეში).

**ბაიმწლიკებ-**ა ძალიან გახდება, გაწვრილდება. რაჲ გაიმწლიკე, ქა! — მა რა იქნება, უჭმელია (გარიყ.). **ბამწლიკული:** ძრიენ გამხდარს ვეტყვით გამწლიკულსა (ერთაწმ.). ისეა გამწ-

ლიკული, მუჭაში დაიჭირება იმი-სი წელი (ძეგ.).

**ბანინადირებ-**ს ქორწილის მეორე დღეს მეფე მაყრიონით სასაფლაოზე გავა მიცვალებულთა მოსახსენებლად (იცოდნენ ძველად). ნეფიანები გაინადირებენ სასაფლაოზე, შესანდობელს დალევენ, დროს გაატარებენ (ქორ.). დაიცათ, შვილო, მეფემ გაინადიროს, გაუმზადოთ ყველაფერი (კარალ.). **ბანადირება:** ადექით, განადირების დროა, დილის საარს უკრამენ უკვე (ტყვ.). **ბანადირებაშლი:** განადირებული ხალხი მეზობელმა შეიძლება შეიწვიოს (ქემ.); აგრეთვე ბრ., ზ. ხანდ., ძეგ.

**ბანინაქრებ-**ა იგივეა, რაც ჩამოინაქრება. წავიდეთ, ივაშლი მოვკრიფოთ, თორე სუ განაქრება! (ზერ.).

**ბანაშლეა-** 1. დაიბნევა, გაიფანტება. ეს ლობიო გაინაშლება სულა და ასაკრეფი გამიხდება (რუისი). **ბანაშლეა:** რო რამე დაიბნევა, გაიდადება სიმინდი, ლობიო, რამე, განაშლება ის არი (რუისი). **ბანაშლეული:** თივა განაშლეული იყო და მამაჩემს უთხარი, შეაკოკებ-მეთქი (ზ. ხანდ.); აგრეთვე ზერ., ძეგ. 2. **ბანაშლეული** მირეულ-მორეული, მიყრილ-მოყრილი. ისე ჰქონდა განაშლეული სახლი, კაცი ფეხს მოიტეხავდა (კავთ.).

**ბანიშებ-**ს განუწყვიტლივ



იწვიმებს. თუ გაინიჟებდა, გაიჟდუნთავდა ძნა წვიმასა, გაღივდებოდა, იმას ცალკე დავდებდით, ცალკე გავლენამდით (საგურ.).

**ბაიოსხეპულ-ი**, **ბაიოს-სულეპულ-ი** მეტისმეტად ღარიბი, უქონელი; გაღატაკებული (მღრ. იოხსული). მართო სული რო ედგმება, ისე გაღარიბებული რო იქნება, გაიოხსებული ის არი (ერთაწმ.). აი, გეგენაი ეხლა იოხსულია, მა რა არი, მაგრამა თავი ჭკუით არი გაიოხსულებული! (მეჯერ.).

**ბაიპარეპ-ა** გამოიფიტება, გამოიფშუტება (ნიორი). გაზაფხულით იცის ზომე ნიორმა, დაიბჟიტება, გამოიფიტება ზომე, იტყვიან, გაიპარაო (კავთ.). გაზაფხულზე გაიპარება ზოლმე ნიორი, როცა ვერ დასთესამ დროზედა (ზ. ხანდ.). **ბაპარულ-ი**: სანამ დრო იყო, უნდა გადაგერგა, ეხლა გაპარულია, რაღას გადარგამ! (კავთ.); აგრეთვე კარ., ტყვ., ძეგ.

**ბაიპოსკაპ-ს** გაიგლეს, გაიპოხავს (ცხიმით, საღებავით...). გაიპოსკაპს ი კაბასა და სღიე მერე! მიხედე, რო არ გაიხვაროს! (ტყვ.) **ბაიპოსკაპ-ა**: სანამ კარქა არ გეეპოსკება პერანგი ჭუჭყითა, მანამ არ გაიხდის ზომე (მერ.). სანამ ძაან არ გაეპოსკება კისერი, განა გაიხდის ზღაოსა! (კარ.). **ბაპოსკაპ-ი**: სახეზე რო რამეს წაიხვამს სქლათა, იტყვიან,

როგორა აქს სახე გაპოსკილიო (არად.). რა არი, ქალო, რა არი, გაპოსკილი რო გაცვია ე კაბაი, ველარ გაირეცხი? (ტყვ.); აგრეთვე ახალშ., ზერ., მეჯერ., საკორ.

**ბაიშანბრეპ-ა** ჟანგის ფერს გადაიკრავს (ხილი). წყალი რო არ იყო, გაიჟანგრა ხილიცა, ყურძენიცა, თავისი ფერი აღარა აქ (ქვ. ჭ.). ვაშლსა ცალ გვერდზე თითქო რამე აღევსო, გაიჟანგრა (ძეგ.).

**ბაირაოპება** გაგარეულება (საქონლისა). გაირაოებას ვეტყვით, რო გაგარეულდება საქონელი და სახს ველარ მოაგნეფს (ერთაწმ.).

**ბაირიპაპეპ-ს** წაეა, გაინავარდება. თითქო იძახდა, დაიღალაო, კარგა გაირიკაეა სხვაგანა! (ქორ.). საქმე მიაგლო და გაირიკაეა (ზ. ხანდ.). ბეშეებში გაირიკაეებს, გადაავიწყდება (კარ.).

**ბაირუსეპ-ა** ბეწვი გასციევა (საქონელს, ცხვარს). ცხვარი გაირუსა (ძეგ.). **ბარუსეპ-ა**: ძველი ბლანი რო გააცვიეა სუმთლათა, იმაჲ ვეტყვით გარუსეასა (წილკ.).

**ბაირუსეპ-ა** ბეწვი გასციევა (ცხვარს). ოთური გაუჩნდა და გაირუსა ცხვარი (ძეგ.).

**ბაისასპარეპ-ს** ხმარებას დაიწყებს, ხშირად იხმარებს. შაუკერამ თუ არა ახალ კაბასა, მაშინათვე ამოიცომს და გაიხასმაჟრეფს, რო წავიდეს საღმე, რაღა უნდა ჩაიცოს? (კავთ.).

**ბაისვრი-ს:** (ვისიმე) სიტყვას ბაისვრის არ დაიჯერებს, არ გაიგონებს ვისიმე რჩევას. ჩემი ქმარი ჩემ სიტყვას გაისროლა ხოლმე, მერე კი ინანა (ქორ.).

**ბაისიმსხობ-ს** გაყოფონდება, თავს გავა. როცა გაისიმსხობებთ, მაშინ აღარავინ მოგინდებათ! (ტყვ.). ჩემი რძალი პირველათ კი უწუმრათ იყო, მერე, რო გაისიმსხობა, თავი წვერაზე დაიწყო სიარული (მერ.).

**ბაისრიქნებ-ა, ბაისრიქნებ-ა** ცუდად გამოცხება (პური). უხურებელი თონე აფუჭებს პურსა, გაისრიქნება პური, ჩაილიბრება, გაისრიქნება შავათა, სილამაზე არა აქ (ზ. ხანდ.).

**ბაისუნგლებ-ა** გაისუსება, გაყურდება, გაინახება. რო დააშავეებს რამესა ბავშვი, გაისუნგლება (ხაშ.). **ბასუნგლული:** ისეთი გასუნგლული იჯდა, ხმა არ ამოუღია (ქემ.): აგრეთვე კავთ., სურ.

**ბაიტკვლიცებ-ა, ბამოიტკვლიცებ-ა** 1. ბევრს დალევს, შეჭამს (იტყვიან უპატივცემლოდ). ნეტა მე წყლით არ გავტკვეცილიყავი! (მერ.). კარქა გამოიტკველიცა ღორი ხორცითა და წავიდა (მერ.). **ბატკვლიცეილი, ბამოიტკვლიცეილი:** შე ოხერო, გატკვეცილი ხარ, სადღა სწვლები ი სიმინდსა? (კარ.). გამოტკვეცილია ლობიოთი, მაგას აღარა უნდა რა! (ტყვ.). 2.

ძალიან დათვრება, გაილეშება. საცა გაიტკველიცები ხომე, იქვე დაიძილქუშე! (ტყვ.). გასწი, გამშორდი, გამოხეთქილხარ, გამოტკვეცილხარ და როტამ! (მერ.). **ბატკვლიცეილი:** მოვიდა ღვინით გატკვეცილი, კიდე ღვინოსა მთხოვდა (მერ.); აგრეთვე საღ., ძეგ.

**ბაიტლოქნებ-ა, ბაიტლოქნებ-ა** უსაქმურად დადგება, აყუდება. რო გაიტლოქნები და დგეხარ, სანამ არ დაგიძახებ, არ უნდა მოხვიდე? (ტყვ.). ხან იქ გაიტოქნება და ხან იქა, აყუდება და უყურეფს ხალხსა (იგ.). **ბაიტლოქნებ:** წინ რო ჩამოუდგება ადამიანსა, რას გამეტოქეო (ატ.). **ბაიტლოქნეილი, ბაიტოქილი:** დგაათელი დღე გატლოქნილი ქუჩაში, ჩხირი გვერდს არ იზამს ეს ოხერი, ესა! (კარ.). გატოქილი იციმდგომა, გადლაჯამს ფეხეფსა და ეგე დადგება (წილკ.); აგრეთვე საღ., ძეგ.

**ბაიფათრებ-ა** მწარედ ატირდება. ხელში ავიყვანე, ქაა, და სუ გაიფათრა, ხელი რათ მახელიო (წილკ.).

**ბაიფიცრებ-ა** მთლიანად გაიყინება (მდინარე). თუ არ გაიფიცრებოდა მტკვარი, სულ მიგვიქონდა ტივი (ზ. ხანდ.).

**ბაიფოთქებ-ა** აყვავდება, გაიფურჩქნება; გაიფოთლება. სანამ ჭერამი გაიფოთქება, შინდი უფრო აღრე არ იქნება?! (ტყვ.). გაფოთქილა სულა ხახვი, ბევრი

**დასიშაპ**-ს ხიფად, შულოდ ამოახვევს (ძაფს). ეს ძაფი კი კარგათ დაგიხიფნია! (ბიწმ.). **დასიშაპ**: დახიფვას ეძახიან, შულოებად რო ამოახვევენ (ბიწმ.).

**დასიჭვა** (კედლის პირის) მოსწორება ხიჭის (ღორღის, ხურდა ქვის) მოყრით. კედლის დახიჭვა არი, როცა დულაბს დაასხამს, უნდა დააყაროს წვრილი ხიჭი (ბაზ.).

**დასლაბურთას ათამაშებს** სცემს. დასლაბურთა უნდა გათამაშოო, ეტყვი ბავშვსა, რო საცემრათ გინდა (ტირძ.); აგრეთვე ატ.

**დასნიანებულ**-ი დიდი ხნისა, ბებერი. კაკალს ახალგაზრდას ფერი არა აქს, ძალიან დასნიანებულს საუკეთესო ფერი აქს (მერ.).

**დასურბაპ**-ს 1. გროვებად დააწყობს. ვაზს სარი გამოვუყარე და დახურგე (ნიქ.). **დასურბაპ**: სიმინდს რო მოჭრიან და შეკრამენ კონებათ, დადგამენ სამეულებათ და ათეულებათ, ეგ არის დახურგვა (ქორ.). 2. **დასურბულ**ი ძალიან მოსხმული. ხეხილს რო ძალიან ასხია, იმას იტყვიან, დახურგულიაო (საკორ.). ხო ველარა ვხედამ, მზე მიდგომიყო ი დამასხსა, უი, როგორ დახურგულია-მეთქი, მე მეგონა, ესხა (საკორ.).

**დასუსსუსებ-**ს მოკლე ნაბიჯით, სწრაფად დადის. მოკლე ნაბიჯებით რო დადია და ჩქარა-ჩქარა, დახუსხუსეფს (იგ.). პატარა ბაღღზედა ან იმას ვიტყვით — დაცქრიაღეფსო, ან კიდევ — დახუსხუსეფსო (ლამ.).

**დაჯაფულ-**ი ჯაფით ღონე-გამოლეული. ადამიანი რო ბევრ საქმეს აკეთეფს და დაუღონოვდება, ის არი დაჯაფული (ქორ.). სუ მკლავები მტკივია, დაჯაფული ვარ, აბა, რა ვარ? (ქორ.).

**დაჯაყულ-**ი შუბლშეკრული, მოღუშული. როცა ადამიანს აწუნეფს რამე, დარდი აქ, ან გაბრაზებულია, შუბლს შაიკრამს, დაბღვერილი დადის, იტყვიან, დაჯაყულიაო (კავთ.).

**დაჯგვლემამს-**ს დაბლიკენის, უხეშად დანქმეტს. ისე უყვარს ბავშვები იმასა, სუ დაჯგვლემამს სომე (ერედ.).

**დაჯბბანე** იტყვიან იმაზე, ვისაც სხვისი ხელით სწევია საქმის გაკეთება. იმას ისეთი დაჯბბანე რძალი ჰყავ, რო იმისი პატრონი საღ წაუა! (კავთ.).

**დაჯენჯამს-**ს 1. დაგლეჯს, დამიძენის. დაიცა, ბაღლო, თუ ჩენი ძაღლი თქვენ ძაღლ არ დაჯენჯავს ერთი მაგრა, ნახამ! (წილკ.). **დაჯენჯილი:** თელი უბნი ძაღლები სუ დაჯენჯილები აყავ ჩვენ ბოღრასა (წილკ.); აგრეთვე ბროწლ. 2. **დაჯენჯამს**ს ნაყვავილარს დააჩნევს, დაუკენკავს. ყვაილით რო გახდება კაცი

ავათა და მაიხლია, ი ყვაილი დაუჯენჯამს სახესა (წილკ.). **დაჯენჯინემბს:** ემ დროში რო დედამ შვილი ეგე დააჯენჯინოი ყვაილსა, მოსაკლავი არ არი? სუ კარდაკარ დადიან ასაცრელათა (წილკ.). **დაჯენჯილი:** ყვაილისაგანა სახე რო აქ დაკენკილი, დაჯენჯილს იმას ვეძახით (ტირძ.).

**დაჯერგნილ-**ი დატკეპნილი, დახეპილი. თოხი მომიტა, იმითი მოფეხოტნი, თორემ დაჯერგნილია (თამ.).

**დაჯორჯილ-**ი შესიებული; დაჯორჯებული. უკვე დაჯორჯილია, იტყვიან, რო გაღივდება და გაიბერება, გამსხვილდება თესლი (ზერ.). თავპირი აქ დაჯორჯილი! (ზერ.).

**დაჯოშდებ-**ა იხ. დაიჯოშებ ა.

**დგარადგურ-**ი ბრავაბრუგი; ბავაბუგი. ჩქარა-ჩქარა რო დადიან და ფეხეფს აბრახუნებენ სიარულში, იტყვიან, როგორ დადიხარ, რადგარადგური გაგიდისო (ტირძ.). დამადე გულზე ხელი, სუ დგარადგური გააქ (კარალ.).

**დედაილა** ზედმიწევნით დედის მსგავსი (გარეგნობით, ხასიათით). შდრ. მამაილა. ჩონგური ვთხოვე და არ მამცა მა დედაილა-მა (ლამ.). ე გოგო სუ დედაილაა, ეგრე კაპასია მაგი დედაცა (კავთ.); აგრეთვე ატ., ერედ., საგურ., წილკ.

**დედაკმდარა** უღედოდ შემ-

დგარი (მაწონი). აღუღებულ რძეს დადგამენ, დედას არ უზამენ, შე-  
მკავედება, შედგება, ის არი დედა-  
კვდარა მაწონი; კარაქი ამოდის  
უფრო მეტი (ქემ.). როცა არ გვე-  
ჩქარება ზაფხულშია, დედაკვდარა  
მაწონს შევაღებებთ ხომე (ტირძ.);  
აგრეთვე ატ., ძეგ.

**დედა კიტრი** სათესლე კიტ-  
რი. სათესლე კიტრათ რო დატო-  
ვებენ, დიდი კიტრი არი, დაყვი-  
თლდება, კარქა დამწიფდება და  
თესლიც დაუსრულდება, დედა  
კიტრი ის არი (ტირძ.); აგრეთვე  
ატ., ბრ., მეჯვრ.

**დედალი სე** გლუვი, ურიკო  
ხე (ტანძ.).

**დედამთილა** პატარა გოგო,  
რომელიც დიდივით იქცევა. ზო-  
გი ისეთი მორბეღია, ყველაფერ  
დიდივით გააკეთებს, ლაპარაკიც  
ისეთი აქ, გეგონება, დიდი ლაპა-  
რაკოფსო, იმას ეტყვიან დედამთი-  
ლასა (კავთ.). აბა, დედამთილა,  
ერთი შენებურათ დატრიალდი!  
(ტყვ.); აგრეთვე ატ.

**დედამიწის ნაღველა** ბა-  
ლახი ერთგვარი. დედამიწის ნა-  
ღველა მწარე ბალახია, პატარა  
ფოთოლი აქ, წითელი ყვავილი,  
ქათმის ჭირისთვის ხმარობენ (ჩუ-  
მათ.).

**დედან-**ი ერთგვარ საბავშვო  
თამაშში — მოთამაშე, რომელიც  
ორმოსთან ზის და დანარჩენი მო-  
თამაშეების მიერ ორმოში ჩაყრილ  
კაკლებს ითვლის. სუ ზო შენ არ

უნდა იყო, ესლა მე ვიქნები დე-  
დანი (კავთ.).

**დედას პური** წმინდა ფქვი-  
ლისაგან გამომხცვარი თონის პუ-  
რი. წმინდა პური რუა, კარქი, რუ  
არა ურევია რა შიგ წამლათა,  
იმა ვეტყვით დედა პურსა  
(წილკ.). თონის პურს ეტყვიან დე-  
დას პურს (საგურ.). კაციან ოჯა-  
ხეფს რო მჭადიც ენატრებოდათ,  
მაგი ბაღლები სუ დედას პურსა  
სჭამდნენ (წილკ.).

**დედიანი კარაქი** მაწე-  
ნისაგან შედღვებილი კარაქი.  
დედიანი კარაქი არი მაწენისაი,  
ჩუმისაგანაც გამოდის, მაგრამა არ  
იჭმევა ის კარაქი, უნდა გადაად-  
ნო ერბოთა; დედიანი კარაქი საჭ-  
მელათაც კარქია (ატ.). კარაქ ეხ-  
ლა უფრო დედიანსა ადღვებამენ,  
ჩუმისას — არა, რძეს აადღვებენ,  
შაადღვებენ და მერე შაადღვება-  
მენ (ოდ.); აგრეთვე ტირძ.

**დეზად** სასწრაფოდ, სახელ-  
დახელოდ. ასე დეზათ სად იშოვ-  
ნე ფული? (დ. თონ.). ნათლიას  
უთქვამ, მოვდივარო. ესე დეზათა  
რა უნდა ვქნა, რა მოვახერხო!?  
(კავთ.). იმოდენი ქლიავი დეზათ  
გაყვიდე (ქორ.).

**დეკნიკა** საფურე ხბო წლამ-  
დის. დეკნიკა ვეტყვით საფურე  
ხბოსა ვიდრე ერთ წლამდისინა  
(წილკ.).

**დელაბა** საყველედ შედედე-  
დებული რძე. შედედებული ყვე-  
ლი რო ჯერ ისევ შრატშია, დე-

ლამა ის არი (საკორ.); აგრეთვე ტანბ., წინარ.

**დელაპურწ-ი, დელაპურ-წა** იგივეა, რაც დელამა. ყველ რო მაყველებენ, ჯერ ამოდებული არ არი, ისივ შრატშია, იმას ეტყვიან დელამურწსა (ობ.). ყველი დელას რო უზამთ, სანამ მოვყველეთ, დელამურწა ქქვიან იმასა (ატ.); აგრეთვე ბოშ., ყანჩ.

**დეშვილა** იგივეა, რაც დომფალო, დომფილა. — რადემფილაა ეს შენი ძროხა! — წელს ბერწათ დარჩა და იმიტომა (დ. თონ.).

**დვრინ-ი, დვრინ-ი**, დაბალი, სქელი ადამიანი (ახალშ.).

**დიღბაიქურად** ტრაბახით, კვებნით, ბაქიბუქით. დიღბაიქურათ მითხრა, ამოვივლიო და, აბა სად არი! (კარალ.). დიღბაიქურად რო დაიწყეთეს ბაქეთსა, ნახე! (ტყვე-).

**დიდი პირით ამბობს** ტრაბახობს, იკვებნის. გუშინ დიდი პირით ამბობდა, უნდა წავიდეო (ქვ. ჭ.).

**დიღრაჯობ-ს** ამპარტაუნობს, მედიღურობს. ესლანდელი ქალები სხვანაირი არიან, დიღრაჯობენ (ქორ.).

**დილაბნელზე** დილით ადრე, გარიჟრაჟზე, ალიონზე. დილაბნელზე წამოვდექიო — დილით ღამიან რო ადგები, მინამ გათენდება (ატ.). ხვალ დილაბნელზე ჩამოვალ (დ. თონ.).

**დინბიღუნია** ქვეყანა, დუ-

ნია. დინგიღუნიაზე იმითანა ქალი არ იქნებოდა (ატ.).

**ღირბულა** ვაზის ჯიში ერთგვარი (სოფ. ღირბის სახელწოდების მიხედვით). ღირბულა მსხვილმარცვალა ყურძენია; შავი, შეკრულ-შეკრული მტევანი იცის, საჭმელათ იმდენი არაფერია, ღვინო კარქი ღება (კარალ.); აგრეთვე ბრ., ზერ., მეჯვრ., საღ.

**დიღმურა** ბუდეშური. დიღმურა თეთრია და ამ სიგრძე მარცვალი აქ, თითიტოლაი, გრძელი, კარქი ღვინო იცოდა, სუყველასა ჯობდა საჭმელათაცა და ღვინოთაცა. ბუდეშური, დიღმურა ერთი იყო (ტირძ.). დიღმურას ვეძახით, მწვანე ვაზია (ძეგ.); აგრეთვე ატ., მეჯვრ.

**დოღინა, დონდილა** ზანტი, ნელი, ზოზინა. დამბლა კაცი ან დედაკაცი რო იქნება, რო ჩქარა არაფერს აკეთებს ისა და რასაც აკეთებს, იმასაც უხეიროთა, დოღინა ის არი (მეჯვრ.). მძიმე ქალი რო იქნება, ზარმაცი, იმას ეტყვიან დონდილასა (ბროწლ.). ჭკვიანი კია ჩემი პატარძალი, მაგრამა მეტათ დოღინაა (წილკ.).

**დოღინაობა** ზოზინი. დოღინაობა ის არი, რო არ დეეჩქარება და მალე არ გააკეთებს საქმესა (საგურ.). სინამ არ გემეეწყობა თავი დოღინაობითა სუ მთლათა, მანამ არ მიხედამს იბალღს, რო გასკდეი ჩხავილითა (წილკ.).

**დოღოჟალა** ბალახი ერთ-

გვარი, მალალი, მსხვილძირიანი (დის.).

**ლოვდებ-**ა უფერულდება, ძალიან ხუნდება (ქსოვილი). ესე ლურჯიანს ვიყიდამდი, მაგრამა თეთრდება, ლოვდება ძინა (ერედ.); აგრეთვე ხაშ.

**ლოინჯა** უქნარა, ზარმაცი. სონაი ლოინჯა არი, შინ ეგ არაფერ აკეთეფს, ლოინჯ შემოიყრის და ღგა თელი ღღე გარეთა (თამ.); აგრეთვე ბროწლ.

**ლოინჯიანი ძილა** ორყურა ძილა. ლოინჯიანი ძილას ესე ჰქონდა ყურები ლოინჯივითა (ზ. ხანდ); აგრეთვე ძეგ.

**ლოლქეშა** ტლანქი, მოუქნელი, მოუხერხებელი. ლოლქეშას ისეთ კაცს ეტყვიან, რომელსაც დიდი ჯანი აქ და აზრი არა აქ, როგორ მაიხმაროდ თავისი ჯანი (წილკ.). რა ლოლქეშა რამ არი ე დალაქიანთ ბიჭი, ზურგით ეზიდება ტყიდან შეშასა (წილკ.); აგრეთვე ძეგ.

**ლომბალ-**ი ღოში ჩაყრილი პური. პურია ჩაყრილი ღოში, ლომბალს ვეძახით (დად.).

**ლომბურ-**ი, **ლომბურა** დიდი, სქელი (ადამიანი...). ჩემ ბიძაშვილსაცა ჰქვიან ლომბური ზედმეტ სახელათა, სქელი რო იყო, მოსული; ლომბურას ვეძახით ემ წუთშიაცა, ცოლშვილიანია უკვე (ატ.). რა ლომბურიო, ადამიანზეც იტყვიან, ხარზეცა; გასუქებულს ეტყვიან (ლოესი); აგრეთვე კავთ., ძეგ.

**ლოფილა, ლოფილო** დიდი, მსუქანი (ბაეშვი, ქათამი...). რომელიც კარქი არი, სუქანი, გინდა ბამშვი იყოს, გინდა წიწილანი, ქათამი, სუ ერთია, სუყველაფერზე ითქმის, რა კაი ლოფილა არიო (ერედ.). ისეთი ლოფილო ბაეშვია, რო ჩაყლაპამ! (ატ.); აგრეთვე დის., კარალ., საკორ., ქემ.

**ლოფლო** დონდლო, ღუნე (ადამიანი). ლომფლო — დონდლო, მოუხეშავი როა, ის არი (თამ.).

**ლონდგლო** ოდნავ შედედებული, თონთლო (მაწონი...). არც კი იყო კარქა შემდგარი, ლონდგლო ჩაეასხი და ისე შეედღვიბე (კარალ.). ლონდგლო მაწონი უნდა დაგისხა, აბა, რა ექნა, არ შემდგარა, და! (ტყვ.).

**ლონკრო** ტლანქი, მოუხეშავი; ზანტი. ერთი ლონკრო რძალი ჰყამს, მინძრევ-მონძრევა ეზარება (მერ.).

**ლოპერა** გადამდნარი კარაქის დანალექი. ზამთრი კარაქმა ეგე იციო, ძან ბევრი ლოპერა დარჩება გადადნობი მემრე (წილკ.). ლოპერაა რო ცოტა ერბოა შააყოლეფ და ფქვილ დაუკიდეფ, იმი ჭამაა არაფერი ჯობიან (წილკ.).

**ლორ-**ი ღოშაქი. ბუმბული ლეიბი რო იქნება სქელი, იმას ეტყვიან ღორსა (ერთაწმ.). ისეთი ღორი დაუგე, რო კაცი შიგ ჩავარდებოდა (კარალ.); აგრეთვე ქორ.

**დოსაკრავი**-ი სადღეებლის პირის მოსაკრავი (ბაზ.).

**დოსტორი** 1. პირდაპირ, ჯიქურ. პირდაპირ მოვიდა და დოსტორივ თავ დაადგა (დ. თონ.). 2. დაწერილებით. დოსტორივ მოუყვა (ძეგ.). დოსტორივ ჩამოაჭიკჭიკა (ძეგ.).

**დოტყაჭა** უშნო შესახედაობისა (გოგოზე ითქმის). უფრო დოტყაჭამ ვეტყვით, ვისამ მსუქანი, გატყანული პირისახე აქ, უშნო, ტანითაც ბოჭკასევე დაპრეგალებულია. უფრო გოგუებზე ნათქომი დოტყაჭა, ბიჭებზე იმტველათ არა სმარობენ (წილკ.). შენ დოტყაჭა დაუძახე, გასასანატებული კი ძყავთ თელ საგვარეულოსა, და! (წილკ.).

**დოფია** დოს შეჭამანდი (ბავშვის ენაზე). პატარა ბავშვს ვეტყვით ხომე, არ გინდა დოფიაო? (ატ.). ეხლა დოფიას გაჭმეე (ტყვ.); აგრეთვე ვარ.

**დოქეშა** 1. ფართოპირიანი მომცრო ჭურჭელი. თითონ რო პატარაა და დიდი პირი რო აქს, ისეთ ჭურჭელს ვეძახით დოქეშასა (კარალ.). 2. პირალია, ლაქლაქა, ყბედი. რა დოქეშა ქალია, გაუღია პირი და რაც მადღეება, როხამს და ბოდამს (ატ.). 3. უშნო, მოუხერხებელი. მოუხერხებელი ადამიანი რო იქნება, გაუგებელი, იმას ეტყვიან დოქეშასა (მეჯვრ.). ინდუ, სონა რო არი, ეგეთ ადამიანს ეტყვიან დოქეშასა, მაგი ხელიდან არა გამოვა-რა (იგ.).

**დოყ-ი, დოყე** ტყემლის, ქლიავისა და მისთ. მომცდარი ნაყოფი, ბოყვი. რო გამოისახება ნაყოფი, მაშინ გამუა ზოგი ავანტყოფი, დაბრეცილი, არც კურკამ გაიკეთეფს, დოყე ვეტყვით იმასა (წილკ.). იმოტველა დოყი ესხა ჩვენ ჭანჭურსა, რო მეც ხო ვჭაჩე და ჩვენ ბაღლსაც ერთი დიდი მუჭა ამოუტანე (წილკ.); აგრეთვე კავთ.

**დოყ-ი** დიყი (მცენარე). ბალახია ერთნაირი, ზონტიკივითა აქ თავი, დოყს ეძახიან; დიდ ფოთლეფს იკეთეფს, მეტადრე მაღალი იზრდება, მთაზე იცის, ხალხიცა სჭამენ; დოყისაგანა სადღობლებს ვაკეთებდით ხომე ბავშვები, როცა გახმებოდა (ატ.).

**დოყდებ-ა** თამამი იზრდება, ტანს იყრის ნაყოფის მოუსხმელად (მცენარე). ჩინური ვაზი დონიერ ადგილებში დოყდება, თამამდება, რქა სხვილი ერდება და ველარ ისხამს იმტენსა (ოდ.).

**დოყეზი სჭირს (იმიხი...)** ჯაერი სჭირს (იმიხი...). იმიხი დოყეზი მჭირდა და ერთი მაგრა მოუქნიე (ქორ.).

**დრანბ-ი, დრინბ-ი** დიდი, ტლანქი, მოუხეშავი. დრანგი — დიდი სხვილი რამეი, აღარაფერი მოყვანილობა რო აღარ ეტყობა (ერედ.). უშნოთ რო იქნება ადამიანი გასუქებული, იმაზე იტყვიან, დრინგიაო (კარალ.). აჩაკუნესა ჰყამ მამა, ერთი დრანგი, ძლივას

დაათრეშს მუხლფესა (მერ.); აგრეთვე კარალ.

**დრახს**-ი ძალიან მსუქანი და დაბალი (ქალი). დაბალი დედაკაცი რუა ან გოგო და სისუქნით ძლივსდა რო დადიო, იმაი ეტყვიან დრახსა ან დრახსბატონასა, ორივე ერთია (წილკ.).

**დრახსბატონა** იგივეა, რაც დ რ ა ხ ი. ე ჩვენი დრახსბატონასი არ იყვებ, ეხლანდელ გეღეფსა აღარც უმფროსი ესმით და აღარც უნცროსი (წილკ.). ი შენი დრახსბატონა გოგო ისივ ისე სუქანია, თუ გახდა? (წილკ.).

**დრიგინა** 1. ხმაურით მოსიარულე. შხირათ რო დადის, აივლჩაივლის ბრაგაბრუგითა, დრიგინა ის არი (იგ.). 2. იგივეა, რაც დ რ ა ნ გ ი. დრიგინა არი სქელი (ოძ.).

**დრუნცი**-ი მეტისმეტად მსუქანი (ბავშვი). ისეთი დრუნცი ბავშვი ყავთ, ფეხი ვერ აუდგია გერა მეტისმეტი სიმსუქნითა (საკორ.).

**დუბგუა** დაბალი და მსუქანი, უშნო ტანისა. უშნო ტანისა რო იქნება, ქალია თუ კაცი, გაჯინული, დაბალი ძრიენა, იმას ეტყვიან დუბგუასა (მეჯვრ.). გათხუება კი უნდა, მაგრამა ვინ ითსოვს მაგი დუბგუა ნინიასა (წილკ.); აგრეთვე ატ., იგ., კარალ., ქორ., ძეგ.

**დუღგუ-დუღგურეშ**-ს გუგუნებს, ხმაურობს (ხალხი...). ბევრი ხალხი ერთად თაეშეყრი-

ლი რო ხმაუროფს, გუგუნეფს, სუ დუღგუ-დუღგურეშო, ვიტყვიო (ყარ.).

**დუღრუჯანა** ჩასუქებული, ჩამრგვალებული (ჩვეულებრივ, ბავშვი). კაი დუღრუჯანა ბანშვი ჰყანს ნათელასა (მერ.). ერთი დუღრუჯანა გოგო იჰუე საღმე და მაიყვანე, როდემდი უნდა იარო ეგე თავისუფლათა (წილკ.).

**დუზან**-ი, **თუზან**-ი საშუალო სიდიდის ბრტყელი ქვა; იყენებენ მშენებლობაში. თუზანს ეძახიან, ქვა არი; თუზანის ქვა თხელია ცოტა და მიეყუდება ცერათ, მიწოლით; იმერლები წოლას ეძახიან, ფშავლებიცა (ბაზ.). არშიასავით არი დუზანი; დუზნით აშენებული კედელი მაგარიც არი და კარგიც არი (კაპრ.); აგრეთვე ზ. ხანდ.

**დუთქაშ**-ი ჭურჭლის გამოსაწევი ქურის საკეამური. ქურის კედელი რო ამოშენდება, შუაში დატოვილია ხანი ერთი-ორი ვერშოკი, მაგას უძახიან დუთქაშსა (მეჯვრ.). ქურის დუთქაშები, პირველათ რო მოუკიდეთ, მაშინ შავდება, იჭვარტლება (მეჯვრ.).

**დუმაშაქიანი**-ი მოკლე, პატარა დუმის მქონე (ცხვარი). ერთი დუმაშაქიანი ცხვრის მეტი ვერ გაიმეტა დასაკლავათა (ზ. ხანდ.).

**დუნდრუს**-ი მცენარე ერთგვარი. პატარა როა ბუნქათ, დუნდრუსსა იმას ვეძახით, წამალია (იკ.).

**დუნე** სუსტი, უძალო (არაყი, ღვინო). არაყს რო გამოხდი, ბოლოს ძალიან დუნე არაყი ჩამოდის, ძალა არა აქ (ახალშ.).

**დურაღამ**-ს ყინავს, თოშავს, აზრობს. როცა ბევრი აცვია ადამიანსა, მაშინ ეტყვიან ხომე, რაა, გდურაღამსო? (ატ.). რა, გდურაღამ, ორი კაბა რო გაცვია? (ტყვე). რას ჩაგიწყვია ე ხელები უბეში, თითქოსდა დურაღამსო (მეჯვრ.); აგრეთვე ბროწლ., კარ., ძეგ.

**დურაღნაკრავ**-ი დამზრალი, დადურადული. რო შესცივა საქონელსა და დამძრამს, ის არი დურაღნაკრავი. ძრიენ ძნელათა რჩება დურაღნაკრავი საქონელი (მეჯვრ.). დურაღნაკრავი თუ იყო, თორე, მამ ემწრაფათ რა გამოუარდა? (წილკ.); აგრეთვე იგ.

**დურაღს კკრავს** სიცივე დააზრობს, მოყინავს (ცხვარს...). დურაღ საქონელსა აკრავს ხომე; გზაში ნამქერი რო მათაწროფს, ან ყინვა, ან ქარაშოტი საქონელსა, ვერ გაუძლებს სიცივესა და დამძრება (წილკ.). დურაღნაკრავი საქონელი ზოგი იმსააჩივე წაიქცევა, რაწამ დურაღსა აკრავს, ზოგი კია შინამდე კი მააღწევს და მაშინათვე მოკვდება (წილკ.).

**დურაღლ**-ი თხლე, დურდო. დურდლი არი, ღვინო რო დაიღეკამს ძირზე; იმას ვხდით ხომე არაყათა (ატ.).

**დურაღლუბო** იგივეა, რაც დურდლი. დურაღლუბო ქვერ-

ში დარჩენილ ნალექსა ჰქვია, თხლესა (კავთ.).

**დუქნურს დაარტყამს** შორი-შორს დაჰკრავს ბარს, დაუბარავ ადგილებს დატოვებს. გაგვიმწრონ, ფიქრი არ არი, ერთ-ორ დუქნურ დავარტყამთ და წამოეწვივით (წილკ.). თავისაში დუქნურ არავინ დაარტყამს, მაგრამა სხვისაში რაში ედარდება? (წილკ.).

**დღე-დღეში დგას** დღე-დღეზე მოიგებს. დღე-დღეში დგახენი ძროხაი, მენჯები ჩაცვივნული აქ (ტანძ.).

**დღეპანდელა** დღე მთელი დღე. ღორს მოუკრიფე ერთი ბეწო ღიჭა, დღეპანდელა დღე მშინერი აღრძვია (წილკ.). რა დახდალუბდა რამ არი ე გაბუა, დღეპანდელა დღე ორი ხელეური მომკაა მოუნდა (წილკ.).

**დღესპალიურ**-ი მედღეხვალიე. საქმეს ვინც გადადგფს, დღეის საქმესა ხვალ გაგაკეთეფო, ახლა ხვალაც იტყვის — ხვალაო, ის არი დღესპალიური ადამიანი (ბროწლ.); აგრეთვე ახალშ.

**დღვრინ**-ი იხ. დ ვ რ ი ნ ი.

**დღლაჯას მოიღებს** დაენარცხება, ბრავგანს მოიღებს. აჰაა, თუ ბავშვმა დღლაჯა არ მოიღოს ძირსა! (ტყვე).

**დღლურძამ**-ს ყლურწავს, ხუხავს. დავისხი, ერთი ვდღლურძე, მეორე და დავითური კიდეცა (ქვეში). ეგე დღლურძამს ი წარე არაყსა, იტყვი, შეეცილება ვინმეო. (წილკ.). **იდღლურძამს**: ერთი



ჭიქა აქ ვიდღღურბე, ერთი — დე-  
დაჩემთანა და შექეწიანებული ვი-  
ყავი (ტყვ.).

**დღრაქლ-ი, დღრიმლ-ი**  
წვინტლი; დღორბლი. დღრამლი  
გასდის პირიდანა თუ ცხვირიდა-  
ნა (კარალ.). მაგოდენა ბიჭი ხარ  
და ვერ მაიხოცამ დღრიმღეფსა?  
(თამ.).

**დღუნც-ი** უშნოდ მსუქანი,

სქელი, მოშვებული (ჩვეულებრივ,  
ბავშვი). „აი, შე დღუნცო“, — ბავ-  
შვისთვინ გვითქვია, ისე კიღვ  
დიღზეც ითქმის, გინდა ქალი  
იყოს, გინდა კაცი, თუ სუქანია  
(ბროწლ.). უნდომანდოთ სუქანია,  
მძიმე ბავშვია, დღუნცი, მოშვე-  
ბული (ოდ.); აგრეთვე ატ., თამ.,  
კარალ., ტყვ., ქემ., ძეგ.

**ე**

**ეზზაკურებ-ა** დიდი ამბით  
ემზადება, ფაფხურობს, ფახიფუ-  
ხობს. ჩემი ქალიც ეზზაკურება  
წრეულა, ვითომ ქალაქში ვისწავ-  
ლიო, მაგრამა... (კარალ.).

**ეზარბარებ-ა, ეზურბუ-  
რებ-ა** ეფერება; ეალერსება. ხო  
კაცია, ბავშვებსა ისე ეგარგარება,  
ზოგი დედა ვერ მიეგარგარება  
ისე თავი შვილსა (ბროწლ.). ეგ  
რო ცოლ-შვილს ეგურგურება, ნეტა  
ყველა მაგისთანა იყვეს! (ტყვ.).

**ეზემებ-ა** ეამება, მოეწონება  
(საჭმელი). ავანტყოფს მჟავე საჭ-  
მელი იქნებ ეგემოს-მეთქი (ტყვ.).  
ისე მეგემა! ძიენ გემრიელი საჭ-  
მელი იყო (ბროწლ.); აგრეთვე ატ.

**ეზღებ-ა** აქეთ-იქით აწყდება,  
ექებს რასმე. ქათამზეც იტყვიან,  
კვერცხი დასადებათ ეგლებათ  
(ატ.). აქა-იქა ეგლებათ, ადამიან-  
ზე იტყვიან, ხან აქეთ რო მიაწყ-  
ყდება, ხან იქითა, რაღაცას რო  
ექებს (სამთ.).

**ეღებ-ა** კვერცხის დასადებად  
ადგილს ექებს (ქათამი). ქათამს  
რო კვერცხის დაღება უნდა და  
საბუღარს ექებს, ეღება (ბროწლ.).

**ეღუყებ-ა** ედიღგულება, უჯი-  
ბრდება. ეგრე ყველას რო ეღუყე-  
ბი, იმიტომ არი, რო გულში უზი-  
ხარ სუყველასა (კავთ.).

**ეთართიშებ-ა** ეეჭვება, იმე-  
დი არა აქვს. რავი, მე კი ძაან მე-  
თართიშება და შენი არ ვიცი. გა-  
ზაფხულია, ხალხი ქესეტათ არი  
და კიღენაც რო უნდოდეა მოსვლა  
კაცსა, ვერ მუა (წილკ.). მე ძაან  
მეთართიშება იმათი განთავისუფ-  
ლება, პატარა საქმე ხო არ არი,  
რო მიაფუჩეჩონ? (წილკ.).

**ეკაკამებ-ა** ეფერება, ელო-  
ლიაეება. სად ველოლიაეო, ვეკა-  
კაო იმათა! (ხაშ.). იმას უნდა,  
იმის შვილეფს ვეკაკაო (ჩუმათ.).

**ეკალა სიმიინდი** სიმიინდის  
ჯიში ერთგვარი; წერილმარცვა-  
ლა, საბატობუტე. ეკალა სიმიინდს.

სახალავათა თესავენ; წენიკი მარცვალი აქ, ეკალივით, ბატბუტ ხალავენ (ქემ.).

**მკაწუნებ-**ა უკმეხად, უხეშად უპასუხებს. ის კიდე არ ეშვება, ეკაწუნება, სიტყვას უბრუნებს (ქემ.).

**მკაწაპუნებ-**ა უკმეხად, მკვახედ ეპასუხება (შდრ. კაპუნი). რაღას შეკაპუნები, ხო ხედამ, ყურადღებას არ გაქცემ (მერ.). ეგრე რო ეკლაპუნები მაგ ხნის ქალსა, სირცხვილი სულ დაკარგე? (ხაშ.); აგრეთვე სურ.

**ელამფუტა** ელამი. თვალამოკრეხილი არი თვალმოჭუტული, ელამი, ელამფუტა (ტყვ.).

**ელილიფარებ-**ა ეფარისეველება. სახვეწნი ააქს მაგასთანა და რა ქნას, პირში ელილიფარება, ზურთუკან კი სამარეს უთხრის (ქვეში); აგრეთვე კარალ.

**ელუკლუკება-**ა ტკბილად ელაპარაკება, ეფარისეველება. პირში გელუკლუკება ევა, ზურგს უკან ძვირს ამბობს შენზე (ატ.).

**ემდენზე** იგივეა, რაც ანდეზე (იხ. ანდე). გზა რო არ იცის ადამიანმა და მაინც წავა, იტყვის, ემდენზე წავედი, მაგრამა არც კი მიკითხია, ისე სწორეთ მიედოდიო (მეჯვრ.). **ემდენზე სიარული** ხეტიალი, ყიალი. როცა უსაქმოთ დადის ადამიანი ბევრსა, ხან სად მივა, ხან სადა, იმაზე იტყვიან ემდენზე სიარულსა (კავთ.).

**ემოფაფა, ემფაფა, ემფა-**

**წინა** ასე პაწაწა, ასე პაწაწინა. ემოწეწეები იყვნენ ჩემი ბავშვები, ქმარი რო მაიკვდა (თამ.). ამზამთარა ისე ავათა გეყამდა ნანულაი, ისე, რომა ემწეწას ველარასა ჭამდა (ერედ.). ემწეწინა ამოვიდა კარაქი, ისიც არ ვარგოდა (ქემ.); აგრეთვე ატ.

**ემურემურებ-**ა ებუზღუნება. სუ ემურმურება ბიჭი თავის მამასა, გინდა თუ არა, ახალი შარვალი მიყიდეო (კავთ.).

**ემსმეველებ-**ა ესიყვარულება, ეფერება. ძაან გამხვეველება ე ბაღლი, სული სულსა ცნოფსო, რო იტყვიან, მართალი თუ არი? (წილკ.). რას ემხვეველები, შვილო, იცი, რო შენიანია? (წილკ.).

**ენაზე კბილს დაიდგამს 1.** უცბად გაჩუმდება, ენას კბილს დააჭერს. სუ დამავიწყდა, ქა, რო ისიც იქ იყო; რო შევხედე, მერე კი ენაზე კბილი დავიდგი (კავთ.). რაღაცის თქმა უნდოდა და რო დამინახა, ენაზე კბილი დაიდგა (მეგ.). **2.** მიხვდება, იფიქრებს, იაზრებს. მაშინვე ენაზე კბილი დავიდგი, ეს სუ ქეთოს ოინებიამეთქი (მერ.). მერე რო ნუნუ გასუქდა, ტანი გეემსო, ენაზე კბილი დავიდგი, ორსულათ ხო არ არი ე გოგო მეთქი (მერ.).

**ენაზე ფინს იდგამს** ბორძიკით ლაპარაკობს, ენა ებმის. ძლივს რო ლაპარაკობს ადამიანი, ენის ბორძიკითა, იტყვიან: „შეკაი კაცო, თუ რამე გააქ სათქმე-

ლი, რა ენაზე ფეხს იდგამო?“  
(ქვ. ჭ.).

**ენამაპრატელა** ენატიკტიკა, ტიტინა. რა ენამაპრატელა ბავშვიო, გვითქვია, მოლაპარაკე ბავშვი რო არი (ატ.).

**ენამასწარა** ვისაც ენა წინ უსწრებს, ენაგრძელი; ენაჭარტალა. რო არავის აცდის ლაპარაკსა, ენამასწარას ვეტყვით იმასა (ატ.). დროული დედაკაციც იქნება ენამასწარა, ბავშვი ზო იქნება და იქნება! (ქვ. ჭ.).

**ენამაჭანკალა** ამბისტანია, ჭორიკანა; ენაჭარტალა. ენამაჭანკალა ჭორიან ადამიანსა ძქვიან (იგ.). ენამაჭანკალაა ე იმერლიანთ ქალი, სუ იმი ცდილშია, ვინმეზე რამე გაიგოა, რო მიუტანოა ამბავი და აჩუბოა (წილკ.). ძიენ ენამაჭანკალა არი ე გოგოი, ამი ენაზე არა დადგება რა! (მეჯვრ.).

**ენამაჭატა** ენაჭარტალა, ენაგრძელი. ენამაჭატა — ვინც ბევრი ლაპარაკი იცის, იმაზე არი ისა ნათქვამი (ხც.). ენამაჭატა, რაც მოგადგება პირზე, ყველაფერი უნდა თქვა!? (ყანჩ.).

**ენამკმასხე** უკმეხი, ენამწარე; უკმეხ სიტყვას რო ეტყვის, გაამწარეფს ადამიანსა, ენამკვახესა იმას ვეტყვით (ატ.). ენამკვახე ადამიანმა პირში თქმა, მწარემწარე სიტყვების პირში მიხლა იცის (დ. თონ.).

**ენას ამოიბნებს** ენას ამოიღებს. ადამიანსა რო უჭირს ლაპარაკი და უცბათ იტყვის რამე-

სა, შენც ენა ამოიგნეო, ეტყვიან (კავთ.).

**ენას ებრძვის** ენას იდგამს (ბავშვი). ჩემი გოგო ენას ებრძვის, რაღაცეფს ამოფს უკვე (ტყვ.). ენას ებრძოდა, იმხელა ბავშვი მოუკვდათ (კარალ.).

**ენა-ყბაზე** (ენა-ყბად) აიღებს სალაპარაკოდ გაიხდის, ყბად აიღებს. ადამიანსა ენა-ყბაზე რო აიღებენ! (დად.). რა ენა-ყბათ ამიღე, რა ნახე, ქალო, ჩემზე ჩამოგიწყდა საქმეი?! (ატ.).

**ენაწყარილ-**ი ენაჭარტალა, ენაგრძელი. გრძელი ენა რო აქ, ვეტყვით, ენაწყარილიო, ზოგი ენაწყარილ ეძახის, ზოგი — ენაპირათ გაკრეფილსა (ატ.). ე თუთარაანთ ვარაი რა ენაწყარილი ქალია! (თამ.).

**ენაწმინდა** მკაფიოდ, გამოკეთილად მოლაპარაკე. ენაწმინდა რო იქნება, რო დაბრკოლება არა აქ ლაპარაკშია, იმას ეტყვიან, კაფიეთი სიტყვა ააქო (წილკ.).

**ენასარშება-**ა ესაუბრება, ემუსაიფება. რას გენახარშება შენი ბიჭი? (თამ.). აბა, ვის უნდა ენახარშოს?! (ქემ.).

**ენიბნება-**ა ენატრება. გულით ენიაზებოდა ბავშვის ნახვა და არ აჩვენეს (ბიწმ.).

**ენიან-**ი ავი, კაპასი. ჩვენი სონაი ენიაია, მა რა არი, გინდა — რეზოს ცოლი (ტყვ.). ეგ ისეთი ენიაი ქალია, რო ცხენიან კაცს ძირს დასცემს (კარალ.); აგრეთვე დ. თონ.

**ენით ამპარტავანი** ტრახაზა, მკვეზარა. ენით ამპარტავანი ის არი, ვისაც არა აქ რა და მაინც კოხტაოფს, შრალზე კოხტაი (ბროწლ.).

**ენით ნანატრი (ენით სანატრელი)** ძალიან კარგი, საუკეთესო. აწორეთ ენით ნანატრი შვილები აყავ მა ღურასა, ყველაჲ პატივმცემლები, გამგონები (წილკ.). ენით სანატრელიაო, რო იტყვიან, აწორეთ მაგაზეა ნათქომი. ნეტა იმ დედაჲ, რა დედასაც მაგითანა შვილი ეყოლება! (წილკ.).

**ენუკებ-** 1. ეხვეწება, ემუდარება, სთხოვს. დედას ენუკებოდა, ოღონდაც ორი მანეთი მომეციო (ქემ.); აგრეთვე არად., საკორ., ძეგ. 2. შესტრფის. ყველაფერი ბედის საქმეა, მარსკვლავეით ბიჭები ენუკებოდნენ, აი, ეხლა კი ვის დარჩა! (მერ.). ე ბიჭი ჩემ გოგოს ენუკება და აღარ იცის, როგორა მცეს პატივი (მერ.).

**ერბობალას-** ბალახი ერთგვარი. ერბობალახი ხაჭმაჭიჭასეუფ არი, ხალათა ხმარობენ; საშუალო ზომისა არი სიმაღლითა, პტყელი ფოთელი აქ, ყვითელი ყვავილი (ბროწლ.).

**ერბოს სალესავი** ერბოქვა. იარაღს რო ლესავენ, იმას ვეძახით ერბოს სალესავსა. რბილი ქვაა, იმითვინ ეძახიან ერბოს სალესავსა (ატ.). ერთი ერბოს სალესავი გვაქ და მამაჩემს სადღაც გადუშალია (კავთ.).

**ერბოწყალა** მცენარე ერთგვარი. ბალახია ეგეცა ერბოწყალაი, ხალათა ხმარობენ მაგასაცა, ყვავილი არა აქ იმასა (ბროწლ.).

**ერდოზე შეისვრის (ვისიმი ნათქვამს...)** არაფრად ჩააგდებს, ანგარიშს არ გაუწევს (ვისიმე რჩევას, დარიგებას). ვინ იცის, რამდენჯერ დამირიგებია, მაგრამა იმანა ჩემი სიტყვა ერდოზე შეისვროლა და ეხლა, რაც მოუვა, თავი თავს დააბრალოს! (მეჯვრ.).

**ერთბაშა 1.** უთავბოლოდ, უანგარიშოდ მხარჯველი, უყაირათო. დაზოგვა რო არ იცის, ერთბაშა აღამიანია ისა, აბუჭაი (ატ.). ზოგსა თელი წლის სარჩო ჰქონია, მაგრამა ერთბაშაა, ხელათ შეაჭმევს სხვასა და დაჯდება ისე (ძეგ.). 2. აჩქარებული, ფიცხი. ჩქარა რო იცის გადაწყვეტაი, დაუფიქრებლათა, ისიც ერთბაშა არი (ბროწლ.).

**ერთი მტვერა** ერთი ბეწო, სულ ცოტა (იტყვიან ფქვილულზე). ერთი მეშოკი ფქვილი მაინც მოიტანე, თორე სულ არა მაქ, არც ერთი მტვერაი (ქემ.). ერთი მტვერა ფქვილიც აღარა მაქ, შენ რა უნდა გასესხო, ვერა ხედამ, რა უნაფქობაა?! (კავთ.).

**ერთი მუქარა** ერთი შეტევა, ერთი პირი სამუშაო. ყანა მომეკეთ, ერთი მუქარაღა დაგვრჩა მოსამკელი (დ. თონ.). ერთი მუქარაღა დარჩა, ბარემ გავათაოთ (ძეგ.).

**ერთი სული ჰყოფნის** ძალიან ცოტა სჭირდება, ცოტა ჰყოფნის. ერთი სული ჰყოფნისო, მალე მოიხარშებაო, ვარიაა, ხბოა, ამაზე ვხმაროფთ (ატ.). ეპ, ნეტა როგორც მაგასა ერთი სული აყოფნის! როგორც დააფენამ, მაშინვე უნდა ააქრიფო, იმწამვე გაშრება (ერთაწმ.).

**ერთი წება** ძალიან ცოტა; რამდენიც თითის დაწებით აიღება. რო გამოელევა ფქვილი, რო ერთი მუჭაც აღარ ექნება, მაგაზე იტყვიან, ერთი წებაც აღარა მაქო (კავთ.). შესადღეები მაქ, ერთი წება საცხები არა მაქ სასშია (ბროწლ.).

**ერთი ხმა ზეცასა აშვს, ერთი — ქვესკნელსა** ძალიან ხმამაღლა ტირის (ყვირის...). ერთი ხმა ზეცასა ჰქონდა, ერთი — ქვესკნელსაო, იტყვიან, ბავშვი როცა ძალიან ხმამაღლა ტირის (სამთ.).

**ერთნაყოფი**-ი საქონელი, რომელმაც პირველად მოიგო. ერთნაყოფი, პირველათ რო მოიგეფს ძროხა, ცხვარი, ის არი (დ. თონ.); აგრეთვე ძეგ.

**ერთსაქონობა** ერთი ჯერი, ერთი პირობა. ერთხელობა ცხვარი წაასხეს (კავთ.).

**ერთბინება**-ა ფეხს ეტანება, გავლას ცდილობს (ბავშვი). ჯერ სუ პატარა არი ქეთოა ბიჭი, მაგრა უკვე ეტოტინება, ფეხს ეტანება თურმე (იგ.).

**ეტოშება**-ა ეუცხოვება, გაუ-

კვირდება; ეწყინება. როგორ ეტოშა, სახში რო ცულ სიტყეებს არ არის მიჩვეული! (კარ.). მეტოშა, როცა გავიგე, იმას სასიკვდილო რა ჰქონდა-მეთქი (ტყე.).

**ეუმცროსება**-ა უსრულებს (დაეალებას, სურვილს). არავის ეუმცროსება ე ქრისტიანი და სამადლოდ კი დადის (ლამ.). მართალია, დიდი სიკეთე აქ ჩემზე, მაგრამ მეც, რაც შემძლია, ვეუნცროსები (ბიწმ.); აგრეთვე იკ.

**ეუპირულება**-ა 1. არ სჯერა, ეეჭვება. ლაერენტა დამპირდა, მანქანას გამოგვზავნიო, მაგრამა რაღაცა შეუპირულება (იგ.). მე კი ძაან შეუპირულება მაგ გოგოა მორჩენა და სხვისა რა მოგახსენო! (წილკ.). 2. ეუხერხულება, ერიდება (ვინმესი). ეუპირულა ეთერასთან მისეღაი (ქორ.); აგრეთვე მეჯერ.

**ეფარება**-ა 1. ეხმარება (მატე-რიალურად). თავისი სამშობლო ეფარება ძალიანა, იმითი უღვათ სული (ბიწმ.). 2. რგებს. რასაც ესა ჭამს და არ ეფარება; ისეთია, ძვლები ეთვლება (ბიწმ.).

**ეფარება**-ა ეფერება, ელოლიაეება. ზოგი აღამიანი ისეთი გუნებისაა, თუ სუ არ ეფერე, არ ეფარებზე, ხელს არაფრით გაგიმართამს (კავთ.).

**ეჟერება**-ა სძერება კანი, ექერცლება. სახე მექერება (ძეგ.). კანი მექერება (ნოს.).

**ეკოლიაება**-ა იგივეა, რაც უქოლიებს. ჩემი დედამთილი

რას აკეთებს? თელი დღე უნდა იჯდეს, ბამშვს ექოლიაოს და იყოს ისე (ერედ.).

**ელიდლიდებ-**ა უთავებოლოდ ელაპარაკება. არ მოსწონს იმი-ლაპარაკი და გულში ამოფს, რას მელიდლიდებო (ოძ.).

**ელირებ-**ა ეტანება, ეძალევა; თავს აწონებს (ვაჟი ქალს). გრი-შა რო მოდიოდა ხომე, ჩემ რუსი-კოს რო ელირებოდა, ევა მაშინა ემწუნა იყო (ერედ.). ელირებიან ბეურნი, მაგრამა დაბალი ითხოვს, დაბალი ხაარო, მაღალი ითხოვს, მაღალი ხაარო, რავი, არავის არ წაჰყვა ჯერა (სად.).

**ეყელზეითება-**ა ედიდგულე-ბა. მე რას მეყელზეითები, ჩემთან რა საქმე გაქ?! (წვ.). ეხლა ქმა-რიც ეყელზეითება და საწყალი გოგო თავში ჩაკრულივით არი (ბიწმ.).

**ეყელყელავებ-**ა ედიდგულე-ბა, ემედილურება. ვის ეყელყელა-ვები, ხო იცი, იმათი ტყუილი გა-ვა და შენი მართალი — არა (მერ.).

**ეყიღებ-**ა ევაჭრება. ერთი კა-ცი ეყიღებოდა მარუსასა და იყი-და თუ არა, არ ვიცი (ქორ.).

**ეშმაკის ცხენზე შეჯდება** გაჯიუტდება, გაკერპდება. ეშმაკის ცხენზე შეჯდა, აღარ გავეყვები და არაო (ბროწლ.). რო შეჯდება ეშმაკის ცხენზე, შენ რო შენსას ეცადო, ვერ გადაათქმევინეფ (ტყვ.); აგრეთვე ძეგ.

**ქანანარებ-**ა 1. ეჩხუბება,

ეკინკლავება (შდრ. ჩანარი). გა-მანებეი თავი, რას მეჩანარები, თუ მინდა, გავაკეთებ, თუ არა და — არა! (ქემ.). როგორ ეჩანარება თავის მამასა, როგორ ებმის პირ-ში, ის მიწის ლუკმაი, ისა! (კა-რალ.). 2. ელაზღანდარება. თელი დღე ლუბას ეჩანარება, მეტი რა შნო აქ? (ტყვ.); აგრეთვე საგურ., ტყვ.

**ქიქიქიქიქიქი** უზრუნველი, უდარდელი (ადამიანი). ეგეთი ეჩემფეხება თუ არი და გულთან არაფერს უშეფეს, იმიტვინაც არ ეკიდება სიბერეი (წილკ.). აი, ეხ-ლა, ეჩემფეხება კაცის დრო მო-ვიდა, შრომა აღარ უყვართ ეხ-ლანდელეებსა (ბროწლ.); აგრეთვე ტყვ.

**ქიქიქიქიქიქი** ეძინება. ეძილ-ქუშება და ფეხზე კი დგება ბავ-ში (ლამ.). რა სუ გეძილქუშება, რა მოგივიდა, რა ძილის მონა გახლი! (ბროწლ.).

**ქიქიქიქიქიქი**—ა გაჰყვება, გაუდ-გება (გზას). ე ბალდი ეწყემსა ამ გზასა და ეპოუნა ხარი, მოიყვანა (ბიწმ.).

**ქიქიქიქიქიქი**—ა ეჩრება, ეჩხირე-ბა, ეტმასნება. რას მეჭმატნები, რა მოგივიდა!? (სამთ.).

**ქიქიქიქიქიქი**—ა ერიდება, ეხათ-რება. შენიანი არ არი, ნეტა რათ გეხადილება სესხვაი? (კავთ.).

**ქიქიქიქიქიქი**—ა ეხამუშება, ერო-თირება. დაჩუეული რო არ არი ახალი რამის ჩაცმასა, იმიტომ ეხამუშება (კავთ.). — ახალი კბი-

ლები არ გეხამუხება, დარე? — ეხამუხება, მაგრამა რა ქნას? (ტყვ.); აგრეთვე დაღ., ნოს., ოძ., საგურ., წილკ.

**მსასმებ-**ა ეფიცება, ეხუხება. ფერ ვეხახები ზომე თელი ზამთარი, კი არ შემოდლია უფეროთ ღაღღე (ატ.).

**მსასმებ-**ა: რა მისასმება? რას მარგია? მე ვეწვალები, მაგრა მე რა მეხახება?! (ატ.).

**მსოშმაშმებ-**ა ეთამაშება, ეარშიყება. შენ როგორღაც გეხოშმაშება ი ბიჭი (საგურ.).

**მსონგმარიკებ-**ა, **უსონგმარიკებ-**ა 1. ეპირფერება, ეფერება, ელაქუცება. ტყუილა ნუ მიხონგმარიკდები, შეილო, შენ ჩემ გულს ვეღარ მოიგებ! (ტყვ.). ნეტა რას ეხონგმარიკები, ზომ ხედავ, რომ მაგ ხონგმარიკითაც არა გამოდის რა! (ტყვ.). 2. ეკურკურება, ეტრ-

ფის, ეარშიყება. რო ეარშიყება, თან ვერა ბედამს და არც ეშვება, უახლოედება, იტყვიან, უსონგმარიკდებო (არად.). ი ბიჭი რაღაც სხვანაირათ გეხონგმარიკება, ხაეჭვო ხო არაფერია თქვენს შუა? (ტყვ.); აგრეთვე წკ.

**მჯავახებ-**ა უხეშად ეპასუხება, ეკამათება. ჩხუბი რო მოხდება და ერთმანეთს რო ეკამათებიან, იტყვიან, ეჯავახებიან ერთიმეორესო (ტირძ.). რას მეჯავახები, უფროს-უმცროსი აღარ იცი? (ძგვ.); აგრეთვე ახალშ., თამ.

**მჯილღავეებ-**ა ეკინკლავება, ეკამათება. სუ ერთავათ მეჯილღეებოდა; აბა რას ეჯილღეებო, მერე ელომ უთხრა (ზერ.). ის ბენძლი, ის ეჯილღეება მერისა და იმანაც რა ქნას! (ტყვ.); აგრეთვე კარალ., საკორ.

### 3

**ვაზის ღეღანი** საპირე ვაზი, რაზეც უნდა დაიყნოს (ძგვ.).

**ვაზის ცის ბახსნა** ვაზის თავების გადამტვრევა. ვაზის ცის ბახსნაზე ემუშაობდით, თქვენ რო ღაგვიძახეთ (ალი).

**ვაზს დაბრმავებს** 1. ვაზს კვირტებს დაჭრის. კვირტ მიაჭრიან მწარე ვაზსა, დაბრმავებენ, მერე კაი კვირტსა ჩაუღებენ და დაამყნობენ (ზერ.). **ვაზის დაბრმავება:** ორი კვირტის გარ-

და სხვა კვირტს დააჭრი ვაზსა, ეგ არი დაბრმავება (ალი). ვაზის დაბრმავებაზე მამაჩემი არავის მიგვიკარებდა ზომე (ალი). 2. **ვაზი დაბრმავდა** იტყვიან, როცა ვაზის კვირტები არ გამოვა, არ გაიშლება. კვირტი რო გამოდის ახლათა, რო გახმება, რო არ გაიშლება, ვიტყვიით, ვაზი დაბრმავდაო (ძგვ.).

**ვაიშაბლას-**ი უვარგისი ნარჩენები, ნაგავი. ისეთი პური ღამი-

ზრუნა ვალში, რომ ცარიელა ვაი-  
ვაგლახია (დ. თონ.). ვინ დაყარა  
ეს ვაივაგლახი კარ-მიდამოზე?  
(დ. თონ.); აგრეთვე ატ., ბროწლ.

**ვალად წაშვება?** ვალი დაე-  
დება? რა დააკლდება? რა დაუ-  
შავდება? ვალათ წაუიღოდა, რო  
იმითვინაც ერთი წყვილი ნასკით  
გული მეეგო? (წილკ.). ვალათ  
წაუვა, რო ერთი მანდილი მიყი-  
დოს? (დ. თონ.).

**ვარაყი (ვარაყანი) ბა-  
დასდის (სახეზე)** ყვითელი  
ფერი გადაჰკრავს (სახეზე), გადა-  
ყვითლებულია. ძრიენ რო გადა-  
ყვითლებულია ადამიანი ან ავან-  
ტყოფობით, ან გამხდრობითა, ან  
სხვა რითამე, იტყვიან, სუ ვარა-  
ყი არ გადაადის სახეზედო?  
(ერთაწმ.). რო გაყვითლდება რა-  
მეი, ბუნებაცა, თუნდა ადამიანი,  
ვარაყანი გადაზდიოდო, ვიტყვიეთ  
(კარალ.); აგრეთვე მეჯერ.

**ვარდნი ფენობა** იგივეა, რაც  
სულთფენობა. უსანეთობის  
წინა დღეს, შაბათ იციან ვარდი-  
ფენობა; კვდრეფს დაყრიან ვარ-  
დეფს, ყვაილეფს; სულთფენობა-  
საც ეტყვიან და ვარდიფენობასაცა  
(ბროწლ.). ვარდფენობა რო იქნე-  
ბა, საფლავეზე ყვაილეები უნდა  
მოაფინო, უბრათ დაკრეფილი  
ყვაილეები (კარალ.); აგრეთვე  
ტყვ.

**ვარსკვლავა 1.** ვაშლის ჯი-  
ში ერთგვარი. ვარსკვლავასა  
ვაშლს ეძახიან ჩვენთან, ვარსკვ-  
ლავივით არი დაყოფილი ხუთ ნა-

წილათა, მაგარია, ზამთრამდინ  
ინახება, დამწიფებულიც მწვანეა  
(შინდ.). 2. საქონლის სახელაა  
(ატ.).

**ვარცლის დალოცვა** იგი-  
ვეა, რაც საცრის ხელის  
შემოკვრა. ვარცლის დალოცვა  
ქორწილში იციან. ქორწილის  
დღეს პურის მცხოვლები გააწყო-  
ბენ პატარა მაგიდას, მოსული  
სტუმრები და ოჯახის წევრები  
ხაბაზებს აძლევენ ფულს, ვისაც  
რამდენი ემეტება და არყით ლო-  
ცავენ პური მცხოვლებსა და ნე-  
ფე-პატარადალს. ვარცლის დალო-  
ცვა მაგას ჰქვია (სამთ.).

**ვაშლაკომშა** კომშის ჯიში  
ერთგვარი. რბილი კომშია ვაშლა-  
კომშა, მახრჩობელა არ არი, კარ-  
ქი საჭმელია (კავთ.). ვაშლაკომ-  
შას მურაბა მეხარაშა ჩვენებთან  
კატუასა, ისეთი გამოახვლიყო,  
როგორც ფაფაი. ჰა, გაგონილა  
ვაშლაკომშას მურაბაი? (კავთ.).

**ველი**-ი სვე, სვრელი. ველი  
ჰქვიან მანძილსა, რასაც მცელა-  
ვი ერთი გავლით გაცელავს  
(ვარ.).

**ველის ხარი** ხარი, რომელიც  
ხენის დროს ველზე, მოუხნავზე  
დადის. რო გვინდა გუთანნი სუ-  
ბუქათ წავიდეს, მაშინ ვეტყვიეთ,  
ველის ხარი გაურეკე, რომ გუ-  
თანმა ბევრს არ მოჰკიდოსო  
(მერ.).

**ველი**ბ-ს ფართო კვალს აე-  
ლებს (გუთანნი). ყველამ კი არ  
იციის, გუთანნი როგორ უნდა მარ-



თოს, როგორ ველობს, როგორ კვალობს (ზ. ხანდ.).

**ვეძა 1.** მლაშე, მარილიანი. შენ რო ამბოფი, რომა მლაშეაო, აბა, როდის არი? — მაშ რა არის, ქალო, ნახე, ვეძაა, ნახე! (კარალ.). ისეთი ვეძა კერძი მოგვიტანა, სუ ყელი ამოგვეხრანწა (ერთაწმ.). **2.** შურიანი, თვალხარბი. შურიანი ადამიანია ვეძა (ერთაწმ.); აგრეთვე კარალ., ხც. **თვალეზიდან ვეძა ამოსდის** (ბადმოსდის) შურს, ეხარბება. რა ვეძა ამოსდის თვალეზიდან, რა შესაშური იყო ჩემი ძროხის ყიდვავი, თითონა არ აქვავია?! (დ. თონ.). თვალეზიდანა ვეძა გადმოსდიოდა, ახალ პალტოში რო მხედამდა (თვალ.).

**ვიპ! ვიქხა! ვიქსი!** შეძახილი ღორის გასაგდებად (იკ., კავთ., საგურ.).

**ვიო** საშუალო ზომის სწორი გათლილი ხე, ბოლოში შეჭრილი, ღერძკალას (იხ.), ჭოჭინის თივლის ჩასასმელად. ვიო აქ ღერძკალას და ჭოჭინასაც; არი ძწორე ხე გათლილი, ბოლოზე გაიჭრება შუაზედა და შიგ გორგოლა გეეკეთება (წილკ.). ეა ხე არ და-

აჭრეინო ბალღეფსა, ვიოათეინ მინდა! (წილკ.).

**ვირანა ლობიო** ლობიოს ჯიში ერთგვარი; ჩვეულებრივ, ხმარობენ ნედლად. ვირანა ლობიო კავიანი ლობიოა, მარცვალს ისხამს შავსა, ყვავილათა ეხმარობთ (შინდ.). ვირანა ლობიოს ეძახიან, ხმელათ ისე არა ხმარობენ, როგორც ნედლათა (მჭაღ.).

**ვირვაშლა** ვაშლის ჯიში ერთგვარი. თეთრი ვაშლი იყო ვირვაშლა, უფერული, დიდი, მომჟავო, წვნიანი (საგურ.).

**ვირი აუბორეზია 1.** ძალიან დაუსვრია, დაუთხვრია (ტანსაცმელი). რა არი, ბიჭო, დილას არ ჩაგაცვი სუფთები, რა ვირი აგიგორეზია!? (კავთ.); აგრეთვე რუსისი. **2.** აურდაურეკია (სახლი). ისეთია სახლი, რო შიგ არ შაიხვლება, ვირი აუგორეზიათ (ძეგ.).

**ვისადროში** როდის-როდის. საციქველითეინ რო მიხვალ, ჯერ ვისადროში უნდა გამოიდეა, ახლა ვისადროში მაახერხეფს, რო პასუხი გაგეუა (წილკ.). ვისადროში მოიხარშება ეგ ხორცი, სხვა მოიტა რამე! (კარალ.); აგრეთვე ატ., ძეგ.

## ზ

**ზამათი-ი 1.** ავდარი, ცუდი ამინდი (შდრ. ავიზამათი). ზამათია ავი ამინდი, წვიმა, ქარი, ღრუბლიანი დღეი (ხოვ.). წელს

ძაან ავდრობდა, სეტყვა იყო, ფინთი ზამათი მოვიდა, აწონ ხალხსა (ატ.). **2.** დიდი თივლი, ზეავი. დიდი თივლი რო ჩამო-

წება, ზამათი ჩამოწვავ (ატ.).  
დიდი ზამათები ყოფილა მთაში  
თოვლისაი (კავთ.); აგრეთვე ძეგ.

**ზამთრეულ**-ი 1. ზამთრის  
სარჩო. რასაც შევინახავთ ზამთ-  
რი სარჩოსა, სიმინდია, ლობიოა,  
ხილია, ის არი ზამთრეული  
(ბროწლ.); აგრეთვე ატ. 2. ხილი,  
ბოსტნეული..., რომელიც ზამთ-  
რამდე ძლებს. ზამთრეულსა ხილ-  
ზე იტყვიან, ისე კიდე ბოსტნეუ-  
ლი იქნება, რაც იქნება, რომელიც  
კარქა ძლევს ზამთრამდინა და  
არა ფუჭდება (იგ.). ჩვენა მეტი-  
წილი სუ ზამთრეული ხილი გვედ-  
გა (იგ.).

**ზამთრობ**-ს ზამთარს იტანს.  
ეს ვაშლები სუყველა კარქა ზამთ-  
როფს, ხოლოთ ეს სხლები ნაკ-  
ლებია (იგ.).

**ზანგელა, ზანგულა** ზან-  
ტი, ზარმაცი. აღამიანზეც ითქმის,  
საქონელზეცა, ზანგელააო, რო-  
მელიც ზანტი არი და წელმოწ-  
ყვეტილი (საკორ.). თჳ, თჳ, რა  
ზანგულა ხარ, აბა, როდისღა უნ-  
და ჩავიდე გორში? (ტყე.); აგ-  
რეთვე ქვ. ჳ.

**ზანგიზუნგით მივა (მი-  
უტანს...)** მძიმედ დატვირთული,  
დაზურგული მივა (მიუტანს...).  
ბევრ რამეს რო მიიტანს, და-  
ტვირთული რო მივა, იმაზე იტყ-  
ვიან, ზანგიზუნგით მივიდო (სა-  
კორ.). სიძე მოგდისო, ისე მახა-  
რა, იტყვი, ზანგიზუნგით მამიტანს,  
საჭმელი გინდა თუ ჩასაცმელი  
(წილკ.); აგრეთვე კავთ., ოძ.

**ზანზღლ**-ი ცუდი, წვიმიანი  
ამინდი. ცუდ ამინდ ვეძახით ჩვენა  
ზანზღლ ამინდსა, თან ავდარიც  
როა (ატ.). ზანზღლი დღე არ იყო:  
იმ დღესა? იცრემლებოდა (ატ.).

**ზანზღლით** ნელა, აუჩქარებ-  
ლად, ზოზინით. „რას ზანზღ-  
ლოფ?“ — რო საქმეფ და ზანზღ-  
ლით მიდის, ეზარება საქმეი, იმა-  
ზე ვიტყვი (ხოვ.).

**ზანზღლობ**-ს 1. ჯანჯლობს.  
ესე რო ზანზღლოფ, ისა შჯობი-  
ან, რო თავი გაანებო (კავთ.).  
რამდენი წვალება უნდა და, გასა-  
ყიდათ რო მიმაქ, ათი შაურითვი-  
ნა ზანზღლობენ (ზერ.). 2. იზან-  
ზღლება ზოზინებს. რაღას  
ზანზღლოფ, წადი დროზე! (ატ.);  
აგრეთვე ხოვ.

**ზარაპანდი**-ი ყიამყრალი, ავ-  
ყია. ზარაპანდი, ავი ხასიათის  
კაცი რო იქნება, პირაყროლებუ-  
ლი, ის არი (მეჯვრ.). რა ზარა-  
პანდი კაცია გელაანთ სანდროი,  
სუ იგინება (მეჯვრ.).

**ზარიზარად დადის** დაყია-  
ლებს, დაეხეტება. ნეტა რა ზარი-  
ზარათ დადის ე ქალი, საქმე აღა-  
რა აქ სახშია, რო ხან იმი კა-  
რებზედ ჩამოჯდება და ხან იმი  
კარებზედა?! (მეჯვრ.).

**ზარულ**-ი საპირფარეუო. ზა-  
რულს ეტყოდენ წინათი ფეხს-  
ალაგსა, ესღა სხვა სახელი და-  
არქვეს (ბროწლ.). კარქაა თავი-  
თვინ ჩემი ძმიწული მოწყობილი,  
ზალა აქ, ზარული და კუხნა.

(წილკ.); აგრეთვე ატ., ბრ., დ. თონ., ქვეში, ძეგ.

**ზაყზაყ**-ი ყაყანი; ქაქანი. შაიყრიან თავსა დედაკაცები და ააქთ ერთი ზაყზაყი, ზოგი რას ამოფს, ზოგი რასა (იგ.).

**ზაყზაყიბ**-ს ლაქლაქებს, ქაქანებს. რო დგა და ლაპარაკოფს გაუთავებლათა, იმაზე ამბობენ, ზაყზაყეფსო (მეჯვრ.). თელი დღე ზაყზაყეფს, ნეტა არ დაიღალა მაინცა!? (მეჯვრ.).

**ზედაბარდა** მოკლე თოკი ან წნელი საქონლის დასაბმელი რკალის ბოლოების შესაკრავად. პროხას რო ვაბამთ, რკალს უკეთეფთ კისერზედა და ი რკალის ბოლოები ზეიდანა წნელით არი ჩაბმული, მაგას ეტყევიან ზედაგარდასა (იგ.). ძაან მოკლე ზედაგარდა აქ კამეჩი რკალსა და უჭერს ყელშია (წილკ.); აგრეთვე ბრ., ერთაწმ., თვალ., მეჯვრ., სამთ., ქემ., ქვ. ჭ., ქვეში.

**ზედაზრინა** დიდი სიხარული, მხიარულება. მამაჩემი რო დაბრუნდა ომიდან, ზედაფრენა შეგვიდგა (დ. თონ.).

**ზედმონაკუწ**-ი ზედმიწევნით მსგავსი, ზედგამოჭრილი. ზედმონაკუწი დედააო, რო ძაანა გაამ ბავშვი დედასა, ვიტყვიო (ატ.). ვისა ჯგავ და თავი ბაბუასა. აბა შაახედე, ზედმონაკუწი ბაბუაა (წილკ.).

**ზეზე, ზეზეულა** მიწის პირზე დადგმული, აშენებული (სახლი, თონე...). ზეზე სახლი გვექონ-

და, დაეშალეთ და პადვლიანი გავაკეთეთ (ზერ.). დაბლა ზეზეულა ოთახებია, ჩათხრილი როდია (ქემ.); აგრეთვე მეჯვრ.

**ზეზეულა** 1. იგივეა, რაც ზეზე. მარანი რო არა აქ სახსა, იმასა ჰქეიან ზეზეული (ატ.). ბზიან ტალახსა საქათმის ასაშენებლათ იყენებენ, ან კიდე ზოგს ზეზეულა თონე რო აქ, იმიტივნა (კავთ.); აგრეთვე ძეგ. 2. ძალიან მაღალი, გამხდარი (ადამიანი). ძაან მაღალი რო იზრდება, ალვი ხესავითა, ესეთ ადამიანსა ზეზეულა ადამიან ეძახიან, ხოლოთა გამხდარიც რო არი (ხანდ.).

**ზეზე მატრიალებული** სუფრის მომსახურე პირი. ზეზე მატრიალებლებმა მითხრეს, ლავაში დავვიკარიო (ძეგ.). ახლა ზეზე მატრიალებლებმა უნდა ჭამონ ჰური (ბიწმ.).

**ზემო თავს (თაროს) უზით** დიდ პატივში ჰყავთ, აფასებენ. როცა ადამიანი ნააწავლია, იმას ძაან პატივისცემით ექცევიან, არ გამააკლებენ არც ჭირში და არც ღხინში, ზემო თავს უზითო, ამაზე იტყვიან (კავთ.). მთელი ოჯახი მაგის ფერობაშია, ზემო თაროს უზით (ძეგ.); აგრეთვე ბროწლ.

**ზემყრელი** თავყრილობა, შეკრებილობა. ხალხი რო მოიყრის თავსა, ერთათ მოილაპარაკებენ, ზემყრელოს ეძახიან (ხც.).

**ზენაძეპარობა** ისეთი ავადმყოფობა, რომლის დროსაც ავად-

მყოფი ხან წევს, ხან ფეხზეა. ავით რო არი ადამიანი და არც ძაან ავითა, ისე წევს, ხან კიდე ფეხზე დადის, იმას ეტყვიან ზენა-ქვერაობასა (იგ.). თავი მამამულა ვმ ზენაქვერაობამა, ან წამლობამ მიშველოს, ან სულაც მოვკვდე! (იგ.).

**ზენბ-ი, ზენკ-ი** გაზერგნილი, დაზეპილი (ნიადაგი). ზენკი ადგილი მძიმე ადგილია და მაგარი; თიხიანი მიწა რო არი, ნესტიანი, ხთესავენ, მაგრამა არ მოდის ძიენ კარქი, როგორც სხვაგანა (ატ.). ტრაქტორიც ვერ უვლის, რა ზენგია! (ქვეში).

**ზერაქვერად (ზერაქვერად)** არის ავად არის, ხან წევს, ხან ფეხზეა. ხან ზერა-ქვერათ იყო, ხან წოლიარეთა ჩემი ქმარი (საგურ.). ავით არი ზერე-ქვერეთ, არც ლოგინში წევს და ვერც ფეხზე დგომას ძლეფს (დ. თონ.).

**ზვავს ასტმეს** აყალმაყალს, აურზაურს ასტეხს. ჩხუფს რო დაიწყეფს ადამიანი და ხმაური შეიქმნება, ეტყვიან, რა ზეავი ასტეხაო (კავთ.).

**ზვირთად (ზღვად) ბანათქავს** გააზვიადებს, გადაამეტებს. პატარა რამეს ზვირთათ ნუ გახეთქავ ხოლმე! (ქვეში). ბავშვმა ფანჯარა გატეხაო და ზღვათ გახეთქეს; რა მოხდა? გატეხა, გატეხა! (ქვეში).

**ზიზიბა** ჯიბლიბო. გამამივი-

და ზიზიბა, ახლა ის დამისიელა (ბიწმ.).

**ზიმზიმი ბააქვს** ბრჭყვიალებს, ბზინავს. ზიმზიმი გააქ ზოგ უეიტსა, მზეზე რო დაიდო, ათასნაირათ ბრჭყვიალებს (წილკ.). ძვირფასი კაბა ეცო დილექტორი ცოლსა, რო დადიოდა, სუ ზიმზიმი გაექონდა (წილკ.).

**ზისხა 1.** ამბობენ მწარე რამეზე. ბოლოკი, ნიორი, ხახვია ზისხაი; პანტა მსხალი რო იქნება, ან ვაშლი ძალიან მწარე, ზისხა არიო, ვიტყვით (ხაშ.); აგრეთვე ჩუმათ. **2.** ფიცხი, ავი. ადამიანზეც ვიტყვით, ძალიან ავი რო იქნება, ზისხა არიო (ჩუმათ.).

**ზნაქაზნუშ-ი** უშნო, რყევით სიარული, ზლაყუნი. რა ზნაქაზნუქით დადიხარო, — რო გადადგამოდის, უშნოთ რო დადის (სასირ.); აგრეთვე ატ.

**ზნაქელა** ვინც გაზნექილი სიარული, დგომა იცის. ზნექელა ვეტყვით, გაზნექილი სიარული ან დგომა რო იციან ადამიანმა, იმასა (წილკ.). ი ჩვენი ზნექელა, რასაა წაიღეფს, განაღა აღირსეფს ჩამოტანასა (წილკ.).

**ზოგ-ი** დაზოგვა, გამოზოგვა. წყალი რო წყალია, იმასაც უნდა ზოგიო (ტყვე). ზოგი იცოდე, თავფქვილა ნუ ხარ! (კარალ.).

**ზომია** ერთგვარი მატლი ხე-ხილისა. ზომია დიდი მატლია, თითქო ზომამსო, ისე გადადის, ხე-ხილსა ჰყამს, აფუჭეფს (ბროწლ.).

**ზომპაპ-ი, სომპაპ-ი** ძველად:

მდიდარი მემამულე, მებატონე (ხანში შესული). თურმე თელი ეს კარ-მიდამო ერთი ზომპაპისა ყოფილა (მერ.). მისცა სოპაპა წევრის შვილსა თელი თავისი მიდამო (მერ.); აგრეთვე ძეგ.

**ზუზია, უზუზია** მორცხვი, გაუბედავი. როგორი ზუზია არი ე ბიჭი, უცხოს რო დაინახამს (იგ.). უცხოსთან არი ფუზია, თორე სახლში ლამის თავი წაგვჭამოს (ხაშ.).

**ზუზივ, ზუზვით** 1. ძლივ-ძლივობით, გაჭირვებით. ზუზივ გამოვიდა კაბაიო, ძლივაო (ერედ.). რო ვიყიდი ერთ კილო შაქარსა, ზუზვით, ზუზვით ერთი კვირა ძლივ მიმყვება ხომე (მერ.). 2. ზუსტად, გამოზომილად. რა ზუზივ აწონა, ქაა, ერთი ბეწო არ გადმაყოლა (კავთ.). ისე ზუზვით გამოუყვანე კაბაი რომა, ერთი ნაჭერი არ დარჩენილა (მერ.); აგრეთვე ზერ., ლამ. **ზუზივ** და **წუთხივ** გამოვიყვანე შენი კაბაი (ახალშ.).

**ზუზივ-კუკივ, ზუზივ-წუწივ** 1. იგივეა, რაც ზუზივ (მნიშვ. 1). ზუზივ-კუკივ გამამივიდა კაბაი (ძეგ.). ისე მყო, ზუზივ-კუკივა (ძეგ.). 2. იგივეა, რაც ზუზივ (მნიშვ. 2). ზუზივ-წუწივ ერთი კილო გამოვიდა ყველი (კავთ.); აგრეთვე ატ., წილკ.

**ზუზუნ-კუკუნეაბ**-ი ახლო ამხანაგები, ერთმანეთის მესაი-

დუმლეები. ერთმანეთის ამყოლები, ერთიმეორის თაიგულები რო არიან, უერთმანეთოთ პურ რო არა შჭამენ, ერთმანეთის ზუზუნ-კუკუნეები არიან (ქემ.). მე და ნატოს გვიყვარდა ერთმანეთი, გვეტყოდნენ, თქვენა ერთმანეთის ზუზუნ-კუკუნეები ხაართო (საკორ.); აგრეთვე ოძ., ტყვ.

**ზუნზური**-ი ტურტური, მოღერება (ხელისა...). მუშტს რო უქნევს მუქართა, ის არი ხელის ზუნზური (საკორ.).

**ზურბა** დანაობის (საბავშვო თამაშის) ერთ-ერთი ილეთი (ქიწნ.).

**ზურბიელ**-ი საქონლის ზურგის ტყავი. საქონელ რო დაკლავენ, რასაც ზურგზე გადააძრობენ ტყავსა, ის არი ზურბიელი (ბროწლ.); აგრეთვე ახალშ. **ზურბიელ**ებს **ააღმბინმებს** იგივეა, რაც **გაზურგავს**. ისე აგაჭრელო, რო ზურბიელები აგაღებინო! (ქემ.).

**ზურბს აღრამს** ზურგს შეაქცევს; გადაუღებება. ჩვენა კარქათ ვიყავით ერთმანეთში, ხისტარი მოგვიხდა და ვადრიკეთ ზურგი ერთმანეთსა (ბროწლ.); აგრეთვე კავთ.

**ზურბულა** რასაც ერთ ჯერზე ზურგზე აიკიდებენ; ერთი აკიდება (შეშა, საფქვავეი, თივა...). წალამი შეუკარი ერთი ზურგულა და გამოვატანე (ტყვ.). ორი ზურგულა საფქვავეი მოვიტანე როის აქეთია, დავიჯერო, არ მომიწია

ჯერმა?! (ბროწლ.); აგრეთვე ატ., კავთ.

**ზღვიპირი ლობიო** სარის ლობიოს ერთ-ერთი სახე. სხვილი ლობიოა, ჭრელი, ის არი ზღვიპირი ლობიო, ლაბიანია,

კარგია (ბროწლ.). ზღვიპირი ლობიოსა სხვილი მარცვალი აქონდა, მაგრამა თეთრი იყო და წითელგულიანი, სარზე აღის, კავანა ლობიოა (საგურ.); აგრეთვე ახალშ., ქვ. ჭ.

## თ

**თაბასსინი**-ი ტაბაკი. თაბასსინითა პურ აკეთებენ ხომე, ხისაგან არი; თაბახი ღრმა არი, თაბასსინი გაშლილია (ატ.).

**თაბულა** პატარა გობი. სუ დიდ ჯამსა თაბასს უძახდით, მომცროსა — თაბულასა; პური ცომ წავადიდებდით, კარაქით გავავსებდით, კვირტ დაყვრიდით (ატ.).

**თაბვიცერცველა** სარეველა მცენარე ერთგვარი. თაბვიცერცველა ბალახსა აქვიან, ყანეში იციო, სუ ცერცველა მთავარება ყველაფრივა, ხოლოთ წენიკი პარკები დასხმა იციო და მარცვლიც წერილი აქ; რო გახმება, იმი ნყოფი შავდება და გალენი დროე პურ შადევება ხომე, გორგოლაე ვეტყვით ჩვენა იმასა (წილკ.); აგრეთვე ატ., ძეგ.

**თაბვოთაბვოობა, თაბო-თაბო** წეს-ჩვეულება, რომელიც სრულდებოდა ყველიერის ბოლოს ვითომდა თავების გასარეკად. აღებლამეს იცოდენ თავგოთავგოობა; თავგებს წამოუვლიდენ ასკილის ტოტებითა, მინდორში წაიდებდნენ ქადასა, დაარჭობდ-

ნენ ასკილის ეკალსა და ზედ გაუკეთებდნენ ქადის პატარა ნაჭერსა, დანარჩენს თითონ შეჭამდენ (ომ.). თავო-თავო ყველიერში იცის, გამოაცხოებენ ქადებს, დიდი ეკლის ჯოხი უჭირავთ და რეკავენ თავგებსა (ატ.); აგრეთვე დის.

**თაბაბლენილ**-ი თავაღერილი, თავაღებული. რო აიღეფ თავსა და დადიხარ უპრაგონოთა, უსაქმოთა, რა თავაბლენილი დადიხარო (ზერ.). რა თავაბლენილი მოდიხარ, წინ აღარ იყურები? (ძეგ.).

**თაბაღრენილ**-ი თავაწეული. როგორც არი დაჩვეული თავაღრენილ სიარულსა, ისე ივლის (წვ.).

**თაბაღლიშ**-ი ძელის (კოჭის) ქვეშ ამოსადები ხის ნაჭერი საყრდენად, ბალიში. თაბაღლიში ძელის ბალიშია, ძელის ქვეშ უნდა დაგვედო (ტანძ.); აგრეთვე იკ.

**თაბპორა, თაბპორანა** თავდიდა. თაბპორა საქონელიცაა, ადამიანიცა. დიდი თავი თუ აქ თაბპორასაც ეძახიან, თაბპორანასაც (ჩუმათ.).

**თავბოსელა** თავდიდა. თავ-  
ბოსელაა, დიდი თავი რო აქ,  
უზომო თავი. ერთი კაცი იყო,  
კალეს ეძახდნენ, ის იყო თავბო-  
სელა (ჩუმათ). ხბოს უძახის  
ჩვენი ვენერა თავბოსელასა, დი-  
დი თავი აქვს (ხაშ.).

**თავბადალესილები**-ი ერთი  
სიმაღლისანი, ტოლები. ისეთი  
ქალი შეირთო ექიმმა, რო სუ თავ-  
ბადალესილები იყვნენ (ქორ.).

**თავდათავ** 1. პირდაპირ,  
ჯიქურ. ახალ წელიწად დღეს და-  
ძახება არ შაიძლებოდა, პირდაპირ  
უნდა მისულიყავი, თავდათავ შა-  
ბრძანებულებიყავი (კავთ.). წვეუ-  
ლება ჰქონიათ, ამდგარა და თავ-  
დათავ შასულა (ძეგ.). 2. თანაბ-  
რად, ტოლად. წინათი რო ჩამო-  
დიოდნენ ბერძნები, ქლიავზე  
სცვლიდნენ, ატამზე სცვლიდნენ,  
თავდათავ სცვლიდნენ კარტო-  
ფილსა (ატ.).

**თავდებ**-ი თავმდგომი, მომე-  
ლელი (ავადმყოფისა). სანამ აპე-  
რაციას არ გაუკეთებენ, თავდების  
დაყენება არ იქნებაო (ოს.). დე-  
ბიარე ავანტყოფი არი, ერთავათ  
თავდები უნდა (კავთ.).

**თავეულ**-ი 1. კარგი, საუკე-  
თესო. კარქი რაც არი, თავეულს  
ეძახით; არაყსაც ეძახიან თავე-  
ულსა, ორნახადი რო არი (ატ.).  
2. საზედაშე ერბო, ღვინო, არაყი  
(ბაზ., ლამ.). 3. ჭურჭელი, რო-  
მელშიაც საზედაშე ერბოს ან  
ღვინოს ინახავენ. ერთი თავეული

ქილა მაქ, იმაში ერბო არ ჩამის-  
ხამს წელსა (ბიწმ.).

**თავზე** დაკრძალვის დღეს.  
თავზე და ორმოცზე იყო და სწორ-  
ზე ვეღარ მოვიდა (ბიწმ.).

**თავზე ბაყიას დაატანს**  
ხშირად უსაყვედურებს, დააყვედ-  
რებს. ერთი პირმოტეხილი კოკუ-  
რა მქონდა ეთერასა, ჩემ ბიჭ გას-  
ტეხოდა წყაროზედა, ქაა, ნეტა  
იყოლე, ცალკე ჩემ ბიჭ დაატეხა  
თავზე ბაყია, ცალკე მე არ გამამი-  
ღია საყვედური (კავთ.).

**თავზე გადასაბღები** მცი-  
რედი რამ, თითზე გადასახვევი  
(იხმარება უარყოფით გამოთქმა-  
ში). აბა, გოგო, ყველას ხო ვერ  
გაუშლი გულსა, თავზე გადასაბ-  
ღები არაფერი მაქ და როგორ  
უნდა გაეთხოვდე? (კავთ.).

**თავზე სელს გადაისვამს**  
(**მონისვამს**) გაიზრდება, თავის  
მოვლას შეძლებს. ჯერ თავზე ხე-  
ლი გადაიხვას, მერე ნახე, რა  
ბიჭი დადგება! (საგურ.). თავზე  
ხელი მოისვა თუ არა, მე მაგისი  
არც ჩაცმისა ვიცი რა, არც და-  
ხურვისა (ატ.); აგრეთვე მერ.,  
ძეგ.

**თავთავად**-ი დღით ან მა-  
მით სხვადასხვა (და-ძმა...). დღით  
ერთნი არიან, მამით — თავთა-  
ვადნი (იკ.).

**თავთბალიშ**-ი აკვანში თავ-  
ქვეშ დასადები პატარა ბალიში.  
პატარა რგვალ ბალიშ შაკერამენ  
და მხართბალიშის ზევითა თავთ-  
ბალიშ დაუდებენ ბავშვსა აკვან-

შია, რომა თავი დადოს ზედა (ერთაწმ.); აგრეთვე ატ., კავთ.

**თავი ამრთმევა** დაიწყება რაიმე, პირი აეწყობა. ფულმა ეგე იცის, რაკი ერთი ეერთმევა თავი, შემრე ეგე გაგივლის, რო ვერაე გაიგებ (წილკ). რაკი ერთმა შამბედა, ეერთო თავი და ყველამ დაუწყო ჩხუბი (წილკ.).

**თავიანი კაკალი** მოზრდილი, სალი, მაგარი კაკალი. რომელიც სალი კაკალია, მოზრდილი, მძიმე, საკაკალოთ კარქია, ჭიანი არ არი, ის არი თავიანი კაკალი (ქვ. ჭ.).

**თავის პირს ბადავა** პირობას გატეხს, სიტყვას არ შეასრულებს. ის იმითანა კაცია, რო თავი პირ არ გადავა, თუ დაგპირდება, კიდეც შაგისრულეფს (წილკ.). ძაან კი იმედი მამცა და, რავი, თავი პირ თუ არ გადავიდა! (წილკ.).

**თავიღერა** ბალახი ერთგვარი. თავიღერა არი ბალახი, ბავშვის სურავანდისთვი არი კარქი, უნდა დაალევირო (მჭად.).

**თავლად-ი, თავლადა** 1. უსაქმური, თავაშეებული. თავლადსა, უსაქმური ადამიანი რო არი, იმაზე იტყვიან (ატ.). 2. ჯიუტი, კერპი, თავისნათქვამი. რა თავლადი კაცი ხარ, მაინც შენი გინდა რო გაიყვანო! (კავთ.); აგრეთვე ატ.

**თავმონასად-ი** ხორბლეულის გაცხრილვისას თავზე მორთმეული ჯელდი. ხორბლეულის,

ქერის გაცხაეების დროს მარცვალნი ცხაეში გადის, ხოლო თავმონასადი შიგ რჩება (ქვ. ჭ.); აგრეთვე გარიყ., დის., ზ. ხანდ.

**თავნიერად** მოფიქრებულად, თადარიგიანად. „თუ თავნიერად ავიღეთ წელსა მოსავალი, ორი კილო პური გაეაო“, — ტარიელამა (ტყვ.); აგრეთვე ქემ.

**თავპირს იგლის** ძალიან ცდილობს, ყოველ ღონეს ხმარობს. ნეტა რა ძალა ადგა, რა თავპირს იგლის!? (ძეგ.).

**თავს აიტიზიციებს** ამსუბუქდება, ამჩატდება. შენი მეზობელი ხო სულელია, დღეს თავი აიტიზიციე მანგლისში (დ. თონ.).

**თავს აიღებს (ცომი)** კარგად გაღვივდება, გაფუვდება. ადრე მოგხვლია თონის გახურებაი, წადი, გუნდა ამიღე, რო თავი აიღოს (კავთ.). ცომს თავი არ აუღია, აბა რა პურები დადგება! (ტყვ.); აგრეთვე ატ., კარ., ქემ.

**თავს არ შეიწახებ** თავს არ შეიწახებ. ეგრერიგათ არ ისადარებენ თავსა! (ძეგ.). იმას თავი არ შეუსადარებია (ძეგ.).

**თავსაღვრელად** ბლომად, უხეად (ამბობენ თხევადი რისამე შესახებ). იცოცხლე, ეგ დედაში ჩავარდა! თითონ ხო თავსაღვრელათა აქ რძე და ერბო, მეზობლებიც მორწყო რძითა (წილკ.); აგრეთვე ატ.

**თავს ბადაყურის** მიაბრუნებს, საითმე მიმართავს (ტივის).



როცა დავინახავდი, რო კარქი წყა-  
ლი იყო, ჯერ თავს გადაუყრიდი,  
მერე გავიქცეოდი და ბოლოს მო-  
უშაგრებდი (ზ. ხანდ.). თავს რო  
გადაუყრიდი, ბოლო რო არ მომე-  
მაგრებინა, მობრუნდებოდა და  
გარდიგარდმო წავედოდა ტივი  
(ზ. ხანდ.).

**თავს ბაიღებს** თავს მიიბ-  
რუნებს, მიატრიალებს. მე ველა-  
პარაკები და იმან იქით გაიღო  
თავი, ვითომ მე მილაპარაკნია,  
ვითომ ძაღლს უყეფნია (ნიჩბ.);  
აგრეთვე იკ., ძეგ.

**თავს დავლის** თავს ევლე-  
ბა. კარგი ხასიათის გოგოა, თავს  
დაგვლის, თანა გვეყვება (ჩუმათ.);  
აგრეთვე ხაშ.

**თავს დაიხვევს** თავს გაი-  
კეთებს (კომბოსტო, ხახვი). ჩვენ-  
მა კომპოტომ უკვე თავი დაიხვია  
(ქორ.). ჩვენ ხახვსა ისეთი კარ-  
ქი თავი დაუხვევია! (თამ.); აგ-  
რეთვე დის., ქვ. ჭ., ხოვ.

**თავს ვეღარ იჭირს** ვეღარ  
უძლებს (რასმე), ძალა აღარა  
აქვს. ათასი დააკერე, არ დააკერე,  
ხო ხეღამ, გაწყალებულია და  
თავს ვეღარ იჭერს ე შარვალი!  
(კავთ.).

**თავს მოიაშრებს** წრეს გა-  
დავა, მეტისმეტად გაკაპანდება,  
გააუღება. რო გააუღებულია, იმას  
ვეტყვი, რა ლაშ-პირი გააქ მო-  
ხეული, რას მოგიაშრებია თავიო  
(ატ.). ეგეცა თავს მაიაშრეფს ხო-  
მე და აღარაფრის სირცხვილი არ  
იცის (საგურ.). თავის მოაშ-

რებბა: ეგე თავი მუაშრებაც არ-  
ვარგა, როგორც ეგ არი, ში-  
შით იმი სახლისკენ ვეღარ გა-  
უვლია, მაშინათვე ჩხუბ დაუწ-  
ყეფს (წილკ.); აგრეთვე თეზი.

**თავს მოუპარკაცებს** თავს.  
გაიმართლებს; თავს მოისაწყლებს,  
მოაჩვენებს. ვინც მტყუანია და მა-  
ინც უნდა თავის გამართლებას.  
იმაზე ამბობენ, თავს იკარკაცეფ-  
სო (ერედ.). რათ იკარკაცეფ თავ-  
სა, რო სტყუიხარ?! (ატ.). თუ  
დაშჭირდა, ისე მოიკარკაცეფს  
თავსა, რო იტყვი, ჭადიდან ნახ-  
შირს. ვერ გამოიღეფსო (ქვეში).  
**თავს მოუპარკაცებს:** რო  
მოვიდა ლორანდი, ისე მოუკარ-  
კაცა თავი, სუ დაავიწყა ყველა-  
ფერი (მერ.). **თავის მოპარკა-**  
**ცებს:** თავის მოკარკაცება კარგი  
იცის, ნუ გეშინია! (ერედ.); აგ-  
რეთვე ბროწლ., ტყვ.

**თავს მოუღბამს** (შეუღ-  
ბამს) ძალიან გაავსებს, თავს  
მოუღბამს. რო აავსეფს ძაანა,  
ააკოკოლავეფს, მარცვალია, ფქვი-  
ლია, თავი მოუღგაო, ვიტყვი  
(ტირძ.). თავი შეუღგი, შეილო,  
თავშაუღგმელი თავი დღეში არ  
უნდა მიუტანო! (კავთ.); აგრეთვე  
ატ.

**თავს მოუკაპებს** თავს და-  
იმდაბლებს; დაუთმობს. უფროსია  
დევარი. ი ლაჯმარისა გოგო რო  
ჰყამთ, იმან შემოგითვალათ, ჩა-  
მოვალო (ტყვ.). მოდი აქა, ლაჯ-  
მარისა! (ტყვ.).

**ლელ-**ი ბოსტნის სარეველა  
მცენარე ერთგვარი. ხახვსა ან თუ  
სხვა რამ ბოატნეულსა წმინდა  
ბალახი რო შეერევა და დაიტანს,  
იმასაც ლელს ეძახიან (წილკ.).  
ნეტა რა გაუბედურებულებია, ქაა,  
ხახვები, მუხლამდინ ლელში იდ-  
გა, აღარც კი ეტყობა, რო იქა ხა-  
ხვი მდგარა (წილკ.).

**ლელებ-**ი უგონო მთვრალი.  
სუ ლელები მოვიდა, გონება  
აღარა ჰქონდა წყალობასა (ტყვ.).  
ეგრე ლელები მთვრალი რო მი-  
ხედი, რას იტყობდენ?! (კარალ.);  
აგრეთვე საკორ.

**ლელებ-**ი 1. დიდი წვიმა,  
თქეში; ჰყაბი, ძანძახი. რა მო-  
რეკავს პროხებსა ამ ლელებში?!  
(ჩუმათ.). 2. ძალიან დასველებუ-  
ლი. გზაში წვიმამ მოუსწრო და  
სუ თლათ ლელები მოვიდა შინა  
(მერ.). ავაყენე ბავშვი აკნიდა-  
ნა, სუ თლათ ლელები იყო (მერ.).

**ლენჯ-**ი ივივეა, რაც ჯ ა ლ ა.  
ფუტკრის თაფლის გამონაწერი

ჯალაი; ჭუჭყია, გადაყვით ხო-  
მე; ჯალასაც ვეძახით იმასა და  
ლენჯსაც (ატ.).

**ლენჯავ-**ს წენგოს აცლის  
(კაკალს). მთელი დღეა ვლენჯამ  
(ზ. ხანდ.).

**ლენჯო** ლობიოს ნარჩევი,  
ჩენჩო. ხილის არაყსა ვატანთ  
ხოლმე ან ლობიოს ლენჯოსა, ან  
პიტნასა (ზ. ხანდ.). ლენჯო დარ-  
ჩება, ლობიოს რო გავარჩევთ  
(ზ. ხანდ.).

**ლექვერ-**ი ნეღლი შემის  
მსხვილი ნაპობი. ამოდენა ლექვე-  
რები რო დასჭერი, ან როგორ შე-  
უკეთო და ან როგორ მოუკიდო?!  
(ტყვ.). ე ლექვერები რო შეუკეთე,  
როდის ეენტება? (კარალ.); აგრეთ-  
ვე ქვ. ჭ.

**ლესტერ-**ი დიდი წვიმა, თქე-  
ში, ღვართქაფი. დიდი წვიმა რო  
მოვა და ნიაღვრები წავა, დიდი  
ლესტერი მოვიდაო, ვიტყვიო  
(სად.). გაზაფხულზე იცის ლეს-  
ტერი ან ზაფხულში (სად.).

**ლეღვ-**ი ძალიან მწიფე (ხი-  
ლი). ლეღვი ყოფილა ეს შვინილი  
(ქორ.).

**ლეღვერა** ზარმაცი, უქნარა.  
ჩემი გიორგი ეტყვის ხომე თავის  
ბიჭსა, ლეღვერა ხარო (ძეგ.).

**ლემ-**ი ხორცზე იტყვიან. რა-  
ერთა ლემი დაყარა ამ ერთი ბე-  
წო გოჭმა! (ბიწმ.). ლემი ჭერე-  
ხივით ეყარა სუფრაზე (ბიწმ.).

**ლემისპირ-**ი ტყავის შიგნი-  
თა გარსი. საქონელი რო გაგვი-  
ტყავებია, უნდა გადააძრო ლემის-

პირი, გაპკრავ ხელსა და გადაძვე-  
რება, დაირას გადააკრავ (ძეგ.).

**ლენაქყურ**-ი ლენაქის გრძე-  
ლი წვერი, რომელსაც ყელზე იხ-  
ვევდნენ. ლენაქყური მარტო ის  
ყო, რომელსაც ყელზე ვიხვევ-  
დით (ძეგ.). ჩიხტ რო დაიდგამენ,  
მერე დაიფარებენ ლენაქსა, ლენაქ-  
ყური ის არი, ნეკა ადგილი (სად.).

**ლენაქყურბადაგდებულ**-ი  
უბადლადოდ თავდახურული. იმ  
დღესა მშვენიერათ ლენაქყურგა-  
დაგდებული იყო ფშატიანთ სონა  
(ძეგ.). ზოგი იტყოდა ლენაქყურ-  
გადაგდებულსა, ზოგი ჩიქილყურ-  
გადაგდებულსა (ზ. ხანდ.).

**ლესურას შეუყენებს** ბევრ  
წყალს დაახამს (კერძს). (მდ.  
ლესურის სახელწოდებიდან). ლე-  
ხურა რო შეუყენე, ვის უნდა ამ-  
დენი წვენი?! (კოდ.). ორ კარტო-  
ფილს ჩააგდებს და შეუყენებს  
ლესურასა, დადექი და ჭამე! (კა-  
რალ.); აგრეთვე ტყვ.

**ლია-ლიად** გუბე-გუბედ. ეს  
როგორი მორწყულია, კვლებში  
ლია-ლიადა დგას წყალი (ტყვ.).

**ლიბრაჰ**-ს ბინდავს. ნაზუქსა  
საკუთარ კვერცხს რო წაუსვამთ,  
ბრაწავს კარქა, თუ შაქრიანი  
კვერცხი მოუსვით, ლიბრაჰს ნა-  
ზუქსა, პრიალი არ გაუდის კარქა  
(საკორ.).

**ლიბრი ლობიო** ლობიოს  
ჯიში ერთგვარი. ლიბრი ლობიო  
უბეწვო გამოდის, მარცვალი წა-  
წითალო აქ, ხახვის ფურცელში

რო კვერცხს შეელებათ, ისეთი  
(ერედ.).

**ლივლივე**-ს კარგად არის  
მორწყული; წყლით არის დაფა-  
რული. სუ წყალში ლივლივეს  
მთელი ვენახი, იმოდენა წყალი  
დის (ტყვ.).

**ლივლივი ბააქს** იგივეა,  
რაც ლივლივეს. ლივლივი  
გააქს ზევით ვენახებსა და აქ კი  
ქრუნტი წყალი არ არის (ტყვ.).  
ლივლივი გააქს რეზიანთ სარ-  
დაფსა, ჩვენი ბალიდან გასულა  
წყალი (კარალ.).

**ლილივათურ**-ი მაგარი სი-  
ლა. არც კი დააცადა, რო სული  
მეეთქო, ეცა და ერთი კაი ლილი-  
ვათურიც გააცხო (წილკ.). ცოტა  
მერიდე, ბაღლო, ე გაჯავრებულ  
გულზედა, თორე თუ გაგცხე ლი-  
ლივათური, გონი, სული გაგაფრ-  
თხოზინო! (წილკ.).

**ლიკლიკ**-ი პირამდე სავესე,  
გალიცილიცებული (ჭურჭელი).  
ნაკრულები ვეღარ დაახსნი ჭიქე-  
ბი, რო გაგილიპლიპებია, ვინ და-  
ლევს აბა ეგრე ლიპლიპსა? (ტყვ.);  
აგრეთვე კარალ.

**ლიპრიპანჭა** შიშველკანჭე-  
ბიანი. აი, დატლოყილი კანჭებით  
რო გარბის ფეხშიშველაი, იმაზე  
უთხარი ლიპრიკანჭაი (ატ.).

**ლიჟდ**-ი ნამტკრევი, ნაფშხ-  
ვენი (მარილისა). ხელსაფქვაჟში  
რო დაუფქვამთ მარილსა, რაც  
საცერში დარჩება, მარილის ლიჟ-  
ღია (ძეგ.).

**ლირჱყ**-ი იგივეა, რაც **ლირი სი**. ლირჱყი პური! (ძეგ).

**ლივლივ**-ი ლულლული, ჩიფ-ჩიფი. რეზოს ლიფლიფს ზო ნახევარს ვერ გაიგებს კაცი! (კარ.). კბილები ჩამოვიღე და ძლივსდა ვლაპარაკობ ლიფლიფითა (ტყვ.).

**ლივლივზაბ**-ს ლულლულებს, ჩიფჩიფებს. მოხუცს რო კბილები არა აქვს და გაურკვეველად ლაპარაკობს, ლიფლიფებს (დ. თონ.). უკბილო ბებერივით რო ლიფლიფებ! (ტყვ.). **ლივლივზა**: ჩვენი ლიფლიფა ვახტანგა იყო და იმას დაეატრევიანე (კარ.). ლიფლიფაა დედასავითა, ნახევარი არ შეეურება მაგის ნათქვამი (ტყვ.); აგრეთვე **ზ. ხანდ.**, **კარ.**, **ძეგ.**

**ლივსიტა** 1. ძალიან პატარა, გალეული. პატარასა, გინდა ქათამი იყოს, გინდა ქალი, ლიფსიტას ეძახიან (ძეგ.). გალეულ ვისმე დაუძახებთ ლიფსიტასა (**ზ. ხანდ.**). 2. იგივეა, რაც **ფსიტი**. ლიფსიტა თმები აქ, თითონაც ლიფსიტაა (ძეგ.).

**ლიყირს**-ი ჩაცომებული (პური, მჭადი). ძაან წმინდა დაფქული გამოდის ლიყირსი, მარილგულათ დაფქული გამოდის კარგი (**ზ. ხანდ.**). ალაოსი ლიყირსი პური გამოდის, გული არ უცხვება (**ზ. ხანდ.**).

**ლიყლიყ**-ი გაურკვეველი, გაუგებარი ლაპარაკი (ჩვეულებრივ, ენაბლუსი). რა უნდა გაიგოს იმისი ლიყლიყისაგანა? (ოდ.). შენი

ლიყლიყისა არა შესმის რა, დამაბებე თავი! (ტყვ.).

**ლიყლიყაბ**-ს გაურკვეველად, გაუგებრად ლაპარაკობს (ამბობენ ენაბლუსე). რო ლაპარაკობს და ვერაფერს გააგებინებს ადამიანსა, რიგიანად არ არკვევს სიტყვასა, რასა ლიყლიყებო, ვიტყვიო (ოდ.).

**ლიშს**-ი ნესტი; ნამი, ცვარი. ლიშხი ბოსელმა იცის (**ზ. ხანდ.**). საღვინე ყინვიდან შემოიტანა სითბოზე და ლიშხი შემოისხა (**ზ. ხანდ.**).

**ლიშსაპ**-ს აოდავს. ვერე ლიშხამს ხოლმე, სველი რო იქნება და დააცხუნებს (ერთაწმ.). **ლიშსპა**: სველს რო დააცხუნებს, ჩახარშამს, ჩალიშხამს შიგა, ე მაგას ეტყვიან ლიშხვასა (ერთაწმ.).

**ლიხ**-ი მალალი ღჯო, კლერტი (მცენარისა). ცარიელა ლიხებიდა დარჩენილა, ფოთოლი გასცვენია (ძეგ.). თამბაქოს ლიხი (ძეგ.); აგრეთვე კავთ.

**ლოზიო კურკაში შივა** ლობიო მარცვალს გაიკეთებს, დაიხორბლება. ლობიო კურკაში შევიდა (ძეგ.).

**ლოზიოს ხე** დიდგულა. აი, ეს მერალი ხე არი ლობიოს ხეი, ზოგი დიდგულას ეძახის, ფატარი ხეა, არ არი ჯანიანი ხეი (არად.).

**ლოზინს ბაიახლოებს** მეორე ცოლს შეირთავს (პირველის სიკვდილის შემდეგ). შენ კი გინდა, ლოზინი გაიახლო! (ძეგ.). თავს გაუფრთხილდი, თორემ ლოზინს გაჯიახლებ! (ბიწმ.).

**ლოლოტა** გამხდარი, გაწვირილებული. ისეთი ლოლოტა ტანი აქვს, მაგას როგორ უნდა მარგო კაბა? (ძეგ).

**ლომ**-ი მეჭურჭლის თიხიანი ხელების ნაბანი; ხმარობენ ჭურჭლის ზედაპირის მოსასწორებლად. ყალიბზე შემოვახვევთ სუფთა და ზელილ თიხის ტალახს, ამ ყალიბ გამოვიღებთ, ლომით შევასუფთავებთ გარედანაც და შიგნიდანაც (მეჯვრ.). წმინდა წყლით ვერ გააკეთებ, ხელს ეჭიდება და ლომით კარგად ამოდის, მაღამოსეფ არი (ზ. ხანდ.).

**ლონთქოშ**-ი დიდი, თამამი (ფოთოლი). ზოგი, ვაზი იქნება, თუ სხვა რამე, კარქა მოვლილი რო არი, თამამოფს და ფოთლებსაც დიდს იკეთფს, ეგეთ დიდ ფოთლფს ლონთქოში ფოთლები ჰქეიან (კავთ.). ამ ოხერა გოგრასა ფოთლები კი ლონთქოში აქ, გეგონება ქოლგაავო, და კი არ ასხია (კავთ.).

**ლოკო არ შეშრობია**, **ლოკო ისევ ზედა აქვს პირზე** რძე არ შეშრობია, ძალიან პატარაა. უყურე შენა, ჯერ ლოკო არ შეშრობია და ფეხზე დადის! (ზ. ხანდ.). ეხლანდელებს ჯერ ლოკო ისევ ზედა აქვთ, არშიფობას რო იწყობენ (მერ.); აგრეთვე ძეგ.

**ლოკოზე მყნობა** კალმით, კვირტით მყნობა. მყნობი დროსა ლოკოში ჩასდებ ჩხირსა (კალამს ეტყვიან ეხლა), ლოკოსა და ქერქ-

შუა, ლოკოზე მყნობა ეგ არი (კარალ.).

**ლოკოიან**-ი ჯერ ისევ სველი (წიწილა, ბარტყი); ქორფა, ჩვილი, თოთო. ბუდე ჩამოეშალეთ და სულ ლოკოიანი ბარტყები ჩამოცვიდნენ ძირსა (მერ.). რა ეტყობა კარგობა, ლოკოიანია, რა დროს იმისი სიკარგეა! (ძეგ).

**ლოკრე** თავგადაპარსული; მელოტი. ნუ დადიხარ მზეზე მალორე თავითა, თორე, თუ მზე ჩაგივარდა, მერე ნახამ შენ სეირსა! (მერ.). მოდი, შენც გადაგზუზამ მა თმებსა და ლოკრე იქნები შენცა, პოო? (ტყვე).

**ლორთხ**-ი ძალიან სველი; სისველე. ლორთხები იყვნენ, რო მოვიდნენ, წყალში ჩაყარდნილან ორივენი (ქვეში). ადამაც და საქონელიც ლორთხში წევს (ტყვე); აგრეთვე ატ., კავთ., კარ., ძეგ.

**ლორთხ**-ი მოშეებული, დუნე, დონდლო. მსუქანი ღორი რო დაგვიკლავს, რა ლორთხი ზორცი აქვს, გვითქვია; რაც მოშეებული არი, დუნე, ყველაფერზე ითქმის (საღ.). ლორთხი ბავშვია და რო გადაიქნიოს წელი უცეფა, ზო გადაწყდა? (ერედ.); აგრეთვე ძეგ.

**ლოფლოფ**-ი 1. მეტი სიმწიფისაგან ჩარბილებული (ხილი). ძაან მწიფე ატამი თუა ან კიდენ მსხალი, ისეთი, რო მეტი სიმწიფისაგან ხელი მოვლებითაც კი იჭყლიტება, იმაე ვეტყვით ჩვენ ლოფლოფსა (წილკ.). ე ლოფ-

ლოფი ატმები რო დაგიკრეფია, ქააა, ხო სუ აიზილა ერთიანათა, სინამ ქალაქში ჩავიტან! (წილკ.).  
2. სეელი, გაუმშრალი. ლოფლოფი ჩააწვინა ბავშვი, რო აბანავა, არც კი გაამშრალა სწორე! (კარალ.). ლოფლოფი ჩურჩხელე-ბი (ძეგ.). 3. ცომი, დაუშუშებელი (პური). ლოფლოფს ცომ პურზე იტყვიან ხომე (კავთ.). ზოგი არც კი დააცლის კარგა პური გამოც-ხობასა და ლოფლოფს ამოჰყრის (კავთ.).

**ლოქოშა** დიდი, მოსული და დუნე. ლოქოშას დიდ ადამიანს ეტყვიან, რაც ხნოვანობა აქ, იმაზე დიდი რო იქნება, გინდა ბავშვი იყოს, გინდა საქონელი (ხც.). რა ლოქოშა არი ეს გოგოი (ძეგ.).

**ლოჭ**-ი გაზაფხულზე მოჭრილი და გასახმობად გაუსხეპავად ტყეშივე დატოვებული ხე. ერთ ადგილას ტყეს რო გაჩეხავენ და შიგ ჩატოვებენ, ჩალოჭავენ, იმასა ჰქვიან ლოჭი (ქემ.).

**ლუბ**-ი მჭლე, მოშვებული (ხორცი). რომელიც ძრიენ მჭლე არი, იმას ეტყვიან ლუბ ხორცსა (ერთაწმ.). იმოდველა სიმიინდი დაჭამა ამ ვერანამა და შაინც კიდე ლუბი ხორცი გაშიიყოლა (წილკ.).

**ლუბუმ**-ი, **ლუნბ**-ი უგემური, ლუყურტი (საჭმელი). ლუნგია წნილი, ბაქმაზი, თუ გინდა, ღვი-ნოცა, მხე რო არ არი, მჟავეი (კარალ.). თუ ლუგუმ საჭმელს არა შაატანა რა კაცმა, ან მწნილი, ანა,

ისე ვერ შაჭამს (იგ.); აგრეთვე საგურ., ოძ.

**ლუთლუთ**-ი ძალიან მსუქანი ხორცი, ლურთი. სუქანი ხორცი რო არი, ქონიანი, იმაზე იტყვიან, ისეთი ხორცი იყოო, სუ ლუთლუთიო (ქვ. ჭ.).

**ლულუც**-ი მოსულელო, ჭკუა-თხელი. ნინასა ჰყამ ერთი ბიჭი, ლულუცი, არც ამ თისაა, არც იმ თისა. დიდათ კი აღიდევს ნინაი, მაგრამა ყველა ზედამს, რაც არი (მერ.). ღმერთო, შეგცოდე და, ლულუცი შვილი რო მაშიიკედეს, ის მირჩევნიან (მერ.).

**ლუშნი**-ს კროლავს (კაკალს). კაკალი მაქ გასალუქნი, ამაღამ უნდა ვლუქნო (ბიწმ.). **ილუშ-ნიშბა**: ჯერ არც კი ილუქნება, ადრე დავაბერტყინე, რო ჭიანდება (ბიწმ.); აგრეთვე ახალს., საგურ.

**ლურსა** უხასიათო, უემური (ადამიანი). ლურსა რძალი რო შემხვედეს, რა გაუძლებს, გენაცვათ! (კარ.). შე ლურსა, შენა, მიწაში კი დაილურსე, რას იბღვირები? (ტყვ.); აგრეთვე ატ., ძეგ., წილკ.

**ლურსმაძ**-ს მაუდის პატარა მრგვალ ნაჭრებს აკერებს ლეიბს, ალიანდაგებს (შდრ. ლურსმანი). ჩვენ არა ვლურსმავეთ; რო ლურსმავენ, ცოტა მატყლს უდებენ. აბა, ცოტა მატყლი რო უდევს, მიიზღმურდლ-მოიზღმურდლება და მე თორმეტ კილოს უდებ, სად უნდა წავიდეს? (ზ. ხანდ.). ჩვენ სუ მუდამ შალეულით ვლურსმავეთ ნა-

ალს, თხელი ამოიგლიჯება, სქელი უნდა, რო დაიჭიროს ძაფი (ძეგ).

**ლურსმან**-ი პატარა, მრგვალი ნაჭერი (მაუღისა), ლეიბის დასალიანდაგებელი. გამოშჭრიან პატარა რგვალ ნაჭრეფსა, ნაალს დააკერებენ ზეიდანაც და ქვეიდანაც. ამ მრგვალ ნაჭრეფს ლურსმნეფს ეძახიან, თითო ლურსმანი თითო მტკაველით უნდა იყოს ერთიმეორისაგან დაშორებული სიგრძეშიც და სიგანეშიცა. როცა სუ დააკერებენ ამ ლურსმნეფსა, ნაალი უკვე დალიანდაგებული იქნება (კავთ).

**ლურჯი მარილი** ქვამარილი. ქვამარილი რომელიც არის, იმას ეტყვიან ლურჯ მარილსა.

## მ

**მაბარ**-ი ძუნწი. მაგარი კაცი არიო, იტყვიან, ძუნწი რო არი, ვერაფერ გაიმეტეფს (თამ). შენი დედამთილიც მაგარი იყო, კაკალს ვერ დააგდებინებდი (ბიწმ.); აგრეთვე ქე. ჭ.

**მაგირდ**-ი ქვაბის გვერდების გასაკვერი, გამოსაყვანი იარაღი. მაგირდი ჯდება მიწაში, მაგირდზე ჩამოაცვამენ ქვაბს. მაგირდზე მოგვყავს ქვაბი პირამდე, პირი უნდა გამოვიდეს ასე (ზ. ხანდ.). ეს თუნგის გასაკვერი მაგირდია, თავები აქ განსხვავებული, ზოგს უფრო

ფხენილი რო არის, ის თეთრი მარილია (ოდ.). ლურჯი მარილი არა გვაქ, წნილი მინდა ჩავლო (ზ. ხანდ.); აგრეთვე ძეგ.

**ლუყლუყ**-ი მამალი ინდაურის ხმიანობა. ლუყლუყი მამალმა ინდაურმა იცის, დედალმა იცის კივივი (სად.).

**ლუყლუყებ**-ს ხმიანობს (მამალი ინდაური). მამალი ჭუკი რო ლუყლუყებს, ი ჯიჯახვი რო აქ თავზე, ის გადმოეშეება და ისე ლუყლუყებს, დედალი ჭუკი კივივებს (ოდ.).

**ლუყურფ**-ი უფხო, დონდლო, უგერგილო (ადამიანი). ის ლუყურწი ბიჭი გამოუგზავნია, ვითომ საქმე აქ (ნოს.).

განიერი, უფრო ბრტყელი აქ (ზ. ხანდ.).

**მალაშრ**-ი თონეში სახელდახელოდ გამომცხვარი თხელი, პატარა პური. პატარა არი, პურზე თხელია მალაური და ლავაშზე სქელი (ერთაწმ.). რო გვჩქარებია, რგვალი მალაურები დაგვიკრამ ხომე თონეზედა, ხელით ამოგვიკრამ ხომე, ლაფათით არა (სად.); აგრეთვე კავთ.

**მალნის ძვა** გასათლელად ვარგისი ქვა. მიწაში გამოჩენილი ქვა რომელიც არის, იმას ვეძახით მალნის ქვას; მალნის ქვა გამ-

ძლო არი, კლდის ქვაი სკდება  
ყინვაშია (მეჯვრ.).

**მაზმან-**ი თოკის მგრეხელი,  
მესაბლე. მაზმნიშვილებს იმიტომ  
გვეძახიან, რომა ჩვენი ძველები  
მესაბლეები, მაზმანები ყოფილან,  
ჩვენ გვარში მელა დაერჩი მაზმანი  
(გრაკ.). **მაზმანივით** ლარი-  
ვით, სწორად. რა მაზმანივით გა-  
აბი, ყოჩაღ! (კავთ.).

**მაზნეშარი-**ი ზიანის მომტანი,  
მავნე. ზოგი სუ იმაჲ ფიქროფს,  
ვის რა უხეირობა გაუკეთოჲ, ემაგ-  
ნაირი ადამიანი მაზნეშარია. მაზ-  
ნეშარები დილობაში კი არა ხდე-  
ბიან მარტო, ზოგი დაბადებიდან-  
ვე მაზნეშარი იბადება და დილო-  
ბაშიც გააყვება (კავთ.). ემაგნაირი  
მაზნეშარი მორბედისაგან არაფე-  
რია საკურველი (კავთ.).

**მაია** თიხის ჭურჭლის მოსა-  
ხატი საღებავი, მწვანე ფერისა.  
თუ გეინდა ჭურჭელი დახატული,  
მაშინ უნდა დავხატოთ მაიათი.  
თოგალი რო დაიფქება წისქვილ-  
სე, მერე აქვიან მაია (მეჯვრ.).  
კალამს დაასველებდნენ მაიაში და  
დახატამდნენ ჭურჭელს (მეჯვრ.).

**მაპკირაობა** მატაოცობა. მა-  
კვირაობა არ არი ტრაბახი, წამ-  
გვანი კი არი (ატ.).

**მაპიდელა** საერველა ბალახი,  
ხოვერა. მაკიდელა ბალახსა აქვი-  
ან, ყანაში მეერევა ზომე; წვნიკი  
ფოთლები აქ, ძაან ხაოიანია. კაც  
რო მოხზვდებ, სუ ზედ ეკვრება  
ტანისამოსზე. მაკიდელაჲ ყვაი-  
ლიც წვნიკი აქ ძაანა, თეთრი ფე-

რისა. რო დაიყვავილეფს, წვნიკ  
მარცვლეფ დაისხამს და როცა ყა-  
ნა შამუა, ისაც მაშინ შამუა ზომე;  
მაკიდელა პურ ძაან ფინთ გემოჲ  
აძლევს (წილკ.). ჩვენ ყანაჲ მაკი-  
დელა მოარევიყო ძაანა და გუშინ-  
დელა დღე სუ იმასა ვმარგლიდი  
(წილკ.).

**მაღ-**ი ნაწილი, მონაკვეთი ნა-  
გებობისა სვეტებს, ბოძებს შო-  
რის. ე ბალკონსა შუშაბანდი უნ-  
და გაუკეთოთ ორ მაღზედა, ესეჲ  
კუთხეშია (ერედ.). ბოსელი გვექონ-  
და ოთხი მაღი (ბიწმ.).

**მაღათა** ოქრომკედი. კოჭებზე  
ჯერ მარლა არი დახვეული, მერე  
მალათა აქ გადახვეული (ბაზ.).  
ჯარატარზე ჯერ ყისინას დავა-  
ხვევდი და მერე მალათას გადავა-  
ხვევდი და გავაკეთებდი გვირგვი-  
ნის კაკალსა (ბაზ.).

**მაღიათ-**ი ბარაქა; ყუათი, მა-  
წიერება. ნეტა ცარიელა რძესა  
რა მაღიათი უნდა ჰქონდეს! (კა-  
რალ.). ფუჩენს რა მაღიათი აქ,  
თუ როში არ იქნა?! (ზ. ხანდ.);  
აგრეთვე წილკ.

**მამაილა** მამის მსგავსი, ზედ-  
გამოჭრილი მამა. თუ მამას დაემ-  
გვანება ზომე შვილი, მამაილას  
ეტყვიან, თუ დედასა და — დედა-  
ილასა (კავთ.). ე გოგო სუ მამაი-  
ლაჲ (ერედ.); აგრეთვე ბიწმ., კა-  
რალ., ლამ., მელვრ., რუისი, ტყვი,  
ქვეში, ძეგ.

**მამალი ხე** უნაყოფო ხეხი-  
ლი. ყველა ხეც არი მამალი, რო  
არ ისხამს, უფრო — ხურმა (ძეგ.).



**მამალი სორცი** უხეში, ხორკლიანი კანი. ისეთი მამალი სორცი მააქ, აი, ფეხი გამისკდა, ჩუსტი რო არ მაცვია (ზერ.).

**მამამთილა** იტყვიან კაცზე, რომელიც ქალის საოჯახო საქმეებში ერევა. მამამთილა რო გიზის სახში, ვერ შეეკითხე? გეტყოდა (კარალ.).

**მამიდა ლობიო** ლობიოს ჯიში ერთგვარი. მამიდა ლობიო უბეწვო ლობიოა, ვენახისაი, ვარდისფერია, კუტი ლობიოა (ატ.). ესა მამიდა ლობიო არი, გუშინაც მოვხარშე, დღესაცა (ძეგ.); აგრეთვე ზერ.

**მამის (დედის...) კლანჭი** მამის (დედის...) მსგავსი. დედის კლანჭო, დედასავეთ ახტაჯინა რო ხარ! (ტყვ.). მამის კლანჭი ირდება, სუ ერთავათ გაზი და ჩაქუჩი უჭირავს (კარ.).

**მამულიშვილი**-ი მამულის პატრონი, ოჯახიშვილი. მამულიშვილები თხოულობდნენ და ვის მისცეს ქალი? (ძეგ.); აგრეთვე დ. თონ.

**მანა** მსხვილი წნელი, რომლითაც კეთდება ჩონჩხი გოდრისა, ლასტისა და მისთ. მანები უნდა დაესხას გარეშამო, გოდორს რო ვწნავთ, შემრე შემოეწნება. მანეები ცოტა მაგარი უნდა იყოს, რო დაიჭიროს ის წნელი (ზ. ხანდ.). წვრილი მანები მქონდა და ვერ გამომივიდა კარგი გოდორი (ძეგ.); აგრეთვე ბრ., ქემ, ქვ. ჭ.

**მანა, მანა!** იგივეა; რაც ქუქა, ქუქა! მანა, მანა! — დაუბახებთ მარტო ქათამს, კვერცხი რო აქ და არ დაგვიკარგოს (ძეგ.).

**მანანა:** 1. მანანა წვიმამ ჟუჟუნა წვიმა. მანანა წვიმა მოვიდა (ზ. ხანდ.). 2. ნაგვიანევი, ზრდამი ჩამორჩენილი აბრეშუმის ჭია. ცოტა დარჩება ის მანანაი, ამოვკრეფამთ, იმასაც ცალკე დავსხამთ (ზ. ხანდ.). ერთი ლაატი მანანადა დარჩა, დღეს იმასაც გამოვკრეფამთ (კავთ.).

**მანდალიონ**-ი აივნის კოჭი. ბალკონში მანდალიონებია, შიგნით სახლში — კოჭები (ნოს.). აივნის კოჭი მალლა დაეწყობა, თუ დაბლა, მანდალიონია (ზ. ხანდ.); აგრეთვე ერთაწმ., ქვ. ჭ.

**მანდიკურად** ხურჯინივით (გადაკიდება). გადააბამდენ კალათსა და მეშოკსა, გადაიკიდებდნენ მანდიკურათა და გასწევდენ ქარელისკენა (რუისი).

**მანდილოსან**-ი ხნიერი, დარბაისელი ადამიანი (ამბობენ მამაკაცზედაც). იქ ერთი მანდილოსანი კაცი იღვა, არ ვიცე, ვინ იყო (ქორ.). ვინც ავია და ყაყანაი, ის რა მანდილოსანია, ისა ყრალია (ერედ.); აგრეთვე დის., სად.

**მანჩა** ამბარი. მანჩა — ფიცარი შიგნით, შუაში აქ ტიხარი, აქეთა ჭადის ფქვილს ჩაყრი, იქითა — პურისას, გინდა — ლობიოს. როგორც ბედლის თვალი, ისეა შიგნით, სახურავი აქ. როცა

ბელელი არა აქ კაცსა, მანჩას აკეთეფს მერე (ჩუმათ).

**მანძილო** სოკო ერთგვარი. მანძილო სოკოა, ხეზე არი გამო-სული. ხანში შესული ხე რომე-ლიც არი, ბევრია იმაზე. ქამა სო-კო როა, იმის წანამგვანია ფერა-თა, უკურწოთ არი ხეზე, ჯგუფათა (ჩუმათ). მანძილო სოკოსა გააჭ-კნოფ, თუ შამინათვე გააკეთეფ, კარგია, თუ არა — ზამთარში (ჩუმათ).

**მანძულა** შემოფლეთილი, ჭუჭყიანი. რა მანძულასავით და-ღიხარ?! (ატ.). ევა ისეთი მანძუ-ლაა, რო! (ხამ.).

**მარან-**ი თიხის სასმისი ერთ-გვარი; წარმოადგენს რამდენიმე მომცრო სასმისისაგან შემდგარ ზიარ ჭურჭელს, რომელსაც ერთი ტუჩი აქვს დასალევად. მარანი არის ყველაზე დიდი, ორჩარე-ქიანი, ამას თორმეტი მსხვილი ჭინჭილეები და ქვევრები უნდა ჰქონიყო (მეჯვრ.). ეს მარანი ქორწილში მარჩუქს და არ გამო-ტეხია ამდენი წელიწადია (ძეგ.).

**მარა ხარი** კარგი გამწვევი ხარი. ქათამი რა არი, წალით, მარა ხარი გამაიყვით და ის და-კალით, თქვენზე კარქი ვინ მამივა! (წილკ.).

**მარილგულად** მსხვილად, ხერიშად (დაფქვა...). კეცი მჭა-ღითვინ აწორეთ მარილგულათ უნდა დაფქვაი, თორე ტინტყლი გული გამოუა, თონი მჭადითვინ კი მარილგულათ დაფქული არ

გამოდგება, დაკური დროე ერთმა-ნეთ არ უდგება და დამჭაჭული გამოლია (წილკ.). მწისქვილეს უთხარი, რო მარილგულათ დაფ-ქვას (დ. თონ.); აგრეთვე ატ., ზ. ხანდ., კავთ., საღ., ძეგ.

**მარილითვალ-**ი ქვამარი-ლის თეთრი, გამჭვირვალე კრის-ტალი. მარილითვალიო, მარილი-თვალიო — ჯიბეში ჩაიდებდნენ ხოლმე ბიჭები (ზ. ხანდ.).

**მარილს გაუსწორებს** ზო-მაზე უზამს მარილს. საჭმელს რო გააკეთებენ, მარილიც ხო უნდა უყონ, იტყვიან, ახლა მარილი გა-უსწორეო, ესე იგი მარილი უყა-ვიო (ქვ. ჭ.); აგრეთვე ოძ., საკორ.

**მარილტუტა** ძალიან მლა-შე, მწუთხე. მარილტუტაა ძაან მლაშე რამეა ვეტყვიო (წილკ.). რო დაგიმლამდება კერძი, მარილ-ტუტა გაგიკეთებიაო! (ძეგ.).

**მარი-მარი უდგათ** ჩხუბო-ბენ, ყაყანებენ. პეტრეს დედასა და ცოლსა თელი დღე მარი-მარი უდ-გათ (იგ.). რა მარი-მარი უდგათ ივანიკაანთა, რა მოუვიდათ, ვეღარ მორიგდენ? (მეჯვრ.); აგრეთვე ერთაწმ., წილკ.

**მარიოლ-**ი მწერი ერთგვარი. მარიოლი ფუტკარზე დიდია, უფ-რო ჭრელია, ფუტკარს ემტერება, დედას უკლამს ფუტკარსა, მერე სხეებსაც შეჭამს. თუ მოერია ფუტკარსა, აწყოფს (ჩუმათ.).

**მარტია** კაჭკაჭი. მეცა მყავდა მარტია, რო მოშიოდა, მეძახდა, მშია, მშია! (ძეგ.). რა პატარა

მარტიასავით იმეორებ ყველა-  
ფერსა? (ბიწმ.).

**მარტოტუნაობ**-ს მარტო,  
ჩუმაღ ჭამს. მიხურავს კარეფსა  
და მარტოტუნაოფს, არც ქმარი  
ანაღვლია და არც შვილები (ძეგ).  
**მარტოტუნაობა**: მე ვიცნობ  
იმისთანა ქალსა, მარტოტუნაობა  
რო იცოდა, გამოვიდოდა ოთახი-  
დანა პირის ცმაცუნითა (ძეგ).

**მარქაფა** 1. ტივის გვერდებ-  
ზე დამატებით მიბმული ხეები  
წყლის დონის ასამაღლებლად.  
ოთხი მარქაფა ჰქონდა გადაბმულ  
ტივსა, ნახევარ ტივსა — ორი  
მარქაფა. უფრო სხვილ ხეს მოვ-  
ჭრიდით ხოლმე მარქაფათა (ზ.  
ხანდ.). 2. ხელზე მოსამსახურე,  
მორბედი. შენი მარქაფა ხო არ  
არი! ეგ რო არა გყამდეს, რა გე-  
შეელებოდა? (ტყვე).

**მასაბძაღ**-ი რჯულძაღლი.  
დიდი მასაბძაღლი კაცი ხარ!  
(ზ. ხანდ.).

**მასათ**-ი ფოლადის სალესავი.  
მასათია დანის გასაღესი, პირის  
ასაწყობი (ძეგ). კაი სალესავია  
მასათი (საღ.).

**მასაბანა** იხ. ასკანა.

**მასკარატი**-ი, **მაშკარა**,  
**მაშკარატი**-ი ამბობენ ძალიან  
თეთრ, ლამაზ ვინმეზე, რამეზე.  
ჩემა მულმა იცის, წაისმევს სა-  
ხეზედა, ისე წაისმევს, რომა,  
რო შეხედო, მაშკარეთსა ჰგავს  
(ერედ.). ისეთი კარგია, ისეთი  
კარგი, როგორც მასკარეთი (ძეგ).  
მაშკარასავით არ ანათებს ე გო-

გოი?! (კარალ.); აგრეთვე ზ.  
ხანდ., საკორ., ტყვე, ქვ. ჭ.

**მასკულავ** მერმისს იქით,  
გაისს იქით. წრევანდელი წელი-  
წადი რო წავა და მეორე წელი-  
წადი მუა, ამაზე კი არ ვიტყვი  
მასკულავო, იმ წელიწადი შემრე  
რო წელიწადი მუა, იმ წელიწად-  
ზე ვიტყვი (წილკ.). წრეულა და  
საკულავოთ კი არა მიშავ რა, მაგ-  
რამა მასკულავ არი ბიჭობა, რო  
ყველა სასყიდელი გამიხდება ერთ-  
ბაშათა (წილკ.).

**მასმას**-ი წკრიალი, ბზინვა.  
მასმასი დააწყებინა აქაურობას  
(ძეგ). მასმასი გააქვს იქაობასა,  
სუ ნათელი გადასდის (კარ.); აგ-  
რეთვე ერთაწმ.

**მასმასად**, **მუსმუსად** 1.  
სწრაფად, ადვილად. ერთი კოკა  
ღვინო მქონდა და სუ ჩარექობ-  
ლივ გაყვიდე, მასმასათ იყიდე-  
ბოდა (კარალ.). 2. საგანგებოდ,  
განსაკუთრებით, მუსმუსად დაქე-  
ბენ კამეჩი კარაქსა (კარალ.). სუ  
მასმასათ ვექებეთ თევზი და ვერ  
ვიშოვეთ, გაყიდულიყო (ქვ. ჭ.).

**მატეპელი**-ი ფქვილი (პური-  
სა), რომელიც გამოცხობისას  
იმატებს. დოლიპური მატეპელია  
(ნოს.). ისეთი მატეპელი პური  
გამოდგა, რო გაღუედა, ორი იმ-  
დენი გახდა (საგურ.); აგრეთვე  
გარიყ., ძეგ.

**მაქონს პური** ახალი წლის  
მისალოცად გამომცხვარი ნიგე-  
ზიანი პური, აბრამიანთან ერთად  
მისართმეველი (შდრ. არამაქონს

პური). რომელიც მაქოს პური იყო, აბრამიანისთვის რო აცხოვდნენ, იმაში ბევრი ნიგოზი უნდა წაილოს (ხც.).

**მაძცე**-ი მარჯვე, ყოჩალი. პატარა რო არი და მაქცი, მარჯვე ბავშვი, იმას ეტყვიან ცეროდენასა (ხც.). უნდა გამატაროთო, იწევს, დიდი მაქცი ბავშვი არი, რა დრო მაგის სიარულია, მაგრა არ ისევენეფს (სად.).

**მალდანოზ**-ი ოხრაბუში. ქართულათ ჩვენ მალდანოზ ვეძახით პეტრუშკასა (საგურ.). მალდანოზი ჩვენ გვიღვა (ძეგ.).

**მალლაბოძ**-ი ნაქსოვის სახე ერთგვარი. მალლაბოძი რო გაკეთებულიყო, უნდა ყაისნაღზე გადაგეზვია, ჯერ ერთ თვალს ამოიღებდი, მერე ორ თვალს ამოიღებდი, შესაძე თვალზე სულ გამოკრეფამდი, კეთდებოდა მალლაბოძი (ზ. ხანდ.).

**მაჰართ (მაჰრების) დაბაზ** საქორწილო ცერემონიალი ერთგვარი. მაყართ დაბაზ ქორწილის მეორე დღეს იცოდნენ. მაყართ მოთავე გაიყვანს მაყრებს და თითო-თითოთ მიაბამს ხეზე უკან ხელეგაკრულსა. მერე შეატყობინეფს იმის პატრონსა, რო ესა და ეს კაცი დაბმულია და დაიხსენითო. იმის პატრონებიც გამართამენ ხილსა, არაყსა, ქათამსაც გაუგზავნიან და ხეზე მიბმულ კაცს დაიხსნიან და შემრე ისევე ერთათ ქეიფობენ (კავთ.); აგრეთვე ძეგ.

**მაშარაფ-ი, მაშარაფის თუთა** თუთის ჯიში ერთგვარი; აქეს შავი, მოკლეყუნწა არობატული ნაყოფი; ამ ხის ნაყოფი. მაშარაფის მურაბა ძაან კარქია ყელის ტკივილისთვისა, ვინცა ხარშამს, წამლათ ინახამს (კავთ.). ქერივ ოლდას უდგია მაშარაფი თუთა, თუ აქ მოხარშული, უარს არ გეტყვის (კავთ.); აგრეთვე ძეგ.

**მაჩულა, მაჩუნა** უშნო, მახინჯი. ხინჯიანი რო არი, არაფერი ეყურება, იმასა მაჩულას ეტყვიან (ოდ.). მაჩუნა ადამიანიც შეიძლება იყოს, ქათამიცა, ღორიცა, თხაცა; რომელიც მახინჯია, მაჩუნას ეძახიან (კავთ.); აგრეთვე ზ. ხანდ.

**მაცადურ**-ი გამრჯე, მეცადინე, მარჯვე. ისეთი მაცადური ქალია, რო მეტი არ შეიძლება (ვარ.).

**მაცაცმარა** მოუსვენარი, დაუდგარი, ცელქი (ბავშვი). ჩვენ ბავშვს ვერ ვიჭერ ხელში, ისეთი მაცაცერაა (ძეგ.). რა მაცაცერა ბავშვია, ხან სად შეძვრება, ხან სადა, ერთ წუთს ვერ ნახავ გაჩერებულსა, ვერცხლის წყალივით არი (კარ.). **მაცაცმარობა**: ერთმა აქაურმა გოგომა თავისი მაცაცერობითა მაკრატელი იტაკა თვალში (ატ.); აგრეთვე კავთ., სად.

**მაძლქვალ**-ი ცოლად გაყოლის მსურველი. ბევრი ყამს მაძლქვალი, მაგრა ეშინია, როგორი შესვლება (თამ.). ბევრი მაძლქვა-

ლი ჰყავს, მაგრამა ჯერ არაფერ-  
სა ფიქრობს, რავი, როდემდინ  
უნდა იყოს ეგრე უცოლოთა  
(ბროწლ.).

**მაცაპ-ი, მაცუპ-ი** უსუფთაო,  
ბინძური. ოჯახში არ არი გაზ-  
დილი ეგ ოჯახდასაქციევი, რა არი,  
ეგეთი მაწაქი რო არი! (ახალშ.).  
ეგე, ჩვენებიანთ პატარძალია მა-  
წუკო, ჯერ ხალხში არც კი გასუ-  
ლა ხეირიანათა და ეგეთი დადიმ  
წყალზედა, რო ყველაფერი ზედ  
უსვია კაბაზედა (წილკ.); აგრეთვე  
კავთ., სამთ., ქემ.

**მაცაწურა** ბინძური, ჭუჭყი-  
ანი. ჭუჭყიანი დედაკაცია, თავი  
არ უყვარს, მაწაწურაა (ძეგ.).  
დიდი მაწაწურა ქალია, ქორწილ-  
ში სუფრა ვათხოვე, ისეთი მომი-  
ტანა, როგორც მაწაწური (ძეგ.).

**მაცაპატა** პაწაწინა (მოფერე-  
ბით). ჩემი პატარა ესლა ეს არი  
და მაწკატაც ეს არი (ზ. ხანდ.).  
ჩემი მაწკატა ბიჭი (ზ. ხანდ.).

**მაჭიტა** სამყურა. სამყურა ბა-  
ლახს უძახიან მაჭიტასა; სამყუ-  
რასაც უძახიან და მაჭიტასაცა,  
ძველი ხალხი უფრო მაჭიტას  
უძახოდენ (ხც.).

**მახაშირ-ი** შავ-ყვითელი, უფე-  
რული (აღამიანი). უღამაზო რო  
იქნება, შავი, მახაშირიანო, იტყვი-  
ან (ხაშ.). ისეთი მახაშირი ბე-  
შეები ჰყავს, ერთ არა აქ აღამია-  
ნის ფერი (ბროწლ.).

**მახმაჭა** ბალახი ერთგვარი.  
მახმაჭა ბალახია, ბზისნაირია,

საქონელმა რო შეჭამოს, მოკვლე-  
ბა (ქემ).

**მაჯაპრემა** დამცინავი. მა-  
ჯავრელა აღამიანი ხუმრობაში  
გლანძამს (სად.). კაცეფშიც არი  
მაჯავრელა აღამიანი, ქალეფში —  
უარესათა (სად.).

**მგელკაცა** 1. მარჯვე მუშა.  
მგელკაცაა, საქმეს რო მიაღებდა  
და ბევრს მუშაობს (ზ. ხანდ.);  
2. ხარბი მჭამელი. მგელკაცა მჭა-  
მელიც არი და ღონიერიცა, ვინ-  
ცა ჭამს, ღონეც იმასა აქს  
(სად.). სად არი ესლა ჩემი მგელ-  
კაცა მიშა, რო მადიანათ არ მოუ-  
სომს ყბასა მა ხორცსა! (წილკ.).  
3. ვისაც ტანსაცმელი მალე უცვ-  
ლება (შდრ. გელიგლეჯია). მა  
მგელკაცაა რაც გინდა ჩააცვი,  
ერთ კვირამ მაინც არ შაახწეი-  
ნეფს მთელსა (წილკ.).

**მღნარ-ი** 1. ადვილად დნობა-  
დი. ძირ ნუ დაპყრი, ესა მღნარი  
კამფეტია და მერე პოლზე ეგლი-  
სება (ატ.). 2. რბილი, ფომფლე-  
ნახად რო ვაჭმევ ღორსა, მღნარი  
ხორცი აქ ხომე, უნდა აჭამო სი-  
მინდი და ისეთი ხორცი ექნება,  
კენჭივითა (ატ.). **მღნარი** გუ-  
ლინსა გულჩვილი, საწყალი გუ-  
ლისა. დედაილაა, მღნარი გული-  
სა, სუყველაზე მაგან უნდა ამის-  
კენა გული (წილკ.).

**მღულრიმ** არის ძალიან  
მწუხარეა, გულდათუთქულია. აღა-  
მიან რო გული დამწველი მოუკვ-  
დება, ან თუ დიდი დარდი რამ  
აწვე გულზედა და ტირიდა, სუ

ცრემლათ იღვრება, იტყვიან, მღუ-  
ღრით არიო (წილკ.). რა ყოფნა  
იყო ჩვენი იქ ყოფნა, სუ მღუღ-  
რით ვიყავით მეცა და ი ჩემი მუ-  
ლიცა (წილკ.).

**მეზობლო** დამხმარე მეტივე  
ტიეის ბოლოზე. მეტივე, რომე-  
ლიც უფრო დახელოვნებულია,  
წინა ზის და მეორე მეზოლოა  
(ზ. ხანდ.). რამდენჯერ მარტოს  
მიტარებია ტივი, მეზოლოე არა  
მყოლია (ზ. ხანდ.).

**მეზორსბე** ღორ-ხბოს მწყემ-  
სი. მწყემს ვეტყვიოთ მეგორსბესა,  
რომელიცა ყურს უგდევს სოფ-  
ლის ღორებსა და ხბორებსა (ერ-  
თაწმ.). ვისაც ღორ-ხბო დაჰყავდა,  
იმას ეტყოდენ მეგორსბესა (წვ.).

**მედროწმე** ვისიმე მტერი, ავის  
მსურველი. ეგა შენა ჩემი მოკეთე  
ხო არა გგონია, მედროვე არი ჩე-  
მი, ჩემი ავი მაგასა თავი დღეში  
არ ეწყინება (მეჯვრ.). კალთები  
რო დამაგლიჯონ, მანდ არ ვიმუ-  
შავეფ, ეთერამ მედროვე ვერ გაე-  
ხლები (წილკ.); აგრეთვე იგ.

**მეზვიარი** ვენახის, ბალის  
მცველი. გინდა ბაღს უყარაულოს,  
გინდა ვენახეფსა, ზვრეფსა, სუ ერ-  
თია, მეზვიარეა მაინცა (ბროწლ.).  
ჩემი ქმარი მაშინ მეზვიარეთ იყო  
(ბრ.).

**მეზობელა** მეზობლებში, გა-  
რე-გარე მოსიარულე. მეზობელა  
ის არი, გზირსავით რო დაღის  
(ძეგ.). მეზობელა ნუ ხარ, დაეგდე  
სახში, საქმე აქა გაქ! (კავთ.).

**მეთავითავე** თავთავის ამკრე-

ფი (მკის დროს). ვინც თავთავს  
ჰკრიფამს, ის არი მეთავთავი  
(ატ.).

**მეკეპრი** კეერის მკეთებელი  
ხელოსანი (დ. თონ.).

**მელიძვალა** ბალახი ერთგვა-  
რი. მელიძვალა არი ტყეში, ღე-  
როიანი ბალახია, როცა ქორფაა,  
შჰამს ადამიანი (ქემ.). მელიძვალა  
სატაცურივით ინტერევა, გაფცქ-  
ენი და შაშჰამ, ზეშავაც ისეა  
(ღის.).

**მენატროს!** მენაცვალოს! შე-  
მომეველოს! შენ კი მენატრე, შენა,  
შენც დიდი ვინმე მამიხვედი  
(ტყე.). ის კი მენაცვლოს და მე-  
ნატროს, ძაან თავი გამოუღია!  
(კარ.); აგრეთვე არად.

**მენჩი**-ი დაუმუშავებელი ფიც-  
რის ჭერი. მენჩი ფიცარია, კო-  
ჭებზე დააკრავენ; მენჩზე დაყ-  
რიან მიწას, სახლი თბილი იქნე-  
ბა (ჩუმათ.). ჯერ მენჩს დააფრიდ-  
ნენ, მერე ლამფას მიაკრავდენ  
ზედა (ჩუმათ.).

**მენძორია** ვისაც ბეერი  
აცვია, აბრანძული. აი, მოისპე  
შენა, მენძორია, მენძორია! (მონ.).

**მერიბე** რწყეის მეთვალყურე,  
მერუე. მერუე და მერიბე ერთია  
(ძეგ.). მერიბე ურიბებს წყალსა,  
მერეები მერიბეების უფროსია,  
იმის განკარგულებას ასრულებს  
მერიბე (ძეგ.).

**მესურათი** ფოტოგრაფი, აქ  
ღლეობებში ხშირად დადიან მე-  
სურათეები (ლამ.). მესურათესა  
თვალეებში კი არ უნდა უყურო

პირდაპირა, ან აქეთ უნდა გაიხედო ან იქითა ცოტათი, რო კარქა გამოხვიდე (არად.).

**მეტიესურა ლობიო** ლობიოს ჯიში ერთვეარი. მეტიესურა ლობიო კუტი ლობიოა, წითელჭრელია, ლაბიანი ლობიოა, გემრიელი (ოდ.).

**მეტიური ცული** გრძელი, მოხრილი ცული. რომელიც ცოტა გრძელია, მოხრილია, ის მეტიური ცულია, ამოსაცხვირია (ძეგ.).

**მეშველა** 1. ვაზის უღვაში. მეშველათი ვაზი ან ხის ტოტეფს, ან სარ შემოეხვევა ხომე (მერ.). 2. წერილი თასმა, თოკი, გუთნის უღელზე ჩამოსაცმელი, ღვედის მოძრაობის შესაზღუდად. მეშველა რო არა ჰქონდეს, ღვედმა შეიძლება ფეხი მოსტეხოს ხარსა (ბროწლ.); აგრეთვე დის.

**მეშქარა** მზე და წვიმა ერთდროულად. თან რო მზე არი და თან რო წვიმს, ის არის მეშქარა (ვარ.). ეს ოხერი, მეშქარა რათ გეინდოდა, ერთი მაღლიანი წვიმა მოსულიყო, რო დაეყიებინა ვენახები (ზ. ხანდ.).

**მეშ მოხურდება** მზე და აჭერს, ძალიან ჩამოცხება. სინამა გრილა, წადით, თორო რაკი მზე მოხურდება, შემრე ფინთია ხომე სიცხეში სიარული (წილკ.). ჯერ მოხურდება მზე, რო გააფიცხოძ ძნა, ეხლა რო შაბა, ვერ გაილენება ტყუილათა (წილკ.).

**მზის ალარ** მზეზე ნაადრევად გამხმარი ნედლი ხორბალი.

მზეზე რო ძალა მოსდის, მზის ალარ არის. პურს რო გამოაცხოფ, წოროწორო მიდის თონეში (ძეგ.). მზის ალარ გამოვიდა, არაფერში გემო იმას არა აქ (ძეგ.).

**მზის ეპალი** წერილი გამოწყარი კანზე. როცა მზე დასწვამს კანსა ძიენა, მაშინ ძიძიბებით დააყრის, ნასიცხიეთა კანზე, მაგას ვეძახით მზის ეკალსა (ზერ.).

**მზის თვალი** მზის სინათლე. ორი თვისანები არიან წიწილები და ჯერ მზის თვალი არ უნახავთ, სუ დამწყვედეულები არიან საცოდავები (არად.).

**მთავარი მცნება დაეპარება** გონებას დაკარგავს. კაცი რო შაშინდება რამეზე და გონება დაეკარგავს, გული გედეეფერება, იტყვიან, მთავარი მცნება დაეკარგაო (წილკ.). ვენახიდან მოვლიოდი, როცა მიტხრე და იქვე დამეკარგა მთავარი მცნება (წილკ.).

**მთვარე** ნაქარგის სახე — შეუკერელი წრე. მთვარე გამოვიყვანეთო, რგვლათ რო დახატამ (ძეგ.); აგრეთვე ზ. ხანდ.

**მთვარე შეიშლება** მთვარე გამოიცვლება. ახალი რო გამოა, შაიშლება მთვარე (ნოს.). **მთვარის შეშლა:** არ შაიძლება, რო მთვარი შაშლაზე მაინც არ გაავდარდემ, რა გული გაგტეხია! (წილკ.).

**მთვარის შემოვალეობა** მთვარის შესება, მოძველება.

მთვარი შამომადლება ვეტყვით, როცა მთვარე მოძვედება და გათენების ხანსა ამაუ (წილკ.). ერთხელაც მთვარი შამომადლებაზე რო გაავდარდემ, მეტიც არ უნდა ჩვენ ვენახსა (წილკ.).

**მიაბეჭებ-ს** 1. ბეჭებში ჩასცხებს. აილო გაბრაზებულმა ერთი ბოთლი ღვინით სამსე და შიგ ბეჭეფში მიაბეჭა (წილკ.). **მიბეჭება**: მიბეჭება იმაჲ ქვიან, რო ქვა იქნება თუ რაც იქნება, აიღეფ და შიგ ბეჭეფში თხლაშაჲ გაადენ, ისე მიაბეჭემ, დააბარგანავეფ სულა (წილკ.). 2. გადაიხდის, მისცემს ბევრად მეტს, ვიდრე ღირს. წახვალ, წამოხვალ და მიაბეჭეფ, რაც არა ღირს, თითქო ქვეყნის შემძლებელი იყვე (მერ.). **მიბეჭებულნი**: ესა ისე ლაპარაკოფს, რომა ამ კაბაში ბევრი ექნება მიბეჭებული (მერ.).

**მიბინარებ-ს** ძალ-ღონეს გამოუღევს, მისუსტებს, მიბნედს (ავადმყოფობა). ძალათი მაინც აჭამე, რამ მიბინარა ეგ საცოდავი? (კავთ.). **მიბინარდება**: ბაღლი მიბინარდა სულა, აღარაფრი გული არა აქ, რუ არა აწუხებდემ რა, ესე რათ იქნებოდა? (წილკ.). რომს თუ მიეცემდენ, იმ წუთში მიბინარდებოდა (საკორ.). **მიბინარება**: მიბინარება ავანტყოფმა იცია მეტი-მეტი სისუღტიხაგანა, აღარა აქ ზომე თავი ან დალაპარაკებისა, ან განძრევისა, ეგე წევს გარინდებული (წილკ.). **მიბინარე-**

**ბული**: სიცოცხლის თავი აღარა მქონდა, ლაპარაკი აღარ მეყურებოდა, მიბინარებული ვიყავი (ქორ.). მიბინარებული იყო ბანში, ხმას არ იღებდა (ქემ.).

**მიბარასტებ-ს** მიაბეჭემს, სთხლევს. — ექ იხმის იმისი ტირილი. — მიბარასტებდა და იტირეფს, მა რა იქნება?! (საგურ.).

**მიათურთურებ-ს** საქმეს ზერელედ გააკეთებს, მიაფუჩეჩებს. მიათურთურაო, უბრალოთ რო გააკეთეფ საქმესა, იმაზე ვიტყვი (ატ.).

**მიაკონდლებ-ს, მიაკონტლებ-ს** იგივეა, რაც დააკონდლებს, დააკონტლებს. ყველაფერში უქნარა როგორა ხარ? რა არი, ამოტოლა საკერებელი რო მიგიკონდლებია? (კავთ.). **მიაკონტლა** და მომიგლო (მეგ.). **მიკონდლება**: როცა ადამიანი, სიტყვაზე, აიღეფს ღიდ საკერებელს, დაადეფს პატარა ალაგზე, მიკონდლება იქნება. ან კიდე აიღეფს კალატოზი და ერთ ალაგას ბევრ ქვიშას დაასხამს არეულსა, ეგეც მიკონდლება (კავთ.).

**მიაკრუხებ-ს** მისცემს, მიაქვავებს. მაგ უბედურს ვინ მიაკრუხა ან კრაოტი, ან ტახტი, ძირ იშლის ლოგინსა და ისე წვება (მერ.). პური ვინ მომაკრუხა, ჭად ვაცხოფ (მერ.).

**მიამთელებ-ს** იგივეა, რაც გაამთელებს. ეს სურა რო ააგდებინე ბავშვსა, მიაამთელებს და დამრჩებით ისე (ტყვ.). **მიუმ-**



თქვამს: ორი თეფშილა მქონდა ესეთები, გულიკომ მიმიძეთლა და გამინება თავი (კარ.); აგრეთვე ერედ., ძეგ.

**მიამფაზად** უშრომლად, უსაქმოდ. ბარე კარქია მიამფაზათ ცხოვრებაი, მაგრამა ხად არი?! (ტყვ.). რას ამოფ, მიამფაზად დამსვამს ჩემი რძალი, ხელს აღარ გამანძრევიანებს! (ტყვ.).

**მიანაბრებ**-ს ვისიმე ანაბარა დატოვებს; მიანდობს. მიანაბრებს ბავშვებს დედამთილსა და თითონ ხან ალთას არის, ხან ბალთასა (ტყვ.). ამდენი საქმე რო მიანაბრე ბავშვსა, ცოდო არ არი, ღმერთი აღარ გაქს? (კარ.). **მიინაბრებ**: რო მოგენაბრება ვინმეი, უნდა გაიტანო (ქემ.). **მიინაბრებულნი**: მინაბრებული ყაავ ბავშვები მეზობლებთანა და არა კითხულობს, შიათ, სწყურიათ! (ძეგ.).

**მიიპიტებ**-ს მიამაგრებს, მიაკერებს (შეუფერებელ რასმე). ეგ რა გაქს გულზე, ვინ მოგაპიტა? (ძეგ.). **მიიპიტებს**: ეგ რა მიგაპიტებია გულზე? (ძეგ.).

**მიასუსტებ**-ს ბევრს დახარჯავს, შეაცოტავებს. ყოჩად თქვენა, კარგა მიგისუსტებიათ შეში! (ბიწმ.). რაკი ერთი მივასუსტეთ საქმე, ახლა აღარა გვიშავს რა (ძეგ.).

**მიატან**-ს მიხედავს, მოუვლის. ესლავე მიატანე შენ თავსა, მიდი ექიმთანა! (ტყვ.). დროზე რო არ მიგვეტანებინა, კიბოთ გელე-

ექცეოდა თურმე (კარ.). ხმლს მიატანს დაეხმარება. მიატანენ ხელსა, ასესხებენ, მიეხმარებინან, მანამ წელს მოიმაგრებდეს (კავთ.). მერე ეგენიც რო გამოილევა, მერე რილათი მიატანს ხელსა? (ბიწმ.). **მიიტანება**: ხმლის მიიტანება: ცოტა ხელის მიტანება მინდა, როგორმე ამ ვალებიდან ამოვიდე და მერე არა მიშავ რა (კავთ.); აგრეთვე ძეგ.

**მიავაზრებ**-ს ნაუცბათეად, ზერელედ გააკეთებს, მიაფუჩეჩებს. რო კარქათ არ გააკეთებს, უგულთა და ჩქარა კი მორჩება, იმაზე იტყვიან, მიაფაფრა და განება თავით (ერედ.). აბა, ემასა გაკეთებული ჰქვია? ნახევარი სუ შიგ ჩაუტოვია ლობით კუნწეწშია. მაგან სუ ესე იცის, მიაფაფრებს და გაუშვებს (მეჯვრ.). **მიუვაზრებ**: რომ მიმიფაფრე დილეგი პალტოზედა, ცოტა მაგრა ველარ დამიკერე? (მერ.). **მიუვაზრებულნი**: ისე, უბრალოთ იყო ესათონე მიფაფრებული და იმიტვინ დაანგრია თოვლმა (მერ.).

**მიავაზრ-მოავაზრებ**-ს იგივეა, რაც მი ა ფ ა ფ რ ე ბ ს. მიაფაფრ-მოაფაფრებს და დაანებებს თავსა (ქვ. ჭ.). მიაფაფრ-მოაფაფრა ამ ქალმა ოთახი და წავიდა საქმეზედა (მერ.); აგრეთვე ტყვ., ქემ.

**მიავაცუცებ**-ს იგივეა, რაც მი ა ფ ა ფ რ ე ბ ს. სუფველაფერზე იტყვიან, როცა არ მოეწონებათ გაკეთებული, ჩქარ-ჩქარა რო აკვ-

თებს, მიაფაცუცაო (ერედ.). ამოკერავს სანქაროზე, მიაფაცუცეფს და გინდა კარქა მოგივიდეს, გინდა არა (ზც.); აგრეთვე კავთ., ქვ. ჭ.

**მიაქარახინაპმებ-ს** 1. უანგარიშოდ ჩაასხამს, ჩაყრის ბევრს. რო მიაქარახინავე, რატო აღარ უყურეფ, იქნებ გაიმსო? (კავთ.). რო მიაქარახინავე ამდენი წყალი, საჭმელად არ გინდა? (ზ. ხანდ.). **მიქარახინაპმება:** როცა ერთბაშათ მიუშეფ და ჩაასხამ რამეხა, მიქარახინავება იქნება (კავთ.). 2. ზერელედ გააკეთებს, მიაფურჩეჩებს (საქმეს). მიაქარახინავე და გაიქცა, ვითომ გააკეთა საქმეი! (ერედ.); აგრეთვე ძეგ.

**მიაქივლებ-ს** ბევრ წყალს დაასხამს, მიუშვებს: ვზელამდი, ქალო, და ჩემი გოგო მისხამდა წყალსა, ერთი ისეთი მიაქივლა, ლამის სუ გაივსო ვარცლი (იგ.). ეგე უცბათ ნუ მიაქივლებ ზომე წყალსა, ზო ხელამ, იღვრება (წილკ.). **მიქივლებბა:** ბევრ რო მიუშევენ წყალსა სარწყავათა, მიქივლება ის არი (მეჯვრ.).

**მიაქივქივებ-ს, მიაქინქინებ-ს** ზერელედ, ნაუცბათევედ გააკეთებს, მიაფურჩეჩებს. ღამი გასათევი ქოხი მიაქივქიშა სვიებიითა და იმავ ღამეს წააქცია ქარმა (მეჯვრ.). მაგი გაკეთებული ზო არაფერი ვარგა, მიაქინქივებს და გაუშვებს (ოდ.). **მიქივქივებბა, მიქინქინებბა:** მიქივქივება ის არი, რო ფათიფუთა კაცი ჩქარა-

ჩქარა გააკეთეფს საქმესა, ეგე, უბრალოთა და ხელათევე ისევე გაფუჭდება (წილკ.). ძაან მიქივქივება იციო საქმისა, თუ თავზე არ აღგა კაცი (წილკ.). **მიქივქივებბა:** მიქივქივებული საქმე სუყვეელთინ ფინთია (წილკ.); აგრეთვე ატ.

**მიაყინებ-ს** სანახევროდ, ნაწილობრივ მიხურავს (კარს). ცოტა კარები მიაყენე! (სამთ.).

**მიაყუებ-ს** მაგრად სცემს. ისე მიაყუა ციურაი, რათ წახვედი ჩემ უკითხავათაო, რო რა! (ბროწლ.). მიყუებინათ, ისე ეცემათ, სიკვდილის პირზე მიეგდოთ (ძეგ.).

**მიასაბათებ-ს** სახელდახელოდ გააკეთებს. მიაშაფათა წინდები და მამახალა თავში, ჩაიცვი, უკვე დავაკერეო (მერ.). **მიასაბათებბა:** თუ რამეს ზელ მოჰკიდამს, გიყვარდეს, რო კარქა გააკეთეფს, მაგას მიშაფათებული საქმე არ უყვარს (მერ.). მიშაფათებულ საქმესა ის მირჩეენიან, სუ არ გააკეთო (მერ.).

**მიასაფშაფებ-ს** სწრაფად, ზერელედ გააკეთებს რასმე. ჩქარა უნდა მაგასა, რო მიაშაფშაფოს (დის.).

**მიასულატუნებ-ს** მიათრევს (ფეხებს), მიაფრატუნებს. მიაშლატუნეფს ის არი, უშნო სიარული რო იცის, მიათრევს ფეხეფს უშნოთა (საგურ.).

**მიასურშურებ-ს** სწრაფად, სახელდახელოდ გააკეთებს. მიაშურშურებს, მოაშურშურებს და

მორნა! (ქვეში); აგრეთვე საგურ.,  
ქვ. ჭ.

**მიანუჩლავებ**-ს უყურად-  
ღებოდ მიაგდებს, მიატოვებს; არა-  
ფრად ჩააგდებს. ქმარსა სად მია-  
ჩუნღავეფს, ხად არა, ვინ იცის,  
და ახალგაზრდა ბიჭეფს კი ქარი-  
ქარალოს აძახებინეფს (მერ.).  
**მიჩუჩლავებული**: უფროსი  
გოგოები გატყლარჭულები ჰყამს,  
ე პატარა კი მიჩუნღავებული  
ჰყამ საცოდავათა (მერ.).

**მიანუჩხე**-ს დააცოტავებს,  
გამოლევს. ჩვენი არ იყვეა, თქვენც  
როგო მიგიწუხებიათ ე ხორცი,  
ერთი კული შალაღა გვიკიღია  
(წილკ.). მიანუჩხეთ ლობიოი და  
ახალი ლობიო კი ჯერ არ არი  
ჩვენთანა, ჯერ ეხლა ჰყვავის  
(ბროწლ.).

**მიანახხე**-ს არგუნებს, შეა-  
ხვედრებს (იტყვიან უპატივცემ-  
ლოდ). მე არას მომანახხებთ, თუ  
თქვენ ისწავლით! (ტყვ.). მიმ-  
ნახხეპბა: შენ თუ ფულს აიღეფ,  
მე რა მომენახხება? (ტყვ.). არც  
ის დაიჭირეს და არც იმათ მიეხ-  
ხვათ რამე! (ზერ.).

**მიანახე**-ს ბევრ წყალს და-  
ასხამს (კერძს). მიუშვა ბევრი,  
უზომრათ მიახხევა (ზ. ხანდ.);  
აგრეთვე მეგ.

**მიბაღვ-მოზაღვა**-ს ერთი-  
ანად დაკრეფს, დაგლეჯს (მწუა-  
ნილს, ხილს...). მივბაღვ-მოვბაღ-  
ვე ყველაფერი და წამოვიღეი, იქ  
აღარა დატეუ რა (ზერ.).

**მიბელტავ**-ს იგივეა, რაც  
გ ა ბ ე ლ ტ ა ვ ს (მნიშვნ. 1). ეგე  
მიბელტე დარგუანთ ვენახი  
თავში, რო კაპლი წყალი აღარ  
გაუა (წილკ.). მიბელტავ რა, ალა-  
ალა კი არ არი! აბა, მიბელტე,  
აქ ვერა მხედამ ბუზიტელათა?!  
(ტყვ.). მიბელტავა: ბარით მო-  
აჭრი ბელტეფსა და მიაწყოფ იქა,  
ხაიდანაც გაღიღ წყალი, მიბელ-  
ტავა ექვიან ამასა (წილკ.); აგ-  
რეთვე კარალ.

**მიბესტავ**-ს მაგრად სცემს,  
მიბეგავს, მიბერტყავს. მიბესტა  
ქმარმა და მიანება თავი (ტყვ.);  
აგრეთვე კარალ.

**მიბლაქუნებ**-ს უშნოდ, ლა-  
ყუნით მიღის. შეხე, შეხე, როგორ  
მიბლაქუნეფს! (ტყვ.).

**მიბლიკნა** მიბეგვა, ცემა  
(ბავშვისა). მიბლიკნა — პატარა  
ბავშვის ცემა (დ. თონ.).

**მიბუსკნი**-ს, **მიბუსტნი**-ს  
მიბეგვავს, მითეთქეავს (ჩვეულებ-  
რივ, ბავშვს). ერთი კარქა მიგ-  
ბუსკნი და გაგანებეფ თავსა  
(ტყვ.). ჩაბეგვს, მიბუსტნეს და  
მოაგდეს აქა აბღავლებული (ლამ.).  
**მიბუსტნა**: მიბუაღვნა არი,  
კაცი რო მიაღვევა კაცსა, ან თუ  
ბაღლსა და აცემს მაგრა ძალდა-  
ღონეზე მუაღებითა (წილკ.); აგ-  
რეთვე ატ., ზც.

**მიღება** ჯიუტი, კერპი. ეგა,  
არ იცი, რა მიღებაა? არ გაიგო-  
ნებს შენ ნათქვამსა (ხაშ.); აგრე-  
თვე ბრ., რუისი.

**მიღებილ**-ი გადაკიდებული, შეჩენილი. სამტროთ არი მიღებილი იმ კაცზე (ტირძ.).

**მიდილ-მოდლი**-ი მისვლა-მოსვლა ბუერისა. რაღაც ამბავია ანას თავსა, დიდი მიდილ-მოდლია (ხაშ.).

**მივბარბარებ**-ა მიეფერება, მიეაღერსება. მივა, მიეგარგარება ბავშვსა, ისე ეგარგარება, ზოგი დედა ვერ მიეგარგარება ისე თავი შეიღსა (ბროწლ.).

**მივბვარებ**-ა მიემსგავსება, ჰვავს. ვაზიძირა ამოღიდა როგორც ძირხვენა, მაგარი კუჭი აქ და ფოთლებიცა, სუ ლობიოა ფოთოლ მიეგვარება (წილკ.). სათიბელაა ვეტყვით პატარა ნამგალსა, სუ ნამგალ მიეგვარება (წილკ.).

**მიიკაქტებ**-ა წააწყდება, შეეჩნება; მიეხეტება. შეუგნებელი კაცი რო მივა და მიაწყდება კარეფსა, არც დაგიკაკუნეფს, არცა და მიაწეება, მიეკატაო, ვიტყვი (ატ.). სუ იმას გუუბნეოდი, მოერიდე ი ჩემი ცოდით სამსესა და მაინც იმას მიეკეტე! (კავთ.). მიიკატებ: რო მოვიდე თქვენ ოჯახშია და პირდაპირ შემოიდე, მიეკატება ეგ არი (ძეგ.).

**მიინუკებ**-ა მიეფერება, მიესიყვარულება. ბავშვი მიინუკა, რო შემოვიდა, ამან კი დაუღრიალა, მაშორდიო (ტყვ.). პატარა ბიჭი ჰყავთ ერთი, მივალ თუ არა, იმ წუთში მომენუკება ხომე (ქვეში); აგრეთვე კარალ.

**მიიკაბრებ**-ა ხარბად დაუწ-

ყებს სმას, წოვას. საწყლები როგორ მიეძაგრენენ, ალბათ ძაან მოშვიდათ (კავთ.).

**მიისოსმარიკებ**-ა 1. გაეხუმრება, გაეარშიყება. ვაჟი ქალს მიეხოსმარიკა (ტირძ.). 2. მიხოსმარიკება მილაქუცება, პირფერობით გულის მოგება. სარგებლობის მიზნით მიფერება არის მიხოსმარიკება (ტყვ.).

**მიზორტილ**-ი იგივეა, რაც დაზორტილი. ისე ასხია, ისე ასხია ჩემ ვენახსა, რო სუ მიზორტილი არი (ერთაწმ.).

**მიიბლი**-ს მიიხლის. თავში ქვას მიიგლის და გააკეთეფს, აბა, იმი გასაკეთებელი მე გავაკეთო?! (ტყვ.). მიიბლის: კედელს მიუგალა თავი (ტყვ.). მიიბლიმინება: ერთმანეთზე მიგაგლინა თავები (კარ.).

**მიიკუნჭულავებ**-ს კუნჭულში მიიმწყვდევეს. მიიკუნჭულავე სადმე და დაიჭირე! (გუჯაბ.). მიიკუნჭულავე, ასწია მართული და გაძვრა (გუჯაბ.).

**მიიტმასნი**-ს 1. ზედ მიიკრავეს, ჩაიცვამს. მეხი კი დაგეცა მაგ თავში, შენ თუ ვეველაფერი ზედ არ მიიტმასნე! (ტყვ.). 2. მიისაკუთრებს, დაიჩემებს. ეს ჩუსტები ჩემია, შენ რო მიიტმასნე (დ. თონ.). ჩემი კუთვნილი იმან მიიტმასნა (ძეგ.).

**მიიყანებ**-ს მიიკრობს, დაიჭერს, შეიკავებს (თონე...). გუნდის გათხელები დროა ბუერი ფქვილი რო დაეყაროთ გუნდასა,

თონე არ მიიყენეფს, აიყრიდ და, ცოტა რო შაცხვება, ჩამუარდუბა (წილკ.); აგრეთვე წვ.

**მიიყურიძინავებ-ს,** მიიყურიძინავებ-ს იგივეა, რაც მიიყურიძირებს. ნუ მიიყურიძინავეფუ, შეილო, მიხედუ შენ საქმესა! (კავთ.). მიიყურიძინავებს: მიყურისძირავე, დღეს არა, ზვალ დაერეცხამ-მეთქი სარეცხსა (ქორ.). მიიყურიძინავება, მიიყურიძინავება: გასაკეთებელი საქმე რო აქ და აღარ მიხედამს, დაივიწყეფს, ეგ არი მიყურიძინავება (კავთ.). რო არ გააკეთეფ საქმესა, მიყურისძირავებაა, მა რა არის?! (ქორ.).

**მიიყურიძირავებ-ს** მიივიწყებს, დაიზარებს (საქმეს). შე როგორ მიიყურიძირე და აღარ ფიქროფ შეში მოტანაზედა, ხო ხედამ, ერთი კეწერი შეშა აღარ არი! (წილკ.). მიიყურიძირავება: მიყურიძირება — რო არ გააკეთებ საქმესა, მიატოვებ (ერედ.).

**მიიშვილა-ს** იგივეა, რაც შეიშვილებს. იმ ღმერთმადლმა გიგუამა ერთი ჩემი გოდორი მიიშვილა, პირზე დაეადექი, მაგრამა ქვა დაკვნიტა (დოესი).

**მიიჩუვლა-ს** მინელდება, ხრჩოლვას დაიწყებს (ცეცხლი). რო გაქრება ცეცხლი, მინელდება, რო აღარ ანთია და ბოლი ამოდის, მაშინ, მიიჩუვლაო, იმას იტყვიან (ხც.).

**მიიქანება-ს** იგივეა, რაც გაიქანება. ერთი კარქა მივიქანებები ყურძნითა და დავიძინეფ ჩრდილში (ტყვ.); აგრეთვე ქვეში.

**მიქაპ-მოკაპა-ს** აკუწავს, აკეპავს. მიქაპ-მოკაპა დევები და წამოვიდა სახში (ტყვ.).

**მიქვირანა** იგივეა, რაც მიქვირია. ზოგი კიდენ მიქვირანაა და თუკი რამ უჩხავიძიჯიბეში, ამაიღემს და დააგდეფს ხომე (წილკ.).

**მიქვირია** ვისაც ცოტა რამ უკვირს, მატაოცი. მიქვირიააო, ჩვენ ვიტყვიოთ, რამე რო აქ ქონება, ან ცხოვრება, ან კაბები რო აქ და დღეში ცხრაჯერ რო იცვლის წარამარა, უკვირს, რო აქ (ატ.). თამრო დიდი მიქვირია გოგოა, რაღაცა უბრალო კაბა ჩაუცვამს და უკვირს (დ. თონ.).

**მიკოკმანება-ს** ნელა, მოკლე ნაბიჯებით მიდის (ცხენი). რაც უნდა გაუჯავრდე, მაინც მიკოკმანეფს, მოკლემუხლა ცხენია (რუისი).

**მილანგ-მოლანგა-ს** მოთხუპნის, მოსვრის. როგორ მიულანგ-მოულანგიათ ერთმანეთი, რო ვერ შეხედავ ამ გასაციებლებსა, ამათა! (კარ.). მილანგულ-მოლანგულ: მილანგულ-მოლანგული აქს პირი, ნეტა სად უნდა წავიყვანო?! (კარ.); აგრეთვე ტყვ.

**მილანგუნება-ს** ზანტად მიდის, მიხეტიალებს. გავიხედე ვენახისკენა, ვხედავ, მიდის ელ-

გუჯაი, თავისებურათ მილაღუ-  
ნეფს (მერ.). ნელ-ნელა დაიძრა  
გიჟი, მიდის, მილაღუნეფს (მერ.).

**მიღასილ**-ი 1. ძირს დაცემუ-  
ლი, ჩაწოლილი (მაღალი ბალა-  
ხი, ყანა...). მიღესილია, ყანა რო  
მიწვება ზომე, სქელი როა, კარ-  
გი; ხეც რო იყოს წაქცეული, ფე-  
სეებიანათ რო ტყდება, იმასაც  
მიღესილი ჰქვია (კავთ.). ისეთი  
დიდი ბალახი დგა, რო სუ მიღე-  
სილია (ძეგ.); აგრეთვე ზ. ხანდ.  
2. ძალიან მსხმოიარე, დახუნძ-  
ლული (ვაზი, ხეხილი...). ხილი  
არი, ყურძენი არი, პამიდორი  
არი, რასაც ბუერი ასხია, იმაზე  
იტყვიან, მიღესილია, ისე ასხიაო  
(ქვ. ჭ.). ისეა, ისე, ვისაც დიდი  
ვენახები აქ, ყურძენი, რო მი-  
ღესილი, ძიენ ასხია, ძიენა!  
(ერედ.); აგრეთვე ტყვ., ქემ.,  
ქვეში.

**მიღას-მოღასავ**-ს ძირს  
დასცემს, მიღეწ-მოღეწავს. უი,  
რა დიდი ქარი ამოვარდნილა, სი-  
მინდი სულ მიუღეს-მოუღესია  
(ზ. ხანდ.).

**მიღილიფარება** მოფარი-  
სეველება. პირში მიღილიფარება  
ძაან მეჯავრება (კარალ.); აგრეთ-  
ვე ქვეში.

**მიმდგარ**-ი ერთიანად, გაბ-  
მით ამოსული, გაზრდილი (ნათე-  
სი, ბუჩქნარი...). კოლექტივი ვა-  
ზიანში რო ნახო, სუ მიმდგარი  
ღიჭაა, ერთ ალაგაა რო დაიჯდე,  
ერთ მეშოკ გაამსეფ (წილკ.). თუ  
მიმდგარი ჯაგია და აქა-იქა ძებ-

ნა არ უნდა კაცსა, რატო ას კო-  
ნაა არ მოაჭრი დღეშია (წილკ.).

**მიმუნავებული**-ი მისუსტე-  
ბული, მიკნავებული. ძალიან გამხ-  
დარი რო არი, ის არი მისნავე-  
ბული (ერედ.). არც ისე მუსლუ-  
კივით უნდა იყვეს ქალი, არც  
ესე მიმსნავებული (ერედ.).

**მინდვრის ლობიო** ლობი-  
ოს ჯიში ერთგვარი. მინდვრის  
ლობიო კავიანია, წითელია, ტკი-  
პივით არი წვრილი (ძეგ.). ბეწვი  
სარი ლობიოსა არა აქ, ცანაოსა აქ  
და მინდვრის ლობიოსა (მჭად.);  
აგრეთვე ახალშ., ბრ., ერთაწმ.,  
კარალ., ნოს.

**მინუნა** ძალიან ცოტა, ერთი  
ბეწვა. მინუნა შეიძლება ყველა-  
ფერი იყოს, რაც კი შეიძლება  
წონითაც და ზომითაც. ფქვილი  
ვთხოვე და ერთი მინუნა მამცაო.  
აგერა, ძაფზედაც ვთქვი, ერთი  
მინუნა მამეცი-მეთქი (ხაშ.). ნამ-  
ცხვარზეც ვიტყვი, ერთი მინუნა  
მამეცი, მეტი არ მინდა (ხაშ.).

**მიკამპალე**-ს ძლივძლივო-  
ბით მიდის. ადგა ღევის დედა და  
მიკამპალეებს (გარეჯ.); აგრეთვე  
კარალ., ტყვ.

**მიჟვერა**-ს მიბეგვავს, სცემს.  
ისე მიჟვერამდა ზომე ძალესა თა-  
ვი მამაი ერთი ბეწო რამეზედა,  
რო... (მეჯვრ.).

**მიჟორტი**-ი ძალიან მოსხ-  
მული, დახუნძლული. ძრიელ ბეე-  
რი რო ასხია ვენახსა, მიჟორტი-  
ლიაო, იტყვიან (მეჯვრ.).

**მიროტ-მოროტავ-ს** დაუფიქრებლად იტყვის, წამოროშავს. რა ვიცი, მიროტ-მოროტა, ვერც კი გავიგე, რა უნდოდა (ტყვ.).

**მისდღეში** სულ, მუდამ. მისდღეში მაგას გარიგებლი (ქვეში). მისდღეში მაგას ვეჩინებები (ტყვ.).

**მისივისივიბ-ს** ღონემიხდილი მიდის, მილასლასებს. ორი დღის ამდგარია ლოგინიდანა და ჰკითხეთ ერთი, სად მისივისივებს? (ტყვ.). მისივისივებს ნელა, ნელა (ქორ.); აგრეთვე კარ.

**მის მოსწრებაში** თავის დღეში, არასოდეს. მის მოსწრებაში სალაში არ მოუცია (ზერ.). მის მოსწრებაში არა ჰქონიათ ამდენი ფული და გაუკვირდებათ, მა რა იქნება! (კარ.).

**მისნავებული-ი** ძალაგამოლეული, მისუსტებული, მიკნავებული. ავანტყოფზე იტყვიან, ბავშვზეცა და დიდზეცა, რომელიც მისუსტებულია, მისნავებული არიო (სად.). იცი, როგორი მისნავებული ვარ? (სამთ.).

**მიუბეჯითებ-ს** ბეჯითად, დროზე მიაწვდის, მიუმარჯვებს. მიუბეჯითებ მაგ ყანეფსა და ოც დღეში მოვრჩები (ვარ.).

**მიუკვალავ-ს** კვალში მიუგდებს, მიუშვებს (წყალს). რწყვი დროს წყალ მიუკვალამენ, წყალი ხო თითონ არ მივა (ატ.). **მიკვალებული:** დიდი წყალია და მიკვალებულია სუ (ქემ.); აგრეთვე ახალშ.

**მიულიკლიკებ-ს** ამბავს, ენას მიუტანს. ჭორიანია, წავა და ვისაც არა მგონია, ენას მიულიკლიკებს (ოდ.). რა ხელათ მიულიკლიკე ამბავი? (ტყვ.). **მილიკლიკებ:** მილიკლიკება ამბის მიტანას ნიშნავს, უფრო ბავშვებზე ითქმის. დედა რო სცემს ბავშუსა და მამას მიუტანს ამბავსა, მილიკლიკებაა (კარალ.); აგრეთვე ქემ., ქვ. ჭ., ტყვ.

**მიულუკლუკება-ა** მიეფარისეელება. პირს უკანა სძრახამს, მივიდა, მიულუკლუკდა მაინცა (ატ.).

**მიუნიყა-ს** დაჟინებით, რამდენჯერმე გაუმეორებს (სათქმელს...). ერთხელ ეტყვის, ორჯელ, აღარ ამოასუნთქეფს, აღარ დააცლის, გულს გაუწყალებს; მიუნიყაო, იტყვიან (კავთ.). მიუნიყა, ჭა, ი გოგომა; რა აყვირებს? (კავთ.). **მინიყება:** რო ერთს დაუძახეფს ადამიანსა ვინმე, შერე მიაყრის და მიაყრის, ზედიზედ დაუძახეფს, მინიყება იქნება (კავთ.).

**მიუსინათებ-ს** მიუნათებს. მოიდა, ლამფა აანთე და მამისინათე, ვედარა ვპუოფ იმ სატილო ღორსა, ეგები საღორეშია შამძვრალი (წილკ.).

**მიუქოლიებ-ს** მოეფერება, მოელაქუცება. ჯერ ერზუება, აწყინებს და შერე მიუქოლიებს, შურვიგდება (კარ.). რაც უნდა მომიქოლიო, მაინც ნაწყენი ვარ.

შენზედა და მაინცა (საღ.); აგრეთ-  
ვე ტყე.

**მიუღებ**-ს მიუბრუნებს, მიუ-  
ტრიალებს. საითაც მიუღებდი  
ცხვირსა, იქით წავიდოდა (ატ.).

**მიუწყდებ**-ა ძალიან დასუს-  
ტდება, დაუძღურდება. მიუწყდა  
ჩემ ბავშვსა, ფეხზე ვეღარ იდ-  
გა, საავადმყოფოში წავიყვანეთ  
(ქორ.). **მიუწყმტილი**: რო აღარ  
შეუძლია აღარაფერი, უნარი რო  
აღარა აქ არაფრისა, მიწყვეტი-  
ლიაო, ვიტყვიო. გუშინ ძაან მიწყ-  
ვეტილი იყო ჩემი დედამთილი  
(ქემ.).

**მიუსალაპებ**-ს ხალით, კომ-  
ბლით დაბერტყავს. ხეხილზე იტ-  
ყვიან, კომბალი მიუსალავაო,  
რო დაბერტყამ (ხც.).

**მიუსუვლებ**-ს 1. ბევრს და-  
ასხამს, მიუშვებს (წყალს). მაგ-  
დენი წყალი რო მიუსუვლე, ღო-  
შეჭამანდი უნდა გააკეთო თუ  
წყლისა? (ტყე.); აგრეთვე კარალ.  
2. დაუშენს, მიაყრის. რო მიუსუვ-  
ლე სარები ნატეხები, ხალები,  
სუ ქვეშ დავაგე თქვენი მურაბი  
მსხალი (ტყე.); აგრეთვე კარალ.

**მიუშდებ**-ა ერთბაშად მივა,  
მიაწყდება. იხუვლებენ და სუ  
ერთბაშათ მიქუხლებიან (წილკ.).  
**მიუშხებ**: მიქუხებად იმავე  
ვეტყვიო, რო დანახამს რასმე  
ხალხი უცხოსა და ერთბაშათ მი-  
ეხვევა იმასა (წილკ.).

**მიღოჭ-მოღოჭავ**-ს ერთია-  
ნად მოგლეჯს, მიგლეჯ-მოგლეჯს.  
ღორი წუხელა შესულა სიმინდში,

მიუღოჭ-მოუღოჭნია (ქემ.). **მი-  
ღოჭილ-მოღოჭილი**: შესუ-  
ლა ხბო ყანაში; ფეხითა, თოკითა  
სუ მიღოჭილ-მოღოჭილია (ქემ.).

**მიღრეჯ**-ს მიაბრუნებს  
(ურემს...). ვიწრო გასავლელი თუ  
არი, უღელს მიღრეჯამენ და ხა-  
რები ხალვათათ გაივლიან (კავთ.).  
ჩამოხტი, კაცო მიღრეჯე უღე-  
ლი, თორე ურემს გადააგდებენ ე  
ოხერი ხარები! (კავთ.).

**მიყარყებობ**-ს მიყიალებს,  
დაეხტება. მიყერყებოფსო, ვიტ-  
ყვიო, ისე, რო ჭკუასუბუქი არი  
აღამიანი, არც იცის, საით მიღის  
(ტირძ.).

**მიყუნცულაობ**-ს ბუქნით,  
ბაჯბაჯით მიღის (შღრ. ყუნცუ-  
ლი). რო ვერ მიღის თანაბრია,  
ქანაობით მიღის, მიყუნცულაოფს  
(რუისი). გოგო კოხტათ მიდიოდა  
ტუსტუსითა, ბიჭი მიყუნცულაობ-  
და (რუისი).

**მიჩმიჩა, მიჩმიჩლა** ვინც  
ჩაცეება, ჩაჟინება იცის. რა მიჩ-  
მიჩლაა, რა მიჩმიჩლა, თუ ერ-  
თი გადაგეკიდა, ვეღარ მოიშო-  
რებ თავიდან! (ბეგ.). მიჩმიჩე-  
ლა ნუ ხარ, გამანებე თავი, თო-  
რე გცემ! (ტყე.). კაცო, შენა რა  
მიჩმიჩა ყოფილხარ, აღარ უღბა  
მამეშვა?! (ზერ.); აგრეთვე ქემ.

**მიჩულავ**-ს მიმალავს, მიჩქ-  
მალავს. მიჩულამდით მაინცა, რო  
არავის დენახა (ერედ.). დამინა-  
ხა თუ არა, მიჩულა ი საკერავი,  
რა არი, მე არ მენახა, რო კერამ-  
და (ბროწლ.). **მიჩულული**: რა-



საც მიმალავს ადამიანი, იმაზე იტყვიან მიწულულსა (სად).

**მიქინებულ**-ი ისეთი (ცომი), რომელიც ჯერ გაღვივებული არ არის. ზოგი პური ღვივილს ვერ იტანს, ის ან სელდამდგმო უნდა მოიზილოს და თუ ჩიჩქვი მოუიდა ადამიანსა, მაშინ მიძინებულს უნდა მიასწროს, თორე სუ წორო-წორო წავა თონეში (კავთ.); აგრეთვე ძეგ.

**მიწა** ქსოვილის ძირითადი ფერი, ფონი. თეთრი მიწა აქს და ლურჯი წვრილ-წვრილი ყვავილები (კარალ.). **მიწის** მიძა ვისაც შვილები არ შერჩა. მიწის ძიძაა, ეგ უბედური, რამდენიც გაუნდა, იმდენი მოუკვდა (ქვეში). მე უბედური დღისა, მიწის ძიძა ვიყავი, იმითანა შვილები დამეხოცა, ავ თვალს არ ენახებოდა (ბროწლ.); აგრეთვე ქვ. ჭ. **მიწის** მბმელი თხუნელა. მიწის მგელი შავია, როგორც თავი, სხელი დინგი აქ, თუ ამოვიდა მიწიდან და შახელა ადამიანსა, კვდება (საგურ.). რალაც მომკვდარა და არ ვიცო, ვირთაგვაა თუ მიწის მგელი (ბიწმ.). რა მიწის მბმელი გაუნდა (მცხა)? სად დაიკარგა? სად გაქრა? რა მიწის მგელი გაუნდა იმ ოხერა პროხასა, აქ იყო ესლახანა! (ტყე.). **მიწას** მოეშარება დაიმალეება, გადაიკარგება. საქმი დროა მიწაა მეფარებიან და ჭამი დროა სუფერი თავში შექცევიან (წილკ.).

**მიჭუჭკამ**-ს, **მიჯუჭკამ**-ს შეამჭიდროებს, მჭიდროდ მოათავსებს; მიჭყლეტს, მისრებს. მოყე და ეგე მიმჯუჭკამ, რო სუ გვერდები დამამტვრეია (წილკ.). მიჯუჭკე კარქა და ეგე მამაწოდე, რალა ე გაფარჩხულეუ მანწედი? (წილკ.). ისე მიმჭუჭკამ, რო გასაქანი არ მომცა, რამდენი გავიწიე, იმდენი მოიწია (ბროწლ.).

**მიხინცულ**-**მოხინცულ**-ი აქა-იქ მიყრილი, მირეულ-მორეული. უწესრიგოთ რო ყრია და თავი აღგილზე არაფერი დეეს, იმაზე იტყვიან, მიხინცულ-მოხინცულია ყველაფერიო (სად.)

**მისურსურღმბა**-ა მიგროვდება, მიესევა ბეერი. რას მიხურხურდით მანდა, ღორი არ გააფრთხოთ (ოდ.).

**მოუსკაურებ-**ს სწრაფად მოივლის; სახელდახელოდ გააკეთებს რასმე. ჯერ წასულიც არა ჰგონიათ და ის უკვე მოვა, იმას ეტყვიან, რა ჩქარა მოუსკაურეო (კავთ.). რა ჩქარა მოუსკაურე, მითომ ვერე მალე იყავი? (კავთ.). **მოსკაურება:** მოსკაურებას იმაზეც იტყვიან, როცა ხელათ გააკეთოფს რამესა (კავთ.).

**მოუსმუტნი-**ს დაუსვრის, დაუჭმუჭნის (ტანსაცმელს). რათ ჩააცვი ეგა, მოგისმუტნის და ისე მოგიტანს, გაგიოხრებს სულა (საგურ.); აგრეთვე იკ.

**მოუსურავებ-**ს იგივეა, რაც გადაუსურავებს (მნიშვ.). ზორბალ რო ვაკეთებთ, უნდა მოუსურავო, ვიი-ვაგლახი მოსცილდეს, სუფთა ზორბალი დარჩეს (ტანძ.).

**მოუშცეპ-**ს წრიულად შეარხევს, მოიქნევს ცხრილს (ზორბლის გასაწმენდად). უნდა მოუქციო ცხრილსა, რაც ნაგავია, თავზე მოიხდის (ძეგ.). ერთი ჩანახი ჰური გიყრია, იმისთვინ ვერ მოგიქცევია ცხრილი, შენგან რა-

მე გამოვა? (ტყვ.). **მოძცეპა:** ცხრილის მოქცევა განა ყველამ იცის! ცხრილი ისე უნდა მოაჩანჩხარო, რო, რაც ნაკაზია, ზეიდან მოიგდოს (ტყვ.); აგრეთვე კარ., ქიწნ., ზოვ.

**მოუღილაპ-**ს მოუმრგვალებს (ხეს — თავს). ხე უნდა მოუბა, ნაცხვირი არა აქ, თავი უნდა მოუღილო (ზ. ხანდ.). **მოღილული:** მოღილული უღელიც არი, შეიძლება ნაცვეთი იყოს ხმაურებითა და მოღილული იქნება (ზ. ხანდ.).

**მოუყენებელ-**ი შეუგუებელი, უარშიო. მოუყენებელი ადამიანი ვერავის ვერ იხდენს, არავისთან კარქა არ არი (ომ.). უარშიო რო არი ადამიანი, ვერავის შეეგუება, მოუყენებელი ის არი (წვ.); აგრეთვე არად.

**მოუყივლებ-**ს მოუხმობს (ქათმებს). ქათმებს დაუჯიავე, მოუყივლე (ჩუმათ.).

**მოუყინება-**ს აუსუყებს, მოუსუყებს (გულს). ასე მგონია, თავი დღეში ერბოკვერცხ აღარ მოვიწომ-მეთქი, ისე მომიყინჩა გული (მეჯვრ.). **მოყინება:** სუქან საჭმელს რო შესჭამ, იტყვი, გული მომეყინჩაო (ატ.). **მოყინებაული:** ნეტა ეგენი რაღა უნახავებივით არიან, მოყინებული აქთ გული ყველაფრითა (ერცაწმ.).

**მოუშაბათებ-**ს ნაუცბათევად, ზერელედ გააკეთებს. რო მოუშაფათე მა კაბასა, ხო ხელამ,

ეხლა დასარღვევი გაგიხდა (მე-ჯვრ.). ჯერ კი გულიანათ დაიწყეფს ზომე საქმესა, მაგრამ ბოლოს მოუშაფათებს ზომე (მერ.); აგრეთვე კავთ.

**მოუჩანჩხარებ-**ს დაუტატანებს, შეუტევეს; ძალას დაატანს. ოცი თუმანიდა შემართა და ისე მომიჩანჩხარეს, გეგონება გამქცევი ვიყვე (ტყე.). გოგოს მშობლებმა მოუჩანჩხარეს და რაღას იზამდა, ადგა და შეირთო (კარალ.).

**მოუჩარევე-**ს სახელდახელოდ, ზერელედ განაგრძობს (საქმეს) გუშინ მე მოუჩარევე ჩემ კაბასა და ისეც გამოვიდა მშვენიერი! (ბროწლ.). ნუ მოუჩარევეთ, მოსაკრეფს ნუ სტოვებთ! (ტყე.); აგრეთვე კარალ.

**მოუცად-**ი, **მოუცადე** ხეხილი, რომელიც ყოველ წელიწადს ისხამს, მეწლე არ არის. მოუცადი ჭანჭურები მიდგას, არც ერთ წელიწად არ მოცდება, ეაშლები კი მეწლეურები არი (ბროწლ.). აქ ისეთი მსხალი იდგა, მოუცადე იყო, სუ თაფლივით დნებოდა (დის.); აგრეთვე ქვ. ჭ. ძეგ.

**მოუჭრი-**ს კუჭის აშლილობას შეუწყვეტს. რაწამ ი წამალი დავაღვინე, იმ სააჩი მოუჭრა, აღარც ტკივილი, არცა (კავთ.). **მოსატრეპილი:** კუტიბალახი — დაბალი და თეთრი ყვავილი აქ, მოსატრეპელი წამალია (ქვ. ჭ.).

**მოუსალავ-**ს ამოუშრობს, ამოუხახავს (ყელს...). ნედლმა კა-

კალმა გული მოუხალა ბავშვსა და გულზე უჭერს (ზერ.). **მოუნალემა:** რო გაცივდები, მოგეხალება გულიცა და ყელიცა (კარალ.). ხრაკიანი არაყი დავლიე და გული მომეხალა (ტყე.). **მოუნალელი:** ზოგსა ბევრი სუქნის ჭამისაგანა გული აქ მოხალელი (ზერ.).

**მოუხურდებ-**ა წაეჩხუბება. ჩემ დედამთილს თუ მოუხურდები, მაგათი გულითვინა!? (იკ.).

**მოუჯღლარდავ-**ს სახელდახელოდ, ცუდად შეუკერავს (მოუქსოვს...). მოუჯღლარდო კია და აღარ დავეძეფე, კარქა იქნება თუ ფინთათა (წილკ.). **მოუჯღლარდული:** მაიშროო კია და როგორც გინდა, იყვე მოუჯღლარდული (წილკ.).

**მოუფათლახებულ-**ი გაბინძურებული, გაჭუჭყიანებული (შდრ. ფათლახი). ნეტა: რასა გამდნენ, მოფათლახებულები იდგნენ სახშია! (ზერ.).

**მოუფელავ-**ს ბოლომდე, მთლიანად გააღებს (კარს, სარკმელს). რას გაივლი ზომე და მოფელავ მაგ კარეფსა? (ხაშ.). შენ სახსა კარები არა აქ, რო მოფელავ და წახვალ!? (ჩუმათ.). **მოუფელი:** რო მოვედი სახში, კარებები მოფელილი დამხვდა (ხაშ.). ტუფლი რო მამქარეს, სუ მოფელილი იყო ოთხივე კარები (ჩუმათ.).

**მოუფლახულ-**ი გაგანიერებული, გადიდებული (ფეხსაცმელი).

შეიძლება ჩუბტებმა პირველათ  
ქაან მოუჭიროს, მაგრამა მერე  
წვიმაში, ან ბევრჯელ რო ჩაი-  
ცვამს, ისე ქაან გადიდება, რო  
გაეხდება. ეგრე როცა არი, მოფ-  
ლახული ჰქვიან (კავთ.). ისე მო-  
ფლახული მაქ ეს ფეხსაცმელები,  
რო სუ მეხდება (კავთ.).

**მოფლუშავ-ს** 1. იგივეა, რაც  
ამოფლუშავს. მოუფლუშია  
კაბი საყელი იმხიდილოთა (ტყვ.).  
2. გააგანიერებს (ფეხსაცმელებს).  
ფეხსაცმელები მოუფლუშია და  
დაუყრია (კარალ.). **მოფლუში-**  
**ლი:** ამხელა მოფლუშილი ტუფ-  
ლები რო მიყიდე, დგმურები და-  
ვიყენო შიგა? (ტყვ.). 3. დიდად  
დაალებს (პირს). მოუფლუშია პი-  
რი და ერთავათ იცინის (კარალ.).  
**მოფლუშილი:** რამდენა მოფ-  
ლუშილი პირი აქ! (ლამ.).

**მოფლიტავ-ს** მოგლეჯს, მო-  
არღვევს, მონგრევს (ნაპირებს—  
მდინარე). წრეულ რო მეჯუდა მო-  
დიდა, ისეთი მოვარდა, რო ნაპი-  
რები ხო მოფლიტა და მოფლიტა,  
ხიდიც მანგრია ცალი ზრიდანა  
(მეჯვრ.).

**მოფოთლავ-ს** დარჩენილ,  
შერჩენილ ფოთლებს მოკრეფს.  
როცა გამოელევათ, რაც დარჩენი-  
ლი ფოთლებია, იმასა კრეფამენ,  
მოფოთლამენ (კავთ.). **მოფოთ-**  
**ლა:** ჯერა ზარბობდენ, სხვადასხვა  
ფურცლებზე დარბოდენ და ეხლა  
კი მოფოთლა დაიწყეს (კავთ.).

**მოფონდება-ა** მოეშვება. ქან-  
ჩი დაუჭირე, თორე არ იზამს, მო-

ფონდება თოკი და გზაში დაგეშ-  
ლება (წილკ.).

**მოფოქოლდება-ა** შემსუბუქ-  
დება, შეცოტავდება (საქმე...-  
ცოტა რო მოფოქოლდება საქმე  
კოლექტიაში, მაშინ თუ წამუალ  
ქალაქსა (წილკ.). ცოტა მოფო-  
ქოლდეა ხალხი, რა გენქარება  
შენცა, რო იმოტველა ხალხში არ  
შაიჭედო (წილკ.). **მოფოქო-**  
**ლბუღი:** იმოღველა ხალხი  
როა, რო სუ დუნდგო წევს, მემრე  
კი ცოტა-ცოტა შაცოტავდება, იტ-  
ყვიან, მოფოქოლებულიაო ხალხი  
(წილკ.).

**მოფურტან-ს** 1. მოშლის,  
გააფუჭებს. ვთქვათ, ადამიანს რა-  
მე მაშინა ჰქონდა, ის სუ დაშალა  
და ველარ ააწყო, იმაზე. იტყვიან,  
მოფურტანაო (კავთ.). კი არ გა-  
აკეთა, უფრო მოფურტანა (მეგ.).  
2. **მოიფურტანება** მოეშვება,  
მოდუნდება. რას მოფურტანულხარ,  
ადე და გააკეთე საქმე! (მეგ.).  
**მოფურტანული:** ისე ვარ მო-  
ფურტანული უშილობისაგანა, რო  
ლაპარაკიც აღარ მინდა (კავთ.);  
აგრეთვე ზ. ხანდ.

**მოფუცავ-ს, მოფუცავ-ს**  
1. იგივეა, რაც გამოფუც-  
ქავს. რა იყო, გოგო, რიგიანად  
დაგეგავა, რო მოფუცე! (მეგ.).  
მოფუცქავს და მიანებებს თავსა,  
ვითომ ეგ არი სახლი დალაგებია!  
(კარ.). **მოიფუცავს:** ი ცხვირ-  
წინ კი მაიფუცამს ცოტასა და  
კუშეტიქი ქვეშ თუ ყელამდეა ნაგა-  
ვი, იმაა არ უყურეფს (წილკ.).

**მოფუცვა:** კარქა რუ არ დაგვი ძირიძირობამდინა, მოფუცვამ ვე-ტყვით ამითანა დაგვასა (წილკ.).  
**მოფუცქული:** დაგვილი კი არა, მოფუცქულია სახლი (ზ. ხანდ.).  
**2. მოიფუცავს, მოიფუც-**  
**ძავს** ზერელედ მოიბანს, მოი-წკუმპლავს (პირს, თავს). პირი მოიფუცქა, ორ მუჭს შეისხამს, ვითომ დაიბანა! (ძეგ.). დაიბანე, გონი, შენმა მზემა! პატარა მოი-ფუცე (ზ. ხანდ.); აგრეთვე ერ-თაწმ.

**მოქანდაკ-**ს მოხრის, მოლუ-ნავს. ჭიდაობის დროს მაყურებ-ლები შესძახებენ თავის ფალა-ვანს, მოქანდე, შენი გულისა! (კავთ.). **მოიქანდებ:** დღეს მთელი დღე ამის დაკერებას მო-უნდი და მოვიქანდე (კავთ.). **მო-**  
**ქანდული:** ხელში მოქანდული ჯოხი ეჭირა და გაჯავრებული გარბოდა (სამთ.).

**მოქანჩავ-**ს იგივეა, რაც და-ქანჩავს. რო გვინდა მაგრა მოუჭიროთ, მოქანჩამთ (ქვ. ჭ.). **მოიქანჩება:** მოქანჩავს ის არი, რომ მოუჭერს და მოიქანჩება (ატ.). **მოქანჩული:** გადააბან-დუშაო, ლურსმანივით გაუყრიან ნალოსა, მოქანჩული როა წნელი-თა (ატ.).

**მოქანცავ-**ს 1. მოიყვანს, მო-ზიდავს (ბევრს). იმოტველა შე-შა მოქენცა ჩვენმა კაცმა, რო წრეულ კი არა, კულავაც გვეყო-ფა (წილკ.). შიშით ვერ გამამიხ-ღია არაყი, მოქენცამს ქვეყნი

ხალხსა ჩვენი კაცი და არა ფიქ-რობს, რო არაყთან სხვა რამეც უნდა (წილკ.). **მოქენცვა:** მო-ქენცვა ბევრი მოტანასა, ბევრი შაგრუებასა აქვიან (წილკ.). 2. მოკრეფს (შერჩენილ ხილს, ბოს-ტნეულს). რო აღარაფერი ასხია და მაინც ცოტას რასმე შოაგრუ-ებენ, მოქენცეთო, იტყვიან (მე-ჯვრ.). **მოქენცვა:** მოქენცვა — მოკრეფა არი, მოგროვება ბაღში ცოტა რამისაი (მეჯვრ.).

**მოქვისფხვლმ-**ა მოვა (იტ-ყვიან უპატიეცემლოდ). მოდი, მოქვისფხვდი, სად ჯანდაბაში ხარ! (ოდ.); აგრეთვე კარალ., ქვ. ჭ.

**მოქსოვილ-**ი მოხერხებული, მარჯვე, ყველაფერში გაწაფული (კაცი). ისეთი მოქსოვილი კაცია ბოღლოი, რო მაგათან ვერაფერს გახდებიან (კოდ.). ისეთი მოქსო-ვილია, რომ ვერავინ ვერ აჯო-ბებს მაგას ლაპარაკშია (ქვ. ჭ.); აგრეთვე ქემ. **მოქსოვილი** ენა აქვს პირფერული, მლიქენელუ-რი ლაპარაკი იცის. იმისთანა მო-ქსოვილი ენა რო მქონდეს მეცა, ყველგან განს გავიტანდი (კა-რალ.). ზოგსა ისეთი მოქსოვილი ენა აქ, რო რას არ გააკეთებს ცარიელი ენითა (ზ. ხანდ.); აგ-რეთვე ბრ., ტყვ., ძეგ.

**მოქუსლმ-**ა ერთბაშად მო-ვა, მოაწყდება. რამ მოქუსლით, თქვე გასამუსრავნო, განა კამფე-ტებ ვარიგებ აქა! (წილკ.). გამა-ართვი, თუ ჭკუა გაქ, თორე ხალ-ხი რო გაიგეფს, მოქუსლებიან

ერთბაშათა და ახლოსაც ვეღარ მუუდგები მაშინა (წილკ.).

**მოდლაპ-ს** აუვა, მოერევა. გურული ლობიო იმდენი მიდგია, რო ვერ მოვალავ (ვარ.).

**მოდლანდებ-ა** კვერცხის სადებად მოიქცევა (ქათამი). ჩემი დედალი უკვე მოიმსო და მოლდანდა საკვერცხეთა (ბროწლ.).

**მოდოჭავ-ს** 1. მოაგლეჯს, მოძოვს ბალახეულის ზედა ნაწილს. ფესვიანათ არ ამოიღეფ, ისე მოდოჭამ, ზემოდან წააგლეჯამ (სად.). საქონელი გაივლის და მოდოჭავს ბალახსა (სად.).  
**მოდოჭვა:** რათ გიყვარს წიწმატის ეგრე მოდოჭვაი? (ტყვ.).  
**მოდოჭილი:** ჭია რო მოაჭრის ხახვსა ან ჰამიდორსა, მოჭამს, მოდოჭილი ეგ არი (ქვ. ჭ.).  
2. **მოდოჭილი** გადამხმარი (მიწა). რაცახანია ავღარი არა ყოფილა, მოდოჭილია დედამიწა, თუ არ გაავდარდა, სუ მშიერი დარჩება ქვეყანა (ქვ. ჭ.).

**მოდრეპ-ს** მოაბრუნებს, შემოაბრუნებს, (ურემს...). ჩემკე მოდრიეკ ცოტა, რო ზერხათ იყვეა გადმოსადებათა (წილკ.).

**მოდრეუბულ-ი** შემჭიდროებული, შევიწროებული; ვიწრო, შეხუთული. მოდრეუბული არიან, ნეტა ესე ვიწროთ როგორა ცხოვრობენ? (იგ.). მოდრეუბულ ბოსელში რო ცხოვრობდით, აღარ გახსომს? (ტყვ.).

**მოყელთდებ-ა** 1. დაკმაყოფილდება (საჭმლით). შეიძლება

ცოტა ჭამოს, მაგრა ძაან სუქანი და ჩქარა მოყელთდეს (კათ.). 2. გაივსება (დარღით, ბოღმით). აღარ შემიძლიან, მოყველთდი ამდენი დარღითა და ბოღმითა (კათ.).

**მოყელულ-ი** ყელამდე სავსე. რო გაივსება რამეი, მიე სავსე რო არ არი, მაგრა კრიჭაშია მიმდგარი გავსებასე, ის არი მოყელული (ჩუმათ.). ჭურჭელში რო გისხია რამეი, გინდა გიყრია, ბოლომდე რო არ არი სავსეი, მოყელულია (ხაშ.).

**მოყვიჟირდებ-ა** მოიზრდება ან მოსუქდება; ფერზე მოვა. ავათ რო იყოს და მოიკეთოს, იმაზეც იტყვიან, მოყვიჟირებულაო (ბროწლ.). როგორ მოყვიჟირებულა საქორწილოთა ვალოი? (ბროწლ.).  
**მოყვიჟირებულნი:** რო გაწითლდება, ფერი მიეცემა, მოყვიჟირებულიაო, იტყვიან (ბროწლ.). ბიჭი რო წამოიზდება და საცოლშვილოთ არი გამზადებული, იმაზეც იტყვიან, მოყვიჟირებულიაო, მარტო ბიჭზე; ქალზე იტყვიან, შეღერებულიაო (ბროწლ.).

**მოყუჩაბულ-ი** შემთბარი. ნეკით ვნახამთ, რძე რო ოღნავ მოყუჩებულია, უზანთ დედას და შევადელებთ (ვარ.).

**მოშმაშნი-ს** მოფანტავს; მონანაგვიანებს. ამოდველა ბაღლობანა რო შაეიდეა სახშია, მოშმაშნიან კი არა, იქაურობას კი არ აიკლებენ? (წილკ.). მოიშმაშ-

ნება: თუ შამაიტან რასმე და შინ გაათლი, ი ნაფოტები რო დაცვივა ძირსა, სახლი მაიშმაშ-ნება (წილკ.). მოშმაშმნა: დანაგვიანებასა აქვიან მოშმაშენა (წილკ.).

**მოჩენჩხაპ-ს** იგივეა, რაც ა ჩ ე ნ ჩ ა ვ ს. განალეწს ან დაბეგვილ ლობიოს მოჩენჩხაშენ, მარცვლები დაბლა გაევა და მსხვილი დეროები — ჩენჩხი ზევით დარჩება (ქორ.). თივაი მოჩენჩხ-ხოთ და შიგ ჩაუყაროთ, დაუგოთ წიწილეფსა (არად.). **მოჩენჩხვა:** მოჩენჩხვა შეიძლება ხელით, ორთითით, ფოცხით (ქორ.).

**მოჩრუსდებ-**ა წამოიზრდება, მოიჩიტება. ბავშვი რო კარგი გახდება, მოსუქდება, მოჩრუსდაო; წიწილებზეც იტყვიან, რო მოიზდება, მოჩრუსდაო (ოდ.).

**მოჩხაკვაპ-ს** გააცხავებს (შდრ. ჩხაკვი). ლობიოს რო მოჩხაკვამ, პურსა, მალლა დარჩება ბრელო, ბზე (ჩუმათ.).

**მოჩხრდოვებულ-ი, მოჩხრდოვილ-ი** შემჭიდროებული, შევიწროებული. ნათესი რო სქელი იყოს ძრინა, იმას ვეძახით, მოჩხრდოვებული არიო (მეჯვრ.). მოჩხრდოვილი არი ხალხი სახშია, ვიწრო სახლი აქთ, კარ-შიდამო იმათ არა აქთ, არაფერი (მეჯვრ.); აგრეთვე წილკ.

**მოცენცაპ-ს** მოკრეფს აქა-იქ შერჩენილს. კიტრიც გუშინ სუ მოუცენცია დედაჩემსა (ატ.). ეხლა

მე ალუბალი უნდა მოვცენცო (ატ.).

**მოცვლი-ს** გაცვლის (აღვილს). ამ ბაღსა მარინე მოიქცემს, იმის სახლთან არი და რო მოსცვალოს სადმე, კარგი იქნება (დის.). ვენახი მქონდა ქვეითა, სუ მპარამდნენ, რა უნდა შექნა, ავდექი და ტიტველა მიწაზე მოვცვალიე! (დის.).

**მოციცნულ-ი** ერთი ციცქნა, მოცუცქნული. შე მოციცნულო, შენა! (ზერ.). აი, ე ბავშვი არი მოციცნული; ორი თვისა არი, მოციცნულია, მა რა არი (ბროწლ.).

**მოცმუტულ-ი** პატარა, მოცუცქნული. პატარა რო არი ბავშვი, ტანი რო არა აქ, იმას ვეძახით მოცმუტულსა (ბროწლ.). ერთი მოცმუტული გოგო ჰყავ განოსა, მაგრამა ისეთია, სუ ცეცხლი გაადის ხელეფშია (მეჯვრ.).

**მოცუკცუკაპ-ს** მოცუნცულებს. პატარა ბაღლი სიარულზე იტყვიან ხომე, მოცუკცუკაფსო, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით რო დადიე აჩქარებითა (წილკ.). მოუცუკცუკაპს: რო ეტყვი, ეა მამიტაო, დაავლებს ხელსა და მოგიცუკცუკაპს (წილკ.).

**მოცკვლეფილ-ი, მოცამ-ლიფულ-ი** პატარა ტანისა, მოლეული. თავი ხანთან შადარებით რო პატარა ტანისა არი ბაღლი, იმაე ეტყვიან მოცკვლეფილსა (წილკ.). რა პატარაა ე გოჭო, პატრონივით მოცკვლეფულია (საგურ.).

**მოცქმუტუნე** ვინც სულ ცქმუტავს, ცმუკავს. ჩვენი ზენიკო არი მოცქმუტუნეი, რო რამეს აკეთებს, სუ ხტის და კუნტრუშობს თანა (მეჯვრ.).

**მოცხარდებ-** ა იგივეა, რაც და ც ხ ა რ დ ე ბ ა. ჯერ უნდა მოცხარდეს კრუხი და მერე დასვა (ძეგ.); აგრეთვე საგურ.

**მოწაშამ** რაიმე დამატებითი ნიშანი (მომცრო ჭდე, ქვა...) სხვა ძირითადი ნიშნის გვერდით. ტივის ხეს რო ჭრიდენ, ყველა თავის ნიშანს უკეთებდა ხესა, ჩემი მამა-ბიძის ნიშანი იყო ერთი ჯვარი და ორი მოწაშე (ტეზ.). სამანი რო ჩასვი, მაგას მოწმეც უნდა (კავთ.); აგრეთვე საღ., ძეგ.

**მოწკენტავ-** ს გამოწველის (ძროხას). ძროხა მოწკენტე და მერე საცა გინდა, იქ წადი (მერ.). **მოწკენტილი:** ქილაში ცოტა მოწკენტილი რძეა და აადულე (მერ.). **მოსაწკენტი:** ერთხელ მოსაწკენტი დამრჩა ჩემი ძროხაი, მეორე დღეს უკვე აღარ მიკარებდა (მერ.).

**მოწლევე** მეწლე (ხეხილი). მოწლევეა და იმითვინ არ ასხია, საგაისოთ მოგვისხამს (ხერ.). ჩემი ვაშლები მოწლევეები არიან, ერთ წელიწადს ისხამენ, მეორე წელიწადს ისვენებენ (ბროწლ.).

**მოწჷანილი ზის** უსაქმოდ, უდარდელად არის. ოჯახში რო ყველა აკეთფს რაღაცასა და მარტო ერთი იჯდება ისე, უსაქმოთა, უდარდელათა, იტყვიან,

მოწჷანილი ზისო (კავთ.). ეს ისე ზის მოწჷანილი, გეგონება, ამის თავს არაფერიას (კავთ.).

**მოწრიპულ-** ი წრიპა, მოლელუი. აგე, ეგ ბავშვი წლისა არი უკვე, როგორ არი მოწრიპული, ხედამ? (ბროწლ.); აგრეთვე კარალ., ტყვე.

**მოწუთსულ-** ი ძალიან ვიწრო, შემოჭიმული. ძალიან ვიწრო რო აცვია რამეი, კაბაი, შარვალი, მოწუთსული ის არი (ქემ.). ისეთი მოწუთსული კაბა აცვია სომე ზეინაბსა, რო ფეს ვერ ადგამს, რო გაიაროს (ბროწლ.); აგრეთვე კავთ., ოძ., ძეგ..

**მოჭინტყლე** ჭირვეული, ჭინჭყლიანი. მოურიგებელი, მოჩხუბარი კაცი რო არი, მოჭინტყლეს იმას ეტყვიან (დ. თონ.).

**მოჭოლიკაპდებ-** ა წამოიზრდება, ტანს აიყრის. ეპ, როცა მოჭოლიკაედა, მაშინ ჩავარდა ლოგინათა და ოჯახ როგორდა დეესმარებოდა (მერ.). **მოჭოლიკაპდებ:** კარქა მოჭოლიკაეობია შენა ბიჭი (მერ.).

**მოჭუქნი-** ს მოწოვს (ბავშვი). ესლა უნდა მოჭუქნოს, ძუძუა უნდა მოჭუქნოს და მერე დაიძინოს (საგურ.). **მოჭუქნიპ:** მოგატყუქნო შენი ძუძუა, მოგატყუქნო! (საგურ.).

**მოჭულავ-** ს მოშარდავს (ბავშვის ენაზე). მოჭულე, შეილო, მოჭულე, ფიში არა ქნა გოგინაში! (ტყვე.). ფიში-ფიში გინდა შენა, კობა? აჰა! მოჭულე,

მოჭულე! (ბროწლ.); აგრეთვე კარალ.

**მოსაწიფავით** მოხატრებით, მოკრძალებით. რო ვერ უბედამს აღამიანსა სათქმელსა და თავი ტყავსა და ხორც შუა ითუთქება, მოხაწიწებით არიო, მაგაზე ვიტყვით (საკორ.).

**მოსმლავ-სი** ხელით გაამაგრებს ცომს. რა იყო ვერე ჩიჩქვის მოხელა, გუნდა რო არ მომეხელა, სუ წორო-წორო წავიღოლა (ხოვ.). **მოისმალება:** უნდა მოიხელოს ჩიჩქვი ცომი, ან კიდე ცოტა ფქვილი გადაეცრას და გადაიზილოს, რო თონეში არ ჩაცეივდეს (კავთ.). **მოხმალვა:** ჩვილ ცომს გადაზელვა რო სჭირდება, მოხელვა უნდაო (კავთ.).

**მოსმლავ-ს<sup>2</sup>** აიღებს (მოსავალს); მოკრეფს (ხილს...). სიმინდს რო აიღებ, მოხელავ, ხილს რო მოკრეფ — მოხელავ (ჩუმათ.). თუ მოხელამ მსხალსა, მოხელამ, თუ არა და, ვინც მოხელამს, ის მოიგებს (ჩუმათ.).

**მოხვარბლავ-ს** მარცვალ-მარცვალ მოკრეფს. მოხვარბლო ტყემალი? (კარ.).

**მოხვეული ქვა** დაძარღვეული, სახიანი ქვა. არის ქვა, მოხვეული აქს, როგორც ხეს; ის სწორეთ არ იპობა, გვაწვალეფს ხომე ის მოხვეული ქვა (მეჯვრ.).

**მოხინცაპ-ს** მოაგროვებს, ერთ ადგილას მოუყრის თავს. მოხინცა ემღენი ხილი და დაფგარა ისე, ლპება უპატრონოთა

(იგ.). **მოხინცაპ:** ერთათ კი მააგროვეფს და ყრია ისე, მაგასა ქვია მოხინცავი (იგ.).

**მოხმელარ-ი, მოხმელე** ვისაც მშრალი საჭმელი არ უყვარს. მოხმელეა ჩემი ნიკოლა და მთელი დღე მშიერი იწირება, ცარიელ პურ რო ვერა იჭამს (წილე). ჩემი ქმარი ძიელ მოხმელარი იყო, ოღონც კერძი კი გაგეკეთებინა და თუნდა ცარიელი მარილწყალი ყოფილიყო (ბიწმ.).

**მოხმუჭანი-ს** დაჭმუჭნის. კაბა რათ მოგიხმუჭნია? (ქვ. ჭ.). სუფრა მოხმუჭნა ბავშვმა, მიხედე! (ტყვ.).

**მოხორხორღებ-ა** მოგროვდება, თავს მოიყრის. რა იყო, ქაა, საცა ერთი ბიჭი იყო, სუ აქ მოხორხორდა! (მეჯვრ.). **მოხორხორება:** რო მოგროვდებიან ხმაურითა და ერთი ამბითა ბევრნი, იმას ეტყვიან მოხორხორებასა (მეჯვრ.).

**მოხუშკავ-ს** მონებავს (ცხენი) შდრ. ხუშკი. ცხენმა თუ მოხუშკა, ისიც ნეხვია (ტანძ.).

**მოხუშრამ-ს** სათითაოდ აკრეფს, მოაგროვებს წვრილ რასმეგ წვრილი ფიჩხი მოხუშრე, ააკიწაწე! (კარალ.). ეგ სხირტლი მოხუშრე და თონეზე წაიღე! (კარალ.).

**მოჯანყულ-ი** მოღრუბლული. იღრუბლებოდა დილით, ეხლაც მოჯანყულია სააედროსაკენ (თელ.).

**მოჯარავ-ს** მოხურავს (კარს). „მოჯარე კარი, კაცო, მოჯარე კა-



რი!“ — პაპა მეტყვიის ხოლმე, რო მოხურე კარიო (საგურ.).

**მოჯღებ-**ა ზომიერად გახურდება (თონე). ცხარე რო არი თონე და განელდება, ვიტყვით, მოჯღა თონეო (ტირძ.). მე წვაღ, გუნდას ამოვიღე და შენ კარქა მოჩხრიკე თონე, რო მოჯღეს (კავთ.); აგრეთვე დ. თონ., ძეგ.

**მოჯერე** 1. ჯერით, რიგით მონაწილე რაიმე საქმისა. წისქვილში რამოდენიმე კაცს რო საფქვავე აქვს, არიან მოჯერეები (დ. თონ.). 2. ჯერის, სადილის მიმტანი. მოჯერე ის არი, რო გუთანზე ჯერი უნდა მიუტანოს — სადილი, სამხარი, წყალი, რამე (ტირძ.).

**მოჯღუსნი-**ს მოწოვს (ხბო). მოჯღუსნა დღესა, აღარაფერი უდგია, ტყუილათ მიუშვეფ ხბოსა, არ ჩამოყურის (ტყვ.). **მოჯღუსნული:** მოჯღუსნულები რო გამირეკე ძროხები, არ გინდა? ჭამე რძე! (ტყვ.); აგრეთვე კარალ., კარ., ქიწნ.

**მშაპე** ტყლაპი. ტყემალს მაადლებენ და გაახზობენ ფიცარზე გაკრულსა, მერე აიღებენ და შაინახავენ, იმას უმახიან მჟავესა (საგურ.). სამი შვინდის მჟავე გავაკეთე, სამი — ტყემლისა, ოთხი — მაჟალოსი (ბაზ.).

**მრავალ-**ი დიდი დათვის თანაჯარსკელავედი. მრავალს ეტყვიან, შვიდი-რვა ვარსკვლავია ერთათ (ზ. ხანდ.). მრავალი რო

გადავიღოდა, უნდა აგვეშალა ხარები და ემოვა, რო მაძლარი მიგვერეკა კალოზე (ძეგ.); აგრეთვე ოძ.

**მრავლის-**ი, **ნამრავლის-**ი ნაშიერი, ნამატი (საქონლისა, ფუტკარისა...). რო გამრავლება საქონელი, ნამრავლისი ის არი, ანდა ფუტკარი რო იყრის (ატ.). საქონელი რო გააჩნდა, რო ინაშენებდა, მრავლისიც ჩემი სათავენო იყო (ატ.).

**მრეშ-**ი, **მრეშა** შეთვალეული, შეფერილი (პომიდორი, ყურძენი...). უკვე მრეშები ასხია, საცაა სუ დამწიფდება ჩვენი პამინდორი (ტყვ.). მრეშა პამინდორის მწნილი კარქი გამოდის, გემრიელია, მაჭარისეფე არი (კავთ.); აგრეთვე წილკ.

**მრეშპია** ვინც სულ იღუშება, ბღვერია. წარბშეკრული რო დადის სულა, მოღუშული, მრეშკიას იმას ვეტყვით (საგურ.).

**მსრიტ-**ი წუწკი, მსუნაგი. მსრიტები უფრო ბავშვები არიან, მაგრამ შეიძლება დიდობამდინ გააყვედ (კავთ.). ძაან მსრიტი ბაღლია, მაგი შიშით პირი ვერ გაგვიცმაცუნებია, სუ პირში შადაცქერიდ კაცსა (იგ.); აგრეთვე მეჯერ., წილკ.

**მსუღრაპ-**ი ძველად: მიცვალებულის გამბანი და შემმოსველი. სადღა არიან მსუღრაეები, ძველები დაიხოცნენ, ახლები აღარა კადრულობენ (ბიწმ.). ქაა, მსუღრაეი გყავთ მცხოვლათა?

გაგონილა, რო მსუდრავს პური გამოაცხობინონ? (ძეგ.).

**მსხალტკბილა** მსხლის ჯიჯი ერთგვარი. მსხალტკბილა წვრილია, ტკბილია, როგორც თაფლი (მჭად.).

**მტუტე** ძალიან მლაშე. რა არი, მტუტე გაგიკეთებია ე შეჭამანდი, მარილის კვერი გეგონება (ქვეში); აგრეთვე დ. თონ., ხაშ.

**მულაყრუ** გაუგებელი, მიუხედრელი. შენ ნათქვამს რო ვერ გებულობს, მულაყრუ ხარო, ეტყვი (ხაშ.).

**მუშია** 1. შეშინებულის წამალი — შელოცვილი ძველი ღორის ქონი; წყალში ღვსავდნენ და ავადმყოფს ისე ასმევდნენ. ერთ ბებერ ღვდაკაცს ჰქონდა მუშია (ძეგ.). მაგ მუშიამ მიშველა, ისე ვიყავი, რო გარეთ ვერ გამოვდიოდი შიშითა (გარ.); აგრეთვე კავთ., საღ. 2. ძვირფასი რამ. გადააგდე, რა! მუშია ხო არ არი ტყეშალი? (ვარ.). ისე გაიყიდება, მუშიასავით (ზ. ხანდ.).

**მუმლი**-ი 1. წვრილი მატლი; უნდება ფქვილს, ბურღულეულს და სხვ. ფქვილსა და პესოკს ეხვევა ხომე მუმლი (ქვეში). ფქვილსა, მხეზე თუ ღვა ამბარი, მუმლი უნდება. ცოტა თუ დახანდება ფქვილი, მუმლი უნდება მაშინაცა (ზ. ხანდ.). 2. ქათმის მკბენარი. წვრილი, შეუმჩნეველია ქათმის მუმლი (ზ. ხანდ.); აგრეთვე ხოვ. 3. ახალი გამოჩეკილი აბრეშუმის ჭია, მური. პატარა ახალ-

გამოჩეკილ ჭიასა მუმლსაც ვეძახით, მურსაცა (ზ. ხანდ.). რო გამოჩეკება მუმლი, თვალთ არაჩანს, შავია (ზ. ხანდ.). 4. ფერფლი. ბავშვს რო მუცელი სტკივა, მუმლს გაღვსამ რძეში და დააღვინეფ (ტყვ.). ხან მუმლი გაუღვსეთ, ხან თოფის წამალი, მაგრამა მაინც ვერ მოურჩინა (კარ.).

**მუნჯკალია** ენაბლუ. რო ვერ ლაპარაკობს და ჯიჯიყვებს, მუნჯკალიას იმას ვეძახით (ქე. ჭ.).

**მუჟმუჟელა** მძიმე დააეადება ერთგვარი. მუჟმუჟელა გახინით და მთლიანათ ამოწყვეტილა ერთი ოჯახი (დ. თონ.). რა მუჟმუჟელა შეუღვათ, მთლიანად ღვინში წვანან (დ. თონ.). მუჟმუჟელას მუჟმუჟელას მუსრს გაავლებს, გაწყვეტს. გაჩნდება ჭირი და სუ მუჟმუჟელა შაუყენეფს ჩემ წიწილეფსა (წილკ.).

**მუჟმუჟ**-ი ოდნავ გაშლილი კვირტი თუთის ფოთლისა. გაზაფხულზე, როცა გათბება, ფურცელი უფრო ადრე გამაიტანს კვირტეფსა; ცოტა რო პირს დაადეფს ეს კვირტები, გაიშლება, იმას ვეძახით მუჟმუჟსა. იმას დაუჭრიან ძაან წვრილათა და ისე აჭმევენ ახალ ჭიასა (კავთ.). კუკური, ახლათ რო გამოდის, არის მუჟმუჟი, არ მოგიფშენეტია და არ დაგიყრია ჭიისთვისა? (ძეგ.).

**მური**-ი სოკოვანი დააეადება სიმინდისა, პურისა. მური სიმინდის, პურის ავადმყოფობაა. როცა ხშირი წვიმებია ხომე ზაფ-

ხულში, პურმა მაშინ იცის. სიმინდს მალლა, ქუჩუნოზე უნდება, პურსა — თავთავე; შავია სოკოსეფა, სოკოსაც ეძახიან (ქემ.). ყანამაც იცის მური, ზორბალმა, რო გასრესამ მარცვალსა, მურია შავი (კარ.); აგრეთვე ზერ., ტყვ.

**მურაღა** ძალიან შავი (ქალი). ერთი მურაღა გოგო რამა ყოლია მარტო და ისიც ავანტყოფი (წილკ.). ჩემ მაზლ ზესიპეთ უპირებია შასელა მელტონანთ მურაღა გოგოზედა (წილკ.); აგრეთვე მეჯვრ.

**მურასა ლავაში** თეთრი ფქვილის თხელი ლავაში. კაი თეთრი ფქვილისას რო მოზელამენ და კარგა გაათხელებენ, კარქათაც გამოცხეება, მშვენიერთა, ის არი მურასა ლავაში (მეჯვრ.). მურასა ლავაში თეთრი ფქვილისაა, რო გაიხედო, ადამიანს დაინახავ (ძეგ.); აგრეთვე საღ.

**მურახ-ი** ჭუჭყიანი, შავი საქმე. ქალებმა იციან ზომე, თავიანთ გასათხარ გოგოებს ან კიდე ახალ პატარძალს მურახ საქმეს არ გააკეთებინებენ (კავთ.). არ მელევა, ქალო, მაინცა ე მურახი საქმედილას დაუგავე, დაუსუფთავე, შევხედო, ისევ უკან მამყვა, ძროხეფ სუ დაუსვრიათ იქაობა (იგ.).

**მურმანი სიტყვა** ღვარძლიანი, გესლიანი სიტყვა. იმას კი ვერ ხვდება, რო ე მურმან სიტყვასა საკეთილოდ არ ამბობს! (ბიწმ.). რა მურმანი სიტყვა იცი! (ძეგ.).

**მურმულ-ი, მურმურ-ი.** ბუზლუნი. მაგისი მურმური ზო აღარ გათაედება! (ძეგ.). არ უნდათ ზომე იმასთან სამეზობლოთ მისელაი, დაიწყებს ახლა მურმულსაო (საღ.); აგრეთვე მერ.

**მურმულეზ-ს, მურმურეზ-ს** საყვედურით ბუტბუტებს, ბუზლუნებს. სულ ერთთავათ ჩხუბობს და მურმურებს (დ. თონ.). წიგნი არ ვათხოვეთ ი გოგუებსა და მურმულეზდენ (ვარ.); აგრეთვე მერ., ძეგ.

**მურწა** 1. მაღალი და გამხდარი, ხმელი (ქალი). მურწა მაღალ-მაღალი და გამხდარი ღელაკაცია (საგურ.). გამხდარი ქალი რო არი, კაკაროტი, მურწას ვეძახით (ძეგ.). 2. ასეთი ქალის მეტსახელი. ჩემი ნათლულის ცოლსა მურწას ვეძახით (ძეგ.).

**მუსლუკივით** ამბობენ ჩამკერივებულ, ჩასუქებულ გოჭზე, ბავშვზე. ცხრა მუსლუკივით გოჭები მყამდა, დაერია ჭირი და სუ მუსრი გაავლო (მერ.). მწყერი ეხლა მუსლუკივით არი, ჩატუქნულია (ტყვ.); აგრეთვე ატი., დ. თონ., ერედ., კარ., ოძ., ტირძ., ქვ. ჭ., ქვეში, ძეგ.

**მუსმუსად** იხ. მ ა ს მ ა ს ა დ.

**მუქაფა** სამაგიერო, სანაცვლო. მუქარის შესრულებას მუქაფის გადახდას ეტყვიან (კავთ.). შენც ეგრე მუქაფა გადაუხადე, ჯიბრი უნდა გაუწიო, როგორც იმან ჯიბრი გაგიწია (ხოვ.).

**მულამ-ი** ვისიმე, რისამე ხა-

სიათი. ყველას რო მუღამს უგებს! (ძეგ.). საქონლის მუღამი შენ რა იცი! (ძეგ.).

**მულარაღ**-ი უხვი, უღეველი, თაუზე საყრელი. იმი ბაღღე-ბი, პურია თუ სხვა ხაღღეველი, ძღღამაზე ჭამენ, მულარაღი აქ ყვეღაფერი (წიღკ.). ნეტა როღის გეღღირსება, რო წყაღი მულარაღთა გეკონღეღ? (წიღკ.).

**მუშაბელია** საქმეში მოუღღღავი, ნარჯევე მუშა. ეოაი შენ გაღღოხეღღი დიღღი მუშაგელია! (ტყვე.). ოჰ, მუშაგელიებს გაუღღარ-ჯოს! გონი, სუ გაღღაბუღრეთ იქა-ობაი! (კარ.); აგრეთვე ძეგ.

**მუშა კირი** ნაკღღებკირიანი ნარევი მშენებღღობაში სახმარაღ. კეღღღის ერთ პირს ზევიღღან გაღღა-ღღღესამენ მუშა კირითა და გულ-ში დღღღაბი ესხმება. დღღღაბს კირს ცოტა ნორმაზე მეტს უშე-რებიან სიმაგრის გუღღღისათვი (ბაზ.).

**მუშაღღ**-ს იზრღღება, ვითარ-ღღება (მცენარე). აღარ მუშაობს ეს ნამყენი, აღარც ყღღორტი გაე-ზარღღა, აღარც ფოთღღები (ძეგ.). რა კარგათ მუშაობენ ეს ნამყენე-ბი, რამღღენა ყღღორტები გაიღღანეს (ძეგ.).

**მუშკ-ი, მუშკივი** იტყვიან ძაღღიან რბიღღ, ფაფუკი, ფუმფუ-ღღა რამეზე. ძიეღღ რბიღღი რო იქ-ნება რამეი, ბუმბუღღივითა, იმაზე იტყვიან, მუშკივით არისო (ერ-თაწმ.). ტყეღღღით დავიღღანე თმე-ბი და ისეთი გაიღღინღა, როგორც

მუშკი (ერთაწმ.). მუშკივით თმა აქეს (ძეგ.).

**მუშკია** 1. გოშია, ფინია. მუშკია ის არი, პატარა ძაღღღი რო იქნება, რო არ იზრღღება დი-ღღი (ქვ. ჭ.); აგრეთვე იკ., ოძ. 2. მოკღღე, პაჭუა ცხვირის მქონე (აღღამიანი). გინღა ქაღღი, კაცი, გინღა ბავშვი, სუყვეღღას მუშკიას ვეძახით, ვისაც პაჭუა ცხვირი აქ (ქვ. ჭ.).

**მუშტა ძვა** მუშტისოღღენა ქვა (ხმარობენ სანაყად ან მშე-ნებღღობაში). დიღღ ბრტყეღღ ქვაზე დაღღებღღენ ქვაძარიღღს და ნაყავ-ღღენ მუშტა ქვით, მომრგვაღღო ბრტყეღღი ქვით (კავთ.). მუშტა ქვას შიგ ჩააყოღღებენ კეღღღღში (ძეგ.).

**მუცეღღა** ღღორმუცეღღა. ეგეთი მუცეღღა რო ხარ, იმიტომ არი, ფეხზე არაფერი გაცვია და ტანზე (კავთ.). ისეთი მუცეღღა ქაღღია, დღღეს რო ექვს კიღღო მანღღარინს მოვიტან, ხეღღლ ერთი ცაღღი აღარ არის (ხაშ.); აგრეთვე ატ., დ. თონ., რუისი, წიღკ.

**მუცეღღი თავსა აქვს მო-ძეღღული** იტყვიან, როღღესაც ძა-ღღიან დიღღი მუცეღღი აქვს (ორ-სულს). აგე, გაიგეღღანთ რძაღღლსა მუცეღღი თავსა მქონღღა მოქცეუ-ღღი, ორი ფუთი საფეკავი წის-ქვიღღღში ჩამქონღღა და ამამქონღღა, იმაღღ არა მოსვღღია რა (ოძ.).

**მუცეღღი უქოთქოთიავს** ძაღღიან შია. რო ძაღღიან შია აღღა-მიანსა, იტყვიან, უქოთქოთებს

მუცელიო (ქვ. ჭ.). მუცელი მი-  
ქოთქოთებს, რა შეკაბება (ქვეში);  
აგრეთვე კარ., საღ., ტყვ., ქემ.,  
ქვ. ჭ.

**მუცელნაცვალ-**ი ამბობენ  
ქალზე, რომელსაც ვაჟის ყოლის  
შემდეგ ქალი შეეძინა ან პირუკუ.  
პირველათ რო გოგო ყავს და შე-  
რე ახლა ბიჭი გაუჩნდება, მუ-  
ცელნაცვალიაო, ვითომ მუცელი  
ეცვალაო (ერედ.); აგრეთვე ქორ.

**მუცელს გადაყვებიბა** ამ-  
ბობენ, როცა ძალიან დაიგვიანებს  
(სადმე წასული). რა დაეშართა,  
მუცელ გადაყვა ის ბავშვი? ცივი  
წყალი მოიტანე-მეთქი და ამდენი  
ხანია, აღარ გამოჩნდა (კავთ.);  
აგრეთვე ძეგ.

**მუცელს დედამიწაზე**  
(აღბილზე) **უსვამს** 1. იფი-  
ცებს. ტყუილათ იფიცებს, დედა-  
მიწაზე უსვამს მუცელსა, მაგისი  
გაკეთებუღია, სხვა ვინ მოვილო-  
და? (ქვ. ჭ.). 2. ძალიან შია.  
შენ, გეტყობა, მუცელს ადგილზე  
უსვამ, ისე დეეძეფ რაღაცასა  
(თეზი).

**მუცელს მოიღორებს**  
უზომოდ ჭამს. ზაფხულში, კიტ-  
რობაა რო მუცელ მოიღორეფ ზო-  
მე და ფლანგამ ფულსა, რა გგო-  
ნია შენა?! (წილკ.). **მუცლის**  
**მოღორება:** განა კარქია მუც-  
ლი მოღორება? რო შიადგები და  
ძლომა ვეღარ იგეფ ზომე, იმითვი-  
ნა გტკივდება მუცელი (წილკ.);  
აგრეთვე დ. თონ.

**მუწუპ-**ი ხორკლი (შემხმარი

მოსაჭიქი წამალი) თიხის ჭურ-  
ჭელზე. ჭურჭელმა თუ ღულილი  
დაიწყო და ჩვენ გავანებეთ იმ  
დროსა თავი, ის მუწუკები, რო  
ღულს წამალი ზედა, გაშრება  
(მეჯვრ.). მუწუკები აქ ქილასა  
(ძეგ.). **მუწუპინანი:** რო ძალა  
მოუვა ჭურჭელსა, მუწუკიანი გა-  
მოვა (ძეგ.).

**მუჭუჭ-**ი დიდი მოყვარული  
ვისიმე, რისამე. საქმის მუჭუჭი  
(ქვ. ჭ.). ღვინის მუჭუჭი (ქემ.).  
ქალების მუჭუჭია, გაუხმა მაგას  
თავი (ტყვ.). **მუჭუჭს ბაბავ-**  
**ლებს** მუსრს გააელებს, ჭირი  
რო სუ დახოცამს ფრინველსა, სა-  
ქონელსა, იმაზე იტყვიან, სუ  
მუჭუჭი გაავლოო (ოძ.).

**მუხა ვაშლი** ვაშლის ჯიში  
ერთგვარი. მუხა ვაშლი საზაფ-  
ხულოა, ყვითელი ფერისა, სა-  
ზამთროთ არ ინახება (ძეგ.); აგ-  
რეთვე ყანჩ.

**მუხის ჭია** აბრეშუმის ჭია  
ერთგვარი. ერთხელ მუხის ჭია  
აქაცა ჰყვანდათ, მუხასა სჭამდა,  
სხვილი პარკი გააკეთეს, ცოტა  
მოშავო ფერი ჰქონდა (ძეგ.). მუ-  
ხის ჭია იკბინებოდა (ზ. ხანდ.).  
ყველაზე საუკეთესო აბრეშუმი  
მუხი ჭიისა არი (ქვ. ჭ.).

**მუხლიჩოქით** დაჩოქილ  
მდგომარეობაში, მუხლებზე დგო-  
მით. მუხლიჩოქით მოწმინდა ია-  
ტაკი (რუისი).

**მუხრანული ღობიო** კუ-  
ტი ღობიო; აქვს ბეწვიანი, სადა  
მწვანე პარკი, წითელი, მსხვილი,

მოგრძო მარცვალი, თესავენ ეენახში (ძეგ.).

**მუხსაპრამი**-ი ჩახსაკრავი, ლეკვერთხი. მუხსაკრავს ქსოვდნენ აბრეშუმის ძაფისას, შეფერადებული იყო წითლათა, ყვითლათა, სხვადასხვა ფერათა (ქორ.). ნახჩიანები იყო მუხსაკრავები (ქორ.).

**მჟონიარე** შეძლებული, მდიდარი. კიდე კარქი, მქონიარე სიმამრი შაიხედა, ის ატანს ხელსა, თორე აღიდებული წყალი ვერა ზიღამდა (წილკ.). მქონიარე კაცია და იმიტომ ყველგან წამდგარია (ძეგ.); აგრეთვე ზ. ხანდ.

**მშვიდობის მუხლი მოაყრეინოს!** დალოცვა ორსული ქალისა. მშვიდობის მუხლი მოაყრეინოს, შვილო, ვაჟიშვილი მოძელოცოს! (ძეგ.) მშვიდობის მუხლი მოაყრეინოს მაყვალასა, დიდხანს იცოცხლოს და თქვენი გული ახაროს იმისმა ნაშვირმა! (კარალ.); აგრეთვე ტყვე, წილკ.

**მშვილდი**-ი, **შვილდი**-ი რკინის გუთნის ნაწილი. ბერძნულ გუთანს ფთას უკეთებდნენ რკინისასა, სახნის-საკვეთი, მშვილდი, სულ რკინისა, მარტო მანჭები და რვილი ქქონდა ხისა (მჭად.). რკინის გუთანს შვილდი აქ; ის შვილდი იჭერს იმის ხმალსა, რო უკან არ გაიწიოს (მჭად.); აგრეთვე ძეგ.

**მშიერი მარცვალი** დაგვალული, ბერი მარცვალი (პურიისა, ლობიოსი...). რიე მაქანაა მა-

გათი პური, რაც აიღო მარცვალი, ისაა სუ მშიერი მარცვალია (წილკ.). წრევანდელ ლობიოს რა გამოსაეალი უნდა ქქონდეს, მშიერი მარცვალია სულა (ბიწმ.).

**მშიერი მიწა** მწირი, მოუსავლიანი მიწა. მშიერი მიწა არი უღონო, გამოუსადეგარი ალაგი (კავთ.); აგრეთვე ძეგ.

**მშრალბერძ**-ი ბერწი პროხა, რომელიც არ იწველება. ჩემი პროხა წელსაც მშრალბერძათ დარჩა და ყელი გამოგეჭრა (დ. თონ.).

**მშრალზე კოსტა** ტრაბახა, მკვეხარა. ენით ამპარტავანი ის არი, ვისაც არა აქ რა და მაინც კოსტაოფს, შრალზე კოსტაი (ბროწლ.).

**მშური**-ი შურიანი. შურიანი ვინც არი, იმაზე იტყვიან, მშურიიო (საღ.). ნუ ხარ მშური, იყავ მბაძი! (კარალ.).

**მპკირი**-ი ძუნწი, ხელმოჭერილი. ისეთი მპკირია, ისეთი კანდამწვარი ჩვენი ვანოი, რო კაპიკს ვერ გააგდებინეფ (ქემ.). ეგე მპკირია, რო ფეტვი რო ეჭიროს, მარცვალი არ გეეპარება (ოდ.); აგრეთვე არად., ახალშ., ერედ., კავთ., წილკ.

**მპიმედი ეყურება** ყურთ აკლია. ხმამაღლა უთხარი, მპიმედო ეყურება (ძეგ.); აგრეთვე მეჯვრ.

**მპიმე ძალი** ფეხმპიმე. მპიმე ქალის ამდენი ჯაფა გაგონილა? (ძეგ.).

**მპიმე ყურები აძვს** გაუ-

გონარია, ეერაფერზე დასაქმებ. რა მძიმე ყურები გაქ, არაფერს გაუგონფუ ადამიანსა! (ქემ.).

**მძინარე** გაულუარი (ცომი). თუ არ ვაადვიე პურიცომი, მძინარე არი, უღვიერი დენს და დენს ისე (არად.). მძინარეს მივასწარი, ამოვიღე გუნდა, რო არ წავიღეს (ძეგ.).

**მძოვრი**-ი იტყვიან ზოგჯერ ძაღლზე. კარგი მძოვრი ჰყავს (ძეგ.). საქონელი იქნება, თუ მძოვრი, გავეშლება (ძეგ.); აგრეთვე წინარ.

**მწარემ, მწარია** საძირე, რა-ზედაც ამყნობენ. ნამყენებს პირველ წელიწადს ფესვების ჩაჭრა უნდა, თორემ ტკბილი გაიტანს ფესუსა და მწარე აღარ იმუშავებს (ბიწმ.). ამყნობენ მწარიაზე და ამბობენ, მწარიას მაგარი ძირი აქსო, ფილაქსერა აღარ უჩნდებაო (მჭად.); აგრეთვე ქვ. ჭ.

**მწარეულ-**, **წარეულ-**ი ჭუჭყიანი, უწმინდური (ჭურჭელი...). სიტყვაზე, ერბოში ჩავარდეს თავი, ან ღვინოში ჩავარდეს, იმას აღარა ხმარობენ, წარეულია ისა (ქვ. ჭ.). ეს ვედრა მწარეულია, წყალი არ იჭმარო (ქორ.); აგრეთვე ერედ., ოძ.

**მწვანვა** მსხლის ჯიშა ერიგვარი. მწვანვა — მსხალია, შავათა მწიფდება, ღიღია, სუ წყალია ისა (ქემ.).

**მწვანია** შავყვითელი, უყვარული (ადამიანი). აი, შე მწვანია, შენა! შენ როდის უნდა იქცე

ადამიანათა?! (კაეო.); აგრეთვე რუისი.

**მწვეტი**-ი 1. ცხვირწაწვეტიებული (ქალი). სონა უფრო მწვეტია და ანიკო ისეთი იყო, როგორც კალმით ნახატი (ძეგ.). ჩიტრეკიანთა მყლიათ ერთი მწვეტი გოგო და იმასა მყვაროფსო ტევრულიანთ გოგია (წილკ.). 2. ავი, მონხუბარი ქალი. ისეთი მწვეტია, მაგას ვინ გაუძღვფს? (ძეგ.). მწვეტო, მწვეტო, იჯერე გული ჩხუბითა? (ძეგ.).

**მწიში** მსუქანი, ღიღი. დასხდენ ორთავემა და სუ მარტო იმათ გაათავეს ის იმოდენა მწიფე ღელალი (ბროწლ.).

**მწკვლიტი**-ი ძალიან პატარა, გამხდარი, გალეული. რომელიც ძიენ გალეული არი, სუ პატარაი, გინდა ადამიანი იყოს, გინდა საქონელი, გინდა სხვა რამეი, ყველაფერზე ითქმის მწკვლიტი (მეჯვრ.).

**მჭადა, ჭადა** კაკლის და თხილის (აგრეთვე საფურცლე თუთის) ყვაილი. სანამ კაკალ მოისხამს, უწინ ჭადა ასხია (ქვ. ჭ.) მჭადა კი ბლომათ გამაიტანე კაკლებმა და როგორ დაისხამს, ვინ იცი! (წილკ.). აგრეთვე გარ., ოძ., საკორ., ტყვ., ქემ., ქვეში. მჭადა მწვანვილი იგივეა, რაც მჭადა. კაკლი ხე გამაიღებს ხომე, მინამ კაკალ მოისხამდეს, ყვაილსა, მერე გასცვივა ისა, ის არი მჭადა ყვაილი, თხილმაც იცის მჭადა ყვაილი კაკალივითა (მეჯვრ.).

**მხარ-**ი სიგრძის საზომი ერთეული — მხრიდან მეორე გაშლილი ხელის თითების წვერებამდე. ეგ მხარი გამოდის — ერთი მხარი და მეორე მკლავი გაშლილი უნდა (ბეგ.). შე ანკესები გამიზომია ესე, შეიდ მხარზე ნაკლები არ უნდა იყოს (ბეგ.).

**მხართბალიშ-**ი აკვანში ბავშვის მხრებქვეშ დასადები მოგრძო ბალიში. აკვნითვინ შეეკრამენ გძელსა და იმას დაუდებენ ბავშვსა აკვანში, რო მხრები უდევი მხართბალიშზედა (ერთაწმ.). მხართბალიშ იმითვინ უდეფთ, რო მხრები აწორეთ ელოა ბაღლსა და მხრებში მოკუზული არ გამოიდეი (წილკ.); აგრეთვე იკ., ოძ., საგურ., ტანძ.

**მხართსახევი-**ი აკვანში ბავშვის მხრებსა და მკლავებზე შემოსახვევი მოგრძო ნაჭერი. მხართსახევი კარგად ვერ შემოგიხვევია, ხელები ამოიშალა ბავშვმა (ბიწმ.); აგრეთვე იკ., ტანძ..

**მხარს აართმევს** გვერდს აუქცევს. გვერდით რო გაუვლი კაცსა ვიწრო გზაზედა და არ დეუჯახები, მხარი აართვა, მხარი

აუქციაო (იგ.). მხარს აურთმევს: იმ დღეს ერთი ურემი ექედან მოდიოდა, ერთიც იქიდან შამოახვდა სწორეთ იმ ვიწრო ალაგშია და რის გაჭირვებით და ვაივაგლახით აურთევს მხარი ერთიმეორესა (იგ.). იმ ვიწრო გზაზე რო იქიდანაც მოდიოდეს მანქანაი, ნეტა როგორ უნდა აურთვას მხარი? (მეჯვრ.). მხარის ართმევს: მხარის ართმევაჲ ვიტყვით, როცა ერთი ხრიდან აუქცევ გზასა და მეორე ხრიდან მოუვლი (წილკ.). მხარს აუპრავს თვალს აარიდებს, მოერიდება. ადამიანი რო გაივლის და ზედ არ შეხედამს, არც სალამს მისცემს, მხარი აუკრა (ბეგ.).

**მჯღლარდ-**ი, **ჯღლარდ-**ი დაგრებილი, ნუჟრიანი (ხე, ტოტი...); უსწორმასწორო (ქვა...). დაბრეცილი შეშა რო იქნება, ნუჟრებიანი, ან უხეიროთ დაწნული გოდორი, ლასტი რამე, ჯღლარდია (ბროწლ.). რა ჯღლარდი ხეა, რო ერთი ნაფოტი ვერ შევაგდებინეი (ატ.). მოიტა, ეს მჯღლარდი ქვა დაუდოთ (დის.); აგრეთვე კარალ, დოესი, ნოს., ტირძ., ბეგ.

## 6

**ნაბაბ-**ი ბაგის ამონაწმენდი, ჩალის (ბზის) ნარჩენები. ნაბაგს ამოუბაგამენ საქონელსა და ქვეშ გაუშლიან (ქორ.). დილაჲ ხბოჲ ნაბაგი დაუყარე ცხენსა და ეგე

მეელოკნა, რო ცარიელა მტვერი-ლა გვეშო (წილკ.); აგრეთვე ტყე-**ნაბადივით ასხია, აღევს** პალიან ასხია, დახუნძლულია. წრეულ ატმებს ნაბადივით ეს-



ხათ, ტოტები ატყდებოდათ სულა (კავთ.). ნაბადივით აღევს თქვენ ჭანჭურებსა და კიდე აქ გვეშურები? (კარალ.); აგრეთვე ერედ., ერთაწმ., კარ., ოძ., ტყვ., ქვ. ჭ., ძგ., ხც.

**ნაბერტყალა** 1. ნაბოლარა. სუ ბოლოს რო გააჩენს, ნაბერტყალა არიო, იტყვიან (ოძ.). ნაბერტყალა არი და იმიტოა კარგი ბიჭი (ლამ.). 2. იგივეა; რაც ნაკუდ ი. პურ რო ვატაბაკეფთ ხომე, ნაბორალა რო დარჩება, ნაკუდი ის არი; ნაბერტყალასაც კეძახით და ნაკუდსაცა (ატ.).

**ნაბია** 1. ჩიტი ერთგვარი. ნაბია პატარა ჩიტი არი, დედამიწაზე წეება, ინაბება, რო არ დამიჭირონო; რუხი ფერისაა; თუ ახლო არ მიხვედი, არ ფრინდება (ქემ.). 2. მორცხვი, მორიდებული. გგეთი ნაბია როდემდე უნდა იყო, შენა ვერ იცხოვრეფ! (კავთ.).

**ნაბიძგ**-ი შემკერივებული, შემხმარი ზედაპირი (ცომისა...). პურს რო აცხოზენ და გახმება ხომე ზეიდანა ცომი, თეთრათ აქ ლაქებივითა, იმაზე იტყვიან, ნაბიძგი გაიკეთათ (საგურ.). ნიავი რო დაჯკრამს ცომსა, ნაბიძგ მაიკრამს (წილკ.); აგრეთვე ძეგ.

**ნაბაღ**-ი ლობიოს ბრელო. ნაგალი — ლობიოს რჩევაში რო დაცივია ნარჩენები, წვრილი ნამტვრევები კლერტებისა, პარკისა, ფოთლები, იმასა ჰქვია (ძეგ.).

**ნაბარაქი თვალი** გარეთ, დიდ სინათლეს შეჩვეული თვალი

(სიბნელეში შემოსულისა). ნაგარევი თვალი მაქ და ეერაფერს ვხედამ ოთახში (მჭად.). ჯერ ნაგარევი თვალი გაქ, იმიტომ გეჩვენება ეგრე (კავთ.).

**ნაბლია** პატარა, მოლეული. პატარა რომელიც არი, გინდა წიწილა, საქონელზეც იტყვიან, ბავშვზეცა, ნაგლია არიო, მოლეული (ოძ.).

**ნაბრილ**-ი ჩრდილი. მზეზე რო გახვალ და შენ თავს რო დაინახავ, ისაა ნაბრილი (ლამ.). დედაკაცს თავი ნაბრილისაც უნდა ეშინოდესო (ბიწმ.). ნაბრილი ეგვიქ იყო და საიდან ხად წამოვიდა (საგურ.); აგრეთვე ატ., რუისი.

**ნაბულა** იხ. ანაგული.

**ნადულალა, ნადულარა** ნადული. ყველს რო მოაყველებენ, იმას შრატი რო დარჩება, შიგა ხო არი ნამცეცები, იმას მოადულელებენ, ნადულალა ის არი (ატ.). შრატი მონახადია ნადულარაი (ატ.).

**ნაპალ**-ი განაყალი. ნავალში იწვა თურმე ბამში (ერედ.). მგლის ნავალი ვნახეო, ჩემა დედამთილმა, მგელი ჭაამს ჩვენ ყურმენსაო (ბიწმ.).

**ნაპლ**-ი ძალიან წმინდა ფქვილი (პურისა, სიმინდისა...). წმინდათ რო იფქვება ხორბალი, ქერი, ნავლი იმასა ჰქვია (ლამ.). **ნაპლიანი**: ნავლიანიო, კარქი დაფქულიაო, სიმინდზე ითქმევა (კარალ.).

**ნაკნევი**-ი ზარალი, ზიანი. დიდი ნაენევი მოგვივიდა, ბევრი ვაშლი გავვიფუჭდა (ძეგ.).

**ნაზღა** თეთრი ნაღები ენაზე. ენაზე და სასაზე რო გავგეკერის თურათ, თურათ რო არის შელესილი, ნაზღას ვეძახით (ზ. ხანდ.). ნაზღა მაქ ენაზე გაკრული (ზ. ხანდ.).

**ნაზმარუქა** ნაზი, სათუთი, აზიზი. ნაზმარუქა ქალი ხარ! (ძეგ.).

**ნათავით**-ი ხელით აკრეფილი ნარჩენი თავთავი; ასეთი თავთავის ხორბალი. ნათავთსა ხელით გამოფუშნებამენ, დაფუქვამენ და გამოაცხოებენ ნათავთის პურსა (ერთაწმ.). ნათავთის ნაზუქს არაფერი შჯობია სწორეთა (იგ.); აგრეთვე წილკ.

**ნათაფი პური** თონეში ჩავარდნილი, ცხობაში შესული პური (შუშდება ნაკვერცხალზე). პურ რო დავაკრამთ და მოწყდება და ჩავარდება, ის არი ნათაფი (ვარ.). რა არი, ქალო, ნათაფი პურები რომ არ გამოგეგზავნა, სხვა აღარ გქონდა? (ტყვ.).

**ნათბილარევი**-ი სითბოში ნამყოფი. ნათბილარევი ვიყავი და წყალში ვიტოპე, იმან გამხადა ავათა (ქორ.).

**ნაინ**-ი ქვაბის გვერდების გამოსაკვერი იარაღი ერთგვარი. ნაინი, როგორც ლომი, ისეთია, ოღონდ პირი აქ გაპტყელებული (ზ. ხანდ.). გვერდების გასწორება რო გვინდა, შიგნიდან უნდა ჩავ-

ლოთ ნაინი, ნაინზე უნდა გამოიკვეროს გვერდი (ზ. ხანდ.).

**ნაპაპ**-ი ცერად წაჭრილი ძირი ფიჩხისა; ცეტერი. ფიჩხ რო აჩეხამ და ძირში დარჩება, იმასა პქვიან ნაკაპი (ტყვ.). ნაკაპ ნამოვცხე ფეხი და ბლლარძანი არ შეიტანა იმ ვერანამა! (კარალ.).

**ნაპია**, **ნაპიან**-ი მოლეული, პატარა. ნაკია რო არი, პატარაი, ბოლოლაი, დანაკულს ვეტყვი (ატ.). ნაკია უძუძურათ არი გაზრდილი, პატარაა, გამხდარია (ყანჩ.). ეს უბედური წიწილა ჯერ ისედაც ნაკიანი იყო, ეხლა ფეხიც მოუტეხია ვიღასაცა (კოდ.).

**ნაკინკალა** პაწაწინა, ერთი ციცქნა, ცოტა. რა ვჭამეი, ერთი ნაკინკალა ხორცი მაპიტანეს! (დის.).

**ნაკლებ**-ი 1. ცუდი, უხეირო, უვარგისი. ნაკლები პურებია, ეს როგორ გაგატანო (ხც.). 2. ღარიბი, ხელმოკლე (ოჯახი). რატო არ იქნება მხიარული, რა! ისეთი ნაკლები ოჯახიდან წამოვიყვანეთ, ერთი ხელი საცვლები არა პქონდა (ზერ.). ყოველწლივ ეგე დაზურგული მიდიხ ხომე თავი სამშობლოში, ნაკლებათა ყოფილან თურმე (წილკ.); აგრეთვე ატ., ბიწმ., ბრ.

**ნაკოდალ**-ი 1. დიდი ნაკვერცხალი. ნაკოდლები მაინც ამოგეყარა, ხო ხელამ, რო ჭადი იწვის! (კარალ.). 2. ახლად მოკოდილი (წისქვილის ქვა). ნაკოდალზე და-

უფქვია და სუ არ ვარგა, კაწაკუ-  
წი გააქ (ატ.).

**ნაკორღალ**-ი ნახნაეი კორ-  
ღი. დიდი ხნის დაუმუშავებელი  
მიწა რო დამუშავდება, იმას ნა-  
კორღალს ეძახიან (ატ.).

**ნაკოლოპურტალ**-ი მკედრის  
ნაქონი ნიეთები, ნამკედრევი.  
რაც რამე ნაკოლოპურტალი ჰქონ-  
დათ, სუ მათხოვრეფს მისცეს  
(კავთ.). ნაკოლოპურტალ ტანსაც-  
მელს მივაკარებ სწორეთა, აი!  
(კარალ.); აგრეთვე ძეგ.

**ნაპრამ**-ი 1. წიწილის ნის-  
კარტით ოღნავ გამოტეხილი კვერ-  
ცხი. უკვე ნაკრავია კვერცხი,  
საცაა გამოიჩიკება (მეჯვრ.). ნაქ-  
რავები მუახრჩო ამ ვერანა კრუხ-  
მა (ქვეში); აგრეთვე ატ., ზერ.  
2. იგივეა, რაც წვერნაკრავი.  
თესლი რო გაღივდება და  
ამოსვლას დააპირეფს, ნაკრავიან,  
ვიტყვით (ზერ.).

**ნაპრუსხალ**-ი ძველი, გაღივე-  
ბული, გემოშეცვლილი (კარტო-  
ფილი, სიმინდი, ლობიო). ზამთარ-  
ში უნდა შეჭამო სიმინდი, მერე  
რალათ ვარგა, ნაკრუხალია, დამ-  
წარებული (ატ.). ნაკრუხალ ლო-  
ბიოს აკეთეფ, ჭამ, მაგრამ გემო  
არა აქ (ძეგ.). ნაპრუსხალი მზმ  
ამბობენ გაზაფხულის მზეზე ან  
მაშინ, როცა მზე ღრუბლებიდან  
გამოვა. გაზაფხულით რო ღრუბ-  
ლიანია და დამალული არი დიდი  
ხანი მზეი, ახლა მერე გამოიხე-  
დამს, იმანე იტყვიან, ნაკრუხალი

მზე გამოვიდაო (ერედ.); აგრეთვე  
გორიჯე.

**ნაპულ**-ი ჯელდი, ნაკმაზი. პურ  
რო ვატაბაკეფთ ზომე, ნაბორალა  
რო დარჩება, ნაკული ის არი. ნა-  
კული უკანა რჩება ტაბაკზე (ატ.).  
პურ რო გაუაკეთებთ ცხავითა,  
რაც გაღის წერილი მარცვალი, ის  
არი ნაკული, მერე ი ნაკულსა ქათ-  
მებ ვაჭმევთ (არად.); აგრეთვე  
ბრ., ტანძ., ძეგ.

**ნალ**-ი იგივეა, რაც ლურს-  
მანი. ესე, ემოდენა პატარა  
რეგალს გამოეჭრით ნალსა, იმი-  
თი დავლურსმავთ (ძეგ.). გამომი-  
ჭერი ნალები, ბარემ დავლურსმავ  
(ძეგ.).

**ნალობიარ**-ი, **ნალობიარ**-ი  
ლობიოს ნარჩევი (ბარდი, პარკი).  
ნალობიარი მე მომეცი, შენ მაინც  
ძროხა არა გყავს (ტეზ.). ნალო-  
ბიერზე დამიწვიმა წუხელა (ხაშ.).

**ნალოპარ**-ი აღრე გაზაფ-  
ხულზე მოჭრილი და ქერქგაც-  
ლილი ხე. გაზაფხულზე რო ხეს  
მოსჭრიან, როცა ლობო სძვრება  
ხომე და დააგდებენ გასახმობთა,  
იმას ნალოპარს ეძახიან. ნალო-  
პარსა, როცა კარქა გახმება, მერე  
ან შესათ გამოიყენებენ, ან დახერ-  
სამენ და მასალად იხმარებენ  
(კავთ.); აგრეთვე ქვ. ჭ., ქორ.

**ნამ**-ი წვეთი. ვზივარ, ნამი  
წყალი არა მაქ სახშია (ატ.). ნამი  
წყალი არ გვიდვა (ძეგ.).

**ნამბატ**-ი ნაქსოვის სახე: ერთ  
თვალში გამოღებული ორი თვა-  
ლი. რო შემოუვლიდით გარეშე-

მო, მერე ოთხგან გაუკეთებლით ნამატს, ვქსოვლით და ყოველ გავლაზე უმატებლით (ზ. ხანდ.).

**ნამგლქევი**-ი მგლის დაგლეჯილი (საქონლის ხორცი). ხარჯში ნამგლქევი ხორცი, აბა, როგორ შეიძლება-მეთქი, არ შეიწირამს, ნამგლქევით შენდობა არ შეიძლება-მეთქი (ქორ.). ნამგლქევი კი არ იყოს, ვინ დაკლა ეხლა ძროხა? (ძეგ.).

**ნამინდვრი**-ი მინდორში ნამყოფი; მინდვრიდან მოყოლილი (საჭმელი). მიირთვი, მიირთვი, შენ უფრო ნამინდვრი კაცი ხარ (საკორ.). მინდორში რო წასულან და პური დარჩენიათ, ნამინდვრი პურია, ჭამე, ძუძუში რძე ჩაგიღებო (ძეგ.).

**ნამს მისცემს** წყალს მიაპკურებს (ჩასაკრავ პურის გუნდას). ნამი მიეცი, არ წავიდეს პური (ზც.).

**ნამშრალი**-ი დიდი ხნის უხმარი (ჭურჭელი). დიდი ხანი რო ქილაში წნილი არა დებულა, ან კოკაში რო დიდი ხანია წყალი არა მდგარა, ნამშრალეკია, სიხმის გემო მიეცემა (ლამ.).

**ნანად** სანანებლად. ის არი, მეც გულში ნანათ უნდა ჩამაყოლო (ტბა).

**ნანაჟრი**-ი ნაჭამი, დანაყრებული. ადამიანი ცოტას რო შესჭამს, ნანაყრიაო, იტყვიან, სულ უჭმელი რო არ არი (ერედ.).

**ნანაჯობად, ნანაჯობიანად** 1. ერთიანად, დედაბუდიანად.

სუ ეგეთები არიან ნანაჯობიანათა (ქვ. ჭ.). 2. უკვალოდ. ოთხი ბიჭი ჰყვანდა, ოთხივე ისე ნანაჯობიანათ დეეკარგა ომშია, რო არც ერთისა არაფერი არა იცის რა (იგ.). ეგრე ნანაჯობიანათ როგორ დაიკარგა ღორი, რო ქვეყანა გადავაბრუნე და ვერ ვიპოვე? (თეხი); აგრეთვე ბიწმ., იგ., მეჯვრ., საგურ., წილკ. 3. სრულიად, სავსებით. სუ მოტლეკილი რო იქნება, მოლოკილი, ნანაჯობათ აღარავინ აღარა ყაამსო, გამწყვარი ჰყამ ყველაფერი (დის.). ერთი ნანაჯობათ არავინ შემოუშვეს ოთახში (დის.).

**ნანივრალ**-ი ადგილი, სადაც ნიორი ეთესა. ნანივრალში გადავრგვი კომბოსტო (ქორ.).

**ნანივუნა** ზოზინა. ტატიიანთ ელენეი ისეთი ნანივუნა არი, მაგრამა იმის გაკეთებული საქმე რო ნახო, მოგეწონება (იგ.). ჩემი თავი მეჯავრებოდა და ეგ უარესი ნანივუნა ყოფილა, დილას აქეთია ერთი სახლი ვერ დაალაგა (წილკ.); აგრეთვე მეჯვრ.

**ნაოთხალ**-ი 1. მეოთხედი. ქადის ნაოთხალი (ძეგ.). 2. სიგრძეზე დახეთქილი მორის ნაპობი. ოთხათ რო გააპობენ მრგვალ ხესა ან შეშასა, ის არი ნაოთხალი (ქვ. ჭ.). ნაოთხალი არის ოთხათ გაპობილი მორი, ოთხად ან რვად გრძლად გაპობილი (წინარ.).

**ნაორმალ**-ი 1. ადგილი, სადაც ორმო იყო. ნაორმალში, როგორც არ უნდა ამოავსო, მაინც იცის წყალმა ჩადგომაი (ტყვ.).

ნაორმალში ჩაყარე ეგ ნაგავი, ბარემ კარქა ამოივსოს (კარალ.); აგრეთვე წილკ. 2. ორმოში ნამყოფი, ორმოდან ამოღებული (პური, კარტოფილი...). ორმო იცოდენ წინათა, ჭინახულს ინახავდენ შიგა; იქიდან ამოიღებდენ პურსა და ნაორმალსი პური ის იყ. (არად.); აგრეთვე ერედ. ნაორმალში ტყე აყრილი ტყე ხეში. დელობი რო არი ქედსა და ქედ შუა და შიგ ძაან მაღალი ხეებია აყრილი, იმაჲ ვეტყვით ნაორმალ ტყესა (წილკ.). ნაორმალსი ტყიდან ჩამოუტანია სახელწევები თედოლესა და ეგეთებია, როგორ ლარი (წილკ.).

**ნარდიბაზრულ**-ი უდარდელი, უზრუნველი, უნადვლელი. ნარდიბაზრული კაცია, გინდა შიმშილით დავიხოცოთ ჩვენა, ის არა დარდოფს (მეჯვრ.).

**ნარდიბაშულ**-ი ზერელე, ნაჩქარევი (საქმე...). ნარდიბაშული საქმე რო იცი, იმიტომ გიხდება მეორეთ გაკეთებაი (ტყვ.). ჩვენა ნარდიბაშულათ ვრდით ბავშვსა საცა იქნება, მივაგდებთ, ის უფრო ირდება (ბროწლ.). ნარდიბაშულად ერთიანად, მთლიანად; ერთბაშად. ერთიანათ რო იყიდის ან გაყიდის რასმე, ნარდიბაშულათ იმას ეტყვიან (ერედ.). ნარდიბაშულათ რო გადააპნიე, იცი, რამსისქე ამოსულა ი სიმინდი?! (კარალ.).

**ნარძვა** ნაჯვარი (ღორი). ნარძვა ღორი მყავდა და ისე გასუქ-

და, რო ხელის სისქეთ აქს ქონი! (კავთ.).

**ნარზე ზის** მზად არის (წასასვლელად). ჩემი რძალი ნარზე ზის, როდის წაეალ სამშობლოშიო (კარ.); აგრეთვე ტყვ.

**ნარიკ**-ი ერთგვარი ჩაქუჩი, ქებაბის ძირისა და გვერდების შემაერთებული წიბოს გასაკვერი. ბევრნაირი ჩაქუჩებია, ამას ნარიკი ჰქვია; ნარიკი პტყელია, ხელკვერსა ჰგავს, ოღონდ იმის ნახევარი სისქისაა (ზ. ხანდ.). ხელკვერით კვერავენ ყველაფერსა — ძირსაცა, გვერდებსაცა, ნარიკი კუთხეებს ჰკვერამს (ზ. ხანდ.).

**ნარიყალაზე** იგივეა, რაც გარიყულაზე. ნარიყალაზე რო დაადგი კოკა, არ გეშინიან, რო ღორმა გაგიტეხო? (წილკ.). რავი, ქაა, შორ სადღაცა მდგარა, ნარიყალაზე, იმი ახლომანლო ადამიანიშვილი არა დგა (წილკ.).

**ნარშებალ**-ი რუმბის ტყავი. წინათ ნარუმბლის ქალამანი იცოდნენ, ჩუსტზე მეტი ფასი ჰქონდა, არა ხმებოდა ისა (ზ. ხანდ.).

**ნარცხალ**-ი ერთი წლის ნასვენი მიწა (მდრ. რცხალი). მესამე წელიწადს ნარცხალი იხვენება, ნარცხალზე ითესება (ზ. ხანდ.).

**ნასალა** ნაბოლარა, პატარა, დალეული. ადამიანი, პირუტყვი, ფრინველი, რომელიც ნაბოლარაა და ნამლევა, ნასალა ის არი (საკორ.). ან წიწილა გამოერევა ბოლოლაი, ყველაზე პატარაა და საცოდავი, ნასალა ეგ არი; ბავშვ-

ზეც იტყვიან დაცინვით, გამოჯავრებით (ოდ.); აგრეთვე ქვ. ჭ.

**ნასმურტლ**-ი ცომიანი ხელების ანაფშენეტი. ცომიან ხელებს მოიფშენეტამენ, ნასმურტლი დაიცვია. აიღებენ, თბილ წყალში გახსნიან, დაიხელამენ და დიდ ცომს შააზელამენ (ოდ.). ზოგსა ჩაყვება ხომე ნასმურტლი ცომშია და ზღმურდლები გამოყვება ცომსა (ქვ. ჭ.); აგრეთვე კავთ., კარალ., კარ., ქემ., ტყვ., ქვეში.

**ნატრიკპალ**-ი უკანონო შვილი, ვილაც ოხერი. ეს ვილას ნატრიკვლები არიან? (მეჯვრ.). ზოგი სუ სხვის ნატრიკვალსა ზღის და ეს ხო ჩემი შვილიშვილია (ტყვ.); აგრეთვე კარ.

**ნატურნ**-ი გატრუნული, განაბული, გაჩუმებული. ბავშვებ შუჭამიათ ი თელი ქილა მურაბაი, იმიტვინ არიან ნატურნი (კავთ.). თურმე შენც ხელი გირევი იმ საქმეშია, განა არა, ვიფიქრე, რათ არი ნატურნი-მეთქი (გრაკ.).

**ნაშალ**-ი, **ნაშალა** 1. ბარაქა. აბუქა ადამიანი მაშინვე გააქროფს ყველაფერსა, ან ფქვილი, ან კიდე სხვა რამე, ყველაფრის ნაფალს გამოილევს (კავთ.). ნაფალა აქვთ გაწყვეტილი სახლში, მაგათ რა ქალი უნდა შეინახონ? (კარალ.); აგრეთვე კარ. 2. ძალა, ღონე. სუბუქი რო არი ადამიანი, სუ ნაფალი აქო გამოლუული, რომელიც გამხდარია და დასუს-

ტებული (არად.). ნაფალაა მაქს. გამოლუული, თვალეში შუქი გადღის (კარალ).

**ნაშალბაწყვეტილ**-ი ბარაქამოლუული. ნაფალაწყვეტილები არიან, თავიანთთვინ არა აქვთ რა და შენ რა გინდა იმათგან? (ტყვ.).

**ნაშაშურამბ**-ი ნაწლავები. ნაწლავებსა იქვიან ნაფაშურები (ქვ. ჭ.). საქონელზეც იტყვიან, ნაწლავებ რო გადმოაყრეინებენ, ნაფაშურები გადმოაყრეინაო (ქვ. ჭ.). **წადი და ნაშაშურამბზე იღრიძალე!** ეტყვიან ხოლმე იმას, ვინც ცარიელზე დარჩა. რო ან მოპარავს ვინმე რამესა, ან წართმევს, ან უნდა რგებოდა და არ ერგება, დარჩება ცარიელი, წადი ესლაო, ეტყვიან, და ნაფაშურებზე იღრიალეო (ქვ. ჭ.).

**ნაშმარღალ**-ი შედეღებული სისხლი. ეგრე ცუდათ იყო ღონოი, სუ ნაფერდლებ იღებდა სისხლსა (მეჯვრ.).

**ნაშინჩ**-ი იგივეა, რაც წინაწვეერი. თონის პურიო თხელი ნაპირი რომელიც არი, ყუის მოპირდაპირე მხარე, პური ნაფინი ის არი (არად.). მე ნაფინი უფრო მიყვარს პურისაი, ვიდრე ყუაი, მაგრა რა, კბილები აღარა მაქ და ნაფინი საკნაწუნო არი (არად.).

**ნაშოტა კბილები** მსხვილი, ფართო კბილები. ჩემი შვილები რო ქალებს შინჯამდენ, ვეტყოდი ხომე, ოღონც დიდი ცხვირი და ნაფოტა კბილები ნუ ექნებათ-მეთ-

ქი (არად.). იმითანა ნაფოტა კბი-  
ლები აქს, რო ეს ოქრო კი არა,  
ორი ამდენი არ ეყოფა (ტყვ.); აგ-  
რეთვე კარალ., ძეგ.

**ნაფშრუქი**-ი ნაფშენეტი, ანა-  
ფხეკი ცომისა. მოზილეს ცომი,  
ამოაგუნდავეს. ვარცლზე აფხეკა-  
მენ, ხელებზე მოიცილიან და ის  
არი ნაფშრუკი. ბოლო გუნდას  
რო ამოიღებენ, ნაფშრუკისა იქ-  
ნება, ის ნაკლები გუნდაა (სა-  
გურ.). ნაფშრუკს ცომში ჩაყრიან,  
წყალ დაასხამენ და ზედ შეაზილა-  
მენ ისევა (ივ.). ხაშში ნაფშრუკი  
არ შაურიო, ნათხუარი ხაშია  
(წილკ.); აგრეთვე ახალშ., მერ.,  
ოდ.

**ნაქაშუქი**-ი, **ნაქაშურქი**-ი 1.  
ჭამისას პირის კუთხეებთან გად-  
მონადენი საჭმელი. ბავშვს რო  
ფუას აჭმევენ და ჩამოუთხვრიან  
პირსა, ნაქაშურები გადასდის  
(ტყვ.). სუ გული მერევა, მაგი  
ჭამას რო უყურეფ, პირზე ნაქა-  
შურები გადაადის (მერ.); აგრეთ-  
ვე ატ., კარ., ძეგ. 2. ჭურჭლის  
გვერდებზე გადმოსული წვენი  
(საჭმლისა). ქვაბი ამოსულიყო  
და ნაქაშები გადასდიოდა (ზ.  
ხანდ.). შემოწმინდე მაინცა ხე-  
ლითა, ჯამსა ნაქაშურები რო გად-  
მუადინე! (კარალ.); აგრეთვე კარ.,  
მერ., ტყვ.

**ნაქაშ**-ი 1. ჭაჭიდან საქაჯა-  
ვით, წნეხით გამოწურული ტკბი-  
ლი. საქაჯავით გამოვქაჯამთ ჭა-  
ჭასა და ღარიდან ქვაბში ჩამო-  
დის ნაქაჯი, ივეთი ტკბილია, რო!

(ქორ.). მეტი წილ ნაქაჯსა თა-  
თარათ ვხმარობდით (მეჯერ.).  
2. თაფლის გამოწურვის შემდეგ  
ღარჩენილი ფიჭა. თაფლს რო  
გაწურამენ, რაც ღარჩება, ის არი  
ნაქაჯი, თაფლი ცალკე წავა  
(არად.).

**ნაქინცლშე**-ი, **ნაქირც-**  
**ლშე**-ი ნამტერევები, ნაფშხვენე-  
ბი (ფიჩხისა). ნაქინცლებით გა-  
ვასურე თონეი, ღმერთი აღარა  
გაქს? (ქვეში). ამხელა შეშაი სუ  
ნაქირცლებათ აქცია (ქემ.).

**ნაქობარ**-ი თხრილი საარაყე  
ქვაბის ქვეშ ცეცხლის დასანთე-  
ბად. არყის ქვაბს რო შეედგამთ,  
გამოთხრილია შუაში, აქეთ-იქით  
აწეულია, მაგას ვეტყეით ნაქობარ-  
სა (ძეგ.). შუაში, საცა გამოთხრი-  
ლია, საცა ცეცხლი ანთია, ნაქო-  
ბარია (ძეგ.).

**ნაქურცლი**-ი, **ნაქურცალა**  
წერილი ნამტერევი, ნამსხვრევი.  
რო ჩამოვარდება და გატყდება  
ჭურჭელი, ის არი ნაქურცლები,  
პირს რო დაცვივა (ოდ.). ნაქურ-  
ცლებად აქცია მთელი თონეი  
(ქვეში). ქვეყნის ნაქურცალა პუ-  
რებია იქა და რაღა თელ-თელ  
დატეხამთ ხოლმე?! (თამ.); აგ-  
რეთვე ტყვ.

**ნაღბამ**-ს წმინდად ფქვავეს;  
კარგად ზელს. წისქვილში რო  
იფქვის, გინდა ხელსაფქვავები  
კარქა რო ფქვავეს, ნაღბავს (ნიჩბ.).  
აბა, ამის ამოხელილი ლობიო ნა-  
ხეი! ნაღბამს სულა (ატ.).

**ნაღმბა** საკირე ქვა ერთგვა-

რი. კირის ქვა არის ნაღება, ძალიან თეთრი გამოდის (მეჯვრ.).

**ნაღველას ჩაიქცევის** ძალიან გაბრაზდება, გულს გაიხეთქს. ნაღველა ჩაიქცია და სიტყვა ვერა თქვა (კარალ.). ახლა დედაჩემა რო ესე დაინახოს ეს ღორი წელგებამოყრეინებული, ნაღველას ჩაიქცევს და მეტიც აღარ უნდა (ტყვ.); აგრეთვე ძეგ.

**ნაღინკალა, ნაღინტალა, ნახინტალა** პატარა, მოლუული; უვარგისი (მღრ. ღინკლა, ღინტლა). რამე რო გაუნდებათ, საქონელი იქნება, ღორი თუ ქათამი, პატარა რო იქნება, დანაკული, ნაღინტალააო; ბავშვზეც იციან ზომე (ატ.). ოთხი ჭუკი შეშრჩა იხვისაი, იქიდანაცა ერთი ნაღინტალა არი (მეჯვრ.). ნეტა ეს ნაღინტალა ტაროები რაღა ჭირათ მინდა?! (კავთ.). ჩემ ნათელას პირველათვე ტყუბი გაუნდა, ერთი კარქი იყო, მეორე კი — ნახინტალაი (მერ.); აგრეთვე ერედ.

**ნაღრავ-ს** ხნულებს შუა დარჩენილ ადგილს, ნაღარს ხნავს. ნაღარი დაბლობი კეთდება, მერე იმას ნაღრავენ (მეჯვრ.).

**ნაყელ-ნაბარკლ**-ი ცხვრის ეელსა და ბარკლებზე ნაპარსი მატყლი; მდარე ხარისხისაა. აქაო და ლოგინითვინ უნდაო, ეერჩია სუ ნაყელ-ნაბარკლი და ის მამცა (წილკ.). ეს სუ ნაყელ-ნაბარკლია, მაგ მატყლში არ გაურიო (კავთ.).

**ნაყმ-ნაყმ** ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ნელა, დუნედ. როცა ისე ლაპარა-

კობს ადამიანი, გეგონება ღეჭამსო, ნაყე-ნაყე ლაპარაკია, ან კიდე ბობიანივით რო დადის, ხან საღ გაჩერდება და ხან საღა, ნაყე-ნაყე სიარულია. რამე საქმეს რო დაიწყეფს, როგორც იქნება, დააბოლოეფს, ნაყე-ნაყე საქმის გაკეთებაა (კავთ.). რა ნაყე-ნაყე ლაპარაკობ? (ძეგ.); აგრეთვე ერედ., რუისი, ქვ. ჭ., ხც.

**ნაყვლუვა** ცხვრის ტყავზე გაცლილი მატყლი. ცხვარ რო დაეკლამენ, თბილ-თბილ ტყავ დაახვევენ და დაადებენ თბილ ალაგასა, რო კარქა ჩახურდეფ, მემრე დააცდიან ორ-სამ დღესა და გააცლიან მატყლ ხელითა, გაყველენ. ამითანა მატყლ ნაყვლუვას ეტყვიან (წილკ.). ნაყვლუვა ეპმ რბილია, თივთიკივითა, მაგრამა ძაან მოკლებეწვაა (წილკ.); აგრეთვე წვ.

**ნაშა, ნაშე** ფხვიერი, ნაშალი ნიადაგი. ნაშაზე საძირკველი არ დაიდგება, უნდა დაჰყვე, ნაშამდისინ თიხნარს იპოვი (კავთ.). ნაშე ადგილია, ბოში ადგილი, შეიძლება მალე მოშვავდეს (ძეგ.); აგრეთვე არად., ტანძ.

**ნაშლად დარჩება** დაუმთავრებელი დარჩება (რაიმე საქმე). ლობიო ცოტალა იყო, უნდა გამეთავებინა გარჩევაი, იმ დროს მოვიდა ი ბიჭი და ნაშლათ დამრჩა, ეხლაც ისეა გადავებული (ერედ.). ცალი წინდა მოქსუეი, მეორის ქუსლამდინ მიველი და



კიდეც მოვიდა ჩემი სიძეი წასა-  
ყვანათა, ნაშლათ დამრჩა (კავთ.).

**ნაშურიან-**ი მრუდე, უსწორ-  
მასწორო, ოკრობოკრო. რო რამეი  
აკეთებს კაცი, თლის, ოკრობოკრო  
გამოვა, ეტყვიან, ნაშურიანია, გა-  
ასწორეო (კავთ.). ბრუნდე, ცუდ  
გაკეთებულ იარაღს ვეტყვიოთ ნა-  
შურიანსა (კავთ.).

**ნაჩირქნ-**ი თოხით გაფხვიე-  
რებული (ნათესი...). ნაჩერკნი არ  
გაქელო, ზედ არ გადაიარო!  
(ტყვ.). ნაჩერკნი უფრო კაი სი-  
მინდია, უყურე! (კარაღ.); აგრეთ-  
ვე ქვეში.

**ნაჩირ-**ი ჩირი. შარშანდელი  
ნაჩირები ისეუა მაქ; ჩვენ იმას არა  
ვჭამთ, გაყიდვით, არაყინა მყამ, რო  
გამიყიდოს და ფრია ისე ის იმო-  
დენა ნაჩირი (ბროწლ.); აგრეთვე  
ზერ.

**ნაჩურჩ-**ი ჩურჩა, ჩენჩო. ლო-  
ბიოს რო გასჩურჩამ, მარცვალს  
რო ცალკე გამოიღებ, რაც დარ-  
ჩება, პარკები, ის არი ნაჩურჩი  
(ტყვ.). ქა, რამდენი ნაჩურჩი  
გიყრიათ, ამოდენი ნეტა როგორ  
გამოჩურჩეთ?! (ბროწლ.); აგრეთვე  
კარაღ., ნოს., საგურ., ყანჩ.

**ნაჩხატის კურდღელი**  
(მელა...) იტყვიან გამხდარ ადა-  
მიანზე. გამხდარი ბავშვი რო იქ-  
ნება, ნაჩხატი მელასა გეხარო,  
ეტყვიან (დის.). ნაჩხატის კურდ-  
ღელს გავხარ, — გამხდარ კაცს  
ეტყვიან (სამთ.).

**ნაცარა ლობიო** ლობიოს  
ჯიში ერთგვარი. ნაცარა ლობიო

კუტი არი, კავი არ აქვს, ხახვებს  
ურიგებთ, თეთრი ჭრელი მარცვა-  
ლი აქ, მრგვალი (არაღ.) ნაცარა  
ლობიოს ნაცრისფერი ლაქები  
აქვს (ქორ.).

**ნაცარა ჩიტი** ბოლოქანქარა.  
ნაცარა ჩიტი წყალწყალა არი,  
წყლის ნაპირებზე დადის (არაღ.).  
ნაცარა ჩიტი პატარა ჩიტია, ნაც-  
რისფერი, ბუდეს პატარა ბურ-  
ქებში იკეთებს (ქემ.).

**ნაცართუთქ-**ი წყალში არე-  
ული ნაცარი, თუთქი. ნაცართუ-  
ქი ნაცარი და წყალია არეული.  
თონე რო გაღაღადებულა, იმას  
მოაგრილეთ, იმ თონესა (ატ.).  
ნაცართუთქი ჩააყარე, არ დაიწვას  
პური! (არაღ.); აგრეთვე მეჯვრ.,  
ძეგ.

**ნაცვეთ-**ი ნახმარი ტანსაცმ-  
ლის ნაკერებთან, ნაკეცებში ჩაგ-  
როვებული მტვერი, ჭუჭყი. ნა-  
ცვეთი ქობაში იცის უფრო (რუ-  
ისი). ჩემი პალტო რო დავარდვიე,  
ჩემ დღეში იმდენი ნაცვეთი არ  
მინახამ, რაც იმასა ჰქონდა ნაკე-  
რებშია, ვფხიკე და ვფხიკე, ძლი-  
ვას გავაცალე (ბროწლ.); აგრეთ-  
ვე კეთ., წილკ.

**ნაცრამ-**ს ნაცარი (სოკოვანი  
დაავადება) უჩნდება ვაზს. — ზო  
არ ფუჭდება ვენახი? — რა ვიცი,  
ნაცრავდა, და! (ზ. ხანდ.).

**ნაცს-**ი მსგავსი, მიმგვანებუ-  
ლი. ბესტავაშვილის ნაცხი იყვე  
და რაღა ვიშამს (ტყვ.); აგრეთვე  
კარაღ.

**ნაცსებ-**ი სისხლით ნათესავი.

ლამეტანთ ნაცხები არა ხაარ, რა, ვინ რაში მოგატყუეფს! (კარალ.); აგრეთვე ტყვ.

**ნაწილ**-ი მარცვლული მცენარის ნაყოფის ჩანასახი. გულს რო იკეთეფს თავთავი, ნაწილი ის არი (ძეგ.). **ნაწილი** ამონილო, **ნაწილში** შევიდა (ყანა). ნაყოფის ჩანასახი გაუჩნდა (ყანას). სწორეთ ეხლა შაიკრა მცამ პირი, როცა ყანები ნაწილში შავიდა (წილკ.). ჯეჯილმა ნაწილი ამოიღო და სწორეთ ეს აედარიც კარქა დროზე მოვიდა (მეჯვრ.) **ნაწილის** აღმბა, **ამონილბა** (ყანისა): ყანაზე ვიტყვით მაგასა, ჯეჯილზედა, მარცვლის გამონასახი რო ამოდიე, ის არი ნაწილის ამოღებაი, მაშინ უნდა, აი, აედარი, რომოუხდეს კარქათა (იგ.). ნაწილი აღებიე დროე რო გაუადარდე ჩვენ ყანასა, მითომ შინა გქონია გალწილი, ისრე უნდა იგულო (წილკ.); აგრეთვე ბრ., ბროწლ. **ნაწილი** არ უნახია, **ნაწილი** არ ჩასვლია პირში **არაფერი** არ უჭამია, მშიერიია. მშიერი რუ არი კაცი დილიდან მოკიდებული საღამომდინა, იმი მუცელში რო ლუკმა პური არ ჩასულა, იტყვიე, დღეე ნაწილი არ ჩამსვლია პირშიაო (წილკ.). ისეა კრიჭაშეკრული დარდითა სოფუაი, სამი დღეა, ნაწილი არ უნახია (კავთ.).

**ნაწილთან** დასადარი ძალიან კარგი (ადამიანი). ნაწილ-

თან დასადარი კაცი იყო შენი მამთილი, მარტო იმი ტკბილი ლაპარაკი ღირდა ერთ რამეთა (წილკ.). ვის არ დაინანდებოდა, ქაა, ნაწილთან დასადარი დედაკაცი იყო, ცოდუ არ იყო იმი სიკვდილი? (წილკ.).

**ნაწპრმტ**-ი მწირი, მოუსავლიანი ადგილი. იმ ადგილი ქონებასა, სულაც ნუ მქონია! ნაწკრეტია, იქ არაფერი მოდის რა, ტყუილათ რათ უნდა მეჭიროე? (ერთაწმ.).

**ნაწმმლ**-ი საწნახლიდან გადმონადენი. ტკბილის ნაწური. როცა დაამთავრებ დაწურვას, დაკეტავ გასავალს საწნახელისასა, დახურამ, დატოვებ; მერე რაც გამოვა, ის არი ნაწმელი (ჩუმათ.).

**ნაწმენდ**-ი ნაკმაზი. პურს რო გავცხრილავთ და ქვეშ რაც გაუვა, ნაკმაზსაც ვეძახით იმასა და ნაწმენდსაცა (საგურ.). ნაწმენდს ფრინველებს აჭმევენ ხოლმე ან ღორსა, რამესა (ხც.); აგრეთვე გარიყ., თონ., ნოს., ძეგ., ხოგ.

**ნაჭ**-ი წენგო. კაკალს რო გარედან აქს მწვანე ქერქი, ეგ არის ნაჭი (ერედ.). კაკლის ნაჭმა ხელები გამიშავა (ქორ.); აგრეთვე ბრ., თამ., ტყვ., ქემ.

**ნაჭმრ**-ი: **ღმდის** (მამის...) **ნაჭმრი** ღმდის (მამის...) ძალიან მსგავსი. ღმდის ნაჭერო, იმისავით აყლარწული არა ხარ? (კავთ.). ჩემი ბაგრატაი სუ თავი პაპი ნაჭერია, იმიჰანა ტანადო-

ბაი, იმითანა ხასიეთი (კავთ).

**ნაჭოჭ**-ი დაჭოჭებული, სეული (მიწა). ავღრისაგან რო დასველდება დეღამიწა, ნაჭოჭიარ, დასველდაო (ტანძ.); აგრეთვე ბროწლ.

**ნასარშობ**-ს ლაპარაკობს, მუსაიფობს. რას ნასარშობ? (თამ.). რა ტკბილად ნასარშობენ! (ქორ.). **ნასარშობა**: არ მიყვარს მე ნასარშობაი (დიცი); აგრეთვე გუჯაბ.

**ნახასლ**-ი ცხავში დარჩენილი მსხვილი მინარევი. ცხავს ზეით დარჩენილს ეწოდება ნახასლი, იმას გადაყვრით (მეჯვრ.).

**ნახეპარჯამიან**-ი პატარა ჯამი. ნახეპარჯამიანზე დადე პურიცოში (ტყვ.). ნახეპარჯამიანით შეჭამა და ის ეყოფოდა? (კარ.); აგრეთვე არად.

**ნასინტალა** იხ. ნ ა ლ ი ნ - ტ ა ლ ა .

**ნახმულარის გემო** დიდი ხნის უხმარ ჭურჭელში მოთავსებული საჭმლის (სასმელის) თავისებური გემო. ნახმულარის გემო აქო, წყალი არ არი შიგა ნაღვოში დიდი ხანიაო (ლამ.).

**ნახჩ**-ი მოხატულობა (ქსოვილისა). ნახჩი — ნაქარგში, ნაქსოვში გამოყვანილი სახე (ქორ.). მაგ კაბის ნახჩიც მამწონს (გარ.). აი, ესეთი ნახჩი რო ექნება, ამითანას ჩავიცმევ (კარალ.). ნახჩს გადაიღებს მიბაძავს. იმისავით რო მოიქცევა, იმისავით რო ჩაიცმევს, ნახჩი გადაიღოვო, მიბა-

ძაო, იტყვიან (კარალ.). ნახჩი ვისგან გადაიღე, ეს კაბა რო ამოგინუთხია? (კარალ.). **ნახჩიანი**: ნახჩიანი არშია (ქორ.). ესეთი ნახჩიანი, აბა, მე რას გამამადგება (ტყვ.); აგრეთვე კარალ.

**ნაჯორკაპლ**-ი შეშის დიდი ნაობი. აილო დედაჩემა შეშის ნაჯორკალი და დაუყვირა: გამოდი, რომელი ხარო (გარ.). ავიღეუამ ნაჯორკალსო და დაგარტყამთაეშიო, რძალი ეტყოდა დედამთილსა (წე.).

**ნეზა** ნელა, ფრთხილად. ნეზა, ქალო, კიბეზე არ გადაგვჩხო! (ლამ.). ნეზა წამოდი, ბალო, რა თავ-პირ იმტვრეუ, უკან ხუ არავინ მოგდევს?! (წილკ.). ნეზა გადმოდი, ეკლებია! (ბიწმ.).

**ნეზისად** ნელ-ნელა, თანდათანობით. კარტოფილ რო შევწავთ და არ შეიწვის კარქა, ნეზისათა, აილანძება (ატ.).

**ნემსიჩარიბ** მწერი ერთგვარი. ნემსიჩარია მწერია, გრძელი ნესტარი აქ, იკბინება (ქემ.).

**ნემ**-ი 1. ცერსა და ნეკზე ამოხეული ძაფი, ხიფა, ერთი ნეკი ძაფი მასესზე (ძეგ.). ორი-სამი ნეკი წითელი ძაფი ღამაკლდა (ძეგ.). 2. მიწის მცირე ნაკვეთი. გვერდზე რო აქ მიღებული დიდ მიწასა პატარა მიწა, ნეკს ეტყვიან, ცოტაა მიმღარი ზედ, ვიწრო (ძეგ.). 3. პატარა პური (ნახეპარი ჩუნდისა), თონეში რიგებს შუა' დაკრული. ჯერ ნეკები შეჭამეთ, შვილო, და მერე კარქი პურები

(კავთ.). ნეპის კბილი პირველი საღეჭი კბილი. ნეკის კბილი ამოუვიდა (ძეგ.).

**ნეპან-ი** პატარა შოთი (ნახევარი გუნდისა). მთელ გუნდას რო ამოვიღებთ, გაგათხელებთ და გაეჭრით შუაზე, ჩვენ ნეკს ვეძახით; ხარჯი რო არი, მაშინ ვიცით უფრო ნეკნი და ლავაში (საღ.); აგრეთვე არად., ბრ. ნეპანის პური იგივეა, რაც ნეკნი. ნეკნის პური ლავაშთან ერთად მისატანია, ერთი ლავაში და ნეკნის პური თეფშზე უნდა იდოს (ძეგ.).

**ნეპრაობ-ს** 1. ნეკერს, ფოთოლს ჭამს (საქონელი). შასულან თხები ვენახშია და ნეკრაობენ (ბიწმ.). ეს პატრონგაციებული ძროხაი სუ ნეკრაობს თხასავითა (კარალ.). **ნეპრაობა:** თხას უყვარს ნეკრაობაი, ფოთლებსა, ნეკრებსა შჭაამს (ტყე.). 2. ცოტ-ცოტაობით ჭამს. კამეჩი რო ჭფოთლამს, ფოთლებს რო აქა-იქა შჭაამს და პირაწყობით არა შჭაამს, ნეკრაობსო; რასა ნეკრაობო, ადამიანზეც იტყვიან, რო იკიკნება (ზ. ხანდ.). **ნეპრაობა:** უყურე ამის ნეკრაობასა და იხეთქე გული, არცა სძომს, არცა (კარალ.).

**ნეპურა** 1. იგივეა, რაც ნეკი. (მნიშვ. 2). ერთიანი მამულია და შაჭრილია ცალკე სამკუთხათა, ის ნეკურაა, ის ცალკე უნდა გამაინაღროს (საგურ.). ბოლომდინ რო არ ჩასდევს სწორეთა, გაშვერი-

ლი როა ნეკათა, ეგრე იციან, ნეკურაში გადადიო (კარალ.). 2. იგივეა, რაც ნეკი (მნიშვ. 3). ნეკურა გინდა ჭადიც ჩააკარი, მაგრამა უფრო პურზე იციან (კარალ.). ნეკურა პურებილია, აბა რა აურჩიო? (კარალ.).

**ნერცხ-ი:** იმის... **ნერცხა-**დაც არ ღირს, იმის... **ნერცხი** არ არის ბევრად ნაკლებია ვინმეზე, ვისიმე ფრჩხილდაც არ ღირს. რომელიც კი ძროხაა, იმაზე იტყვიან, იმის ნერცხათაც არ ღირს ე ძროხაიო, ვითომ ეს უხეირო ძროხააო (ოდ.). **შენა-მეთქი**, იმის ნერცხი არა ხარ, ი ბიჭისა და შენ იმაზე უნდა ილაპარაკო? (ქვეში); აგრეთვე საკორ.

**ნეხვის ურემი** იგივეა, რაც შატლინკა. ნეხვის ურემს დაბალი ჭალები ჰქონდა, ღართხები ან ლასტები ჰქონდა შემოკრული; ჯოხს გაუყრიდნენ ქვეშა, ამ ჯოხს გამააცლიდნენ და დაბოლავდებოდა (ძეგ.).

**ნიკორა ლობიო** ლობიოს ჯიში ერთგვარი. ნიკორა ლობიოს ნიშანი აქვს, სარის ლობიოა (ქორ.). ნიკორა ლობიო დასამტვრევათ, ნედლად მოსახარშათ კარგია, ამოზელილი არ ვარგა (ტყე.); აგრეთვე კარ., თამ., ძეგ.

**ნიორტაპ-ი** საწებელი ერთგვარი. ნიორტაკი—ნიორი და ნიგოზია დანაყული, წყვალს დაახამდნენ, ძმარიც უნდა, არ წამოადლებდნენ, ისევე იყო (ძეგ.).

ნიორტაკი გააკეთე, ცხელ პურზე გემრიელი იქნება (კავთ.).

**ნისკარტი**-ი ჭურჭლის (საღვინის, სარძევის...) ტუჩი. საღვინეა უხდება პირი ამოჭრილი, უკეთდება ნისკარტი, ტუჩი (მეჯვრ.). **ნისკარტიანი**: ტუჩიანი რომელიც არი, გაღმოსასხმელი რო აქ და ადვილათ გაღმოდის, ის არი ნისკარტიანი, გინდა ჩაფი, გინდა საღვინეი (წვ.).

**ნისკარტა** ვაშლის ჯიში ერთგვარი. ნისკარტა მწვანე ვაშლია, წვრილი კი არ არი, გვერდი წითელი აქს, დიდი გემრიელი როდია ის ვერანი, ზამთრი ვაშლია (კარალ.). ნისკარტა ცალკე გადავარჩიე და ბროცკი ცალკე (ტყვ.).

**ნიღრიან**-ი წვერიანი (ცული...). ნიღრიანი ცული არი ქართული ცული. მეორე, ბრტყელი პირი რო აქ, ის რუსული ცული არი (ქვ. ჭ.).

**ნიშა ლობიო** ლობიოს ჯიში ერთგვარი. ნიშა ლობიო მხვია-რადეროიანი ლობიოა, მარცვალნი ნახევარი თეთრი და ნახევარიც წითელი ფერისა აქვს (ბრ.).

**ნიშან**-ი პირველი ნაყოფი (ხეხილისა). ახალი ხე რო არი და პირველათ მოისხამს ნაყოფსა, ნიშანი იმასა ჰქვია (ჩუმათ.). ნამყენებმა წრეულ პირველი ნიშნები მოიბეს (თამ.); აგრეთვე ქვ. ჭ. **ნიშნის რიგზე** მიშა დასანიშნად მივა (ძღვნით). დასანიშნათ რო მივლენ და მიიტანენ ნამცხვარს და სხვა რამესა ძღვენსა,

ნიშნის რიგზე მივიღაო (ტყვ.). ნიშნის რიგზე მივიღა, მშობლებიც მიიყვანა (კარალ.); აგრეთვე არაად., ბრ., ხანდ. **ნიშანსა ნახაპს** პირველ ქსელს გააბამს (აბრეშუმის ჭია). ნიშანს რო ნახამს, სანიშნე ჭია რო გაჩნდება, ცოცხა ბლანს უწყობთ, შალგიც შეიძლება (ზ. ხანდ.). ჩვენ ჭიას უკვე ნიშანი უნახია (კავთ.).

**ნიჩბაპს**-ს ნიჩბით ანიაეებს (გალეწილ პურს). რო ვნიჩბამთ, ბოლოს ნაქმაზიანი პური დარჩება, მიწიანი (დის.). რო ვნიჩბამთ, ხვაეი ცალკე ცვივა და ბზე ცალკე (მეგ.). **უნიჩბაპს**: თუ არ უნიჩბამს, მაშინ მარცვალს გასდევს კილი (დის.). **ნიჩბაპა**: ფიწლის შემდეგ უნდა ნიჩბა (დის.); აგრეთვე კულბ.

**ნობათი**-ი 1. ახლად შემოსული ხილი, ბოსტნეული. ახლათ რო შამუა. ხილი, კიტრი იქნება, ან თუ ლობიო, ან თუ სხვა რამა, პირველათ დაკრეფილსა აქვიან ნობათი (წილკ.). ჯერ ნობათი არც კი დამეკრიფა, რო ჩამამირეკა აქ ტალიკ-ტალიკი ხალხი, იტყვი, კარქა გამართული კიტრი ააქო (წილკ.). 2. პატარა კალათი, ყუთი. ერთი ნობათი ბალი იყო, ერთიც — თუთა (ბიწმ.).

**ნოლა მსხალი** მსხლის ჯიში ერთგვარი. ნოლა მსხალი მსხლის ჯიშია, წითელია, მრგვალი (ქემ.).

**ნოზლ**-ი ბრელო. ლობიო უნდა გავანიაოთ, რომა მარცვალნი

გამოვარჩიოთ. მარცვალი სუფთათ დაიყრება დედაპინაზედა და დანარჩენსა ნიავი გაიტანს განზედა, ის არი ნუგლი. ნუგლსა მოვევით, შევეგროვებთ და შევინახამთ საზამთროთა, საქონელ შევაჭმევთ ზამთარშია (ლამ.).

**ნუზლი**-ი ძღვენი. ქორწილში რო ძღვენს გაუგზავნი, გინდა სხვაგანა, ნუზლი ეგ არი (ტყვ.). დიდი ნუზლით მოვიდნენ, რაც კი საჭირო იყო, ყველაფერი მოიტანეს (კარალ.).

**ნულლი**-ი ატმის ჩირი ნიგვზიანი. რომელიც კაი საპობი ატამი არი, კაი წიფეი, გახლეჩამენ შუაზედა, შიგ კაი დარჩეულ ნიგოზ

ჩაუდებენ და გაახმობენ მზეზედა, ნულლს ეძახიან მაგასა (ერთაწმ.). **ნულლის ჩირი** იგივეა, რაც ნულლი. მთელი ასხმა ნულლის ჩირი ნეტა რამ გაათაყებინა? (ძეგ.).

**ნუშის გული** რომბის მოყვანილობის (ნაქარგი, ნაქსოვი...). მე კაბა მქონდა ქიშხირისა, ნუშის გული ეხატა ზედა (არად.). დაშჭრი ცომსა ნუშის გულათა, რძეში თუ მოხარშამ, აღარაფერი უნდა (ძეგ.).

**ნუჯღა** ნოლა (ცხვირი). თავთ ნუჯღა ცხვირი ჰქონდა და რაღა ცხვირი გატეხვა უნდოდა ემასა? (ერედ.).

## ო

**ობოლი ნიორი** უკბილო, მრგვალთავიანი ნიორი. ობოლ ნიორს რვეალი თავი აქ, კბილი არა აქ, ერთიანი არის ხახვივითა (ძეგ.). ანაგულს არა რგამენ ხომე; ასეთი ნიორი კარგი კი გაიზრდება, მაგრამ კბილევს არ გაიკეთეფს, ობოლი ნიორი ამოდის (კავთ.).

**ობი**-ი დიდი ცეცხლი (თიხის ჭურჭლის, კრამიტის გამოსაწევა). ქურა რო იწვის და თავდება, ბოლოს ოგი უნდა მივცეთ; წვრილად დახეთქილი შეშა უნდა ერთი ოთხი შაკეთება, რო აღმა აწმინდოს (ზ. ხანდ.). ერთი სამჯერ

შეუკეთებთ ოგსა, იმ კრამიტ გამოიღებთ (მეჯვრ.).

**ობურა**-ი ჯიში, შთამომავლობა. მაგათ ისეთი ოგური აქთ, რო ას წელიწადს იცოცხლებს (კარალ.). თქვენი ოგური კი გაწყდა! (კარალ.).

**ოდე-ოდე ლაპარაკი** უთავბოლო, გაუგებარი ლაპარაკი. ეგრე იცის მაგის დედამა ვველთენი, ოდე-ოდე ლაპარაკი (კარალ.).

**ოდრიბალა, ოდრიბელა** ძალიან დიდი. ერთი ოდრიბელა არიო, აღამიანზეა ეგა, უბედურათ ატონტყილი რო არი, ქალი იყვეს, კაცი იყვეს, სუ ერთია (ქვ. ჭ.).

მომეტებული ოდრიგალა ოთახე-  
ბიც არ ვარგა (ქვეში); აგრეთვე  
კარალ., ტყვ., ხაშ.

**ოთლოთოთლო** დონდლო,  
დუნე, მოშეებული (ადამიანი).  
ბოშე ადამიანი რო იქნება, ოთ-  
ლოთოთლოს ვეძახით (ძეგ.). ოთ-  
ლოთოთლო ხარ, არაფრის შნო  
არა გაქვს (ტყვ.).

**ოთოთთავბ-ი, ოთუთთავბ-ი**  
მცირეწლოვანი შვილები, წერილ-  
შვილი. პატარა ბავშვები რო  
აყავ ადამიანსა, ქულფათები,  
კუტმატები, ოთოთქებიც ის არი  
(ქვ. ჭ.). ოთუთქები დამრჩნენ,  
ქმარი რო მომიკვდა (კარ.); აგ-  
რეთვე არად., ტყვ.

**ოთურ-ი** ცხვრის ავადმყო-  
ფობა ერთგვარი; იცის მატყლის  
ცვენა. ოთური გაუნდა და გაი-  
რუხა ცხვარი (ძეგ.).

**ოთსო** ოთხი კოჭით თამაში  
ერთგვარი. ოთხო — კოჭებით თამა-  
შია. ოთხი კოჭი არი, ან სუ სა-  
თაფეები უნდა დასხდნენ, ან ჭუქე-  
ბი (ზ. ხანდ.). ბერჯელა ოთხო  
გვითამაშნია, ოთხ კოჭს ააგდებ  
და ოთხივე დაჯდება (ზ. ხანდ.).

**ოლე** მწარე პანტა, ბერყენა.  
ოლე უჯიმო პანტა არი, წერი-  
ლი, ამოდის კურკაზედა, არა  
მწიფდება (არად.).

**ომარხნობის დროინდე-**  
**ლი** ძველისძველი. მიიტანა და  
ომარხნობის დროინდელი კუნძე-  
ბი და ძეძვები ჩაყარა გასასვლელ-  
ში (კარალ.). ომარხნობის დრო-

ინდელი ტანისამოსი კამოაჩინა  
(კარალ.).

**ონაპარ-ი** აღიდებული (წყა-  
ლი). იმისთანა ონაგარი მოდის  
ხოლმე ხეკორძულა! (ძეგ.). ყვე-  
ლაზე საშიში არის ტივის ტარე-  
ბა ონაგარზე დიდ წყლობასა (ზ.  
ხანდ.); აგრეთვე ჩუმაო.

**ონჩიპარ-ი, ონჩიორ-ი** ოხ-  
შივარი. წამაილე, დედაკაცო, ონ-  
ჩიორი აადის, ვერა მხედამ, გათ-  
ბებოდა! (წილკ.). ისეთია შენი  
ლული, რომა სუ ფუხფუხებს, ონ-  
ჩივარი აადის (ლამ.); აგრეთვე  
ძებ.

**ონჩსარა** ხრიალა. კაკალს  
აონჩხლიან, სადგისით გახერება-  
მენ და ძაფზე აასხამენ. თხილი-  
სასაც აკეთებენ ხრიალასა, შეა-  
ბამენ ბავშვსა. ონჩსარაც ეგ არი,  
ხრიალაცა (ერედ.).

**ონჯარ-ი** ნიაღვრის წამოღე-  
ბული ჩალაბულა, ხის ტოტები  
და სხვ. ნიაღვარი რო გამჟარდება,  
წამაიყოლემს თანა ჩალაბულასა,  
რამესა და ი წამოღებულ ჩეჩქსა  
მიადეფს, ხე იქნება თუ ფიცარ-  
ზედა, იმავე ვეტვეით ონჯარსა  
(წილკ.). კაკლუაა სახლთან მოე-  
გრუებიანა ონჯარი და სუ ორლო-  
ბეზე გადადიოდა წყალი (წილკ.).

**ორახმორახს-ი, ოროსმორ-**  
**ოროს-ი** დიდი ხმაური, ჩხარი-  
ჩხური; აურზაური. მანდ რა  
ოროსმოროსი აუყენეთ ჭურჭელსა,  
არაფერი დაამტვრიოთ! (ტყვ.). რა  
არის, არც მეზობლობა იცი და  
არც ნათესაობა, ორახმორახით

მოდისარ (დ. თონ.); აგრეთვე კარალ.

**ორბასაწევიანი რანდა** იგივეა, რაც ორხელა რანდა. ორგასაწევიან რანდას ორი კაცი უნდა, ერთი აქეთ და მეორე იქით (ტყე.). ორგასაწევიანი რანდა ვერ ვიშოვებთ და სუ მარტო მე გავრანდე (ტყე.).

**ორდათვი**-ი ურმის სქელი ხელნა, რომელსაც სიმტკიცისათვის ლეკვას (ხის სხვა ნაჭრის) დაკვრა აღარ სჭირდება. ხეს რო გათლი, თუ ორდათვი არ გამოუვა, ლეკვი უნდა დააკრა ზედა (მჭად.).

**ორქნა** ორპირი (აღამიანი). რო დადის და შენთან შენია, ჩემთან ჩემია, სხვადასხვას ამოფს, ორენა ის არი (ერედ.).

**ორთადონა, ორთოდენა**, ძალიან დიდი, ორის ზომისა (ჩვეულებრივ, აღამიანი). ორი აღამიანის ტოლი რო იქნება, დიდი, უზომო აღამიანი, საქონელზედაც არი ევა, რომელიც მიენ დიდი ტანისა არი, ორთადონა არიო, იტყვიან (იგ.). ისე გასუქებულა, ისე გაკეთებულა, ორთოდენა დადის (ბიწმ.); აგრეთვე ლამ.

**ორკალთა კევერი** იგივეა, რაც ორკევერა. ორკალთაც არი კევერი და ცალკალთაცა (ძეგ.).

**ორკევერა** ორფიცრიანი, ორნაჭრიანი კევერი. ცალკევერა იყო ერთიანი, ორკევერა — ორნაწილიანი. ორკევერა აჯობდა, უფრო კარქი იყო შეხედულობითაც და მალეც იღეწებოდა (მჭად.). ორ-

კევერა უფრო ფართო იყო, განგანზე დადიოდა (ძეგ.).

**ორკუჭა** უძლები, ღორმუცე-ლა. ნამდვილი ორკუჭაა ეს ბიჭი, ოღონცა შჭამოს და მეტი აღარაფერი ახსომს (კავთ.).

**ორმიღგმული კიბე** იგივეა, რაც ორნოფეხა კიბე. ორი კიბე იყო ერთად შეერთებული, ორმიღგმული კიბეცა ჰქვიან და ტანტრაცა (ატ.).

**ორნაყოლი**-ი საქონელი, რომელმაც ორჯერ მოიგო. ორნაყოლიაო, საქონელზე იტყვიან ხომე, როცა ორჯელ არი მოგებული (წილკ.). ორნაყოლია, ხეთიშობლი მადლმა, თორე რა მაქ მოსატყუარი, ამაა თავი მუშტარი არ ღე-ელევა (წილკ.); აგრეთვე ძეგ.

**ორტყუპა, ორტყუჭა** 1. ტყუპი (ნაყოფი). ხილი არი ორტყუპაი, რო ასხია ზომე ერთათ შეტყუპული (არად.). კაკალიც არი ორტყუჭა, თხილიცა, სამიანიც არი, ოთხიანიცა ერთად (საგურ.). 2. ძირიდანვე ორტოტად ამოსული ხე. ორტყუპა ხე არის, ორყევერსაც ევაძხით (ძეგ.).

**ორყრად** ორ რიგად. ყდაზე ზედ იყო შემოხვეული ძაფი ორყრათა (ზ. ხანდ.).

**ორშაბათიქალ**-ი კვირა საღამო. კვირა რო დაღამდება, ორშაბათი რო უნდა გათენდეს, ის არი ორშაფათიძალი (ძეგ.). ორშაფათძალი კვირაძალზე მეტია (ლამ.); აგრეთვე ტყე.



**ორნოჟესა კიბე** დასადგმელი, ოთხფეხიანი კიბე, ტანტრა. ორნოფესა კიბე არის ვაშლების საკრეფი კიბეი; ორი კიბე არი ერთიმეორეზე მიკრული და გასწევენ და დადგება (არად).

**ორჭობორჭო, ორჭო-პორჭო** 1. საჭოჭმანო, საორჭოფო. მიშას საქმეც ორჭობორჭოთ არი ახლა, ან მიიღებენ, ან — არა (ტყვ.); აგრეთვე მერ. 2. უწესრიგო, არეულ-დარეული. ე ბალიშები რო ორჭობორჭოთაა დაყრილი, ველარ გაასწორეფ? (ტყვ.). ორჭობორჭოდ ლაპარაკობს (ქემ.).

**ორხელა რანდა** ორი კაცის სამუშაო რანდა. ორხელა რანდას გაყრილი აქ ჯოხები და ორი კაცი ეწევა, ორმა კაცმა უნდა გაიტანოს (ძეგ.). ორხელა რანდა გვაქ ჩვენა (ძეგ.).

**ორჯამიან**-ი დიდი ჯამი. ორჯამიან ვეტყვით დიდ თიხი ჯამსა. სუ ჯამისნაირია, ზოლოთ ჯამზე დიდია, ეგე ორი ჯამი ტელა ჩავა შიგა (წილკ.). მუშა კაცმა ორჯამიანში უნდა ჭამოს საჭმელი (ზერ.); აგრეთვე დ. თონ., მეჯვრ., საშაბ.

**ოსარო** ფიხით ჩაღობილი ტოტი წყლისა, თევზის დასაჭვრად. ჩაფიხნული რო არი წყალში, ის არი ოსარო, იქ იჭერენ თევზსა ბადითა (არად.). ოსაროს ბადე ოსაროზე თევზის საჭერი ბადე ერთგვარი. ოსაროს ბადე არის ოთხკუთხედათა, ძირსა აქ დაშვებული ჩუშპეი, წყლის პირზე ჩად-

გაშენ იმ ბადესა, სხედან ოსაროზე და უცდიან; გამოყვება ჩაფიხნულსა თევზი, წამოვა და შიგ ოსაროს ბადეში მოექცევა (არად).

**ოტლოტოტლო** დიდი, ტლანქი აგებულებისა. მაღალი კაცია, ოტლოტოტლოი (კარად.). ოტროველაც ეგ არი, რაც ოტლოტოტლოი (კარად.).

**ოვლ**-ი ორთქლი, ცვარი, ცივ საგანზე გაჩენილი, გათბობისას. რო შუუკეთებ ნელ შეშასა, ოფლი მოსდის და იელმურტლება (ძეგ.). საკირე პირველათ რო ნელა ანთია, გეგონება, ვედრებით მოდისო წყალი, ისე მოსდის ქვასა ოფლი (მეჯვრ.).

**ოქლაქ**-ი დიდი, მოუხეშავი. მაგხელა ოქლაქი ტანი რითვინ მოგცა ღმერთმა, რო ნამწევი ჭკუა არა გაქვს? (ტყვ.). ამხელა ოქლაქი კამეჩია და დამაგრება არ უნდა, როცა გაიწევეს? (კარ.).

**ოქრობაქედა** ბალახი ერთგვარი. ოქრობეჭედა პატარა, მიწაზე გაშლილი ბალახია, პატარა ყვითელი ოქროსფერი ყვავილი აქ; მხალში ეხმარობთ (ხც.).

**ოქროვაშლა** პომიდორი. პამიდორი წინათ არ იცოდნენ, რა იყო, ქალები იტყოდნენ ზოლმე, ოქროვაშლა გამიფუჭდაო, ძიენ რო დამწიფდებოდა. მარტო მწვანეთ ხმარობდნენ, მწნილად დებდნენ (თამ.).

**ოქროპირა** ბალახი ერთგვარი. ოქროპირას მაგარი ღერო აქ და საშუალო სიმაღლეი; ყავის-

ფერი გვირგვინებით აქვს ღე-  
როზედა, ი გვირგვინების ქვეშ —  
ორ-ორი ფოთოლი აქეთ-იქითა;  
პიტნას უგავს ფოთოლი, სუნი-  
თაც მიმგვანო არი პიტნისა. პატა-  
რა იისფერი, სოსანისფერი ყვა-  
ვილები აქვს (ხც.).

**ოქროს საციქველა 1.** მუნ-  
წი, უმეზობლო. რო ვიცი, ოლა რა  
ოქროს საციქველაა, არაფრი სა-  
თხოვრათ არ შეეღვივარ (მერ.).  
რაკი გადამყრელი არა ვარ და  
ჩემ ავეჯ უფრთხილდები, მეზობ-  
ლები ოქროს საციქველას მიძა-  
ხიან (მერ.); აგრეთვე არად., კარ.,  
ტყვ., ძეგ. 2. უკარება, უკადრისა.  
ნეტა რა ოქროს საციქველა გახ-  
ლი, გეუბნევიან — წადი! (კავთ.).

**ოღოჭუტ-**ი პატარა, დაგვა-  
ჯული, მახინჯი. ოღოჭუტი ვაშ-  
ლები რო ჩაგიყრია, ვისთვის უნ-  
და გეჭმია? (გარ.). შენ ოღოჭუტ  
ცოლს მოუარე, თუ შნო გააქს!  
(კარალ.).

**ოშმას-**ი იგივეა, რაც შხუ-  
ი ლა. ბავშვები რო მწყერაობენ  
ხოლმე, არ გიყურებია? ოშმასს  
ესერიან. გაკეთებული არი რგვა-  
ლი მართულისაი, ჩამობშული აქ  
გრძელი მართულები, რო ესერი

მწყერსა, შიგ მოემწყერევა (ზ.  
ხანდ.).

**ოციან-**ი მარცვლეულის საწ-  
ყო რეა კილოს (ოცი გირვანქის)  
ტვეადობისა. როდისხანია ერთი  
ოციანი სიმინდი ამართეფთ ისა-  
მიანთა და აღარ აღირსეს მოტანა  
(წილკ.). ორი ოციანი აქონიათ  
თურმე მელიტონანთა, დიდით  
თავიანთ ვაღეფსა აკრეფენ, პა-  
ტარა ოციანით კიდენ თითონ აძ-  
ლევენ სხეფსა (წილკ.).

**ოჯახმალა** შეძლებული, მდი-  
დარი. კაი ოჯახმალა სიმაჰრი  
აყავ მაგასა, არაფერ გაუჭირეფს  
(წილკ.). ოჯახმალა კაცი მჭად-  
პურაჲ თავი დღეში არ შაჲჭამს  
(წილკ.).

**ოჯახმწუნ-**ი უცოლოდ და-  
ბერებული კაცი. უცოლოთ დაბე-  
რებულ კაცზე იტყვიან ოჯახმწუ-  
ნიაო (კავთ.).

**ოკო მოუვა** გაბეზრდება; გა-  
დაელრძობა. რო დაბშულია საქო-  
ნელი ერთ ადგილზედა და მეტი  
ოპო მოუვა, იღლება მეტი დაბში-  
თა, ბლავის (ლამ.). ოკოზე ბა-  
დაიყვანს გააბეზრებს, გააჯე-  
რებს. მეტისმეტ ოპოზე რო გა-  
დამიყვან, მეც ველარ მოგითმენ  
(ზერ.).

3

**პამპრუქაობ-**ს ფახიფუ-  
ხობს, ბაქიობს. საქმეს ებრძვის  
და ვერც აკეთებს, ვერც ეშვება,  
ტყუილად პამპრუქობს (ძეგ.).

**პამპრუქაობა:** არაფერი გა-  
მოვიდა იმის პამპრუქაობიდანა  
(ძეგ.).

**პანეზ-**ი ფრინველის გვერდე-

ბის ქონი, ნაფერდალი. ისეთი მსუქანი დედალი იყო, ხელის სისქე პანები ჰქონდა (ძეგ.); აგრეთვე ბრ., რუისი, ხაშ.

**პანკპლ**-ი ძველმანი, ძონძი, კონკი. პანკვლები ჰქონდა, არაფერი არა ეცვა რა (ძეგ.). **პანკპლნიანი** 1. ჩამოძონძილი, დაკონკილი. მოვიდა პანკვლიანი, ჩამოხეული (ძეგ.). 2. ბალნიანი, წვერგაუპარსავე. ბეწვიანი ადამიანი რომ არი, თმიანი, იმას ეტყვიან პანკვლიანსა; რუისში ბამშვი დაიბადა პანკვლიანი (არად.). ადამიანიც თუ წვერგაუპარსავეა, იმაზეც ვიტყვით, პანკვლიანიო (ზ. ხანდ.); აგრეთვე ვარ., კარალ.

**პანჩო** დანაობის თამაშში — მიწაში ჩარჭობილი პატარა ჯონი, კბილებით უნდა ამოიღოს წაგებულმა. ხეს გამოთლიან პატარას, ხუთი-ექვსი სანტიმეტრის სიგრძისას, დანის ტარით ჩარჭობენ მიწაში, კბილით უნდა ამოიღოს ი პანჩოი, ვინც წაგებული იქნება თამაშში (ატ.). ყველაზე წინ ვინც გაიმარჯვებს, იმან უნდა ამაღლებინოს ყველასა მიწიდანა პანჩოი (ატ.).

**პანჭყალ**-ი ჯაჯგური, ნჯღრევა. შენი პანჭყალის თავი აქ მაგოგოსა, ძლივ ადგა ლოგინიდანა?! (ტყვ.).

**პანჭყალაობ**-ს ჭყუმპალაობს. როგორ მიყვარს, ბავშვი რო წყალში პანჭყალაობს (ძეგ.).

**პაპანილა** პაპის მსგავსი. პაპილა არი ნამდვილი, პაპასავით

პეირია, ფეტვი რო ეჭიროს, მარცვალი არ გეეპარება (ობ.).

**პაპას ჩიტი** გამორჩევით საყვარელი. შენ რა პაპაა ჩიტი ხარ, რო შენ კარქი გიყილო და მაგაა ფინთი, თუ გიყილით, ერთნაირეფსა (წილკ.). ეგ რა პაპას ჩიტია და წითელი კოჭი, მაგას თუ მიეცი შექარი, მე რა დავაშავეი! (ბროწლ.).

**პაპასსილა**-ი ქლიავის ჯიში ერთგვარი. პაპასხილი თეთრია და მრგვალი (ძეგ.).

**პაპა**-ი, **პაპა** თხელი თოვლი. პატარა თოვლი რო მოვა, რო დაფერფლავს, პაპაა მოვიდაო (ზ. ხანდ.). პაპყი დაღო (ძეგ.).

**პარმს**-ი ძლიერ მოხუცი, სიბერით დაჩანჩანაკებული (იტყვიან ავლებით). კაცი რო დაბერდება ძალიანა, აღარც მუშაობა შეუძლია, აღარცა, პარმსი ბებერიაო, ვიტყვით (არად.). ერთი პარმსი დიდელა მყამლა, ყურთ არაფერი ესმოლა (მერ.); აგრეთვე ბროწლ., ტყვ.

**პარჭიკის ჩოხას ჩაიცვამს** იგივეა, რაც გადაპარჭიკი ედება. პარჭიკის ჩოხას ჩაიცვამლა ამდენი ხანი, ბანდაჟი რო არა შეელოდეს (კარალ.).

**პასტაქვერა** გესლიანი, მწარე (სიტყვა). დაჯდებოლა ემი დედამთილი ტახტზე, მოიკეცაველა და იქიდან ისროლა პასტაქვერეფსა (მერ.). ისეთ პასტაქვერას გესერის, რო სუ ჩავითუთქამს გულ-

მუცელსა! (მერ.); აგრეთვე ზ. ხანდ.

**პასტა-პასტა** დასტა-დასტა; ბერი; ნაირ-ნაირი. მიხვალ, თორემ პასტა-პასტათ დაგიწყობს ფულსა! (თამ.). ზიის ჩემი დედამთილი მაგრა და პასტა-პასტეებსა მთხოვს, ეს მაშიტანე, ის არ მაცვია, ამას არა ვჭამ, გეგონება, მიწყვია (ტყვ.). **პასტა-პასტა ლაპარაკობს**, **პასტა-პასტა-ეზს** ისმრის ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობს. **პასტა-პასტა ლაპარაკობს**, ვითომ ბერი რამე ჭკუა ჩამაიტანა ქალაქიდანა! (მეჯვრ.). **პასტა-პასტეებს** რო ისური, ახლა ჩემ გულში ჩამოიხედე! რო არაფერს არ გეუბნევი, შენ გონია, არა მწყინს? (კარ.); აგრეთვე არად., ერედ., ქემ., ძეგ.

**პატიმარ-ი** წმინდა, სუფთა, შეურეველი (ღვინო, ერობო...). ღიახვი პირას რო წყაროებია, ისეთი წყალი გამოდის, რომ პატიმარი (მერ.). ისეთი პატიმარი ღვინო მაქ, რო! განა ბევრ დაღეე! (არად.).

**პატრონმოლოკილი-ი** პატრონამოწყვეტილი. ი პატრონმოლოკილი ქოჩორაანთ კამეჩი მასულა ყანაშია და სუ მიუთლებნ-მოუთლებნია (წილკ.).

**პატრუშიანად** ძირიანად, ბუღიანად. თუ საბეწვეი პატრუქიანად არ ამაგდე, ძალიან გაარჯღდება (ზ. ხანდ.).

**კაქალა** ბიჭების მადევეარი, არშიყი (გოგო). პაქალა მაწანწა-

ლასა მქვიან, ბიჭები მოყვარულსა (წილკ.). ვინ მაიფიქრებდა, ქაა, რო ი პაქალა მაგდანა, დღელადამ რო გარეთ, ბიჭფუთანა მრჩებოდა თვალი, ეგეთი მეოჯახე დაღებოდა (წილკ.).

**კანტაპ-ს** ხეეს, წიწკნის. ჩემი გოჭინა მაშინვე კაბაა დამიჭერს და მპენტავს (გარიყ.). დაღეით, ბაეშეებო, ლოგინს ნუ პენტათე! (ძეგ.).

**კანტაობ-ენ** ერთმანეთს მუჯლუგუნს სცემენ, ძიძგილაობენ, ჭიდაობენ. ბაეშეები რო თამაშობენ და ერთიერთმანეთსა დაარტყამენ, გადაადღებენ აქეთ-იქითა, იმაზე იტყვიან, პენტაობენო (ქვ. ჭ.). ერთმანეთს რო სცემენ, ქოჩრავენ ჩხუბშია, იმაზე იტყვიან, ძიენა პენტაობენო (არად.).

**კაქალა 1.** იგივეა, რაც გვა-რი. ღორს რო დაკლამენ და ხორცში რო აქ ფეტვის მარცვლებივითა, იმას ვეტყვით, პეპელა აქ ღორსაო; არცა ჭამენ ი ხორცსა (წე.). პეპელა თუ გაუჩნდა ცხვარსა, ის ვეღარ გადარჩება (ზ. ხანდ.). **2.** ერთგვარი ლაქა (ხილზე). სველ ხილს რო შეინახამ, ან ნაადრევათ მოკრეფამ და დასცხება ხილსა, პეპელას დაარტყამს, აჭრულდება, შავი ხალები ექნება (კარალ.); აგრეთვე კარ., ტყვ.

**კერანგებულა, კერანგულა** პერანგის ამარა. ჯერ მე პერანგულა გამოვედი იქა და ყველა ხოვერ გამოვიდოდა? (ქვ. ჭ.). გიგ-

ლია პერანგულა მუშაობს ი ჭარ-  
ხალში (ბროწლ.); აგრეთვე კა-  
რალ., ტყვ.

**პილთუმი**-ი პირამდე სავსე  
(ჭურჭელი), გალიცილიცებული.  
პილთუმი იყო ვედრაი და ნახე,  
როგორღა არი! (კარალ.); აგრეთვე  
კავთ.

**პილწ**-ი სკორე (ძაღლისა...).  
ზნის წამალია ძაღლის პილწი;  
გამხმარი, როგორც კირი, ისეთია,  
(ხაშ.). ძაღლის პილწში თუ ფე-  
ხი ჩადგი, ორ დღეზე გაფარდება  
ძირი ფეხსაცმელსა (ტყვ.); აგრეთ-  
ვე კავთ., ტეზ.

**პინა 1.** საფლავის ქვაზე (თა-  
ვის მხარეს) ამოჭრილი პატარა  
ღრმული. საფლავის ქვაზე ვიცით  
პინები, ვითომ წყალი ჩადგეს ში-  
გაო, მოვა ფრინველი, დააღვეს,  
ძაღლი არისო; პინა ორი უნდა  
ჯერის გვერდებში (მეჯვრ.). 2.  
იგივეა, რაც პინეული. კვერე-  
ული ერთი პინა ყველი არი  
(ერედ.); აგრეთვე ქემ.

**პინეულ**-ი ერთი ამოყვანა  
ყველი. ახალ ყველ რო ამოაყე-  
ნებენ, რომელიც პატარაა, ბუმბუ-  
ლა ყველს ეტყვიან, რომელიც  
ცოტა მორდილია, იმას პინეულს  
უძახიან (ერედ.).

**პინიან**-ი პინის მოცულობის,  
ტევადობის ჭურჭელი. ეს არი პი-  
ნიანი ვედრა (საგურ.); აგრეთვე  
ახალს., ბიწმ.

**პირაპანულ**-ი ვინც საჭმელ-  
სასმელს არ ეკარება, უსმელ-უჭ-  
მელი. ნეტა რა აცხოვრეფს ამ

ბანშესა?! მთელი დღე ესე პირ-  
აკანულია (მერ.). რა პირაკანუ-  
ლი ზიხარ, შეჭამე რამე! (ქემ.);  
აგრეთვე კარალ., ტბა., ტეზ.

**პირაწყობით** ერთიანად, მი-  
ყოლებით. კამეჩი რო ჰფოთლამს,  
ფოთლებს რო აქა-იქა შჭამს და  
პირაწყობით არა შჭამს, ნეკრაობ-  
სო, იტყვიან (ზ. ხანდ.).

**პირბამბა** ვირისტერფა. პირ-  
ბამბაი ბალახია, დიდფოთლიანია,  
მარტო ფოთლები ამააქ, ქვედა  
გვერდზე ხაოები აქ (ქემ.). პირ-  
ბამბა წამალია, ხავერდივით არი  
თაეზე (ოძ.).

**პირბანელა** უცხვირპირო,  
უემური, უხასიათო. რო მიხვალ  
სამეზობლოთა და არ გემეზობლე-  
ბა, იტყვი, ამაზე პირბანელა არა-  
ვინ არიო (ატ.). დიდი პირბანელა  
აღამიანია (ბეგ.). **პირბანელა**  
პური გაულუარი, დაზეპილი პუ-  
რი. პური როცა კარგად არ არის  
დაზელილი, არც გაღუებულია,  
ულამაზოა, იტყვიან, პირბანელა  
პური გამოუტყვიანო (კავთ.).

**პირბოლოშ**-ი პირღნიოში, პი-  
რალია. პირბოლოში ის არი, სუ-  
ყველაფერს რო ლაპარაკობს, რაც  
ითქმის და არ ითქმის (არად.).  
პირბოლოში რო არ იყვე, ამავე კი  
არ მიუტანდი! (მერ.).

**პირბაჭრილი ნაზუქი** ნა-  
ზუქი, რომელსაც თხელი ნაპირი  
შეჭრილი აქვს (სილამაზისთვის).  
თხელი ნაპირისკენ გავჭრით ნა-  
ზუქსა და ისე დავაკრამთ; პირ-  
გაჭრილი ნაზუქები ვიცოდით, უფ-

რო ლამაზი იყო ზომე (არად.).  
წინაწვერს გაუჭრით და გადაუ-  
კეცამთ აქეთ-იქითა, პირგაჭრილ  
ნაზუქს ვეძახით (ერედ.).

**პირდაუბანელ-**ი იგივეა,  
რაც პირბანელა. ზოგი ისეთი  
უქმურია, რომა არც არავის დაე-  
ლაპარაკება, არც გაუცინეფს, არც  
უმეზობლეფს, ესეთი ადამიანი  
პირდაუბანელია (კავთ.). მე აზის-  
თანა პირდაუბანელი ადამიანის  
მნახველი არა ვარ! (კავთ.).

**პირდუღღუბა** პირმსუქანი.  
პირდუღღუბა ბიჭია, მაღალ-მაღა-  
ლი (ბიწმ.).

**პირველ ღამეს** ახლად და-  
ღამებულზე, შუაღამემდე. პირველ  
ღამეს მომერევა ძილი, დამეძი-  
ნება და მეგრე მღვიძავს მთელი  
ღამე! (ბიწმ.).

**პირთამდე სავსე** ფეხმძიმე  
ქალი (ბოლო თვეში). ე ჩემი  
რძალი პირთამდე სამსეა ესლა,  
ბოლო თვეშია და, რა ვქნა, ვერა-  
ფერს დავსაქმებ (ლამ.). თელი სა-  
ათია უწუმრი პირითა დგა პირ-  
თამდე სამსე ქალი და ერთი  
არ იტყვიდ, რო წყალი აუმსოო  
(წილკ.).

**პირთუნაწილო** უჭმელ-უს-  
მელი, უმადო. ეს ბავშვი ორი  
წლისა რო იყო, ძიენ ავათა მყვან-  
და, არც არასა მსვამდა, ეგეთი  
იყო, რო პირთუნაწილოი (ლამ.).

**პირი ანწყობა** ზედიზედ, მი-  
ყოლებით დააკლდება (მოკვდე-  
ბა...). ჩვენ ბატეფსა ერთი რო და-  
აკლდება ზომე, პირი ანწყობა და

სუ აკლდება (ატ.). არ გამაგონოთ  
ტირილი, ზო ხედავთ, პირი აგვეწ-  
ყო, მივიღივართ! (ბიწმ.).

**პირით მემობარი** ერთგუ-  
ლი, საიმედო მეგობარი. კარგი  
მეგობარი რომელიც არი, რო არ  
ულალატებს ადამიანსა, პირით  
მეგობარი ის არი (არად.). ჩვენ  
პირით მეგობრები ვიყავით, ტყუ-  
ილს როგორ მეტყოდა (ქორ.).

**პირის ნაყოფი** პირის ჭრი-  
ლი, ნაპობი. რასა მგავ, ქაა, გა-  
ფაშულ ხინკალ მუუგავს პირის  
ნაყოფი! (წილკ.). პირის ნაყოფი  
კი დიდი აქ, მაგრამა კბილები რო  
კარქი აქ, იმტველათ აღარ ეტყო-  
ბა (წილკ.); აგრეთვე ძეგ.

**პირის საფერისად** მოსა-  
ჩვენებლად, მოსატყუებლად. ისე  
შაინც გაუჯავრდი, პირის საფე-  
რისათა (ხაშ.).

**პირის შექცევა** პირის გა-  
ტეხა. იმ დროსა გუთნიდელას პა-  
ტივსა სცემდნენ, აღარ შეიძლებო-  
და პირის შექცევაი (მერ.).

**პირი ქვისკან მიქნია** ეუბ-  
ნებიან მოსაუბრეს ვისიმე დაწ-  
ყველის დროს. შენ ამოწვდიო,  
მკვდარი მკვდარზე გაიტანონ შენი  
სახლიდანაო, პირი ქვისკან მიქ-  
ნია, რათ უნდა ამოეწყდე, შეუჭა-  
მე რამე, დაულიე რამე? (ძეგ.).

**პირს აიკანავს** არაფერს შე-  
ჭამს, პირს არაფერს დააკარებს.  
ჩვენთან აიკანამ ზომე პირსა,  
თორე! (ქვეში). აიკანა პირი, არა-  
ფერი ჩაუშვა, ამითანა მოსვლას რა  
მაღლი მქონდა? (მერ.). პირი აი-

**ქ.**  
პანება: იქა რაღაც პირი აგვე-  
კანა (ქვეში). პირი აშვს აპანშ-  
ლი: ისე აქ პირი აკანული, რომა  
ორი დღეა, ლუკმა არ უნახია (კა-  
რალ.); აგრეთვე ქემ, ქვ. ჭ., ძეგ.

**პირს აიმაჟებს 1.** ლაპარაკს,  
ლაქლაქს, ჩხუბს მოჰყვება. ბევრს  
რო ლაპარაკობს მოსაბეზრებლა-  
თა, რო თანა წყრება, — პირი არ  
აიქაფაო? — გვიტყვია სომე (სად).  
აუქაფებია პირი და აღარა სცხუე-  
ნია! (ზერ.). 2. ბევრს შეჭამს. აი-  
ქაფე პირი, შეჭამე? (ზერ.).

**პირს აიღებს** შეუთანხმდე-  
ბა. ტყეში მიედვიარო და პირი  
აიღო, შენც წამოხვალ თუ არაო  
(ძეგ.). წინასწარ მაჭანკალი მო-  
ვილოდა, პირს აიღებდა (ძეგ.). პი-  
რის ამღები: ჩემ შვილს ცო-  
ლი მინდა მოვაყვანო, პირის ამ-  
ღები გავგზავნე საპატარძლოანთა  
(დ. თონ.); აგრეთვე ვარ.

**პირს ამოიკანამს** იგივეა,  
რაც პირს აიკრავს. ესლა  
ხო გაქ ფული, რათ ამოიკანამ ხო-  
მე პირსა, გადი და იყიდე რამე!  
(კარალ.).

**პირსასურაპ-ი** ჩვილი ბავ-  
შის თავსა და პირზე დასაფარე-  
ბელი (ქსოვილი), პირსაფარი. ე  
ბაღღ პირსახურავი გადმოხურე,  
თავი არ გაუცივდეა, თორე ცინგ-  
ლიანი გამუა (წილკ.); აგრეთვე იკ.

**პირს ბადაშქითებს** ქსო-  
ვით ნაპირს, კიდეს გაუკეთებს.  
ყდას წავაქცევთ, მერე გადაუჭრით,  
წყვილ-წყვილს გადაუჭრით და გა-  
დაუკეთეთ პირსა (ბაზ.).

**პირს ბაიკათებს** შეჭამს  
რაიმე მჟავეს (ტყბილს...) ცუდი  
გემოს გასაქრობად. ერთი მჟავე  
ვაშლი მაინცა მქონდეს, პირი გა-  
ვიკეთო (კავთ.). პირს ბაშქამ-  
თებს: ესლა რა მადლია შენთვინ  
ან წნილი, ან ტყლაპი, პირს გაგი-  
კეთებდა (ძეგ.). პირის ბაქათი-  
ბა: აღამიანი რო სიცხიანია, ან  
პირში უხეირო გემო აქვს, მაშინ  
იმას რამე საჭმელი უნდა, ან მჟა-  
ვე, ან რამე ხილი, რო ის ფინთი  
გემო გაეცალოს. პირის გაკეთება  
მაგასა ჰქვიან (კავთ.).

**პირს ბაიშაუნებს** მჟავეს  
შეჭამს. მჟავეს რო შესჭამ, პირს  
გაიშაუნებ (ძეგ.). მიირთვით, პი-  
რი გაიშაუნეთ! (თამ.).

**პირს დასწავს** არც კი  
მოეწონება (ამბობენ ირონიით).  
პირს დასწავს კი არა და, კიდევ  
შეეხეწება (ერედ.). ძალიან გაი-  
პრანჭოს, მაგისმა შუემა, პირს  
დასწავს! თუ ითხოვა, მადლო-  
ბელიც უნდა იყოს ეგა! (ბროწლ.).

**პირს იზამს (მუწუპი)**  
პირი გაეხსნება (მუწუკს). ერთი  
ორი დღის მერე პირს იზამს და  
გამოირწყვება (კავთ.).

**პირსისხლიან-ი** ახალი  
მგლოვიარე. ე პირსისხლიანი ღე-  
დაკაცი ვის მივადგე სათხოვნელა-  
თა, არა და მშვიერები ხუ არ ვიქ-  
ნებით, თუ არ დააფქვამ (წილკ.).  
ვენახში წასულიყო ი პირსისხლი-  
ანი ღედაკაცი და კალათით ბალი  
მოქქონდა (ძეგ.).

**პირს მიიღვას (წიხაქი-**

**ლი**) პირამდე გაივსება (ალა — ფქვილით). პირს რო მიიდგამს, წისქვილი გალესამს, ფქვილს შეიტანს შიგა (კაპრ.). ჩქარა, ტომარა მოიტა, ჩაყვაროთ, თორემ პირი მიუღვამ! (კავთ.); აგრეთვე ძეგ.

**პირს მოიდგამს** გადაუღებლივ იწვიმებს. მოიდგამს ესლა პირსა და ვის დროში ეღირსება გამოღარებაი (ტყვ.).

**პირს მოილოკავს** გადათქვამს, გადაფიცავს (ნათქვამს, ჩაღენილს). პირი მოილოკა, შენზე არ მითქვიო (კარალ.). ესლა პირი მოილოკეს, ვითომც აქ არაფერიო (კარალ.).

**პირს მოსტანს** პირზე დაადება, გაამტყუნებს. პირი მომტეხა, ქა, გინდა თუ არა, ეგეთიო (კავთ.). მე ვიძახი, ესე იყო, ეს მამაღვა, არა, ვერე არ იყო; მე არ ვიცი, როგორ იყო, რა პირი მამტეხე? (ძეგ.).

**პირს მოუკუპრავს** ბოლოს მოუღებს, დაამთავრებს რასმე. მორჩა, მოუკუპრე ჩვენ ნიორსა პირი, უნდა უთხრა ნიკოსა, იყიდოს (ატ.). ერთი საათის საქმეა, ხელაჩი მოუკუპრამ პირსა (ატ.).

**პირს უკითხავს** იგივეა, რაც პირს აიღებს. მაჭანკალმა პირი უკითხაო, იტყვიან. ამის შემდეგ შეიძლება მაჭანკალმა მიიყვანოს ვაჟი, რო ქალი დააბევოს (ქორ.).

**პირს უკუპრავს** გასაქანს არ

აძლევს, ხმას არ ალებინებს. ეს არჩილა ალაღვინეს ისევა და იმას კი პირს უკუპრამენ (ბროწლ.).

**პირს უშცემს** პირს უტეხს, უმტყუნებს. დავპირდი, მოვალმეთქი და უნდა მივიდე, მაშ პირსო არ უქცემ? (მერ.). ისინი შენ პირს არ გიქცევდნენ, შენი ბრალი რო არა ყოფილიყო (კარ.); აგრეთვე არად., ტყვ.

**პირუბანელა** ვინც ყველაფერს იკადრებს, ურცხვი. რომელიც ცული არი სუყველაფრითა, ურცხვი, ყველაფერს იკადრებს, ის არი პირუბანელა ადამიანი (არად.).

**პირუკულმა ეგება (დაეგება)** წესიერ პასუხს არ იძლევა (არ მისცემს), გაიბუტება. პირუკულმა დეეგო? (ძეგ.). რა პირუკულმა გეგება, რას იბუტები? (ხოვ.); აგრეთვე ატ.

**პირუპროზი** — პირფერი. პირფეროზი ის არი, რო პირში კარქათ გელაპარაკება და პირსუკანა გპრახავს (ატ.).

**პირყრალა** ყიამყრალი. ძალიან ცული კაცი იყო, პირყრალი (დის.); აგრეთვე ძეგ.

**პირყროლია** მელეღვია, კვირიონი. პირყროლია ძქვიან ფრინველსა, კაჭკაჭი ტოლაა, წალურჯო. ფერი დაკრამს, ნარეკვი პირებზე იციან ფრენა, ბუდეებ კლდეებში იკეთებენ (წილკ.). უუ, რამდენი პირყროლიები მოფრენილან, ჩვენ ფუტკრებს სუ ეგენი ჭამენ! (ბიწმ.).



**პირში ენა არა აქვს**  
ენას ვერ იბრუნებს, ლაპარაკს  
ვერ ახერხებს (იტყვიან უგონო  
მთერალზე ან ავადმყოფზე). პირ-  
ში ენა აღარა ექონდათ არც ერთ-  
სა, იმოდველა დეელიათ (წილკ.).  
კაცს პირში ენა აღარა აქ, ეს კი-  
დე ჩასციებია, მიცანი, ვინა ვარო?  
(ძეგ.).

**პირცეცხლიან-**ი 1. ავი, ან-  
ჩხლი, კაპასი. ვინც კაპასია ძა-  
ლიანა, იმაზე იტყვიან, პირცე-  
ცხლიანიაო (საკორ.). შე პირცე-  
ცხლიანო, შენა, შენ ვინ გაგიძ-  
ლებს? (ოდ.). 2. იგივეა, რაც პირ-  
სისხლიანი. რო მოუკვდება  
ვინმე, მწუხარება და, რაც არ ეკუ-  
თვნის, იტყვის, იმაზე ვიტყვიო  
ზომე, პირცეცხლიანი ადამიანიაო  
და რაებსა ლაპარაკობსო (ოდ.).  
3. წყველა. კაცო, შე პირცეცხ-  
ლიანო, უთხარი ე გოგოსა, რო  
გეკითხება! (ზ. ხანდ.). შე პირ-  
ცეცხლიანო, შენა, სად იყავი ამ-  
დენი ხანი, ბავშვი რამის სიცხით  
დაიწვას! (ტყვ.).

**პირწახეთქილი-**ი დაუფიქ-  
რებლად, მოურიდებლად მოლაპა-  
რაკე. მეტი ლაპარაკი რო იცის  
დედაკაცმა, წინ არ დაიხედამს,  
ვის როგორ ეკუთვნის სიტყვაი,  
პირწახეთქილი ის არი (ქვ. ჭ.).  
ჩემი გოგოს დედამთილი პირწა-  
ხეთქილი ქალია (იკ.).

**პირხმოდ** ზურგშექცევით.  
ზურგს რო შემოუბრუნეფს ვინმე-  
სა და ისე დაჯდება, იტყვიან, პირ-  
ხმოდ დაჯდაო (კავთ.). გიგუაა

დანახვა და იმი პირხმოდ დაჯლო-  
მა ერთი იყო ზომე, ისე ეჯავრე-  
ბოდა (კავთ.).

**პირჯვარს დაიწერს** გა-  
დაწყვეტს, მოიფიქრებს რასმე.  
თქვენც შეუჩანჩხარეთ, იქნება  
პირჯვარი დაიწეროს და გათხო-  
დეს (კარალ.).

**პირჯვარს ვერ (ძლივს...)**  
**დასწერს** ვერ დაითანხმებს,  
ძლივს დაითანხმებს. დილას აქე-  
თია ზედ გადაველიეთ მე თუ ი  
გოგო, წავიდეთო ქსოვრისსა და  
მაინც ვერ დაწერეთ პირჯვარი  
(წილკ.). აქედან ჩვენ შეუჩანჩხა-  
რეთ, იქიდან იმათა და ძლივ და-  
წერეთ პირჯვარი (ტყვ.).

**პოლტი-**ი პატარა მომრგვალო  
ბრტყელი ქვა სალაობის თამაშში;  
იყენებენ სამიზნედ ან სასროლად,—  
სალა. რო სალაობდნენ, დასვამდ-  
ნენ ქვასა — პოლტსა, გაპკარამდ-  
ნენ სალასა და პოლტი გავარდე-  
ბოდა (ძეგ.). დასვამენ ზომე ქვას,  
ან ჩხირს ჩაარჭობენ, პოლტს ეს-  
ვრიან და, ვისიც ახლო იქნება,  
უნდა აიკიდოს ის, ვისიც შორს  
იქნება ყველაზე (ატ.); აგრეთვე  
ზ. ხანდ., კავთ.

**პოლტაობს-**ს სალაობს. თელი  
დღე პოლტაობს ეს დასამიწებელი,  
ან რა ფეხსაცმელი უძლებს!  
(ტყვ.). **პოლტაობა:** პოლტაო-  
ბა მქვია, დავხაზავთ, ათ უჯრას  
გავაკეთეფთ, ხუთს — იქით, ხუთს—  
აქეთა, ხელში გვიჭირავ პრტყე-  
ლი ქვაი, პოლტი მქვიან იმასა,  
ვთამაშოფთ ასკინკილასა (ატ.).

**პორტუგალია**-ს მიმე შრომას ეწევა, ჭაანწყევტაშია. საწყალი ქალი რამდენს პორტუგალიას, ეწვალება და შეილება მაინც არ უფასებენ (ტყვ.). იმიტომა ვპორტუგალია, იმიტომ ვიღებ წლებზე ფეხსა, რო მეც რაღაცას მოვეწიო (კარ.); აგრეთვე კარალ.

**პრანწია** პატარა ჩიტი ერთგვარი. პრანწია პატარა ჩიტია, ოცდათორმეტ, ოცდათექვსმეტ კვერცხსა სდებს, სუ პაწაწკინტას (ყანწ.). პრანწია ყვითელგულა ჩიტია, ოღონდ წვნიკი ჩიტია ძალიანა, მკედარ ფუტკარს უფრო ეტანება (ატ.).

**პროწიალა** გასართობი ერთგვარი. პროწიალა წინათ იცოდნენ: დიდი ბოძია, ზედ ხიდა აქვს სასწორივითა (ხშირად ხიდასთვის ურმის უღელს აყენებდნენ). ხიდაზე თოკებია, დასხლება ორი ადამიანი და პროწიალობენ (ქორ.).

**პუკლუცი** ერთიც ვნახოთ! შევხედოთ, და! ბადის ბოლოს ჩაველი და, პუკლუცი, იქ არ დამხვდა?! (ქემ.). არ გესიამოვნება, ან სტუმარი გყავ, ანა და არა გაქ იმისი ჯავრი, ის მაინც მოვა და, პუკლუცი, ჩამოგიჯდება! (ქვ. ჭ.).

**პური თაფსა (თაფხა)** ღბას აცვენაზეა თონეში ჩაკრული პური. ნუ ახლი თავსა თონესა, პური თაფზე დგა (ლამ.). ზო გუებნებოდი, არ დასაფანლო-მეთქი, აი, ეხლა სუ თაფსა დგა პური (ხანდ.).

**პურის ტკბილობა, პურ-**

**ტკბილობა** პურის ნაკლებობა, შიმშილობა. ცოტა რო არი პური, იმას იტყვიან, პურტკბილობა არისო, ვითომ ნაკლებობა არისო (არად.). პურის ტკბილობა იყო და მე ქალაქიდან მოვიტანე თეთრი პური (ძეგ.).

**პურისცომს აზიარებს**

ხაშს გააკეთებს. პურისცომი უნდა აზიარო. უნდა მოზილო ცომი, ჩვილი იყოს, ამ ცომსა შუაგულს უკეთებ, გავარვარებული ნაკვერჩხლები (სამი ცალი) უნდა ჩააწყო ხახვის ფურცელში, გარშემო შემოუსხამ ძმარსა, მერე ამ ცომ შემოუკრეფამ, მისდებ ერთ კუთხეში, წაყრი ზეიდან ფქვილსა და დააფარებ, ისეთი გახდება, როგორც ქული. მაგას ვეტყვიო პურისცომის ზიარებას (ზ. ხანდ.).

**პურიწყალი**-ი პურის მოსაზელი წყალი. გაგონილა, ქა, პურიწყლის ქვაფში ტყემალი ჩაუყრიათ და სუ გაუზრებიათ! (კავთ.). კარგი პურწყალი იციხ, კარგ პურს აცხობს. ვინც კაი პურის გამოცხობა იციხ, იმაზე იტყვიან, კაი პურწყალი იცისო (ერედ.). **საპურიწყალი**: საპურიწყლე ქვაბი ყურიანია (ზ. ხანდ.); აგრეთვე ვარ., ძეგ.

**პუტპუტქელა** ნაოჭასხმული არშია ქსოვილისა კაბის მოსართავად. პუტპუტქელა გინდა კლავზე მოაკერე, გინდა ბოლოზე (ძეგ.).

**პუტა** 1. თხელი გარსი, აკვი (კვერცხისა, ხახვისა, ხორცისა...). აქვა საქონელსაცა აქ ფაშვზედა,

გამჭვირვალე თხელი კანი რო არი (ქემ.). წნილს რო ჩაედებთ, პწკას გაიკეთეფს ჯერა, მერე კეთ გადაიქცევა (არად.). 2. თხელი ანატეხი (ძვლისა, ჭურჭლისა...). პწკა აქს, პწკაიო და ამასობაში სელი გაუფუჭდა (ტყვ.). პწკას ანიღმებს მცირე ანახეთქი გაუნდება. გინდა ჯოხი იყვეს, გინდა ხე, ფიცარი, რამე, ყველაზე გვითქვია, პწკა აილოო. რო გაიბზარება და აიწვეს ნაწილი ხისა, იმაზე იტყვიან (ბროწლ.); აგრეთვე ქორ.

**აწკალი არ შეუღია** არაფერი დაზიანებია, არ გააფუჭებია. ის საათი ისე მუშაობს, რომა იმი მოშლა არ იქნება, პწკალი არ შეშლია აქამდინა (ლამ.).

**აწკილ-**ი ფრჩხილის წაზრდილი ნაწილი. მოხუცებმა იციან ხომე, აწკილები დამაჭერიო, ფრჩხილზე იტყვიან ხომე (საგურ.). პწკილები ვერ დაიჭერი? (საგურ.); აგრეთვე დად.

**აწკნა არა აქვს** სრულიად ახალია, უხმარია; კარგად არის შენახული (შდრ. უპწკნელი). პწკნა არა აქო, მაშინ ვიტყვიო, როცა დიდი ხნია ნასყიდია, ან თუ გაკეთებულა, მაგრამა ნახმარობა არ ეტყობა, არსად გაბზარულია და არსად გაფუჭებული, ისევე ისე ახალია, იტყვი, უხმარებელიაო (წილკ.). გაიხარო ამი გამკეთებელმა, რამტველი თევა, ვხმაროფ და ჯერ პწკნა არა აქ (წილკ.).

ჟ

**ჟამ-კვალს აურევს** გზაკვალს აურევს, საქმეს გაუფუჭებს. მაგან ამირია ჟამ-კვალი და ოჯახი, მაგი შამოსვლია დღე დაიწოა (წილკ.). ეხლა რო მიხვიდე, შენ ეხლაც აურევ ჟამ-კვალსა, შენ ისეთი ხარ! (საგურ.). **ჟამ-კვალნი აპრემა:** თუ ერთი ვერია კაც ჟამ-კვალი, მემრე ძნელიდაა ოჯახია ფეხზე დაყენება (წილკ.). ისე ეგერია ჟამ-კვალი, როგორც ლიზას ემართლებოდე! (საგურ.).

**ჟამს შეასრულებს** დიდხანს გაძლებს. გინდ ჭურჭელი

იყვეს, გინდ ადამიანი, დიდხანს რო გაძლებს, დიდხანს რო იცოცხლევს, ჟამი შეასრულაო (არად.). სანამთეები მქონდა ისეთი, რო ჟამს შეასრულებდნენ, ეხლა იმწამ ფუჭდება (თამ.); აგრეთვე ზ. ხანდ., ძეგ.

**ჟამურა** მუქი, უსიამოვნო ფერისა. წავიდა და ჟამურები მიყიდა ჩლუქები (ვარ.).

**ჟანგარა** 1. იგივეა, რაც ჟამურა. წავა და საცა ჟანგარა ჩითებია, იმას იყიდის (კარ.). ეს ჟანგარა კი არა, გამახარე კაბა უნდა გეცვას შენა, ახალგაზრდა

ქალი ხარ (ტყვ.); აგრეთვე ქემ.  
 2. დაავადება ერთგვარი (ყანისა).  
 ყანა რო გაფუჭდება გაზაფხულზე,  
 ყეთიელ ფერ მიიღებს, ჟანგარა გა-  
 უნდაო, იტყვიან ხოლმე (წინარ.).  
 შანბპარა ვაშლი ვაშლის ჯი-  
 ში ერთგვარი. უფერული ვაშლია  
 ჟანგივითა, იმიტომა კქვიან ჟან-  
 გარაი (კარ.). ჟანგარა ვაშლის ნა-  
 ქარი რაც იყო, გაჭირეთ (ტყვ.);  
 აგრეთვე ზ. ხანდ., მეღერ.

**შანბპარა** ჟანგისფერი. ჟანგუ-  
 რა—ჟანგისფერი წითელია, წარუ-  
 ხო ფერი აქვს (ოდ.). ძიბა, ძიბა!  
 ერთი ჟანგურა აკლია და ერთი  
 ჭროლა (რუისი). შანბპარა ვაშ-  
 ლი იგივეა, რაც ჟანგარა  
 ვაშლი (იხ. ჟანგარა). ეს ჟან-  
 გურა ვაშლია, ჟანგისფერივითაა  
 გარედანა კანი (ვარ.).

**შპერაპ-ს** 1. ძალიან სცემს,  
 ბეგავს. დაძხვედრიან ძალისეღე-  
 ბი და ეგე მაგრა უჭვერნიათ, რო  
 სუ სტიკია ძვალი და რბილი  
 (წილკ.). შპერაპა: რო სცემ ადა-  
 მთანსა მაგრა ჯოხითა, გინდა ხე-  
 ლითა, ყვერა ის არი (იგ.). რაც  
 იმას ყვერა აქ და შაინც არ ეს-  
 მის, ადამიანია? (არად.); აგრეთ-  
 ვე კარალ., ტყვ. 2. ძალიან აე-  
 სებს, ტენის (ჭურჭველს). როგორა  
 ყვერაეს ტომარას, გეგონება, წა-  
 დება არ უნდოდეს! (ტყვ.).

**შპლექაპ-ს** გაართყამს, გააწ-  
 ნავს. ისეთსა გჟვლებამ აი ამა-  
 სა თავში, რო! (ლამ.). ერთი კარ-  
 გისა ჟვლება (ძეგ.); აგრეთვე არად.

**შივქალუკა, შინქალუკა**  
 პატარა, წერილი რამ (ბევრი);  
 წერილფეხი; წერილშვილი. წერი-  
 ლი რაც არი, ბევრი, გინდა ბე-  
 შეები იყენენ ბევრნი, პატარები,  
 გინდა საქონელია, წერილფეხია,  
 ხილია, ყველაფერზე ითქმის შინ-  
 ქალუკა (არად.). აი, ჩვენა გყვავე  
 შივქალუკები, ექვისი მყავ ჩემ  
 რძალსა (ქვ. ჭ.); აგრეთვე მერ.,  
 ოძ., ტყვ., ძეგ.

**შლითი**-ი ღრეობა. ღორ რო  
 დაველამთ, ბიძაშენი მორეკამს  
 ხალსსა, ერთი პარტია მიდის,  
 მეორე მოდის, თელი სამი კვირა  
 აქ ხომე ჟლითი ჩაბმული (მერ.).

**შოლო** საფურცლე თუთის ყვა-  
 ვილი. თუთას ფურცელი რომ გა-  
 მააქ და გრძელები ასხია, ის არი  
 შოლო (ზ. ხანდ.). თითონ აბრე-  
 შუმის თუთაცა ჯერ შოლოს იკე-  
 თებს, მერე ფურცელი გამააქ (ზ.  
 ხანდ.).

**შრინტ-ი, შრინტა, შრუ-**  
**ნტ-ი** წვეთი, ცვარი. ერთი შრინ-  
 ტა წყალი რუ არ იღგეა და უწყ-  
 ლთ იხრჩობოდეა ვინმე, არ იტ-  
 ყვია, რომ ამოიტანო, იმითანა  
 მიწაა მოსაფარებელია (წილკ.).  
 შრინტი არ მოდის ჩვენ რუზე  
 (კარალ.). შრუნტი აღარა დგა,  
 თორე რა ოხრათ დავარჩენ მწარე  
 არაყსა! (ქიწნ.); აგრეთვე გარეჯ.,  
 ტყვ.

**შრუმალა** შავ-თეთრი ჭრე-  
 ლი, წინწყლებიანი, შრუნი. აი,  
 ასეთი შრუმალა დედალი მიყვარს  
 (ტეზ.).

**ჟღინთი**-ი იგივეა, რაც ჟ რ ი ნ-  
ტი. შიგ რო არა დგას რა, ცარი-  
ელი როა, ჟღინთი არა დგასო  
(ატ.). ერთი წვეთი, ჟღინთი არ  
არი წყალი ხელსაბანშია (ატ.).

**ჟღუი**-ს წვენი გასდის, შხი-  
ვის, შიშხინებს (ნედლი შუშა ცე-  
ცხლში). ჟღუის ეს ოხერი, არ  
ეკიდება (ზ. ხანდ.). ნერგი, ზო  
იცო, როგორა ჟღუის (ზ. ხანდ.).

რ

**რაგინდარად** უყურადღებოდ,  
სახელდახელოდ, უხეიროდ. რა-  
გინდარათ გარდილი რო იყვე, შე-  
იძლება და აზიზი გარდილი ხარ!  
(ძეგ.). რაგინდარათ აკეთეფს ყვე-  
ლაფერსა, უვარგისათა (ატ.).

**რაპართი**-ი, **რაპართა** რამდე-  
ნი, რა ბევრი. რაერთა ხალხი იყო,  
კაცო! (ძეგ.). რაერთი წამლები  
გამოუწერია, რამდენჯერ იყო იმ  
ექიმთანა? (ტყვ.); აგრეთვე კარ.

**რაპარაჟი**-ი უთაებოლო ლა-  
პარაკი, რატრატი. მაგი რაკარუკ  
რო ყური უგდო შენა, სად წავა!  
დადგე და ილაპარაკო (წილკ.).  
ვერა ზედება, რო მაგი რაკარუკ  
ყურ არაეინ უგდეფს, განა გაჩუმ-  
დება! (წილკ.).

**რა კილოს არის?** როგორ  
არის? ჯანზე როგორაა? დედა-  
შენი რა კილოს არი? (ოდ.).

**რასათი**-ი მორწყვის ჯერი.  
ემი რასათია დღესა (ბიწმ.).

**რა უდროსია?** რატომ არ  
არის დრო? სკოლაში რო მივდი-  
ვართ ხოლმე, ამხანაგები რომ  
მოვლენ ადრე, მე მითქვია — რა  
დროსია-მეთქი; შერე ისინი იტყ-  
ვიან, — რა უდროსიაო (ატ.).

— რაღა დროის წასვლაა ბაღში?  
— რა უდროსია!? (ახალშ.).

**რბილი ქაღლი** ვინც მონვე-  
ნებითი სიკეთით, შეპარვით გა-  
ანაწყენებს ვისმე. ავი და მოჩხუ-  
ბარი მირჩენია რბილ ეკალსა  
(კავთ.). საწყალ ტასუსა ისეთი  
რბილი ეკალი ჰყავ შინა დედამ-  
თილი, ნეტა იმი გაძლებასა!  
(კავთ.).

**რეზინი**-ი, **რეზინული**-ი ნაქ-  
სოვის სახე ერთგვარი. რო ქსოვ  
ჯემპრსა, სალტა ზო უნდა სხვანა-  
ირი გაუკეთო, რო მოუჭიროს, ან  
მაჯები, რეზინი ის არი (ტყვ.).  
სალტას და მაჯებს რეზინულათ  
მოგიქსომ და დანარჩენს თვალ-  
შეშლილს (კარ.).

**რეში**-ი დიდი წვიმა. დიდი წვი-  
მა რო არი, რეში მოვიდაო (ჩუ-  
მათ.).

**რიპი**-ი 1. ცხენის ფეხების შე-  
საბორკი ორკაპი ჯოხი. ცხენებ  
გაუკეთებენ ზომე ფეხებზე რიკსა,  
რომელიც ონავარი ცხენია და ნა-  
ხირში არა დგება ზომე, ვეღარ  
გაიქცევა (დის.). 2. კევრის წინ  
დატანებული ლატანი, იცავს კევრ-  
ზე მდგომს ხარის წიხლისაგან.

საწიხლე კი არა, რიკი ჰქვიან, უკან რო ეკეთა კვერთანა (ნოს.). რიკს ბაკპრავს იგივეა, რაც გაირიკაეებს. გაკრა როლანდინა რიკი და წავიდა თბილისში (კარალ.). გაკრა რიკი და წავიდა, სულ არ ედარდება წიგნები (ტყვ.); აგრეთვე ძეგ.

**რიკლი** 1. თხელი, არახშირი. ხილსა თხლად რო ასხია, ძაან რიკლედ ასხიაო, ვიტყვიო (ჩუმათ.). სადაც რიკლეა, იქიდან გაეყვები ხომე ავტობუსს (ჩუმათ.). 2. შუალედი ფიცრებს შუა, ხანი. დაწყობილი რო იქნება ფიცარი და სინათლე გადის, ასეთ რამეს ეძახიან რიკლეს (ჩუმათ.).

**რიკნი**-ს აცლის ფოთლებს, ყლორტებს... (მცენარეს). ლობიოსა ისე რიკნიან, რომა მარტო ღეროებიდა ღვა (ქემ.). ეს თხა არა რიკნის ეხლა ნამყენებსა? (კარ.); აგრეთვე ტყვ.

**რირი-რირი ბააქს**, **ბაუღის** ჭორაობს, კილავს. ქა, გაგონილა, ნეტა რა აქთ ემდენი ან სალაპარაკოი, ან საჩხუბარი, რო თელი ღღე რირი-რირი გააქეთ (მეჯვრ.). ვინ არ იცის, რირი-რირი გაუღის ქვეყანასა, მაგის ქალობაზე მაგის უბნელებსა ჰკითხეთ და გაიგებთ, რას იტყვიან (ტყვ.); აგრეთვე იგ.

**რირი-რირის უზამს** ქვეყანას მოსდებს (ვისიმე ამბავს). რაც მე შოთამ საქმე მიყო და ერთხელაც არ ამოსულა ჩემი პირიდან. ჩემ შვილებ რო ექნათ,

ქვეყანას მოსდებდა, რირი-რირის უზამდა (ტყვ.). ასლა მაგ ამბავს მართაი რირი-რირის უზამს, მოსდებს ქვეყანასა (ქ. ჭ.).

**რის მოვაბლასმ ვარ?** რისთვის ეწვალბ? რისთვის ვშრომობ? ნეტა რის მოვაგლახე ვარ? რო დავაბარინე, შეურეკიათ ცხვარი და სუ გაუზერგნიათ (კათ.). რის მოვაგლახე ვარ, ვიშრომი, ვიწვალე, მოვიდა სეტყვა და გამიოსრა ყველაფერი (ატ.).

**რიყუზე არ შპოვნი** უშრომლად, იოლად არ მოუპოვებია. რიყუზე კი არ მიპოვნია ჩემი ცოლ-შვილი, შენასვა უნდათ, ძმაო! (კარ.). **რიყუზე ნაპოვნი**: რიყუზე ნაპოვნი კი არ არის ჩემი ბავშვი, რო სცემთ! (ტყვ.). რიყუზე ნაპოვნი ფულები კი არ მიმიცია ამ პალტოში! (კარ.).

**რკინიკმტ**-ი ძალაყინი. აგერ, რკინიკმტიც აქვე დევს (ძეგ.); აგრეთვე ნოს., წინარ.

**როღის ერთხელ?** ნეტავ როღის? როღის ერთხელ გითხარი, მომეხმარე-მეთქი? (ძეგ.). როღის ერთხელა ყოფილხარ ჩვენსა? (კარ.); აგრეთვე ტყვ.

**როღისხანია** რახანია, დიდი ხანია. ეგენი როღისხანია ბანაობენ (ქემ.). როღისხანია მოვიდნენ ბავშვები (კარ.); აგრეთვე ტყვ., ძეგ., წილკ.

**როკი**-ი კოჭიჭი, კობი. კოჭიჭი, როკი — ერთია (ხოვ.). როკი და აჯდა ბავშვსა (ხოვ.).

**რუზღ**-ი ბედი, ილბალი. ბავ-

შვი რო იბადება, თავისი რუზლი მოსდევსო (დოესი).

**რუჟლ-ი, რუსს-ი** შიში, რი-დი, კრძალვა. პატარა რუჟლი თუ არ მიივცა მაგასა, ევე გაირყენება, რო ველარაჲ გააგონეჲ სულო-ბითა (წილკ.). მამის რუსხი აქეთ, იმიტომა სხედან ეგრე ჩუმათა (ძეგ.).

**რუსჰაკ-ი** საჩუქარი, ქორწილ-ში (ძეობაში...) მისართმევი. რო გათხოვდებოდა ქალი და დედ-მამას მორართმევდნენ საკაბესა, შალსა, თუ რაც არის, რუჟაკი მაართვაო (ძეგ.). ქორწილია თუ ძეობა, თუ ნათლობა, რუჟაკს მია-რთმევენ, ჩითი, ჭურჭელი, რაც იქნება (ძეგ.).

**რუსრუსებ-ს** ხმიანობს (მა-მალი ინდაური). მამალი ინდაური რუერუეებს, დედალი კიკიეებს (ძეგ.).

**რუსხ** სადურგლო იარაღი ერთგვარი, კაწარა (ქვ. ჭ.).

**რუსხია** ბღვერია. რუსხია თა-მარას თუ უთხარი, რას ამოფ, დაფრთხება მაშინათვე (ტყვ.). შე-ნისთანა რუსხია რო იყვეს, კაცი ხმას არ გასცემდა (კარ.).

**რძხ** ხის პატარა შვერილი რანდის წინა ნაწილზე ხელის მო-საკიდად. ამას ვეძახით რქასა, ხე-ლის მოსაჭიღია. რქა იმასა აქ, რომელსაც მეორე ხელი უნდა მი-აშველო (ზ. ხანდ.); აგრეთვე ბრ. კამეჩის რქაში ზის (იჯდა) ამ ქვეყნისა არაფერი გაეგება.

კამეჩის რქაში იჯდა? მეტი არ უნდა ესმოდეს? (ბიწმ.). არც ჩვენ ვმჯღარვართ კამეჩის რქაში, ცო-ტა რამ ჩვენც გვინახავს (ბიწმ.).

**რცხალ-ი** ორი წლის ნახევნი მიწა. რცხალი ქქვია, ერთ წე-ლიწადს რო მოიყვან მოსავალსა და მეორე წელიწადს არ დათესამ (ზ. ხანდ.). რცხალი მოვხანი (ზ. ხანდ.); აგრეთვე მერ.

**რძე არ დაბეძეოს!** დაცინ-ვით ეტყვიან აუჩქარებელ, ნელ ადამიანს. ნელა, რძე არ დაგეძეოს ემანდ! (მელერ.); აგრეთვე ტყვ., ქვეში.

**რძეკვერცხ-ი** თბილ რძეში ათქვეფილი დაშაქრული კვერ-ცხის გული. რძეკვერცხს ისე მო-კყავს ბავშვი წინა! (ძეგ.). შე სუ რძეკვერცხითა მყამ ბავშვები და-ზრდილი (ძეგ.).

**რწყევა** ის რაოდენობა რისა-მე, რაც ჩადის საწყაოში. იმერ-ლებს და ქსნისხეველებს მოაქვთ ხოლმე გასაყიდი ჭურჭელი: სუ-რები, ქოთნები, კოკები, ყიდიან სოლმე რწყევა სიმიდზე — ამ კოკაში თუ საღვინეში რამდენი სიმიდიც ჩაეტევა, იმდენზე (ქორ.). რწყევა რწყევაზე თანაბარი ოდენობით, ზომით. შეიძლება გი-თხრან — რწყევა-რწყევაზეო, ეს ის არი, რომა რანაირი ჭურჭლი-თაც სიმიდი მისცე, იმოდელა კაკალი მოქცეს, ან სხუა რამე (კავთ.).

**რწყილა** ბოსტნეულის პარა-ზიტი მწერი. რწყილა მარტო ბოს-

ტანში იცის. თუ გაუჩნდა ჩითი-  
ლუფსა, სუ გაატიალუფს. იმითა-  
ნაა, როგორც ლოგინის რწყილი  
(იგ.). ი ოხერა რწყილა გამჩენია  
კომბოატოსა და სუ დაუხერეტია  
ფოთლები (დოესი); აგრეთვე კარ.,  
ტყვ., ძეგ.

**რწყილებიდედა** იგივეა, რაც  
რწყილიყარია. შავი ბუზია,  
დიდი ძაანა, დიდი ხმით იციმ  
ბზუილი. რწყილებიდედა იმიტვინ  
ვეძახით, რო მითომ ისა მყრის  
რწყილუფსაო, ტყუილათ კი! ისა  
თავი დღეშიც ვერ დამყრის რწყი-  
ლუფსა (წილკ.). რამსიდიო რწყი-  
ლებიდედა შამოფრენილა, უნდა

მოკლა, თორე ეგა აკოშკად გაა-  
ტეხამს (წილკ.).

**რწყილიყარია** მწერი ერთ-  
გვარი. რწყილიყარია დიდი ბუ-  
ზია შავი, ბუზანკალსა ჰგავს, და-  
ფრინავს და ბზუის, სქელი კანი  
აქ (ძეგ.). რწყილიყარია იკბინება,  
თორე სხვა რა უჭირს! (ერედ);  
აგრეთვე ბრ., ზ. ხანდ., ტყვ., ოძ.,  
ხც.

**რჯულა:** ერთი რჯულა  
ერთი სახის, ერთი ჯიშის, ერთ-  
გვარი. ერთი რჯულა ბალახია,  
ზიზილა ბალახი (კულბ.). ერთი  
რჯულა ხარია, რაც უნდა ეცადო,  
ვერ გამოქნი (ტეზ.).

## ს

**საახალკურედ** მოსაველის  
(ყურძნის...) აღებამდე, — დროზე  
აღრე, წინდაწინ. საახალკურეთ  
იმაზე იტყვიან, ღვინოს რო და-  
წურამ დაწურის დრომდე, სიმიდს  
რომ მუატარუფ, აღრე რო აი-  
ღეფ (კარალ.). საახალკურეთ გა-  
მოვწურეთ ეგა (კარალ.).

**საახლოდ, საახლოზე** ახა-  
ლი მოსაველის აღების დროს. ერ-  
თი ჩანახი სიმიდნი მომეცი, ხე-  
ლი მოვინაცვლო და საახლოზე  
მოქცემ! (კავთ.). საახლოთ უნდა  
მივეცე ორი კოდი პური და ერთი  
ჩანახი ლობიო (კარალ.); აგრეთ-  
ვე ატ., კარ., ტყვ.

**საბაბიან**-ი მიზეზიანი. ქა-  
ლები საბაბიანები არიან (საღ.).

**საბაბობაზე** 'რისამე მიზე-  
ზით, საბაბით. ვანუას საბაბობაზე  
მოხდა ეგა სულა (მეჯვრ.). ჩემ  
საბაბობაზე კი ნურავის ნურაფე-  
რი ეტკინება (ძეგ.); აგრეთვე კა-  
რალ.

**საბერტყელა** 1. ხალა, სა-  
ბერტყი. კაკლის საბერტყელა დი-  
დი სარია, გინდა სხვა ხილისა,  
რაც დაიბერტყება (ატ.). 2. ნაჭე-  
რი, რაზედაც არხევენ, ბერტყავენ  
(თუთას, ფშატს...). საბერტყელას  
ეძახიან მაგასაცა, რაზედაც და-  
არხევენ (ატ.). თუ საბერტყელა გვაქ,  
იმაღ გაუშლით ქვეშა თუთასა და  
რო დამბერტყამს, მწიფე თუთი  
საბერტყელაზე დაცივია და აღარ  
გამიწიანდება (წილკ.).



**საბეწვე, საბეწურ-**ი თითის ჩირქოვანი ანთება ფრჩხილის ქვეშ, ღუდკო. თუ საბეწვეი პატრუქიანათ არ ამაგდე, ძალიან გარჯდება (ზ. ხანდ.). საბეწური თითზე დაეშართება ხომე ადამიანსა, ფრჩხილის ქვეშა დაუწყეფს ტკივილსა, მერე დაუჩირქდება (ზ. ხანდ.); აგრეთვე ტყე, ფლ.

**საბზევი-**, **საბზევი** კალოში შესაბმელი ცხენის ქირა (ბზით გადასახდელი). საბზევი კალოზე ნაქირავეები ცხენის ქირასა ჰქვია (წინარ.). საბზევიმ ქირით. კალო გვიბია საბზევეთ (ნოს.).

**საბნისბულ-**ი საბნის ზევითა პირზე გადასაკრავი ქსოვილი. ზევიდან რომელ პირსაც უკეთებენ საბანს, იმას საბნიგულს ეძახიან (კავთ.). სუ მოქარგული საბნიგულები გაუმზადებია ვარასა გოგოსთვინ საშვითოთა (რუისი); აგრეთვე ბრ., ზერ., ხც.

**საბოლდარო** იგივეა, რაც ბოლდარა, ბოლდარო (მნიშვნ. 2). სხვაგან ველარ მოიყარეს თავი, ჩემი სახლი რა საბოლდაროა? (კავთ.). საბოლდაროთ გაიხადეს ჩემი ვენახი, ალია და მუსია იქ დაეხეტება (ტყე.); აგრეთვე ქემ.

**საბუღარ-**ი მძევალი (კვერცხი). საბუღარს ქათამს ბუღეში უდებენ ხოლმე, რო კვერცხი ბუღეში დადოს (დ. თონ.).

**საბუზე** იგივეა, რაც ბუზა. საბუზე ვაზის ჯიშია, აქვს მომცრო, წვრილი, შავმარცვალა მტე-

ვანი; წვენი თეთრი აქვს, ადრე მწიფდება, ტკბილია (ძეგ.).

**საბაღ-**ი ბალახი ერთგვარი. ყვითელი ყვავილი აქ, ასხმული ყვავილი, საგალი ბალახი ძქვია, ხესავით ღერო აქ, მაგარი, საშუალო ზომისაა, გრძელი ფოთელი აქ (საგურ.).

**საბარდნობით** მიზეზით, გამო. ჩემი საგარდნობით კი ნურა მოხდება რა ესლა და მერმე თავშიაც დიდი ქვა უხლიათ (წილკ.). მაგი საგარდნობით ჩემი გვიია გზას იქიდან არი გადავარდნილი (წილკ.).

**საგდებელ-**ი ქამანდი. ბიჭმა საგდებელი ესროლა ირემსა (ქორ.).

**საგემურად** 1. გემოზე, ზომიერად. მარილი ი ზორცსა საგემურათ მივეცი და შევინახე (თამ.); აგრეთვე ბროწლ. 2. გემოს მისაცემად. საგემურათ მინდა ქინძი, ცოტაი, გემო რო მისცეს ლობიოსა (ბროწლ.).

**სადაგლიად** უპატრონოდ, უყურადღებოდ. სადაგლიათ იზრდება, ვინ ყავ მაგას პატრონი! (ზ. ხანდ.). სადაგლიათ გარდილია, მაგას სახლში როგორ შემოუშვებ! (ძეგ.). აგრეთვე ვარ.

**სადეპარ-**ი მდინარის დაწყებითი ტოტი. წყალი რო მოდის სათავედანა, მეორე მხარეზე გადმოდის რუი და იქით დაწყებულია, ეს არის წყლის სადეპარი (ატ.).

**სადმე** როდისმე. თამარასა უნდა დაუძახო სადმე ან დღესა, ან ხვალა და უნდა ვალაპარაკო (ერედ.). ჩამოდით სადმე ჩვენთანაცა, წყალში კი არ გვიდგია სახლი (ტყვ.); აგრეთვე ატ., ბიწმ., კარ., რუისი.

**სადრემკ-**ი სახსარი მუხლისა. სადაც იღუნება ფეხი, იმ ალაგს ეტყვიან სადრეკსა (კავთ.). ისეთი მოკლე კაბა აცვია, . სადრეკები უჩანს (ძეგ.).

**სადულდარ-**ი 1. ქოთანი. ძველი ხალხი სადულარს ეძახდა, ეს-ლა ქოთან ვეძახით (ატ.). ლობიო უნდა ჩამედგა თონეში და სადულარი ვილასაც წაულია (ძეგ.); აგრეთვე ბროწლ. 2. ქოთნის მოკლე ტუჩი. ყურიანი ქოთანი რომელიც არი, მაღალი, იმასა აქ ტუჩი გამოწეული, სარქველი რო ახურია და დულს ქოთანი, ი სადულარი შევლის, არ გადმოდის ქოთნიდანა (ბროწლ.). 3. სასულე (ქვევრისა). თუ დიდი ქვევრია, მაშინა, რო არ ამოხეთქოს ძალა-ძა, მივცემთ სადულარსა, სული ამოდის იქა (რუისი). ქვევრეფს დაუტოვებენ ზომე სადულარსა. წნელ დაგრეხამენ ზომე და დაატანენ სარქველშია. იმ დაგრეხილ წნელში ჰაერი რო ამოდის, ღვინო აღარ გადმოვა ქვევრიდანა (ატ.). 4. ტკბილის ასადულელები ჭაჭა ან თხლე. ქვევრი სადულარი არი ჭაჭაი და თხლეი. რო ჩააყენებენ, უნდა ჩააყარონ ჭაჭაი და იმან უნდა აადულოს (ერთაწმ.).

**საპპინ-**ი ქვაბის გამოსაკვერი იარაღი ერთგვარი. სავინი სამიანია, როგორც წერაქვი. აი, ასე წამოაცმევ სავინზე ქვაბსა; სავინი სულ რკინაა (ზ. ხანდ.).

**საპპან-**ი, **საპპანა** ქონება, სიმდიდრე, შეძლება. სავანი არა მქონდა, რომ მუშა დამეჭირა, სუ მე ვმუშაობდი (ქორ.). მეტი სავანა არა გვექონდა და, რა გვექნა, პატარა სახლი ავაშენეთ (კარალ.); აგრეთვე ატ., ბროწლ., გარიყ., ერთაწმ., მერ., ძეგ., წილკ.

**საპპანბაწყვიტილი-**ი ღარიბი, დატაკი, უქონელი. სავანგაწყვეტილი ზო არა ვარ, ცოტა მაინცა მაქ (ზერ.). ოთიანში რო ვნახე, ემაგისთანა სავანგაწყვეტილი ოჯახი არსად მინახამს (კავთ.); აგრეთვე ქემ., ქვ. ჭ.

**საპპატ-**ი ძალა, არაქათი. სავატი გადამელია (ძეგ.). **საპპატობა:** სავატობა აღარა აქვს ქალსა, სამი დღეა ლოგინში წევს სიცხიანი (ტყვ.); აგრეთვე ბრ., ბროწლ., კარ., ქვ. ჭ.

**საპპატგამოცლილი-**ი ძალაგამოცლილი, ღონემიხდილი. სავატობა რო აღარა აქ ადამიანსა, ან მოხუცებულია, ან ავთ არი, სავატგამოცლილია (ბროწლ.).

**საპპელეპელი-**ი გუთნის ნაწილი — რკინის ან ხის სოლი, რითაც ხვნისას აწესრიგებენ გუთნის კელის სიდიდეს. გუთანს თავისი მომართულობა მქონდა, საველეპლითა თუნდა დაუკლებდა კვალსა, თუნდა მოუმატებდა; რკი-

ნა იყო ან გათლილი ხე, მისაწვე-  
მოსაწვეი და ჩასაყრელი ჭინჭი-  
ლაქი (ატ.). საველებელი გუთნის  
ნაწილია, გინდ დააველეფ და გინდ  
დააკვალეფ (სამთ.).

**საპინსუპი**-ი ჩამიჩუმი, ხმა,  
კრინტი. სავისუვი არ ისმის  
(ბიწმ.). სავისუვი არა აქვს, ხმას  
არ იღებს. საღამოთი რო მოვედი,  
არა აქ სავისუვი, კრინტს არა  
აძრამს (ბიწმ.).

**საპსე** მაკე. წელს სამსეა ჩვე-  
ნი კამეჩი, მერმის თუ ცარიელი  
არ დარჩა! (ტყვ.). სამსე ძროხა  
გავატანე და ვერ მოუარეს, შიშში-  
ლით გააბერწეს (კარალ.). **საპ-**  
**სედ უღემს** კური ამბობენ,  
როცა პური სულ არა აქვთ. მე-  
ზობელთან მივედი, პური მასესხე-  
მეთქი და სამსეთ გვიდენსო (ხც.);  
აგრეთვე ახალშ., ვარ., კავთ., კა-  
რალ., თძ., საკორ., ქემ., ქვ. ჭ.

**საპსეობ**-ს მაკდება. ამ თვე-  
ფეში სამსეოფს ჩვენი ძროხაი  
(ატ.).

**საზუზარ**-ი ფაქიზად სახმა-  
რი, მოსაფრთხილებელი. საზუზა-  
რია, ძალიან ფთხილათ უნდა იყო  
(ძეგ.).

**სათაპითაო** საუკეთესო, რჩე-  
ული. სათავითაო ვაშლი გავატანე  
სულა (ქვ. ჭ.). რაც სათავითაო  
ჩურხელა მქონდა, მაგის პირ გაუ-  
თავდა (ქვეში); აგრეთვე კავთ.

**სათაპნო** ძველად: ქალისა-  
თვის მზითვად მიცემული ფული  
(საქონელი...). ქალი რო გათხოვ-  
დება, თავი მამი ოჯახიდან აჩუ-

ქებენ — ან ძროხა იქნება, ან ფუ-  
ლი. იმასა ოჯახში არ დაახარჯე-  
ბენ. ფული იქნება, იმის პროცენ-  
ტი იმისია; საქონელია, რასაც  
მაიგეფს, იმისია და სათაენო იმ  
ფულსა აქვიან, ან თუ საქონელია—  
საქონელსა (იგ.). ეგეთი ღორი  
მყვანდა ემი სათაენოთი ნასყიდი,  
რო შამზარამდა კაცსა იმი დანა-  
ხუა, მაგრამა ჭირმა მამიკლა  
(წილკ.); აგრეთვე ატ., მეჯერ.

**სათაპნოება** იგივეა, რაც  
სათაენო. იცი, რამოდენა სა-  
თაენოება მქონდა? ისევ ის მომ-  
დევს იმას (ქვ. ჭ.).

**სათაქში იღებს** წყველის,  
კრულავს. წიწილევს არი და, სა-  
თაქში იღევს (ტყვ.). სათაქში ვი-  
ღეფ ჩემ ბავშვებსა (ტყვ.).

**სათბობ**-ი თბილი წყალი,  
რომელსაც ასხამენ საღვებელში,  
როცა საღვები (მაწონი, არაუანი)  
ცივია. კარაქს რო ვღვებამთ,  
როცა ცივია, სათბოფ დაასხამ,  
როცა თბილია — საცივსა (ატ.).  
სადლობელსა ცხელი წყალი გამო-  
ვავლე, მაგრამა არა ქნა, სანამ  
სათბობიც არ ჩავასხი (კარალ.);  
აგრეთვე ტყვ., ქვეში.

**სათმის**-ი წინსაფარი, რომელ-  
საც იკეთებენ თესვის დროს თეს-  
ლის ჩასაყრელად. სათესი წინსა-  
ფარია, თესვის დროს მთესველს  
წინ აფარია და შიგ თესლსა ჰყრის  
(ქორ.).

**სათმალე** 1. საღამურის,  
სტვირის ნახვრეტი, რომელსაც  
თითის დადება-აღებით ბგერებს

გამოაცემინებენ. სალამურს ქვემო-დანაც აქვს სათვალე, სტვირს — მარტო ზემოდანა ოთხი სათვალე (ოდ.). 2. მძივი ან სხვა რაიმე თილისმა, რომელიც თითქოს იცავს ადამიანს გათვალვისაგან, — ღვინჭილა. სათვალეც ის არი, ღვინჭილაი, რო თვალი არ ეცეს ბაღსა (საგურ.); აგრეთვე მჭად, ქორ.

**სათვალღვინჭილა** ღვინჭილა. სათვალღვინჭილა მძივებია პატარეები, ჭრელი. ქარვა, გიშერი კარქი არი აკვანზედა უჟმურისთვინ (მჭად.).

**სათოფელა** დიდგულას გულგამოცლილი ტოტისაგან გაკეთებული სათამაშო; დგუმის საშუალებით ისერიან ძახველის ნაყოფს; თოფელა. სათოფელა ბავშვების სათამაშოა, გლუყუროს ხისას ვაკეთებთ. გლუყუროს გულს გავაცლიდით, ჯახველას მოვკრეფდით, ჩავდებდით სათოფელაში და ვისროდით, გინდა წყალს ამოვაგსებდით იმითი (ჩუმათ.).

**სათრეველა** ფიჩხის კონა (ხეების შეკვრა); დამატებით უბამენ დატვირთულ ურემს. ვთქვათ, ტყეში წახვედი და ურემზე მოუბი კიდე ფიჩხის კონაი, იმასა სათრეველა ჰქვია (ატ.).

**სათუთიქა** პატარა ორმო (ჩვეულებრივ, სათონეში), სადაც თუთქს ურევენ. სათუთქე სათონეში აქთ ზომე გაკეთებული, ამოთხრილია პატარა ორმო, ნაცარია შიგ ჩაყრილი და პურის გამო-

ცხობის დროს აურევენ ზომე ამ ორმოში, რო არ გაიშანშლოს (კავთ.). ერთი სათუთქის გაკეთება გაგიჭირდა, რო ხან სად აურევთ ნაცარსა და ხან სადა? (კავთ.); აგრეთვე დ. თონ.

**საიბაღ** შილიფად, თხლად (ჩაცმული). გუშინ ი საიათ რო გყავდა ბაღლი გარეთა, იმითვინ გააცხელა დღესა (წილკ.). ე საიათ რო დაბძანდები, მითომ არ იცი შენი თავი ამბავი, უნდა გაახდე ავათა და ჩააწვე! (წილკ.); აგრეთვე ბრ.

**საიასალო** საგარეო (ტანსაცმელი). ერთი საიასალო კაბაი კვდარსაც უნდა და ცოცხალსაცა (ხც.). ემ კაბა საიასალო კაბაა, შაინახე და სამურახოთ კიდე სხვა იყიდე (წილკ.); აგრეთვე იგი, მეჯერ., ობ., ქვ. ჭ.

**საიმხელიოდ, საიმხელიოდ** დროებით, სახელდახელოდ (შდრ. სახელმანო). საიმხელიოთ თუ მოხვდა რამეი (ქემ.). ერთი ათი მანათი გექნება საიმხელიოთა, ზეგ აუცილებლივ ჩაგაბარეფ (ტირბ.).

**საინაელიო** სანახვერო, საზიარო. სხვისას დაამუშავეფ და საიხელიოთ გაურიგდები, ნახევარს შენ წაიღეფ მოსავლისასა, ნახევარ — მამულის პატრონი, ეგ იყო საიხელიო მუშაობაი (წვ.). საიხელიო აქ აღებული, დაქირავებული ყავს ვინმე, ამუშავეფს მამულში და ნახევარს იღეფს მოსავლისასა (თამ.).

**საკავებელი**-ი გრძელი ლერწო, რითაც ვაზს ამაგრებენ (აკავებენ) სარზე. სანაშენო ვაზი რო არი, რომელიც იხსამს, იმას ვეძახით საკავებელსა (ატ.). რო გახსლავენ ვაზსა, იტყვიან, რო საკავებელი მივეციით, დაეპტოვეთო (ატ.); აგრეთვე ბრ., ვარ., იკ., ქვ. ჭ.

**საკანიკარო** რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში სახმარი; საგარეო (ტანსაცმელი). საკაიკოსა შენახულ ტანისამოს უძახით და ისე დღეზე ჩასაცმელი ზო სამურეზო არი (ერედ.). მუხულო ჩამოიტანა ერთხელა ბაბომ, თავი საშობლოდან ჩამოიტანა საკაიკაოთა (ატ.); აგრეთვე კარალ.

**საკანთიელო** კარგი, მოსაწონი. კარქი, საკანთიელო რამა თქვი, რო ხალს მეწონოა შენი სიტყვა და ყური გიგდომ (წილკ.). კაი, საკანთიელო ფართალი მოუტანიათ (წილკ.).

**საკანჭურე** ქალის ქვედა საცვალი. საკანჭურე ქალის ქვედა საცვალს ერქვა, ძველად ვიცვამდით ზოლმე, მუხლებამდე იყო (თამ.).

**საკაპაშე** ადგილი, სადაც სათბურიდან გადააქვთ ვაზის ნერგი. ფერებიდან გამოაქვთ ვაზის ნერგი და საკაყეში ათავსებენ, რომ სიგრილეს შეეჩვიოს (ქვ. ჭ.).

**საკაცე** კუბო. კუბოს ეძახიან საკაცესა, ხაკაცეში ჩაიდებენ შკედარსა და გაასვენებენ (საგურ.).

საკაცესთვის წავიდენ, რო ამოიტანონ (ატ.).

**საკაცე**-ი სადრეკი, სახსარი (მუხლისა...). საკაცე ქვეიდან რო ძქონიყო მოჭრილი, რა უშავდა კიდე, ხიი ფეხ გაიკეთებდა (წილკ.). ისე მტკიოდა საკაცეები, მუხლუფს ველარა ვლუნამდი (კათ.); აგრეთვე ატ., მეჯვრ., ნოს.

**საკაპალეპელი**-ი, **დასაკაპალეპელი**-ი გუთნის ნაწილი, რომლითაც აწესრიგებენ კვლის სიდიდეს. საკვალეპელი უნაგირივითა დევ ფამფალაკზედა, გინდა დააველეფ, გინდა დააკვალეფ, მაგასა ჰქვიან დასაკვალეპელი (ატ.); აგრეთვე ქვ. ჭ.

**საკაქლეპარი**-ი, **საკაქლიერი**-ი 1. მეკვლის მოტანილი საახალწლო ძღვენი, ნობათი. ახალწელიწადსა სახლის მეკვლე დაალაგებდა ცხრილზე ღორის თავსა, ბასილასა, ნაზუქი იყო, გოზინაყი, რამე და მიუკვლევედა; ი ცხრილზე რაც ეწყო, საკვლევარი ის იყო (იგ.). მეზობელს რო საკვლევარს მიუტანენ, ეტყვიან თანა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი“ (მეჯვრ.); აგრეთვე კათ., მჭად., ოძ. 2. საახალწლოდ გამზადებული ტკბილეული, ხილი. ახალი წელი რო მოდის, სტუმარი გვეყოლება; რო ივახშმებენ, საკვლიერს მივიტან მერე, ჩურჩხელას, მურაბეფს, ხილსა; ვიტყვით, საკვლიერი მივართვი სტუმრეფსაო (ერედ.).

**საკმელა ბალასი** ბალახი ერთგვარი. საკმელა ბალახსა საკმევლის სუნი უდის, ძალიან წვრილი და რბილი ვერცხლისფერი ფოთლები აქვს, იცის გორაკებზე (კავთ.).

**საპოპური**-ი ქალამნის ყულფი, რაშიც კოპს (ქალამნის თასმას) ამოუყრიან. ქალამანს გაუკეთებდით საკოპურეფსა, რო თასმა იქით-აქით ამოგვება (საგურ.).

**საპრეფილა 1.** პატარა, ცალყურა გოდორი, კალათა, რაშიც ხილს კრეფენ. საკრეფელა კალათი არი ყურიანი, ყურძნი კრეფის დროს არი ძრიან კარქი მოსახმარი (ერთაწმ.). იმდენი ჩადის იმ საკრეფელაში, რასაც ხელით ასწევს კაცი სუმბუქათა (მეჯერ.).

**2.** პატარა, მოგრძო, უყურო წნული, დამაგრებული გრძელ ტარზე; ხმარობენ ხილის საკრეფად, როცა ხელით ვერ სწვდებიან. საკრეფელას ხილის საკრეფად ხმარობენ, ტარი აქ, ბოლოში გაკეთებული აქ წნელისაგან დაწნული პატარა კალათივით, ტოტებზე რო გასწვდეს (ქემ.); აგრეთვე ჩუმათ.

**საქუთარი**-ი წმინდა, შეურეველი, ხალასი. ნაზუქსა საკუთარ კვერცხ რო წაუსვამ, ბრაწავს კარქა, თუ შაქრიანი კვერცხი მოუსვით, ლიბრაავს ნაზუქსა (საკორ.). საკუთარი გერმა კი არ არი, ქათმის ბუმბულიც ურევია (ქემ.); აგრეთვე ატ.

**საქულაროდ** მერმისისათვის, საგაისოდ. წრეულ კი რაღა იქნე-

ბა და საკულაოთ კი სუ კიტრათ უნდა მუაქციო ჩემი ვენახი (წილკ.). საკულაოთ თუ ცოცხალი დაერჩი, ეხლავე უნდა ვიყიდო წყვილი ბურვაკი (წილკ.).

**სალარამ**-ი სასროლი ბადის მოსაწევი თოკი. სალარავები მობმული უჭირავთ ხელში, გაანძრემი მასა და ამოსწემ; სალარავი აბია სასროლ ბადესა, რო გაისურიან (არად.).

**სალთითი**-ი, **სალთის**-ი, **სალციც**-ი ქვაბის ძირის გამოსაყვანი იარაღი. ქვაბის ძირის კუნჭული სალთითზე უნდა გადმოვიდეს. ქვაბის პტყელ ძირს შემოხაზავენ, დადებენ სალთითზე ხაზის გაყოლებით, ხელკვერს არტყამენ ზევიდან და გადმოვა ნაპირი (ზ. ხანდ.). ძირის მოყრა, გამოკვერა — სულ სალთისის მოვალეობაა (ზ. ხანდ.). სალციცსაც ვეძახით და სალთითსაც (ზ. ხანდ.).

**სალპობი ფული** ძველად: მიცვალებულის საფლავის საყიდელი. ეკლესიისთვის უნდა მიეცათ, ალაგს რო ყიდულობდნენ, იმას ეძახდნენ სალპობ ფულსა (დის.). უწინ რო ვინმე მოკვდებოდა, ოცდახუთი მანეთი უნდა გადაეხადათ სალპობი ფული (დის.).

**სალტა** შარვალზე ან ქვედატანზე მიკერებული სარტყელი. შარვლის სალტაზე ღილი არის აწვევტილი (ტყვ.). ქვედაკაბის სალტა გამიწყდა (კარ.).

**სამამინარი**-ი მაკეობის ასაკში შესული, ზრდადამთავრებული

(საქონელი). ჯერ რო არ უმაკია და პირველად უნდა იმაკოს, სამაკინარი დეკეულია (ქორ.). სამაკინარი დეკეული კინალამ წაიყვანეს დასაკლავათა (ძეგ.); აგრეთვე წილკ.

**სამარბლში, სარბალში** ამოიღებს იგივეა, რაც სარგლის. ისე აწყველიდა, რო სუ სარგალში იღებდაო (ომ.). ბაბუაჩემმა სამარგლში ამოიღო, ვინც ჩემი ქათამი დაიჭირაო და ქათამი კი დაკრუხებულა და ზის (კარ.); აგრეთვე ერედ., მეჯვრ., საკორ., ტყვ., ქვ. ჭ., ძეგ.

**სამარხსო** ცულისპირა (მცენარე). ლობიოსაც, ოსხსაც, სამარხოსაც ვთესამდით. სამარხო უშიც იჭმეოდა (ბაზ.). ცერცვი, ოსპი და სამარხო, ისაც ლობიოსავით იყო. ცერცვსა ბაკლათ ვხარშამდით, სამარხვო და ოსპისა კი შაჭამანდი კეთდებოდა (ბაზ.).

**სამატ-**ი წერილი თოკი, რომელიც წისკვილის კრიჭის მოძრაობას აწესრიგებს. სამატი მარცვლის ჩამოყრას უმატებს ან უკლებს (ქორ.).

**სამეორხელო** ხელმეორედ გასაკეთებელი (საქმე). რათ გაახლით ზომე საქმესა სამეორხელთა!? (ერედ.).

**სამეულ-**ი სამი ძნა ერთად დადგმული. რო მოვემით, შევეკრამთ ძნასა და დავდგამთ, სამეულია (ხოვ.); აგრეთვე ბრ., ლამ., საკორ., ქვ. ჭ.

**სამიან-**ი ძველად — მარცვ-

ლულის საწყაო ხისა. ეხლა ნაკლებათა ვხმაროფთ სამიანსა, უფრო სააწვრითა აწონიან (წილკ.). ერთი კოდი სამი სამიანია. ერთი სამიანი წორეთ თქვენ ერთ ფუთ უდრიო (წილკ.).

**სამინდღე** მინდის ასალები საწყაო. სამინდღეები იყო წინათი, რაშიც მინდს იღებდნენ, თუნუქისა იყო გაკეთებული, ექვსგირვანქიანი იყო, ოთხ ფუთზე ამას ვიღებდით, სამგირვანქიანი სამინდღეც იყო (კაპრ.).

**სამირვნე, სამირვნო** ნათლობისას ნათლიის საჩუქარი ნათლულისთვის. ნათლია ბავშვს ან ოქროს ჯვარს დაანათლამს, ან მიტკალს დაანათლამს, ეგ არის სამირვნე (ძეგ.). სამირნო მოუტანა, ჯვარი და მიტკალი (ძეგ.); აგრეთვე დ. თონ.

**სამისდღემშიო** სამუდამო. სამისდღემშიოდ კი არ მინდა, ერთ წუთას მათხოვე! (ძეგ.).

**სამპლასურ-**ი მკლავზე წამოსაცმელი ნაქსოვი (მკაში). სამკლავურები მოქსოვილი იყო, როგორც პაიჭები, ნამგალი გვეჭირა და ვემიდით (ზ. ხანდ.).

**სამობზ-**ი ფეხსაცმლის საპირედ დამუშავებული ტყავი (თხისა). სამოგვი გამოქნილ, გამოყვანილ ტყავსა აქვიან, თხი ტყავისაგან არი გაკეთებული, ჩუსტები-თვინ არი კარქი საპირეთა (წილკ.). თხის ტყავს რო გამაიყვანენ ჩუსტები-თვინა, იმას ეტყვიან სამოგვსა (მეჯვრ.).

**სამოსელ**-ი. ბაბბის ქსოვილი (შინ მოქსოვილი). სამოსლებსა მქსოვდნენ და აი, დაჩითული კაბებია, იმითი ძჩითამდნენ (ბაზ.). შალისას კი არა ძჩითამდენ, ზოლოთ სამოსელსა (ბაზ.).

**სამტრედე** სხვენიდან სახურავზე გამოსასვლელი პატარა ნაგებობა, კარის მქონე. სამტრედე, როგორც საყვავე, ისეთია, სახლებს აქვთ სახურავზე ზეიდან (ქორ.). სახურავზე გამოსასვლელი რო არი, ის არი სამტრედე (მეგ.).

**სამუგუზლე, სამუგუზლო** მსხვილი ნაბობი შეშისა (დიდხანს უკიდა). სამუგუზლე მიუღე რამე, რო დიდხანს გასძლოს (ზ. ხანდ.). სამუგუზლოს დაუღებენ, რო მთელი ღამე იღუღღლოს (ზ. ხანდ.).

**სამუღამო** საყოველღეო, საშინაო. შარვალი მაინც გეყიდა სამუღამოი (ქემ.). გინდა თუ არა, ჩუსტები მინდა, ჩუსტებიო. ეყიდინებინა, ჰქონიყო სამუღამოთა, ეხმარა ესე მინდორში, რამეშიც ცუდი იყო? (ერედ.).

**სამურახო, სამურახო** 1. შავი, ჭუჭყიანი (საქმე). შენც კარგი სამურახო საქმეები გაქვს (კავთ.). იმიტვინ ვასწავლე ჩემ ქალსა, რო სამურახო საქმეები ვაკეთებინო? (მერ.). 2. საშინაო (ტანსაცმელი). რასაც ჭუჭყში ვხმაროფთ, რო ან ბაღში ვმუშაოფთ იმითი, ან ისე სახში და გვიჭუჭყიანდება, სამურახო ის არი (იგ.). გამიცვდა ე სამურახო ტანისამოსი და აღარ ვიცი, რა ვქნა,

ვერც მიყილია ჯერა და ვერც საისალო ჩამიცომს, მენანება ისა (მეჯვრ.); აგრეთვე ერედ., კავთ., საღ., წილკ.

**სამუცლავ**-ი ირონიით იტყვიან საჭმელ-სასმელზე. ესლა სამუცლავ დაუწყებს ესა ძებნასა (დის.). აბა, შენი სამუცლავითვინ გაგგზანო, გონი, სიხარულით გააფრინდე (წილკ.).

**სამფონა** მწყერის დასაჭერი მოწყობილობა ერთგვარი. სამფონა სამწყერაო რგოლი არი და სამი ჯოხი აქ ან ხისა, ან მავთულისა აქეთ-იქიდანა. სამფონას ესერიან მწყერსა და ან ერთი მოხვდება, ან მეორე და ჩამოვარდება მწყერი (ბრ.). ნეტა მქონდეს სამფონაი, დავიჭერდი მწყერსა (ვარ.); აგრეთვე ქორ.

**სამძვინანა** თამაში ერთგვარი. სამქვიანასა ბავშვები ვთამაშობდით. სამ ქვას დავსვამდით ერთმანეთის მიყოლებით, ჯერ ერთი ვესროდით ქვასა, ახლა მეორეი, რომელიც მოვარტყამდით, ის იყო გამარჯვებული (საღ.).

**სამღებრო** საღებავი. ჩვენი ბალიყო წავიდა ქალაქსა, შავი სამღებრო დავაბარეი (ვაყა). ჯერ ძალარაში წამოვადუღებთ შესაღებსა და მერე ახლა შავ სამღებროში შავღებამთ (იგ.); აგრეთვე მერ.

**სამძლე** მსხვილი შეშა; ღებენ ბუზარში კეცების საყრდენად. ცოტა სხვილ შეშას წინ დაუღებთ, რო კეცები არ ჩაცვივდეს, ის არი



სამძლე, ერთი წინ და მეორე უკანა (ჩუმათ).

**სამწყემსურ-**ი მწყემსის, მენახირის გასამრჯელო (ჩვეულებრივ, ნატურით). სამწყემსურიც მისაცემი გვაქვს, არ დაგვიფხვნიან (ქვეში). თითო ძროხაში კოლპურს ვაძლევი სამწყემსურსა (ღის.).

**სამძღვური ჯონი** ჭდეებიანი ჯობი ქვევრში ღვინის გასაზომად. ყურძენ რო ვწურამთ და ვასხამთ ქვევრშია, ჩავყოფთ შიგა ჯოხსა, ჩავაზმანებთ და დავამჭდეთ ზედა და გავიგებთ, რამდენია ღვინოი, იმ ჯოხსა სამძღვურ ჯოხს ვეჭყვი (ლამ.).

**სამსრეულ-**ი ქათმის ფრთის ძირი (ქემ.).

**სამსრისკუდ-**ი იგივეა, რაც სამხრის სამხარი. სამხარს რო ჭამ, დამატებით იყო კიდევ ეგ ჭამაი, სამხრისკუდის ჭამა არის (ატ.). სამხრისკუდი ვაჭამე ჩემ მუშეფსა და ახლა ვახში კეთებაა უნდა შუადევ (წილკ.).

**სამსრის სამხარი** ჭამის ჯერი სამხრის შემდეგ, ვახშამდე. სამკალში რო გავდიოდით, მუშას უნდა ეჭამა ოთხი ჯერი: დილით სადილი ვიცოდით, შუადღისას—სამხარი, მერე სამხრის სამხარი და ვახშამი (ატ.). დასვენება უნდა მუშას, აი, ამ დროს კიდევ უნდა გვეჭამნა სამხრის სამხარი, საღამომდის უნდა გვემუშავნა (ზ. ხანდ.).

**სამხრო** მისასვლელად, მისადგომად მარჯვე, დასამხარი. ის ბალი თავის სამხროთა აქ, ჩვენთვის ეს უფრო სამხროა (ღის.).

**სანაკადლო** რუდან წყლის გადასაგდები ადგილი. შაქურებულიყენენ სანაკადლოზე სოფლის კაცებიცა, დედაკაცებიცა და ერთი დაღღანი ჰქონდათ, არა მე უნდა გადაუგლო, არა მეო, თითქო სოფლის მერები მოკვდაო (ერთაწმ.). სანაკადლო კარქა ჩაკეტე, თორე შეიძლება გაავდრდეს და გადახრამოს (კავთ.); აგრეთვე ოძ., ქვ. ჭ.

**სანაპირო** წისქვილის ღარი, რომლითაც ფქვილი ჩამოდის. სანაპიროს მიუწიე! (სამთ.).

**სანდოც-**ი 1. ცელქი, მოუსვენარი და გონიერი (ბავშვი). ამითანა სანდოცი ბალღი მნახავი არა ვარ, ქაა, ეგეთ რამეა იტყვიან, რო გაკვირდება კაცი! (წილკ.). ძიენ სანდოცია გოგიაანთ ბიჭი, თავი დღეში ვერა ნახამ, რო დადგეს, ან ხელი დააყენოს (მეჯვრ.). 2. მეტიჩარა, არამკითხე. ძიენ სანდოცია პელაი, აბა, იმას რა ეკითხება, მეე ან რას გავაკეთეფ სადილათა, ან ისე სად წავალ, სად მოვალ (მეჯვრ.).

**სანელ-**ი ცხიმი (კერძისთვის). აი ეს არი იმათი სანელი, მთელ საჯალაბო ქვაბს ამღენა კარაქი უნდა უყონ (ბიწმ.). ახალი კარაქი წამოვიღე, კარაქათ მინდა, სანელათ კი არა! (ბიწმ.). **უსანელო:** ძროხა ჩემი სათავნოაო და უსანელო კერძს აკეთებს (ბიწმ.).

უსანელო ლობიო გვეკეთებინა და ის მამიტანა (კავთ.).

**სანთიანე**-ი 1. მარჯვე, მონერხებულნი, ფხიანი. ჩვენებთან ვანოი სანთიანი, მოხერხებული ბიჭია (წინარ.). ისეთი სანთიანია ი დალოცვილიშვილი, რო რაღა! იტყვი, საქმეში დაბადებულა და გარდილაო (მეჯვრ.). 2. ადვილად მისადგომი (ადგილი). სანთიანი ადგილი — მოხერხებული ადგილი, თუნდა მოსახმარადა, თუნდა მისასვლელადა (წინარ.). რა სანთიანი სოფელიაო, გვითქვია სალოლაშენზედა, გზა რო უვლის შუაში (ბრ.). 3. კარგი, მოსაწონი. კაი რამე რო იყოს, სანთიანიაო, იმაზე ვიტყვიო. აი, სახლზე ვიტყვით, სანთიანი სახლიაო (კავთ.).

**სანიშნე** ჭია პირველი ჭია, რომელიც ქსლის გაბმას იწყებს. სანიშნე ჭია, როგორც ქარვა, ეგრეთი გახდება (ზ. ხანდ.). სანიშნე ჭია რო განხდება, ცოცხა ბალახს უწყობთ, შალგიც შეიძლება (ზ. ხანდ.).

**სანიჭარი**-ი საქორწილო საჩუქარი. ქორწილში სანიჭარი უნდა მოგროვდეს (ტანძ.).

**საორკველიო გუთანი** გუთანი ერთგვარი. გუთანი ორნაირია: საბრუნი გუთანი და საორკველიო გუთანი. საორკველიო გუთანი ვაკეზე უნდა, ორ კვალზე უნდა მოვხნათ (იკ.). საკვეთი საორკველიო გუთანს აქ, საცალკელოს — არა (იკ.); აგრეთვე ატ.

**საპალნე** ზედმეტი, დასამუ-

შავებლად უვარგისი ნაწილი ქვისა. ქვას საცა ვჭრით, იქ ვასუმუქებთ, საპალნეს ვაცლით. არი ნატეხები, თითო გამოვა სამი-ოთხი ფუთი. ჯერ საპალნე უნდა გეცალოს, მერე გაკოპიტდეს (მეჯვრ.). ამას მეტი საპალნე აქო, უფრო მეტად დასამუშავებელი რო არის ქვა (კაპრ.).

**საპარაშე**-ი ხილის საკრეფი გრძელი ჯოხი ერთგვარი. საპარაშე გრძელი ჯოხია, ბოლოში გაყოფილია ოთხათა, მოჭერილი აქ წნელი, უკეთია ორი ჩხირი ჯვარედინათა. ვაშლს ან მსხალს ადამიანი რო ვერ შაფვდება ხელითა, საპარაშით მიწვდება (სამთ.). მე სუ საპარაშით არა ვკრეფამ ვაშლსა? (ძეგ.); აგრეთვე იკ.

**სარაყუდა** აყლაყუდა. მაღალი არი და უშნოი, სარაყუდაი (სურ.).

**სარბლი**-ს გამეტებით წყველის, კრულავს. ნეტაი გაჩვენა, ქაა, დები რო დეერევიან ერთმანეთსა, როგორა მცემენ და მსარგლიან ერთმანეთსა, იტყვი, სხვადასხვა დედამიშვილები არიანო (წილკ.). ისარბლებბა: რას ისარგლები, ქალო, ჯერ გაიგე, იქნება შინაურებმა წაიღეს? (კარ.). **სარბვლა**: რო არას დაიშურებს იმისთვინა, ძაან მაგრათ დასწყველის, სარგვლა ის არი (ერედ.); აგრეთვე ქვ. ჭ.

**სარმველა** მოსარევი ჯოხი. სარეველა სწორე ჯოხია, ფაფას

მოურევთ (ძეგ.). ხის სარეველათი მოურევთ ალაოს (კულბ.).

**სარმაქელა** ურმის ხელნაზე დამაგრებული ლატანი ურმის შესაკავებლად, სარევი. ურემს აქ ხელნებზე დამაგრებული გრძელი ჯოხი გოგრების წინა, რო ფეხი არ გაუფუჭოს გოგრებმა საქონელსა, სარეველას ვეტყვით (ძლევიჯ.).

**სარმაქი სარმბი** გუთნულში — მეხრის წინა ხარები. (მეჯვრ.).

**სართაულ**-ი 1. იგივეა, რაც ს ა ნ ა კ ა დ ლ ო. იქით სართაულზე გადაიყვანე წყალი! (ძეგ.). 2. მარხილის ხელნების თავზე წაბმული ჭაპანი. სართაული ებმის თავებს (კაპრ.).

**სარიჩხსია** ვაზის ჯიში ერთგვარი. სარიჩხსიას იმიტომ ვეძახით, რო ძალიანი ვაზია, დიდი ყლორტები და სხმა იცის, სარს ამტვრევს, ჩეხამს (კოდ.). სარიჩხსია ჩაგეყარა; ჩაყარა ვაზი ამანაცა რა! (კოდ.).

**სარნა** წყაროდან გადმონადენი წყლის საგუბარი (საქონლის სარწყულებლად). სარნა—წყაროსთან მოწყობილი საგუბარი, საქონლისთვის წყლის დასალეკად, ცემენტისას აშენებენ ეხლა, ხისა იყო წინათი (საგურ.). დადულა პატარა რო იყო, სარნაში ჩაუყარდათ, კინალამ დეხნჩოთ (ბიწმ.); აგრეთვე ბაზ., იკ.

**სარსარიკობ**-ს ლაქლაქებს, ენას აჭარტალებს. ჭორიანია, როცა სარსარიკაა, მა რაა, ყველა-

ფერს მიაგროებს, მიაგროებს, დგა და სარსარიკობს (ქვ. ჭ.). **სარსარიკა**: ქალზეა ეგ სარსარიკა, ბევრს რო ლაპარაკობს (ქვ. ჭ.).

**სარსლ**-ი თხელი გარსი, აპკი (ხახვისა). ხახვის ფურცელს კი არაა კქვია სარსლი, თხელი რო დარჩება ქვეშა, სარსლი იმასა კქვია (ძეგ.).

**სარტყელ**-ი 1. ძელი, რომელიც წყვილ ნივნივას პორიზონტალურად აქვს მიკრული გასამაგრებლად. სახლის კრიშასა უნდა შტრაფილი, თითო კოჭზე ორი სტრაფილი, მერე იმას კიდევ სარტყლები უნდა გაუკეთოს, ორს ერთი (საშაბ.). 2. მოაჯირის თავი. მოაჯირის ზეითა ნაწილსაც სარტყელს ვეძახით (ძეგ.). **მრთი სარტყლის** კპური თონეში ერთი შემორიგება პური. თონეში რო ჩააკრამენ პურსა, რიგრიგად უნდა ჩააკრან, ერთხელ რასაც შემოარიგებენ, ერთი სარტყლის პური ის არი (ხც.).

**სარუო** ძეგლად: მერუის გასამარჯელო. მერუის გასამარჯელოა სარუო (ძეგ.). სარუოს წინათ ამლევენენ ღვინოს — ერთი ხელადა, ორი ხელადა, ეს იყო მამულზე, ვის რამდენი მამული ჰქონდა (ძეგ.).

**სარუ**-ი არაგამძლე, უხეირო; ზერეულედ ნაკეთები. ძაან სარფები გამოდგნენ ეა შამკერამოსაწყევიტი ფეხსაცმელები, სუ ერთი კვირა არ ეცო ბაღღსა (წილკ.).

ეს ჩარჩოები სარფი ნამუშევარი არი (ძეგ.); აგრეთვე ტყვ.

**სარაქველი**-ი გადმოსაფარებელი ნაწილი ჯიბისა. კაცი კასტუმსა ხო ჯიბეებზე გადმოფარებული აქს ხომე სარქველები (ქვეში). ჯიბი სარქველები მზათ, არი (ძეგ.); აგრეთვე ტყვ.

**სარჩეველი** სიმინდის სარჩევი წვეტიანი ჩხირი. გათლილით სარჩეველასა და იმითი ვარჩევლით სიმინდსა (ზ. ხანდ.). ერთი ჩხირი მომიტეხე, სარჩეველათ მინდა! (ძეგ.); აგრეთვე ტყვ.

**სარჩოტი**-ი, **სარჩში**-ი მოკლე, უვარგისი სარი. ძველს როძირი დამპალი აქ და გააჩქაჰმენ და მოკლე სარი დარჩება, ის არი სარჩუი (ქვ. ჭ.). სარად გამოუსადეგარი რომელიც არი, სარჩოტი ის არი (ერედ.); აგრეთვე მეჯვრ., ქემ., ქვეში, ფლ.

**სარძეული** საწველელი. ერთ სარძეულას ვეხეწები რამდენი ხანია და ვერ მაღირსეს, ვერ მიყიდეს (ტყვ.). სარძეულაში ჩაყენე ცოტა წყალი და მამიტანე (კარ.); აგრეთვე თამ., ერედ., ვარ., კულბ., ქემ., ჩუმათ.

**სარაჯულავი გადაქცევა** დაიღლება, დაიქანცება. სარაჯულავი გადაქცევა ამდენი მუშაობითა (ქვეში). თქვენმა დარიგებამ მომკლა, სარაჯულავი გადაქცევა ამდენი ლაპარაკითა (ქვეში). **სარაჯულავს ბაუჭქმითს** (ამოუბღმებს) დაქანცავს, გააწამებს, სულს ამოართმევს. სარ-

აჯულავი გამიწყვიტე კია და ეხლა გინდა გააკეთე, გინდა ნუ (კარალ.). **სარაჯულავს ამოგიღებს და მერე იქნებ გააგონო რამე** (კარალ.).

**სასაღ**-ი სუსტი, ავადმყოფი (ადამიანი). **სასაღ ვეტყვით უჯანსო ადამიანსა, გამხდარი რუ არი, ავანტყოფი, ვერც სიცხეა უძლეფს, ვერც სიცხევსა, მუშაობა ხო სუ არ შაუძლიან, ერთი ბეწო რუ ან დაიღლება, ან შაეცივდება, იმსაანი ავათ უნდა გახდეს (წილკ.).** ი უფროსი გოგო ძაან სასაღი რამა აყავ, იმი ფერობაში ამოაღია სული (წილკ.).

**სასმეღე** გაყიდვისას ზედმეტად დასხმული ღვინო. რო გაყიდვიან ღვინოსა, კოკაზე სამ ლიტრას დაასხამენ ზედმეტათა, სასველეს ეტყვიან იმასა, ხარჯი აქ კოკასა (საკორ.). **სასველე არ დამისხა არაფერი და კიდე მეტსა მთხოვს** (ქვეში); აგრეთვე კარ., ოძ., ტყვ., წინარ.

**სასინათლო** სინათლის შემოსასველელი, სანათური. მარანს სათვალე აქონდა, ის სასინათლო იყო და იმაში შამოფრინდებოდა ხოლმე მერცხალი (ბაზ.).

**სასმენარ**-ი ამინი (უხილავი ძალა, რომელიც ვითომც ადამიანს ნატვრას უსრულებს). **სასმენარი ჩამოივლისო**, — ძველათ ვითამ ჩამოივლიდა ანგელოზი და იმ დროს რასაც იტყოდი, ის შეგისრულდებოდა (თამ.). სუ, გოგო, ნუ იწყევლები, სასმენარმა არ ჩამოიაროს! (ძეგ.).

**სასოლმე** ჭურჭლის გამოსა-  
წვავი ქურის კედლებში დატანე-  
ბული სათვალე თიხის თაროს  
ჩასამაგრებლად. ჭურჭლის ქურის  
კალოს ზემოდან თორმეტი ჯამის  
სიმაღლის დაშორებით უკეთდება  
სასოლეები თიხის სოლისთვის  
(ამ ქურას ოცდათორმეტი სასოლე  
აქვს ორპირათ) (მეჯვრ.).

**სასუნდურე** საპაერო; საკვა-  
მური. კრამიტის საწვავი ქურები  
იყო, დააყოლებდნენ საკვამურს, რო  
პაერი ამოსულიყო, ცეცხლს უნდა  
ამოეგლო. იმას ვეძახდით სასუნ-  
დურესა, სანახშირესაც ჰქონდა  
სასუნდურე (ძეგ.). აქედან რო სა-  
სუნდურე ჰქონდეს ჩემ პადვალსა,  
ხო არაფერი დამილაკებოდა (ძეგ.).

**სასწაული დღე** საეკლესიო,  
ტრადიციული დღესასწაული. ისე  
დღე კი არა, როცა რამე კარქი  
დღე არი, სიტყვაზე, ან დღეობა  
არი, ან ახალი წელიწადია, შობაი,  
აღდგომაა, ემისთანეფს სასწაულ  
დღეს ვეტყოდით ხომე ჩვენა (იგ.).  
ე სასწაული დღეები მოღია და  
მაშინისთვინ შაიკერე ახალი კა-  
ბაიო (იგ.).

**სატალასე** დამატებით ჭიქა  
ღვინო გამოტოვებული სადღეგრ-  
ძელოს სანაცვლოდ. ქეფის დროს  
გარეთ რო გავა ვინმე და შემოვა,  
მაშინ დაალეუენებენ საჯარიმოს  
და ამას სატალასეს ეძახიან (თამ.).

**სატახე** მამალი გოჭი. ცხრა  
გოჭი დაყარა ჩემმა ღორმა, ხუთი  
სატახეა (ძეგ.). სატახე იყიდე,

ნეზვი არ იყიდო (კარ.); აგრეთვე  
ტყვი, ქვ. ჭ.

**სატაქცი კამეჩები** მესამე  
უღლის კამეჩები გუთნეულში.  
სატაქცი კამეჩები — მესამე უღე-  
ლი რომელიც არის, წინა ხარი  
რო გაიშლება, გუთანი სუ იმას  
უნდა მიჰყვეს (ზ. ხანდ.).

**საუმცროსო** რასაც გაყრისას  
უმცროს, უწლოვან ძმას ზედმეტად  
არგუნებენ. ოჯახი რო გაიყრება,  
რომელიც უმცროსი არი და გარ-  
და უნდა კიდევა, იმას მისცემენ  
ზედმეტათ რასმე ოჯახის ქონები-  
დანა ან საქონელსა, ან ისე სხვა  
რამესა, რო მოიხმაროს. იმას ეტ-  
ყვიან საუმცროსოსა (მეჯვრ.).

**საუნახავი** თვალით უნახა-  
ვი, ლამაზი. ბავშვი რო იქნება ძა-  
ან ლამაზი, იმაზე იტყვიან — ხაჯ-  
ნახავო არიო, ესე იგი, ისეთი,  
რომ მეორე არ მოინახება ისე-  
თიო (კავთ.). პირდაპირ საუნახა-  
ვო იყო ის უბედური ბავშვი, რო  
მოკვდა (კავთ.).

**საუჭმელო** სიღედრისაგან  
სიძისთვის ნაჩუქარი (ბაღდადი...)   
ქორწილზე. ქორწილის დროს ქა-  
ლის დედა სიძეს შემოახვევს  
ყელზე რამე კარგ ნაჭერს, საუჭ-  
მელოს იმას ეძახიან; საუჭმელო  
სიღედრის ნაჩუქარია (ჩუმათ.).  
დაიძახეს, ნეფე პურს არა ჭამს,  
იბუტებო. გამოიტანა ვარამა, კარ-  
ქი საროჩკა ჰქონოდა ნაყიდი სა-  
უჭმელოთვინა, და მოახვია ყელზე  
(ბრ.).

**საუპანისე** წყევლაა (მღრ).

ფანისი). დაწყველაც იციან ბავ-  
შეებისა, შე საფანისეო (გარიყ.).

**საშანღებ-**ი მარხილზე და-  
გებული ფიცრები. მარხილისა არი  
საფანლები, ურემსა აქ ლართხა,  
როგორც ურმის ლართხები, ისე  
მარხილის საფანლები არი (ბრ.).

**საშარმბელ-**ი სახურაეი (ქვა-  
ბისა, ჩაიდნისა...). ქვაბს საფარე-  
ბელი აქ და ქოთანს სარქველი  
(ძეგ.). რათ უნდოდა, ახალი ჩაი-  
დანი რო მიჰქონდა მაყვალზე, სა-  
ფარებელი დაუკარგია (ბიწმ.).  
ქვაბს საფარებელი არ უნდოდა,  
თავლია რო დატოვე? (კარ.); აგ-  
რეთვე ტყვ.

**საშვითარ-**ი ძლიერ უშნო,  
ულამაზო, მახინჯი. რო შეგაში-  
ნებს, ისეთი შესახედაობა რო აქ,  
ძალიან უშნო როა, მახინჯი, სა-  
ფეთარია ისა (ხაშ.). თვალი კი  
დაგიდგა, ანგრე საფეთარი ჰყევ-  
ხარ მამაშენსა! (ხც.); აგრეთვე  
ჩუმათ.

**საშინხსმ** ბოძებზე გამართული  
მოწყობილობა ფინხის გასახმო-  
ბად. წამოვწყეი საფინხეს ქვეშა  
(ძეგ.).

**საშცქველა** ბალახია ერთ-  
გვარი. საფცქვენლა ბალახსა  
აქვიან, მაღალი ირდება ძაანა.  
ახლათ რო ამუა ხომე, დეჰეჰ ამტ-  
ვრევენ, აფცქენიან და აჭამენ,  
(წილკ.). ე საფცქველა ხო ბევრია,  
მააჭრიდი ერთ ორმოცდაათ კო-  
ნასა და იმაჰ დაახურამდი საბ-  
ძელსა (წილკ.).

**საშსეპელა** ასტამივით მო-

ყვანილი პატარა ხე (ან რკინა),  
ბარზე, თოხზე ტალახის ასაფხე-  
კი. საფხეკელა ხისაა პატარაი  
კოვზივითა. ბარი რო ტალახს  
აიდებს, გაფხეკამ (ქვეში). საფხე-  
კელაც ნაბარში ჩავყოლე და და-  
ნაცა, წადი და ეძებე! (კარ.); აგ-  
რეთვე ერედ., ტყვ.

**საშანჩ-**ი იგივეა, რაც ქან-  
ჩი. რო მოჰქანჩამ, შაჰკრამ, იმ  
ჯოსს საქანჩს ვეძახით (ნოს.); აგ-  
რეთვე წინარ.

**საშარმ** ორფერდა სახურაეის  
ღია მხარე. ღიად დახურვა — რო-  
ცა იქით-აქეთ საქარე აქს (ბახ.);  
აგრეთვე ქვ. ჭ.

**საშარო** 1. მხარე, საიდანაც  
ქარი ქრის. ამ კალოს საქარო სა-  
იდან აქ? (წინარ.). 2. კედელში  
დატოვებული ღია ადგილი ჰაერის  
სამოდროოდ. საქარო აღარ უნდა  
დაუტოვოთ სათონესა, რა ვქნა?  
(ტყვ.). საქარო არ დაუტანებიათ  
სარდაფისთვისა და ისეთი ნესტია,  
რო! (კარ.).

**საქმეს ანელებს (დაანე-  
ლებს, მოინელებს)** ბევრ საქ-  
მეს 'გა'აკეთებს. რასაც ეგ პატარა  
ქალი საქმეს ანელებს, სამი ქალი  
ვერ აუვა (ძეგ.). დედა ენაცვა-  
ლოს, დღეს ქვეყნი საქმე დაანელა  
(ატ.). დღევანდელა დღე როგორ  
გამაცდინებ, ქაა, ქვეყნი საქმეჰ  
მოინელებდი დღესა (წილკ.). **საქ-  
მეს ინელებს:** ან კი როგორ  
არი ცოცხალი, ქა, რასაჰ ეგ საქ-  
მეჰ ინელეფს? დღე თუ დამე  
(წილკ.). **საქმეს უნელებს:**

ესენი ხო დიდ საქმეს გინელებენ!  
(ატ.).

**საქმეს თავს დაუჭირს**  
საქმეს კარგად წაიყვანს, კარგად  
გაუძღვება. ვერ დაუჭირა კარკათ  
თავი საქმესა, კარკათ ვერ წაიყვა-  
ნა (ხოვ.).

**საქმე უკან მიჰყვება** ხელ-  
ახლა გასაკეთებელი გაუხდება  
საქმე. თუ საქმეს ხეირიანათ არ  
გააკეთეფ, არ იცი, რო უკან მოგ-  
ყვება?! (მერ.). ვითომც დამიკერა,  
მიმიშაფათა ტუფლები და აკი  
იმიტომაც საქმე უკან მიჰყვა?  
(მერ.).

**საქუდელა** ჭილი. საქუდელა-  
თი ვაზს ვახვეთ ზომე, ჭიობში  
იცის, ჭილსაც ეძახიან (გარეჯ.).  
საქუდელა სანამ იყო, სხვას ამ-  
ლიე და ასლა შენ რაღას აპირებ?  
(ქვეში); აგრეთვე მელერ.

**საქცემ-ი** სიმების მოსამართი  
(ფანდურისა). ფანდურსა ტარზე-  
და სუ თავშია აქს საქცევები, ამ  
საქცევებზედა დამაგრებული არი  
ლარები (ლამ.). საქცევებითა მოე-  
ჭიმავეთ ან მოუშვებთ ლარებსა,  
რომა ზომაზე დადგეს, ხმას შეუწ-  
ყოს (ლამ.).

**საღებებ-ი** ღებვის დროს სახ-  
მარი კენჭები; იყენებდნენ ქსოვი-  
ლის დასაჩითავად. ჰქონდათ ზო-  
მე შანახული საწონებიცა, საღე-  
ბებიცა, სამღებრო ქვებიო — ეძახ-  
დენ; გრგვლები იყო, პატარები  
(ბაზ.).

**საღვედე, საღვედურ-ი**  
ღვედის დასამაგრებელი შოლტა-

ზე. შოლტყავი ორგან გაიხვრიტე-  
ბა — საჯამბრე და საღვედე (მჭად).  
საღვედურზე ღვედს მოედეთო,  
რო საქონელმა გაიწიოს (სამთ.);  
აგრეთვე ქვ. ჭ.

**საყარ-ი, საყარა** გრილი  
ადგილი წყლის პირას შუადღისას  
ნახირის დასასვენებლად. შუა-  
ღღისას რო დაასვენებენ საქო-  
ნელსა, საყარს იმას ეტყვიან; სა-  
ღაც დაასვენებენ, იქა წყალიც  
არი (წვ.). გოგიაი საყარაზეა, სა-  
ქონელთანა; წინათ ქვეითა ქექონ-  
და საყარაი, ზოდაბუნებს რო ვე-  
ძახით (ღის.); აგრეთვე დ. თონ.,  
კავთ., ტყვ.

**საყმინებელ-ი** ღარიდან წყლის  
გადასაშვები წისქვილისა. წყალ  
რითაც დაუწყვეტამ, საყმინებელი  
ის არი, დააყენეფ წისქვილსა (წვ.).

**საყველანწმინდო** ბოლო  
საღვეგრძელო. წინაწინ საყველა-  
წმინდოა დაღვეა რო დაავიწყე-  
ბიყოთ, გზიდან მობრუნდებოდნენ,  
საყველანწმინდო არ დაგვიღვენიაო  
(წილკ.). ის იყო, საყველანწმინდო  
უნდა დაგველია, რო შამალო კი-  
დეცა ჩემმა სიძემ კარები (წილკ.).

**საყუამ-ი, საყუამ** სამეურნეო  
იარაღის ნაწილი — ტარის გასა-  
ყრელი. თოხსა, წალდსა, ცულსა  
საყუავი აქს, რაშიც ტარია გაყ-  
რილი (ერედ.). ტარ გაყურთან  
შიგა საყუეში, საყუე სუყველასა  
აქ (არად.); აგრეთვე ბრ.

**საყუდარ-ი** კეცის მისაყუ-  
დებელი. საყუდარი ჭადის მისა-  
ყუდებელი იყო, როდინივითა, კე-

ცის გასაჩერებელი; ზოგი თიხი-სას აკეთებდა, ზოგი ხისასა (ჩუმათ.). საწყალმა მანჯაურმა კეცის მიწისაგან იცოლა საყურის გაკეთებაი (ჩუმათ.).

**საყუნწული**-ი ხის კარის ზედა და ქვედა ყუნწი, რომელიც ჩარჩოში ბრუნავს. კარებს თავისი ძქონდა ხე გამოთლილი რველათა და ის ტრიალობდა, რო გამაალებდი, ამოთხრილი იყო ჩარჩო და საყუნწული შიგა ტრიალებდა (ბაზ.). ხისა იყო ამოჭრილი, კარი ჩასმული და ტრიალებდა შიგა, მიდიოდა და მოდიოდა, საყუნწული ის იყო დიდი ხის კარებისაი (ბროწლ.). **საყუნწულიანი**: საყუნწულიანი კარებები იცოდენ (ბაზ.).

**საშენხელო** საშენო. მე თავიდანვე უთხარი, შვილო, ეგ გოგო საშენხელო არ არის, ნახე თბილისში ვინმე და დაესიქე-მეთქი (ჩუმათ.).

**საშვილიერო** შთამომავალი. იმისი არაფერი არ გაერიოს, იმისი საშვილიეროი! (ქემ.).

**საშუვლის მესრამ** გუთნის მესამე უღლის მესრე. საშუვლის მესრეთაც მარჯვე კაცი უნდა იყოს, რო კვალი სწორეთ გაიტანონ (კავთ.); აგრეთვე ბრ., ზერ., მერ., მჭად., ხც.

**საშუვლის ხარეზი** გუთნის მესამე უღლის ხარები. საშუვლის ხარები საძირის 'კამეჩების წინ აბიან (კავთ.). საშუვლის ხარებ-

საც კაი მაგარი ჭმევა უნდოდათ, მაგათაც დიდი ჯაფა ადგათ (კავთ.).

**საშუქ-ი, საშუქე** ბანიდან შუქის ჩასასვლელი. ბანიანი სახლი იყო, ზეიდან ისა ჰქონდა, საშუქეი (დის.). რომელიც ცოტა მორჩილი სახლი იყო, იმას ჰატარა ბანი ჰქონდა, როგორც საშუქი (მერ.).

**საჩირქანი** თოხით გასაფხვიერებელი, გასათოხნი (ნათესი...). წრეულა ვენერკნით, ისეთი საჩერკნია, რო საჩეხია ბალახი იმ ოხერაში (ქვეში). რბილი არი მიწაი, კაი საჩერკნია (საღ.); აგრეთვე ტყე.

**საჩირქე** სახის საცხი ერთგვარი; იხმარებოდა წყალში ალესილი, ათეთრებდა. საჩირქე ძაან თეთრი იყო, შაურიანზე ცოტა დიდი, დაიდებდენ ხელის გულზე, წყალს დაასხამდენ, ალესამდენ და სახეზე წაისვამდენ (კავთ.). საჩირქეს რო წაისვამდენ, ახლა მერე უმარილსა (ბროწლ.); აგრეთვე კავთ.

**საცალკვლიო** ცალფრთიანი გუთანი; ერთი კვალი გააქვს. საკვეთი საორკვლიო გუთანს აქ, საცალკვლიოს — არა (იკ.).

**საცერა** ქარაფშუტა, მსუბუქი (აღამიანი). საცერა აღამიანზეა გამოთქმული, ქარაფშუტა აღამიანი რუ არი და საქმეა გულ ვერ უღეფს (წილკ.). ეგ რო ეგეთი საცერა არ იყვია, აქნამდინ წუთი-სოფელ მეწეოდნენ (წილკ.).



**საცერს ბამოკილებს** სასმელს სულ დალევს, გამოათავებს. ვახტანგა შვებულებაშია და საცერი გამოკიდა (კავთ.).

**საციქველა**, იგივეა, რაც უსაციქელო. როცა ადამიანს რამე არ ემეტება, რო მეზობელს ათხუოს ან ასესხოს, მაგნიარს საციქველას ეძახიან (კავთ.). საციქველა გახდი, ადამიანო, ზო არ შაგიჭამს, აიღე და ათხუე ი გეჯაი (კავთ.). **ოქროს საციქველა** ვინც თავის გარჯას დიდად აფასებს; ამპარტაენი. ნეტა რამდენი უნდა ახვეწინო, რა ოქროს საციქველა გახდი!? (ხანდ.).

**საცოდავის კვერი** საწყალი, საბრალო. უი, შე საცოდავის კვერო, შენა, ნეტა რამი შნო ქქონდეს მაინცა! (ტყვ.).

**საცრის დატრიალება** მკითხაობა ერთგვარი: მაკრატლის წვერს ჩაურჭობენ საცრის რკალში და დაკიდებენ, თუ შემოტრიალდება, ვითომ დადასტურდება ჩათქმული. დანაკარგზე იციან ზომე საცრის დატრიალება, მაკრატლი წვერს ჩაუყრიან რკალში და ჩაუთქვამენ. თუ იმ კაცის წაღებულია, საცერი შამოტრიალდება (ქვ. ჭ.); აგრეთვე კარ., ოძ., ტყვ., ქვეში.

**საცრის ხელის შემოკვრა** ძველად — ქორწილთან დაკავშირებული რიტუალი ერთგვარი: პურის ცხობის დროს სახელდახელო სუფრასზე მძინეველი მეზობლები საცერს ხელს შემოკრავდნენ,

ვარცლს დალოცავდნენ. ქორწილში იციან ზომე საცრის ხელის შემოკვრა; რა დღესაც დაიწყებენ პურის ცხობასა, იმ დღიდან სტოლია გაშლილი და მიდის ხალხი და ლოცავს ვარცლსა და საცერსა; ფულს აგროვებენ და პური მცხობლების ფული ეგ არი (ქვ. ჭ.). ქორწილში მცხობლებისთვის ოჯახის პატრონი დაქატიყებს მეზობლებსა, საცერ ხელი შემოგვიკარიო, გაუშლის სუფრასა, მივლენ, საცერს გაანძრევენ, ფულს ჩაადგებენ შიგა და დალოცამენ, ეგ არი საცრი ხელი შემოკვრაი (ქვეში); აგრეთვე გარ., კარალ., ტყვ., ფლ.

**საცხემა**-ი ცხიმი. დახრაკამ ხახესა და საცხებსა, დაახხამ წყალსა (კულბ.). საცხები არა მაქ, რაში დავდალო ხახვი? (სამთ.); აგრეთვე დის., ერედ., ქემ., წილკ.

**საძირიანად ამოიღება** გამეტებით დაწყევლის. რატომ მიწყევლი, რა დაგიშავა ჩემმა შვილმა, რომ საძირიანათ ამოიღე? (დ. თონ.). აქა გვეყავს ეგეთცა, ისე დაგვეწყევლის ზომე, რო სუ საძირიანათ ამოგვიღებს (ბროწლ.); აგრეთვე ქემ.

**საწერი**-ი ქვაზე ჩუქურთმების ამოსაჭრელი იარაღი. საწერი მრგვალი რკინაა, წაბტყელებული აქვს პირი (კაარ.). საწერით ჩუქურთმებს ვიღებლით (ზ. ხანდ.).

**საწმინდურ**-ი წმინდა ფქვილი. საწმინდური დაფუქვით სა-

ქადეთ, სანაზუქეთ, საძღვნოთ (ბროწლ.).

**საქღვეი**-ი ჭდე, ნაჭღვევი. გააკეთებენ მოკაულ ჯოხსა, იმ კავითა ხის ტოტზე ჩამოაკიდებენ ჯოხსა, ზედ საჭღვევი აქ ამოჭრილი და კალათის წნელი იმ საჭღვევზე მაგრა ჯდება (ლამ.).

**სასალაპი**-ი ტარიანი ტაფა რისამე დასახალავად. სახალავი ტაფასეფუ არი, დააყრიან იმაზედა სიმინდსა და ახალამენ ბატილასა (ერთაწმ.). სახალავი ღია იყო და სუ დაგვეპნა, რაც დაიბატა, კუტილადა დაგვრჩა (ტყე.); აგრეთვე ბროწლ., კარალ., ძეგ.

**სახარჯო დასასხმელი** იგივეა, რაც სასველე. ხარჯი აქსო ღვინოსაო, ნახევარი თუნგი კიდე უნდა დემატებინა, სახარჯო დასასხმელს ვეძახით იმ ზედმეტსა (ომ.).

**სახელმანო** სახელდახელო. ერთი სახელმანო ვედრა მქონდა, საღდაც გადამექაჯა (მერ.). მარტოხელა კაცი სახელმანოდ ზაკუშკას გაიკეთებ, ჩაის აიღუღებ და ესაა (თამ.); აგრეთვე ბროწლ.

**სახელყრად** ხელსაყრელად. ეხლანდელი ექიმები თუ ხელამენ სახელყრათა, ხელ დაადებენ, თუ არა და არ უნდათ (ერედ.).

**სახეში თვალის** ურმის თვალის, რომელიც უძრავად არის მიმაგრებული ღერძზე და ღერძთან ერთად მოძრაობს. საბრუნ თვალსა მქონდა რკინის ჭინჭილა-

ქი, სახეშ თვალს — ხის ჭინჭილაქი (საგურ.); აგრეთვე ქვ. ჭ.

**სასამეცმე**-ი წინდების დასამაგრებელი სამწვერი ძაფი, წვივზე დასახვევი. წინათი რეზინი არ ვიცოდით წინდისა, სუ ერთნაირათ იქსოვებოდა თათიცა და ყელიც, სადათა, მერე შიბსა გასაყრელი მქონდა თავისივე შესამწვერებული ძაფი და იმას იხვევდენ ხომე ზედა და იკრამდენ, იმას ერქვა სახვევები (სალ.).

**სასთანგელოზობა** რელიგიური დღესასწაული სახლის ანგელოზის სახელობაზე. სახთანგელოზობააო, ქათამ დაეკლავდით, თავეულ დაუდგამდით (ბაზ.). ოღონდაც ეს წიწილები დამეზარდოს და სახთანგელოზობას დაეკლამ (ძეგ.).

**სასინჯარ**-ი ზედმეტი, შერქმეული სახელი. საჯავრებელს რო დაუძახებ ვინმესა, სახინჯარს იმას ვეძახით. კრუხიჭამიას მეც მეძახიან სახინჯარათა (ჩუმათ.); აგრეთვე ქემ., ხაშ.

**სასლი მიდის და მოდის** ძალიან დანაგვიანებულია, არეულდარეულია, დასალაგებელია სახლი. მიდის და მოდის ჩვენი სახლი, თუ არ მომეხმარე, მარტო მერა გავაკეთო?! (კავთ.). მაგათ სახლში რო შედიხარ, უნდა გეშინოდეს, ფეხი არაფერს წამოსდო. რო იტყვიან, სახლი მიდის და მოდისო, ნამდვილია მაგათვე (კარ.); აგრეთვე ძეგ.

**სასლი წყალში სო არ**

**უღბია?** ღატაკი, უქონელი ხომ არ არის? წყალში ხო არ უღვია სახლი, მაშ არა უნდა მიაართოს რა!? (ძეგ.).

**სახლს ახსენიან** მიცვალებულის წლისთავზე (ან ორმოცზე) გლოვის დამთავრების ნიშნად იმღერებენ. როდესაც მწუხარება ოჯახში, ან ორმოცზე უნდა ავსხნათ, ან წლისთავზე. — უნდა იმღერონ ერთი პირი (ძეგ.). ეხლა გლოვნა აღარ იქნება, სახლი ავსხენითო (ერედ.). **სახლი აიხსენება:** უნდა იმღერონ ერთი პირი და აიხსენება სახლი (ძეგ.). რაკი აიხსენება სახლი, ქორწილიც შეუძლიათ, როგადახადონ (ძეგ.). **სახლის ახსენა:** დაზარალებული რო იქნება, წლისთავზე ხარჯ გადაუხდიან და იმღერებენ, სახლის ახსენა ის არი (ერედ.). სახლის ახსენა წლისთავზე უნდა, მოხუცებული თუ იყო, ორმოცზე შეიძლებოდა სახლის ახსენა (ძეგ.).

**სახლში მყოფი** ოჯახის წევრი. სახლში მყოფები სად არიან, კარი რო დაუკეტიათ? (კარ.). სახლში მყოფები გიცოცხლოს! (ძეგ.); აგრეთვე წილკ.

**სახსნაშურ-**ი სახსნავ-სათესი ნაკვეთი ტყეში. სახსნაურებ ვეტყვიოთ ტყესა და ტყეა შუა დარჩომილ ველსა, საცა ხსნამენ და მთესამენ პურსა ან თუ ქერსა (წილკ.). როგორც მუელით ფრუზეთის სახსნაურეთანა, კიდეც გაგვიტყდა თავთუღელი (წილკ.).

**სახსოფაროდ** საშობაოდ, ხოწა-

ობის (იხ.) წესის შესრულებისათვის. სახოწათო ერთი ლებანი ნიგოზი არსად მიგდია და არვი, რა უნდა უყო (წილკ.).

**სახსუნარი ჩითი** მდარე ხარისხის ფერადი ჩითი; მის გამონახარშში ნართს ლებადუნენ. რიღას მაქნისია ეხლა სახსუნარი ჩითი, იყიდე სამღებროი და შეღებე (ბროწლ.).

**საჯაბში-**ი ამოსამირკვი, ამოსათბრელი (ძეძენარი). ჯერ ვერ წამოვალ, საჯაგვი მაქვს (დ. თონ.).

**საჯიბურ-**ი ჩოხის გვერდითი კალთის ჭრილი შარვლის ჯიბის გასწვრივ (ბრ., ტირძ.).

**საჯოლღა-**ი ცხავი. საჯოლღავი ისეთი ცხავია, რო ემტენებზე აქ ნახერეტები, ჭერში კურკა გაძერება შიგა. თხელი ცხავი არი, პური უნდა გავიდეს და ჯოლღი უნდა დარჩეს შიგა (წე.). პური ხვაზე იყრება, საჯოლღავში ჩელხი რჩება (დ. თონ.); აგრეთვე არად., ძეგ.

**საქლიან-**ი ავადმყოფი, სნეული. სევდიანი შვილები ჰყავდა საწყალსა, ისეც ამოუწყდა ყველანი (ბრ.). ჩვენი ბიჭი სევდიანია, ერთი რო იბანაოს, ხელათში ავათა ხდება (ტყე.); აგრეთვე კარად., ქემ.

**საქლბა** წვიმა-სეტყვა ქარიშხლიანი. სელგა დიდი წვიმაა ქარიშხლით, რომელსაც თან სდევს წერილი სეტყვა (დ. თონ.).

**სპან-**ი მთაში ხეების დასაცურებელი. შეშა რო მოჭერი,

ხო უნდა დააცურო, სადაც და-  
აცურეფ, სვანი ის არი (ბრ.).  
სვანში ჩამოყვართ ხეებსა, ღელე-  
სავით არი (ზ. ხანდ.).

**სკვლავ-ს, სკვლოზ-ს** მიწა  
სველია სამუშაოდ. ადრიაინი დღე  
რო არის და სათოხნად დაუძახე-  
ბენ, ძალიან სველობსო და ვერ  
ვიმუშავებთო (საგურ.). თუ წვი-  
მიანი იყო, სველამდა, ერთ კაცს  
რო გუთანი ეჭირა, მეორე სწმენდ-  
და (ბაზ.).

**სკვლი ენა** ცარიელი სიტყ-  
ვა. სველი ენით ყველაფერს შეგ-  
პირდება და საქმით არაფერს გა-  
გიკეთებს (კარ.). მაგისტანეები  
იციან სველი ენითა! (ქემ.); აგ-  
რეთვე ტყვ.

**სკია** ასხმა, გალა, ჯაგანი. ამ  
ზამთარსა ექვის სვია მსხალი  
მქონდა (ლამ.). ხუთი სვია ყურ-  
ძენი მაქვს შენასული (ლამ.); აგ-  
რეთვე იკ.

**სკიტა** ჩიტია ერთგვარი. სვი-  
ტა პატარა ნაცრისფერი ჩიტია,  
ნიბლიაზე პატარაა (ტყვ.). სვი-  
ტას რო მიგიგამ ფეხები, ძლიე  
დაძვრები ღობეში! (ტყვ.).

**სკრემ-ი** კოშტებად შეკრული  
(ფქვილი, კირი...). ცარცის სვრე-  
მილა ეყარა (ქვეში). აიღო და  
სვრეში გადამიყარა, რათ მინდო-  
და, იმითანა ხო მეც მიყრია, ის  
რა კირია (ქვეში).

**სიბირა, სიბურა** ძაბრევით  
სახმარი ძირგახვრეტილი ყურე-  
ბიანი ღრმა ტაბაკი. სიბირა ხისა  
არი, რგვალი, ყურები აქ, შუაში

ამოხვრეტილია, ქვევრს დაადგა-  
მენ, როცა ყურძენსა სწურამენ.  
ღვინო რო არ დაიქცეს (ქემ.).  
სიბურას დასდგამენ ქილაზე, ზედ  
დასდებენ პატარა საცერს და და-  
ასხამენ დოს; სუფთა ღო გადის  
ქვეშ, ზევით საცერზე რჩება კა-  
რაქის ნამცეცები (დის.); აგრეთვე  
მერ., სამთ., ქვ. ჭ., ქვეში.

**სიდედრ-ი** ცოლისდა ან ცო-  
ლის ახლო ნათესავი ქალი. ცო-  
ლის ღელა სიდედრია, ცოლის და-  
საც სიდედრს ეტყვიან (დად.).  
ცოლისდა სიდედრია, ცოლის ბი-  
ძაშვილი იქნება თუ დეიდაშვილი  
ქალი, ის გარეშე სიდედრია (იგ.);  
აგრეთვე ახალშ., ერედ., ვარ.,  
თამ., კარალ., ლამ., ნოს., სამთ.,  
ტყვ., ხოვ.

**სივსივ-ი** სისინი, ქიქინი (ნი-  
აეისა). დილაჲ და საღამოს ქარს  
გააქ სივსივი (გარიყ.).

**სივსივიზ-ს** კიკვივებს (ინ-  
დაური). რასა სივსივებთ, თქვე  
ოსრებო, ხო ჭამეთ? (ტყვ.). ჭუ-  
კიები რო სივსივებენ, არ გესმის?  
(ტყვ.).

**სიზმარში (სიზმრით)**  
**ღამწვარი** კანის დაავადება  
ერთგვარი. რო დაწვეები, არაფერი  
გაქს, გაიდვიძებ და ხელზე ან  
სადმე გექნება ჯგუფათა გამონა-  
ყარი, სიზმარში ღამწვარი ის არი  
(ტყვ.). სიზმრით ღამწვარი ბავ-  
შეებს ემართებათ, კანი აუეპკე-  
ბათ, თითქო ღამწვარიო (დ. თონ.);  
აგრეთვე ბრ., კარ., ძეგ.

**სილაგადასმულ**-ი გადასწორებული, თავმოსწორებული (ჭურჭელში პირამდე ჩაყრილი ხორბალი, ფქვილი და მისთ.). სილაგადასმული მასესხა და თავშედგმული მივუტანე, არც ის მითხრა, არც ისა (ხც.).

**სილად** ჭურჭლის პირის სწორად. სილათ ვეძახით, პირ რო გადაუსილავებენ, თავმობმულ ვერე შაკოკოლავებენ (ბაზ.).

**სიმსმ** სიმუყავე. მაწვნი შეჭამანდს ცოტა სიმხე უნდა ჰქონდეს (ძეგ.). ქონსა სიმხე მისცემია (ძეგ.); აგრეთვე თელ, მეჯვრ.

**სინდილიან**-ი ავადმყოფი. სინდილიან იმავე ვეტყვით, ვინცა სუ თავი დღენი ავანტყოფობს (წილკ.). აი, ღიზაი სინდილიანი არ არი? დადიო, მაგრამა ვაი მაგი სიარულსა (იგ.). რძალი ვერ გამოადგათ საწყლებსა, სინდილიანი (ძეგ.).

**სინს'ილა** ძალიან პატარა, მოლეული. რა სინსილა გოჭია, რა სინსილა ბავშვია, რა სინსილა წიწილაო, ვეელაფერზე გვიოქვია, რაც პატარა არი (არად.). თუ სინსლა თევზი არ არი, ოჩხიდან ვერ გამოძერება (მერ.).

**სისინა** ავენა, ენატანია. ენას რო ატარებს, ერთ ადამიანს რო აძულებს. მეორესა, იმაზე იტყვიან, სისინა ქალიაო, ენას აქეთ-იქით იტანსო (საკორ.).

**სისინათელები ბავშვა** გაიცრიცება, გაცვლება (ქსოვილი). ტანისამოსი რო გაცვლება და სი-

სინათელები გაუვა, გაწყალბულ ვეტყვით ჩვენ იმასა (წილკ.).

**სისს**-ი თხელი, ლორწოვანი განაავალი. ჩვენი ბავშვი სუ სისსზე გადის და რა უშველო, არ ვიცი (ძეგ.); აგრეთვე დ. თონ.

**სისსაპ**-ს სერის, აბინძურებს (ქათამი, ინდაური... — სკინტლით). ბატები სისსამენ, აგერა, სკინტლამენ (ატ.). ესენი ისე სისსამენ აქაობასა, რო გინდა გავე, გინდა ხვეტე (ძეგ.); აგრეთვე ტყე.

**სიტყვას** შეახვედრებს საწყენს ეტყვის რასმე. საწყენ სიტყვას რო ეტყვიან ვინმესა, რო გული დასწყდება ადამიანსა, სიტყვა შეახვედრაო, იტყვიან (სად.).

**სიტყვიერ**-ი მეტყველი, მოლაპარაკე. ისეთი სიტყვიერი ბავშვი იყო, ისეთი გონიერი, იმიენა-პირ ვერ. დავთვლი (ქვ. ჭ.).

**სიყინჩე** სინოყივრე, ცხიმიანობა. ძროხის რძესა და მაწონსა სიყინჩე არა აქ, კამეჩისა ჯობია (ლამ.).<sup>1</sup>

**სიცხის მაბარი** სიცხის ამტანი. თეთრი დოლი, წითელი დოლი (წითელი პური) მაგარი არიან ეგენი — სიცხის მაგარი; სიცხეს ძალიან იტანენ, არა მცვივა (მჭად.).

**სიცხის ძალალი** სიცხის ცუდად ამტანი. უკრაინის პური რო არი, ისა სიცხის ძალალი არი, რო დაეცხება, ძალიანა მცვივა (მჭად.).

**სიჭ**-ი ჩიტი ერთგვარი. სიჭი ჩიტია, თითონ იძახის ზომე: სიჭ-

სიჭ-სიჭ. სუ პატარა ჩიტია, თეთრი გული აქ, დანარჩენი შავია, გპელი კული აქ, ჩირგვი ძირში იცის ბუდეი (ქემ.).

**სისმომ** სიხმელე, სიმშრალე. აგურს დადგამს, ქარმა და მზემ შემოუაროს და გაახმოს, სიხმოს გულისთვის (მეჯვრ.).

**სლანგავს**-ს სვლევს. მივა და ქვაბიდანა სლანგავს, დაისხას და ჭამოს, ზო არავინ უშლის! (კოდ.).

**სლიპინებ**-ს სრიალებს. რას სლიპინებ, მოდი, არ დაილაღე მაგდენი სლიპინითა? (დ. ფონ.).

**სობურა** ლენცოფას ეკლიანი ნაყოფი. სხვილთავა ეკალი არი სობურაი, ლენცოფას ასხია, რგვალა კაკალივითა და გარშამო ეკლები აქ (ბრ.); აგრეთვე მეჯვრ.

**სოლ**-ი გამოსაწეავი ქურის კედელში დატანებული თიხის პატარა თარო ჭურჭლის დასაწყობად. ქაშანურის ქურასა სოლები ჰქონდა კედელში დატანებული, ჭურჭელს ვაწყობდით (ზ. ხანდ.). ჭურჭელს ჩავაწყობდით ქურაში, სოლები უკეთია ქურასა შიგნიდან, თიხის სოლები, პირველი ჯამი დაიდგმევა სოლზედა (მეჯვრ.).

**სოპ**-ი ქვა, ლოდი. ზიის თელი დღე სოპივითა, ხელს ვერ გაანძრეინებ (კარ.). სოპივით გულიანი ჭადი გამააცხო, რა! (კარ.). **სოპად ამოდი** წყევლაა. შენ ამოდით სოპათაო, რო ზის და აღარა დება, ზარმაცია და ეუბნევა, რო სწყევლის (ბრ.). ქვათ ამოდი და

სოპათა, იყა მანდა, ფეხი არ მოიცვალო! (ტყვ.); აგრეთვე მერ.

**სოპაპ**-ი იხ. ზომპაპი.

**სორომგორომ**-ი: **სორომგორომად** აძცეპს იგივეა, რაც მოასორომგორომებს. სორომგორომად აქციეს ამ ოხერმა ქათმებმა მთელი ბოსტანი (ტყვ.). სორომგორომათ უქცევიათ მთელი ბაღი იმათ ღორებსა (კარალ.).

**სოფელა** ეინც მთელ სოფელს უვლის. როდი მუა ახლა ჩვენი სოფელა, რო წავიდეთ დროითა (წილკ.). სოფელა, მოიარე ყველას კარი და მოხვედი!? (კავთ.).

**სოლო** 1. დიდი ქათამი ერთგვარი, სახორცე. სოლო ვარია ტიტველაა. უფრო დიდები ისინი იზრდებიან, სოლოები, კარგა სუქლებიან (ოძ.). სოლო ქათმისა არი ი დიდველა წიწილები (სად.); აგრეთვე ბრ., საკორ., ქვ. ჭ., ძეგ. 2. ხახვი ერთგვარი, ღერო უმსხვილება და თავს არ იხვევს. ძირ რო არ გაიკეთეფს, რო არ დასხვილება თავი და სხვილდუროიანია, სოლო ხახვი ემაგასა ჰქვიან (ატ.). სოლო ხახვი დიდხანს არა ძძლეფს, მალე ღოღოვდება (მერ.); აგრეთვე ბრ., კავთ., ოძ., ტყვ., ძეგ., ზოვ.

**სპილენძ**-ი თონის მასალა. ეს თონე კარქი სპილენძიო, კარქი თონეო, კარქ პურს გამააცხოზსო (ერთაწმ.). ჩააყარე, ბლომათ ჩააყარე ფიჩხი, სპილენძი თუ კარქა არ გაცხელდა, თუ არ გაწითლდა, აბა, რამ უნდა გამააცხოზსო (კარალ.).

**სრელა** ზოლიანი (საქონელი). სრელა ჩვენა გვეყვება, ჭრელია, ზოლებიანი, როგორც ზებრა (ძეგ.). სუ სრელა საქონელი ჰყავდათ თქვენებსა, სუ ერჩეოდა მთელი სოფლის საქონელში (ძეგ.); აგრეთვე ზ. ხანდ.

**სრინტი**-ი: 1. სრინტიებს ჩაუჭრის ნერწყვი მოუვა (საჭმლის, სასმლის ნდომით). მოვიდა, ქვაბში ჩამომტკეროდა, მა არ მეჭმია? სრინტები ჩამიყარა (ტყვ.). თათარას ვაკეთებდი, მოვიდა, იღვა, იღვა, სრინტები ჩამიყარა შიგა და ისე წავიდა (მერ.); აგრეთვე ძეგ. 2. წუწვი, მსუნავი. სრინტი არის წუწვი, სანამ კერძს მოიტანდე, ან თითს ჩაკრავს, ან ხორცს ამოჭამს (ზ. ხანდ.). სრინტიანი იგივეა, რაც სრინტი (მნიშვ. 2). ისეთი სრინტიანია, რო რამეს აკეთებ, მოვა, დაგადგება თავსა და გიყრის შიგა სრინტეფსა (მერ.). 3. სურდო. სრინტი სჭირსო იმასაო, სრინტი აქო, ვინმეზე გეითქვია (ბრ.) სრინტი ზო არა გჭირს, გოგო? (ძეგ.). სრინტიანი: გრიპი აქ, სრინტიანია ევა (ბრ.).

**სრინტილა** ცინგლიანი. სრინტილა, ერთთავათ ცინგლი მოსდის (ძეგ.).

**სუდარას ბახეპს** გამობრუნდება, გამოჯანმრთელდება (მძიმე ავადმყოფი). როცა მძიმე ავანტყოფი გამობრუნდება ზომე, იტყვიან, სუდარა გახიაო (კავთ.). ჩემმა

დამ პირდაპირ სუდარა გახია, არ მეგონა, თუ გადარჩებოდა (კავთ.).

**სუპი**-ი მწვანე ლობიოს მსხვილი, მარცვლიანი პარკი. აბა, სუკი თუ არ ურევია, რათ ვარგა მარტო ლასტი ლობიო?! (დის.).

**სუპი**-ი<sup>2</sup> შეძლება, ძალ-ღონე. შენ მაგის სუკი გაქს, მაგას რო იკიდებ? (ტყვ.). მაგას მეტი სუკი არა აქვს, ცოტაც რო შესცივლეს, ავით გახდება (კარ.); აგრეთვე ლამ., ძეგ.

**სულაქოთიბულ**-ი სალანძღავი სიტყვა. რაე გიშლი, შე სულაქოთებულო, რო ჩემი ჭირით ვერა ძძლები? (წილკ.). ის სულაქოთებული ჩემი მამამთილი მიწების ყიდვას რო გაუყვია, ერთი სახლი ვერ აიშენა? (ტყვ.); აგრეთვე ძეგ.

**სულთაობა** მიცვალებულების მოსახსენებელი დღე შემოდგომაზე (იცოდნენ ძველად). სულთაობას არი კვდრების დღეობაი. ყველანაირი ხილი უნდა წაიღონ, ყველანაირი საჭმელი უნდა წაიღონ, დასხდებიან საფლაუზე და შეინდობენ (ატ.). სულთაობა ენკენისთეში არის, კვდარზე მიაქთ ხილი, რაც კი შემოსულია (ძეგ.); აგრეთვე ბრ., თამ., კარალ., საკორ., ქემ.

**სულთოფანა, სულთოფანოზი**, **სულთოფანიობა**, **სულთოფანიობა** მიცვალებულების მოსახსენებელი დღე გაზაფხულზე (იცოდნენ ძველად). ყვავილებს მიიტანდნენ, ვარდია, ფშატია, მიცვალებულის საფლაუზე აყრიდნენ, მაის-

ში იცოდნენ სულთმოფენა, ამაღ-  
ლების სწორსა (ბრ.). სულთმო-  
ფენობა მიცვალებულების დღეა  
მაისში, პირველ გაზაფხულს ახა-  
რებენ, ყველანაირი ხილის ტო-  
ტებს, მინდვრის ყვავილებს მი-  
იტანენ და საფლაგზე დაყრიან  
(ძეგ.). სულთმოფენიობა აღდგო-  
მის უკან არი, კაკლის ტოტი,  
ყურძნისა, ყველა ხილის ტოტებს  
დაამტვრევენ, წაიღებენ და დააყ-  
რიან საფლაგებზე (ოძ.).

**სულიანი მსხალი** საზაფ-  
ხულო მსხლის ჯიში ერთგვარი.  
სულიანი მსხალი ზაფხულის მსხა-  
ლია, აგვისტოში მოდის, კარგად  
დამწიფებული ქარვასავით ყვითე-  
ლია, რბილი და წყლიანი, ტკბი-  
ლია და სურნელოვანი, მსხვილი  
მსხალია (კავთ.). ერთი ძირი სუ-  
ლიანი მსხალი მედგა და იმასაც  
არვი, რა პატრონი ამოუწყდა, გახ-  
მა (წილკ.).

**სულიმწარით უნდა** ძლი-  
ერი სურვილი აქვს რისამე. ჩემ  
პატარაობასა ქორწილში მიდიო-  
დენ ჩვენები, სულიმწარით მინ-  
დოდა წასვლაი, მაგრა როგორ  
გაგებდამდი თქმასა (რუისი). სუ-  
ლიმწარით მინდა გამოვაცხო პუ-  
რი, მაგრამა რო აღარ შემიძლი-  
ან? (სად.); აგრეთვე ბროწლ.

**სულის კლიტი** ყველაზე სა-  
ყვარელი (ვინმესთვის). ეგ არის  
შენი სულის კლიტი! (ძეგ.). მანდა  
გყავს შენი სულის კლიტი, მე რა-  
ღათ გინდივარ! (ძეგ.).

**სულისულად ელის** მოუ-

თმენლად ელის. რო უნდა მოვი-  
ბა. კუტი მაროი ცოლშეილიან  
კაცთან დადიოდა; რო დაიდგა ფე-  
ხი, მერე გადაიკარგა (ჩუმათ.).  
**შპსს მონობოძიშკებს** ფეხს  
მოიკიდებს, ფეხს მოიმაგრებს.  
მაგან მაგრათ მოიბოძიწკა ფეხი,  
რამდენი ხანია ბრიგადელია

(ტყვ.). სანამ ფეხ მოვიბოძიწკებ-  
დე, მანამ მიჭირს, თორემ! (ტყვ.).

**შპსადგმით** ფეხშეწყობით.  
ერთი ფეხით რო შეფერხებული-  
ყო გუთანინ და ფეხადგმით არ ევ-  
ლოთ, მაშინვე დავაყენებდი (მერ.).

**შპსბილიკა** საცალფეხო გზა,  
ბილიკი. წინათი აქა ფეხბილიკა  
იყო და ესლა დიდი გზა უნდათ  
ხალხსა (ზერ.); აგრეთვე ძეგ.

**შპსებიდან მოცვეთილი**  
ეშმაკი, გაქეკილი აღამიანი. მატ-  
ყუარა კაცი რო არი, წუწკი, ეშ-  
მაკი, ფეხებიდან მოცვეთილი ის  
არი (ბროწლ.); აგრეთვე ოძ.

**შპსები ჩამოასანთლიანა**  
(პისმე) ფეხზე დგომით დაღალა.  
თელი დღე მალოდინა, ჩამამასამთ-  
ლიანა ფეხები (კარალ.).

**შპსთბალიშ-ი** ფეხებთან და-  
სადები პატარა ბალიში აკენისა.  
აკვანში ფეხებთან ქვეშ დაუღებენ  
ფეხთბალიშსა, მოგრძოა, მატყლი-  
სა იციან, ზოგი ბუმბულისას აკე-  
თებს (საგურ.).

**შპსმრავალ-ი** ვინც ბევრს  
დადის. ენამრავალი ჯობია ფეხ-  
მრავალსაო (ლამ.).

**შპსშველა** დაუნალავი (საქო-  
ნელი). დასანალი როა საქონელი,  
ფეხშველას ეძახიან (ატ.). აგრა,  
ჩვენი კამეჩი იმით არა კოჭლობს?  
ფეხშველა წაუყვანია, ესლა წე-  
დისში გდია, ველარ დადის (ატ.).

**შთილა** სამთითით ერთ-ჯერზე  
აღებული თივა. ერთი ვილკით რო  
აიღებ თივასა, ერთი ფთილა აი-  
ლოო (ატ.).



**შიალას შიანგებებენ** ახლად დაქორწინებულთა დასალოცად მექორწილებს გზაზე სახელდახელო სუფრას გაუშლიან (ნათესაეები, მეგობრები); იცოდნენ ძველად. ნათესაეები გზაში პურმარილს გაუწყობენ, როცა მოჰყავთ პატარძალი, ფიალა მივაგებოთო (ქემ.). ატოციდან რო მოვყავდი, ავლევშიაც მოგვაგებეს ფიალაი, წერონისშიაცა, მხიარულობდნენ მაყრები გზაშია, საჭმელი ბევრი იყო და სასმელი (საღ.); აგრეთვე ბრ., ტირძ.

**შიასზარუს-ი, შიასზარუს-ი** მუცლის ტკივილის წამალი. ფიასფარუსი წამალია მუცლის გერემისა, წინათ იყო ხომე, ბავშვებს ასმევდენ (ქვ. ჳ.). ქიასფარუსსა აფთიაქში ვყიდულობდით ხომე, შავი იყო მაზივითა, ბამშვი რო იტირებდა, იმასა რძეში გაუხსნიდით პატარა კომზზე და დავალეინებდით, გააჩუმებდა და დაამინებდა (საღ.).

**შიბარაბ** შალაშინი ერთგვარი. ფიგარა იარაღია, სალაშინია, კარები გულეებს ვაკეთებთ იმითი (ქემ.).

**შიერო** ძალიან ცოტა (იტყვიან დაფქულზე, ფხვიერ რამეზე); პატარა. ერთი ფიერო არისო, პატარა არისო, ადამიანი მოხუცებული როა, დაღეული, იმაზე იტყვიან (ხაშ.). ერთი ფიერო არა მქონდა დაფქული, რა გამოძეცხო?! (ჩუმათ.).

**შილ-ი** სახსრის ბუდე. ჩვენ

ძროხასა ფილი გადაუტყდა და ძანა კოჭლოფს (კავთ.). დაწეო თუ არა ფეხი, თავის ფილში ჩავარდა (ძეგ.).

**შილენჯ-ი:** შილენჯები მოუპვლის გააულება, გაანჩხლება, განერვეულება. ესლა მოუვლია თავი ფილენჯები და ვაი იმისი ბრალი, ვისაი დეეტაკება (წილკ.). რა ფილენჯებმა მოგთარეს!? (ძეგ.): შილენჯები აქვს გიჟია, გადარეულია. ფილენჯები აქ, თუ მოიგლო ვინმე ხელში, ვაი იმის დედასა (ზ. ხანდ.). შილენჯიანი ავი, ანჩხლი, მაჩხუბარი. ცეტი ადამიანი რუ არი, ჩხუბის მოყვარული, ანჩხლი, ამითანა ადამიან ფილენჯიან ვეტყვიო ჩვენა (წილკ.). თქვე ფილენჯიანებო, თქვენა, დიდი ხანია, აღარ გინხუბნიათ და ახლა ჩემთან უნდა მაიკლათ გული ჳია!? (წილკ.); აგრეთვე ძეგ.

**შილინჯებიანი** გრძნეული, ჯადოსანი. დაიკრა ქმარმა ერთი ფილინჯებიანი ჯოხი და აქცია ვირათა (მერ.). ერთი ბებური დედაკაცი ცხოვრობდა ჩვენ ეზოში, თურმე ფილინჯებიანი იყო (მერ.).

**შიმშქლად** გაუტენლად, მსუბუქად (ჩაყრილი ფქვილი...). ფქვილი გატენილი თუ დიდხან დარჩებოდა, მწარდებოდა, გაუტენავი არა, ფიმშქლათ იყო (ბაზ.).

**შირშიტიელა-ნაფოტიელა** ბავშვების თამაში ერთგვარი. ფირ-ფიტელა-ნაფოტიელა თამაშია. ერთი სხვის კალთაში ჩაყოფს თავ-

სა, ღაიხუჭება, სხვები დააწყო-  
კენ ზეღიზელა ხელებსა, ეტყვიან:  
„ფირფიტელა-ნაფოტელა, ზევით  
სელი ვისია“. თუ გამოიცნობს,  
ვისი ხელიც ზევით იყო, ის დაი-  
სუჭება (ტყვ.); აგრეთვე ალი.

**ფისო ბალახი** ბალახი ერთ-  
გვარი. ფისო ბალახი უფრო და-  
ბალ ალაგას იცის, მოგრძო ფო-  
თოლი აქ, თითის სიპტყო, ყვი-  
თელ ყვავილს იკეთებს (ზ. ხანდ.);  
აგრეთვე ნოს.

**ფიტ-ი** ბარაქა, ქონება. ფიტ-  
სა ქონებაზე ვიტყვი, სიმდიდრე-  
ზედა (ლამ.). ფიტი, ბარაქა აქს  
გაწყვებილი სახში (ქვეში); აგ-  
რეთვე ტყვ., ძეგ. **ფიტს** არ  
(პერ) მოიპარავს, მოიკიდებს  
ვერაფერს შეიძენს. ეგ ფიტს არ  
მოიკიდებს თავი ღღეშია, უქნარაა,  
ზარმაცია (ლამ.). ეგ არც არა-  
ღროს გაძლება, არც გათბება და  
არც ფიტს მოიკრამს, ცას რო გა-  
მოეკრას, მაინცა, ხელი განძრევა  
რო ეზარება, იმითეინა (ლამ.).

**ფიტგამოღვეულ-ი** უბარაქო,  
ღარიბი, უქონელი. ფიტგამოღვეუ-  
ლები არიან, ყრიან მთელი ღღე  
მშვიერები (ძეგ.); აგრეთვე ლამ.,  
ქვ. ჭ.

**ფიფინური-ი** ღაირის ჟღარუ-  
ნა, ლიფლიფანა. ვთამაშობდით  
ბიჭები, ღავინასე, რაღაც პრია-  
ლფეს თეთრათა, მე ვთქვი, ორ-  
შაურნიანი-მეთქი, ავიღე და ღაი-  
რის ფიფინური არ შემრჩა?!  
(ტვ.). **ფიფინური**მბში უზის  
არაფერს აკლებს, ყველაფრით უზ-

რუნველყოფს. კარქა რო ინახავს  
ადამიანი ცოლსა, შეილსა, კარქა  
ჰყავ ნაცმულ-დახურული, იმაზე  
იტყვიან, ფიფინურებში უზისო  
(ნიჩბ.). ისე ვინახამო ჩემ დარო-  
საო, მარიამა ამბობდა, სუ ფიფი-  
ნურეფში მიზისო (ნიჩბ.).

**ფიფინა** სუფთა, თეთრი,  
ქათქათა. თეთრი რუა, ძიენ თეთ-  
რი, წვრილფეხზე, საქონელზე,  
ბამშვსედა, სუყველაფერზე ვიტყ-  
ვით ხომე, თეთრი ფიფინა არიო  
(ერედ.).

**ფიფინი გაულის** თეთრად  
ელვარებს, ქათქათებს. ფიფინი  
არ გაულის შენ ხელებსა! (ტყვ.);  
აგრეთვე ქემ.

**ფინის ცოცხი** ზოგი ხის  
ან ბუჩქის ნორჩი ტოტებისაგან  
შეკრული ცოცხი. ფინის ცოცხ  
ბოსლები დასახვეტათა ზმარობენ,  
მაგარია და კარქა აგვის ბოსელ-  
სა (წილკ.). ე ფინის ცოცხიც ზო  
სასყიდელი არ არი, რო ვერა და  
ვერ დაიძველეა მაგათა (წილკ.).

**ფიცრულ-ი** ცურვის ხერხი  
ერთგვარი. ფიცრული — ისე უნდა  
იწვე, გასწორებული ფიცარივითა,  
კოჭებში მოძრაობს ფეხი მარტო  
(კაპრ.); აგრეთვე ქემ.

**ფიფინ-ი** ელენთა. ფიფინ ვეტ-  
ყვით ღორის ელენთასა. რო დააყ-  
ლაქენ ღორსა და გამოაწლაქენ,  
პირველში ფიფინს ამააცლიან, და-  
დებენ ნაკვერჩხლებზედა, შააწო-  
მენ (წილკ.). ბაღლებო, თქვენ  
ტყუილათ შააციცინებთ მა ფი-

წიხსა, ეგ რო შაძჭამოთ, გვირგვინ-  
ში შავი გამოაჩნდებით (წილკ.).

**ფლავის თაჰად უზის** დიდ  
პატიეს სცემს. რატომაც არ დაუ-  
წერს ციალასა დღეებსა, ფლავის  
თავათ უზის ბრიგადირი, წამსა და  
წარამარა შინ დაუდის (ხც.).

**ფლასვი**-ი ზომაზე დიდი (ფეხ-  
საცმელი). ფეხსაცმელებ რო იყი-  
დიდ კაცი და ძან დიდები მოუა,  
იტყვიდ, რო ფლასვებიით. ფლას-  
ვი მარტო ჩუმატზე ითქმება, სხვა  
რამეზე ფლასვს არ იტყვიან  
(წილკ.). ფლასვი ფეხსაცმელები  
ეცეა, ისე მოაფრატუნებდა უშნო-  
თა (ერედ.).

**ფონილავს**-ს ფოთოლს აცლის  
და ჭამს (საქონელი). კამეჩი რო  
ჭფოთლანს, ფოთლებს აჭა-იქ შჭამს  
(ზ. ხანდ.).

**ფოთოლ-ფოთოლ დააყ-**  
**რის** იგივეა, რაც და ი ფოთ-  
ლებსა. ზოგი ადამიანი ისეთია,  
რომა ჭინჭარმა რო პატარა და-  
სუსხოს, ან ჭიანჭველამ უკმინოს,  
სუ ფოთოლ-ფოთოლ დააყრის  
თეთრ-წითლათა (კავთ.).

**ფოთი-ი, ფოთი-ი** 1. ქორ-  
ფა, ნორჩი, ნაზი, სათუთი. ფოთ-  
ქვი — ქორფა, ახლათ ამოსული  
ხე, რო მაგარი არ არი და მბილია  
(დის.). ფოთქვი სახე აქ (ზ. ხანდ.).  
2. ადვილად ტეხადი (ხე). ნეკერ-  
ჩხალი ძალიან ფოთქია, რომ შაა-  
წე, იმ წუთში ჩახას მაიდებს  
(ძეგ.); აგრეთვე დის. 3. მოშვებუ-  
ლი, დუნე. რა ფოთქვი ბაუშვია,  
ერთი ბეწვა სიცოცხლე არ ეტყო-

ბა (ტყე). ესეთი ფოთქვი რო ხარ,  
იმიტომ გიკეთდება საქმე (ფლა-  
ვი). -

**ფოლ-ი** ჩლიქი. ფეხზე შივნი-  
დან ეზდება ხარსა ფოლი, უნდა  
მოათალო, თუ არა და მალე აიყრის  
ნალსა (ჩუმათ.). ქალის ბატონო-  
ბასა კაცსა უჩვენია ცხენის ნალ-  
სა და ფოლს შუა მოექცეს და  
ცხენმა იჯირითოსო (ჩუმათ.).

**ფოლ-ი**² დანიქილი და შუ-  
ლოსავით ამოხვეული მატყელი (და-  
სართავად). როცა მოგვიანდება,  
გამოვიდებთ ფოლებსა და დავარ-  
თამთ (ბიწმ.). **ფოლი** და **ფო-**  
**ლი** ფურცელ-ფურცელ, ფენა-  
ფენა. ხეულ ქადაა რო გამააც-  
ხოფ, იმან იცია ფოლი და ფო-  
ლი მძვრება ქერქები (წილკ.).  
ბარემ კოსტა თონე ჩაედგი, მაგ-  
რანა სუ ფოლი და ფოლი მძვრე-  
ბა თისა (წილკ.).

**ფოლორც-ი**¹ დიდი, სქელი  
ტალასი. ურემი გაივლის და მძი-  
მეთ შეედება თვალში ფოლორცი,  
საქონელი ჩაწეება და მიეკრობა  
სუ ზედა (ქორ.).

**ფოლორც-ი**² პირფერი, ფა-  
რისეველი. დიდი ფოლორცი ადა-  
მიანია (ძეგ.).

**ფონელ** დუნედ, მოშვებულად.  
ფონეთა მაქვს წელი, ცოტა მოაკე-  
ლი კაბას (ძეგ.).

**ფოჟოლოზ-ს** 1. ცდილობს,  
შრომობს; ცოდვილობს. ფოჟო-  
ლობს, ლუკმას ძლივ შოულობს  
(ერთაწმ.); აგრეთვე ზ. ხანდ.,  
კავთ., სად, ძეგ. 2. სული ძლივს

უღვას, ძლივს ბოგინობს, ცოცხლობს. ფოჟოლოფს საწყალი, არ ვიცი, ამ ზამთარს როგორ გაატანს (ძეგ.). 3. ოდნავლა ანთია, ბჟუტავს (ცეცხლი). ძლივს ფოჟოლოფს ცეცხლი, მიდი, ან გამოუნხრიკე, ან ხმელები შეუკეთე! (ძეგ.).

**ფოროსა კაკალი** მსხვილი, თხელნაჭურჭა კაკალი. ფოროსა კაკალი ყველაზე სხვილი კაკალია და ალვილი გასატეხია, ფოროსა კაკალში კირკიტს ვერ ნახამ (ტეზ.). ბუტიას რო ეძახდენ, იმათ ედგათ გაღმა ეგ ფოროსა კაკალი (ტეზ.).

**ფორტნი**-ს ჩორკნის. კი არა თლის, აფორტნის (ზ. ხანდ.).

**ფორსვენა** ბუერა. ფორსვენა ბალახია, წყლის პირებზე იცის, დიდი რგვალი ფოთლები აქ. კალათს ჩაუფენამთ ხომე, როცა ხილი გეინდა წავიღოთ რამე, ან კიდე ზეიდან გადავაფარებთ (ხც.); აგრეთვე ბრ.

**ფორ**-ი ხორცის ნაჭრები წვნიან საჭმელში. შენი ღორისა წვენის მერგება თუ ფოჩი? (ხოვ.). საკურველი იყო, რაც იმ დღეს პელამ გააკეთა, ფოჩი სუ თავი შვილეთს გადმოუღო და წვნი სხვეფს ჩამოურიგა (კავთ.).

**ფოცნიანი (ფორჩნიანი)** ცელი ცელი, რომელსაც ყუაზე ფოცხი აქვს მიმაგრებული ნათიბის მოსაგროვებლად. ფოცხიან ცელსა ფოცხი ზედა აქ ტარზე,

რო მოცელამ, ის მიაწყობს, მოაგროვებს (ძეგ.). ცელზეა მიკრული კბილები და რო ათიბამს, თან აწყობს წყობისათა, ფორჩნიან ცელ ვეტიყვით (საკორ.); აგრეთვე ზ. ხანდ.

**ფოსოლა, ფოსოსა** დიდი, მსხვილი. რომელიც დიდი ყვავია, იმას ეტყვიან ფოსოლა ყვავსა (საღ.). სხვილი, პტყელი, დიდი ცხვირი რო აქ, ფოსოსა ცხვირი აქო (ერედ.); აგრეთვე ატ., კავთ.

**ფრე მოუვა** შემთხვევა მიეცემა. ფრე მოუიდათ, მოჯოღენ და მოიპარეს (კარაღ.).

**ფრთიანი**-ი მარჯვე, ყოჩალი. ფრთიანი ბიჭები ვინც იყვნენ, აღარ არიან (ქვ. ჭ.).

**ფრიადი (ფრიაკი) ქნა** უარი თქვა, უარზე დადგა. ერთი ფრიადი აქნა და ველარა და ველარ დაიყაბულე ქალი მამაი (ქვ. ჭ.). ქნაა ფრიაკი და ჩვენ ჩვენნი, იმან თავისი და ვერ დაიყოლიეთ (ქვეში).

**ფრჩხილ**-ი ახლად გამოსული ლობიოს პარკი. ახალი გამონასკული რო არი ლობიოთი, ფრჩხილს ვეძახით (ზ. ხანდ.). ლობიო რო დაიყვავილეთ, პატარა პარკეთს გამოიტანს, ფრჩხილით არი და ფრჩხილსაც ეძახიან. როცა ფრჩხილი ასხია, არ გასთოხნიან, რო არ გასცივდეს ფრჩხილი (კავთ.). **ფრჩხილშია, ფრჩხილში შვილი** (ლობიო) ახლად მოისხა ლობიომ. ახლათ რო გამოეა ლო-

ბიო, ყვავილის შემდეგ რო გამოი-  
სახება, ვიტყვიო, ფრჩხილშია ლო-  
ბიო და მორწყვა შჭირდებაო (ქე.  
ჭ.). ლობიო რო დაიყვავილებს,  
გამოისახამს ფრჩხილებსა, ვიტყვიო:  
ფრჩხილში შევიდა უკვე ლობიო  
(ქორ.); აგრეთვე სამთ.

**ფსიტი**-ი თხელი სწორი (თმა).  
ჩემ შეილებსა არც ერთს არ უვარ-  
გათ თმაი, სამივეს ფსიტი თმა  
აქვთ (ძეგ.); აგრეთვე ზ. ხანდ.,  
ქემ.

**ფუდე!** **ფუდე!** შეძახილი  
ძროხის გასაჩერებლად. **ფუდე!**  
**ფუდე!** დაუყვავიფს და დააბამს  
ისე (კავთ.). **ფუდე, ფუდე!** დაუძა-  
ხებ ძროხასა, რო გაჩერდეს (ზ.  
ხანდ.); აგრეთვე ახალშ., ძეგ.

**ფუჭარა** იხ. ა ბ უ ზ ა რ ა .

**ფუჭულაობა**-ს თავისთვის  
წყნარად საქმიანობს, ფუსფუსებს.  
არი საწყალი თავითვინა და თა-  
ვი მამულში ფუჭულაოფს (მერ.).  
თელი დღე ვისხედით და ჩვენთვის  
ეფუჭულაობდით (მერ.).

**ფუილუს**-ი იხ. ფ ა თ ლ ა ზ ი .

**ფუილი გააქვთ, ფუილით**  
**დადიან** ბევრია, ბევრი ირევა.  
ფუილით დადიან ჭიანჭველები  
ჩვენ სახში (ტყვ.). ფუილი გააქვთ  
ბავშვებსა სკოლის ეზოში (ტყვ.).

**ფურფუჭილა** ნაოჭასხმული  
არშია. ნაოჭიანი რო არი და თან  
რუში აქ, იმას ეტყვიან ფურფუ-  
ჭელასა (ერედ.). ფურფუჭელა  
შემოაკერე? (ძეგ.).

**ფუსფუსება** ფქვილის ჭია.

ფუსფუსელა შავი ჭიაა, პატარა,  
ფქვილში ჩდება, რო დახანდება  
ფქვილი (ქემ.). ფუსფუსელა არც  
კი ჩანს, ისე პატარაა (ტყვ.).

**ფუფუნს ბამოიტანს** გამო-  
იჩეკება (აბრეშუმის ჭია). ჭიის  
თესლსა შაახვედნენ ხომე ლურჯ  
ნაჭურში ან შავ ნაჭურში, რო თბი-  
ლათა ყოფილიყო. ორ-სამ დღეში  
ფუფუნს გამაიტანდა (კავთ.).

**ფურნიობა**-ს თავისთვის წყნა-  
რად საქმიანობს, ფუსფუსებს. ჩე-  
ნი დაროი რა ხნისა არი და ეს-  
ლაც ვერე იცის, დადის და ფურ-  
ნიაოფს (სად.). სხვის დასაქმება-  
სა, რო თითონ აკეთოს, ის ურჩევ-  
ნია, ფურნიაოფს ურუმრათა (სად.).

**ფურფური**-ი რბილი, ფუნჩუ-  
ლა. ჩითში შეკერილი საბანი ფურ-  
ფური გამოდის (ძეგ.). ფურფური  
პურები მოგვიტანა, ჭამეთო (ძეგ.).

**ფუსფუსება**-ს იგივეა, რაც  
ა ფ უ ზ ფ უ ხ ე ბ ს. რასა ფუსფუ-  
სებ, ბებერი ხო არა ხარ?! (ძეგ.).

**ფუაქუნა, ფუატუნა** დაუ-  
ფიქრებელი, არასერიოზული; ქერ-  
ქეტი. ფუაქუნა ქალია, იმი ლაპა-  
რაკი რა დასაჯერებელია, რაც მო-  
ადგება პირზე, როხავს (ქარ.).  
ეგეთი ფუატუნა კაცი ჩემ თვალზე  
არ უნახამს, რო ელაპარაკები, თა-  
ვისას რეკამს (ტყვ.); აგრეთვე  
ბროწლ., ზ. ხანდ., კავთ., ოძ.,  
ქე. ჭ., ძეგ.

**ფუან**-ი ბალახი ერთგვარი.  
წყლის პირებზე იცის, ცოცხივით  
არი, წერილი ღერუები აქვს ნემ-

სებივითა, ფოთოლიც ის არი, ღე-  
როცა, ვეავილიცა, ფშანს ეძახიან  
მაგასა (ხც.); აგრეთვე ზ. ხანდ.,  
ძეგ.

ფშრშპპპ-ს გულს უკლავს,  
ამწარებს. რაშდენი რა არ გადამ-  
ხელია, შვილის სიკვდილი, რა არა  
და ეხლა რო ცოტა მოვისინათდი,  
ეხლა ეგა მფშრუკამს (ოდ.).

ფცხაღ-ი იგივეა, რაც რ ც ხ ა-  
ლი. ერთი წლის ნახვენი მიწა  
ნანხატია, ორი წლისას ფცხალს  
ეტყვიან (ზერ.). ფცხალი კაი მო-  
სავალს იძლევა. რო გადააბრუნე-

ბენ და გადჰააბრუნებენ, აბა რას  
იზამს! (დის.); აგრეთვე კულბ.

ფხაქმ ხრიოკი ფერდობი. ფხა-  
ქე ის არი, ქელი რო არი და გახ-  
რიოკებულია (ატ.). რა ფხაქებში  
დაღიხარ? (ზ. ხანდ.).

ფსონშრბ სარეველა ბალახი  
ერთგვარი. ფხოვერა ისეთია, რო-  
გორც უგრეხელი; დაბალი იზრ-  
დება, წვნიკი ეკალივით აქ, იახამ-  
ნისფერი ყუავილი აქ და ხორბა-  
ლივით იკეთებს თესლსა (ძეგ.).  
ყანას ფხოვერა ბალახიც ერევა  
ზომე (ძეგ.).

ქ

ქაბაბ-ი 1. თამამი, დოყებია-  
ნი (მცენარე). ქაბაბი სატაცურია,  
ძაან სხვილი რო ამოვა (ძეგ.).  
2. კარგად გამშმარი, გამომშრა-  
ლი (შეშა). ძაან ხმელ შეშაზე  
იტყვიან, ქაბაბი შეშაო (კავთ.).  
ტყეში ბევრი არი ქაბაბი შეშაი,  
ხნელი შეშა არი, კარქათ ეკიდე-  
ბა ცეცხლი (საღ.); აგრეთვე ზ.  
ხანდ.

ქაღა 1. ბაღბის ნაყოფი. ბაღ-  
ბის ქაღას გამოყარჩევ და ისე და-  
უჭრი ჭუკიებსა (ქეეში). 2. კომ-  
ბოსტოს დაზრული, გაყინული გუ-  
ლი. ქაღა იცის კომბოსტომა, რო  
გაიყინება, გარედან საღია და რო  
გადასჭრი, შიგნიდან ქაღასავით აქ  
(ზ. ხანდ.). კომბოსტოს რო გაჰყი-  
ნამს, გაიკეთებს ქაღასა (ზ. ხანდ.).  
3. ფიჭა, ჩარჩოს გარეთ მიშენებუ-

ლი. შეხე, რა ლამაზათ არი, საღ  
ვაუკეთებიათ ქაღაი. აი, ჩარჩუე-  
ზის დამატებით რო აკეთებენ ფუტ-  
კრები, ეს არი ქაღაი (კარაღ.).

ქაქშიზარ-ი ბებერი. შე ქავთარი  
კაცი ვარ, აღარაფერი მახსომს  
(ტანძ.).

ქაპცხრილა ცხავი. ქავ-  
ცხრილა საჯორღეა, ჯორღამს,  
ჰური გაღის და ბზე, ჯორღი რჩე-  
ბა (ტანძ.).

ქათმეზის მკაკლეობა იგი-  
ვეა, რაც ქათმეზის მილო-  
ცეა. ქათმეზის მკაკლეობა არის  
აზალწლის მეორე დღესა; დედა-  
ჩემი ადგებოდა უმძრახი, წაიღებ-  
და სიმიწდსა, წყალში გაავლებდა,  
მიუყრიდა ქათმეზსა (ძეგ.).

ქათმეზის მილოცვა ახა-  
ლი წლის მეორე დღეს ქათმეზის-

თვის საკენკის დაყრა (იცოდნენ ბევლად). ახალწლის მეორე დღეს ვიცოდით ქათმების მილოცვა (ძეგ.). ახალწელიწადს მილოცვაა ქათმებისა, ვითომ გამწაველდესო (ძეგ.).

**ქათმების კური** საახალწლო სარიტუალო პური ერთგვარი. ქათმების პურს დავაკრავდით, ისე უნდა დავევენსვლიტა, დავკენკამდით, რო აღარ ეტყობოდა, პური იყო, თუ რა, ვითომ ავღენი წიწილა გვეყოლებო (მჭად.); აგრეთვე ძეგ.

**ქათმებისკურტუმა** ბალახი ერთგვარი, მხალში ურევენ. ქათმის კურტუმა მხალია, თეთრი ყვავილი აქვს, პტყელი ფოთოლი აქ ესე ორი თითის სიპტყე, სხვა მხალში ურევთ ხომე, ცალკე არა უსარწამთ (სად.).

**ქათმებისორცული**-ი იგივეა, რაც ხელდამდგმო (ცომი). ცომს რო მოვზელამთ ზომიერსა, არც ძიენ მაგარია, არც ჩვილია, ქათმებისორცული ის არი (ბროწლ.). ქათმებისორცული და ხელდამდგმო ცომი ერთია (ბროწლ.).

**ქათმები**-ი ლაქლაქი. დილიდან საღამომდისინა ვგრე გააქვს ქათქათი, არ დააყენებს ენასა (ლამ.). ქალო, რით ვერ მაიღალე მაგოტყელა ქათქათითა? (წილკ.).

**ქაღა** კარ-სარკმლის ჩარჩოს ზედა ფიცარი, თავი. ფანჯრის ქაღას ვეტყოდით, მაღლა რო აქ განდაგანა (ზ. ხანდ.). ფანჯრის

ქალები უნდა გაუკეთო გაბოსა (ზ. ხანდ.).

**ქაღაკოდა** ნიუკა. ქაღაკოდასა ადრე გაზაფხულზე კრეფდენ ქეული საღხი. დაწნამენ იმასა, გააჭკნობენ, ზამთარში მოხარშავენ, ძმარში და კაკალში აწეწავენ (ჩუმათ.). ესლა ვინ აკეთეფს ქაღაკოდასა, თორე კი შეჭამ, თუ იყოს (ჩუმათ.).

**ქაღანა** ქალაჩუნა. იმ კაცს დაუძახებთ ქალიასა, შეშაზე რო წავა და ზურგით შეშას მოიტანს (დად.). ქალია ნუ ხარ, შენთეინ იყავი, ჩემი საქმისა მე ვიცი! (ქვეში).

**ქალიშვილი**-ი ქალის (ასულის) შვილი. ჩემი ქალიშვილები არიან ორიეენი, პიჭიცა და გოგოცა (კარალ.). ჩემი ქალიშვილია ლერიკო, ვაჟიშვილია ზურაბი (ტყვ.); აგრეთვე ტუზ.

**ქაღობა** ქალიშვილობა. ინი ქაღობის კაბაა, ახლა იმის შვილს აცვია (ლაპ.). ქაღობაში გამხდარი იყო, ესლა გასუქდა (ბიწმ.).

**ქაღობილი**-ი შვილობილი ქალი. ტასო ჩემი ქაღობილია (დ. თონ.). მართამა, ჩემი ქაღობილი შეწვია თავისი ქმრითა და გადმოდიოთ (ძეგ.).

**ქამაღა, ქამან**-ი ძალა. დაფუტუროებული როა შეშა, იმაზე იტყვიან, დასაწველადაც არ ვარგა, ქამანი აღარა აქ მაგი ცეცხლსაო (ოდ.). როცა აღარ შაუძლიან კაცსა, ქამანი აღარა აქო, იტყვი-

ან (ქვ. ჭ.). ამ ცეცხლსა სულ არა აქვს ქაშალა (ქორ.).

**ქამრნიანობა** ლახტი. ქამრია-ნობას ვთამაშობდით; შემოვხაზამ-დით წრესა, დაედებდით ქამარსა, ერთი იდგა, იმ ქამარს მოვიტა-ცებდით და გავიტანდით (ძეგ.).

**ქან-ი** ფენა, შრე (ქვისა). ქვა-სა აქ ქანი. თუ იმ ქანზე გაიჭრა, ადვილათ იპობა ძრიელა (მეჯვრ.). **ქანიანი**: ბუხი ხმა აქს ქანიან ქვასა და მთლიანსა მაგარი ხმა აქს (ძეგ.). **ქანი აქვს დაბღმ-ბუღი** ხანი, ნაპრალი აქვს (კე-დელს, ფიცარს...). აი, აქ ამოღეს, ქანი აქ დაგდებული! (ზერ.); აგ-რეთვე ძეგ.

**ქანაშულა** საქანელა. კაკალზე ჩამოვებით ქანაულა და მთელი დღე ვქანაობდით (ქემ.). **ქანაშულა ხილი** ბაგირის ხილი, ბონდი. ქა-ნაულა — ხილი რო ქანაობს, ის ხილია. მართულეზუა დალაგებუ-ლი ხეები და რო გავალთ, ქანაობს (ქემ.).

**ქანს მისცემს** ოდნავ ასწევს (მძიმე რასმე); ოდნავ გაუხსნის პირს (გასაპობს). ხესა მხეთ-ქამს და ცოტათი გაახეთქამს უკვე, იტყვიან, ქანი მისცაო (ქვ. ჭ.). ცოტა-ცოტა ქანი მიეცი, რო ავ-წიოთ (ოძ.).

**ქანქარა** ბოლოქანქარა. ქან-ქარას ჩიტ ვეძახით, დადის და ბოლოს აქანქარებს (ქემ.). ქანქა-რა ჩიტივით რო დახტიხარ, არ დაილაღე? (ტყვ.); აგრეთვე კარ.

**ქანქაშიელ-ი, ქარქანქი-**

**ელ-ი, ქანქანქიელ-ი** 1. მო-ლაპარაკე, ენამოსწრებული; ეშმა-კი, მაცდური. ქარქანქიელი მოლა-პარაკე ბავშვია, რასაც არა გო-ნია, იტყვის; ისე კიდე კარგი ხუ-მარა ადამიანია, ახალგარდეებ-ზე იტყვიან (ერედ.). ე გოგო ისე-თი ქანქანქიელია, რო მარტო ენით იცხოვრეფს (კავთ.). 2. ცელ-ქი, დაუდევარი. რა ქანქაჯიელი რამა ხარ, დაუყენებელი, მოუ-სვენარი (ოძ.). დიდი ქანქან-ჯიელი ბავშვია! შეხედამ, აქ არი, შეხედამ, ხის წვერზეა მოქცეული (კარალ.); აგრეთვე დ. თონ., ზ. ხანდ., სალ., ქვ. ჭ., ძეგ.

**ქანჩ-ი** მოკლე ჯოხი თოკით (მავთულით...) შეკრულის დასაჭი-მად, მოსაჭერად. ქანჩი ხეა მოკ-ლე, გამოსთლიან, შეუყრიან და ესე მოგრეხავენ, ჯაჭვი იქნება თუ წნელი, მოქანჩამენ (ატ.). შეშას ქანჩი დაუჭირე, თორე არ იზამს, მოფონდება თოკი და გზაში და-გეშლება (წილკ.); აგრეთვე ქვ. ჭ. ძეგ.

**ქანჩაპ-ს** ჯოხით მაგრად უჭერს, ჭიმავს (თოკს, მავთულს). საქანჩი კიდევე სხვა არი, კეტია პატარა. ან წნელსა, ან მავთულს ვქანჩავთ იმითი (ატ.).

**ქანჩახ-ი** ყოჩალი, მარჯვე-ლუიზასა რამდენი რამე შეხვდა და მაინც ქანჩახია და მაინცა (ჩუ-მათ.).

**ქარა** 1. რკალი საცრისა (დაი-რისა...). ქარა არი შეკრული რკა-ლი, რაზედაც გაჭიმულია დაირა



იქნება თუ საცერი, თუ რაც არი (კაეთ.). საცერი გამიცვდა, შაგრა ისეთი კარქი ქარა აქს, ახალი საცერი გაკეთდება იმითი (არად.). 2. შემოფიცრული წისქვილის ქვის გარშემო. ქარა ის არის, რაშიც ქვა დევს. ფქვილი ზო ანიაუდება, ქარა რო არ იყოს (ატ.). 3. აკენის თავი. ქარა აკენის თავია, ორივე მხარეს მორკალული, მერე ხიდი უღევს (ტანძ.).

**ქარასინა** გარე-გარე მოსიარულე, გაქსუებული. გაქსუებული არი, ქარასინა, არც ოჯახი ვეითხვის იმასა და არც არაფერი საქმე (ზ. ხანდ.). დიდი ქარასინა კი ხარ! (ძეგ.).

**ქარაზი**-ი ეკლიანი (მცენარე). როცა შოითაუხელეფ, ავირბენ ე ჩვენ გვერდებში და გაკაფამ ცოტა ქარაფ ჯაგსა ღობეზე შამოსაყრელათა (წილკ.); აგრეთვე ზ. ხანდ.

**ქარაფშუტა** ქარაფშუტა, თავ-ქარიანი. ქარაფშუტაი ჭკუათხელსა ჰქვია (ერედ.). შენა ხარ ქარაფშუტა, შენი სიტყვა რა დასაჯერია (ერედ.).

**ქარაფშატა** ფშატის ჯიში ერთგვარი. ქარაფშატა ფშატია, მწკლარტე არი, არ იჭმევა, მახრჩობელაა (ზ. ხანდ.).

**ქარაშმოთი**-ი ქარაშოტი. დიდი ქარი რო ამოვარდება და აურევს წუთისოფელსა, ის არი ქარაშმოთი (წვ.).

**ქარი კქონდა** დიდი ძალა, გაელენა ჰქონდა. მაშინა ი კაცი

გერენალი იყო და, იცი, რა ქარი ჰქონდა? ის რო იტვოდა, იმი სიტყვა კანონი იყო (მეჯვრ.). ი წერილზედა ოთხი მარკა დამაკვრინეს რვა-რვააბაზიანი, რა ქარი ჰქონდა იმ დროს რვა აბაზსა, ვინ იცია, რას არ იყიდდი (მეჯვრ.).

**ქარმზე** მზიანი, ქარიანი ამინდი. კრამიტს გაშრობა ქარიან დღეში მოუნდება ორ დღესა, ქარმზე რო იქნება, ისე მოუნდება სამ დღესა (მეჯვრ.). თუ ნელლი არის ეს შეშა, დაიჭრება, წინდაწინ დაიდგმევა, ქარმზემ გამააშროს (მეჯვრ.); აგრეთვე ზ. ხანდ.

**ქარქარა** ძალიან თხელი (ტანსაცმელი). ქარქარა კაბით რომ წამოსულხარ, არ შეგცვია? (ძეგ.). არა აცვია რა, ქარქარა კაბის მეტი (ძეგ.).

**ქარქვმტა** ძალიან გამხდარი, გამოფშუტული. ქარქვეტა ის არი, მარტო სული რო უდგია, გინდა აღამიანი იყოს, გინდ ჭუკი (ქემ.).

**ქარშაკი**-ი შაკიკი. ნუ გეშინია, ქარშაკიკი იქნება და გაუვლის! (ქემ.). როცა შაკიკი გაქს, კაკლი ძირში უნდა გაიარო, შემოუარო სამჯერა, თან უნდა თქვა, ჩემი ქარშაკიკი იმის თავში იყევს, ვინც პირველად მზეს შეხედამსო. ყველაზე პირველად კაკალი ხედამს მზესა (ქვეში).

**ქარშინხალი**-ი ქარიშხალი. აუდარი რო წამოვა და თან ქარი ქრის, იმას ეტყვიან, დიდი ქარშინხალი წამოვიდაო (წაღვლი); აგრეთვე სურ.

**ქარჩი**-ი წერაქვი ერთგვარი. ქარჩი — ჯაგებიჲ ამოსაყრელი (წინარ.) ქარჩი მიწის, ხეების ფესვების ამოსათხრელია, ორპირია, ცალი პირი თოხივით აქვს, ყუის მხარეს წერაქვივით წვეტიანია (ძეგ.); აგრეთვე ერთაწმ.

**ქარცეცხლი**-ი ეგზემა. ქარცეცხლი აანდა, ძალიან ძნელია, ყველგან შეიძლება ამოვიდეს (ძეგ.). ფეხი სულ მთლათ დარუმბებული ჰქონდა და ექიმმა უთხრა, ქარცეცხლიაო (ძეგ.).

**ქასქანჯიელ**-ი იხ. ქ ა ნ ქ ა -  
ჯ ი ე ლ ი.

**ქაშათარი**-ი, **ქაშთარი**-ი. ავი, ანხლი. აი, შე ქაფთარო, შენა, რა დაგიშავა ავადმყოფმა კაცმა, რო წაგიგდია ენაი და ლანძღამ! (სურ.). რა ქაფათარი დედამთილი ჰყავს, სუ ცეცხლის აღში ატარებს! (ძეგ.); აგრეთვე სალ., ხაშ.

**ქაშინანი არაყი** იგივეა, რაც ჯ ა ჭ ვ ი ა ნ ი ა რ ა ყ ი. ერთი კაცი სამ მანეთ მაძლევს ქაფიან არაყში (ატ.).

**ქაშს დაიტეხს** ჩაიქაფება; ქაფი ჩაქრება. მაჭარიც დაიტეხამს ზომე ქაფსა (კარალ.). ზორც რო ვერ მოხდი, ქაფს დაიტეხამს (ზ. ხანდ.). ძლივს არ დაიტეხა ქაფი, რამოდენა საპონი წაგისვია (კარალ.); აგრეთვე ძეგ.

**ქაჩა ბალახი** ერთგვარი. ქაჩა ეკალა ბალახია, ეკლიანი ყვითელი ყვავილი აქვს, წერილი ფო-

თოლი; საქონელი ჭამს, როცა ქორფაა (სალ.).

**ქაჩალი (ქაჩალა) ტარო (სიმინდი)** თხელი, მარცვალნაკლული ტარო. ქაჩალი ტარო — აქა-იქა რო აქ მარცვალი და მეტი წილი ნაქუჩია (ატ.). ქაჩალა სიმინდსა, აქა-იქ რო აქ მარცვალი, იმას ვეტყვიო (ატ.).

**ქაჩანჩრახსა** ავი, კაპასი, ან-ჩხლი. ქალის დედა ქაჩანჩრახს იყო ძიენა (მერ.). ი ქაჩანჩრახს დედანთილის ხელში ან კი როგორ არი ჩემი მაყვალაი ცოცხალი (მერ.).

**ქაჯამ**-ს საქაჯავში, წნეხში წურავს (ჭაჭას). სანამ მე პატარა ვიყავი, ქაჯამდა მამანემი და იმის წინათი კიდევა მამა-პაპას ქონია საწნახელი (მეჯვრ.); აგრეთვე დის.

**ქედანა** ზაქი, რომელსაც მკერდზე თეთრი ზოლი აქვს. ჩვენი ზაქი ნიკორაც არი და ქედანაცა. ექა, აი, ყელზედა, გულზედა თეთრი ზოლი ააქს (მელვრ.).

**ქედცივი**-ი, **ქედცივა** 1. ვინც თავს უფრთხილდება, ერიდება დალლას, გარჯას. შენა ქედცივა კაცი ხარ, იმითინა რომა, არ მუშაობ, თავ უფრთხილდები! (ლამ.). ერთი ქედცივი და უქელო კაცია (ზ. ხანდ.); აგრეთვე ძეგ. 2. გულგრილი, უდარდელი. ნეტა ეგეთი ქედცივი ხალხი რამ დაბადა, ქაა, ერთი თვი ზაპახსი აღარ ექნებათ პური და ეგენი კი ყუდროზე სხედან! (წილკ.). იმას გინ-

და შესნივლე, გინდა არა, ისეთი ქედცივია, რო ყურსაც არ შეიბერტყამს ისა (ძეგ.); აგრეთვე მეჯვრ.

**ქერის ორმო** საახალწლოდ გამომცხვარი საწესჩვეულებო პატარა პური ერთგვარი. ქერის ორმოსა შიგ ჩირს, ჩამიჩს ჩაატანდენ; რომელიც გაფუედებოდა, კარგი გამოცხვებოდა, კარგი მოსავალი იქნებო პურისა, ქერისა (ძეგ.).

**ქერიჭამიანობა** საბავშვო თამაში ერთგვარი. ქერიჭამიანობა თამაშობაა. ერთი დაიხუჭება, სხვები რიგრიგობით ჩაარტყამენ სელს ზურგში. დახუჭულმა უნდა გამოიციოს, ვინ ჩაარტყა. ვისაც გამოიცინობს, მერე ის დაიხუჭება და სხვები ურტყამენ ზურგში, ვიდრე ისიც არ გამოიცინობს (ქე.ჭ.); აგრეთვე ახალშ., ძეგ.

**ქერქეტინა** ხმელი (პური). გამხმარ პურ ქერქეტინა ჰქვიან (მერ.). ქერქეტინა პურია და ვერა ვჭამ (ძეგ.).

**ქერქეტინავლებ-**ა ხმება (პური). თუ ცოში ჩვილი მოზილუე, არ ვარგა: ჯერ ეს ერთი, თონეში იდლიძება, მეორე ისა, მალე ქერქეტინავლება, ხმება (მერ.). უქერქეტინავლება: კილობანში არ მიწყვია პური და მალე მიქერქეტინავლება (მერ.).

**ქერქიანი ჩალა** ჭაობის მცენარე ერთგვარი; ხმარობენ სა მურნეო ნაგებობების დასახურად. ქერქიანი ჩალა არის მსხვი-

ლი, აი, საბძლებს რო ახურამენ, ბოსლებს. ჭილობის ჩალას ქალები ზელით გლეჯენ და ქერქიან ჩალას სჭრიან ნამგლითა (ბაზ.). აი, გვიხურია ჩვენ ქერქიანი ჩალა საბძელსა (ბაზ.).

**ქესმა** დანაყოფი, ნაკვეთი ვენახისა. ვენახი დაყოფილია კვლებათა სიგრძივით. კვლებია დაჭრილი, ქესმებს ვეძახით (მუხრ.). მთელი ვენახი შაიძლება ორ ქესმათაც იყოს გაჭრილი, სამათაც (ლამ.).

**ქეშელა 1.** მომცრო რუმბი (თიხისა, მოზურისა...). ტიკია, ესე, ორი-სამი ფუთი რო ჩავიდე, მეტი არ ჩავა, ქეშელას უძახით, თხის ტყავისა არი (ქე.ჭ.). ქეშელას ვეძახდით კიდე, ეგაც პატარა საქონლისაა, მოზური იქნებოდა, ან პატარა ხარი იქნებოდა, კუპრამდნენ და ისე ხმარობდნენ; ორკოკიანი, კოკანახვერიანი იყო (ოდ.). **2.** ხმარობენ მუცლის აღსანიშნავად აგდებით. მოშივდა ქეშელასა და გამოვიქეცი ბალიდანა (კარალ.). სახლში რო მოიტანოს, თავის ოხერ ქეშელას რალა ჩაყაროს?! (ტყე.); აგრეთვე კარ. **3.** გაუმამდარი, ღორმუცელა. ნამდვილი ქეშელა ხაარო, ეტყვიან ხომე, ვინც ბევრსა ჭამს (ერედ.). ვერ გაამეხი, ქეშულ! (ბიწმ.); აგრეთვე ლამ.

**ქენა** უნაგირის ბალიშზე გადასაფარებელი მომცრო ხალი. ქენაა ვეტყვით უნაგირი ბალიშზე გადასაფარებელსა. ფერადი ნარ-

თისაგან არი მოქსოვილი ხალიჩა-სეეფა, გარშემო ნაპირებზე ფუნჯები ააქ გაკეთებული ლაზათი გულითვინა (წილკ.). ქენა მქონდა უნაგირითვინ ისეთი, რო მართო ერთ ცხენათ ისა ღირდა (წილკ.).

**ქენერაობ-ს** ყოყლოჩინობს, დიდგულობს. ჩაცმული ბიჭი იყო, ყველგანა ქენერაობდა (კარალ.). ნეტა ვისი ქონებითა ქენერაობს? (ტყვ.) **ქენერაობა:** ქენერაობა უყვარდა და ეგ მოუვიდა ბოლოსა! (კარალ.); აგრეთვე ქვ. ჭ.

**ქვა აქვს და პირი ეფ-ყალვის (ეფყალება)** ძალიან ღარიბია. ძალიან ღარიბი ვინცარი, იმაზე იტყვიან, ქვა აქვს და კბილი ეწყალებაო (ქვ. ჭ.). ქვა აქვთ და კბილი ეწყალავით, არც საჭმელი აქვთ, არც სასმელი, სხვი ხელში შემყურეები არიან (კავთ.); აგრეთვე ბროწლ., საღ., ქემ.

**ქვაბი არწყევს** არყის გამოხდის დროს მილში ნახადი გადმოვა. არაყს რო ხდიან ზომე, ბევრს შეუკეთებენ ცეცხლსა, მეტი ცეცხლი რო მოუვა, რაც უნდა გამოხადონ, არაყთან ერთად ისიც გადმოვა მილიდან, იმაზე იტყვიან, ქვაბმა არწყვიაო (ქვ. ჭ.). გახედე, ქვაბმა არ არწყვიოს, ბევრი უკეთია (ქვეში); აგრეთვე ზ. ხანღ., ქემ.

**ქვამსხალა** მსხლის ადგილობრივი ჯიში ერთგვარი. ქვამსხალა მსხვილია, ყელიან გოგრას ჰგავს, ცალი გვერდი წითე-

ლი აქვს, ცალი ყვითელი, ქვასავით მაგარია, შემოდგომაზე კრეფენ და ჩალაში აწვობენ, რბილდება (ძეგ.); აგრეთვე ზ. ხანღ.

**ქვანაკოლ-ი** ახალ მოკოდილზე დაფქული. ქვანაკოდი ხრილი უჭმევიათ ღორისთვინა და მამკვდარა (ზერ.).

**ქვას კვნეტავს (დაკვნეტავს)** ცივ უარზეა. რო გაუხსენებენ კაცსა, ქვასა კვნეტამს, არ გამაგონოთო (ქემ.). იმ ღმერთძაღლმა გიგუამა ერთი ჩემი გოდორი მიიშვილა, პირზე დაუადექი, მაგრამა ქვა დაკვნეტა (ლოესი); აგრეთვე ატ., კავთ.

**ქვას უკბინა** გაჯიუტდა, გაკერპდა, გაქვაუდა. რამდენი ეხვეწენ, რამდენი ემუდარენ, არა და არა, ქვას უკბინა და ფეხი ვერ მოაცვლევინეს (ქვ. ჭ.). ქვას უკბინა და არა თქვა (ქემ.). **ქვას არის ნაკბენი:** დედაკაცო, დანებებ თავი, ვერა ხედავ, ქვას არი ნაკბენი (ატ.); აგრეთვე ტყვ.

**ქვას ქვეშ იყოს!** ამბობენ გველის ხსენებაზე. ქვას ქვეშ იყოს იმისი ხსენება, იმხელა გველი დავინახე, რო! (ტყვ.). ქვას ქვეშ იყოს ჩვენი მძრახველი, წუხელი სიზმარში გველი დამესიზმრა (კარ.); აგრეთვე ძეგ.

**ქვატალახალმისილ-ი** ქვითა და ტალახით ნაშენი ნაგებობა. კირით რო შენდება, ის ზო ქვითკირია, ქვატალახალმისილი უბრალოთ აშენებულია, ტალახი-

თა (ქვ. ჭ.). პატარა სახლი იყო, ქვატალახალესილი (ქვ. ჭ.).

**შვა ჩაასკდა, ჩაშვარდა** ამბობენ, როდესაც დიდხანს არ მოიხარშება რამე. რა ქვა ჩაუვარდა ამ ლობიოსა? დილას აქეთია ვხარშამ და ჯერაც უშია (ქვეში). შუადღის აქეთია დუღს, რავი, რა ქვა ჩაასკდა, რო ჯერ ვერ მაიხარშა? (რუისი); აგრეთვე ოძ., ტყვ., ქემ., ქვ. ჭ.

**შვაც შვაა და მსენც შვაა** იგივეა, რაც ქვის ნატეხი. ოპოპოპო, ვაი იმათი ბრალი, ვის ოჯახშიც ვგ შვეა! ქვაც ქვაა და ესეც ქვაა, ვერაფერს გააგონებ (ძეგ.).

**შვაცსრილა** მსხვილნაჩერეტებიანი ცხრილი. ცხრილით პურს ვაკეთებთ, ცხავი უფრო სხვილია, ქვაცხრილა კიდევ უფრო სხვილი (ძეგ.). გამონიჩბულ პურს ქვაცხრილაში გაატარებენ, პური გადის, ჩელხი კი რჩება ქვაცხრილაში (დ. თონ.).

**შვაწურია** ძუნწი, ქვაწვია. რა ქვაწურია ხალხია, ქაა, ერთი ბალდი უგდიათ და იმასაც ხმელა პურზე ართმევენ სულსა (წილკ.). ისეთი ქვაწურია არი, ერთი ჭიანი ქლიავი რა არი, იმას არ გამაიმეტებს (მეჯვრ.); აგრეთვე იგ.

**შვანორა** ქვის ხორა, დახო-რავებული ქვა. რო ახორავებენ ქვასა, ქვანორაა (ძეგ.). ამ ქვანორით ერთ პატარა სახლ ჩაქობამს გაჭირებული კაცი (ქვეში).

**შვეპრი დახედავს** ნაკლულ

ქვეერში ღვინოს გემო შეეცვლება, ბრკეს გაიკეთებს. იმ დღეს რო სტუმრები გვეყვანდნენ, მოვხადეთ და დახედა ქვეერმა (მეჯვრ.). **შვეპრის დახედა**: ნაკრული როა, ქვეერის დახედა ის არი, გაფუჭდება ღვინო, პრკეს გაიკეთეფს (ოდ.).

**შვეყანას მორწყავს 1.** უხვად გასცემს (რასმე). ბევრი რო აქ, წველა არი, ხილი არი, რამეი და ყველას დაურიგეფს, იტყვიან, ქვეყანა მორწყაო (ბროწლ.). იმდენი ვაშლი მოკრიფა, ქვეყანა მორწყა და მე არ მაშიტანა (ბროწლ.); აგრეთვე კავთ. 2. გააერცელებს (ამბავს...). სათქმელი ამბავი რო არ არი და რო ქვეყანას მოსდეფს, ვიტყვიო, მე არ მინდოდა სათქმელათა და იმან ქვეყანა არ მორწყაო?! (ბროწლ.); აგრეთვე სამთ., ქვ. ჭ.

**შვიდან შვას გამოიღებს** გაუჩენელს გააჩენს, შეუძლებელს შეიძლებს. სუ რო კაპიკი არა ჰქონდეს, ქვიდან ქვას გამოიღებს და იშოვნის (კარ.). ჩემი ქალი ისეთია, ქვიდან ქვას გამოიღებს; იმდენი ქნა, ბავში ფეხზე დააყენა (ზერ.); აგრეთვე ტყვ., ძეგ.

**შვითი შვამდინ ხმა არ ამოუღია** ენა არ დაუძრავს, სიტყვა არ უთქვამს. ისე გაჩუმდა, რო ქვითი ქვამდინ ხმა არ ამოუღია, შეეტყო, რო მტყუანი იყო (ბროწლ.).

**შვირიტი-ი** წერილი თესლი (ხილისა, ბოსტნეულისა). თევზის

ქვირითივით წვრილი თესლები რასაცა აქს, იმაზე იტყვი ქვირითსა (ტყე.). ლედესა, ვაშლსა, სხალსა, კომშსა, ემაგითანეფსა გულში რო წვრილი თესლი აქ, წენიკი კურკები, ის არი ქვირითი ხილისა (ერთაწმ.); აგრეთვე კარ.

**ქვირითა** წვრილი მარცვალე ყურძნისა (მსხვილ მარცვლებს შუა). ქვირითა საფერავსაცა აქ, წენიკები ურევია სსვილ მარცვლებში (ზ. ხანდ.). **ქვირითია**-ნი: წელიწადი მოვა, ქვირითიანი მტევანი იქნება (ზ. ხანდ.).

**ქვის ნატენი** კერპი, ჯიუტი. ისეთი ქვის ნატენია, რო გადააკვლე, წყალს არ მოგაწოდებს (ძეგ.).

**ქვის ჯამი** მოუჭიქავი თიხის ჯამი. ქვის ჯამებს ვეძახით მოუკალავ თიხის ჯამსა (ძეგ.). ჩემი ქმარი არც ქვიძ ჯამზე ძგამდა, თუ ქაშანური არ იყო (ბაზ.).

**ქსინი**-ი, **ქსინი**-ი ჩუმი მავნე, აბუზარი. რო შამხედლო, ეგეჭკვიანი ჩანს, მაგრამა ეგეთი ქვინია, რო ცალი და ბადალი არა მყავ (წილკ.). შეხედლე, რა ქვინია, ლამის შეჭამოს ბაღლი! (ბიწმ.); აგრეთვე ლამ.

**ქია**: **ვანი შენს ქიასა!** წამოძახილი; გამოხატავს გაოცებას, მწუხარებას. ვაი შენს ქიასა, როგორ გიხდება! (ატ.). ვაი შენს ქიასა, რა დაგემართა? (ატ.).

**ქიასმარუსია ჩაბპული** დიდი რია-რიაა. ისეთი ქიასმარუ-

ხი იყო ჩაბპული, რო ძადლი პატრონს ვერა სცნობდა (ქორ.).

**ქიასმარუსი**-ი იხ. ფიახფარუსი.

**ქივპივპა** არასერიოზული, ცერცეტი. მსუბუქ ადამიანს ეტყვიან ქივქივასა, რო გელაპარაკება და ხან აქეთ გადაპკრავს, ხან იქითა (ატ.).

**ქილუნა**, **ქინცულა** პატარა ქილა (უყურო). პატარა უყურო ქილები იყო სომე, ქილუნას ვეძახდით, ერბოს ჩავასხამდით, მაწონსა, ღორი ქონსა (ერთაწმ.). პატარა ქინცულა მქონდა და გამიტყდა (ძეგ.). ფულს რო ინახამდნენ წინათ, ქილუნებში ინახამდნენ (ზ. ხანდ.); აგრეთვე მეჯვრე, საკორ.

**ქიმიტი (ქიმიტი) სჭირს (შეაყრება, დაეცემა...)** დამშეულია, დაქიმიტებულია. რამხელა ლუკმებს იღებ, რა ქიმიტი გჭირს? (დ. თონ.). მოვარდა ფათაფუთითა, თითქო ქიმიტი შეპყრიოა, დაისხა შეჭამანდი და დაუწყო თქვლეფაი (მერ.). რა ქიმიტი დაგეცა, რო აღარა ძღები (ოდ.). განა მაგათსავით ქიმიტი შამეყარა, განა მაგათსავით უნახაუე გავხლები! (ლამ.); აგრეთვე ძეგ.

**ქიმიტბაწყვიტილი**-ი ღარიბი, ლატაკი, არაფრის მქონე. შავას ქალს როგორ ვავატან, ქიმიტბაწყვიტილები არიან, არაფერი მოეძვეებათ ოჯახშია (მეჯვრ.).

**ქიმიტნაპრაპ**-ი დამშეული,

დახარბებული. ქიმიტნაკრავი რო  
სადმე საჭმელსა ნახამს, გეგონე-  
ბა, არსად არაფერი უნახამსო,  
უნსავივით მაიქცევა, ხამივითა;  
გაქიმიტებულსაც ვიტყვით ზოლ-  
მე, ქიმიტნაკრავსაცა (ლამ.).

**ქინაობ-**ს ამაყობს, ამპარტავ-  
ნობს, ტრაბახობს. რასა ქინაოფ,  
შე კაი კაცო, შენა სხვაზე მეტი  
რითა ხარ? (ტირძ.). იმ დღეს რო  
ქინაობდი, აბა, მოდი, დამეჭიდე!  
(ტყვ.).

**ქინულა** პატარა ქილა. ბაზ-  
რობაზე ქინულა ვიყიდუ, მოვიტანე  
და გასდის ი გასაოხრებულსა,  
ღვენთავს (რუისი); აგრეთვე კავთ.,  
ტყვ.

**ქინცა** ერთი ბეწო, ერთი ნამ-  
ცეცი. როცა ოჯახში გამოიღევა  
ან ლობიო, ან ზორბალი, ან სხვა  
რამე, რაც უნდა იყოს, იტყვიან,  
ქინცაც აღარ არიო, ესე იგი სუ  
აღარაფერიო (კავთ.). ისე გამო-  
მელაა ერბო, ქინცა აღარ არი  
(კავთ.).

**ქინცი-ქინცი**-ი ნამცეცხად,  
ნამტვრევეხად, ნაკუწუხად. გულ-  
მოსული როა აღამიანი და რაც  
მოსუდება ხელში, დაამსხერევეს,  
დაამტვრევეს, დახვეს წვრილათა,  
იმაზე იტყვიან, ქინცი-ქინცი აქ-  
ციო (საგურ.).

**ქინძრატა,** **ქინძრუტ-**ი,  
**ქინძრუტა** ყანის სარეველა ბა-  
ლახი, ქინძარა. ქინძრატა ყანებ-  
შია, ქინძისნაირი ფოთელი აქ,  
მაგრამ ქინძათ არ არი სახმარი,  
პალახია (კულბ.). ქინძრუტსა გა-

რეულ ბალახ ვეტყვით, ქინძსა  
მაგამ, სუნიც ქინძისა აქ (ლამ.).  
წრევანდელითანა სუფთა ყანები  
არა წელიწად არა ყოფილა, ქინძ-  
რუტაა მეტი არა ვერია რა, ისაც  
აქა-იქ (წილკ.).

**ქირმიშ-**ი ირიბი, ალმაცერი.  
ოთხკუთხელი უნდა გამომეჭრა და  
ქირმიში მომივიდა, ცოტა ცერათ  
(ზ. ხანდ.).

**ქლევა** ქიმებმემოთლილი კო-  
ჭი, ქლესა. კოჭს გვერდებს გაუ-  
ხეხამენ ქვაზე; რო დადაბლდება,  
მერე კარქა დაჯდება. ვერე გვერ-  
დებგათლილ კოჭსა ქლეფას ემა-  
ხიან (კავთ.). აბა, ერთი ჩემი ქლე-  
ფა კოჭი ამოვიღო, ენახოთ, ვინ  
მოიგებს! (კავთ.).

**ქნულო** ბევრი სიარულის მო-  
ყვარული, მაწანწალა. მიხა ერთი  
ქნულო იყო. ადგა, აკრა ცოლმა  
კუკუ და გააგლო, საცა იყავი, ისევ  
იქ წადიო (მერ.).

**ქობა** ჭურჭლის ძირში ჩარ-  
ჩენილი ცოტა რამ. ტომარა იქ-  
ნება, თუ გოდორი იქნება, თუ რაც  
იქნება, რო დაეცლით და ძირში  
რო დარჩება რამე ცოტა, იმას ე-  
ტყვიან ქობასა (ლამ.) თუ გინდა,  
რო ღვინომ არ დაგძალოა, ყვეელ  
ტაქანზე ქობა უნდა გაუშო ძირ-  
შია (წილკ.).

**ქოთობ-**ს ჩხუბობს, ქოთქო-  
თებს. ორთავენი მქოთობენ და რა  
ვიცი! (საგურ.); აგრეთვე იკ.

**ქონს აჭმევს** გაქონავს, გა-  
პოხავს. წისქვილის ქვას რო გა-

ხეშავთ, მერე ამას ქონს ვაჭმევთ, ქონს წაუსმევთ (ძეგ.).

**ქორაშ-ი** სარეველა ბალახი ერთგვარი. ქორაფი იკეთებს ფიჭვის მარცვლისნაირ თესლს, თუ ერთი გაჩნდა ბაღში, მერე თითონ ამოდის, თესლი რო ჩაიპნევა (ქეეში). გემოთი ქორაფი ისპანახსაცა სჯობიან (ქეეში).

**ქორქალა** ჩიტი ერთგვარი. ქორქალა ჰქვია, ფრინველია ისეთი, ჰო, ჰო, ჰო — იძახის, გეგონება, საქონელს რეკავსო, მერე ჩაიღრუტუნებს ყელში, არ არი დიდი, ჩხიკვის ხელაა (ხაშ.).

**ქოსტი-ი** მამალი დაუკოდავი თხა. ბოტი და ქოსტი ერთია, ბოტი უფრო მოვლილია, სამი-ოთხი წლისაი (ზ. ხანდ.). ქოსტის რჩოლისაგანა მაქ ეს კოპი (ნიჩბ.).

**ქოშკია** ავი, მოჩხუბარი. დიდი ქოფკიაა ეგაო — იტყვიან უფრო დედაკაცზე, სუ რო ჩხუბოფს, იწყევლება (საგურ.). ის ქოფკია, ის სულძადლი, ისა, რაზე ჩხუბობდა?! (ძეგ.); აგრეთვე ყანჩ.

**ქოშიმაშ-ი**, **ქოშმაშ-ი** წუხილი, დარდი. ამანაც დაიწყო ქოშიმაში (ქორ.). რა ქოშმაში ხარ, რაღაც დარდი გაქ (ძეგ.); აგრეთვე ზ. ხანდ.

**ქოშიმაშობ-ს** წუხს, დარლობს, შფოთავს. ჯავრი რო ექნება ვინმესი და ვერ აკეთებს ვერაფერსა, გაკეთებაც უნდა, იტყვიან, ქოშიმაშობსო (ქორ.). რაღაცასა ქოშიმაშობს ძილში (ხოვ.).

**ქორახაშ-ი**, **ქორახაშპარო-**

**შ-ი**, **ქორახაშპახაშ-ი** ძველი, დამტკრეული ჭურჭელი. საღვინე არა მაქ და ეგეთ ქორახაშეს კი გათხოვეფ (კავთ.). რა ოხრათ უნდა ამდენი ქორახაშპაროები ამ ღმერთგამწყრაღლსა, მოუგრუებია და მთელი მარანი დაუხაფრია (ტყვ.). რა ქორახაშპახაშები შეგინახია?! (ძეგ.); აგრეთვე კარალ.

**ქორჩორზე** **ატრიალქს** ითქმის ძლიერი ტკივილის დროს. მოვიწამლე და ისეთ დღეში ვიყავი, სუ ქორჩორზე მატრიალა (ძეგ.). ასტკიედა საწყალსა ღვიძლი, სუ ქორჩორზე ატრიალა (მერ.); აგრეთვე წილკ.

**ქართილ-ი** შემოდგომის ქერი. ქერი ორნაირია, საშემოდგომოთ რომელიც ითესება, აქა ქრთილს ეძახდენ (ქემ.). ქრთილი ოთხკუთხეღია, მეორე ქერზე მეტი გამოსავალი აქ (ღის.).

**ქრისტეს** **პერანგი** **გახდებ** **გაჭიანურდება** (რაიმე საქმე) მაგათი ბინის რემონტი ხო ქრისტეს პერანგი გახდა, როდის მორჩებიან! (კარ.). რა ქრისტეს პერანგი გახდა ეს ფაკეტი, როდის უნდა დაამთავრო? (ტყვ.); აგრეთვე ძეგ.

**ქრიტინ-ი** ხიხინი, ხელებაცხვარმა იცის ქრიტინი, რო დაისიცხება (კარ.). ქრიტინით მოვარდა, ღელაჩეში ავათ არიო, თითონაც გაციებულა (ტყვ.).

**ქსპინ-ი** იხ. ქვსინი.

**ქშ-ი** 1. დედალი ბურვაკი (ახალშ.). 2. მსუქანი ზორცი (ლო-



რისა). ბურვაკები რო დაგვიკლამ, კაი ქუბი ხორცი კქონდაო, გვითქვია (სად.).

**ქუღ-**ი წისქვილის ზედა ქვის შუაგულში ჩადგმული თუნუქის მილი (ძაბრივით), რაშიც მარცვალი ცვივა. ზედა ქვას ძაბრივით აქვს ჩადგმული თუნუქი, რომელშიც მარცვალი ცვივა, ქულს ვეძახით (კაპრ.). რაშიც ქულია ჩამჯდარი, იმას გული ჰქვია (კაპრ.).

**ქუღი დაუბრუნდება** დაიდუღებს, დაილექავს (თავზე მოგდებულ ქაფს, ჭაჭას...). ჯერ ქუღი კი არ დაბრუნებია ე საარაყესა და სული კი მკავეთ დადცემს თითქო (წილკ.). ქუღი დაუბრუნდა და გამოსახდელია (ძეგ.).

**ქუღს შვიკრავს** დუღილისას თავზე მოიგდებს (ქაფს, ჭაჭას...). მალე კი შაუკრამ ქუღი შენ საარაყესა, ცოტა ზუ არ მოგივიდა ალაო (წილკ.). რო აღუღდება, ქულს შეიკრავს, მერე სუ დაწუნდება, როგორც კვერცხის გული, ისე გახდება, და მაშინ არის გამოსახდელი (ძეგ.).

**ქუთმათი-**ი ბევრი მცირეწლოვანი შვილი, წვრილშვილი. წვრილშვილი რო გახდება, რო დაგვხვევიან ქუთმათები, მაშინ ვერე აღარ იმღერებ (ტყვ.). სუ ქუთმათები ჰყავს, პატარეები, აბა, რომელი მოუხმარება საქმეში? (კარ.). **ქუთმათობა:** ამოდენა ქუთმათობა მკავე და რა უნდა გააწვლდე იმათა (საგურ.). მთელი უბნის ქუთმათობა ჩვენ ეზოში თა-

მაშობს და ეს ლოგინიდან გასცქერის, მაშ ცოლო არ არი? (ტყვ.); აგრეთვე ოძ., ძეგ.

**ქულიკანა, ქულკანა, ქულქანა** პატარა მჭადი (ზოგჯერ მარილითა და ხახვით შეზავებული). საკუთარს რო მოაზელამ ჭადი ფქვილსა, მარილს უზამ, ხახვსა და მიაკრამ თონეზედა, გინდა ფეჩზე გამააცხობ, ემას ვეტყვით ჩვენა ქულკანასა (ერთაწმ.). ისე ღარიბები არიან, რო ქულიკანის ჭამითა ღრძილები აქო გადატყაული (კავთ.). ძალოჩემებმა ისეთი გემრიელი ქულკანას გამოცხობა იცოდნენ, ნაზუქს მერჩია (ძეგ.); აგრეთვე ზ. ხანდ.

**ქულუნბ-**ი დიდი წერაქვი, რომელსაც ორივე პირი წვეტიანი აქვს. ქულუნგი, რამდენიც დიდი არის, ძალა აქს; რეა-ათგირვანქიანიც რო იყოს, კარქია (მეჯვრ.).

**ქუნთა** რბილი, მოქნილი რამ. ჩურჩხელასა ცეცხლზე რო დადეფ, ისეთი გახდება, როგორც ქუნთაი (ხაშ.). **ქუნთასაპიტი** პური რბილი, ფუნწულა პური. ეხლა ეგენი თეთრ ქუნთასავით პურსა ჭამენ, შვილო, რატო არ უნდა ისწავლონ? (არად.).

**ქუნცა-ქუნცა** ნამცეც-ნამცეც. მააცალა ფიცარი, სუ ქუნცა-ქუნცა აქცია (ნოს.).

**ქურა** მოკლეყურებიანი ან მოკლერქებიანი (ცხვარი). ჩვენცა გყავდა ერთი ქურა ცხვარი (ზ. ხანდ.).

**ქურჯატი**-ი იგივეა, რაც ქუთ-მათი. ღმერთმა ბარაქა მისცეს პეტრესა! იმი ქურფათებსა გაძლება არ უნდა? (კავთ.). მამაჩემ ცხრა შეილი ჰყამდა, ქურფათები (ვარ.). **ქურჯატიობა**: წველა კი გვაქ, მაგრამა აბა ამ ქურფათობას დახედე, ამათ რაჟე გადარჩებათ? (კავთ.).

**ქუსია** ხის დიდი ჯამი. ამიღლებენ ზომე შრატთან ყველსა, ვისაც როგორ შეესურვება, უნდა გადაწუროს შრატი, უნდა ეგრე ჭამოს ქუსიათი (ოდ.).

**ქუსტარაბეჩა** პატარა ქუსტარა შალაშინი. ქუსტარაბეჩა იარაღია, სალაშინია, ჩარჩოებს რო ამოიღებს (ქემ.).

**ქუფთა-ქუფთა** ნაგლეჯ-ნაგლეჯ, ნაფლეთ-ნაფლეთ. ღორს ბაეშეის შარვალი გაუთრევია და სუ ქუფთა-ქუფთა უქცევია (დ.თონ.). მე მაგ კაბას კიდე ჩავიცმევდი, შენ კი უკვე ქუფთა-ქუფთათ გიქცევი (კავთ.).

**ქუჭღებ**-ა ჯდება (ქათამი). როცა ქათამი ქუჭღება, ბოლოს ძირს დადებს, ფრთებს, მხრებს მალლა ასწევს ზოლმე (ტყვ.). მიჰყე, შეილო, ქათამსა, მიჰყე, დაიღალა, ქუჭღება (კარ.); აგრეთვე ტეგ, ტეზ.

**ქუშ**-ი ღრმა ძილი. ქუში გაუჯდათ ამ ვერანებს, ძილს მიეცნენ, აღარ იღვიძებენ (თამ.). რა ქუში შეეყარა? (ძეგ.).

**ქუშ**-ი<sup>2</sup> ბალახი ერთგვარი. ბალახია ქუში, სუ დაბალია, არ არი

კარქი, მყრალია (დად.). საცა ქუში არ იყო, სუ წმინდა ბალახი მოიღა (დად.).

**ქუში**-ი ჩინახვი ფრინველისა. ქუში მარტო ფრინველებს აქვთ: იხვსა, ბატსა, ქათამსა (კავთ.). ქუშები გახეთქვაზე აქვთ და მინც სახში მოიწევენ ეს ქათმები (კარალ.). ქათამს რო დაკლავ, გაპუტავ, გატუსამ, ჯერ ქუში უნდა ამააცალო (ზ. ხანდ.).

**ქუშიწო** სიმინდის ყვაილი, ქოჩორი. მალლა რო აქ სიმინდსა წვეროი, იმასა ჰქვიან ქუშიწო (ქემ.). სიმინდი, ქუშიწოს რო ამოიტანს, ზრდას ამთავრებს (ბრ.).

**ქუცმა-ქუცმა** ნაკუწ-ნაკუწ, ნაკუწებად. აი, იმასა ისე დაგიჭრი, სუ ქუცმა-ქუცმა გიქცევ (ატ.).

**ქუცუც**-ი ღეზი ქათმისა (ღელაღსაც აქვს). (დად.).

**ქუსილი**-ი ხმამაღალი ტილი, გლოვა, მოთქმა. დიდი ტირილი და ქუსილი აქთო, — ვიტყვით სომე, როცა რაიმე უბედურება უდგიათ და სწუხანა, სიკვდილზე არი დიდი ტირილი და ქუსილი (არად.). იმისთანა ქუსილის ხმა გამოდის იმათი სახლიდანა, რო ქრისტეს ტირილი უდგიათ (კარალ.); აგრეთვე ძეგ.

**ქუშტა** ქარაფშუტა, თავქარიანი. ერთხელ არ დაჯდება და წყნარათ არ დაილაპარაკეფს, საქმეა კიდე და არ დაფიქრდება, როგორ მოიქცეს, ესე ღელაბუდიანათ ქუშტები როგორ არიან?! (კავთ.). რა ქუშტაა, ქაა, რა დაუფიქრებელი სიტყვა აქ! (ძეგ.).

ღ

**ღამეულ** ღამიანად. შე ვთქვი, რა ექნა, ამ ღამეულ ვინა ღაპარაკობენ (ქემ.).

**ღამის კუნძი** ღამე დასაწყავი დიდი კუნძი. ღამის სათევათ რო ვიყავით ქოთახეშია, გეპძინა ღამე ცეცხლი პირასა, ენთო ნუბაზე ი ღამის კუნძი დილაშდინა (კავთ.); აგრეთვე ძეგ.

**ღანჭო** უშნო, ულამაზო (აღამიანი). უი, შე ღანჭო, შენა! (ქემ.).

**ღარიანი კრამიტი** ღარი-სებური კრამიტი, თავვიწრო და ბოლოგანიერი, სახურავის კურტნისათვის. ღარიანი კრამიტი ესურება ორპირათ (ბაზ.); აგრეთვე მეჯვრ., საშაბ.

**ღარკაშ-ი** ყავრის ან კრამიტის დასაწყობი ლატნების საყრდენი ძელი შენობის თავზიდან სარტყლამდე. საბძელი გვიდგია და იმასა აქ ღარკავი, ზედ ლატნებს დავაწყობდით და კრამიტით დავხურავდით (წვ.); აგრეთვე ბრ.

**ღარღალ-**ი აჩქარებული, ხმაურიანი დინება (წყლისა...). რავი, დაინასე, ღარღალი გააქ წყალსა და! (ქემ.).

**ღარძლა** მატყლის მსხვილი ნართით, ღაზლით თხლად ნაქსოვი (ტომარა). ღარძლა მეშოკ ვეტყვეთ მოდილო მეშოკსა, ძან თხლათ არი ნაქსოვი, მსხვილი ძაფითა (წილკ.). ერთი ოთხიოდ ღარძლა მეშოკი თუ არ ვიყიდეთ,

ამ ზაფხულა კიტრ ვერათი ვატარეთ! (წილკ.).

**ღაღან-**ი კვერცხისმღებელი ქათმის ერთგვარი ხმიანობა. ქათმის კაკანი სხვა არი, ღაღანი სხვა არი (წვ.).

**ღაღანა** წითელი; წითლიანი ჭრელი. წითელ-ყვითელი რო იქნება და ძიენ ჭრელი ყვავილიანი, ღაღანა ჩით იმას ვეტყვით (მეჯვრ.). ისეთი ღაღანა. ჩითიი კაბა ეცო ფეფოა რძალსა, ძალაზე უხდებოდა (იგ.); აგრეთვე ღამ., წილკ.

**ღაღანებ-**ს, **ღაღანობ-**ს წყნარად ხმიანობს (კვერცხის მღებელი ქათამი). რო მოიქცევა, გასუქდება, კვერცხის დებას დაიწყებს, ღაღანოფს, როგორც აღამიანმა იმღეროს (წვ.). დეღალი საკვერცხეთა ღაღანოფს (ბროწლ.); აგრეთვე ბრ.

**ღაცა გოჭი** ნაბოლარა, ჩია, გამხდარი გოჭი. რა ღაცა გოჭით გატრუნულხარ! (ბიწმ.).

**ღაჯ-**ი ფესვების ხშირი განშტოება. ღაჯები აქ აქეთ-იქით წასული ხესა (წვ.). **ღაჯიანი:** ფესვები რო აქ წასული, ღაჯიანი ხე არი (წვ.).

**ღაჯაჯ-**ი ჩიჩვირი (ინდაურისა). ინდოილი რო აიფხორება, ღაჯაჯს ჩამოუშვებს (ბროწლ.). ღაჯაჯი ამოსდიოდათ და ავათ გამიხდა ოცი ჭუკიანი (ბრ.).

**დელიანი მიწა** წყლის პირას მდებარე, მოსავლიანი ნაკვეთი (მიწისა). დელიანი მიწები ჩვენცა გვაქ, დაბალი არი, აქეთიქით მთები აქ (ძეგ.); აგრეთვე ტირძ.

**დემფეშა** მსუქანი, სქელი. გოჭს რო მუცელი გაეზრდება, დიდმუცლიანი რო იქნება, დემფეშა გოჭი არიო (ჩუმათ.).

**დენდერ-ი** დიდი მუცელი, დიპი. კარქა გაგსუქებია ეგ დენდერი (მერ.). **დენდერა**: ვინც სუქანია და დიდი მუცელი აქ, დენდერა ის არი (ერედ.); აგრეთვე წვ.

**დენდრე 1.** მოსულელო. ვინც ცოტა მოსულელოა, იმას ეძახიან დენდრესა (საგურ.). **2.** ზარმაცი. წელმოწყვეტილი კაცი რო არი, რო ეზარება ყველაფერი, დენდრეა (წვ.).

**დეპეპ-ი** მეჭეჭის მსგავსი ხორცმეტი. დეპეპი საქონელს ამოსდის თუალზედა, ტანზეცა, მუწუკისავეთ არი, როგორც აი, დეპეპი (ლამ.).

**დერდებ-ი** უაზროდ, უმიზნოდ სიარული. დათვრება და მოჰყვება უშნოთ დერდებსა (მერ.). რა ფინთი დერდები იცის გურასპაანთ ბიჭმა, რო დათვრება ზომე, ვედარ გაიგეფს, სად უნდა წავიდეს (რუისი); აგრეთვე დ. თონ., ერედ., მერ.

**დერდება** იგივეა, რაც დრეცელა. გვერდელათ რო დადის, ის არი დერდება, მოღრეცილი (ტირძ.); აგრეთვე ბროწლ., წვ.

**დეჯეჯ-ი 1.** დივი. დეჯეჯი გამოსულია ალაოს (კავთ.); აგრეთვე ლამ., ქვ. ჭ. **2.** შინაური ფრინველის (ქათმის, მამლის) დასიებული ბიბილო. ქათამს ან მამალს დასიებული ბიბილო რო აქ, იმაზე ვიტყვით დეჯეჯსა (ბროწლ.). **დეჯეჯიანი**: დეჯეჯიანი ჯიჯლიბო აქ ქათამსა (ქვ. ჭ.).

**დეპალბას-ი, დვალბასა** ავი, ფიცხი. ძაან ფიცხი რო იქნება ადამიანი, გულის მოსვლა რო იცის ჩქარა, დვალბასი ის არი (ჩუმათ.); აგრეთვე ხაშ.

**დეპალბაშო, დოლბოშო** მარცვლეულის, ხილის და მისთ. უვარგისი მინარევი. ჭირნახული რო აგვილია და ყველაფერი სარეველა რევიო, გვითქვია — ცარიელა დვალბაშოო (ბროწლ.). სუფთათ აკრიფე, დოლბოშოს ნუ აყოლეფ (ტყვ.). ბალახეფში ჩაგროვილი რაც არი ჭანჭური, ცალკე აკრიფე, დოლბოშუეფს ნუ მიატანი (კარად.).

**დეპანაშ-ს** დვანაზე (ღონაზე) თევზაობს (ვარ.)

**დეპარეულდებ-ა** დვარეულეზად, მწკრივად ეწყობა. ნათიბი დვარეულდება (ზერ.).

**დეპაროქლ-ი** ოფლი, ხვითქი. სიცხით სუ დვაროქლი ჩამოსდის (ბროწლ.).

**დეპარნაშ-ი** დიდი წვიმა და ქარი; დვართქაფი. იმ დღესა ისეთი დვარნაში იყო, რო აქაობა წალეკა სულა (წვ.); აგრეთვე ვარ.

**ღვარძლ**-ი ბოროტი, აყვია. რა ღვარძლი კაცია ჩვენი გიორვი (ზამთ.); აგრეთვე დაღ.

**ღვაჟ**-ი დიდი, უხვი ნამი. ღამე რო ცვარს დაადეფს ბევრსა, ის არი ღვაფი (ბრ.). ნაავდრი რო არი ჰაერი, იმ დილით რო გაივლი ადგილზედა, მაშინ არი ღვაფი (წვ.). ყანაში ვერ გადახვალ, ბიჭო, ღვაფია, ღვაფი (არად).

**ღვედია** პრანჭია, უკადრისა. რა ღვედია ხარო, გეითქვია, უშნოთ რო მიიგრიხ-მოიგრიხება და წესიერათ პასუხს არ მოქცემს (არად). უმფროსი შვილი დიდი ღვედიაა, აი, მიშა ყამს კარქი (თამ).

**ღვენთავ**-ს ჟონავს. ამან იყიდა სურაი, არც გატეხილი იყო, არცა, მაგრამა ღვენთამდა (ბროწლ.). ბაზრობაზე კაი მორდილი კოკურა ვიყიდე, მოვიტანე და გასდის ი გასაოხრებულსა, ღვენთავს! (კავთ.); აგრეთვე კარალ, ტყვ.

**ღვთის ბარეგანი** უწყალო, დაუნდობელი. ის გოგო ისეთი ღვთის გარეგანია, რო! კბენა იცის იგეთი! (ქორ.). ერთი ისეთი ღვთის გარეგანი შეზობელი მყავ, სუ ჩემ ბაღზე უჭირამ თვალი! (კავთ.).

**ღვთის თვალი ტრიალებს (რამეში)** მოსაწონია, კარგია. კარქი ყანები რო არი, რო მოგვეწონება, ვიტყვი, იმითანა ყანებია, რო ღვთი თვალი ტრიალებს შიგაო (ბროწლ.).

**ღვთის სული** სიკეთის, სათნოების განსახიერება. ნამდვილი ღვთის სული ხარ, შენ გენაცაღე, შენა! (კავთ.). ამაჲ ისეთი დედა ჰყვანდა, მართლა ღვთის სული იყო, ვისაც რამე გაუჭირდებოდა, ის იყო იმი პატრონი (იგ.).

**ღვთის უბეში არიან** კარგ პირობებში არიან, ბედნიერად არიან. ღვთის უბეში არიან გურამას შეილები, რა უნდა მაინატრონ, რო არ შაუსრულოს თავი მამამა, ახლა, მოსდევთ ქონებაი, და! (გრაკ.).

**ღვთის ცაცხლ**-ი ავი, მოჩხუბარი. რა ღვთიჲ ცაცხლი დედაკაცი ყოფილა, ქაა, დღესა პურნახევარი შაგიჭამიო და ეგეთი დღე აყარა, რო სუ ცხარე ცრემლით ატირა (წილკ.).

**ღვლიპინა** შიშველი. ეგ როგორ გააკეთეთ ამდენა ბიჭებმა, რო ღვლიპინები მოდიხართ?! (ძეგ.); აგრეთვე ქვ. ჭ.

**ღვლიღ**-ი, **ღლიღვ**-ი ახლადგამოჩეკილი, შეუბუმბლავი ბარტყი. რაც პატარა არი, ახალი გამოჩეკილი, ღლიღვია (ბროწლ.). ღვლიღები რო არ ამოგესხა, ვერ დააცდიდი, დაფთიანებულიყვენ? (კარალ.); აგრეთვე ტყვ.

**ღიდღიდ**-ი უთავბოლო ლაპარაკი, ღიჯღიჯი. არ მოაწონს იმი ღიდღიდი (ოძ.).

**ღიპი**-ს ძლივს არსებობს; ღონღილებს, ბოგინობს. საწყალო

ლადო მოკვდა, შურა ავთ არი, მარტო ბაბულაღა ღივის (მერ.). ბიჭები დამეხოცენ და ეგრე ვლი-ვივარ და ვარ (ბროწლ.). ეგ ერთი ბიჭიღა ღივია ჩემი ძმიდანა და მაგაზეა თვალები უბრმავლებათ (წილკ.).

**ღიზღიზ**-ი იგივეა, რაც ღიღიღი. რო აიტეხამენ და იცინი-ან ისე უშნოთა, იმას ეტყვიან ღიზღიზსა (იგ.). ღიზღიზი ის არი, რო შეიყრიან თავსა ქაღე-ბი, ჭორაობენ, თან იცინიან (ერედ.).

**ღიღ**-ი კვირისტავი (საქონ-ლის მუხლისა). საქონელსა ღიღი აქ მუხლშია, იმის მეტგან არა აქ (წე.).

**ღინთილა** შიგნეული. ღინ-თილა საერთოთ ითქმევა, გვამში რაცა აქ ადამიანსა, გულ-ღვიძლი, რამე (არად.). **ღინთილას** ამომ-ატლის მოერევა, დაჩაგრავს; სცემს. რო გააბრაზეფს ვინმე, ეტ-ტყვიან, ისე ქცეემ, რო ღინთილას ამოგაცლიო (ერედ.).

**ღინკლა**, **ღინტლა** პატარა, მოლეული; უვარგისი. ნაბორალა გოჭი ხო ყველაზე პატარაა ხომე, დანაკული, იმასა ჰქვიან ღინტ-ლაი (ტყვ.). იმ დღეა ერთი ღინკ-ლა გოჭი იყო ბაზარზე, ცაცხლი ფას აფასებდნენ (ქვ. ჭ.); აგრეთ-ვე ერთაწმ., ომ., საკორ., ქემ.

**ღინღლ**-ი ახლადგამოჩეილი, შეუბუმბლავი ბარტყი. ჩიტი რო

გამოჩეკამს ახლათა, ღინღლები არიან, ბუმბული არა აქეთ (ომ.).

**ღირღვალ**-ი ჯირკვალი. ღირ-ღვალი საზარდულებში უნდება ადამიანსა (ქემ.). ყელზე ამოუა-ღირღვალი და ამობუსრავს უცეფა. ახლა კიდე და ახლა კიდე (ერედ.); აგრეთვე წილკ.

**ღიღაპ**-ი ღაბაბი. აი ეს არი-ღიღაპი, ნიკაპ ქვემოდანა (არად.); აგრეთვე დაღ., ღვარ.

**ღიღვლიჭანა** 1. შეუბუმბ-ლაკი (ბარტყი). ღიღვლიჭანა ბარ-ტყები ამოუსხამ (კარალ.). 2. ტი-ტლიკანა, შიშველი. კაბა ჩაიცვი, ღიღვლიჭანა ნუ დაღიზარ, შექ-ცივა! (გარ.). ღიღვლიჭანა რო და-ღიზარ, არა ქცივა? (ტყვ.).

**ღიღო** ღივი. კარტოფილს რო ამოუა კვირტები, იტყვიან, ღიღო-ააქო, დაღიებულიაო (საგურ.). რაკი ღიღოა გამოუშვეფს თესლი, გაღივდო, ვიტყვიო (წილკ.); აგ-რეთვე იკ., ლამ., სამთ., ქვ. ჭ.

**ღიცღიც**-ი უთავბოლო, უმიზ-ნო სიარული, ხეტიალი. ჯერ უნ-და მაიღალოა ღიცღიცითა და მემ-რე დაიძინეფს და დაიძილქუშეფს (წილკ.).

**ღიჯღიჯებ**-ს უთავბოლოდ ლაპარაკობს, იცინის. ნეტა რასა-ღა და ღიჯღიჯეფს, საქმე ვი-ღამ უნდა გაუკეთოს ნეტაი? (ომ.). ღა თელი დღე და ხან რომელ-ბიჭთან ღიჯღიჯეფს, ხან რომელ-თანა (მერ.); აგრეთვე იგ.

**ღლარჭ**-ი მჭლე და დაძარ-

ღუღლი (ხორცი). ეგა ღღარჭი ხორცია, გამხდარი (ატ.). ჩემმა დედამთილმა იცოდა, არ მიყვარს ღღარჭი ხორცი, კბილუფში მეჩხინება ხომეო, ლურთი ხორცი არი კარქი, მარწყვივით საჭმელიაო (გრაკ.); აგრეთვე კავთ.

**ღლაჭ-**ი 1. ახლადგამოჩეკილი ბარტყი (ვარ.). 2. პატარა, უწლოვანი (ბავშვი). რაა, ღლაჭიაო, გვითქვია, რა დრო მაგი ქორწილიაო (ბროწლ.). სად წამოვა, ღლაჭი ჰყავს! (ძეგ.).

**ღლაჭუნ-**ი უშნოდ ღეჭვა. დიდის კევის ღლაჭუნითა, გოჭვივით აწკლაპუნებს ი ტუნებსა (ტყვ.); აგრეთვე კარალ.

**ღლიურ-**ი დიდი ხელეური. რასაც დიჭურს იღლიაში ვანის ხელეურსა, ღლიური ის არი (ერედ.).

**ღლიღვ-**ი იხ. ღელიღი.

**ღმერთ-**ი ცა. მაღლა ღმერთშია ღრუბლები (ბროწლ.). ღრუბელი ღმერთში მიდის (ბროწლ.); აგრეთვე ტანბ.

**ღმერთ-**ი: თაჰვის ღმერთის ბადაუღბებბა სინდისზე ხელს აიღებს. თავი ღმერთს რო გადაუღვებს ბავშვი, ერთ პურ შეშჭამს (ქვ. ჭ.).

**ღნიოშ-**ი კარლია (სახლი, ეზო); მიტოვებული, გატიალებული (კარ-მიდამო). სოფუას სახლი ღნიოშია, ვინც არა მგონია, შედის (კავთ.); აგრეთვე დის.

**ღობედაბალი-**ი დაბალი ღობე, ადვილად დასაჩაგრავი. მე რა

შენი ღობედაბალი ვარ! (ქვეში). ნახეს ღობედაბალი და დაუწვეს ქოხი, გადაუბუგეს სულა (ქვ. ჭ.); აგრეთვე ქემ.

**ღობურად** ერთიანად, განურჩევლად; მიყოლებით. ერთბაშად რო აკურიფამთ, რო არაფერ დაეტოვეთ ძირსა, იმაზე გვითქვია, ღობურათ აკურიფეთო (არად.). დახონავებული არი ხილი და რო მივა მყიდველი, არ აარჩინეფს, ღობურათ ააკრეფინეფს (კავთ.). ღობურათ ვადღეგრძელებ (ძეგ.).

**ღოლბოშო** იხ. ღვალბაშო.

**ღორთელა** კანის დააედება ერთგვარი. პარტახტს რო დააყრის ხომე ადამიანსა, ქავილი იცის, სიცხეცა, თავის საქორჩიდან აყრის ფეხისგულამდინა, — ღორთელას იმას ვეძახით (ბროწლ.). ტანზე დააყრის ადამიანსა ღუღუღივითა, ღორთელას ვეძახით, ღორის აქური ვისაცა აქ, იმას წაუსვაშენ, გაქრებაო, იტყვიან ხომე (არად.).

**ღორისქონა** ბალახი ერთგვარი, მხლად ხმარობენ. ღორისქონა ბალახია, ქარების წამალია, კარტოფილივით ღეროები აქ (ბროწლ.). ღორისქონას დაჩენქვამენ, წვენს გამოწურამენ, აღუღებენ და მალამოსავით გამოდის (ბროწლ.).

**ღორიწელიანა** თამაში ერთგვარი — ხელიხელჩაკიდებული ბავშვები ჯერ პირველი წყვილის ხელებქვეშ გაძვრებიან, შემდეგ

დანარჩენი წყვილების ხელბეჭევმ და ასე თანდათან ყველა შემობრუნდება და ხელები ტანზე შემოხევევით (ზ. ხანდ.).

**ღორღალ**-ი გაუგებრად სიარული, ხეტიალი. მთვრალი კაცი რო აღარ იძინებს და დადის, ხან ერთთან მივა, ხან მეორესთანა, ღორღალი ის არი (ტყვ.). რა ფინთი ღორღალი იცის ჩვენებიანთ კოლამა; დალიე? დაწეი და დაიძინე, შე კაი კაცო, შენა, რაღას დაეხეტები აქეთ-იქითა?! (კარალ.).

**ღორღალაობ**-ს უხეიროდ დადის, ლახლახებს. ბავშვზეც იტყვიან, მახინჯზეცა, რო ვერ დადის ზეირიანათა, ლახლახებს, ღორღალაობსო (არად.).

**ღორღალეზ**-ს გაუგებრად დადის, დაეხეტება. კაცო, რა უბედურებაა, ღორღალეფს, ღორღალეფს, ე ღორღალი რაღა არი, დაწეუს და დაიძილქეუსო! (კარალ.); აგრეთვე ტყვ.

**ღოჭა** მდინარის თევზი ერთგვარი. ღოჭა თევზი ღეჭჭირა ერთი-ორი და სათევზაოდ ვიყაო (კარალ.). ღიახეში იცის ღოჭა (კარალ.).

**ღოჭამ**-ს თავს, წვერს აგლეჯს (ბალახს). ნუ კი ღოჭამ ცუდ ბალახსა, ძირიანად ამოიდე, რო აღარ ამოვიდეს ისევა (კავთ.); აგრეთვე კარალ., ტყვ.

**ჩხლართ**-ი გამხდარი; წერილი ფეხების მქონე. ადამიანზეც, თუ გალახულია და უსახური, ამობენ, ჩხლართიან (ტირძ.). ჩხლართო, დაიფარე კაბა! (ქვ. ჭ.); აგრეთვე ძეგ.

**ჩხრმპა** გასინჯვა, ნახვა. რო გამოვიდოდენ შობასა და, აბა, ვისი რძალი უფრო კარქიანო, ეგ იყო ქალების ჩხრეკაი (ბროწლ.). ქალების ჩხრეკაც მაშინ იყო, ყენობის დროსა, თელი ხალხი გამოვიდოდა (საგურ.).

**ჩხრიპა** პატარა თევზი ერთგვარი. ზოგი რო არი, ციმორი და ფიჩხული, ხელ რო მოკიდამ, გასხმარტალდება, ისეთი არ არი ჩხრიპაი (წვ.). ჩხრიპას ერთი რო მოკიდო ხელი, იმ წუთშივე გატრუნდება, ხელაობითაც დაიჭერენ (წვ.).

## ც

**ცადაქნილი**-ი აღმართული, აწეული. დახვეული არი ოთხმხრივ ცადაქნილი სახურავი (საშაბ.).

**ცალგულ**-ი, **ცალგულა** კეთილი, ალალი, უემშაკო. გივი ძიენ კაი ბიჭია, ცალგული ბიჭია ვეა (გრაკ.). ისე ცალგული გო-

ვია, ხოლოთ ძალიან ზარმაცია (ბიწმ.); აგრეთვე ლამ.

**ცალი ბილიპა** საცალფეხო ვხა. მარტო ცალი ბილიკა იყო გასავლელი, აი, აქა (დის.).

**ცალი გულით** ცალგულად, უგულოდ. აბა, რა წამიყვანს იმათანა, ცალი გულით დამპატიუა



(თეზი); აგრეთვე საგურ., ქვ. ჳ., ყანხ.

**ცალკევერა** ერთიანი ხისაგან გამოთლილი კვერი. ერთი მთლიანი ხისა რო არი გათლილი კვერი, ის არი ცალკევერაი (ბროწლ.). ცალკევერა ნაკლებს ლეწამდა (ძეგ.); აგრეთვე მჭად., რუისი.

**ცალკვალა** იგივეა, რაც საცალკვლიო. ცალი ფთა ქქონდა და ცალი კვალი ცალკვალასა (ბროწლ.). ერთი სახნისი რო აქ გუთანსა, ის არი ცალკვალა გუთანი (საღ.).

**ცალკვლივ** ერთი კვლის გავლებით. ქართული გუთანი რო არი, ერთი ფთა აქს, ცალკვლივ ხნავს ისა (საგურ.).

**ცალპურიცომა** გაუახლებელი პურისცომით გაღვივებული (ცომი). ცალპურიცომა იცის დარიცომა და იმის პური გაფუნჩული მისდღეში არაეის უნახია (ქვეში). ცალპურიცომა არ მოზილო, პურიცომი წაადედე! (ტყვ.); აგრეთვე ბრ., ქემ.

**ცალყურა დერეფანი** დერეფანი, რომელსაც ცალი გვერდის კედელი აქვს ამოშენებული. ჩენი დერეფანი ცალყურაა, ჩვენებიანთი — ორყურა (ძეგ.).

**ცალხაშა** იგივეა, რაც ცალპურიცომა. პურიცომს რო არ შაადიდებენ და ისე პატარა პურიცომით მოზელამენ დიდ ცომსა, ისა ცალხაშა იქნება, რბილი პური არ გამოვა (მეჯვრ.). ამოტყველა რო გამოგიცხვია ე ცალხაშა,

ვინ უნდა შეჭამოს? მემრე როგორ იცის გამოშრობა! (წილკ.); აგრეთვე კათ., რუისი.

**ცამ ქარბი პირი დაიჭირა** კარგი ამინდი გამოვიდა. რო ეპირებიან საქმესა და კაი ამინდი გამოვა, იტყვიან, ცამ კაი პირი დაიჭირაო (ერედ.).

**ცამოწმენდილზე დარჩა** სრულიად მარტო დარჩა. რო დაეხოცება, შეილება თუ ვინცა ყავს სახლში, დარჩება მარტო, იმაზე იტყვიან, ცამოწმენდილზე დარჩაო (ქვ. ჳ.). აი, საწყალი პეღაი, ი კარქი შეილება ომში დეეკარქენ, შაქარაც, ჯერ ორმოცი არ გასულა, რაც დამარხა, დარჩა ცამოწმენდილზედა (ქვ. ჳ.).

**ცამოწმენდილზე ზის არაფერს აკეთებს, უსაქმოდ არის. ზის თელი დღე ცამოწმენდილზე (ძეგ.).**

**ცარატურა** ქარაფშუტა, თავქარიანი. მსუბუქი რო იქნება, ქარაფშუტა, ამ საქმესაც ეცემა, იმასაცა, ცარაცურა ის არი (ტირძ.); აგრეთვე ახალშ., ძეგ.

**ცას ნამი გავარდა და მოვარდა წყალი (ქვ. ჳ.).** აგერ ორი თვეა, ცას ნამი არ გავარდნია, დაიხრუკა ქვეყანა (ტყვ.).

**ცაცხანებას აქცევს** თავს ძლივს იკავებს, ძლივს ითმენს (შიმშილს, რისამე სურვილს). მშიერი რო არი ძალიანა, ცაცხანებას აქცევს შიმშილითაო, იტყვიან (ქვ. ჳ.). რამე უნდა ადა-

მიანსა ძალიანა, ამბობენ, ცაცქანებას აქცევს სულა მეტიმეტი ნდომითაო (ბროწლ.); აგრეთვე ქვეში.

**ცანცამ**-ს სათითაოდ კრეფს; კენკავს. ქათამი, ჭუკია, რამე, რო დაუყრით საჭმელს, ცენცამს (ბროწლ.).

**ცანცლაბოლა** საბავშვო თამაში ერთგვარი: ერთი მოთამაშე ცდილობს მწკრივად მდგარ გალავულ ბიჭებს ფეხებშუა გაუძერეს, ბიჭები ფეხებით იჭერენ, მეორე მოთამაშე ზურგიდან ქაპრით სცემს; როცა გაძერება, მოთამაშეები იცვლებიან (მეჯვრ.).

**ცანცლი ისრჩობა** ქრება ცეცხლი უჰაერობით. საკირე ცოტა მალალია კაცზე, სამი არშინი, ნაკლები არ იქნება იმიტო, რო ისრჩობა ცეცხლი (მეჯვრ.).

**ცანცლის ფათარი 1.** ავი, კაპასი (დედაკაცი). არაყ რო ვხდით ზომე, ჩაეასახელებთ იმითანა დედაკაცებსა, რომელიც ეგე ცეცხლი ფათარი არი, ცხარე გამოვა არაყი (ოდ.). ცეცხლის ფათარი რძალი შემოგვივარდა სახში (ქვეში); აგრეთვე კარალ, ტყვ., ქემ., ქვ. ჭ. 2. ძალიან ცხარე (საჭმელი). ერთი ბეწვა წინაყა ჩაეაგდე და როგორ გაუმწარებია, ცეცხლის ფათარია ეს ოხერი! (ქვეში); აგრეთვე კარალ, ტყვ.

**ცანცლის ფული** ტყის გადასახადი (ძველად). ცეცხლი ფულსა წელიწადში აბაზ ვხდითლობდით ერთი მეკომური (წინ-

არ.). შუმა მოგეტანა, არ მოგეტანა, ცეცხლის ფული უნდა გადაგებადა (ძეგ.).

**ცანცლს ბააღვიკებს** ნაცარში გახვეული ნაკვერჩხლით ცეცხლს დაანთებს. ის იყო კარქი პატარძალი, რომელიც ადრე ადგებოდა, მამლიყივილისას და ცეცხლს გააღვიძებდა (კავთ.); აგრეთვე ერედ.

**ცანცლს მოიკიდებს** ძალიან გაჯავრდება, გაცეცხლდება. რო უთხარი, სუ ცეცხლი მაიკიდა იმანა, ინზუბა და უარი მითხრა (საგურ.). ვთხოვე, რო განცხადება დამიწერე-მეთქი და სუ ცეცხლი მაიკიდა (საგურ.); აგრეთვე იკ.

**ციალა** ჭრაქი. სატკივრიანთ თამარას უნთია ზომე ციალაი (ქვეში). ეხლაც რო ჩაქრება ზომე სინათლეი, ავანთებთ ი ციალასა და იოლათ გავდივართ (ბროწლ.); აგრეთვე ქემ.

**ცივი აქვს ნაკრავი** ღონემიხდილია. ცივი აქ ნაკრავი, სულ არა ჰქონია ძალა მკლავებში (ბიწმ.).

**ციციკელა, ციციკელა** პატარა, ცქვიტი, მარდი. ისეთი ციციკელა გოგო არი ვარას გოგოი, მარჯვეი, იმი ხელი არ გაჩერდება, მარდი, მარდი (ბროწლ.). ერთ პატარა ციციკელას ტყიდან ნახირი მოუდიოდაო (ფლ.); აგრეთვე ქვეში.

**ცილა** ყურძნის მარცვლის ხორცი. ყურძნის მარცვალსა კან-

ქვეშ რაცა აქ კურკის გარდა, ცილა ის არი (ბროწლ.). **ცილიანი**: კაი ცილიანი მარცვალი აქ ანდრიულსა, შავი ყურძენია, ბევრი აქ ცილაი (ბროწლ.).

**ცინცველა**: ერთი ციცქნა, ერთი ბეწვა. რა; ეგ ერთი ცინცველაი რას მიზამს? (ქემ.).

**ცინცხ**-ი ფინხის ცოცხი (მოცვისა, შვინდანწლასი...); იხმარება ეზოს, ბოსლის... საგველად. ცინცხი შეკრული ცოცხია, ეზოს ცოცხი, მოცვისაგან კეთდება, შინარწელისგანაც (ჩუმათ.).

**ციღრიტელა** ელამი. ი ციღრიტელა პელაგა სუ ქვაა ქვეშა დებდა თავი სახლიკაცებსა (წილკ.). აკი ავანტყოფი იყო ე თვეღორიანთ ციღრიტელა, ქვეყნი ჯაგი მოუქენცია თავი კარებზედა (წილკ.).

**ციცაბ**-ი ცივი, ჟინჯლიანი დილა. ციცაგს ვეტყვით ჩვენა, ცივი დილა რო იქნება, რო ჟინჯლამს და სუსხია (კავთ.).

**ცოდვილ**-ი გაუბედავი, საცოდავი. უო, შე ცოდვილო, შენა, შენ შვილ რო ვერ უბეღამ სიტყვი თქმასა, სხვაა სუ რაა შაბეღამ! (წილკ.). ეგეთი ცოდვილი რო ხარ ყველაფერში, იმითვინ არი, რო ზედა გღვებიან შინაურიცა და გარეულიცა (წილკ.).

**ცოდვისასნილაპ**-ი, **ცოდვისასნილაპელ**-ი საპყარი, დავრდომილი; უბედური, საცოდავი. ცუდათ რო არი, უბედურათა,

გინდა ჯანზე ვერ იყოს, გინდა ღარიბათ იყოს, იტყვიან, საწყალი, ცოდვისასნილაპი (ერედ.). ი ღმერთსა დექცეა სამართალი, იმითანა სიცოცხლით გაუმაღრეფსა სპოფს და ე ცოდვისასნილებელ აცოცხლევს (წილკ.). **ცოდვისასნილაპად**, **ცოდვისასნილაპელად** საცოდავად. რო იტანჯება ადამიანი რამითა, არც აქეთ არი, არც იქითა, იტყვიან, ცოდვისასნილებლათ არიო (ბროწლ.). ცოდვისასნილაპათა ბღავის ე ზაქი (ქიწნ.); აგრეთვე კარალა, საღ, ტირბ.

**ცოდვისილვა** 1. საცოდავი, უბედური. ცოდვისილვაი, აი რო მახრალებს თავსა, ის არი (ლამ.). 2. დიდი უბედურება, ცოდვის ტრიალი. აი, ახლა ი ტყვიაველი ბიჭი რო მოუკლამთ, ლაფანი, ცოდვისილვა არ იქნებოდა, მა რა იქნებოდა? (ბროწლ.).

**ცოდვითანთქლი**-ი ცხოზადურულებელი (პური, მჭადი). შდრ. თანთქლი. ჩვენმა ვარამ იცის, რო ჩააკრავს, თუ არ ჩაახმო შიგა პური, ისე არ ამოყრის. ვეტყვი ხომე, რო ისესხებს, ცოდვითანთქლი მომიტანე-შეთქი (ბროწლ.); აგრეთვე ქვეში.

**ცოდვისუფრა** ცომის დასაფარებელი, დასათბუნებელი ქსოვილი. მაიტა, შვილო, ცოდვისუფრა მამაწოდე, დაეხურო! (ბაზ.).

**ცოდვის მიასპენაპს** მოზელილ ცომს გადაკეცავს და დადებს ვარცლის ცალ მხარეს. ცომ რო

მოზებლამთ კარქათა, დაუმთავრებთ ზელასა, მემრე გადმოიგდეფ კლაზუნდა, გადაჟეკამთ ცალ ხარუნდა და მიედეფთ ეგე ერთი თაეისკენა, ამაზე ვიტყვით, რო ცოში მივასვენეთო (წილკ.). მივასვენე კია ცოში და ეგევე ცოშიანი ხელეებით გამოიქეცი წყალზედა (წილკ.).

**ცომცხვარ-ი, ცომცხვარა** იგივეა, რაც ცო მ თ ა ნ თ ქ ლ ი. გამომცხვარი რო არ არის კარქათ, ცომცხვარაა და ცვივა თონეში (ქორ.). ცომცხვრებია ჯერა, ქალო, დააცალე! (ქეში). პურს რო ჩავაკრამთ, ვეტყვი სომე ქალებსა, ცომცხვარი ამოიღეთ, ცომცხვარი მიყვარს-მეთქი, ცხელცხელი (ბროწლ.); აგრეთვე ქვ. ჭ.

**ცორინე!** დაძახილი მოთამაშეთა მოსაგროველად. როცა ერთ ბავშვს უჭირამს რამე ხილი, სხვები დაიძახებენ, ცორინე! მიცვივდებიან და წაართმევენ, რაც ეჭირება ხელში (კავთ.). ცორინეს დაძახებაზე რო მოგროვდებიან ბავშვები, რომელიც გამოიცნობს, ის აიღებს ქამარსა და გაეკიდება ვისაც ეჭირა ქამარი, უძახიან ცორინე, ცორინეო! (ბროწლ.).

**ცოტა** პატარა. ახმაჯი ცოტა სოფელია, ქსნი სათავეშია, ლეკებმა დაიგდეს, ცოტა იყო საქართველო (ლამ.). — რა ცოტა ქადაღლზე წერამ? რამდენაა, ერთი ბეწო გიჭირამ ხელშია,

რეულის ფურცელი ვეღარ იშოვე? (წე.).

**ცოცობელა** პატარა ტანისა, მოცუქნული. ცოცობელაა პატარა ტანიადამიან ვეტყვით, კაცს ეგონება, არა შაუძლიან რაო, მაგრამა დიდი საქში მამნელებელი კია (წილკ.). ე ცოცობელა კაცმა როგორ უნდა გაჯობოა შენა? (წილკ.).

**ცრემვლა** ვაზის წვენის გამოდენა გასხვლის დროს. ცრემვლა იცის ვაზმა, რო გასხლამენ გაზაფხულითა (ბროწლ.).

**ცრემლი-ი** წვეთი. თუ მარტოკინა არი, ცრემლს არა ნახამს, ხალხში — სვამს (ზერ.). ისე გაიფლის ზოგჯერ ნასესხები, რო ცრემლი არსაიდან გადმოვარდება (ქემ.). ცოტა წყალი გამატანეთ, ქალებო, ერთი ცრემლი არ მიდგა შინა (ბროწლ.); აგრეთვე ქორ. **ვაზის ცრემლი** ვაზის გასხვლის დროს გამოდენილი წვენი. რო მააჭრიან ვაზსა, სუ წვეთ-წვეთი გასდის, ეგ არი ვაზის ცრემლი (ბროწლ.).

**ცრემლიანი მიცვალება** ლი მიცვალებული, რომელსაც ბევრი მოტირალი ჰყავს. ვალოდია იყო ცრემლიანი მიცვალებული, ერთი კვირა თელი ხალხი თავს აკლავდა ტირილითა (საგურ.). კუკურა იყო ცრემლიანი მიცვალებული, რო თელი სოფელი დასტიროდა, ჭირისუფლებს აღარავინ აცლიდა ტირილსა (ბროწლ.); აგრეთვე ქეგ.

**ცრინტილა** სურდო. შენ არა-  
ფრად აგდებდი, ცრინტილააო და,  
ვერ ჩაგაგლო ლოგინში?! (კავთ.).  
ე ცრინტილა სადღა შეგხვდა ამ  
ზაფხულშია? (ბროწლ.).

**ცრუკანვერი**-ი ვაშლის ჯიში  
ერთგვარი. ლალოლაღი გვიდგია  
და ცრუკანვერიცა (მელვრ.).

**ცრუცოვი** ღორის სენი ერთ-  
გვარი. ცალგვერდსა ღუნამს და  
კვდება ღორი, როცა ცრუცოვი  
გაუჩნდება (ქვეში).

**ცულა** უქმი, უსაქმური, უქნა-  
რა. აი ჩვენა ვართ ცულა ადამიან-  
ნები, ბებრები, რო საქმე აღარა-  
ფერი შეგვიძლია (ერედ.). ცულა  
კაციხთვის ამინდი და უამინდობა  
სულ ერთია, ხელი მაინც არა-  
ფერში შეეშლება (ძეგ.); **ცულად**  
უსაქმოდ, უსაქმურად. საქმე რო  
არა მაქ, უსაქმურათა ვაარო, ცუ-  
ლათ ვაარო, ვიტყვი (ატ.); აგ-  
რეთვე ბროწლ., ვარ.

**ცულუბრალოდ** უსაქმურად,  
ტყუილად. უსაქმით რო დადის  
კაცი ცულუბრალთა, არც შინ  
არგია, არც გარეთა, ტყუილა აფუ-  
ჭეფს პურსა (იგ.).

**ცულუღელა** 1. მოზერის გა-  
მოსაქნელი პატარა უღელი. ცულ-  
უღელას გამოსაქნელათ დაადგა-  
მენ გამოუქნელ საქონელსა (ძეგ.).  
2. იგივეა, რაც ცულა. ცულუ-  
ღელას ვეტყვი, ვისაც ეზარება  
მუშაობა, დადის, დაეთრევა (ძეგ.).  
აი, რა ცულუღელა ხარ! (კავთ.).

**ცუნდულ**-ი საკირეში დაყო-  
ლებული ღია ადგილი პაერის-

თვის და ნახშირის გამოსაღებად.  
არის პატარა ცუნდული ქვეშა,  
იქიდან ნახშირს ვიღებთ ხომე  
და პაერიც შედის იქიდანა  
(მეჯვრ.).

**ცურიანი ჯიქანი** დიდი ჯი-  
ქანი, დიდი ცური. ჩემ პროხას  
არა აქს ცურიანი ჯიქანი, რო  
მოეწველამ, დაუნლუტდება ხომე  
(ქვეში); აგრეთვე ტყვ.

**ცუსკა** ცუგა, ცუგო. პატარა  
ლეკვებ ვეტყვიო ხომე «ცუს-  
კასა»: ცუსკა, ცუსკა, მოდი აქა!  
(ბროწლ.); აგრეთვე ქვეში.

**ცუსნელა** 1. პატარა, პაწაწა.  
ერთი ცუსნელა სურა შქონდა და  
ველარ ვიპოვე (დის.). 2. ცოტას  
მჭამელი. ამოდელა კაცია და ცუ-  
სნელაა, ერთი პური არ გაუთავ-  
დება თელ ღღეშია (ტირძ.).

**ცუსუმყრალა** ბუჩქოვანი  
მცენარე ერთგვარი. ცუსუმყრალა  
ბუნჩია, ხე არი, თეთრი ყვავილი  
აქ იასამნისეფა, ძაან მაგარი ხუ-  
ნი აქ (ტირძ.); აგრეთვე ბროწლ.,  
ქორ.

**ცუსიქი** დაცუცქებული, ჩა-  
ცუცქებული. ეგრევე შიბრუნდა  
ცუსიქია (ბიწმ.).

**ცუსქური**-ი ბუქნა (ცეკვაში).  
საღდა მიდისხართ, აი, სონაი, ისე-  
თი ცუსქური თამაშობა იცის, რო!  
(ბროწლ.). ისეთი ცუსქური ჩამო-  
უარა ჩემმა მძახალმა ღღეობაშია,  
გეგონება გუშინდელი გოგოაო  
(ბროწლ.); აგრეთვე გრაკ.

**ცჰვინ**-ი თრითინა, ღედოფალა.  
ცჰვინი, ღედუფალა ერთია (ყანჩ.).

**ცევიტი**-ი ძალზე სუსხიანი, ცივი (დილა). რა ცევიტი დილაა, ეს ოხერი, ვერ მიძღვმს ხელი, რო შუშა დაეჭრა (წილკ.). ღამი ზარში რო ვყოფილვართ და რო გათენებულა, გვითქვია — რა ცევიტი დილა არიო (წვ.).

**ცენაშა** პატარა, გალეული. პეტრიანთ პატარძალი ერთი ცქნაფა გოგოა, არც სიმაღლეშია, არც სიგანეში (კავთ.).

**ცსარტური ძადა** კეცში გამომცხვარი ქადა ერთგვარი. ცხარტურ ქადას კეცში გამოუცხობდით პატარძალსა, ჭენჭი გააფიოდა, ვაფიყვანდით წყალზე, დაუჭრილით და იქ ვაჭმევდით, იმის მერე წავიდოდა პატარძალი წყალზე (საგურ.).

**ცსენის ყელზე** მოუცლელობის დროს, უდროოდ. სიტყვაზე, არა გცალია და გაძიაძებული რო ხარ, სტუმარი მოგადგა კარსა, მაშინ იტყვი, ამ ცხენი ყელზე სტუმარი მომივიდაო (ლამ.).

**ცსენიცერცველა** ბალახი ერთგვარი. ცხენიცერცველა ყანაში ურეგია ხომე; ბტყელი პარკი აქ, წერილი მარცვლები აქ შიგა (ქემ.); აგრეთვე ბროწლ.

**ცსვირაპ-ს** კვეთს, ჭრის (ნალოს...) თავს. რომელიც ცოტა გძელია, მოხრილია, ის მეტიური ცულია, იმითი სცხვირაპენ (ძეგ.).

**ცსვირზეით აიცილებს** უარს იტყვის, არ ისურვებს. ესლა მავალას რო ერთი კაი ბი-

ჭი გამოუარდეს საქმროთა, ცხვირზეით აიცილეთ? (კავთ.).

**ცსვირიდან სულს არ უშვებ**ს მალავს, არ ამხელს, არაფერს ამბობს. იცოდა, მაგრამ ცხვირიდან სულს არ უშვებდა (დის.).

**ცსვირით აღვას** ნაწყენია, უბრაზდება. რა არი, იმი მოსაწონი ბასანოჭკები არ ვიყიდე, ცხვირით მადვას (მერ.).

**ცსვირიწვერზე კილია** ბეერს მუშაობს, დღე და ღამეს ასწორებს. თითონ ბარემ ცხვირიწვერზე აკილია უბედური, მაგრამა მარტუამ რა ქნამ!? (წილკ.).

**ცსვირს აკრავს** არ ესიამოვნება, არ მოეწონება. არ მოუვიდა ჭკუაში, არ ესიამოვნა, სტუმარია ვიდაცა, ჩვენ ვიტყვიო, ცხვირი აკრაო, არ ესიამუნაო (ატ.).

**ცსვირს მიწისკენ მიითრავს** ძალიან მოხუცებულია, დაჩანანაკებულია. ნეტა რაღა დროს მაგი კასტუშია, ცხვირს მიწისკენ მიითრემს (მერ.). მათიკო ამოფს, სუ რო ცხვირ მიწისკენ მივითრევედე, წასმას არ მოვიშლიო (მერ.).

**ცსვირს უკრავს** გააგდებს, გააძევებს. — ის რძალი როდი მოწონთ ოჯახში. — ჰოდა, რო არ მოწონთ, ვერ უკრამენ ცხვირსა? (თამ.).

**ცსოვრება ბანში ასდის** (ამონდის) ძალიან მდიდარია

(ზოგჯერ იტყვიან დაცინვით). მაგათ ისედაც ბანში ასლით ცხოვრება, ქეაცა აქთ და კაკალიცა (ქვეში). ეგეთი დაბდალუბდა რუ არი, იმითეინ არი, რო ცხოვრება ბანში ამოსდის! (წილკ.); აგრეთვე ოძ., ტყვ.

**ცხრაუცხო** სრულიად უცხო. ცხრაუცხო რო არ დაგვეყენებინა, აზირ შენიანი დაგვეყენებინა ვინმე?! (ძეგ.). კარქი ბავშვია, ცხრაუცხოს ისე მიეფოფინება, იტყვი, სუ იმასთანა ყოფილაო (კავთ.). ეგე ძირეულათ ამოაწყვეტილიან დები ერთმანეთსა, იტყვი, ცხრაუც-

ხონი არიანო (წილკ.); აგრეთვე ნინბ., რუისი.

**ცხრაჭკუა** ცვალებადი, მერყევი. ხან ერთ საქმეს დაადგება, ხან მეორესა, ცხრაჭკუა ის არი (ბროწლ.). ცხრაჭკუა აღამიანი ცხრანაირათ შეცვლის სიტყვასა (რუისი). ეგა ცხრაჭკუაა, ხან ერთს ამოფხ, ხან მეორესა (კავთ.).

**ცხრილმონაყარ**-ი პურის გაცხრილვისას თავზე მოგროვილი ჯეღლი, ნაწმენდი. ცხრილმონაყარს მოვხდით მუჭითა და ცალკე დაეაგროვებთ ქათმებისთვისა (ქვ. ჭ.).

ძ

**ძალო, ძაღუბა** 1. ძმის ან ბიძაშვილის ცოლი. ბიძის ცოლსაც ძალოს ვეძახი და ძმის ცოლსაცა (კარალ.). ჩემი ძმის ცოლი, გინდა ბიძაშვილისა, ძალო იქნება ჩემი, მა რა იქნება? (ტყვ.).

2. უცხო ქალისადმი მიმართვის ფორმა. სხვა უბნის რძალიც რო იყოს, რო არაფერია ჩვენი, მაინც დაუძახებ ძალოსა (ბროწლ.). ძალო, წყლისთვინ მოხვედი? ცოტა რო მოდის ძალიანა, რა გივოთ? (ბროწლ.); აგრეთვე კავთ., ძეგ.

**ძარღვი ბეჭეობა** ძარღვი დაჭეობება, ჩვეულებრივ, ფეხის სახსარში ან მაჯაში. ძარღვი რო ეეყრება კაცსა, მაშინათვე უნდა შაგრა შაიკრაა, მოშუშოა ქაჭო და ცხელ-ცხელი იღოა ზედა, ერთ

დღეში გაუვლია (წილკ.). რაღა ეხლა ამეყარა ძარღვი, ქაა, როცა საქმი დრუა (წილკ.). **ძარღვის აყრა**: ძარღვის აყრა იცია ფეხი გადაბრუნებაზე, ან თუ ხელებ რო ძალა მოუათ მუშაობითა, მაშინა (წილკ.); აგრეთვე ძეგ.

**ძაღარა** რკინის გოგირდმჟავა მარილი, ძაღა. ჯერ ძაღარაში წამოვადულდებთ შესაღებსა და მერე ახლა შავ საძღებროში შავლებამთ და ძაან კარქა ეკიდება ისაღებავი (იგ.). ფხვნილი არი მწვანეი, ფოთლისფერი, იმითი შეეღებამთ ჯერა, ძაღართა, მერე რაფერიც გეინდა, ყველა კარქათ ეკიდება (ბროწლ.). ძაღარას გაურევედით საღებავში და მუქი ფე-

რი გამოვიდოდა (სად.); აგრეთვე მეჯვრე.

**ძალლა, ძალლარა** კენჭაობის ერთ-ერთი ილეთი. ძალლაა რო გააკეთეფ, კაფა უნდა გააკეთო (ქვ. ჭ.). თოფას შემდეგ ძალლარა მოზღვეს (კავთ.).

**ძალლაპურა** სარეველა ერთგვარი, სანთელა. ყანეფში ურევია ძალლაპურაი, პურს აფუჭეფს ისა (ბროწლ.). ძალლაპურა წვრილი მარცვალია, სანთლისფერი (ბროწლ.); აგრეთვე ქემ.

**ძალლენცოფა, ძალლცოფა** ლენცოფა. ძალლცოფა რუს პირებზე იზღება, სვინტრსა ჰგავს, იკეთეფს იასამნისფერ ყვავილს (ძეგ.). ძალლენცოფა საწამლაკი ბალახია, წითელი ყურძენით ასხია (დის.); აგრეთვე ბრ., ბროწლ.

**ძალლი ენდოს** იტყვიან იმაზე, ვისაც ვერ ენდობიან. იმას ძალლი ენდოს, იქნებ იმან დაახსნა წყალი ღვინოსა, შე არ დამიხსნამ (ქვ. ჭ.). რუსიბიჭიანთ მარუსა ისეთი ქალია, ძალლი ენდოს მაგასა, მაგისი არც კარქი მინდა, არც ავი (ბროწლ.); აგრეთვე ძეგ.

**ძალლიპირა** ბალახი ერთგვარი, ღვეისპირა. ძალლიპირა მალალი ბალახია, მოგძო ფოთელი აქს, ძეძვეფში იზღება (ტირძ.).

**ძალლის ბაბაზე მიბაბა**ს გალანძღავს. ერთი უთხრას და მაშინა ნახამს, იქნება ძალლი ბაბაზე მივაბა! (ქვ. ჭ.).

**ძალლის ბობაში მონათ-**

**ლული (ბაბანილი)** იღბლიანი. იღბლიანი როა ადამიანი, იმაზე იტყვიან, ძალლი გობაში არი მონათლულიო (ქვ. ჭ.). იმას სიკვდილი რას უზამს, ძალლი გობაშია მონათლული (ქვეში). ეგა ძალლი გობაშია გაბანილი, არაფერს წააგებდა (ქვეში).

**ძალლის მარწყვი** ბალახი ერთგვარი. ძალლის მარწყვი მიწაზეა გართხმული, წითლად მწიფდება, არ იჭმევა (ძეგ.).

**ძალლის ძუძუთი ბაზრდილი** ბავშვს ეტყვიან გაჯავრებით. შე ძალლი ძუძუთი გარდილოო, რომელიც ავი ბავშვია, იმას ეტყვიან ხომე გაწყრომითა (ქვ. ჭ.). შე ძალლი ძუძუთი გარდილო, რა გინდა, რას ჩამციბიხარ, ველარ უნდა მოგიშორო?! (ქვეში); აგრეთვე ტყვ., ქემ.

**ძაძლაძ**-ს ჭიმავეს, აფართობს ხმარებაში. ნუ ძაძლაძ, ბიჭო, მაგ ნაჭერსა, მჭირდება, გაუშვი ხელი! (ბროწლ.). იძაძლაძა: ეს პერანგი კარქია, არ იძაძლაძა (კავთ.). ბაბისა მეჯავრება ნაქსოვი, იძაძლაძა (ძეგ.).

**ძაძურა** თუთის ჯიში ერთგვარი, თეთრი მსხვილი ნაყოფი აქვს. ძეგურა სხვილი თუთაა, თეთრი (სამთ.).

**ძაძი**-ი ჭკუანაკლები. ისინიც ძეგები არიან — გიჟები; ძეგსა არც თავარი ჭკუა აქ და არც სუ გიჟია (ქემ.).

**ძანძო** ლობიოს გაცეხვის შემ-



დეგ დარჩენილი ძირი და ღერო ფოთლებითურთ. ლობიოს რო გაეცხვამთ და რომელ ჩენჩოსაც სხვილათ ავკრეფამთ, ისა ძენძოა (მერ.). ლობიოს რო დავცხვამთ, ძენძო რჩება, ჩვენ კუნწეწს არ ვეძახით (სად.). ძენძოსა საქონელ ვაჭმევთ (დის.); აგრეთვე ბრ., ერედ., ვარ., კარალ., ტყვ., ქემ., ქვეში, ქორ.

**ძეძვის შარა** ძეძვის თესლი. ძეძვი ფარა მოუღულე და ასვი, უეზარია ხველითვინა (ძეგ.).

**ძვირი**-ი იხ. მ ძ ვ ი რ ი.

**ძიგძაბ-**ი რკინის ფარცხი. ძიგძაგი ფოცხივით არი, აფხეიერებს მიწასა (ბროწლ.). აოშვა წინათი შხირათ ვიცოდით, ეხლა ძიგძაგები როა, იმითი ოშავენ (ატ.); აგრეთვე ვარ., ტყვ., ხც.

**ძირახალი**-ი ქალამანი ერთგვარი. ძირახალი მეცხვარეებს აცვიათ, ზეიდან მარტო ფეხის ჩასადგმელი, ტყავისა, შიგ თივას ჩადებენ (დად.).

**ძირეულად წყავლის** (ამოწყავლის) გამეტებით წყველის (დაწყველის). გეტყობა, ძან გაუჯავრებიხარ ვისმე, რუ ვერე ძირეულათა წყავლი (წილკ.). ვგრე ძირეულათ ამოწყველიან სომე დები ერთმანეთსა, იტყვი, ცხრაუცხონი არიანო (წილკ.). **ძირეული წყავლა**: პირგაფუჭებული დედაკაცი რუა და სუ წყველა აკერია პირზედა, იმან იციო ძირეული წყავლა (წილკ.).

**ძირის სასლი** სახლის ქვემო, პირველი სართული. ჭერი ძირი სახლითვინ რო ჭერია, მალა სახლითვინ პოლია და ისა მაგარი უნდა იყვეს (ლამ.). ზამთარში ძირი სახში გვიდგია ფეჩი და იქა ვართ სულა, ზაფხულში ავალთ სომე ზეით სახშია და მაშინაც ისევ ძირი სახში ვჭამთ საჭმელსა (ბროწლ.); აგრეთვე ლამ., ძეგ.

**ძირი-ძირად** საფუძვლიანად, ძირფესვიანად. ზოგი იქვე მოაგვის და ზოგი კედლი ძირი-ძირობამდინ, ძირი-ძირათ დაგვის (ზერ.). მეცალოს ერთი, რო ძირი-ძირათ დაგვაო! (ზერ.).

**ძირმისხმულა** თონეში ბოლო რიგში ჩაკრული პატარა პური. მთელი პური რო არ დაეტევა, პატარ-პატარას დავაკრავთ, ძირმისხმულას ვეტყვით (ძეგ.). გუნდებს გაყოფენ შუა-შუა და ნახევარპურებს მიაკრამენ ძირსა, ის არი ძირმისხმულა (ერთაწმ.). ისევ ძირმისხმულეები დააკარი და ბოლო პურათ კი ნუ დამიტოვებ (კავთ.); აგრეთვე გარ.

**ძირს ბამოუცვლის** სხვა ჭურჭელში ფრთხილად გადაიღებს და დანალექს მოაშორებს (ღვინოს...). ემ ზაფხულში რო ღვინო მოსახდელი გქონდეს, იმას თუ ძირი არ გამოუცვალე, სუ ძრმათ იქცევა (გრაკ.). თუ გინდა, კაი წმინდა ჩიხირთმა გამოვიდეს, ქათ-

მი ნახარშსა ძირი უნდა გამოუცვალო (კავთ.).

**ძირკმითქლა** თამაში ერთგვარი: დასხდებიან ჭაბუკები ირგვლივ, ორი გადის საჭიდაოდ, ვისკენაც წაქცეული დაეცემა, ის უნდა დაეჭიდოს გამარჯვებულს (კავთ.).

**ძიმბ-ი** ზინზლი. მოუვლელმა ოჯახმა ძიძგის სუნი იცის; ძიძგის სუნია, დაკეტე კარები (ხაშ.).

**ძლავრ-ი** მზრალი. ყანას რო მოვხნავთ ადრე და რო წასწვავს თოვლი პირსა, იმა ქვია ძლავრი (ვარ.). ანეულს რო მოხნავენ ზაფხულში, იმას რო დასტოვებენ, ძლავრი ქვიან (ქემ.).

**ძმათა შვილები** ბიძაშვილები. დედის ძმის შვილიც ბიძაშვილია, მაგრა ნამდვილი ბიძაშვილები ძმათა შვილები არიან (ბროწლ.). ნატო და ვანოი ძმათა შვილები არიან (ძეგ.); აგრეთვე ქვ. ჭ.

**ძმშენი-ს** ხარბად, გემრიელად ჭამს (პურს...). ვილაცას პური მიუტანია, ნახევარ ცოლი სმშუძნის, ნახევარ — ქმარი (მერ.).

**ძროსეულ-ი** საფურე ხბო. უშობელი, სამაყინარი დეკეული რო არი, იმას ვეძახით ძროსეულსა; რომელიც სახარე არი, მოწვერი, ის არ არი ძროსეული (ბროწლ.).

**ძუნძრუსა** მსუქანი, სქელი. სუქანი ბამშვი როა და დაძუნძრუსებს ისე, იმას ეტყვიან გულ-

რუცასა, ძუნძრუსასაცა (ერედ.). ძუნძრუსა ბავშვი არიო, იტყვიან, სუქანი რო იქნება, გინდა დაბალი, გინდა მაღალი (ბროწლ.); აგრეთვე ზც.

**ძუძუზე აბია** ძუძუთა ბავშვი ჰყავს. პატარა ბავშვები რო ძყავ ბევრი, ექვსი-შვიდი, იმაზე ითქმის, კუტმატები ჰყავსო, ზოგი ძუძუზე აბია, ზოგი ფეხადგმულიაო (ქვ. ჭ.).

**ძუძუზე დაკოდილი** პატარაობიდანვე გამოწვრთნილი, გაწაფული, დახელოვნებული (რაიმეში). ზოგი დედა, როგორც თითონ არი, შვილსაც ისეთსა ზდის; ეგრეთი ბავშვები რო გაიზდებიან, და დიდობაშიც ეგეთებივე არიან, როგორც პატარაობაში, იტყვიან, ძუძუზე არიან დაკოდილებიო (კავთ.). ნეტა მაგის ხელიდანა რა უნდა გამოადნო, ეგა ძუძუზეა დაკოდილი (კავთ.).

**ძუძუ წაუყრის** რძე თავისთავად გადმოუვა ძუძუდან. ძუძუმ წამიყარა და გეგონება წყაროაო, ისე გადმოსახსა რძემა (კავთ.). უთუოთ ჩემი ბაღლი ტირია, რო ძუძუებმა წამიყარეა (წილკ.). რატო არა დვიძამს ეხლა ჩემ გოგოსა, ძუძუმ როგორ წამიყარა?! (კოდ.); აგრეთვე ქემ., ქორ.

**ძღომა მოეკიდება** საჭმლით დაკმაყოფილება, გაძლება. აუშვი ახლა, ძღომა მოგეკიდოს ზომე, ადექი! (ერედ.).



**წააახლმებ-**ს ძველ ხაშს, საფუარს ახლად გადაზელს. ფქვილ ჩაყერი, წყალ დაეახსამ, მარილ ვუხამ, პურიცომ ვუხამ, დაეზელამ, წაეახლეფ და ისე ჩავედეფ სახაშეში (გარიყ.).

**წაბზირღებ-**ა დააცქერღება, დააშტერღება. იმოტეველა მწყერი იყო, რო ხოცვაჲ ვერ ავდიოდი, მაღ-მაღ წაბზირღებოლა ძაღლი და... ახლა კიდენა (წილკ.).  
**წაბზირღებ:** ხუნაგი ბაღლი საქმე არი წაბზირება, ჭამაზე რო შეეაწრობა მეზობელსა, წაბზირღება ქვაფსა და სინამ არ დაუსხამენ, თვალ აღარ მათორეფს (წილკ.).

**წაპაპრანგებ-**ს თხლად წაყრის (მიწას). მიწას ესე ზეიდან ოდნავ წაყაყრიდით თოხითა და იმას ვეძახდით, რო წაეაპერანგოთო (ძლევიჯ.). ჭერს რო დაახურავენ, ცოტა მიწას დააყრიან, ესეღა ესე წაეაპერანგოთო და მერე კარქა გაეაქოთოთო (ტირძ.).  
**წაპაპრანგებულნი:** სველი მიწა რო არი და შრალი მიწა წაეყრება ზეიდანა, წაეპერანგებული ის არი (წვ.).

**წარეკაპვ-**ს ზედიზედ ეტყვის აუგს. ეგ ისეთია, რო წარეკავს და წარეკავს (ქორ.). როგორ წარეკე და წარეკე! (ძეგ.).

**წასასაკლავებ-**ს იგივეა, რაც დაასაკლავებს. საწყალი ინ-

დური არ წაუსაკლავებია ი წყეულ მეღასა! (ხც.).

**წაბლუსღებ-**ა წაეთრევა, წაშაეღება. წაეილა, წაგლუსღა (ზერ.). მოვიდა ეს საქმეამოწყეტილი და ჩამოჯდა, ვინ იცის, როღის წაგლუსღება (კავთ.).

**წამძქვითებ-**ა 1. წინ გამოეჭიმება, აეტუხება. რას გახვედი, გოგო, და პერანგა წეემჭვიტე ი კაცსა, სირცხვილი არ არი? (მერ.). 2. წაეჩრება, წაეჩხირება. აბა, რას წაემჭვიტეთ მანდა, ქალი არ გინახათ? საცა თქვენი საქმე არ არი, ნუ წაემჭვიტებით ხომე! (ბროწლ.). მივიდა და წეემჭვიტა, საცა არა მგონია, ჩაერევა სხვის საქმეშია (ტირძ.).  
**წამძქვითილი:** ჩხუბში ყველაზე წინ რო შენ იყაი წამძქვითილი, იმიტენ მოგხედა თაქები (მერ.). ცხვირწინ არის მაგათი სახლი წამძქვითილი (ტყვ.); აგროთე კარალ.

**წაბოტინებ-**ა წაეტანება, წაეპოტინება. წუხელ ქლიავ წაეტოტინე და თვალში რაღაც ჩამივარდა (ვარ.).

**წაიბოშავ-**ს იგივეა, რაც მოიბოშავს. თაეზე რო წაიკრამს, რას წაიბოშეო, ვეტყვიო (ატ.).  
**წაბოშვა:** წაბოშვა, მოკოსიალება — ერთი და იგივე მნიშვნელობა აქეთ მაგათ (გორიჯვ.).

**წაიბალავს**-ს გადაიყვლევს (მუხლს). წაიქცა და მუხლები წაიგალა (ძეგ.).

**წაიპნატავს**-ს უშნოდ, უხეიროდ წაიკრავს (თავშალს, ხილბანდს...). რა შნოზე წაიგინატავა, რა არი, ქალო! (ზერ.).

**წაინათლებს**-ს ღვინოს გადაკრავს (იტყვიან ხუმრობით). რო შეედებოდნენ ყანასა, თანაც წაინათლებდნენ! (ღის.). როცა მუშები სვეს გაიტანდნენ, თანაც წაინათლებდნენ (ღის.).

**წაიცდი**-ს აკრძალულ რასმე გააბედვინებს მოტყუებით. რეზომ წაიცადა ალბათა, თორე ის მართო ვერ გააკეთებდა მაგ საქმესა (ქვ. ჭ.). ყარაულმა წაგვიცადა, ჯერ გვითხრა წაიღეთო, მერე კი სუ დაგვაყრეინა (ქვეში); აგრეთვე თამ., ტყე.

**წაინიჭება**-ს სიცივისაგან გამაგრდება, წაიყინება (სველი მიწა, წვნიანი შეჭამანდის ცხიმიანი ზედაპირი...). დედამიწა წაინიჭაო, წყალი რო გადუვლის, გამაგრებული როა დედამიწა (დოესი). მალე, თორე წაინიჭება და ვეღარ შაშჰამ (კავთ.).

**წაიხრულ**-ი თავუღებლიე. ჩემი ქმარი სუ წაიხრული მუშაოფს (ქორ.); აგრეთვე ტირძ.

**წაპრულა** იგივეა, რაც ძირმისხმულა. თონეში პატარა ალაგი რო დარჩება, ეგე სიგძეზე ამაყრამენ ნახევარ-ნახევარ პურეფსა, ამითანა პურეფსა ძქვიან წაპრულა (წილკ.). დედა ენაცვა-

ლოა, ჩემ ბიჭ უყვარდა ე წაპრულა პურები (წილკ.).

**წალთავს**-ს აწყობს, აკეთებს, ჩარხავს (საქმეს...). ოპო, ყველა თავისთვინა სწალთავს საქმესა! (ატ.).

**წამალ**-ი თიხის ჭურჭლის მოსაჭიქავი მასალა. ჭურჭლის წამალი ფიცხი არის და ამტერევს ჭურჭელსა; ის რო უჭერს, სკდება ჭურჭელი (მეჯერ.). **წამლის წისქვილი** ჭურჭლის მოსაჭიქავი მასალის დასაფქვავე წისქვილი (მეჯერ.).

**წამკითხავ-გამკითხავ**-ი გამკითხავი. წამკითხავ-გამკითხავი არავინ არიო, იტყვიან ხომე, როცა ეგე უპატრონოთ არი რამე დარჩენილი, ყურისმგდებელი არავინ არი (წილკ.). აიღე და წაიღე, ნეტაი შენა, ვინ არი წამკითხავ-გამკითხავი? ძალლი პატრონ ვერა ძცნოფს (წილკ.).

**წამონასაკლავებ**-ს იგივეა, რაც დაასაკლავებ. — გაუშვი ღორები, რას დაგიმწყვდევია? — ჰოო, მა! მივიდენ მანდა, წამაასაკლავონ? (საგურ.).

**წამონაწყვიტ**-ს წამოპრავს. კაცმა რო უხეირო სიარული იციე, თავადებული რო მიდიე გზაზედა, ძალიძალ წამაწყვიტს ქვაა ფეხსა (წილკ.). წყალი მოქონდა, ქვას ფეხი წამაწყვიტა (ოდ.).

**წამონიჭვითება**-ს წინ წამონუსკუბდება. ნეტა ეს რაღას წამონიჭვითება აქა?! (ძეგ.).

**წამონიჭვითება**-ს ფეხზე წა-

მოდგება, გამოძვობინდება (ავად-  
მყოფი). ძალიან ავათ იყო და ეს-  
ლა არა უშავს, წამოზნებულა  
(მეგ.).

**წამოიბარკლებ-**ა უშნოდ  
წამოწვება, გაიშხლართება. რო  
წამობარკლულხარ აქა და გძი-  
ნავს, ბაღში აღარ უნდა ჩახედ-  
ვანი? (ტყვ.); აგრეთვე კარალ.

**წამოიბაყვამ-**ა ზანტად წა-  
მოდგება. ნელა-ნელა წამოიბაყვ-  
ნენ ბიჭები და წაყვიდნენ (მერ.).

**წამოიბლავამ-**ა უშნოდ წა-  
მოიმართება, აყეუდება. სინამ იჯ-  
და, ვერ ვამცნეული და, რო აღვა,  
იმხელა წამოიბლავა, რო თვალ  
ძლიე უწვდენდი (მერ.).

**წამოიზუსამ-**ა აბუზული  
ძლიეძლიეობით წამოდგება. იჯდა,  
იჯდა, რო თქვა, აქ მე არაფერი  
მერგებათ, წამოიზუსა და წაყვიდა  
(მერ.). წამოიზუსა მეფის ქალი,  
სუ ლასლასი გააქ შიმშილითა  
(მერ.).

**წამოიკალთავამ-**ს კალთას  
აიწევს. ჩემ დედაძლიესა იმ დღე-  
სა აეკრიფა ნაქარევი ვაშლი ქვე-  
ით ბაღშია, წამოეკალთავებინა კა-  
ბანი, ჩაეყარა შიგა და ძლიეას მო-  
დიოდა (კავთ.). ძან კი წამოგი-  
კალთავებია და რავი?! (ლამ.).

**წამოიშანთამ-**ა წამოსკუპ-  
დება, გამოიჭიმება. რო წამოშან-  
თულხარ მა სკამზე, აღარ უნდა  
აახწიო? (ტყვ.). წამოიშანთა, აგ-  
რა, დაუღვით მზამზარეული! (კა-  
რალ.).

**წამოკვიტიინდება-**ა იგივეა,

რაც მოკვიტიინდება. დახე,  
დედა ღორმა რო კარქა დაიწყო  
ჭამაი, ვოჭებიც წამოკვიტიინდენ  
(მერ.).

**წამოუსაჟრამ-**ს წამოარტ-  
ყამს (თავში). ისეთი წამოგისაქ-  
რო, თვალბში დაგიბნელდეს!  
(მეჯერ.); აგრეთვე კავთ.

**წამოუსრანტამ-**ს წამოსძა-  
ხებს, წამოაყვედრებს. წამოუსრან-  
ტა ამ ბიჭსა როდინდელი ამბავი  
(მერ.). ხან რა წამამისრანტა, ხან  
რაი, შე რო კაი ქალი ყოფილიყა-  
ვი, ქმარი თავ კი არ დაგანებებ-  
დაო (მერ.).

**წამოუსრჩოლებ-**ს წამოს-  
ძახებს. ის კიდე მალ-მალე წამა-  
მიხრჩოლებს ხოლმე (სამთ.).

**წამოჩრიხვამ-**ს წამოჩრდის,  
წამოჩიტავს. ძლიეას წამოჩრიხვა  
საწყალმა ქალმა ორი ბავშვი და  
ერთი მოუკვდა (ქვეში). წამოჩ-  
რიხვამბა: წამოჩრიხვებიან თუ  
არა ესლანდელი ახალგარდები,  
ერთმანეთზე უჭირამთ თვალი (ქვე-  
ში). წამოჩრიხვამბა: ვენაცვა-  
ლე, როგორ წამამჩრიხვა გოგოი,  
ხელამ? (მერ.). წამოჩრიხვ-  
ლი: ერთი-ორი წამოჩრიხული ვა-  
რია მყამდა, ხელათ გამიქრეს,  
სტუმარი რო მამივიდეს, რა უნდა  
ქნა?! (მერ.).

**წამოწკეპამ-**ს პატარა რაშეს  
გამოწკეპს, გამოკვეერავს. სახნისის  
პირს წამოწკეპავენ გრდემლზედა  
პაქურის პირითა (ხც.).

**წამო-**ს-ჭმარტლი-ს 1. წა-  
მოსძახებს, წამოაყვედრებს (ცუღ

ნამოქმედარს). მისდგა ი თავი დე-  
დამთილსა და ხან რა წამოსჭვარ-  
ტლა და ხან რაი (კავთ.). 2. წამო-  
როშავს. დათურა ე ჩვენი ჭიკი,  
ხან ისეთ რამეს წამოსჭვარტლის,  
სუ საჭირო არ არის (მერ.).

**წამსა და წარამარა** და  
წამდაუწუმ, ყოველ წუთს. ეგენი  
წამსა და წარამარათა აქ მისხედან  
(ქემ.). გენაცვათ, მეზობელი მეზო-  
ბელსა ქქვია, ქაა, ჩემ ნებაზე ვერა  
გამიკეთებია, წამსა და წარამარა  
აქ არი (ტირძ.).

**წამსვლელ-წამსვლელი,**  
**წამსვლელ-დამარჩომი სტუ-**  
**მარი** იტყვიან ცოტა ხნით მო-  
სულ, დიდხანს დარჩენილ სტუ-  
მარზე. ატუმარი რო იტყვიდ, მივ-  
დივარო და ისევ კი იქ არი, იმაე  
ვეტყვით წამსვლელ-წამსვლელ  
ატუმარსა (წილკ.). წამსვლელ-  
დამარჩომი სტუმარი ოჯახის ამო-  
მგდებიარ (ატ.).

**წამტვრეული ლაპარაკი:**  
(სიტყვა) უადგილო, უკმეხი, მო-  
ურიდებელი ლაპარაკი (სიტყვა).  
ჩვენებიანთ ელიჩკამა ძიენ წამტვ-  
რეული ლაპარაკი იცის, არ დაუ-  
ფიქრდება, ისე ეტყვის, რაც არ  
ეკადრება აღამიანსა (რუისი). მა-  
გასა ისეთი წამტვრეული სიტყვა  
აქონია, ეგ დედამთილ-მამამთილ  
ვერ შაიმშენევს (კავთ.).

**წანაღბამს**-ს ნაღბს მოიგ-  
დებს. ზეიდან წანაღბამს, არა-  
ჟანს მოიგდებს (ძეგ.). **წანიღლ-**  
**ბებბა:** უნდა გაცივდეს რძე, ცო-  
ტა უნდა წაინაღბოს (ძეგ.).

**წარამარა 1.** აჩქარებული,  
დაუფიქრებელი, ქარაფშუტა. სა-  
ცა საჭირო არ არი, წამოისერის  
სიტყვასა, წარამარა აღამიანი ის  
არი (ბრ.). იპოებიან თითო-ოროლა  
წარამარეები, არაფრი დრო იმათ  
არ იციან (ტირძ.). 2. რაც ხში-  
რად გვხვდება, არაიშვიათი. შალ-  
გი მაღალი არი, ყვითელი ყვადილი  
აქ; წარამარა ბალახია (ოდ.).

**წარბ-ი** გათლილი ხის წიბო.  
გამოწარბეო, ბოძი რო გათალეს,  
წარბები აქ, ის გააცალე, დაარგეა-  
ლეო (ტანძ.).

**წარბა** მოვლენარბებიანი; ვი-  
საც წარბი აქვს მოკვეთილი.  
დეეცა სანდრაი ცეტერზედა, გა-  
დაეყვლიფა წარბი, გადაეგლიჯა  
და აღარ ამოუიდა წარბი ნახევა-  
რი, წარბა არი და კიდევაც უძა-  
ხიან წარბასა (კავთ.).

**წარბელა** დიდწარბებიანი.  
გაღაბმული წარბები ვისაც აქ,  
იმასა ქვია წარბელაი (ჩუმათ.).  
დიდი წარბები რო ექნება კაცსა,  
შეერთებული, წარბელასა იმას ვე-  
ძახით (ჩუმათ.).

**წასაპრავი ხარები (კამე-**  
**ჩები)** გუთნეულში შებმული მე-  
ორე უღელი ხარები (კამეჩები).  
გუთნის თავის ხარები როა, იმის  
წინ რო აბია, წასაპრავი ხარები  
ის არი (ხც.); აგრეთვე ბრ., ვარ.,  
ზერ.

**წასივსივდებ-ა** წალასლას-  
დება. სანამ ეხლა შენ ექიმთან  
წასივსივდები, წელიწადი გაეა

(ტყვ.). ეს ჩემი ქალი მოვიდა და ისევ წასივსივდა (ქორ.).

**წასინაპ-ს** წაკალავს. პამიდო-რი უნდა ჰქონდეს, ან მჟავე რამე, რო წვესინა (ბიწმ.). **წაუსინაპ-ს**: ეგა მოკალუღია, მაგრამ მაინც არ წაგისინოს (ბიწმ.). **წაინსინება**: არაფერი წასინული არ არი, ხორცი ეგრე ადვილათ არ წაისინება (ბიწმ.). **წასინება**: სპილენძის ჭურჭელმა ადვილათ იცის წასინვა (ბიწმ.). **წასინუ-ლი**: დაანებ თავი, ნუ ჭამ, წასინული არ იყოს! (ბიწმ.). **წასინული** კერძია, ხო დაგზოცათ (ძეგ.).

**წაუბულუსმღებ-ა** გულ-უხვად გაუმასპინძლდება. ძაან წაგვიგულუხვდა ელოი, ყველაფერი ბევრი იყო (ზერ.).

**წაუსაძრებ-ს** წაარტყამს, წაცხებს (თავში). თავში რო წაარტყამს ხელსა სუბუქათა, იმაზე იტყვიან, წაუსაქრაო (იგ.). ერთი-ორი წაუსაქრე მაგასა, ისწავლის ჭკუასა (კარალ.). **წასაძრება**: თავში რო წამოარტყამს სუბუქათა, ის არი წასაქრებაი (მეჯერ.); აგრეთვე ლამ., ქემ., ქვეში, წილკ.

**წაუტკობ-ს** იგივეა, რაც მოუტკობს (იხ. მოატკობს). რო დაგვიმჟავდება პურიცომი, იმას ცოტა ფქვილ დავაყრით და გადავხვლამთ, წაუტკობთ პურიცომიო, ვიტყვით ხომე (საკორ.). უკანა პური მჟავე რო არ გამოვიდეს, ცოტას წაუტკობ (ტყვ.); აგრეთვე კარ.

**წაუშქიტავ-ს** 1. აჩვენებს,

დაანახეებს ვისმე ისეთ რასმე, რის ჩვენებაც პატრონს არ უნდა. მე დამალული მქონდა საკაბეები, ხალი, ტუფლები, არ მინდოდა სონათუინ მჩვენებინა, ამ გოგომ გამოალო უჯრა და არ წაუშქიტა?! (მერ.). **წაშქიტლი**: უნდა გაზეთი მოვაფარო, თორე ამ პურეფს ესე წაშქეტილს ხო ვერ წავიღეფ? (მერ.). 2. **წაშქიტ-ება** ერვენება, დაენახვება; წაერება. მანამ იცის, რო დაინახას, სტუმარი მოუვიდა ვისმე, წავა და წაეშქიტება ი სტუმარსა (კავთ.). ნეტა რას წაეშქიტა, რას ჩამოუღვა წინა? (ბროწლ.). **წაშქიტლი**: სად არი და აიქ არი წაშქეტილი, აგე, ხალხი რო დგა და ლაპარაკოფს (ბროწლ.); აგრეთვე მერ.

**წაუსალავ-ს** იგივეა, რაც მოუხალავს. კაკალმა ყელი წაუხალა და გულზე უჭერს, პამიდორი შევაჭამოთ, გულს მოულობს (ზერ.).

**წაშია** თიხის დიდი ჯამი, წაფურა. წაფია თიხის ჯამია დიდი, დოს გასაწურათ ხმარობდენ (ქემ.). ერთი წაფია საჭმელი არა ჰყოფნის (ურბ.). წაფიაში ჩაყერილით პურსა, დავასხამდით დოსა, ჩაბუჭუქედებოდა (ძეგ.); აგრეთვე ვან., კარალ., ტირძ.

**წაშონამ-ს** იგივეა, რაც გაფოჩავს. წადი, შვილო, წაფოჩე ხახვი და მამაშენს მოუტანე, პურს შეატანს! (კავთ.).

**წაშრატულ-ი** ქუსლებჩაკე-

ცილი ფეხსაცმელი, ფლასტი. აქ რო წაფრატულები ყვარა, სად არი? (ერედ.). ნეტა ვის უნდა შენი წაფრატულები? (ერედ.); აგრეთვე ძეგ.

**წაქსინინაჲ-ს, წაქსინინაჲ-ს** უეშმაკებქ, უხიმანებს (შდრ. ქესინი, ქსვინი). სხვა წაქსინინამს, უხიმანეფს რასმე და თითონ კი პატარძალიეთ დაჯდება (წილკ.). თუ არ წაქსვინა ვინმე, ვერ მოი-სვენეფს (ბიწმ.).

**წაქლავილი**-ი წათლილი, გახეხილი (შდრ. ქლევა). ქლევა კოჭს წაქლევფილი აქ სათაფეი, რო არ გადატრიალდეს (ზ. ხანდ.).

**წაღოჭაჲ-ს** წაგლეჯს ზედა ნაწილს. რო წაგიღოჭია, ქალო, ბოლოკი, ეგრე უნდა? თუ ვერ იღებდი, მეტყოდი მაინცა! (ტყე.). **წაღოჭაჲ:** მოღოჭვა და წაღოჭვაი რას გაუყვია? (ტყე.). **წაღოჭილი:** ნიახურ რო წაღოჭამ, ზეით-ზეით რო გასხვეპამ ხომე, ის არი წაღოჭილი (კარალ.).

**წაყვინიზებულ**-ი გათამამებული, გაყოყონებული. ე შვილები იმიტვინა ყავ ეგე წაყვინიზებული, რო ჯერ გაუჯაურდება და შემერე აგლი-გუგლი გაუმართამს (წილკ.).

**წაყუყულ**-ი წაკუზული. წაყუყული ვარ სურათში ფინათათა (ქემ.).

**წანულაჲ-ს** დაათბუნებს, დაჩულავს. წვეჩულა ციალასა, დეეფარებინა ძიენა (ვარ.).

**წაწვინილი ყანა** ხშირი,

თავდასხმული, დაპურებული ყანა. სქელი ყანა რო იქნება, იმას ეტყვიან წაწვინილ ყანასა (კავთ.). თვალსაც უხარია, გულსაცა, წაწვინილ ყანას რო დაინახამს (ბროწლ.).

**წაწვირაჲ-ს** მინარეებისაგან გაასუფთავებს (პურს...). წვრილ თესლეულობასაც წაწვევრამთ ხონჩაზე — ხახვის თესლსა, კომოპტოს თესლსა (ქორ.). პურს წაწვევრამ, ცოტა მტკრიანია, შვრიაც ურევია და წამოყალ (კარალ.). **წაწვირაჲ:** პურსა ხონჩით აკეთებენ, წინ რო გადავა ბჟიტი მარცვალი და სარეველა, იმას ეტყვიან წაწვევრასა (ტირძ.). **წაწვირილი:** რო გადაწვევრამენ, წაწვერილი ის არი (ძეგ.). **წასაწვირი:** პური მაქს ცოტაი წასაწვერი, იქნებ ხონჩა გეთხუებინა? (კარალ.). **წანაწვირი:** პურს რო ვაკეთებთ ხონჩაზე და წინ რო წაწვევრამთ ნაკმაზსა, ის არის წანაწვერი (ქორ.). ნაკმაზი, წვრილი მარცვალი წინ გადავა, ის არი წანაწვერი (ბროწლ.); აგრეთვე ტყე.

**წანისფანსდებ-ა** წავა, წავთრევა, წაშავდება. წაშავდი, წანისფეხდი, თოხნე! (ბიწმ.). წავიდა — წანისფეხდაო, იტყვიან, და მოვიდა — მოხისფეხდაო, გაბრაზებულები რო არიან (არად.); აგრეთვე ახალშ., იკ.

**წაჯგვლამა** მუჯღუგუნის კვრა, უხეშად ჩქმეტა. ისეთი წაჯგვლამა იცის, რამის თქმა რო



უნდა, რო ლამის გვერდი გამომა-  
ცალოს ხომე (დ. თონ.).

**წბოლ-ი 1.** წყლულიდან გამო-  
ნადენი ლორწოვანი სითხე. გაჭ-  
რილი რო აქ აღამიანსა, ის ჭრი-  
ლობა მოიკიდუფს წბოლსა, დიდ-  
ხანს რო დარჩება შეხვეული, მა-  
შინ იცის წბოლის ჩადგომაი (წე.).  
მუწუკი რჩენაში რო წავა, მე-  
რე გადმოვა წბოლი და მორჩება  
ნელ-ნელა (ძლევიჯ.); აგრეთვე  
არად., ჩუმათ. **2.** დაძველებული,  
დამჟავებული პროდუქტის ლორ-  
წო. საჭმელს რო დადგან და დამ-  
ჟავდება, წბოლი მოეკიდება  
(არად.). ღვინოს რო გაურეცხავ  
ჭურჭელში ჩაასხამ, მოღებება, ლა-  
ბას გაუშევეფს, წბოლი მოეკიდება  
(წე.). ხორც რო მარილი არ აყ-  
რია, დაწბოლდება, ლორწოს რო  
მოიკიდუფს, ის არი წბოლი  
(ძლევიჯ.).

**წელანბარა** ზარმაცი, უქნა-  
რა. შენ რო წელანგარა ხარ და  
ყველაფერი გეზარება, სხვასაც ნუ  
უშლი! (კავთ.). რა წელანგარა არი  
ე ბიჭი, თავი დღეში არაფერზე  
დგესაქმება (მეჯერ.). მე რო წე-  
ლანგარა ვიყო, განა ესე ვიქნე-  
ბოდი, გავსუქდებოდი (ატ.); აგ-  
რეთვე დის., ერედ., საგურ., ქემ,  
ქეეში.

**წელი ეჭრა** წელი ეტკინა,  
ასტიკედა (სიმძიმის აწევისაგან...).  
წელი ეჭრა და ვეღარა დგება (სა-  
გურ.). წელი მეჭრა, ისე ფინთათა  
ვარ, ვერცა ვღებბი, ვერცა ვჯღე-  
ბი (საგურ.).

**წელი მოეწოდება** წელი  
გაუკავდება, ასტიკედება. რაღაცას  
რო აკეთებს და მიუდგომლათ არი,  
უცბათ გაუშეშდება წელი, ეტკი-  
ნება, წელი მომეწოდაო, იტყვის  
(ქე. ჭ.). წელი რო ეტკინება ერთი  
უცბათა და ვერ გაინძრევა, წელი  
მოეწოდაო, ვიტყვიო (ბროწლ.).  
წელი მომეწოდა და ვეღარ წამო-  
ვიწიე (კავთ.); აგრეთვე ძეგ.

**წელმოღებულ-ი** ზანტი, უქ-  
ნარა, ზარმაცი. როცა ზარმაცია  
და წელი წყდება საქმეზედა, ის  
არი წელმოღებული (ოდ.). საქმე-  
ში წელმოღებულთ, მარჯვე ხარ  
ღვინის სმაშია (მერ.). წელანგა-  
რა არ იციან აქა, წელმოღებულს  
იტყვიან (ქე. ჭ.); აგრეთვე ატ.,  
ბროწლ., ქეეში, ძეგ.

**წელს იღებს** ზარმაცობს,  
ზანტობს. რა წელს იღეფ, ბიჭო,  
საქმიოთინა (მერ.). ჯერ სუ წელ-  
მოღებული იყო და რაც ორსულათ  
არი, უფრო იღეფს წელსა (მერ.).

**წერეწო** სოკო ერთგვარი, წე-  
როსწევივა. წერეწო დიდი ზოკოა,  
თეთრი, მწარე (ყანჩ.); აგრეთვე  
შინღ.

**წეროები გუთანს შაბაბა-**  
**მენ** დამწკრივებიან წეროები და  
ფრენით წრეს შემოუვლიან. რახან  
გუთანს შაბამენ წეროები, მალე  
გაფრინდებიან კიდეცა (ქე. ჭ.). წე-  
როებმა იციან, გუთანს შაბამენ,  
გამწკრივებიან და უვლიან ცა-  
ზე გარშამო, მერე სად დაიკარგე-  
ბიან ხომე, არ ვიცი (ბროწლ.).

**წეროს თოვლი** გაზაფხულ-

ზე წეროების მოსვლის წინ მო-  
თოვილი. გაზაფხულზე რო მო-  
თოვს გვიანა, იტყვიან, წეროს  
თოვლი მოვიდაო (ბროწლ.).

**წვეთიან**-ს იტყვიან მძიმე,  
ძვირფას ქსოვილზე. ისეთი კოს-  
ტუმი შეიკერა, რო სწვეთამდა,  
სუ სხივილი გააქონდა (ზერ.). ქა-  
ლი მოდიოდა, ლამაზი კაბა ეცვა,  
ლამაზი, რო სუ წვეთამდა; მძიმე  
მატერია რო არი, ხელში წვეთამს  
(ბროწლ.); აგრეთვე ნიქ.

**წვეთი დაუვა** წვიმა დაასვე-  
ლებს. წიფელა მაგარია, თუ წვეთი  
არ დაუვიდა, თაობას გადივლის  
(ღის.).

**წვერა**: შენი წვერა ხარ  
თავისნათვამი, ჯიუტი, კერპი ხარ  
(მღრ. თავწვერა). შენ ხო შენი  
წვერა ხარ, სხვისი არაფერი გე-  
ყურება! (საგურ.).

**წვერაპ**-ს 1. ასუფთავეებს, არ-  
კვეს მარცვლეულს (ტაბაკით...).  
პურსა ვწვერამთ ხონჩითა, წინ  
მიდის ნაკმაზი, უკან რჩება პური  
(ქორ.). 2. მოკლედ მკის, წვერში  
ჭრის (ყანას). რატომ სწვერამ,  
ძირში მომკე, კაცო, ბზე საჭიროა,  
ვინ იცის, დიდი ზამთარი დადგეს!  
(ღ. თონ.).

**წვერაქლა** ბალახი ერთგვარი,  
წბილა. პურის წველივით არი,  
წვერელა აქვია, ვაზებში იცის  
(ობ.). წვერელა მაგარი ბალახია,  
თვალეფში რო ეტაკოს, გამოთხ-  
რის (სამთ.); აგრეთვე ასალშ.

**წვერი აქვს ღვინოს** მაგა-  
რი ღვინოა. პირსა შუშხავს, წვე-

რი აქ ღვინოსა, რომელიც კარკი  
ღვინოა, ჰქებენს ენასა, უწვერო  
ღვინო არ ვარგა (ბროწლ.). სვი,  
რამდენიც გინდა, წვერი კი არა  
აქ და! (ნიქ.); აგრეთვე ძეგ.

**წვერკაპანა** კენწერო, წვე-  
როკინა. სადამდინაც ტოტები აქ  
გასასვლელი, წვერი ჰქვიან, მემრე  
კია, საცა წვენიკი ტოტები აქ და  
გასვლა აღარ შაიძლება, წვერკა-  
კანაა ეტყვიან იმასა (წილკ.). იმ-  
დროულა დედაკაცი ზედ წვერკა-  
კანაზე მოაქცევიყო თუთასა  
(წილკ.).

**წვერნაკრაპ**-ი 1. ახლად  
ამოსული (ნათესი); გალიეებული  
(თესლი). პური, სიმინდი რო გა-  
ლოდდება, წვერნაკრაპია (ძეგ.).  
რა დროა გათოხნა არი, წვერნაკ-  
რაპია ჯერა სიმინდი და ლობიო-  
ცავთ.). გამოვიდა ალაო, წვერ-  
ნაკრაპია (ზერ.); აგრეთვე ბროწლ.  
2. იგივეა, რაც ნაკრაპი (მნი-  
შე. 1). კვერცხზე ვიტყვიო წვერ-  
ნაკრაპიო, ნაკრაპი და წვერ-  
ნაკრაპი ერთია (ზერ.). კრუხს გა-  
მაქს, სუ წვერნაკრაპები უწყვია,  
არც ერთი არ გაულაყვია (ქვეში)-  
წვერნაკრაპია, საცაა გამოტეხავს  
(ძეგ.).

**წვერულა** ქლიავი ერთგვარი.  
ქლიავი არი წვერულა, სოფელ  
წვერიდან არი გადმოტანილი  
(წინარ.).

**წია!** დამახილი წიწილების  
მოსახმობად. წიწილეფს დაუძა-  
ხეფთ ხომე: წია, წია, წია, წია,  
მოდით, მოდით! (ბროწლ.).

**წია მე!** 1. შეძახილი პატივ-ბის სათხოვნელად რაიმე თამაშობაში. რო ვთამაშობდით და შეგვეშლებოდა, მანამ მეორე იტყოდა, შეგეშალაო, თუ დავასწრებდით—„წია მე!“—მაშინ ახლიდან ვითამაშებდით (ბროწლ.). წია მე, წია მე, სამ-სამას ვიყავი და შაცდომით თოფა გავაკეთე, სამ-სამას გავაკეთეფ ისევა! (ერთაწმ.). 2. შეძახილი თამაშის დაწყების წინ, ვინც დაასწრებს, ის იწყებს. წია მე! — მე დავასწარი, ჩემი ჯერია! (ძეგ.).

**წიაღ-**ი ძარღვი; წელვადობა; გაღვივების უნარი. მახობელი წიაღს აძლევს პურსაო (ღის.). თავთუხი თეთრია, თვალისთვი კარქია, მაგრა წიაღი არა აქ, მჭადივითაა; დოლიპური ყველას სჯობიან, წიაღით, გემოვნობითა (ნოს.). ტალახს ეტყობა, რო აღარ უნდა დაზღვავი, ერთათ რო შეთვისდება, წიაღი მიეცაო, იტყვიან (მერ.); აგრეთვე გარიყ, ქემ.

**წიაღიან-**ი 1. ძარღვიანი, წელვადი, რაც კარგად გაღვივდება (ცომი, პური). რომელიც იწელება და თონე კარქა იჭერს, წიაღიანი არი (საღ.). წიაღიანი პური თონეში არ ჩაცვივა (ბროწლ.). შარშან ძაან წიაღიანი პური იყო, წრევენდელი არ ვარგა (კავთ.); აგრეთვე ვარ., ქორ., ძეგ., ხც. 2. მოსავლიანი, ნაყოფიერი (მიწა, ნიადაგი). წიაღიანი ნიადაგი ის არი, კაი ღონიერი ნიადაგი რო იქნება (ბროწლ.); აგ-

რეთვე ქემ. **წიაღიანი** თიხა წმინდა თიხა, ჭურჭლისთვის გამოხადევი. წიაღიან თიხას ღამს ურევე, ფიცხელი გამოღის თონე და კარქ პურს ამოპყრის (ზ. ხანდ.). წიაღიანი თიხა რომელიც არი, უკენჭო, იმისი ჭურჭელი კეთდება (ზ. ხანდ.).

**წიაწ-**ი სირბილი. სირბილსა აქვიან წიაწი, წიაწით წაეღი (ხერ.).

**წიპანა** ფრინველი ერთგვარი. წივანა რო დაფრინავს, წივის, ჩირგვის ძირში იკეთეფს ბუდესა (ქემ.). წივანა ჭიაღლასა ჭამს, ღობეუფში დაფრინამს (ბროწლ.).

**წიპილა** ბალახი ერთგვარი, შერიუკა. ყანა რო იადრეულეფს, მაშინ იცია ხომე ძაან წივილაა მორევა (წილკ.). ი ფშერია რო გამოუა და გააცვივა და გააცვივა, ი დარჩენილი წივილაა მაინცა (ქე. ჭ.). წივილა არი ყანასა მორეული, ყანაზე მეტია (ძეგ.); აგრეთვე საგურ., ხოვ.

**წითელგულა** მსხალი ერთგვარი. მსხლის ჯიშია, გული წითელი აქ, იმიტინა ჰქვიან წითელგულაი (ტყე.). პანტა არი, წითელგულას ვეძახით ჩვენა, ბაღეფშიც არი, ბევრი გვაროფს ჩვენშია (ბროწლ.); აგრეთვე ვარ., კარალ., ქორ.

**წითელი მანეული** ტირიფი ერთგვარი. ვენახ შევეყვამთ ხომე წითელი მანეულითა, გოდორ ვწნამთ (ქემ.). წითელი მანეული დაბალი ბუჩქია, ესე ჩა-

ყოლებასზე ღობეებათა გვაქ, ვაკეთებთ გოდრეფს, კალათეფს (ბროწლ.).

**წითელი შილა** ამბობენ წითელი ფერის აღსანიშნავად. ისეთი ვაშლია, როგორც წითელი შილა (კავთ.).

**წიკა-წიკა** დაძახილი წიწილების მოსახმობად (შდრ. წია). წიწილეფს დაეუძახეფ ხომე: წიკა-წიკა, წიკა-წიკა! საკენკი რო უნდა დაუყარო (ბროწლ.); აგრეთვე ახალშ.

**წილკერძი**-ი მოღგმა, შთამომავალი. წილკერძსა ვეტყვით შვილსა, შვილიშვილსა, ჩამონავალსა, რაფი... (ლამ.). წყველაში ვიცით, შენი წილკერძი გაწყევს, შენიო, ვითომ შენი შვილები, მომავალი გაწყედესო (ბროწლ.).

**წილკნურა** ღობიოს ჯიში ერთგვარი. წილკნურა კუტი ღობიოა, ჭროლა, სხვილი მარცვალაი აქ, გამოსავლიანია (ოდ.). ეს წილკნურა ღობიოა, მწვანეთ მოსახარშათაც კარქია (ძეგ.).

**წინა** მოწინავე. კოლმეურნეობაში წინა მუშა ვიყავი, ზოგი ჯაფისაგანა, შვილო, ზოგი დარდისაგანა, დაებერდი (საგურ.).

**წინასწარა** მეტიჩარა, მატაოცი, წინამასწარა. ყველას წინ გადაუხტება, იმას არაფინ არაფერი არ უნდა დაასწროდ, წინასწარა ის არი (ქვ. ჭ.). აი, წინასწარა არ არი შენიაი? რასაც არ ვკითხვებიან, ლაპარაკოფს, საცა

არა მგონია, სხვის საქმეში ჩაერევა (ბროწლ.).

**წინაწვევად წავა (წაი-ჰვანან...)** ახლადგათხოვილ ქალს მშობლების სახლში წაიყვანენ, ჩვეულებრივ, მოსალოგინებლად. ქალ რო გაათხუებენ, ხო უნდა მიიყვანოს ისევა სამშობლოში, იქნება დიდხანაც დატოვოს. წინაწვევით მიიყვანაო (ქვ. ჭ.). რა აქ, რა აბადია, წინაწვევით რო წაიყვანოს, განა ცოტა უნდა?! (ბროწლ.). ჩვენი რძალი წინაწვევით წავიდა თელათგორში (კავთ.); აგრეთვე ატი, ერედ, ძეგ.

**წინაწვერი-ი, წინაწვერა** თონეში გამომცხვარი პურის თხელი ნაპირი. პურს რო გამოყავცხობთ, რომელიც თხელი ხარე აქ, ის არი წინაწვერი პურისა (ერედ.). ამოყვართ პურსა, რომელიც თხელი ნაპირი აქ, ის არი პურის წინაწვერაი, მეორე წვერი ყუა არი (ბროწლ.). წინაწვერაა რა ჯობიან, აქნატუნე კაქნატელასეფუა (წილკ.); აგრეთვე დის, კავთ., მეჯვრ.

**წინაწლევად** იგივეა, რაც წინაწვევად. ჩემი რძალი ეხლა წინაწლევით წაიყვანეს და საქმეები მამემატა (კოდ.); აგრეთვე თეზი, ძეგ.

**წინდიძველა** წინდური ნაქსოვის ძონძი, ნაგლეჯი. ერთი წინდიძველა არ გიგდია, ხელით რო არ გახეხო?! (კავთ.).

**წინწასაპრაპი ხარეპი**

გუთნეულის მეხუთე უღლის ხარები (მჭად).

**წინწილებს**-ს ცოტა მოდის, მოწანწკარებს (წყალი). ჯერ სუ წინწილებდა ე წყალი, ახლა სუ დაწყდა, გაგონილა ტირძნისში წყლისთვინ სიარული? (ბროწლ.); აგრეთვე ქემ.

**წინწკალი გასდის სელ-ფანიდანა (სელ-ფანში)** მეტად მარჯვეა, სწრაფია. ეგეთი ყოჩადი ქალია დარგუაანთ პატარაალი, რო სუ წინწკალი გადის ხელ-ფეხიდანა (წილკ.). მაგითანა მარჯვე ძნელათ იპოება, ისეთია საქმეში, სუ წინწკალი გასდის ხელ-ფეხშია (ბროწლ.). ისეთი მარდია, რო სუ წინწკალი გასდის ხელ-ფეხში (ძეგ).

**წიორა** 1. ნაბოლარა წიწილა, რომელიც სულ წივის. რომელიც ნაბოლარა წიწილა არი, პატარაც არი სხეებზედა, გამხდარიცა, წაუგრძელებია წვრილი კისერი და დადი და დაწივი, იმა ეტყვიან წიორასა (იგ.). 2. გამხდარი, სუსტი (ჩვეულებრივ, ქალზე იტყვიან). ე წიორა დედაკაც თუ მაგტველი შეეძლო, არ მეგონა, ერთი ფუთიანი კალათა შეედვა მხარზე და ეგე მოდიოდა, იტყვი, არა ეკილია რაო (წილკ.). ე მაგითანა ხორხ ვაშკაცსა ეგეთი წიორა უნდა მაეყანა? (იგ.). 3. მოჩხუბარი, წიკვინა. წიორა დედაკაცი ის არი, ვინც დღენიადგ დგა და სუ წვრილი ხმითა ჩხუბოფს, გააქს წიორაბაი (მეჯვრ.). ავი ქალი რო

არი და დიდი მაღალი ხმითა ჩხუბოფს, იწყევლება, იმაზე ვიტყვით, წიორა დედაკაციაო (ძლევიჯ.).

**წიო-წიო** აქა-იქ, ცალცალკე. ისე წიო-წიო რო შლი კალოში, იმან იცის გაულეწაობაი (ვარ.). წიწილები იქნება თუ ბატები და ცალკ-ცალკე დადიან, იმას ეძახიან, წიო-წიო დადისო (კავთ.). რა იქნა, რა ვქნა, რა წიო-წიოთ დადიან ეს ხალხი?! (ნოს.); აგრეთვე ბროწლ., თვალ, ძეგ.

**წიპ-ი** ქოთნის ყელზე ძუძუს თავივით გამოწეული პატარა ნაწილი. ქოთანსა აქ ყელზე, პირზე კი არა, პირის დასწერივ, წინა მხარეს ამობურცული ძუძუს თავივითა, ის არი წიპი (ბროწლ.). მეჭურჭლე ქალი ქოთანს წინ უკეთფს ყელზე პაწაწა ძუძუს თავივით ნაწილს და მეუბნება, წიპი ჰქეიაო (ვან.).

**წიპწობა** ყურძნის დაწურვის დრო. წიპწობას ეტყვიან ჭაჭობასა, ამ დროს არა დებენ ქათმები კვერცხსა (ბიწმ.).

**წირა** გამხდარი, გალეული. ნეტა რა მუხლი უძლევს, ქაა, ამ წირა დედაკაცსა, თელი დღე ჯარასეეფა ტრიალევს, იმი მუხლი არ ჩაიკრიფება (წილკ.).

**წისქვილზე** **ღაიფქვის** იტყვიან ძალიან გამხდარ ადამიანზე. ძრიენ გამხდარი რო არი ადამიანი, რო წივასავით არი ნაქცევი, იმაზე იტყვიან, წისქვილზე ღაიფქვისო (მეჯვრ.). ისეთია,

რომ წისქვილზე დაიფქვის, ნეტა ისე რამ გალახა? (მეჯერ.).

**წისქვილს გულს დაეცა-**მა ხვიმირის ჩამოსასვლელში ბევრი საფეკავი ჩამოვა. როცა წისქვილს შეტი მოუვა მარცვალი და ფქვილი სხილი წამოვა, მაშინ ვიტყვით, წისქვილს გულს დაეცაო (ლამ.). ბევრი მარცვალი რო ჩამოვა, ვეღარ დაფეკავს წისქვილი, წისქვილს გულს დაეცაო, ვიტყვით, ასწევენ და გადმოყრიან (ბროწლ.).

**წისქვილს 'მო'ურიგებს** ხვიმირში საფეკავს ჩაყრის. ის იყო, მოურიგა წისქვილსა და დაუკაკუნა ვიღაცამა კარი (მეგ.). ჭუჭრუტანიდან დავინახე, რო შეწისქვილე წისქვილს ურიგებდა (რუისი); აგრეთვე ჩუმათ., ხაშ.

**წით-**ი 1. ახლადამოვლებული ჩურჩხელის ნაღვეთი თათარა. თათარას რო გავაკეთეფთ და ჩურჩხელეფს დავაელეფთ, იმას წითი მოწყდება და დაწვევება (ბროწლ.). თათარის წიტები მაინც მაჭამე, თუ თათარა აღარ არი! (კავთ.); აგრეთვე ახალშ., კარ., საგურ. 2. შინაური ფრინველის სენი ერთგვარი. წიწილეფსა წითი შჭირთო, იტყვიან, ავათ რო დახლებიან (ბროწლ.).

**წითა** დანაობის ილეთი ერთგვარი. ჯერ გულა, მერე ზურგა, მერე წითა, მერე მუშტა, მერე ორთითა, მერე კალამა (ქიწნ.).

**წიფ-**ი წიფლის ნაყოფი, წიწიბო. წიფსა კუთხეები აქ, კაი გემ-

რიელი საჭმელია (ბროწლ.); აგრეთვე თამ., ქემ.

**წიფაკის კვალში გადა-**პარდება ტკივილისაგან გამწარდება. არ მომდევ ექიმთანა და წიწაკის კვალში რო გადავარდება, მაშინ ნახოჲ (ლამ.).

**წიფაეურულა** ხორბლის ჯიში ერთგვარი. კარქი პური, დოლის პურია წიწამურულა (საგურ.).

**წიფიბო** საბავშვო თამაშობა ერთგვარი, დამალობანას მსგავსი (ქვ. ჭ.).

**წიფილაკა** უღონო, სუსტი, პატარა. წიწილაკა ბავშვსა გაუჯიბრდებოდნენ სომე და მე აუწვედი სომე მეშოკებსა (ვარ.).

**წიფილი ქნა პურმა** ასწრაფდა, აიტკრიცა, აილანმა პური. პური რო აწიწილდება, უღვივარმა პურმა იცის, იწვის ისა, ჯერ რო არ არი გამომცხვარი, ვიტყვით, წიწილი ქნა ჩემმა პურმაო, ამიწიწილდა პურიო (ქემ.).

**წიფინ-**ი წიკვინი. წიწინი რას გიშველით? (ლამ.). როგორ უძლეფ იმი წიწინსა? (კარალ.). და იწყო ეხლა წიწინი და აღარ გაათავეფს (ბროწლ.).

**წიფინგბ-**ს 1. წიკვინებს. ერთთავათა წიწინებს ი შენი დედინაცვალი, როგორ უძლეფ იმი წიწინსა? (ტყვ.); აგრეთვე კარალ. 2. წუწუნებს. რასაც ეგენი წიწინებენ, რა ვიცე, მართლა არ უნდა ჰქონდეთ და ღირსები არიან (კარალ.).

**წიწკანა:** ამ წიწკანას ამ წუთს, ახლახან. ემ წიწკანას აქ იყო და ნეტა სად წაიქა? (ბიწმ.).

**წიწლიკა 1.** მაღალი, გამხდარი. ძალიან მაღალ, წერილ ქალზე იტყვიან, წიწლიკა არისო (ოდ.). 2. პატარა, დალეული. რაც პატარაა თავი ასაკთანა და სუსტია, წერილი, ყველას ეტყვიან წიწლიკასა (ტირძ.). ე წიწლიკა ბავშვი როგორ უნდა გაგზავნონ იმსიშორეთა მაგოდენა კოკითა, მაგი მომტანია ეგა?! (ბროწლ.); აგრეთვე ატ., ძეგ., ძლევიჯ.

**წკიპარტი-**ი პატარა ხელეუარი, რომელსაც მკის დროს გამკლელს მიართმევენ ბარაქის ნიშნად. თავმჯდომარესა წკიპარტი მივართვი და იმ მამაცხოვნებულმა რსეთი ოცდახუთმანათიანი მომცა, სუ ტკაცითკუცი გაქონდა (კავთ.).

**წკიპარტი** თავმოწონე, ფაქიზი, კოპწია. იმითანა წკიპარტი ვიყავი, როგორც თავი მოგეგონოს! (ზერ.).

**წკიპარტის იცეპს** კოპწიაა, ფაქიზია. ნეტა ეგ ვისა აგავ, ქაა, ეგეთი, მაგი დედა ეგეთი იყო, რო სუ წკიპარტი იცემდა (წილკ.). **წკიპარტის ცემმა:** წკიპარტი იცემა ის არი, რო სუფთა, პეწენიკი ადამიანი რუ არი და სუ ტანისამოსზე რო იცქირება, მტყერი არა დემეცეა რაო (წილკ.); აგრეთვე ატ., ძეგ.

**წკრიალა** წისქვილის ხვიშირზე მიმაგრებული ჩხარუნა. ხვიშირასა აქ წისქვილისასა, წკრია-

ლას ეძახიან, რო ჩამოვა საფუკავი სულა, დაენდობა ქვასა და დაიწყებს წკრიალსა (ბროწლ.).

**წკრიალა ჩიტი** ფრინველი ერთგვარი. პატარაა წკრიალა ჩიტი, ხნულეფში იცის, ბუდეს იკეთებს ყანეფში (ქემ.). ჩიტი არის წკრიალა, პატარა ჩიტი, სუ პატარაა, მოსერო ფერია (ნიქ.); აგრეთვე ბროწლ.

**წლის პური** საახალწლოდ გამოიმცხვარი დიდი პური (იცოდნენ ძველად). საახალწლოდ დიდ პურს გამოაცხოებდნენ, წლის პურსა, შიგ ამოჭრიდენ პატარ-პატარა ჯვრებს და ზოგს ბელელში დადებდნენ, ზოგს პურის ორმოს დაადებდნენ ზედა, რომ ბარაქა იყოსო (კავთ.). წლის პურსა შამაგორებდა მეკვლე, საით გადარუნებოდა: პირქვე დეცემოდა, არ ვარვიდა და გულადმა დეცემოდა, კარქი იყო (მჭად.).

**წლო** მაღალი, სწორი (ხე). ხეა ვაშლის, სინაბი ქვია, წლოთ გაზდილი (თამ.).

**წლოვანი**-ი იგივეა, რაც მოწლევე. სუ წლოვანი ვაშლები გვიდგა, ხოლოთ ერთ წლოწად რო ერთი დაისხამს, მეორე წლოწად — მეორე (წილკ.).

**წმინდაკბილა** წკრილები-ლებიანი (სავარცხელი). ხის სავარცხელსა ვეიდულობდით ხომე, წმინდაკბილასა (ძეგ.). წმინდაკბილა სავარცხელსა პატარა და მოკლე კბილები აქვს (ქემ.); აგრეთვე კავთ., ჩუმათ., ზამ.

**წინელებს სლართამს** უარს ეუბნება მიკობ-მოკიბებით. წინელებს კი ხლართამს, მაგრამა კოჭებში ეტყობა, თითონაც უნდა (კავთ.).

**წონწილებს**-ს ირყევა წასაქცევად. გაამაგრეთ, ბიჭო, ე სკამი, ხო ხელამთ, წონწილეფს, მაინცღამაინც უნდა წაიქცეთ, რო გააკეთოთ?! (ბროწლ.). წონწილეფს, რო ლამის წაიქცეს, ადამიანზე გვითქვია, საქონელზეც გვითქვია (ბრ.).

**წოკა, წოკე 1.** წვეტიანი (რქები). წვეტიანი რქები რო აქ ხარსა, გვითქვია, რა წოკა რქები ააქო (წვ.). 2. ასეთი რქების მქონე. ერთი წოკე ხარი ძეგანდა მამაჩემსა, ეგეთი რჩოლელა იყო, რო ბაღლები ახლო ვერ მუუდგებოდნენ (წილკ.); აგრეთვე ბროწლ.

**წორო-წორო, წურო-წურო წაჭა** ახლად მიკრული პური ერთიანად თონეში ჩაცვივდება. რა იყო ეგრე ჩიჩქვის მოზელა, გუნდა რო არ მომეხელა, სუ წორო-წორო წავიღოდა! (კავთ.). გადაზელვა უნდა, თუ არ გადაზიღე, თავს ვერ დაუჭერ, წურო-წურო წავა (კარალ.); აგრეთვე ბროწლ., დ. თონ., კოდ., მერ., ტყვ., ძეგ.

**წორო ხე** ცირცელი. წორო ხე ქეცის წამალია (იკ.). წორო ხის ტოტ გავაცლით ქერქსა, გამოვხარშამთ, მემრე დავშაბამთ და შიგ ვაბანავუფთ ელქუნიან ბაღლსა, მემრე გამოხარშულ ქერქ შამაადებენ ყელზე და ხელათ გაუ-

ქრება ელქუნიცა (წილკ.). ღმერთმა გაახაროდა ისაშეი, ჩემ ბაღლ ელქუნი აქონდა, იმან გამამიტანა წორო ხე (წილკ.); აგრეთვე ზ. ხანდ.

**წორწოტინა** მაღალი და წვეტიანი, წოპწოპა. სოფელში შეხვალთ თუ არა, შორიდანვე დაინახამთ ეკლესიის წორწოტინა სახურავსა (ბროწლ.).

**წრაპნი**-ს ზედმეტად გრებს, ძახავს (ნართს). ხო გეუბნებოდი, ნუ წრაპნი-მეთქი, აი, როგორი დაგრეხილი წინდა გამოვიდა! (კავთ.). ღართვის დროსა ძაან დეგერისებათ ძაფი, ხან კიდე ძალათი წრაპნიან, რო მერე დახვეწონ (კავთ.).

**წრიანობა** საბავშვო თამაში ერთგვარი, ლახტი. თუ ერთმა მოთამაშემ მაინც გასჭრა წრის გარეთ მყოფი, თამაში თავდება და წრიანობა თავიდან იწყება, მოთამაშეები ადგილებს იცვლიან (ხც.).

**წუთისოფელს მოეწევა** შეიძენს რასმე, მოინაგრებს. ეგ რო ეგეთი წელანგარა არ იყევა, აქნამდინ წუთისოფელ შეეწეოდენ (წილკ.).

**წუპი**-ი ბინძური; ცუდი, უეარგისი (ვინმე). ჩემ ქმარ ეუბნება, „ემდა ი წუკი მოდიდა“, ჩემზედა (საგურ.). შენი წილი წყალიო, შენმა წუკმა მამამ დაისხაო (საგურ.).

**წუპიანი**-ი ბინძური, უსუფთაო. ჭუჭყიანი რო იქნება დედაკაცი, ამოწუნული ჭუჭყითა, წუკიანს



იმას ეტყვიან (მეჯერ.). შენი თავ-  
შალი ვერ ამოგირეცხია, შე წუ-  
კიანო, შენა და სხვებ ეუბნები ასე  
და ისეო? (იგ.). მა წუკიანი დე-  
დაკაცის გამამცხვარ პურს არ შეე-  
ჭამ, ერთი კვირიი მშვიერიც რო  
ვიყვე (წილკ.).

**წუკწუკა** წუწკი. რო დასუსუ-  
ნატიფს, იმასა ქვია წუკწუკაი,  
წუწკ ადამიანსა (ჩუმათ.). წუკწუ-  
კეები არიან ღორები (ჩუმათ.).

**წუმი**-ი კრინტი. ისე გაეჩუნ-  
დები, ისე გავკემნდავ ხმასა, რო  
სუ წუმს აღარ დაემჩამ (მერ.).  
რო წამოუშალე და წამოუშალე,  
ისე გაჩუნდა, ისე გაკარინა ხმაი,  
რო წუმი აღარ დაემჩრა (მერ.).

**წუმწუმა**, **წუმწუმელია**  
დამწვარი გოგირდის კვამლი;  
იყენებენ იამანის (საქონლის  
სენის) წამლად. აღარ უნდა წუმ-  
წუმელაი ძროხასა? (ლამ.). საქონ-  
ელ რო იამანი გაუჩნდება, უნდა  
შემოატარო აბაზიანი, უხმარებელ  
ოქროსცოცხას მოუკიდო ცეცხლი  
და წუმწუმა გაუკეთო, იმ წუმწუ-  
მით დაუდალო (მეგ.); აგრეთვე ოძ.

**წუნკალა** 1. ნათლილების წი-  
ნა დღის მარხვა. ნათლილების წი-  
ნა დღითა მარხვა იყო ხომე და  
იმას ეძახდნენ წუნკალასა (ქვ. ჭ.).  
2. იტყოდნენ იმაზე, ვინც მარხ-  
ვას არ ინახავდა. ვინც მარხვას  
არ შეინახავდა, ის იყო წუნკალაი  
(ქვ. ჭ.).

**წუნკალობა** ნათლილების  
წინა დღე; მიცვალებულების დღე  
იყო. წუნკალობას უმძრახ წყალს

აავსებენ, მცენარეს დაუსხავენ  
და მიაგებოსო, იტყვიან (ლამ.).  
დღესა წუნკალობა ყოფილა (ლამ.).

**წურბელა** ბალახი ერთგვარი.  
წურბელას ხელზე დავიდებლით-  
წინათი და ვიტყოდით: „წუ, წუ,  
წურბელა“ და თესლი დაგვეყრე-  
ბოდა (ნოს.).

**წუწ-ი** წირპლი. მომანე ქი-  
რი ბაღსა, რო თვალები წუწითა-  
აქ გადაღვხილი?! (წილკ.). აი, მე  
თვალები მტკივა და წამლაწუმ  
ვიწმენდამ, რო წუწი მიჩნდება-  
მალ-მალა (ბროწლ.).

**წუწიანი**-ი 1. ჭუჭყიანი. ერთ-  
მა წუწიანმა ღორმა ასი ღორი  
გათხვარაო (ფლ.). ამ წუწიანი  
ფეხებით როგორ უნდა დაეიძინო?  
(მეგ.); აგრეთვე ტყე, ქვეში 2.  
წირპლიანი. თვალებზე რო წუწე-  
ბი გამოუვა, წუწიანს ვეძახით  
(საგურ.); აგრეთვე ბროწლ.

**წუწკი**-ი ცუდი, უვარგისი. რაც  
წახდება, იმაზე იტყვიან, წუწკიო,  
მურაბაც რო კარქი არ გამოვა,  
იტყვიან, წუწკი გამოვიდაო  
(ერედ.). ვაშლზეც იტყვიან, წუწ-  
კი ვაშლი როა, გლახა (ქემ.). წუწ-  
კი ქვა არი, არ ვარგა! (დის.).  
ძალიან წუწკი ენა აქ, დასწყეაო,  
მაგისი პირიდან კარქ სიტყვას-  
ვერ გაიგონეფ! (ბროწლ.); აგრეთ-  
ვე მერ.

**წუწნარა**, **წუწნელია** ბა-  
ლახი ერთგვარი. სამყურა ფოთ-  
ლები აქ წუწნელასა, იასამნისფე-  
რი მრგვალი ყვავილი (ხც.). წუწ-  
ნელასა აქ მრგვალი ყვავილი ბურ-

თივითა, იმას ამოვადროფთ და ძირეფს უწუნით, ძალიან ტკბილია (ბროწლ.); აგრეთვე დ. თონ., ღის., ძეგ.

**წყალი ბადაქსას (შენი, მისი...)** შენი (მისი...) ბედი ეწიოს, შენსავით (იმისავით...) გაბედნიერდეს. რო დაქორწინდებიან, იმათ ეტყვიან ახალგარდები, გასათხოვრები, დასანიშნები, რო თქვენი წყალი გადმოგვესხასო (საგურ.).

**წყალკვინტილა** წყალწყალა. თხელ კერძ რო გააკეთეფს და არ არი კარქი, ბევრი წყალი ააქ, იმაზე იტყვიან, წყალკვინტილა სპემელი გააკეთაო (ოდ.). ბევრ წყალ რო დაასხამენ კერძსა და ცარიელა წყალია, წყალკვინტილას იმაჲ ეძახიან (ქვ. ჭ.). მაგდენი წყალი რო მიუხუვლე, ღოს შეჭამანდი უნდა გააკეთო თუ წყლისა? წყალკვინტილასა რაღა გემო უნდა ჰქონდეს? (ტყვ.); აგრეთვე კარაღ., ქემ., ქორ., ძეგ.

**წყალკვიპანა** წყლის ფრინველი ერთგვარი. წყალკვიპანა დიდი არი წყალწყალაზედა, ქვიშასა ჭამს, ჭიასა, რამესა, მაგითი რჩენულოფს (წვ.). გაბურძმებული არი წყალკვიპანაი, რუხივით არი (წვ.); აგრეთვე ბრ.

**წყალს ბადაუწურავს** იმედს დაუკარგავს, იმედს გადა-

უწყვეტს. შეილო, აბა, რა იცი შენა გოდრის დაწუნაიო, ქა, ამან სუ წყალი არ გადამიწურაო, დამაცადე, იქნება მოვახერხო რო გორმეო (ქვ. ჭ.). ამ გოგია მხო სუ წყალი გადაუწურა (კოდ.).

**წყალს მოუწყვებთას** იგივეა, რაც წყალს გადაუწურავეს. ყველა მხრიდან წყალი მამიწყვიტა (ბიწმ.). **წყალი მოუწყვდება:** ე კაცს რო ვგრე მოუვიდა, აქედანაც წყალი მამიწყვდა და დაურჩი ვგრე მარტოკა (ბიწმ.).

**წყალყურძენა** ყურძნის ჯიში ერთგვარი. წყალყურძენას თხელი კანი აქ, ძიენ წვნიანია (ქემ.). წყალყურძენა თხელი ყურძენია, წვნიანი, გვიან მწიფდება ძალიანა, მჟავეა (ბროწლ.).

**წყლის ინა** ბალახი ერთგვარი, წალიკა. წყლის ინა ჭაობებში იცის, წყლიანი ადგილები საცაა (კულბ.).

**წყლის ნიახურა** ბალახი ერთგვარი, ნიახურა. წყლის ნიახურას ნიახურს უგავს ფოთლები, წყლი პირებზე იცის, ხოლოთ სქელი ფოთლები აქ (ბროწლ.). წყლი ნიახურაც რაღაცის წამალია თურმე (ქვეში). წყლი ნიახურა ჭაობებშია, წყლი პირებზე არი, წამლათ ხმარობენ ხომე (ოდ.); აგრეთვე მელვრ., ქვ. ჭ.

ჭ

**ჭაბუკი** -ი 1. ბებერი, მოხუცი. ჭაბუკი არი, ძალიან რო დაბერდება კაცი, ძალიანა, რო გავლის თავი აღარა აქ (დის.). ძიენ ჭაბუკი მამამთილი ჰყამდა ჩემ დასა, ვეღარ დადიოდა სიბერითა, იმანა თქვა ერთხელა, ნეტაი რა ჯობდაო სიყმის შვილის ზდასაო, თეთრი ფქვილის ცრასაო, იფნის შუშის წყასაო (არად.); აგრეთვე იკ. 2. უშაკი, ქაჯი. ჭაბუკი უშაკი არის, საცა ის ჭაბუკი არი ი უშაკის განკარგულებაში არი ყველაფერი, მე კი არ მინახამს, ღმერთმა არც მანახოს! (ძლევეიჯ.). მაგას ისე უნდა, რო ყველა დაიხოცნენ და თითონ დარჩეს ჭაბუკივითა (დის.). შენ ისეთი ჭაბუკი ხარ, რო არაფერი გამოგეპარება (კარალ.); აგრეთვე ბროწლ., მერ., ტყვ., ქემ.

**ჭადღა** იხ. მჭაღა.

**ჭამაფიცილა** ვინც ჭამს და არ ამხელს. წელან ერთი ჯამი ლობიო შეჭამე და არ მიჭამიას, ნამდვილი ჭამაფიცილა ხარ (კავთ.). ისეთი ჭამაფიცილა ბავშვები მყავ თამარასა, თელი დღე იღმურძლებიან, ისე კი, რო მკითხო, არა გვიჭამია რაო!... (იგ.). რა ჭამაფიცილაა ე ჩვენი ეთუა, წელანა კვერცხი შაიწო და შაჭამა, ეხლა კია თავი დედამ თავს აბრალებდა, დღევანდელა დღე

მშიერი ვარო (წილკ.); აგრეთვე თამ., მეჯვრ., ქორ.

**ჭამპურაობა** ჭამა-სმა, ქეიფი. მაგათ ხო ჭამპურაობა უყვართ და!.. (დის.).

**ჭანჭანარა** ეაშლის ჯიში ერთგვარი. ჭანჭყარა ტკბილი ვაშლია (ქვეში).

**ჭაჭა** გამოწურული ფიჭა. თაფლს რო ფიჭისგან გამოწურამთ, რაც დარჩება, გაწურული ფიჭა, ის არი ჭაჭა (ბროწლ.); აგრეთვე რუისი.

**ჭაჭარაშმება** პაპანაქება. ერთი კვირა ვიშუშავე იმ ჭაჭარაქება მზეზედა (ზერ.).

**ჭახმაპი**, **ჭახმაპა** ახალგაზრდული იერის მქონე (ხნიერი ადამიანი); ჭარმაგი. მაგამ ჭახმაკა მამა ყაშს (თამ.). საწყალი ისეთი ჭახმაკი დედაკაცი იყო, გვითქვია, რა მოკლავს ამასაო, მაგრა დახე, რა უცეფ გამოუვარდა?! (კავთ.).

**ჭახრაპინა** იხ. ჩახრაპინა.

**ჭახსახსა** მკვეთრი წითელი. წითლიანი რო არი, მხიარული ფერი, იმას ეტყვიან, ჭახსახსა ფერი ააქო (ოდ.). ჭახსახსა კაბა აცვია ხავილიანთ პატარძალსა (ქე. ჭ.); აგრეთვე ქემ.

**ჭაქაქა**-ი ცხერის ჯიგარი (კავთ.).

**ჭანჭი** 1. ცხიმი, ქონი. ისეთი

ქათამი დაუკალი, რო სუ ჭენჭი გასდიოდა! (ტყვ.). წვადებს ჭენჭი გასდიოდა (კარალ.); 2. ოფლი. ჭენჭი გადასდის შუბლზე, რამდენი ურბენია! (ტყვ.); აგრეთვე კარალ.

**ჭირაპ-ს** 1. ჭერის ფიცრებს აჭედებს (თამ.). 2. ჭერს ასუფთავებს. დედაჩემი სახლსა მჭერამს (ბიწმ.).

**ჭირს ასდინან** ოჯახის წევრის გარდაცვალების წლისთავზე იმღერებენ გლოვის შეწყვეტის ნიშნად. ეგენი როდილა გლოვობენ, ქა, უკვე ჭერი ახადეს (კავთ.). **ჭირის ახდა:** წლისთავი რო გახდება, გამართამენ წლისთავის წირვასა და თან იმხიარულებენ, კიდეც იმღერებენ, კიდეც ითამაშებენ, მაგას ეტყვიან ჭერის ახდასა (კავთ.).

**ს-ჭმარტლი-ს** უხსენებს ცუდ ნამოქმედარს, ნიშნს უკებს. სჭვარტლის და სჭვარტლის ე ჩენი ტოპეი, სუ დუხი გაუწყო საწყალ ბიჭსა (მერ.).

**ჭიაკოკონას დაუნთებს** ძალიან ერხუბება, შავ დღეს დააყრის. გაიგოს, გონი ჭიაკოკონა დაუნთოსო, იტყვიან ვინც კაპასი ქალია, იმაზე (ქვ. ჭ.). მოვა ეხლა დედაჩემი და ჭიაკოკონას დაგვინთებს, წიწილები რატომ დაგისოციათო (ქვეში).

**ჭიჭაპი არ ისმის** სიჩუმეა, ჩამიჩუმი არ ისმის. არავინ იყო, ჭიჭაპი არ ისმოდა (ქემ.).

**ჭიჭიკა** ღია ფერის ჭრელი,

ჭყარტალა. ჭრელი რო არი, ყვაილიანი, იმაზე იტყვიან, ჭიჭიკა ნაჭერიო (არად.). აბა, შვილო, ეგ ჭიჭიკა კაბა რა ჩემი შემფერიო, მე თალხი ფერის კაბა მინდა! (კავთ.).

**ჭილიმუნ-ი** საბავშვო თამაში ერთგვარი: ერთი ბავშვი გადაისერის რაიმე ნივთს და დაიძახებს— „ჭილიმუნი!“ სხვები თვალდახუჭულნი ეძებენ, ვინც იპოვის, გამარჯვებულია (ხც.).

**ჭილკოტიან-ი** იგივეა, რაც ჭირკოტიანა. ვინც ხშირ-ხშირათ ავანტყოფოფს, ჭილკოტიანია (ახალშ.).

**ჭინჭარა** ბალახი ერთგვარი. ჭინჭარა ბალახი, როგორც ჭინჭარი, ისეთია და ლურჯი ყვავილები აქ, არაფრათ არ ვარგა (ქემ.).

**ჭირინახარშ-ი** ჭირის ოფლი. ძაან ძნელი ყოფილა ყური ტკივილი, სიმწარისაგან სუ ჭირინახარშილა მასხამდა (წილკ.). დედა მოუკვდეა, მეტი ტკივილისაგან სუ ჭირინახარშში იყო გაწუწული (წილკ.).

**ჭირის ნახარშელი** იგივეა, რაც ჭირინახარში. იმისთანა სიცხე ჰქონდა, იმისთანაი ჩემ გოგოსა, ავათ რო მყვანდა, სუ ჭირის ნახარშელი გადასდიოდა (ბროწლ.).

**ჭირკოტიან-ი, ჭირკოტილიან-ი** ვინც ხშირად ავადმყოფობს. ხელათ ავათ რო ხდება, ჭირკოტიანს ეძახიან (კავთ.). შენ

ისეთი ჭირკოტიანი ხარ, რო შუ-  
ნი სადმე წაყვანა არ შაიძლება  
(კავთ.). სოფოს ეგ ერთი შვილი  
ჰყავ, ეგეც ჭირკოტლიანი (დ.  
თონ.).

**ჭიტაკორა** რგვალი, შუაში  
ვახვრეტილი კვერი (მჭად.).

**ჭიღვა** სარი, ჭიგო. აქ სარ-  
საც ვეტყვით და ჭიღვასაცა (ხც.).  
ჭიღვა სარი არი, კაი სხვილი სა-  
რი, ვაზს შეუდგამენ (საღ.).

**ჭიჭღებ-**ა ზრდას ისრულებს,  
ხევედა, ბერდება (ბალახი). „ხა-  
ჭმაჭიჭა ჭიჭღებოდა“ ის არი, რო  
ზრდას დაისრულებს, გახვედება და  
მხლათ აღარ ვარგა ისა (ძღვევიჯ.).  
ხაჭმაჭიჭა ბალახი არი, მხლათა  
ეხმაროფთ და ჭიჭღებოდა ის არი,  
რო ძლიერდებოდა, იზღებოდაო  
(ბებნ.); აგრეთვე საღ.

**ჭიჭვიბა** ცალყურა ქილა  
(ახალშ.).

**ჭიჭიტა 1.** ჭუჭრუტანა. იმ  
კარებს ჭიჭიტა ჰქონდა (დის.).  
**2.** შუაში ვახვრეტილი, მრგვალი  
კვერი. თონეში დაუკრამენ ბაე-  
შესა პატარა კვეკვერასა და შუა-  
ში გულს ამოუღებენ, ის არი  
ჭიჭიტაი (ხც.). პურის კვერი,  
ჭიჭიტაი არ იცი? (ტყვ.); აგრეთ-  
ვე კარაღ., ქვეში, ქიწნ.

**ჭიჭორა** სარეველა ბალახი  
ერთგვარი, ჭიოტა. ჭიჭორა სარე-  
ველაა, ძაან წვრილი თესლი აქ  
(ტანძ.).

**ჭლიბ-**ი ფეხი. ჭლიკი ფეხია  
(ტანძ.).

**ჭლინკებიან-**ი ჭვინტებიანი.

ტუფლი იყო ჭლინკებიანი, წინ  
ჰქონდა აგრეხილი გძელი ცხვი-  
რი, მაღალი ყელი ჰქონდა ექამ-  
ლინა და მაღალი ქუსლები (ბრ.).

**ჭოთი-**ი ბამბის თხელი ქსოვი-  
ლი, შინ დამზადებული. ჭოთი სუ  
ცალწვერი იყო, იმაჲ დაიჭვრდნენ,  
დააფაფამდნენ თხლათა, როგორც  
საფანელი, ის ამაგრებდა, აღარ  
დაწყდებოდა (ბაზ.). ლეიბებს გა-  
დავაკრამდით შიგნიდან და გარე-  
დან, შიგნით — შითლებსა, იმას  
ჭოთ ვეძახდით, დაუჯრავებული  
იყო, სხვადასხვანაირი ძაფით იყო  
მოქსოვილი და ლამაზი იყო, ღიდ-  
ხანა აძლებდა (ბაზ.).

**ჭოლიპა** ახლად ტანყერილი,  
წამოზრდილი. ნეტა ჩემ ძმებ რა  
შეუძლიანთ, ჭოლიკა ბიჭები არი-  
ან! (მერ.). თქვენ ცხოვრებისა რა  
გეგეგებათ, ჭოლიკეები ხართ!  
(მერ.).

**ჭოლოკან-**ი, **ჭოლოკინ-**ი  
1. მოკლე კეტი, ჭოლოკი. პატარა  
მოკლე კეტია, იმას ეძახიან ჭო-  
ლოკინსა, ან კაკალს ესერიან, ან  
ვაშლს ესერიან, ჩამაყრუინებენ  
ი ჭოლოკინითა (წე.). ავიღეფ  
ჭოლოკანსა და გცხეფ! (ძეგ.);  
აგრეთვე არად., დ. თონ. 2. ორ-  
თაყვირის დასამაგრებელი ჭოკი.  
ჭოლოკინს გაუკეთებდით შუა ხე-  
სა (ზ. ხანდ.).

**ჭოკინი** ფრინველი ერთგვა-  
რი. ჭოკინო ღიდი ჩიტი, ტრედ  
რო გაამს (ქემ.).

**ჭოროხ-**ი მდინარეში ამაღ-  
ლებული, მშრალი პატარა ადგი-

ლი. მდინარე რო მოვარდება, საცა წყალი გადაივლის და დაიკლებს, გაშრება, ის არი რიყეი, საცა არ დასველდება, მაღალი ადგილია შუაში, ის არი ჭოროხი (წვ.). აქეთაც წყალი მოდიოდა, იქითაცა და ჭოროხზე იდგა ერთი კაცი, ი ჭოროხი სწორეთ ისეთი იყო, რაც ერთი კაცი დეეტეოდა (ბროწლ.).

**ჭორტი**-ი ხორცმეტი, მოზრდილი მეჭეჭი. მშენიერი ბავშვი იყო, მაგრამა სახეზე ჭორტი ჰქონდა (კავთ.). ჭორტსა ზოგი მოუჭერს ხომე ძირში კანაფსა და მათგლებინეფს (კავთ.).

**ჭორხლიანი**-ი ხორკლიანი, (ქვა). კვერისთვინ ვშოულობდით, ბევრი იყო ჭორხლიანი ქვაი, კოხ ვეძახით (ტირძ.). ჭორხლიანი ქვა სალა კი არ არი, მუწუკებივით აქ (ძეგ.). ქვას თუ საკოდლით ვასუფთავეფ, ხო კარქი, თუ გასახეხია, ჭორხლიანი ქვა უნდა მოვნახო, თან ვასველებდე წყლითა და ისე გაიხეხოს, რო შუშასეფ ვასუფთავედეს (მეჯვრ.).

**ჭოტა** იგივეა, რაც ნიკორალობიო. ჭოტასა ცოტა ჭრელი აქ, ადგილი თეთრი აქ, თეთრი ყავისფერით ჭრელი (ძეგ.).

**ჭოჭოლა**, **ჭოჭოსა** ჭორფლიანი (აღამიანი). ჭორფლიან აღამიანზე იტყვიან, ჭოჭოლა სახე ჰქონდაო (ატ.). ჭახჭახასა წითურ კაცსაც ეძახიან, ჭოჭოლასაცა (ტყვ.); აგრეთვე მერ., ქემ.

**ჭრთიალ**-ი იგივეა, რაც შტიალი. არც ტვინი გამოჰყვება ამდენი ჭრთიალითა (ზერ.).

**ჭრთას**-ი ჭრელი (ქათამი). ფერადი ქათამი რო იქნება, ჭრთასი ის არი (ჩუმათ.)

**ჭრშპ**-ი პატარა ბავშვი (მოფერებით). ბავშვებზე ვიტყვი ხომე, რაკაი ჭრუკები არიან-მეთქი (ერედ.). ბავშვები რო ფეფ, წერილი ბავშვები, პატარეები, ჭრუკები ფეფო, იტყვიან (საკორ.). შენი ჭრუკები რატუ არ წამაასნი? (ტყვ.); აგრეთვე კარალ., ოძ., ქემ., ქვ. ჭ.

**ჭრუნტ**, **ღამრჭობა**! მოულოდნელად, უმალ გაჩნდება სადმე. მოწანწალე აღამიანი რომელიც არი, ისა ხან იქ არი, ხან იქა, საცა ორ აღამიანსა ნახამს, ჭრუნტ, დეერჭობა იქა! (ქვ. ჭ.); აგრეთვე ტყვ.

**ჭუკ**-ი ინდაური. დიდ ინდაურებს ჭუკებსაც ეძახიან (საგურ.). ორი კრუხი დავსვი, დიდმარხვა იყო ჯერა, ერთ ჭუკი კვერცხები დაუწყე, მეორე — ქათმისა, ნახევარი არ გამამიჩიკა (ოძ.).

**ჭუკულა** ბატის ჭუკი. ბატის წიწილ ვეტყვით ჭუკულასა (ღამ.).

**ჭულამ**-ს შარდავს (ბავშვის ენაზე). აი, შვილო, დალი ჭულავს, მოდი, შენც მოჭულე! (ტყვ.). **ეჭულა**: მოჭულე, მოჭულე, შენ მოისპე, შენა, არ გეჭულია? (ბროწლ.); აგრეთვე კარალ.

**ჭუმ**-ი წმინდა, შეურეველი. ჭუმი საფერავის ღვინო დავლიე

(კავთ.). ეს ცული ჭუმი ფოლადია (ხანდ.). ჭუმი თეთრი იყო და არ ვიყიდე (კარალ.).

**ჭურულა** პატარა წყალი, ხევიში გამოძლინარე. თქვენ რა გიჭირთ, თქვენთანა ჭურულა მაინც ჩამოდის (კოდ.).

**ჭუჭყუნა** მსხვილი რქოსანი საქონლის გადამდები სენი, ჭიჭინა. საქონელს ჭუჭყუნა სადაც გაანდება, ის ადგილი უშავდება, როგორც შავი კუნაპეტი და ერთ დღე-ღამეში კვდება (საკორ.). ჭუჭყუნა სუ შავთ მააქცევს ძროხას, ხარს (დად.); აგრეთვე სამთ.

**ჭყაპი**-ი წყალწყალა. სადღებელი ვათხოვე, ქა, კანოსა, ისეთი ჭყაპი დო მაძიტანა, წყალივით არი (ერთაწმ.). კარაქი ამოდები დროსა ხან ცივ წყალ დაურევენ, გაოფლიანდა კარაქიო, ხან ცხელ წყალ დაურევენ, ესლა გაცივდაო და იმი დოი ჭყაპი გამოდის, სუვე აღარ არი (ერთაწმ.).

**ჭყატას (ჭყატანს) მონადენს (ბაადენს)** გაჭყელტს. ვასრესს. რო გაჭყელტამს, ჩვენებურათ ვიტყვიო, ჭყატა გაადინაო, ან კიდე ჭყატანი გაადინაო (ბროწლ.). ერთი წიწილა ბაღმა გაჭყლიტა, ერთსაც მე მუადინე ჭყატანი და თხუთმეტიდა დარჩა (წილკ.). ჭყატას მონადენს გაჭყელტის ხმას გამოსცემს; ვაიჭყლიტება. ი ჭყატა რო მაილო, მაშინდა დაიხედა ძირსა და ნაჭყაპურგამოყრილი წიწილა კი დაინასა (წილკ.); აგრეთვე კარალ. ტყე.

**ჭყლარტა** ყურძნის ჯიში ერთგვარი. ჯიშათ არი ჭყლარტა ყურძენი, ღურდლი არი ცარიელი, წვენი იმდენი არა აქ რა (ერთაწმ.).

**ჭყრიალი**-ი ხმაური, ჭუჭყუნის (მუცლისა). აი, ჩვენ გოჭს უსმინე ყურითა, დო დახვრიტა და ისეთი ჭყრიალი მოისმის იმი მუცლიდანა, რომა! (ტყე.); აგრეთვე კარალ.

**ს**

**საპსაპსაპსა**-ს დაუძღურებუღია, სიკვდილის პირას არის. დიდი ხნის დავარდნილი ავანტყოფი რო იქნება, იმაზე იტყვიან, ხავხაეფესო (ბრ.). ავათ რო არის, არცა კვდება, არცა რჩება, ფეხზე ველარა დგას, მაგაზე იტყვიან, ხავხაეფესო (ქორ.). ავათ გახდა დედინაცვალი, ჩაწვა ლოგინშია, ისე-

თია, სუ ლოგინში ხავხაეფეს (მერ.).

**სატიშაში**-ი სადურგლო იარაღი, კაწარა (კავთ.).

**საბიათი**-ი აბრეშუმას ხვიარა ღერო. ხაიათი არი აბრაშუმას უღვაში, მიდის და მიდის, საიდან სად გაიწვდება, რახაც ის გადაუკლის, ხეირი აღარა აქ ი

მცენარესა (კავთ.). აბრაშუმა გაჩენილა ჩემ ბოსტანშია, ხან ნავთი დავასხი, ხან რა უყავი, ხან რა, ვერა და ვერ მოვსპე, ხან სად ამიიტანს ხაიათებსა, ხან სადა (იგ.).

**ხალარი**-ი სწორად გაზრდილი, უტოტო, მაღალი (ხე), ლიტაო. რომელიც სწორი ხე არი და არც ტოტები აქ, მასალათ კარქია ისა, იმას ეტყვიან, ხალარი ხე არისო (იგ.). მასალითვინ ხალარ ხეს არა ხჯობს რა, ადვილათ გაითლება, ნუჟი არ წამედეება გათლი დროსა (მეჯვრ.). **ხალარი აყრიბ** მსხვილი, საეხე ტაროები აქვს (სიმინდს). ხალარი აყრიო, კაი ტაროს რო გამაიტანს სიმინდი, დიდსა, იმაზე ვიტყვით (ნინბ.). საცა მოლდე იყო, იქ იმითანა სიმინდი მოვიდა, რო სუ ხალარი აყრია (კარალ.).

**ხალხ**-ი ოჯახი. დიდი ხალხი ვიყავითო, იტყოდენ, ბევრნი რო იყვნენ ოჯახში, ორმოცი სული (არად.). წინათ ხუთი ძმაი დაცოლშვილ-დაქორწინებულები სუ ერთი ხალხი იყო და ესლა მამა შვილთან აღარა დგება (ტირძ.). გვირგვინიანი სახლი იყო ოთხი თვალი, ორი დედაბოძი ედგა, თითო თვალშია ორი და სამი ხალხი ვწვებოდით (ბაზ.).

**ხამი წყალი** 1. ახლად მოტანილი წყალი. დილით ადრე რო მოვიტანთ, სინამ მზე ამოვა, ხამ წყალს იმას ვეტყვით (ატ.). წნილებსა შინ ნადგამი წყალი კი არ

უნდა დავასხათ, ხამი წყალი უნდა დავასხათ (ზერ.). 2. აუღულარი წყალი. მე სუ ხამ წყალ ვასხამ, სუ არ მამიდულებია, მაგრამა ჩემი წნილი არავის დაუწუნებია (ატ.). ხამი წყლით ნუ იბან პირსა, ადულებული უფრო კარქია (ფლ.). მიიტანა და წნილსა ხამი წყალი მიუქივლა (ტყვ.).

**ხამლიანი**-ი იგივეა, რაც დახამული (იხ. დაიხამლება). სუ ერთია — ბავშვი, დიდი; ვისაც დაჩაგრამს ავანტყოფობაი, ყველა ხამლიანი გახდება (ქვ. ჭ.).

**ხამხარა** რუხი ფერის ჩითი. ორფერი ხამხარა რო იყო, ერთი შავი წვერი რო იყო და ერთი თეთრი, იმისი იყო ახალუხი (ბაზ.). სერი მიტკალივით რო არი მატერიიაი, იმას ეძახოდენ ხამხარასა (ბაზ.).

**ხანდაკურა** ვაშლის ჯიში ერთგვარი. ხანდაკურა მოგრძო ვაშლია, სქელი კანი აქ, მოყვითანოა, დიდხან ინახება (კავთ.); აგრეთვე ძეგ., წინარ.

**ხანულ**-ი რძის მოზიარე, ხანულობის მონაწილე. ერთი რო ერთ კვირას უზიდაძთ რძესა, ახლა მეორე — მეორე კვირასა და ხანულები ვართ ერთიმეორისა (კავთ.). რამტენი მიუტან ხანულს წველასა, იმდენი აკუდნის ჭდესა და ესე ვიგებთ ვალი გადახდასა (გრაკ.); აგრეთვე გარ., დ. თონ., ერედ., ერთაწმ., თვალ., ლამ., ქვეში, ოძ., ხც.



**სანულობა** მეწველი საქონლის პატრონების შეთანხმება — მორიგეობით ერთმანეთისათვის რძის მიცემა (შესადღეებად...). ხანულობა ცხვარზედაც არის და ძროხაზედაცა. რამთენიმე ერთათ მირეკამენ და დღეს მე მოეწველამ, ხვალ — სხვა (ოდ.).

**სანჯერ** ზოგჯერ, ხან. ხანჯერა ესე თქვა, ხანჯერა ისე (თამ.). ხანჯერ მოულის ზომე (თამ.). რო ჩავიდოდი ზომე თბილისშია ხანჯერა, ჩემმა მამიდამ იცოდა, მოდი, ერთი კარქა გაბანაოო (სად.); აგრეთვე ქემ.

**საპირი**-ი ყელიანი გოგრის ჭურჭელი, ქვევრიდან ღვინის (წყლის) ამოსაღები, ორშიმო. ესა საპირია, ღვინის ამოსახაპირკინისა, ესლა გაეაკეთებინეთ; საპირი გოგრისა სჯობია, კოკოშასი (ზ. ხანდ.). ქვევრს რო გავრეცხამთ, საპირით ამოვიღებთ წყალსა (ზ. ხანდ.).

**სარალ**-ი ბზის ტომარა. დიდი ტომრები იყო შეკერილი, სარალ ვეტყოდით, ოთხი-ხუთი ფუთი გამოდიოდა თითოსა, ბზეებით ვამსებდით (წვ.). ხარალია დიდი ტომარაი, ბზე მიგვქონდა ზომე იმ ხარალითა (არად.). იმ ხარალშია ესეთი მემოკი რვა გამოვიდოდა (არად.).

**სარბალა** ერთგვარი ღობე, ჩვეულებრივ, წნელისა. რასაც შემოვლობავთ, ბაკი იქნება, ეზო იქნება, სუყველა სარგალა არი (ტირძ.). ხეს გადებენ, ლატანსა 33. ქართლური დიალექტის ლექსიონი

ბოძებზე და ხარგალას ეტყვიან იმასა, ღობეს, რამეს გააკეთებენ (წვ.).

**სარდასურდა** წერილი ქვა, ხურდა. ქვის კედელს რო აშენებენ, შიგ აყოლებენ პატარა-პატარა ქვებს, ეგ არი სარდახურდა (ქორ.).

**სართიქვირ**-ი საახალწლოდ ხარისათვის გამომცხვარი ბედისკვერი (იცოდნენ ძველად). ცხეობოდა დიდი პური, ხართკვერს ვეტყოდით, ნათლილებას მივიტანდით ხარებთან, გადაიტეხამდნენ, შააჭმევდნენ ერთ-ორ ლუქასა ხარებსა, დანარჩენ თითონ შააჭმდნენ (ოდ.). საკვლეუარზე ვიცით: ხილი, თაფლი, გოზინაყი, ბედისპური, ხართკვერი, წლის პურიცა, ძროხის პური ოთხი ძუძუთი (მჭად.).

**სარიპბილა** წიწმატურა. ხარიპბილა პტყელია, წვრილი დაკბილული ფოთოლი აქ, მხალში მმარობენ (ხც.).

**სარჯ**-ი ვისიმე გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს ან წლისთავზე გამართული პურის ჭამა. წლისწირვას რო გადაუხდით, იმას ვეტყვით ხარჯსა, ორმოცზეც ხარჯი არი, მარტო დამარხვის დროს არი ქელეხი (სად.). ისეთი ხარჯი გადაუხადეს, რო თელი სოფელი აქა ყაყადათ (ქვ. ჭ.); აგრეთვე თამ., ხც.

**სატილწინა** ჭკუანაკლები, მოსულელი. სატილწინა კაციაო, გვითქვია, ჭკუა არ დაუშლის არაფერსა, არც სირცხვილი იცის,

არც მოხატრება იცის (წვ.). ხატი-  
ლენიას ეტყოდენ, ბატონო, შუ-  
შუტ ადამიანსა, გიჟსა, სრული  
ჭკუისა ვინც არ იყო (არად.); აგ-  
რეთვე ბროწლ., თამ., ტირძ.

**საწიფობ-**ს ერთობა, ნებივ-  
რობს. ბაეში ხაფიფობს (ქორ.).

**საწვრამ-**ს 1. იკაეებს, აცდენს  
(ადგილს...). უწინდელ ხალხსა  
განჯინები ჰქონდა, თაროები, წა-  
ლო და ოთახში ადგილს არა ხაფ-  
რავდა (ოდ.). სიმინდი ხაფრავდა  
ვაზშია და არ ვარგა (ვარ.);  
იხაწვრამბა: მოსაეღულად ძიენ  
ადვილია, ხოლოთ ადგილი იხაფ-  
რება (ვარ.). რამტენი ხალხი  
იხაფრებოდა და ეხლა ერთი  
ტრაქტორი რამდენსა ხნამს (ოდ.).  
2. უაზროდ ხარჯავს, აბანდებს  
(ფულს...). ქვეყნის ჩითსა ხაფ-  
რამდენ, იკერამდენ დიდ-დიდ კა-  
ბებსა (ოდ.). ნეტა როგორც ი  
ფულ ტყუილათა მხაფრამს და  
ვერც არა თავი საქმედ აკეთებს  
(წილკ.). **საწვრამ:** დაუნანებ-  
ლივ ხარჯავა ეტყვიან ხაფერასა  
(წილკ.).

**საშალ-**ი 1. გარეგნულად სა-  
დი, გულდამპალი, დაფუტუროე-  
ბული (ხე, ქვა). მეტი წილი ბე-  
პერ ხეს გაუნდება ეს საშალი  
(ერთაწმ.). ზოგი ქვაი დაიმტვრე-  
ვა მალე, მბილი ქვაი, ერთს რო  
დაქრამ, დაიმტვრევა, საშალი ქვა  
ის არი, სიბი ქვა მაგარია, რო  
ვერ გატეხამ (ერედ.); აგრეთვე  
ძვე. 2. ვინც ხშირად აუადმყო-  
ფობს (იტყვიან უპატივემლოდ).

ძალიან ედაგება საწყალი ეთერაი,  
მაგი საშალ დედამთილსა მოვლა  
არ უნდა? ახლა ე ქუთმათები  
(კავთ.).

**საშს აზიარებს** საშს დაამ-  
ზადებს გარკვეული წესით. საშს  
აზიარებენ ხომე, მოზელამენ ცომ-  
სა, რამდენიც საშითინ უნდათ,  
შუაში დიდ ნაკვერჩხალს ჩაზდე-  
ბენ, ზედ მძარს დაასხამენ და გაღ-  
მოაკეცამენ ცომსა, მერე კარქა  
თბილათ დაახურავენ, დილისთინ  
ივარგეფს საშათა (კავთ.). საში  
არ გვიზიარებია, რამდენი ხანია  
(ძვე.). **საშის აზიარება:** ამდამ  
საშის ზიარება არ დაგვიწყდეს,  
ღამიანათ უნდა გამოვაცხო პური  
(კავთ.).

**საჩხაჩ-**ი ბზინვა, ლაპლაპი-  
კრიალი. ჩემ თაროში რო შეგეხე-  
და, გააქონდა ჭურჭელსა საჩხაჩი,  
სუყველაფერ ნათელი გადაადიო-  
და (მერ.). საჩხაჩი გააქ მწვანეთა  
(იკ.).

**საჩხაჩა** ელვარე ჭრელი. წი-  
თელ-ყვითელი, ლამაზი სახე რო  
აქ ჩითსა, ახალგარდისთინ კარ-  
ქია, იმას ეტყვიან, საჩხაჩა ჩითი-  
არისო (ოდ.).

**საცინცდებ-**ა სიხარბეს იჩენს,  
ხარბდება. ყველაფერზე ესენი სა-  
ციცდებიან (ტყვ.). ჭამენ და ისინი  
საციცდებიან მაინცა (ბროწლ.);  
აგრეთვე კარალ.

**საჭმაჭიჭა** 1. წიწმატურა..  
სიჭმაჭიჭა მცენარეა, იჭმევა, ბა-  
ტის ჭუჭულებსაც აჭმევენ (დ-  
თონ.). 2. აჭრელებული ჭრელ-

ჭრული. ხაჭმაჭიჭა არა იყიდოთ რა, დარბაისლური იყიდეთ (მერ.). სად იშოვე, ქალო, ასეთი ლამაზი, ხაჭმაჭიჭა ჩითი? (არად.); აგრეთვე ძეგ.

**საჯარა** ფრინველი ერთგვარი. საჯარას ჭრელ ჩიტს ეძახიან, მინდერის ჩიტსა, ბელურაზე პაწაწაა, მარცვალსა, ფეტვსა ყლაპანს, წერილ ჭიასა ყლაპანს (არად.). ბულბულის ოდენა ჩიტი არი საჯარა ჩიტი (წე). გაწყვა ფრინველი, გაწყვა, საჯარაც გაწყვა, ყვაი იცოდა აქა, რო ცას დააბნელებდა ხომე, თელი დლე ორ ბელურა ჩიტს ვერ დაინახამ (არად.); აგრეთვე ქემ.

**სმოტიალა** იტყვიან ხოზე გაბრაზებით. ეს სმოტიალა, ესა, მოუწოვია ძროხაი (ტირძ.). სმოტიალა არი ბახში (იკ.).

**სმოშუბლა** ჩვეულებრივი ცერცველა; მხლად ხმარობენ. ერთი ბეწო ერბო თუ გაქ, ან ძმარი, მასესხე. ბაღდმა სმოშუბლა მაიტანა, ეგეთი კარქი, და არა მაქ რა შასანელებლათა! (წილკ.). თხიშუბლა ბალახია, სმოშუბლასაც ეძახიან (იგ.); აგრეთვე ოძ.

**სდმბ-ა** ეგუება, ეთვისება. სუ ჩხუბი აქო, ვერა ხდებიან ერთმანეთში რძალ-დედამთილი (ბიწმ.). რასა შეები, როგორა ხდები ქრმის სამშობლოს? (ბიწმ.). ავი ადამიანი რუ არი, ქვსინი, ვერავითან ვერა ხდება (წილკ.).

**სდინობ-ს** იგივეა, რაც იხ-დენს. რა ვქნა, ვერა ვხდინობ-

მეთქი ვიწრო კაბასა, ან მაშინაზე უნდა ავიდე, გზათ მივდივარ, ანა (ოდ.).

**სმბარკალა** იგივეა, რაც ხე ქალა. როდემდინ უნდა იყვე ვერე ხებარკალაი, შენ მამიკელი, შენა (ტყვ.). ხებარკალა რათ მინდა, ოჯახის ქალი უნდა მოვიყვანო! (კარალ.).

**სმბმსტარ-ი** უსაქმური, მოუხერხებელი. ვუჯულა კაცი რო იქნება, არაფრის გამკეთებელი ის არ არი, ზის შინა და არი, ხებესტარი ის არი (ტირძ.); აგრეთვე წე.

**სმბრიქა** იგივეა, რაც ხე ქალა. უქნარა ქალია ხებრიქა, ვინც არას აკეთებს (ძეგ.). ეგეთი ხებრიქა რო ხაარ, გამოგადეფს ქმარი! (ტყვ.). ერთი ბეწო არა ეხერხება რა, ხებრიქა არი (ბროწლ.).

**სმბრე** ბრიყვი, ხებრე. კაცსაც ხებრეს ეტყვიან, ქალსაცა, გაუგებრათ რო იქცევა, შუგნებლათა (საგურ.). ეი, ხებრე, აბა, დაფიქრდი! (საგურ.).

**სმიძნება-ი** ფარდულში გაკეთებული ხის თაროების წყება ორ მხარეზე კრამიტის, თიხის ჭურჭლის გასაშრობად. თითოში ათასი კრამიტის ფიცარი გვაქვს, ათი უჯრა, ოთხი ცალ ხარესა, ოთხი მეორე ხარესა, ორასი ცალიცა. ხეივნები არის, ფიცრები იქ შეიწყობა (მეჯვრ.).

**სმლანსმი** ხელალებით, მთლიანად. რო აიდეფს კაცი და

მიაცემს ვისმე რამესა ისე, რო ერთ ნამცეც აღარ დაიტუფუს, იტყვიან, ხელასმით მიაცაო (წილკ.). ოცდასამი კევრცხი დაუდე ჩემ კრუხსა და სუ ხელასმით გამოჩიკა, ერთი არ გაუფუჭებია (წილკ.). ერთბაშათ მოხვეტა და ხელასმით წაიღო, აღარა დატუა რა (არად.).

**სელაჰროლა** ხემყრალი. ხელაყროლა მაღალი ირდება, მაგრამ ადვილათ ტყდება და ბაღღები ამტვრევენ სომე (წილკ.). ძაან ფინთი სული აადის და ხელრო მათეღეფ, სუ აგიყროლეფს ხელეფსა, იმითინაც ეძახიან ხელაყროლასა (წილკ.).

**სელახსაში**-ი ბალახი ერთგვარი, დიყი. დაკბილული, პტყელი ფოთლები აქ ხელახსაშსა, თხა შჭაამს ძალიანა (კავთ.).

**სელდამდგმო** ზომიერად მაგარი (ცომი). ზოგი პური ღვივილს ვერ იტანს, ისა ხელდამდგმო უნდა მაიზილოს და თუ ჩიჩქეი მოუიდა ადამიანსა, მაშინ მიძინებულს უნდა მიასწროს, თორე სუ წორო-წორო წავა თონეში (კავთ.). რო ნახე, რო უწიაღო იყო, ხელდამდგმო ცომი უნდა დაეჭვირა (ბროწლ.); აგრეთვე ძეგ.

**სელეები ემაცდურება (მცმანდურება)** ხელებს ვერ აჩერებს. მეტი-მეტი ძნელი გასამდლისია ჩემი თიკოა ბიჭი, სუ ხელები ემაცდურება და მეც თან დავეკე, რა არი, არა გააფუჭოს რა (კავთ.). შენ რა ხელები გემაცდურება, პატარას მოერიე?!

(რუისი). რა ხელები გეცმანდურება, არ გაჭრა ეგ ჯოხი, მჭირდება! (ბროწლ.); აგრეთვე ვარ., მერ.

**სელზე დანისძვეს** დააიმედებს და მოატყუებს. იმან დამიხვია ხელზე, თორე აქამდინ მოქცემდი შენ ფულსა (ტყვ.). ხელზე რაღაა დამიხვია მაგ კაი კაცმა, თუ არ შეეძლო, მეტყოდა და სხვა ვისმე ვნახამდი! (წილკ.).

**სელითსელგაბმულ-**ი ხელიხელჩაკიდებული. ხელითხელგაბმული აუტანიათ ქვები თავკავთის შენებაზე (კავთ.).

**სელისბულა** დანაობის ერთი ილეთი, დანის ხელის გულზე დადება და ასროლა (საგურ.).

**სელის გულზე დამიკაპავს** დაიფრენს, გარეკავს. ისე ყვანდა მიღებული ხალხსა და ხელი გულზე დაურეკნია (იკ.).

**სელისზურბა** დანაობის ერთ-ერთი ილეთი, დანის ხელის ზურგზე დადება და ისე ასროლა (საგურ.).

**სელის მუშა** ოსტატის დამხმარე მუშა. პირველში ვიყავ ხელის მუშათ, მერე, როცა მივეჩვიე, ვიმუშავე კედელზე და ქაფჩა მომცა ხელში სამი თვის შემდეგ (საშაბ.). კალატოზი მიცდება, ხელის მუშა ვერ მიშოვნია (ძეგ.); აგრეთვე ვან.

**სელის ყუთი** პატარა ყუთი, ხელსაქმისათვის საჭირო ნივთების შესანახად. პატარა ყუთი იყო ხელის ყუთი, ქალები ნემსსა, ძაფსა, ღუგმებსა და მაგისთანებს

ინახამდნენ (ქვეში). ხელის ყუთიც თან ჩავატანეთ ბაბოსა (ქვეში).

**სელისნაღად** ხელდახელ. ესე ერთი-ორი ლუკმა პური მიირთვი, დიდხან კი არ გაგაჩერებ, ესე ხელიხელათ მოგართმევ (ოდ.).

**სელი სელთ არა აპვს** ხელში არ სცალია, ორივე ხელი დაკავებული აქვს. რა ვქნა, ხელი ხელთ არა მქონდა, თორე განა მე კი არ მინდოდა, რო წამომელო? (ერედ.). ხელი ხელთ არა მქონდა, აბა, როგორ გამამერთმია ვედრაი? (ტყვ.). ხელი ხელთ არა მაქ, რო აკვანი გადავარწიო, მიდი, დაარწიე! (მერ.); აგრეთვე კარალ., საგურ.

**სელკოკა** პატარა კოკა. ხელკოკა წაიღე და წყალი ამოარბინე! (ქვეში). ხელკოკით წაუღე მინდორში წყალი (ქვეში).

**სელმომცემიან-ი** გამოსავლიანი, შემოსავლიანი. რომელიც სამამულე არ არი, ხელმომცემიანი, იმაჲ შაართმევენ (ქვ. ჭ.).

**სელმოსატაც-ი** სახელდახელოდ სახმარი (ძველი ჭურჭელი). ჭურჭელს, რამეს რო ძირი გაესერიტება, არ გადაადებენ, ან ლობიოს დაყრიან ზედა, ან ხილსა ხელდახელა, ხელმოსატაც ეტყვიან (კავთ.). ამ ტაბტს ჯერ არ გადავაგდეფ, ძაან კარქია ხელმოსატაცათა (კავთ.).

**სელმსუბუქ-ი** დაუზოგავად მხარჯველი, მფლანგველი ადამიანი. რომელიც აბუქა ადამიანია, უანგარიშოთ იცის ხარჯვა, ის

არის ხელსუბუქი (ტირძ.). ჩემი რძალი არი მეტისმეტი ხელსუბუქი, რო იყიდის რამესა, რაც ფული აქ, მიახარჯამს და წამოვა ცარიელი (ტირძ.); აგრეთვე კავთ.

**სელმსუბუქად** ტვირთის გარეშე ან მსუბუქი ტვირთით. მე ხელსუბუქათ ვარ, მოიტა, კალათი მაინც ავიწიო! (ტყვ.). ხელსუბუქათ რო მოხვალ, ხელსუბუქათვე წახვალო (კარალ.).

**სელმძიმედ** მძიმე ტვირთით. რა ხელმძიმეთ შენ მოდიოდი, ველარ მიეშველე? (ტყვ.); აგრეთვე კარალ.

**სელნამრუდალ-ი** ნაქურდალი. ხელნამრუდალი შემოაქვს სახში (ერედ.).

**სელნაცვალა** კენჭაობის ერთ-ერთი ილეთი. ხელნაცვალას თოფა უნდა და კაფა (ზ. ხანდ.).

**სელსამსმ** საშუალო ზომის თევზი ერთგვარი. ხელში რო დაიჭერ, სალოკი და ცერი შემოეფლება, ის არი ხელსამსმ თევზი (ბროწლ.); ხელსამსმ მორდილი თევზია, ლურჯია, ხელით იჭერენ ხელაობაში (წვ.). ხელსამსმეს კაპუეტზე მომცრო თევზს ეტყვიან (ქორ.); აგრეთვე ბრ., ტყვ.

**სელსაპონა** მცენარე ერთგვარი, საპონელა. ხელსაპონა იქაფება, რო დაიჩქქება; ხელს ვიბანდით ხოლმე (თამ.). ხელსაპონა იკეთეფს ქაფსა, ესე ხელზე რო მოვისრესამთ წყალში (სად.); აგრეთვე არად.

**სელს ატანს** ეხმარება. დიდი

სამშობლო მყამდა, ისინი მატან-  
დენ ხელსა (ქემ.). ისევე დედაჩემი  
გვატანს ხელსაო, ლობიოს, ნი-  
ორს, ხახვს, სულ ის გვიგზავნი-  
სო (ბიწმ.); აგრეთვე ძეგ.

**სელსასოც**-ი ცხვირსახოცი.  
ხელსახოცი, ცხვირსახოცი ერთია  
(ტირძ.). წინათ ხელსახოცს ვე-  
ძახდით (ძეგ.). ხელსახოცი დამე-  
კარქა; ხუ არ გინახია? (ტყვ.);  
აგრეთვე კარალ.

**სელს ბაიბეჯითებს** ხელს  
გაიწაფავს, გაივარჯიშებს. ჩემ  
გოგოსა რო მაშინა ქონოდა,  
კარქა გაიბეჯითებდა ხელსა  
(თამ.).

**სელს გაუღებს** ხელს გაუ-  
წვდის. ვინც საით გაუღებს ხელ-  
სა, იქით მიდის (წილკ.). რა მა-  
თხოვარივით ხელი გაუღო! (ძეგ.).

**სელს ღაჩაღებს** ხელს მო-  
ჰკიდებს, უმკურნალებს (ექიმი  
აუადმყოფს); დაეხმარება. ესლან-  
დელი ექიმები თუ ხელამენ სა-  
ხელყრათა, ხელ დაადებენ, თუ  
არა და, არ უნდათ (ერედ.). არა-  
ვინ დამლო ხელია (წინარ.).

**სელს მიიღებს** ხელს ახ-  
ლებს, გაღახავს. ცოდით როგორ  
უნდა მიიღო კაცმა მაგაზე ხელი,  
სული ამოსახელელს არი (წილკ.).  
დედის ტოლაა, ქაა, მაგაზე ხელი  
უნდა მიიღო? (ძეგ.).

**სელს მისცემს** ხელის მირ-  
ტყვით დაამაგრებს, კარგად მიაკ-  
რავს (გუნდას თონეზე). ხელი მი-  
ეცი, არ წაიღეს გუნდაი (ქვეში).  
გამოხელა უნდოდა გუნდასა, ხე-

ლი მისცა, მაგრა მაინც გაიწია  
(რუისი); აგრეთვე კავთ.

**სელს უზართიანებს** ხელს  
უწყობს, აქეზებს. თქვენ თითონ  
უზართიანეფთ ხელსა (ალი). თი-  
თონ უზართიანებენ ხელსა და მა-  
რას იზამს! (ალი).

**სელს ჩაიტანს** სველი ხე-  
ლით დახელს (ცომს გასამაგრებ-  
ლად). ზოგი ცომი ეშვება, რო  
ვხელამთ; რო მაგარი გამოვიდეს,  
ხელს ჩავიტანთ (ზ. ხანდ.). თუ  
მოუშვებს და მოუშვებს, უნდა ვზი-  
ლო, მემრე ხელი ჩავიტანო (ზ.  
ხანდ.). **სელის ჩატანა**: ხელის  
ჩატანა უხდება პურსა (ზ. ხანდ.).

**სელტა** მეცხვარის ჯოხი.  
ხელტა მეცხვარის ჯოხია, წერი-  
ლი ჯოხი (ტანძ.).

**სელტარ**-ი ორთაყვირის სა-  
ხელური. ორთაყვირის ბოლო გათ-  
ლილი აქ, ხელტარს ვეძახით  
(ზ. ხანდ.).

**სელ-ფახ**-ი გასაგზავნ-გამო-  
საგზავნი ვინმე, მორბედი. ჩემი  
ხელ-ფეხი ეგენი არიან, საცა მა-  
მინდება გაგზანა, მზათ არიან  
ერთი თუ მეორე (წილკ.). შე სოფ-  
ლის ხელ-ფეხი ვარ, მაგრამა კი  
არაეინ მიფასეფს (ერედ.).

**სელ-ფახში ცეცხლი ბას-**  
**დის** მარჯვეა, სწრაფია, მოხერ-  
ხებულია. ჩვენ რძალსა ხელ-ფეხ-  
ში ცეცხლი გასდის (ტყვ.).

**სელშავა** ბალახი ერთგვარი.  
ხელშავა საჭმელი ბალახია,  
ფეჭენიან და ისე სჭამენ (დის.).

**სელშეჯიხაპლიან**-ი შე-

მოსავლიანი, სარგებლობის მომტანი. რომელიც კარგი გაკეთებული მამულია, ხელშემოსავლიანია (ტირძ.). სულ გირაოდა გვქონდა ხელშემოსავლიანი მამული (თამ.).

**სელში კვდება** იტყვიან თხელ, ნაზ ქსოვილზე. ისეთი ნაზი ნაჭერი როა, კარგი რამეი, თხელი, ხელში კვდებაო, ვიტყვიო (სასირ.). ისეთი კაბა მეცვა ქორწილშია, რო სუ ხელში კვებოდა ი თეთრი ქსოილი (საკორ.). ისეთი ნაჭერი უყიდნია პელასა თავის გოგოსთვისა, სუ ხელში კვდება (რუისი).

**სელში უამოაფრინდება** დაუზარებლად დაეზმარება, დაესაქმება (ამბობენ ირონიით). მაგამ თუ უთხარი, მაშინათვე ხელში შემოგაფრინდება! (კოდ.); აგრეთვე ქემ.

**სერსეტი**-ი ხეტიალი. არ შეყო ხერხეტი? (ზერ.).

**სერსის კბილის ბადასაყრელი** ხისტარიანი ლითონის ხელსაწყო ხერხის კბილების აქეთ-იქით გადასაწევედ. ხერხვი დროს როცა ხერხი კბილები სწორდება, ხერხის კბილის გადასაყრელით კბილებ აქეთ-იქით გადაწევეთ, რო ხერხვა გაადვილდეს (ახალშ.).

**სერსისპირი**-ი ნაქარგის სახე ურთგვარი (ზ. ხანდ.).

**სემალა** უქნარა, გაურჯელი ქალი. ვინც არც დარეცხვა იცის, არც დაკერება და არც სიტყვა-პა-

სუხი, ხექალას ეტყვიან (კავთ.). ჯამები დარეცხვა არ იცის იმანა, კომზებისაი და რა ჩიქილყურს შეკერაშდა ისა! ხებრეც ეგ არი, ხექალაცა (არად.). ძაან ხექალა გაიწდება ე ვანუა გოგო, ამოდენა ვირგლაა და სახლი გამოგვა რა არი, სახლ ვერ გამოგვის (წილკ.); აგრეთვე თვალ., საგურ., ძეგ.

**სემაშე**-ი ნაჭუჭი (კვერცხისა, კაკლისა). ხეჭუჭი არ ჩააყოლოს, შენი ხელით აჭამე (ზ. ხანდ.). დავამტერეთ კაკალსა, გამოვარჩემთ ნიგოზსა, გავფენამთ ცალკე, რო კარქა გამოშრეს, ხეჭუჭს ჩაყრით ცეცხლშია (რუისი).

**სემალა** 1. მაღალი, გამხდარი ადამიანი. რომელიც ძალიან გამხდარია, კაცია თუ ქალი და თანაც მაღალი, აყლარწული, იმას ეტყვიან ხეხელასა (იგ.). ერთი ხეხელა ქალი მოუყვანიათ კაკილანთა რძლათა, იტყვი, ნემსი უვნწში გამჟრებაო (მეჯერ.). ბავშობიდან ვერე ხეხელა იყო, მაგას ზორცი არ მიჰკარებია (კარალ.); აგრეთვე არად., ერედ., დ. თონ., ზერ., კოდ., ლამ., საგურ., ქვ. ჭ., ძეგ., წილკ. 2. გამხდარი, მჭლე საქონელი. ერთი ხეხელა ძროხა ვიყიდე და იმი ამარა ვარ (კავთ.).

**სემალი**-ი იგივეა, რაც ხელაყროლა. აკაციისნაირათა აქ ფოთლები გამოსული, ზოლოთ ხეხილს უფრო დიდი ფოთლები აქ, გძელი; ძაან ფინთი სული ადლის (წილკ.). ეს ხეხილები კაი საქმეა მიჩადიან ზომე ზამთარში,

კაი ცეცხლი აქ და ადვილათ ეკიდება, გინდა ნელლი იყვე (წილკ.).

**სმსრმკობა** იგივეა, რაც ხიხრიკობა. როცა არაფერია საჭმელი, ძველი მოსავალი გამოლულაია, ახალი ჯერ არ არი, ხეხრეკობა ის არი (საკორ.); აგრეთვე ახალშ.

**სმარბალი ლობიო** ნელლი ლობიო, რომელიც იმარცვლება. ჩასადგმელათ კარქია ხვარბალი ლობიო, ცოტა ნელს რო მოკრეფამენ (ქემ.); აგრეთვე ვარ.

**სმარცლი**-ს კარგავს, ფანტავს დაუდევრობით. ნეტა ამდენ სპიჭკას სადა ხვარცლი, ქალო? (მერ.). **მსმარცლი**მბა: სუ ესე მესვარცლება ყველაფერი, ხელებილა მაქ დაჭმული ამდენი ძეხნითა (მერ.).

**სმინდაბ**-ი წვრილად დაჭრილი თასმა. ხვიანდაგებითა კერამდნენ ხომე ცხენი მოსართავეფსა, ეხლა ბათინკაშიც გაუყრით ხომე, რო შავიკრათ მაგრა (წილკ.). წმინდათ დაჭრილი ხვიანდაგები ქვეყნისა მეყარა ხომე ბოსელშია და ე ბალღებმა სუ გადამიფანტგადმამიფანტეა (წილკ.).

**სმირ**-ი პატარა გოდორივით მოწნული ჯინი სიმინდის დასაცეხვად. ხვირი დაწნული გოდორივით გძელი და დაბალია, ჩაყრიან შიგა ტარო სიმინდსა და დაცეხვამენ საცეხველათი (ერედ.). სიმინდი უნდა ჩაყარო ხვირში და მერე საცეხველათი დაცეხო (ქემ.).

**სვლქუზა** უშნო, აჩაჩულ-

დაჩაჩული, მაგრამ ეშმაკი და გაიძვერა. ხელეპუზა იმაჲ ვეტყვით, რომელსაცა ლაპარაკი და ტყუილი ბევრი გამოადიჲ და ეგე კია ჩაჩლაგულა რამ არი (წილკ.). ხელეპუზა — მელა კაცია, ეშმაკობა და გაიძვერობა დიდი აქ (წილკ.). ერთი ხელეპუზა ბიჭი რამ უგდიათ მაგ უბედურეფსა და იმაჲ შადცქერიან, იმი იმედი აქთ, შავკინახამსო (წილკ.).

**სილა** პორიზონტალურად გაღებული ხე (ლატანი...) რისამე დასაკიდებლად. დიდი ბოძია, ზედ სილა აქს სასწორივითა (ხშირად ხიდასთვის ურმის უღელს აყენებენ), სილაზე თოკებია, დასხდება ორი ადამიანი და პროწიალობენ (ქორ.).

**სიდან, ქვიდან არაშერი** მსმის გაუგებარია, უეციია. ჯიქო ადამიანი რო იქნება, გაუგონარი, ქვეყანათაზე არც არა იცის რა იმანა და ვერც ვერას გააგებინეფ, იმაზე იტყვიან, სიდანა, ქვიდანა არაფერი ესმისო (ნიჩბ.). ქვეყანაზე არა გესმის რა, სიდანა, ქვიდანა, რა ადამიანი ხარ! (ძეგ.).

**სიღობიანა** საბავშვო თამაში ერთგვარი: გრძელ სკამებზე მდგომ მოთამაშეთა თითოეული ჯგუფი ცდილობს სკამიდან ჩამოუსვლელად ასეთივე სკამის შენაცვლებით მეორე ჯგუფს დაასწროს დანიშნულ ადგილამდე მისვლა (ხც.).

**სითიქვამდის** სრულებით არაფერი. სითიქვამდინ არა იცია



რა, ვერც სახლ დალაგეფს წესიერთათ, ვერც სარეცს დადრეცხს, მარტო ატარე ეგე ბიჭივითა (წილკ.). სად გაიზარდა, ქაა, ეგეთი ხექალა, დადწყევლოდ ჩემმა გამჩენმა, ხითიქვამდინ არა იციოდა რა (წილკ.).

**სიმბიწარ-ი, სიმვიწარ-ი** ვინც ცუდ საქმეს ჩაიდენს და სხვას გადააბრალებს (კავთ.).

**სინკა** დოლის რკალი. ხინკას ეძახიან დოლის რკალსა, რაზედაც პირებია გადაჭიმული (არად.). შენ იციო, რა ხინკა მიგაქ თანა, ერთ ვაშკაცსა ჯობია! (არად.).

**სინჩლიან-ი, სინსლიან-ი** ვინც ხშირად ავადმყოფობს, ჭირკოდილა. ყვაუმა ყვაეს წასძახა, აი, შე ხინჩლიანოვო (ტყე.). საქონელია, ადამიანია, დანაკული რო იქნება, ის არი ხინჩლიანი (ბრ.). ორი ბიჭი იყვენ ხინსლიანებით (ქორ.); აგრეთვე თამ., ქვ. ჭ.

**სინჩლიანობ-ს** ხშირად ავადმყოფობს. მანდა ვხინჩლიანობდიო, აქა ფრჩხილიც არ წამოშტკენიაო (ქორ.); აგრეთვე ქემ.

**სიმშიშიან-ი** ფიზიკურად სუსტი, ვინც ხშირად ავად არის. ხიჟმიჟიანია, წარამარა ავათ არი (ქვეში). ხიჟმიჟიანია ისა, სადა აქს მუშაობის თავი (ქვეში). ხიჟმიჟიანი ბავშვია (ქორ.).

**სიმშიშიანობ-ს** ხშირად ავადმყოფობს. რო არ უსადღება ჯანი, ხან ადგება, ხან დაწვება, ეგეთ ავათმყოფზე იტყვიან, ხიჟმიჟიანობსო (ქორ.). წინათი ვი-

ცოდი, ვხიჟმიჟიანობდი ხომე, რაცქმარი მაძიკვდა, ფრჩხილი არ წამაშტკიენია (ერედ.); აგრეთვე თამ., ქვეში.

**სირაობ-ს** დაობს, ჩხუბობს.. ჩხუბი რო მოსდით, რას ხირაობთ, რა დაგეშართათ, ვიტყვიო (ქემ.). ანდრო და მიტო ხირაობდენ (თამ.). **სირაობა:** ჩხუბი იყოო, კუკურისაო ხირაობა მოუვიდაო იქაო და დაჭრესო, ის კი არა, თურმე მოუკლამო (ბროწლ.).

**სირსპალ-ი, სირსპელ-ი.** ნახევრად მოხარშული (ლობიო...). ოდნავ რო ამაითვლება ლობიო, ხირხველია (ძეგ.). **ჯერ-ხირხველია, არ იჭმევა!** (ძეგ.). — ნახე ლობიო, არ მოიხარმა? — არ არი ჯერა, ხირხველია (ტირძ.); აგრეთვე ლამ.

**სიჭიბრიჭია** ჭირვეული, შარიანი. რა სიჭიბრიჭია ადამიანი ხარ, რა გული გამიწყალე, რას გადაშეკიდე? (კავთ.). ეგა ისედაც: სიჭიბრიჭია არი, რაღა დვინო უნდა, შეილო, მაგასა, რო ძალდაძალ ასმევთ! (ტირძ.).

**სინინაობა** ხუმრობა. ხიხინაობა ხო არა გგონია! (ქემ.).

**სინრიკ-ი** მოუსაველიანი, მწირი (ადგილი). უღონო მიწა რო არი, არაფერი მოდის იქა, ის არი ხიხრიკი ადგილი (წვ.).

**სინრიკობა** საჭმლის ნაკლებობა, უქონლობა (ჩვეულებრივ, გაზაფხულზე). გაზაფხულზე იცის ხიხრიკობა, ძველი მოსაველი რო აღარ არი და ახალი ჯერ არ არი.

მოსული (კავთ.). სუ დაკვირვებუ-  
ლი ვარ, როცა ხიხრილობაა, მაშინ  
მამდიან სტუმრები ქალაქიდანა  
(მერ.). კაცი ხიხრილობას ნუ მო-  
კვდება, თორე სიკვდილი არაფე-  
რიაო (ტყვ.); აგრეთვე ახალმ.,  
ზ. ხანდ., საგურ., ზც.

**სლარცვი-ი** 1. დიდი ტალახი.  
მოკვედი, აღარა ვარ კაცი ამტელი  
სიარულითა, კაი გზა მაინც იყოს,  
სუ ხლარცვებშია სასიარულო!  
(მერ.). ისეთი ხლარცვებია, ეს  
ოხერი, მაგრა ამომბული რო არა  
მქონიყო ქალამნები, გამეხდებოდა  
(კავთ.). 2. ძეძვიანი, ბარდებიანი  
ადგილი. სანამ გერი წმინდა  
ვიორგამდის მივიდოდით, ღურში  
კინალამ მოგვიკვდა; ეს უბედური  
ჯორივით აკიდებული ძლივ მი-  
იკვლევდა ხლარცვებში გზასა  
(მერ.).

**სლოვან-ი,** **სლოვანდ-ი.**  
ნამცხვარი ჭარხლის ფოთლისა და  
სხედასხვა მხლის გულით. მოა-  
კრეფამენ მხალსა, მოხარშავენ,  
გასწურამენ, დააკეპამენ, ქონს  
უზამენ, რამესა, ცომში ჩადებენ  
და გამოაცხობენ, ხლოვანდი იმა-  
სა იქვიან (საგურ.). ხლოვანდი  
ჭარხლის არი, ხლოვანდი არი  
ბალახეულობისაგან (მჭად.). ვაზი-  
ძირაა ფოთოლი სუფთა არი,  
მხლითვინა და ხლოვნებითვინ  
ძაან კარქია (წილკ.); აგრეთვე  
ახალმ., ქემ.

**სლუჯუნ-ი** ხველება. შენი  
ხლუჯუნი არ გავიგონო! მიდგა  
რო ხარ, ქედს რო ვერ დაგახუ-

რებს კაცი (ხაშ.). მაგდენ ნიგოზს  
რო ჭამ, დაიწყებ მერე ხლუჯუნსა  
(ხაშ.); აგრეთვე კავთ., სამთ.

**სმა იკალი!** ხმა გაკმინდე, ხმა  
ჩაიწყვიტე, გაჩუმდი! — ხმა იკე-  
ლი ემანდა, აგრემც არა ხარ! —  
ვინ უნდა იკლოს ხმაი? მე? — შე-  
ნა, მა მე? (ტყვ.); აგრეთვე კარალ.

**სმალა ბალახნი** ლაქაშა. ხმა-  
ლა ბალახია ყვავილი კომში ყვავილ  
მიეგვარება, ხოლოთ უმფრო ჰა-  
ტარაა და თანაც უმფრო სოსნიფე-  
რი დააცემს (წილკ.). ძირი ეგეთი  
მაგარი ააქ ხმალა ბალახსა, რო  
გუთანი ვერ მოგულეჯამს (წილკ.).  
ხმალა ბალახია ძირი კარქი არი  
კუჭში გასახსნელათა (წილკ.).

**სმას (სულს) ბაქრენს**  
გარუმდება, დაღუმდება. რო წამო-  
უშალე და წამოუშალე, ისე გა-  
ჩუმდა, ისე გაკრინა ხმაი, რო  
წუმი აღარ დაამრა (მერ.). რას  
გაკრინე სული, გოგო, თქვი, გინ-  
და თუ არა ეს ბიჭი!? (მერ.).

**სმასუნგლით** ხმაგაკმენდით.  
შენ ხმასუნგლით ეგდე მანდა!  
(კარ.); აგრეთვე ტყვ.

**სმას ჩაიკლვბს** ხმას ჩაიგ-  
ლებს, ჩაიწყვეტს. აქ არ აატირო,  
ჩაიკლე ხმა, ნუ უყვირისხარ ბავშვ-  
სა! (საგურ.).

**სმას ჩასლაპაპ-ს** ხმას გაკ-  
მენდს, გარუმდება. ხმა ჩასლაპეო,  
დაუტევენ ხომე ბაღლებსა, როცა  
შააბეზრეფს მეტი ლაპარაკითა ან  
თუ ტირილითა (წილკ.). ხმა ჩას-  
ლაპე, ბაღლო, თორე სული არ  
გაგაფრთხობინო ემსაჩი (წილკ.).

ხმას (მნას) ჩაიხლაპაპს: ჩაიხლაპე ხმა, შე მიწის ლუქაჲ, თორე ემ ჯოხსა მხედამ? (წილკ.). შენ როცა არაჲინ არაჲერს გეკითხება, ჩაიხლაპე ენაი! (ზ. ხანდ.); აგრეთვე თამ.

**სმაჩასლაპულ**-ი ხმაგაკმენდილი, ხმაჩაწყვეტილი. ემანდ ხმაჩასლაპული ვგდე, შენი გული არა მაქ, თორე იქნება მართლა მიტირებიხარ! (წილკ.).

**ხმიადლობა** გაულუარი პურის—ხმიადის ცხოვის წესი აღდგომის წინა კვირაში (იციოდნენ ძველად). ხმიადობა იყო ხომე დიდმარხვი მიწურულში წითელ პარასკევითვინა, გაღუებულ პურს არ გამააცხოვდენ, ცოდვა არიო (არად.). ხმიადობა არი წითელ პარასკევს, მიცვალებულის სახელზე გაულუარი პურის, ხმიადის ჭამა (ძეგ.); აგრეთვე დ. თონ.

**სოდრანგა** დიდი ტანისა, ტლანქი (ადამიანი). რო დაიხლაზნება, დადის, თავი ტანს ვერ ერევა, ის არი სოდრანგა ადამიანი (არად.); აგრეთვე კავთ.

**სოვლურა** ყურძნის ჯიში ერთგვარი (ლამ.).

**სოვლური სმტყვა** მსხვილი, ჩქარი, გამანადგურებელი სეტყვა. სოვლეში ძალიან იცის სეტყვა და, უიმეო, სოვლური სეტყვა მოვიდაო (ნოს.). **სოვლური სმტყვასავით** წამოაყარა იტყვიან ჩქარ მოლაპარაკებზე. რა სოვლური სეტყვასავით წამოაყა-

რე, ცოტა ნელა ილაპარაკე, რო გავიგონოთ! (ძეგ.).

**სოქ**-ი ღვინით გაუმძლარი. ერთი სოკი კაცია სანდრაი, იმას რა ღვინო გაუძლებს! (ქვეში). გაგიხმა ეგ სოკი მუცელი, რა გიზის მაგ ჩასანგრევშია? (ტყე.). რამდენსა სვამ, სოკი სო არ გახდი? (ტირძ.); აგრეთვე ძეგ.

**სოქერა** გველხოკერა, ანკარა, ძლოკვი. სოქერა გველსა გავს, ჯოხივით არი, არ იკბინება (ტირძ.). სოქერა შხამიანი არ არი, აღვილათ არ მოშხამავს კაცსა (საგურ.); აგრეთვე ძეგ.

**სომე** მტკიცებითი ნაწილაკი. თაუჯლომარემა თქვა, მანქანა ტყვიავში გაღმოიტანე ხომე, მაღაზიის წინ ვიქნებით (ქვეში). ამდამა არ მოვალ, დაკეტე ხომე კარები (ქვეში). ამ საღამოს ბაბოსთან გადადი ხომე და პურები გამართვი (ქვეში).

**სომრიელ**-ი ფართო, განიერი. ხომრიელი შამიკერე, აგრემც გენაცვლები, შამოწუფხული არა შამიკერო რა! (წილკ.). მხრები კაბასა ხომრიელი უნდა ქქონდეს საყოველთაოთა, ვიწრო თუ ექნა, არ ივარგეფს (ერედ.); აგრეთვე მეჯვრ.

**სორამიჭ**-ი ხიწიწი, ხოხოზიკი. ღორის ქონ რო გადავადნოფთ და დარჩება შამწვარი ქონი, იმას ხორავიჭ ვეტყვით (ერთაწმ.). ცხვრის ღუმას რო დაჭრიან წვრილათა და გადაადნობენ, რო დარ-

ჩება შამწვარი, იმას ეტყვიან ხორავიჭსა (მეჯვრ.); აგრეთვე იგ.

**სორბ-**ი რიყის ქვა; იყენებენ კედლის შუაგულში ჩაყარულად. ხორგი ნაპირის კედლითვინ რო არ გამოდგება, შუაგულში ჩაყარება, საცა საჭირო იქნება (ზერ.).

**სორციანი ჩითი** სქელი, მჭიდროდ ნაქსოვი ჩითი. სქელი რომელიც არი, ის არი ხორციანი ჩითი, გამძლე არი და კარქი არი საშინაო კაბათა (მეჯვრ.). იმ დღეს ნოქარმა გაიცინა, უფრო ხორციანი ჩითი მამეცი-მეთქი და, ესლა მოგიტან კამბეჩის ტყავსაო (იგ.). ხორციანი ჩითი კაი სახმარი არი სამურეხთა (ერედ.); აგრეთვე წილკ.

**სორცს მობლუჯს** ცილს დასწამებს, დააბრალებს რასმე. ტყუილათ ხორც ნუ მამგლეჯამ! (ქემ.).

**სორს-**ი ტანმალაღი, სრული, მოსული. ე მაგითანა ხორხ ვაჟკაცსა ეგეთი წიორა უნდა მაეყვანა? (იგ.). ისეთი ხორხი კაცი დაუყენებიათ თავმჯდომარეთა, სწორეთ კარქა შაჰფრობს თავმჯდომარეობაი! (მეჯვრ.). ეგეთი ხორხი კაცი იყო ჩემი თელუაჲ ნათლია, რო იმი ქაშირიდანა ორი ქამარი გამამივიდოდა (წილკ.); აგრეთვე ქორ.

**სორსიზ-**ი უთავბოლო, გაუთავებელი სიარული. ამ ხალხს ისეთი ხორხიზი გაუღის, თავს მოგაბეზრებენ (სამთ.).

**სორხორ-**ი ბევრის მისვლა-

მოსვლა, თავშეყრა. აი, შე რო მოხვედი, ისიც მოვიდა, ისიცა, მოგროვდა ხალხი და ატყდა ხორხორი; ხალხი რო შეიყრის თავსა (ზერ.). სუ გამუდმებით არი პელოთანა სტუმარი, რაც მანდ ხალხი მოდის, კვირაა, ისე დღეა, სუ ხორხორია (ტირძ.).

**სორსორობ-**ს მიდი-მოდის, თავს იყრის ბევრი. რასა ხორხორობენ ნეტა?! (ზერ.). აბა, დახურამდენა ხალხი ხორხოროფს იქა! (ატ.).

**სორსოშინა** მარცვალ-მარცვალი, მარცვლების მსგავსი (ერბო, მარილი...). მშრალათ რო მოთოვს, წვრილათა, შეკრული ფიფქები რო არი გაყინული, ის არი ხორხოშინაი (ტირძ.). კოვზზედა თუ ამოყვა ხორხოშინათა, ვიტყვით, აჩნდა კარაქიო (ვარ.). ხორხოშინა ერბო მქონდა იმისთანაი, რო! (კარალ.); აგრეთვე ტყვ.

**სოტბო 1.** სარეველა; მინარევი. ისეთი პური, რო ცარიელა ხოტბოაო, — გვითქვია, ბევრი რო ურეგია სარეველები (ბროწლ.). წრეულ რო პური მოვიდა, ტყუილია, ერთი ბეწო ხოტბო არა აქ მორეული, თითქო ხელით გაურჩევიათო (იგ.); აგრეთვე დის. 2. ჯგრო, ხროვა. ბევრნი რო მოიყრიან თავსა, იმაზე იტყვიან, დიდი ხოტბო ხალხი მოვიდაო (წვ.).

**სოტბოიანი-**ი სარეველიანი. წრეულ ძან ხოტბოიანი ყანა მიდ-

გა და არვი, თესლი ბრალია თუ მოხენისა (წილკ.).

**სოშმანგი**-ი იგივეა, რაც შ ხ უ-ი ლა. ხოშმანგი არი რგოლზე აბმული რამდენიმე ცალი მავთული; მწყერს რო ესერი, გაიშლება და ერთ-ერთი მაინც მოხედება (ქვეში). დაიცა, ხოშმანგი გამოვიტანო! (ქვეში).

**სოშსოშინა** ხორკლიანი, ხაო-იანი. ადამიანის კანი რო იქნება ხოშსოშინაი (ზერ.).

**სოწაობა** შობა ღამეს, მარხვის გათაეების ნიშნად თხილის, კაკლის, ხილის ჭამა (იცოდნენ ძველად). ხოწაობა იყო შობა ღამეს, კაკალს რო შაინახამდენ და შობა ღამეს მოხდიდენ, ანტერეუდენ და ჭამდენ (არად.). ხოწაობა იყო, ბლის კერკი მომცეს (ბიწმ.); აგრეთვე ღვარ.

**სოსილა** კაბლო. ცარიელი კაბლო როცა არი, უფიჩხოი, ხოხილა ის არი (ბროწლ.). ხოხილათი დაეგოსამთ ახალდათესილსა, ახლათ რო დაითესება, გადაეგოსოთო ხოხილათიო, გვითქვია (ტირძნ.). რო მოთოხნიან კალოსა, ხოხილათი გადაიტანენ მიწასა (ვარ.); აგრეთვე ტყვ.

**სოსმარიკი**-ი პირფერობა, მლიქვნელობა. ხომ ხედავ, რომ შავ ხოსმარიკითაც არა გამოგდის რა! (ტყვ.).

**სოსორა** მჭადის პატარა კვერი, თონეში გამოცხვარი; ნატეხები (მჭადისა...). ჭადისას რო მოაფხეკამენ ბოლოსა და მიაკრამენ

პატარას თონეზედა, ხოხორას იმას ეტყვიან (ქვ. ჭ.). ღმერთს ეხვეწეთ, ჭადის ხოხორა ნუ გამოგელევთ (ტყვ.). საწყალი სულ ჭადის ხოხორაზე გაიზარდა (ქემ.).

**სრანწი**-ი ნახელი. მოადღეს ხომე ე კაცი აქაურობაჲ ხრანწითა! (წილკ.). აქამდი ხრანწ არ იღებდა ხველები დროსა და ესლა კია, რაც შაამძიმა, აყოლღეს ხრანწსაცა (წილკ.).

**სრიალობა** ვაზის დაყვავილე-ბა. ვაზი რო დაიყვავილღეს, ყვაილი სცივია, სრიალობა ის არი, ვაზის ყვავილის ცვენა არი ხრიალობაი (ტირძ.); აგრეთვე მეჯვრ.

**ჭარიშილი**-ი ხრამახრუში.. შალს სულ ხრიშილი გაქქონდა; ხელ რო მოკიდებდი (ხამ.).

**სრწილი**-ი წნელის რკალი. წნელისა არი ხრწილი დაგრეხილი, გინდა მარხილს ამოვღეფთ ალახათა, გინდა საქონელს დავაბამთ იმ ხრწილითა (მეჯვრ.). შენ ხრწილი გაიკეთე და სადღა გაცურდება ფეხი (კავთ.). მარხილი რო მოგვქონდა ტყიდანა, გავუკეთებდით ხროლსა (ზ. ხანდ.); აგრეთვე ატ., ბრ., ერთაწმ., საკორ., წილკ.

**სუ** ზნე, ჩვევა. თუ არ იცოდღე ცხენის ხუ, ბოლოზე არ გაუარო (ტანძ.).

**სუა** გუდაფშუტა. დახედავ, თავთავია პურისა, გასრესავ და შავი, ჩვენ ვეძახით ხუასა, ესენი, ავრონომები, ეძახიან ჟანგა სოკოსა (ქვ. ჭ.). გუდაფშრუკა ხუა

არი; როგორც პური მარცვალი, ეგეთია; რო დაფშენი ხელზე, შავი გამოვა; პურსაც აფუჭებს (ლამ.). გვალვამ იცის, ხუას უჩენს პურსა; ხუა რო გაუჩდება, თელ ყანას უჩდება (ატ.).

**სუზარა** ჭირი (ქათმისა, საქონლისა). სუზარა შეუდგათ ჩემ ქათმეფსა და სულ დამეხუზა (კარალ.).

**სუნი ლობიო** ვარდისფერი ლობიო. ხუნი მოკრიფე, სარისა იყვეს ჯერამა (კარალ.); აგრეთვე ტყე.

**სურ-ს, სურამ-ს** ახურებუღია (საქონელი). ძროხა რო ავარდება, იტყვიან, ხურავსო (ტყე.). როცა იმაკებს, ეტყვიან, დაგრილდაო, იმაკაო და აღარა ხურსო (ტყე.).

**სურბ-ი** გროვა (მოჭრილი სიმინდისა, სარისა...), რასაც ერთ აღებაზე აიღებენ. სიმინდს რო დაასორავენ ალაგ-ალაგა, ხურგი ის არი (ტირძ.). ხურგი ჩალა არი და ზედა აქს ტაროცა, ერთი აღებით რასაც აიღეფს კაცი, იმდენია ხურგი, იტყვიან ერთი ხურგაოო, ორი ხურგაო (არად.); აგრეთვე წე.

**სურსურ-ი** იგივეა, რაც ხო რ-ხო რი. ზოგი სახლი მეტიმეტათ აგდებული სახლია და იქა სუ გამოუღეკარი ხალხია, რიგი მიდიდ, რიგი მოდიდ, და ამაზე იტყვიან, რო ხურხური უდგათო (წილკ.); აგრეთვე დ. თონ.

**სურსურამ-ს** მიდი-მოდის, ხმაურობს ბევრი, რუზრუზებს.

სიტყვაზე, ვინმეს კარებზე შეიყარეს თავი და მასლაათობენ, ან ზოგი თამაშოფს, იმათზე იტყვიან, ხურხურებენო (კავთ.). ნეტა აქ რასა ხურხურებენ, სხვა ალაგი ვერა ნახეს?! (კავთ.).

**სუსსუს-ი** მოკლე ნაბიჯებით, სწრაფი სიარული. აი, კოხტათ რო გაივლის ვინმე, იმაზე ვიტყვიოთ ხუსხუსსა (ლამ.). არ შამიძლიანო და ი კოკამ კი კარქა მაარბეინეფს ზომე ხუსხუსითა დილაადრიანათა! (წილკ.).

**სუშპ-ი** ცხერის ნაკელი (დ-თონ.).

**სუშპად** უკლებლივ, მთლიანად, ერთიანად. უკლებლივ რო გამაიტან ვენახიდან რამესა, სუშპათ გამაიტანაო (ძეგ.). ცოტაც დამაცალე ოღონცა, ერთი-ორი დღეი და მერე რაცა მმართებს, სუ ხუშპათ ჩაგაბარეფ! (მეჯვრ.). დედა მოუკადეა, რასაც იღეშდა, ეგევე ხუშპათ უნდა მეეტანა, კაპიჯ არ მააკლებდა (წილკ.); აგრეთვე მერ.

**სუსუსუმა** წერილი, ხშირი (წვიმა, თოვლი). წერილათ რო მოდის შეკრული ფიფქები, ხშირი მოდის და წერილი, იმაზე ვიტყვიოთ, ხუშხუმა თოვლი მოდისო (ქვ. ჭ.). წერილათა წვიმს და შხირათა, სულ ზედიზედ მოდის ფუფუნითა წვიმაი, ხუშხუმა წვიმა მოდისო, ვიტყვიოთ (ქვ. ჭ.).

**სუსულოზ-ი** უბალნი (გოჭი...), ნახე, ბეჟო, როგორი ხუხულოზი გოჭები აყავ მიხაკაონთ ღორსა! (კავთ.).

ჯ

**ჯაბაძე რეზე**-ი საარაყე ქვაბის სახელური. ჯაბაყურები საარაყე ქვაბის სახელურებია, ზარფუშუა გაკეთებული (მერ.). დიდი ქვაბია საარაყე ქვაბი და ორი ჯაბარყური აქ აქეთ-იქიდანა (ტირძ.).

**ჯაბ-**ი ძეძვი. ჯაგი ეკლიანი ბუჩქია, სუ მოდებულია საგურამოს მიდამოები, ფარა ასხია იმასა (საგურ.). ჯაგსაც ვეძახით, ძეძვსაცა, აქ უფრო ჯაგი ვიცით (საკორ.). ჯაგი არი ძეძვის ბუჩქი (სამთ.).

**ჯაბისზარა** ძეძვის ფარა. ჯაგიფარა ჯაგს ასხია, შემოდგომაზე ჩალისფრათ არი ფარფლებივითა (საგურ.).

**ჯაბურა** ჩამრგვალებული, მსუქანი (ბავშვი). სუქანი პატარა ბაშვი რო არი, ჯაგურა არიო, ჯაგურაიო, იტყვიან ზომე (ტირძ.); აგრეთვე ვარ.

**ჯადა** 1. შემოუღობავი, გზად ქცეული, მოუსაელიანი (ნაკვეთი მიწისა). ის ალაგი, შენ რო ავიბარებია, ჯადა ალაგია, იქიდან არაფერს გამოგატანინებენ! (კავთ.). ისეთი ჯადა ალაგი მამცეს ჩემი ვენახის სანაცვლოთა, თელი დღე სუ საქონელი და ხალხი თელამს იმასა და არა გამამაქ რა (მეჯვრ.). ჩვენა, რაც ჯადა ადგილები აქონიყოთ, სუ ის მოგვიზომეს (იგ.); აგრეთვე ვარ., ზერ., ლამ. 2. მიუ-

ვალი, ხრიოკი (ადგილი). იმითანა კარქი გოგო იყო, ქაა, და იმჯადა ალაგას რამ გაათხუებინათ; ნეტა რა სული ემწრაფებოდათ? (წილკ.).

**ჯალა** თაფლის გამონაწური. თაფლის გამონაწურია ჯალაი, ჭუჭყია, გადაყრით ზომე; ჯალასაც ვეძახით იმასა და ლენჯსაც (ატ.).

**ჯალაბანდი კუნძი** უსარგებლო, გამოუსადეგარი რამ. ადუ, რაზე გააკეთე, რა ჯალაბანდი კუნძივითა გდისხარ? (კავთ.). ჩემი შვილი, რა, უპატრონო კი არ არი, ან ჯალაბანდი კუნძი, რო სცემ? (კავთ.).

**ჯალას-**ი ზარმაცი. ჯალახები გაეიშორე და ამათ კი ვამუშავეფ. (თამ.).

**ჯამეულ-**ი ერთი წველა, ერთი ამოყვანა ყველი. ერთი წველა ყველი არი, ერთი ჯერისაი; ნვენ ვიტყვიოთ — ჯამეული (ტირძ.). ერთი ჯამეული ყველი აქვთ გასაყიდი, ზო არ ინდომებთ? (ლამ.); აგრეთვე ქემ.

**ჯამს გაუთიერთებს** რძეს, მაწონს და მისთ. დაუსხამს საჭმელად. ერთი ჯამი გამოითორეო — რძე ან სხვა რამ დამისხიო (ტირძ.). ჯამი არ გასთიერთებინა: წელსა ჩემ შვილევს ჯამი არ გასთიერთებიათ,

წველა არა გექონდა, თეთრული არ უჭამიათ (ტირძ.).

**ჯანაოზ-**ი განთქმული, ცნობილი ექიმი. თუ ავმა ქარმა დაგშხებლა მუცელში, ჯანაოზი ექიმიც რო დაგადგეს, ვეღარ მოგარჩენს (ზერ.); აგრეთვე ძეგ.

**ჯანდამწვარი-**ი წყველაა. როგორ იმეტეფს ეგ ჯანდამწვარი ი თითი სიგრძე ბაღსა, რო ამოტელა კოკასა აკიდეფს? (წილკ.). შე ჯანდამწვარო, რა პირითა აწყველი ი დედისერთა ბაღსა? (წილკ.); აგრეთვე იკ.

**ჯანზე ხელს მოიკიდებს** ჯან-ღონე მიეცემა, შრომას შეიძლებს. წამოიზარდა, ჯანზე ხელი მოიკიდაო, მითომო ჯანი მიეცაო (ჩუმათ.). ეხლა აღარ მიჭირს, რაკი მურმანმა ჯანზე ხელი მოიკიდა (ჩუმათ.); აგრეთვე ვარ.

**ჯანჯრუკ-**ი ხვართქლა. ჯანჯრუკსა ვკრეფამდი მხლის მაგიურათა (ბიწმ.).

**ჯარღანა** ერთგვარი უხეში ქსოვილის, ყისინის ტომარა. ჯარღანა სქელი, დიდი მეშოკი არი, სხვილი კანაფით არი მოქსოვილი (ერედ.). ერთი ჯარღანა მეშოკი მქონდა და ისე წაიღო ვიღაცამ, რო არაფერი გამიგია (კავთ.). ჯარღანა მეშოკში ბევრი ჩადის (ძეგ.); აგრეთვე ზ. ხანდ., მეჯვარ.

**ჯარნა** ლობიოსა და ხორბლის ნარევის შეჭამანდი. ლობიოსა და პურს, ხორბალს, ერთათ აურევენ, ხარშავენ ჯარნასა, პური მეტი უნდა, ერთი ჯამი ლობიო, ჯამ-

